

სადიარე კაპლინი

ინდუკი
მრთხრობი



„ნაკაბალო“
თბილისი
1930

ამ წიგნში თავმოყრილია რადიარდ კიპლინგის მიერ ინდოეთის შესახებ დაწერილი მოთხრობები „დრეი ვარა ააუდი“, „ათასი მწუხარების კიშკარი“, „პატარა ტობრა“, „ოლქის თავკაცი“, „ერთი საზრისი“ და სხვა.

კიპლინგი კარგად იცნობდა ინდოეთს და ამ მოთხრობებში შესანიშნავად ასახა ინდოელთა ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, ფსიქიკა, მათი ჭანყი ინგლისელთა წინააღმდეგ.

კიპლინგს იმდენად უყვარდა ინდოეთი, ინდური მოთხრობების ციკლს დაარქვა — „მოთხრობები ჩემი ხალხის ცხოვრებიდან“.

წიგნს ერთვის კიპლინგის მიერ კრებული საგანგებოდ დაწერილი წინათქმა—პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუში.

ინგლისურიდან თარგმნა ელიზბარ გიორგაძემ

ხელახალი გამოცემა

© „ნაკადული“, 1989 წ.

70304 — 1
 K—————113—89
 M 603 (08) — 89

ISBN 5-525-00182-9

მ კ ი თ ხ ვ მ ლ ი ს ა დ მ ი

სიკვების ინგლისელი დიდოსტატი, რადიარდ კიპლინგი, განეკუთვნება ისეთ პროზაიკოსთა რიგს, რომელთა ნაწარმოებები პოეზიასთანაა წილნაყარი (კიპლინგი ხომ ბრწყინვალე პოეტიც იყო). ქართულ პრიზას კი დიდი მადრეკილება აქვს პოეტურობისაკენ.

ამ მწერლის შემოქმედებით ჩვენი დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ.

ისიც უნდა ითქვას, მის თხზულებებს ნაკლებად იცნობს ჩვენი მკითხველი. „მაუელი“, ლექსების მცირე კრებული, ორიოდ სააუშუო მოთხრობა — ამას გარდა ქართულად არაფერია თარგმნილი. კიპლინგის შემოქმედება კი, რომლის დიდი ნაწილი მხოლოდ ლიტერატურის საგანძურშია შესული, ორმოცამდე ტომს მოითვლის.

ამ კრებულში თავი მოუყარეთ მწერლის მიერ ინდურ თემიზუ შესრულებულ მოთხრობებს, რადგან ეს თემა ძალზე ახლობელია მისთვის და კიპლინგი მთელა სიდიადით სწორედ ამ კრულსა წარმოგიდგება.

ჩვენ შევარჩიეთ სხვადასხვა სახის მოთხრობები, შინაარსის, ფორმის და ასე გასაჩვენო, ზომის მხრივაც, რათა მკითხველისათვის ფართო წარმოდგენა შეგვექმნა მწერლის შემოქმედებაზე, მის პროზაზე.

ზოგიერთი მოთხრობისათვის ლექსად წამძღვარებული ეპიგრაფები ჩვენ არ გვითარგმნია, რადგან ისინი მიგვანინია კიპლინგის პოეზიის კუთვნილებად. ცნობილია, რომ კიპლინგი ხშირად სპეციალურად წერდა ეპიგრაფებს (ლექსად) თავისი მოთხრობებისათვის, მერე კი ისინი შეჰქონდა ლექსთა რჩეულ კრებულებში.

როდესაც მომზადდება კიპლინგის თხზულებათა მეტ-ნაკლებად სრული ქართული გამოცემა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდება ამ ეპიგრაფებისათვის გვერდის აელა და უფრო ვრცელი კომენტარებიც შეიქნება საჭირო.

ეს დიდად საჭირო და საძნელო საქმეა და მოხარულნი ვიქნებით,

თუკი ეს წიგნი საფუძვლად მაინც გამოდგება კიბლინგის უმდიდრესი მემკვიდრეობის ქართულად ვადმოღებების საქმეში.

ტექსტზე მუშაობისას ათასგვარ სიძნელეს წაეაწყდით, როგორც სტილისტური ისე ტერმინოლოგიური მხრივითაც.

ვსარგებლობთ შემთხვევით და მაღლობას ეწირავთ ინგლისური ენის სპეციალისტებს არიანე ჭანტურიას და გიორგი ჭუმბურიძეს, რომელთაც ცდა არ დააკლეს ამ წიგნს.

აქვე დავსძენდით, რომ დიდად მაღლიერი ვართ ხანსკრიტისა და პინდი ენის მცოდნეთა — მზია ანდრონიკაშვილისა და ნიკოლოზ კენჭოშვილის — იმ რწევებისათვის, რომლებიც მათ მოგვეცეს ინდურ სახელთა და სახელწოდებათა ქართულად მართებული დაწერილობის თაობაზე.

მიუხედავად ჩვენი გულმოდგინებისა, სპეციალისტებს ალბათ შენიშვნებიც ექნებათ და გარკვეული მოსაზრებებიც. წინასწარ ეუხედით მათ მაღლობას, რადგან ჩვენ არ ვაპირებთ ამ მიმართულებით მუშაობის შეწყვეტას.

თარგმნისას ეცდილობდით მიეყოლოდით ერთადერთ სწორ ეზას — შეგვენარჩუნებინა მწერლის სტილი და ამავე დროს ვვექცია მისი ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის კუთვნილებად.

თუ როგორ შეეძელით ეს, როგორც ტრადიციულად იტყვიან, მკითხველმა განსაჯოს.

ედიშვარ ბიორბაქე

დელის გზაზე მრავალი ენახე, — ვველა ისინი
ნემი ძმები იყვნენ.

აღალობრიე მკეიდროთა გომონათქეამი

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ჩრდილო ინდოეთში ეყუდა ერთი მონასტერი, სახელად დჰანი ბჰაგატას ჩუბარა. ვისლა ახსოვდა ვინაობა დჰანი ბჰაგატასი, ვინაც კეშმარიტი ჰინდუს საკადრისად განვლო ცხოვრება და ღეთისსიერ საქმეს — ჩუბარას აგებას ბოლო მისხლამდე შეაღლია თავისი სარჩო-საბადებელი. აგურით ნაშენი სენაკები ღმერთების, მეფეებისა და სპილოების ფერადი სურათებით იყო მოხატული. აქ შეეძლოთ ფეხი მოერთხათ ჩამომჭნარ ბერებს და ფიქრს მისცემოდნენ საგანთა სასრულზე. მოკირწყლულ ბილიკებზე ღრმულები დაეჩინათ ათასობით მოსიარულეთა შიშველ ფეხებს. უზარმაზარი ლეღვის ხე გადმოწყდელიყო ჭის ოწინარზე, მთელი დღე რომ ჭრიალებდა გაუთავებლიე. თუთიყუშთა გუნდები დაფრთხილობდნენ შორისეთებში. ყვავები და ციყვები მოსჩვეოდნენ აქაურობას, ვინაიდან ბერთაგან თითსაც არავინ დააკარებდა მათ საზიანოდ.

ამ მიდამოებში მორაული მწირების, მეთილისმეებისა თუ მოხეტიალე წმინდანების თავშესაყარ და სულის მოსათქმელ ალაგად ქცეულიყო ეს სავანე. მაჰმადიანი, ჰინდუ თუ სიქი ერთმანეთში ირეოდა ჩუბარას ეზოგარემოს ხეებქვეშ.

სიბერე მორეოდათ ყველა ამათ, ხოლო როცა ძე კაცისა აღსასრულს უახლოვდება, იოლად ჰგუობს ყველა რწმენის ადამიანს.

ცალთვალა გობინდმა მომითხრო ესე ყოველი. ამ ღეთის კაცს, მდინარის შუაგულში ამობორცვილ კუნძულზე რომ ცხოვ-

რობდა, წესად დაედო თევზებისათვის პურის გომიჯები დაეყარა დღეში ორჯერ. წყალდიდობის ყამს ზრუნავდა კოცონზე დაეფერფლათ ნაპირს მორიყული გარუმბებული გეამები, რათა არ შელახულიყო ადამიანის ღირსება და თავადაც პირნათლად წარმდგარიყო უფლის წინაშე. როცა კუნძულის დიდი წილი წყალმა მოატბორა, გობინდმა აიკიდა მთელი თავისი აელა-დი-დება — თოკგამობმული თითბერის საწყლე, ჩიბუხი, დარგოლილი საბან-გობანი, ფარშავანგის ფრთებით მორთული, შაქრის თავივით წოწოლა ქუდი, ქოლგა და სპილენძის ლურსმნებით მოჭედილი მოკლე კაუჭიანი საბიჯგელი — მდინარე გაფონა და დჰანი ბჰაგატას ჩუბარას მიადგა. გაეხვია ათასგვარად დაკემსილ და ათასგვარი ფერის ნაჭრებისაგან გამოკერილ საბანში, ხელი მოკლე, კაუჭიან ყავარჯენზე ჩამოდო და აღსასრულის მომლოდინე, მზიან კუთხეში გაირინდა. ხალხი ლუკმაპურს არ აკლებდა, ნარგოზის ყვავილებს უფენდა ფიანდაზად და იგიც ილოცვიდა მათთვის.

თვალისჩინი თითქმის დაშრეტოდა. სახე წარმოუდგენლად დაღარული ჰქონდა და დანაოჭებული. მისი ხნისა ხომ ქვაც აღარ გორავდა, გობინდი იმ დროს მოესწრო, ინგლისელებს რომ ჯერაც ფეხი არ დაედგათ ჩუბარას სიახლოვეს.

როცა მონასტერში გავშინაურდი, გობინდი ბევრს რასმე მომითხრობდა ხოლმე თავისი დანჯღრეული ხმით, ხის ბოგირზე გატარებული ზარბაზნის ბორბლების ხრიგინს რომ მოგაგონებდათ.

მართლაც ჩინებულ ამბებს ყვებოდა, მაგრამ ერთსაც ვერ გამოარჩევდი ინგლისურ წიგნში დასაბეჭდად.

ინგლისელისა და ინდოელის ჭკუა-გონება ხომ სულ სხვადასხვაგვარადაა მოწყობილი.

ინგლისელი ტვინს ამოიჭამს ისეთ საგანზე ფიქრით, რასაც ინდოელი ყურადღების ღირსადაც არ გახდის — ის უფრო გუმანს დაენდობა. სხვა შემთხვევაში, რაზეც ინგლისელი წამითაც არ დაფიქრდება, ინდოელი სწორედ იმას გაიხდის განსჯის საგნად.

და გაუგებრობის უძირო ზრამის გაღმა-გამოღმიდან უიმედოდ შესჩირებიან ერთიმეორეს ინგლისელი და ინდოელი.

— მითხარი აბა, — შემესიტყვა გობინდი ერთ კვირა საღამოს, — რა ბედენაა ეგ შენი ნაქები ხელობა, რითი ჭამ ლუკმა-პურს?

— მე კერანი ვარ. იგი, ვისაც კალმით ასოები გამოჰყავს ქაღალდზე და ამა ქვეყნის ძლიერთ არა მსახურებს.

— მერედა, რასა წერ ასეთს — ახლოს მოიწი, ძლივსღა ვხედავ, თან დღეც ილევა.

— ვწერ ყველაფერზე, რაც გამეგება და ზოგ რამ იმაზეც, რის მცოდნედაც ვერ ვიწოდები. უმეტესად სიცოცხლეზე ვწერ და სიკვდილზე, მამაკაცთა და ქალთა შესახებ, სიყვარულსა და ბედისწერაზე — შესაბამად ჩემი უნარისა ვიმეტყველო ვინმე ერთის, გინა ორისა, ანდა სხვათა მრავალთა ენით. მერე, ღვთის ნებით, ნაწერებს ვყიდი და ცხოვრების სახსარს ვშოულობ ამით.

— რაღა ბაზრის მეზღაპრე და რაღა შენ, — შენიშნა გობინდმა. — ეს კია, ქალსა თუ კაცს იგი ზეპირად უყვება ამბავს და არაფერსა წერს. და მხოლოდ მაშინ, როცა მსმენელი მოლოდინად იქცევა, როცა კეთილი ლამის უნდა ხმლიოს ბოროტმა, მეზღაპრე უეცრად კლიტეს დაიდებს ბაგეზე და ვიდრე თხრობას გააგრძელებდეს, საზღაურს მოითხოვს, ასევე სჩადიხარ შენაც, შვილო ჩემო?

— განა არ ვიცი, გრძელი ამბავი დაუკეპიათ კიდევ, ნაწილ-ნაწილ გაუყიდიათ, თითქოსდა კიტრი ყოფილიყოს.

— ჰაი, გიდი, სად იყო ჩემი ბადალი მეზღაპრე, როცა კოშინისა და ეტრას გზებზე დავმათხოვრობდი, ვიდრე უკანასკნელად წავიდოდი სალოცავად ორისაში! მოვხსნიდი ხოლმე გუდას პირს, ვყვებოდი ათას ამბებს, უფრო მეტი კი მომისმენია საღამოის ჟამს ფუნდუკებში თავშეყრილ მოგზაურთაგან, როცა ისინი მუსაიფად დასხდებოდნენ.

გირწმუნე, დიდება პატარებსა ჰგვანებიან, თუკი საქმე ზღაპრებზე მიდგება. გულს კი ყველაზე მეტად ძველთაძველი ზღაპარი ხვდება.

— ეს თქვენში. ჩვენს ხალხზე კი მაგას ვერ ვიტყვი, სულ ახალ-ახალ ამბებს სურვილობენ. როცა ყველაფერი დაიწერება, მხოლოდ მერე განსჯიან რიგიანი თუ იყო თხრობა, ანდა ამბავი ნამდვილი იყო თუ მოგონილი.

— პრიყეები ყოფილან! — თქვა გობინდმა და დაძარღუული ხელი აიქნია. — ამბავი მანამდეა უტყუარი, ვიდრე თხრობა გრძელდება. ერთს გეტყვი. ერთხელ ბილას ხანი, მეზღაპრეთა ბელადი, მასხარად აივდეს თურმე ჯელუმის გზისპირა ფუნდუკში. — რახან აგრეა, ძმავო ჩემო, თავად მოგიწევს გააგრძელო და გაასრულო კიდევ ეს მონათხრობი — ასპარეზი დათმო ბილას ხანმა. იმ კაცს კი, ვინც ბილას ხანი გააქილიკა, არც ხმა აღმოაჩნდა საამისო და არც უნარი. ამის გამო მომლოცავენმა კბილი დაასვეს, გაქირდეს ვახშამზე და მთელი ღამე ატრიზავენდნენ.

— შენებურად მართალი ხარ, ახლა ჩვენიც იკითხე. ჩვენი ხალხი ფულს გაიღებს, ამიტომაც იქცევა ასე. წინდლით ნაყიდი ფეხსაცმელი რომ პირს დააღებს, განა მეწაღეს არ მივაღებთ? თუ ოდესმე დაეწერე წიგნი, შენც შეგეძლება ნება-ნება ფურცლო და მსჯავრი დასდო.

— და უთხრა თუთიყუშმა მოყანთალებულ ხეს — იქედნურად ჩაიციანა გობინდმა, — მომიცადე, ძმავო, ვიდრე საბჯენს მოგიტანდეთ. ღმერთმა მომყარა ოთხმოცი წლისა. შესაძლოა მეტიც ვარ. აღარც კი მახსოვს. ყველაფრის იმედი გადავწურე და ღეთისაგან ბოძებულ წყალობასავით შევყურებ ღლე-ყოველს. ჩემი წუთები დათვლილია. იჩქარე შენაც.

— შემასმენდე იქნება, როგორ გავართვა თავი ამ საქმეს — ო, მოესველო მარგალიტების...

— ვიცი, განა? — იგი დაფიქრდა ერთხანს. — მისმინე. ღმერთმა მრავალი თავი გამოიძერწა, გული კი ერთი აქვს ყველას, შენსა და ჩემი მოდგმის ხალხსაც. როცა საქმე ზღაპრებზე მიდგება, ისინი ბავშვებს ედარებიან. პატარებმა კი დანდობა არ იციან. ერთი თუ შეგცდა, ანდა სხვა ამბავი თუ შეაპარე მეორედ მოყოლისას, არაფრით არ გაპატიებენ ეგ ურჯულოები. მაგათი ყველაფერი ვიცი, ბაღლები ხშირად გამირთვია სხვადასხვა ამბებით.

მისი ჩანავლული თვალები კედელზე გამოხატულ ჭყეტელა ნახატებს მიაჩერდა, ლურჯად და წითლად შეღებილ გუმბათს და მის მიღმა აბრწყინებულ რძიანებს.

— ისეთ რამეებს მოუთხრობდე, რასაც შენც მოსწრებიხარ

და ვგენიც. მოუთხრობდე, რაც გინახავს და რაცა გსმენია, მეფეთა ბრძოლებზე, ცხენებზე, ეშმაკებზე, სპილოებსა და ანგულოზეებზე უამბე პატარებს. სიყვარულის ამბები არ გამოგრჩეს და სხვა მისთანები, ამქვეყნად ზღაპარს რა დაუღვევს მათ, ვინც სმენად ქცეულა და მათხოვარს კარს არ უკეტავს. ყველაზე საუკეთესო მოამბეები ხომ მათხოვრები არიან, რადგან ყოველ ღამით ძირს განერთხიიან დედამიწას ყურმილებულნი.

ამ საუბრის შემდგომ ერთი აზრი ჩამესახა, გობინდი კი მოსვენებას არ მაძლევდა, როგორ არისო წიგნის საქმე.

შემდგომ ერთხანობას სხვა მხარეს მომიწია გაძვზავრება და გობინდთან მიველ გამოსამშვიდობებლად.

— მოვედი, რომ გამოგეთხოვო, შორს გზას ვადგავარ.

— მე უფრო შორეულ გზას ვადგავარ, ვიდრე შენ; რას მეტყვი ახალს, როდის დაიბადება ეგ შენი წიგნი?

— თავის დროზე, თუ განგებამ ინება.

— როგორ მინდა, და მოვსწრებოდი, — თქვა მოხუცმა და თავის საბანსი გაეხვია. — მაგრამ, როგორც ჩანს, არ მიწერია მისი ხილვა. მე მოვკვდები სამი დღის შემდგომ, განთიადის პირს — აღსასრული კარს მომდგომია.

ათიდან ცხრა შემთხვევაში აქაური კაცი შეუცდომლად გამოიცნობს თავისი აღსასრულის დღეს. ამ მხრივ მათ ცხოველსა დარი წინათგრძნობა მონიჭებით.

— მაშ, განუტევე მშვიდობით. რამდენგზის გითქვამს კიდევ, — ცხოვრება აღარ მახარებსო.

— ჰო, მაგრამ დასანანია, ჩვენი წიგნი რომ არ შობილა. როგორ შევიტყო, შიგ ჩემს სახელს თუ მოიხსენიებ?

— პირობას გაძლევ, წიგნის შესავალში, აი, ყველაფერს რომ წინ უძღვის, იქ ეწერება: გობინდმა, სადკუმ, მდინარეში ამორიყული კუნძულის მკვიდრმა, ვინაც სიკვდილის მობრძანებას ელოდა დაჰანი ბჰაგატას ჩუბარაში, პირველად დასძრა სიტყვა ამ წიგნზე.

— და რჩევა მომცა — მოხუცი კაცის ბრძნული რჩევა. გობინდმა, ქემ გობინდისამ, თვალახელილმა მულტანის მხარეს, კარაონ ტეჰსილში, სოფელ ჩუმს... ესეც ეწერება იმ წიგნში?

— ღიახ, ეგეც.

— მაშინ წიგნი გადააღწევს შავი წყლის წიაღს, დაისადგურებს შენი მოდგმის ხალხის ბინებში და ყველა საპიბი გამიცნობს მე — ოთხმეოცი წლის მოხუცს?

— ყველა, ვინც კი წაიკითხავს ამ წიგნს. სხვებზე რა მოგახსენო.

— კეთილი და პატიოსანი. მოუხმე ყველას, ვინც კი ჩუბარა-შია. ეს ამბავი უნდა ვამცნო.

და მოჯარდნენ ფაკირები, სადჰუები, სანიასები, ბაირაგები, ნიჰანგები და მოლები. საბიჯგელს დაეყრდნო გობინდი და ისე აენამჭვერდა, შურმა შესძრა ყველა იქ მყოფი. მაშინ ერთმა თეთრთმიანმა დარბაისელმა მოუხმო გობინდს — ნაცვლად უცხოთა შორის წარმავალი დიდების მოხვეჭისა, აღსასრულზე ეფიქრა, ადგა, დამლოცა გობინდმა და მეც დაეცოვე ის მხარე.

ეს მოთხრობები შეგროვილია ათას კუთხეში, ყველა ჯურის ხალხში; ჩუბარას ბერებმა, ალა იარელმა მერუქურთმემ, ხურომ, ჯივუნ სინგჰმა, ორთქლის გემებსა და მატარებლებზე შემხვდურმა უცნობებმა, საღამოს ჟამს, თავიანთი სახლ-კარის წინ ხელსაქმით გართულმა ქალებმა, აწ გარდაცვლილმა და საფლავს მიბარებულმა ოფიცრებმა და ჯენტლმენებმა და სხვათა მრავალთ მომითხრეს ისინი.

ამათგან ზოგი დაიბეჭდა ყურნალ-გაზეთებში და მე მადლიერი ვარ გამომცემელთა, ზოგმა ახლახან მიაღწია შორეულ ნაპირს, ზოგს კი ჯერ არ უხილავს დღის სინათლე.

ამათ შორის გამორჩეულია ის ამბები, რომლებიც მამაჩემმა მომითხრო.

მჯობთა მჯობნი კი ის მოთხრობებია, ჯერაც რომ არ დამიწერია, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

ალმან ცეცხლისა

პოლიციელი ცხენით მიიკვლევდა გზას ჰიმალაის ტყეებში, ხავსმოდებულ მუხებს შორის. უკან მხლებელი მისჩაქჩაქებდა.

— საქმეს კარგი პირი არ უჩანს, ბპირ სინგპ, — თქვა პოლიციელმა. — სად არიან ნეტავი?

— მართალი ხარ, — შეეხმიანა ბპირ სინგპი. — ახლა მათ წიწვიანი შტოების კოცონზე უფრო მხურვალე ცეცხლი აქვთ შენთებული.

— იმედს ნუ გადავიწყვეტთ, — თქვა პოლიციელმა. — რასათა შორის განსხვავება რომ დავივიწყოთ, ეს ამბავი ხომ ფრანჩესკა და რიმინის ისტორიას მოგვაგონებს, ბპირ სინგპ?

ბპირ სინგპს არაფერი სმენოდა ფრანჩესკა და რიმინის შესახებ. იგი დუმდა, ვიდრე მენახშირეთა ნაკაფს არ მიაღწიეს. იქ სულს დაფავდა თეთრ ნაცარზე ჩანავლული ცეცხლი. უიტ... უიტ... უიტ, — ისმოდა ალის შარიშური. კოცონის ალმა ეტყობა ძალზე მაღლა უწია. ხალხმა ცად აწვდილ დონგა პადან, ველის საპირისპირო მხრიდანაც კი მოჰკრა თვალი. ატყდა მითქმა-მოთქმა, კოდრუელი მენახშირეები გამომთვრალანო. სინამდვილეში კი იქ იყვნენ მხოლოდ საკატ სინგპი, პანჯაბის ას მეორე ქვეითთა პოლკის სიპაი და ქალი — ათპირა და ისინი იწვოდნენ, იწვოდნენ...

აი, როგორ მოხდა ყოველივე — პოლიციელის დღიური დაამოწმებს ჩემს სიტყვებს:

ათპირა იყო ცალთვალა მადუს, ერთი მურდალი ხასიათის მენახშირის ცოლი. ქორწინებიდან სულ რაღაც ერთი

ეკირის თავზე მან ათჰირა ჩომბახით დააძვალბილა. ერთი თვის შემდგომ შვებულებაში მყოფი სიპაი საკატ სინგჰი ამ ადგილების გავლით მიემართებოდა მთა ცივისაკენ. სიპაი კოდრუს მცხოვრებლებში თავს იწონებდა. ჰყვებოდა, თუ რა დიდ პატივში ჰყავდა იგი პოლკოვნიკ საჰიბ-ბაჰადურს და სამხედრო სამსახურის სხვა ათას ამბავს.

ათჰირამაც უსმინა, უსმინა თავის ოტელოს, მერე კი, ქვეყნად არსებულ ყველა დეზდემონას მსგავსად, შეიყვარა იგი.

— მე მყავს ჩემი საკუთარი ცოლი, — თქვა საკატ სინგჰმა, — თუმცა, კაცმა რომ თქვას, უსაშველო აქ არაფერია. არადა, ჩემ პოლკს უნდა დაეუბრუნდე. ჯარს ვერ ვუღალატებ. გულში მაქვს ამოჭრილი, ჰავილდარობას მივალწიო.

ნათქვამია:

არ ვიქნებოდი სიყვარულით ასე დამშრშალი,
ჩემი ღირსება აგრე იოლ რომ მეთმობოდეს.

და საკატ სინგჰმა კინალამ ხელმეორედ შეთხზა ეს ლექსი.

— რა ბედენაა, — თქვა ათჰირამ, — დარჩი აქ და თუ მადუმ ისევ აღმართა ჩემზე ხელი, აიღე და მაგრად მიბეგვე.

— კეთილი, — დაეთანხმა საკატ სინგჰი და ისე დათეთქვა მადუმ, რომ მთელი კოდრუს მენახშირეები აღაფრთოვანა.

— გეყოფა, — თქვა საკატ სინგჰმა და მადუმ ფერდობზე ჩააგორა, — ახლა კი ალბათ გვეღირსა მოსვენება.

მაგრამ მადუმ ამოფორთხდა ბალახიან გორაკზე და ავად მომზირალი თვალებით დაბორიალობდა თავისი ქოხის ირგვლივ.

— ეგ მე სულს ამომხდის, — შესჩივლა ათჰირამ საკატ სინგჰს, — გამაშორე აქაურობას.

— ყაზარმებში დიდი ამბავი ატყდება, ცოლი ღერა-ღერა დამაცლის წვერს, მაგრამ ჯანდაბას, მაინც წავიყვან, — თქვა საკატ სინგჰმა.

ყაზარმებში მართლაც ერთი ალიაქოთი ატყდა, სიპაის წვერი დააგლიჯეს. საკატ სინგჰის ცოლმა დაავლო ბავშვებს ხელი, გუდანაბადი აიკრა და თავის დედასთან გადაბარგდა.

— ესეც ასე, — თქვა ათპირამ და საკატ სინგჰმაც დას-
ძინა, — ესეც ასე.

მარტოდენ მადუმ არ მიატოვა სახლ-კარი. იგი დარჩა
თავის ქოხში, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მთელი ველი,
ვიდრე დონგა პას საზღვრამდე; ოღონდ, ეს არის, ათაბაბა-
დან მოყოლებული ხომ ყველა ზურგს აქცევს მადუსავით
გაუბედურებულ, მიტოვებულ ქმრებს.

მადუმ მიაკითხა ჯადოსან ჯასინ-დაზეს, მოლაპარაკე მა-
მუნის თავის მფლობელს.

— დამიბრუნე ჩემი ცოლი, — უთხრა მადუმ.

— ეგ არ იქნება, — მიუგო ჯასინ-დაზემ, — ვიდრე სა-
თლაჯის წყლებს აღმა არ წაიყვან, დონგა პასაცენ.

— ხუმრობა იქეთ იყოს! — თქვა მადუმ და ჯასინ-დაზეს
ქალაჩა თავს ნაჯახი დაადირა.

— გადაეცი სოფლის თავკაცებს მთელი შენი ქონება.
ისინი შეეკრებენ თემის საბჭოს და ცოლს უკან მოგგვრიან.

ასე გასცა მადუმ მთელი ქონება, რომელიც მოითვლიდა
ოცდამეიდ რუპიას, რვა ანას, სამ პაისს და ვერცხლის
ძეწვეს. მერე კი ახდა ჯასინ-დაზეს წინასწარმეტყველება.

საბჭომ ათპირას ძმა გაგზავნა საკატ სინგჰის პოლკში
ქალის შინ წამოსაყვანად.

საკატ სინგჰმა იგი კიტლაყის ცემით შემოატარა ყაზარ-
მის გარშემო, მერე კი ჰავილდარს გადაულოცა, მანაც აიღო
და ქამრით დაევება.

— დაბრუნდი! — გასძახა ათპირას ძმამ.

— სად? — შეეპასუხა ათპირა.

— მადუსთან!

— არასოდეს. — მიუგო ათპირამ.

— მაშინ შენ შეგაჩვენებს ჯასინ-დაზე და ჩამოხმები
გაზაფხულზე ქერქშემოცილ ხესავით.

ათპირას ძილში ფიქრად ჩაჰყვა ეს ნათქვამი.

დილით მას ნიკრისის ქარმა გაჰკრა.

— მე ვხმები, როგორც გაზაფხულზე ქერქშემოცილი
ხე, — თქვა ქალმა. — მიწია ჯასინ-დაზე წყევლამ.

და მან მართლაც დაიწყო ჰკნობა, რადგან გული გადაე-

ლია შიშისაგან. ასე ხდება: ვისაც წყევლისა სჯერა, მას სწორედ წყევლა უღებს ბოლოს. საკატ სინგპიც დაშინდა, რადგან ათპირა თავს ერჩინა.

ორი თვის დამლევს ათპირას ძმა კვლავ იღვა ყაზარმის წინ და გაპყვიროდა.

— აჰანდე, შენ ხმები, დროა დაბრუნდე.

— უმჯობესი იყო გეთქვა, ორთავე დაბრუნდითო, — ჩაილაპარაკა საკატ სინგპმა.

— მე დავბრუნდები, — თქვა ათპირამ.

— ჰო, მაგრამ, როდის? — არ ეშეებოდა ძმა.

— ერთ: მშვენიერ დღეს, დილაადრიაან. — თქვა საკატ სინგპმა და წალაყუნდა, რათა პოლკოვნიკ საპიბ-ბაჰადური-სათვის გამოეთხოვა ერთი კვირის შვებულება.

— მე ვხმები გაზაფხულზე ქერქშემოცლილი ხესავით, — გოდებდა ათპირა.

— მალე მომჯობინდები, — თქვა საკატ სინგპმა და ქალს გაანდო თავისი გულის ნადები.

ორთავემ უხმოდ გაიცინა, რადგან ძალზე უყვარდათ ერთმანეთი. იმ დღიდან ათპირამ მართლაც მოიხედა.

ისინი ერთად გაემგზავრნენ მესამე კლასის ვაგონით, როგორც ითხოვდა სამხედრო წესდება. მერე კი ოთხთვალთა და ფეხით შეუდგნენ მაღალ გორებს. ათპირა იყნოსავდა მშობლიურ ჰიმალაის ნესტიანი ფიჭვების სურნელს.

— რა კარგია, ცოცხალი რომ ვარ, — თქვა მან.

— ყური მიგდე, — წარმოთქვა საკატ სინგპმა. — საით უნდა იყოს კოდრუს გზა, ანდა სადა დგას ნეტავ, მეტყვევის სახლი?..

— ოცი წლის წინათ იგი ორმოცი რუპია ღირდა, — თქვა მეტყვევებ და თოფი გაუწოდა.

— აიღე ოცი, — უთხრა საკატ სინგპმა, — ოღონდ ტყვიები უნდა ამირჩიო.

— რა კარგია სიცოცხლე, — ფიქრთანად თქვა ათპირამ.

იგი იყნოსავდა ნაძვის მპალას სუნს. მათ შეიცადეს, ვიდრე ღამე არ ჩამოწვა კოდრუსა და დონგა პას მიდამოებში.

მადუს თავის ქობს ზემოთ აზიდულ ბორცვზე ხმელი შეშის ზვინი დაედგა, მეორე ღღეს ნახშირის გამოსაწვავად.

— დიდი პატივი დაგვდო მადუმ, ზედმეტ გარჯას აგვარიდა, — თქვა საკატ სინგჰმა, როცა შეშის ზვინს მიადგა — უნდა დაველოდოთ, ვიდრე მთვარე ამოვიდოდეს.

როცა მთვარე ამოცურდა, ათჰირამ შეშის გროვაზე მუხლი მოიყარა.

— ამის მაგივრად სახაზინო შაშხანა რომ მქონოდა, — სინანულით თქვა საკატ სინგჰმა და აღმაცერად დახედა მეტყევის თოფის მავთულით გადაკონილ ლულას.

— იჩქარე, — თქვა ათჰირამ და საკატ სინგჰმაც არ დააყოვნა. ოთხივე მხრიდან შეუთო შეშას ცეცხლი, ზედ აძვრა და ხელახლა დატენა თოფი.

ალის წვერები ასცილდა ფიჩხს და ამოძვრა დიდრონ მორებს შუა.

— ურიგო როდი იქნებოდა, ხელისუფლებას ესწავლებინა ჩახმახის ფეხის თითით გამოკვრა, — თქვა მთვარისაკენ პირმიქცეულმა საკატ სინგჰმა.

ეს იყო სიპაი საკატ სინგჰის უკანასკნელი სიტყვა.

დილაადრიან მადუ მიადგა სამარხ კოცონს. დაზაფრულმა შეიცხადა და გავარდა პოლიციელის დასაძახებლად, რომელიც ოლქის შემოვლას აწარმოებდა.

— ამ უკეთურმა ნიავექარს გაატანა ოთხი რუპიას ღირებულების სანახშირე შეშა — ქლოშინობდა მადუ, — თან ცოლიც მომიკლა, ფიჭვის ტოტზე კი წერილი დაკიდა, რომლის წაკითხვაც არ შემძლია.

პოლკის სკოლაში ნაწურთნ საკატ სინგჰს გულმოდგინედ გამოეყვანა ბექდური ასოები: „თუ ჩვენი ნეშტიდან რამ გადარჩა, კვლავ ერთად დაწვით, რადგან ადათი ავასრულეთ და ვილოცეთ. გარდა ამისა, შევაჩვენეთ მადუ და ათჰირას ძმა — ორი გულბოროტი ადამიანი. უმორჩილესი სალამი გადაეცით პოლკოვნიკ საჰიბ-ბაჰადურს“.

პოლიციელი დიდხანს გაოცებით დასჩერებოდა ნაღვერ-დალნარევი ნაცრის საქორწინო სარეცელს, რომელზეც

ეგლო მეტყევის მუქშავად მბზინავი თოფის ლულა. მერმე ანგარიშმიუცემლად ქუსლი გაპკრა ნახევრად დანახშირებულ მორს, მუგუზალს ნაპერწკლები გასცვივდა.

— საკვირველი ხალხია, — თქვა პოლიციელმა.

იუ... იუ... იუ, — სისინებდნენ აღის ენები.

პოლიციელმა თავის პატაკში მარტოდენ მშრალი ფაქტები აღნუსხა, რადგან პანჯაბის ხელისუფლება არა სწყალობს რომანტიკას.

— ვინღა გადამიხდის ჩემ ოთხ რუპიას, — ჩიოდა მადუ.

პატარა ტობრა

ტუსალი ძლივსღა სწვდებოღა საბრალდებო სკამის თავს, — წერენ ხოლმე ინგლისური გაზეთები. თუმცაღა, ამ ჴემთხვევის გამო პრესაში სიტყვაც არ დაძრულა. აბა ვის რაში ენაღვლებოღა პატარა ტობრას ბედ-იღბალი? გაგანიღა სიცხეში შუადღემღდე ვერ გამოაღწიეს ნაფიცმა მსაჯულებმა სასამართლოს აგურისფერი შენობიღდან. ამ საქმეს არჩევდნენ. ბიჭი, როცა კი რასმე შეეკითხებოღდნენ, წელში ოთხად იკაკვებოღდა ღა კუთავღდა. უსაფუძვლოღდა სცნეს ბრალდებღა ნაფიცმა მსაჯულებმა ღა მოსამართლეც დაჰყვა მათ ნებღს. პატარა ტობრას დის სხეული მართლაცღდა ჴის ფსკერზე აღმოაჩინეს, იქიღდან ნახევარი მიღლის მანძიღლზე. თავად ტობრას გარღდა კაციღშვიღლის ჴაჴანებღა არღ ჩანღდა. აგრე იყო ესღ. მაგრამ ხომ შეიძღლებოღდა, გოგონღა შემთხვევით ჩავარდნღლიყო შიღ. ამიტომ გაათავისუფღლეს პატარა ტობრღ, ოთხიღ მხრით გღა დაუღლოცეს.

კაცმა რომ თქვას, დიდი ვერათერი წყაღლობღა უყვეს. პატარა ტობრას ხომ არც საქმელი ჴქონღდა, არც სასმელი, სამოსიც არ გააჩნღდა ღა არც მისასვღლელი ეგუღლებოღდა საღმე. გამობადუნღდა სასამართლოს ეზოში, ჴის გვიმზე ჩამოჯღდა. ერთი მარჯვე ნახტომი სამუღდამოდ გაამგზავრებღდა მოუღსავღლეთში. ამ ფიქრით იყო.

მეჭინიბეს აგურით მოკირწყღულ ჴუჩაზე ცხენის ტობრაკი დარჩენოღდა ღა მომშეული პატარა ტობრღ შეუღდგღა შიღ ჩარჩენიღლი ხორბღლის გამღლხვღლი მარცვღლების ამოკრეფღს.

— უყურე ამ ბაცაცას, ეს წუთია შეიწყალეს და მაინც თავისას არ იშლის, წამომყე ახლავე, — მეჭინბემ ყურში სტაცა ხელი ბიჭს და ერთ ჩაკურატებულ, ზორბა ინგლისელს მიპვეარა.

— ოჰო! — ბარე სამგზის შეიძახა ინგლისელმა. მაგრად შეიკურთხა თანაც. — გალიაში შეაგდეთ და ჩემსას წაიყვანეთ, — გასცა განკარგულება.

პატარა ტობრა, რომელსაც ეგონა, ახლა კი გოჭივით გამომლადრავენ ყელსო, შეამწყვდიეს გადახურულ ფურგუნში და ინგლისელის სახლისაკენ გააქანეს.

— ოჰო! — კვლავინდებურად გაიკვირვა ინგლისელმა. — გამლღვალი ხორბალი? გაგონილა, ღმერთო ჩემო! ეი, ვინა ხართ მანდა, აქამეთ რამე ბედშავს და თავლაში იმსახურეთ. ეს რა მესმის? გამლღვალი ხორბალიო, ღმერთო ძლიერო!

— აბა, გვითხარი შენი სადაურობა, — მიმართა უფროსმა მეჭინბემ ბიჭს, როცა მსახურები ჭამას მორჩნენ და ყველა მილაგდა უკანა კართან.

— შენ მეჭინბის მოდგმისა არა ვცხია რა, კუქის წრიალმა თუ მოგიყვანა ჩვენთან. როგორ მოხედი სასამართლოში, გვიპასუხე, ეშმაკის კერძო.

— ლუკმაპური სანატრელი მქონდა, — დინჯად თქვა პატარა ტობრამ. — აქ კარგი ალაგია.

— ნუ მიედ-მოედები, მიპასუხე კითხვაზე, თორემ აგერა, იმ ქურანა აჯილდას თავლას გაწმენდინებ, აქლემივით რომ იკბინება.

— ტელი ვარ მენა, — თქვა პატარა ტობრამ და თითი მტვერში ჩარგო, — მთელი ოჯახი კარაქს ვდღევებდით. მამაჩემი, დედაჩემი, ოთხი წლით უხნესი ძმა და ჩემი დაი.

— ჰის ფსკერზე რომ მკვდარი იპოვნეს, ისა?

— ჰოოდე! — დინჯად დასტურპყო პატარა ტობრამ. — ის, ვინც ჰის ფსკერზე იპოვნეს მკვდარი. — ერთხანობას სენი მოედო სოფელს — პირველად ჩემს დას შეეყარა და დააბრამავა კიდევ. ეს სენი მატა იყო — ყვავილბატონები.

მერე დედ-მამა დამიხოცა. დამრჩა თორმეტი წლის ძმა და თვალდავსებული დაი. თავად რვა წლის ვიყავი მაშინ. ერთი

ეგ იყო, ხარი შეგვრჩა და კარაქის სადღვებელი. ნაჩვევ საქმეს მივყავით ხელი, მაგრამ ხორბლეულით მოვაჭრე სარჯან დასი თვალსა და ხელს შუა გვატყუებდა. ღმერთების გულის მოსაგებად ნარგიზების ყვავილწულთ მოვრთეთ ხარი და დედაბოძიც შევამკეთ ნარგიზის ყვავილებით. სულ ტყუილად. სარჯან დასმა ნირი არ იცვალა.

— ბაპრი — ბაპ, — ქოთქოთებდნენ მეჩინებეთა დიაცები. — გაგონილა ბალღის მოტყუება. მაგრამ ვინ არ იცის, რა ხვითოცაა ეს ბანიას მოდგმა.

— სადღვებელი ძველი იყო. არც მე და ჩემ ძმას გვერჩოდა ღონე და ბუდეში ვეღარ ჩავამაგრეთ დედაბოძი.

— რა გასაკვირია, — მოსაუბრეთა წრეს უფროსი მეჩინების მორთულ-მოკაზმული ცოლი შემოუერთდა. — ეს წინიანი ვაჟკაცის საქმეა. აი, ჩემს ქალიშვილობაში...

— ენა ჩაიგდე, დედაკაცო, — გააწყვეტინა უფროსმა მეჩინებემ. — განაგრძე, ბიჭო.

— არა უჭირს რა, — თქვა პატარა ტობრამ და განაგრძო, — ერთხელაც, არ კი მახსოვს როდის, დედაბოძი დაყანთრდა, თან ჰქერი ჩამოანგრია და სახლის მთელი უკანა კედელიც. ხარი მოიყოლა ქვეშ და ხერხემალი გადაუმსხვროა. ასე დავრჩით ცარიელ-ტარიელნი, მე, ჩემი ძმა და თვალდავსებული დაი. აღარც ხარი გვევანდა, არც სადღვებელი გვექონდა და არც სახლ-კარი გაგვაჩნდა. შვიდი ანა და ექსი პაისა — აი, მთელი ჩვენი ავლა-დიდება. ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს და ტირილ-ტირილით გავეშორდით იქაურობას. ღობე-ყორედ ავხეტიალდით. სახელს ვერ გეტყვით იმ მხარისა, სადაც ვიარებოდით, ის კი კარგად მახსოვს, დიდი შიმშილობა იყო იქა. ერთხელ ღამით, როცა გვეძინა, ჩემმა ძმამ ჩაიჯიბა ხუთი ანა, ჯერ კიდევ რომ დაგვრჩენოდა, და გაიპარა. დღესაც არ ვიცი, სად არის. მიეწიოს ჩვენი ცოდვა. მე და ჩემი დაი ვწოწილობდით ხელგაწვდილები. მაგრამ ყველა ზურგს გვაქცევდა — წადით, ინგლისელებს მოსთხოვეთო. მე არ ვიცოდით, ვინ იყვნენ ინგლისელები. ასე ამბობდნენ, თეთრკანიანები არიან და კარვებში ცხოვრობენო. მშვიდობს სულ აგვებნა გზა-კვალი. ერთხელ, ღამით ატირდა ჩემი და,

ბური მომთხოვა. ამასობაში ჰას მივადექით. კიდევ ჩამოვსვი და ხელი ვკარი. ის ხომ ბრმა იყო. თანაც შიმშილს სიკვდილი არ ერჩინა, განა?!

— აი, აპაი — ერთხმად შეიცხადეს მეჭინბეთა ცოლებმა; — უყურე ერთი, შიგ ჩააგდო. შიმშილს სიკვდილი სჯობიაო...

— მეც ვაპირებდი გადახტომას, მაგრამ ჩემი და ჟცბად არ მომკვდარა. საშველად მიხმობდა ჰის ფსკერიდან. შემეშინდა და გავიქეცი. სიმინდის ყანიდან ვილაც კაცი გამოვიდა. ასე თქვა, ამან თავისი და მოკლა და ჰა წაბილწაო. დამიჭირეს და ერთ თეთრ, საფრთხობელასავით ინგლისელს მიმგვარეს, რომელიც კარავში ცხოვრობდა. მოწმე არავინ დამსწრებია, ჩემი და ბრმა იყო და თან ბავშვი უმწეო.

— უმწეო ბავშვიო! — ექოსავით დაიბუბუნა უფროსი მეჭინბის ცოლმა. — შენ ვილა ხარ, ჩიტივით უღონიო, ახალნაშობი კვიცივით გამწლეულო, შენა?

— მე ვარ ის, ვინც ადრე დაფშუტული იყო, ახლა კი გაიტყნა. — თქვა პატარა ტობრამ და მტვერში გაწვა. — ერთი სული მაქვს, დავიძინო.

მეჭინბის ცოლმა საბანი გადაათარა და პატარა ტობრამაც მყის მართალი კაცივით ღრმა ძილს მისცა თავი.

ის იყო ჰიმალაის მკვიდრის სონუუსა და ჯადეს ქალიშვილი. ერთ წელიწადს ცოლ-ქმარს სიმიინდი არ მოუვიდა და კოტგარჰის ველზე გაშლილ ყაყაჩოს ყანაშიც ღამით ორმა დათვმა ითარეშა. ამიტომ მომდევნო წელს ქრისტიანობა მიიღეს და ბავშვიც მონათლეს. კოტგარჰის მღვდელმა გოგონას ელისაბედი დაარქვა, ხოლო მთის, ანუ ფაარის მკვიდრნი კი ელისაბედის ნაცვლად ლისპეტს ეძახდნენ.

მერმე კოტგარჰში ქოლერა გაჩნდა და თან გაიყოლია სონუუ და ჯადე, ხოლო ლისპეტი კოტგარჰის მღვდლის მსახური და მხლებელი შეიქმნა.

ქრისტიანებისა თუ მისი ტომის ღმერთების წყალობით, ლისპეტი მეტად ლამაზი ქალიშვილი დადგა. როცა მთიელი ქალიშვილი ტანს იყრის და ეშხით ირთვება, მის სანახავად მართლაც ღირს ორმოცდაათი მილი თუნდაც პარტახი გზის გავლა.

ლისპეტს ბერძნულ ქანდაკებას მიუგავდა სახე. ასეთ სახეს ხშირად ხატავენ ხოლმე, ცხოვრებაში კი იშვიათად გვხვდება. ფერმკრთალი გახლდათ, ზღაპრული თვალები ჰქონდა, სპილოსძვლისფერი კანი და თავისი რასის პირობაზე საკმაოდ მაღალი იყო.

ლისპეტი შეეთვისა ქრისტიანობას და როცა დაქალდა, მრავალ სხვა მთიელებისაგან განსხვავებით არც მაშინ განდგომია ამ რელიგიას, თვისტომთ ამიტომაც სძულდათ იგი. ასე ამბობდნენ — თეთრ ქალბატონად იქცა, ყოველდღე ბანაობსო.

მღვდლის ცოლი საგონებელში ჩავარდა. არ იცოდა რითი დაესაქმა იგი. განა შესაძლოა, ხუთი ფუტი და ათი დიუმის

სიმალის ქალღმერთს შეჰკადრო იატაკი მოხეხოს, ან ჰურ-
ჰელი გარეცხოს?!

ლისპეტი თამაშობდა მღვდლის შვილებთან ერთად, კითხუ-
ლობდა ყველა წიგნს, რაც ხელში მოსვდებოდა და დღითი-
დღე მშვენივრდებოდა.

მღვდლის ცოლმა დაიყინა, ლისპეტი ძიძად უნდა გაეამ-
წესოთ სიმლაში, ანდა სხვა რამ შესაფერი სამუშაო ვუშოვო-
თო, მაგრამ ლისპეტს ამის გაგონებაც არ სურდა. იგი მღვდლის
სახლშიც მშვენივრად გრძნობდა თავს.

მოგზაურები კოტგარჰში რომ შემოივლიდნენ, რაც იმ
წლებში იშვიათად ხდებოდა, ლისპეტი თავის ოთახში ჩაიკე-
ტებოდა, შიშობდა, სადმე უცხო ქვეყანაში არ წაეყ-
ვანათ.

ერთხელ, როცა უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო, ლისპეტი სა-
სეირნოდ გავიდა. ინგლისელი მანდილოსნებისაგან განსხვავე-
ბით, რომლებიც სულ რაღაც მიღნახევარს თუ გაივლიან ფე-
ხით და მერე ცხენით ბრუნდებიან უკან, ლისპეტი ოც-ოც-
დაათ მილზე ნაკლებს არ ჯერდებოდა.

ამჯერად იგი შებინდებისას მობრუნდა, ციცაბო დაღმარ-
თი ჩამოიარა და კოტგარჰში შემოაბიჯა, რაღაც მძიმე ტვირ-
თით ხელში. მღვდლის ცოლი თვლემდა, როცა აქოშინებული
და ჭანცგაცლილი ლისპეტი სასტუმრო ოთახში შემოვიდა,
ტვირთი ტახტზე დადო და უბრალოდ თქვა: ეს ჩემი ქმარია.
გზაზე ვიპოვე. დაშავებულია. ჩვენ მოვეუვლით მას და რომ
მომჯობინდება, თქვენი მეუღლე ჯვარს დაგვწერს.

მღვდლის ცოლმა შეიცხადა. ლისპეტმა ხომ პირველად
ახსენა ცოლქმრობა.

დივანზე მწოლარე მამაკაცი დახმარებას საჭიროებდა. ეს
გახლდათ ახალგაზრდა ინგლისელი, რომლის თავი რაღაც
წვეტიანსა და ბასრ საგანს გაეჩეხა.

ლისპეტმა თქვა, ფერდობთან ვიპოვე და აქ მოვიყვანეო.
ინგლისელი ძლივს სუნთქავდა და ცნობა ჰქონდა წართმე-
ული.

დაშავებული ლოგინში ჩააწვინეს. თავზე მღვდელი და-

ადგა, რომელსაც ცოტა რამ გაეგებოდა აქიმობისა. ლისპეტი კი კარს უკან იღგა, რათა საჭიროების შემთხვევაში იქვე ყოფილიყო. ლისპეტი გაენდო მღვდლის ცოლს, ამ კაცზე ვაპირებ გათხოვებასო. მღვდელმა და მისმა ცოლმა იგი დატუქსეს ასეთი შეუფერებელი ზრახვებისათვის. ლისპეტმა მშვიდად მოუსმინა მათ და შემდეგ კვლავ გაიმეორა იგივე. ქრისტიანობას ძალზე დიდი დრო სჭირდება, რათა ამოძირკვოს ცივილიზაციას უზიარები ისეთი გრძნობანი, როგორცაა, ვთქვათ, შეყვარება ერთის დანახვით.

ლისპეტს არ ესმოდა, რად არ უნდა გაემხილა გულისნადები. მან ხომ იპოვა თავისი სათაყვანო არსება. არც ის უნდოდა, სახლიდან დაეთხოვათ. აპირებდა მოეელო ინგლისელისათვის, ვიდრე იგი მოიხედავდა და შესძლებდა ჭვარის დაწერას.

ინგლისელს ორ კვირას გაჰყვა მსუბმუჭი ციება, შემდეგ ჭრილობა შეუხორცდა და ლაპარაკიც შესძლო. სიკეთისათვის მადლობა გადაუხადა მღვდელს, მის ცოლს და განსაკუთრებულ ლისპეტს. ასე თქვა, აღმოსავლეთში ვმოგზაურობდი და დეპრადანდანიდან აქ იმისთვის ამოვედი, რათა სიმლას მთებში მცენარეები და პეპლები მეგროვებინაო. აქ არავის იცნობდა. ახსოვდა მხოლოდ, რომ კლდეზე მაშინ გადაჩეხილიყო, როცა დამპალ ხეზე ამოსულ გვიმრას სწყევტდა. მზიდავებმა კი, როგორც ჩანდა, ბარგი მოიპარეს და მიიმაღლნენ. ინგლისელი მომჭობინების შემდეგ სიმლაში აპირებდა წასვლას. მას უკვე აღარ სურდა მთებში ხეტიალი, მაგრამ არ ჩქარობდა და ნელ-ნელა იკრეფდა ძალას. ლისპეტი არც მღვდლისა და არც მისი ცოლის რჩევას ყურად არ იღებდა. ამიტომაც მღვდლის ცოლმა ინგლისელს გაუმხილა ლისპეტის გულისნადები. ინგლისელმა ბევრი იცინა და ეს ამბავი ლამაზ, რომანტიულ, ნამდვილ ჰიმალაურ იდილიად მონათლა. მას ხომ დანიშნული ეგულებოდა თავის სამშობლოში, და პირობის დარღვევა შეუძლებლად მიაჩნდა. მღვდლის ცოლს აღუთქვა, წინდახედულად მოვიქცევიო და მართლაც შეასრულა სიტყვა. ინგლისელი მაინც უარს არ ამბობდა ლისპეტთან საუბარზე, სეირნობდა მასთან, ქათინაურებს უკმევდა და სა-

აღერსო სახელებს ეძახდა. მას ეს არაფერად უღირდა, ლისპეტისათვის კი უდიდესი ბედნიერების წყარო იყო. მთელი ორი კვირის განმავლობაში მეშვიდე ცაზე გრძობდა თავს: მან ხომ იპოვა სასურველი მამაკაცი.

ველურის სისხლი ედგა, ამიტომაც სულ არ ცდილობდა გრძობების დამალვას და ინგლისელიც ერთობოდა ამით. როცა იგი გზას გაუდგა, მეტად დამწუხრებულმა და უბედურმა ლისპეტმა ნარკუნდამდე გააცილა. მღვდლის ცოლი ქეშმარიტი ქრისტიანი იყო, შფოთი და აურზაური ეჭავრებოდა, ლისპეტი კი სულ არ ეპუებოდა მას. მღვდლის ცოლმა სთხოვა ინგლისელს, დაჰპირდი რომ დაბრუნდები და შეერთავ, ამით მაინც ეცი ნუგეშიო. „ხომ იცი, ის მთლად ბავშვია და გულის სიღრმეში, ვგონებ, წარმართიც“...

ლისპეტი ნარკუნდას თხემზე იდგა და ტიროდა, ვიღრე მუტიანის ბილიკით მიმავალი ინგლისელი თვალს არ მიეფერა.

მერე ცრემლები შეიშრო, უკან დაბრუნდა და მღვდლის ცოლს უთხრა: „ის დაბრუნდება და შემირთავს. წავიდა, რომ თავისიანებს შეატყობინოს ეს ამბავი“. მღვდლის ცოლი მოეფერა და დაუდასტურა, უეჭველად დაბრუნდებაო...

გავიდა ორი თვე. ლისპეტი მოუთმენლობამ შეიპყრო. მას უთხრეს, რომ ინგლისელი გაემგზავრა ზღვას იქით, ინგლისში. ლისპეტმა იცოდა, სად იმყოფებოდა ეს ქვეყანა, რადგან გეოგრაფიის პატარა სახელმძღვანელო ჰქონდა წაკითხული. მაგრამ ის მთიელი ქალიშვილი იყო და წარმოდგენაც არ ჰქონდა ზღვაზე. სახლში ერთი ძველი, მისთვის გაუგებარი რუკა ეკიდა. ლისპეტი ამით ერთობოდა ხოლმე, როცა პატარა იყო. ახლა მან კვლავ გამოათრია რუკა, სადამოძიებით თან დაჰქონდა, მოთქვამდა, ზედ ეძებდა, ვერასგზით მიმხვდარიყო სად უნდა ყოფილიყო ინგლისელი. მას არც გემი ენახა, არც მანძილისა გაეგებოდა რამე — ველურის გონება ვერ წვდებოდა ამას. ან კი რა აზრი ჰქონდა ამების ცოდნა-არცოდნას?! ინგლისელი ხომ მაინც არ აპირებდა დაბრუნებას და მთიელი ქალიშვილის შერთვას. როცა ასამში პეპლების ჭერას შეუდგა, გადაივიწყა კიდეც ყველაფერი.

შემდგომ ინგლისელმა დაწერა წიგნი აღმოსავლეთზე, სადაც ლისპეტის სახელიც არ იყო ნახსენები.

სამი თვის შემდეგ ქალიშვილმა ყოველდღე იწყო ნარკუნდაში სიარული, ინგლისელს ელოდა. მღვდლის ცოლი ამჩნევდა, რომ ლისპეტი ამჯერად უფრო ბედნიერი იყო და ფიქრობდა, ღვთის წყალობით, მგონი ეშველაო...

ლისპეტმა მალე გული აიყარა ნარკუნდაში სიარულზე და მთლად წაუხდა ხასიათი. მღვდლის ცოლმა გადაწყვიტა, რომ დადგა დრო ქალიშვილისთვის სიმართლე ეთქვა. ეთქვა, აუ რამდენად უაზრო იყო მისი იმედი; რომ ინგლისელმა მხოლოდ ყასიდად, დასამშვიდებლად აღუთქვა დაბრუნება და რომ მას მაღალი რასის ქალიშვილი ჰყავდა დანიშნული. ლისპეტს ამის გაგონებაც არ სურდა. ინგლისელმა ხომ უთხრა, მიყვარხარო და განა მღვდლის ცოლმაც არ დააიმედა, ინგლისელი აუცილებლად დაბრუნდებაო?

— განა შესაძლოა, რომ ის, რაც მან და თქვენ მითხარით, სიცრუე იყოს? — შეეკითხა ლისპეტი.

— ეს შენს დასაშოშმინებლად მოვიმოქმედეთ, შვილო. — მიუგო მღვდლის ცოლმა.

— მაშ მომატყუეთ? — იკითხა ლისპეტმა. — თქვენც და იმანაც?

ქალმა თავი ჩაქინდრა და არაფერი უპასუხა. ლისპეტი ერთ ხანს დუმდა. მერე ველისაკენ გაემართა და მობრუნდა მთიელი ქალიშვილის წვირიანი კაბით, ცხვირში გასაყრელი რგოლები და საყურეებილა აკლდა. თმა სქელ ნაწნავად დაეგრიხა, მთიელ დიაცთა ადათისამებრ შავი ძაფი ჩაეწნა შიგ.

— ვუბრუნდები ჩემი ტომის ხალხს, — თქვა მან. — თქვენ მოჰკალით ლისპეტი. დარჩა მხოლოდ მოხუცი ჯადის ქალიშვილი. თქვენ ყველანი მატყუარები ხართ. თქვენ და ინგლისელები.

სანამ მღვდლის ცოლი გონს მოვიდოდა, ქალიშვილი თვალს მიეფარა. ის უკან აღარც მობრუნებულა არასოდეს.

იგი შეერთო თავის ხალხს, თითქოსდა ძველ ცხოვრებას დანატრებული. მერე გათხოვდა ტყის მცველზე, რომელიც

ფარიელთა წესისამებრ მუშტებით უზელდა გვერდებს და მისი სილამაზეც მალე განქარდა.

— რას გაუგებ წარმართის ახირებას, — თქვა მღვდლის ცოლმა. — ველური იყო და ველურად დარჩა...

მღვდლის ცოლს არ შეჰფეროდა ამის თქმა, ხუთი წლის ლისპეტი ხომ მისმა ქმარმა მონათლა ანგლიკანურ ეკლესიაში.

ლისპეტი ღრმად მოხუცებული მიიცვალა. ინგლისელი სიცოცხლის ბოლომდე არ დავიწყნი: და როცა დათვრებოდა, ჰყვებოდა ხოლმე თავისი პირველი სიყვარულის ამბავს.

ძნელად წარმოიდგენდით, რომ ეს თვალამღვრეული, დანაოჭებული, ჩამომხმარი, მოჩვარული არსება ოდესმე შეიძლებოდა ყოფილიყო „ლისპეტი კოტგარჰის მისიიდან“.

ღმერთების ხაზინა

დჰანი ჩუბარაში საღამოთი, ვახშამს რომ მორჩნენ, მოხუცმა ბერებმა ყალიონი გააბოლეს და ხელი მიჰყვეს კრიალოსნის მარცვლას.

შემობაკუნდა ერთი ციციქნა, ტიტლიკანა ბავშვი, ცალ ხელში ნარგიზის ყვავილების კონა ეჭირა, მეორეში კი თამბაქოს ხმელი ფურცლების კეცა.

მან დააპირა დაეჩოქა და თაყვანი ეცა გობინდისათვის, მაგრამ მსუქანი იყო, გადასძლია გადახოტრილმა თავმა. ჭერწინ გადაკოტრიალდა, მერე კი განზე.

ბავშვს ფეხები მალლა აეშვირა და ქლოშინებდა. ამასობაში თამბაქოს ბლუჯა ერთ მხარეს გაიბნა, ყვავილები კი მეორე მხრით.

გობინდმა გაიცინა, ხელახლა წამოაყუნა ფეხზე, თამბაქო ჩამოართვა და ყვავილები დაულოცა.

— მამამ მოგართვათ, — თქვა ბავშვმა. — ციებამ შეუტია და ვერ მოვა. ილოცებთ მისთვის, მოძღვარო?

— რა თქმა უნდა პატარავ, ოღონდ იცოდე, არ ვარგა შემოდგომით ასე დედიშობილა ტანტალი, მიწახე თრთვილი ჰფენია და ჰაერში ღამეული თოში ტრიალებს.

— ტანსაცმელი არა მაქვს, — თქვა ბავშვმა, — მთელი დღე წივას ვეზიდებოდი ბაზარში, ძლიან ცხელოდა და მავრადაც დავიღალე. — მას ოღნაე გააყრეოლა, რადგან მართლაც ცივი საღამო იდგა.

ბერიკაცმა ხელი გამოიწვავდა ფართო, გრძელი ჭრელი საბნიდან და ბავშვს თავისაკენ მოუხბმო. მანაც არ დააყოვნა, ილღიის ქვეშ შეუქვრა და იქ მოკალათდა.

გობინდმა ხელახლა გააწყო თითბრის ფართო ბუნიკებით მოპირკეთებული ტყავის ნარგილე.

როცა ჩუბარაში მივედი, შევნიშნე საბნიდან გამოჩრილი გადაპარსული თავი, კოსროზე დატოვებული თმით, ელავდა გიშერივით შავი თვალები — გეგონებოდათ ციყვი იყურება თავისი ბუდიდანო. იგი წვერს უჩეჩავდა გობინდს და ბერიც იღიმებოდა.

მინდოდა აღერსიანი სიტყვა მეთქვა, მაგრამ დროულად გამახსენდა, ბავშვი რომ ავად გამხდარიყო — ჩემზე იტყოდნენ, გათვალაო. და მტერს და ავს, რაც მე მელოდა.

— აბა, წყნარად, ცეროდენავ, — ვუთხარი მე, როცა ბავშვმა ადგომა მოინდომა და გაქცევა, — სად არის შენი ასპიდის დაფა? ანდა მასწავლებელმა რად დართო ნება ამ ეშპაქის ფეხს, ქუჩაში გამოსულიყო, იქ ხომ პოლიციის ქაქანებაც არაა, ვინღა დაგვიცავს ჩვენ, უსუსურებს. ახლა გადაჰყვები მაგ ფრანს და სადღაც ეზოში გადაიჩეხები, არა?

— არა, საჰიბ, არა, — თქვა ბავშვმა, გობინდის წვერებში ჩამალა სახე და მოუსვენრად აწრიალდა.

— სკოლაში არდადეგები იყო და ზეიმი მოაწყვეს. ყოველთვის ფრანებს როდი ვუშვებ. მე კერლიკეტსაც ვთამაშობ, ვისზე ნაკლები ვარ?

კრიკეტი ნაციონალური თამაშია. კრიკეტს თამაშობს ყველა, დაწყებული პანჯაბის ტრიალ მინდორზე გამართული სკოლის შიშველ-ტიტველი მოწაფეებიდან, კარად რომ ნავთის ბიდონი უდგიათ, დამთავრებული უნივერსიტეტის ბაკალავრებით, რომელთაც ჩემპიონობის სარტყელისათვის დაუდგამთ თვალი.

— ნუთუ შენ კრიკეტს თამაშობ, თავად ჩოგანის ნახევარიც ვერ იქნები სიმალლით, ჩოგანი კი არა და ღამურას ოდენაც ვერ იქნები.

ბავშვმა დასტურის ნიშნად დააქნია თავი, — დიან ვთამაშობ, მე ვიცი ყველაფერი, და მან დამახინჯებულად წამოსთქვა ის სიტყვები, კრიკეტის თამაშისას რომ გაიძახიან.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ლოცვა არ უნდა დაივიწყო, — თქვა გობინდმა, რომელიც მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემდა კრიკეტსა და დასავლეთიდან შემოსულ სიახლეებს.

— არც მაიწყდება, — წაიდუღუნა ბავშვმა.

— პატივი მიაგე აგრეთვე მასწავლებელს; ღვთის კაცსაც წვერში არ უნდა სწვდე, ონავარო შენა, — მოეფერა გობინდი.

ბავშვმა კვლავ ჩამალა სახე ფართო, გრძელ, თეთრ წვერში, ასკულუნდა, გობინდმა კი დაუყვავა და დაჰპირდა ისეთ სანუკვარს რამეს, რითაც მსოფლიოს ყველა ბავშვს აჩუმებენ — ზღაპრის მოყოლა აღუთქვა. — სულაც არა მსუოს დაჯაშინო, შემხედე აბა თვალებში, რა მეტყობა სიბრაზის? არე, არე, არე! მეც ვიტყრო? მაშინ ჩვენი ცრემლები დიკ ტბას დააყენებს და ორთავე დავიხრჩობით, მერე კი მამაშესს ველარაფერი უშველის, აღარც შენ ეყოლები და ვინდა აუჩიჩავს წვერს. იუუჩე, იუუჩე, მე მოგიყვები ღმერთების ამბავს. ზღაპარი ბევრი იცი?

— ძალიან ბევრი, მამაო!

— აი, ისეთ ამბავს მოგიტხრობ, ჯერ რომ არ გქონდეს გაგონილი. დიდი ხნის წინათ, როცა ადამიანები და ღმერთები ერთად იარებოდნენ, ისევე, როგორც ახლა — ოღონდ ესაა, რწმენა დავკარგეთ და თვალზეც ბინდი დაგვეკრა — ღმერთებს შორის უდიადესი შივა და მისი ცოლი პარბატი ტაძრის ბაღში სეირნობდნენ.

— რომელი ტაძრის? ნანდგაონის უბანში რომ დგას, იქა? — ჩაეძია ბავშვი.

— არა, უფრო შორს, ვგონებ, ტრიმბაკსა ანდა ჰუდრ-კარში, სადაც შენც მოგიწევს მომლოცველად წასვლა, როცა ასაკში შეხვალ. ჰოდა, იმ ბაღში უნაბის ხის ძირას იჯდა მათხოვარი, რომელიც ოთხი ათეული წელი თაყვანს სცემდა შივას. იგი ცხოვრობდა ღვთისნიერ ადამიანთა მოწყალებით და დღითა და ღამით მისცემოდა თავის ფიქრებს.

— ო, მოძღვარო, ის კაცი შენ ხომ არ იყავი? — თქვა ბავშვმა და თვალები გაუფართოვდა.

— არა, მე ვთქვი, რომ ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, თანაც მათხოვარი ცოლიანი იყო.

— იგი შესვეს ცხენზე, თავზე ყვავილების გვირგვინი დაადგეს და უთხრეს. მთელი ღამე თვალი არ მოხუჭოო, არა? მეც ასე მომექცნენ, როცა ცოლი შემრთეს, — თქვა ბიჭმა, რომელიც დააქორწინეს ამ რამდენიმე თვის წინ.

— შენ რას აკეთებდი? — შევეკითხე მე.

— ვტიროდი, სხვები მტუქსავდნენ; მერე ავიღე და სილა გავარტყი გოგონას; მერე ორთავენი ავტირადით.

— მათხოვარი ასე არ გარჯილა, — თქვა ვობინდმა. — ეს ხომ წმინდანი იყო, თანაც უპოვარი. იგი დედიშობილა იქ-და ტაძრის კიბეებზე, სადაც ხალხი ადი-ჩადიოდა. ასეთ ყოფაში იხილა იგი პარბატიმ და შივას შესჩივლა... რას იტყვის ხალხი იმ დმერთებზე, რომლებიც ასე აგდებულად ექცევიან მორწმუნეთ. ეგ გაღმელი კაცი ორმოცი წელი გვცემდა თაყვანს და ახლა მის წინ მხოლოდ რამოდენიმე ხორბლის მარცვალი და გატეხილი კაური ყრია. ეს ხომ ბევრ ადამიანს აუცრუებს გულს. შივამ მიუგო, მე მივხედავო მაგ საქმეს. და მან შეიძახა მისი ძის, სპილოს თავიანი განეშის სამყოფელო ტაძარში — შეილო! ტაძრის ბჭესთან ერთი მათხოვარია არაფრის მქონე. შეგიძლია რითიმე დაეხმარო? ძილისაგან გამოერკვა ბნელში შეყუდრული სპილოსთავიანი განეში. ასე მიუგო: რაკი აგრე გსურს, სამ დღეში იგი გახდება ლაქში რუპიას მფლობელი. მერე კი შივა და პარბატი წარვიდნენ. მაგრამ ნარგიზის ბუჩქებში იმალებოდა ერთი მე-ვანში.

ბავშვმა დახედა ხელში ჩამუჭულ ყვავილებს.

— დიახ, ყვითელ ნარგიზებს შორის და მას ჩაესმა ღმერთის ნაუბარი. ხარბი კაცი, იყო ბოროტი გულისა, და თვითონ უნდოდა ხელში მოეგდო ის ფული. მივიდა მათხოვართან და ჩაეძია: რამდენს გაძლევენ დღეში ღვთისმოსავნი? მათხოვარმა მიუგო: — ვერ გეტყვი, ზოგჯერ მცირეოდენ ბრინჯს, ხან ცოტა ბოსტნეულს, ხან კი რამდენიმე კაურის. ასეც ხდება, მანგოს ხის დამყავებული ნაყოფიც მრგები და ხმელი თევზიც.

— ეგა მეონდეს ახლა, — თქვა ბავშვმა და ტუჩები მოილოკა.

— მაშინ მევახშემ უთხრა: დიდი ხანია გაკვირდები, სანატრელია შენი მოთმენის უნარი. გულით შეგიყვარე. მოდი მე მოგცემ ხუთ რუპიას ყველაფერ იმის საზღაურად, რასაც შენ შემდგომ სამ დღეში შეაგროვებ. ოღონდ ხელი უნდა მოაწერო ერთ პირობაზე. მათხოვარმა იტიქრა: ეგ რა უგუნურობაა. მე ხუთ რუპიას ხომ ორ თვეშიაც კი ვერ შევაგროვებო და საღამოს ყველაფერი უამბო თავის ცოლს. — მევახშისაგან სად გაგონილა ასეთი გარიგება? მგელი ფარაში ყოველთვის მსუქან ცხვარს ირჩევს. ჩვენი ბედი ღმერთების ხელშია. სამი დღითაც კი არაფერს დაჰპირდე, — ჩააგონა ცოლმა. დაბრუნდა მათხოვარი და უარი განუცხადა მევახშეს. ეს ავგული კაცი კი აღარ მოეშვა, სულ უფრო და უფრო მეტ თანხას სთავაზობდა, ჯერ ორმოცდაათ, მერე ას რუპიას — იმ სამი დღის მონაგარის საზღაურად. და რადგან არ უწყოდა თუ როდის გაიღებდნენ ღმერთები წყალობას, ათასობით რუპიაც კი არ დაიშურა. ბოლოს ნახევარ ლაქპის ოდენ რუპიამდე ავად. მაშინ მათხოვარმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ხელი მოაწერა თამასუქს. ფული ვერცხლით გადაუხადეს. დიდმა თეთრმა ხარებმა ურმით მოზიდეს ეს ფული. ოღონდ ეს იყო, ამ ფულის გარდა მათხოვარმა ღმერთებისაგან ვერაფერი მიიღო და მევახშესაც გული გადაელია ლოდინისაგან. ამიტომაც მესამე დღეს, შუადღის ეამს მევახშე შეიპარა ტაძარში, რათა მალეულად ყური დაეგდო ღმერთების თათბირისათვის, შეეტყო, თუ რა გზით უნდა მიეღო მათხოვარს ნობათი. როცა ეს ლოცულობდა, ქვები დაშორიშორდა, გაჩნდა ნაპრალი, მერე პირა შეკრა და მევახშის ქუსლი მოიყოლა შიგ. ამ დროს მოესმა სვეტებზეა მომავალი ღმერთებრს ფეხის ხმა. მოესმა, როგორ მოუხმო შივამ თავის ძეს, განეშ: შვილო, რა იქნა ის ლაქპირუპია, მათხოვარს რომ შეჰპირდი? როგორც ჩანდა, განეშმა გაიღვიძა, რადგან მევახშემ გაიგო მისი ხორთუმის ყრუ შრიალი. — მამავ, ნახევარი იმ ფულისა გადახდილია, მეორე ნახევრის მოვალე კი აქა მყავს ქუსლით დაჭერილი, — ასე მიუცო განეშმა შივას.

ბავშვი სიცილისაგან ჩაბეირდა.

— და მევახშემ გადაუხადა მათხოვარს? — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა, ვინც ღმერთებს ქუსლით ჰყავთ დაქვრილი, მათ ყველაფერი ბოლომდე უნდა ზღან. იმ საღამოსვე მიადგა მათხოვარს ვერცხლით დატვირთული დიდი ურემი. ასე შეასრულა განეშმა თავისი სიტყვა.

— ნატუ, ო, ნატუ!

საღამოს ბინდბუნდში ეზოს ჭიშკართან მომდგარი ქალი ეძახდა ბავშვს.

ბავშვი მოუსვენრად აწრიალდა.

— ეს დედაჩემია, — თქვა მან.

— წადი, პატარავ, — უთხრა გობინდმა. — მოიცა ერთ წამს.

მან ჩამოახია დიდი კალთა თავის დაკემსილ, ტანზე მოსხმულ საბანს, ბავშვს მოახურა და ისიც გარეთ გატანტალდა.

მონათიალე ებრაელი

— თუკი დედამიწას გარშემოუვლით აღმოსავლეთის მიმართულებით, მოიგებთ ერთ დღეს, — უთხრეს ერთხელ ჯონ ჰეის სწავლულებმა.

შემდგომ წლებში ჯონ ჰეიმ მოიარა ქვეყნიერების ოთხივე ფრთე, აგვარებდა საქმეებს, ეტრფოდა ქალებს, შექმნა ოჯახიც სხვა ადამისშვილთა მსგავსად. ის კი, რაც მეცნიერთაგან ჩაეწვეთა, მეხსიერების სიღრმეში ჩარჩა მრავალ ნანახსა და განაგონთან ერთად.

როდესაც ერთი შორეული ნათესავი გარდაეცვალა, ჯონ ჰეის მოულოდნელად მდიდარი მემკვიდრეობა დარჩა. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მემკვიდრეობას მიიღებდა, ჯონ ჰეის ტვინში გაჩნდა პატარა ღრუბელი — გონების მყისიერი დანთქმა — რომელიც წამოუვლიდა და უმალ გაქრებოდა. ასე არიალდებიან ხოლმე ღამურები სახლის ლავგარდანებთან, გვამცნობენ რა ღამის დადგომას. იგი გასდა მფლობელი დიდი ქონებისა: ფულის, მიწის, სახლებს, მაგრამ მის სიხარულს აედევნა აჩრდილი, რომელიც მოსძახოდა, რომ დიდხანს არ ეწერა დამტკბარიყო ყველა ამ სიკეთით. ეს გახლდათ მოლანდება მისი მდიდარი სახლიკაცისა, რომელიც ამქვეყნად იმად მობრუნებულიყო, თავისი ძმიშვილი გაემგზავრებინა საიქიოს. ჯონ ჰეის საქმით დატვირთული გულგრილი ადამიანის იერი ჰქონდა. არ კი ამხელდა სულში აჩენილ აჩრდილს, ფასიანი ქაღალდები, სახლები, მიწები, — ყველაფერი აქცია მრგვალ, წითელ ინგლისურ სოვერენებად, თითოეული ოც შილინგს რომ უტოლდება.

შესაძლოა ისე მოხდეს, დაეცეს მიწის ფასი და სახლებიც

ცისკენ გაფრინდეს ცეცხლის წითელი ფრთებით, მაგრამ ვიდრე არ დამდგარა განკითხვის დღე, სოვერენი მარად დარჩება სოვერენად, ანუ ამქვეყნიურ სიამეთა გამრიგედ.

ამ სოვერენებს ჯონ ჰეი ხალისით მიაფლანგავდა ათასგვარ თავშესაქცევზე. ოლონდ ეს იყო, მიუცილებლად სდევდა სიკვდილის შიში, რადგან სახლისკაცის აჩრდილი ალანდულიყო დერეფანში, ქულების საკიდარს ზემოთ. ჩამოსძახოდა: სიცოცხლე ხანმოკლეა და დღეთა სათვალავიც დარწყულიაო. სიკვდილის შიში ჯონ ჰეის ჭკუაზე შლიდა. ერთხელაც მისი გონების სიღრმიდან, სადაც დახვავებულიყო ათასგვარი უსარგებლო ცნობა, ამოიზიდა ერთი მეცნიერული მოსაზრება აღმოსავლეთით მოგზაურობის სიკეთეზე და როცა ბიძამ კვლავ ჩამოსძახა, მეორე — უფრო გამყინავმა ხმამ იყვირა: ის, ვინც ერთხელ შემოუვლის მსოფლიოს აღმოსავლეთის მიმართულებით, მოიგებს ერთ დღეს.

კარჩაკეტილობა და კაცობრიობისადმი უნდობლობა — აი მიზეზი, რის გამოც ჰეი არ უმხელდა ამ საიდუმლოს ნაცნობ-მეგობრებს. ადვილად შესაძლო იყო, მათ ეს ამბავი მსჯელობის საგნად ექციათ. მართალია, ჯონ ჰეი დარწმუნებული გახლდათ ამ აზრის ჭეშმარიტებაში, მაგრამ ფიქრი, რომ იდეას ასე დაჩილავდნენ, მწვავე ტკივილს ჰგვრიდა. მთელი დამაშვრალი კაცობრიობიდან მარტოდენ მას ხვდა წილად პატივი, შეეცნო უკვდავების საიდუმლო. ღვთის წინაშე მკრეხელობა იქნებოდა მთელი კაცობრიობის გარეკვა აღმოსავლეთით. გარდა ამისა, გემები გაიტენებოდა ხალხით და მგზავრობა აუტანელი გახდებოდა, ჯონ ჰეის მარტობა ყველაფერს ერჩინა. თუკი ორ თვეში გარს შემოუვლიდა დედამიწას (სადღაც ამოეკითხა, ერთ ვინმეს თურმე ოთხმოც დღეში დაეფარა ეს მანძილი), მთელ დღელამეს მოიგებდა. ხოლო ოცდაათი წლის განმავლობაში კი დაინარჩუნებდა ასოთხმოც დღეს — ლამის ნახევარ წელიწადს. ეს ბევრი როლია, მაგრამ დროთა განმავლობაში, ცივილიზაცია რომ წინ წავა და ეფფრატის ველზე რკინიგზას გაიყვანენ, ჯონ ჰეი უფრო სწრაფად იმგზავრებს.

სოვერენებით აღჭურვილი, ოცდათხუთმეტ წელს მღწეული ჯონ ჰეი გაემართა სამოგზაუროდ, ორივე ხმა თან სდევდა მას, როცა დუფრიდან კალეში მიცურავდა. ბედი სწყალობდა. ევფრატის ველის რკინიგზა სწორედ იმ ხანებში ამუშავდა და ჯონ ჰეი პირველი იყო, ვინც აიღო ბილეთი კალედან კალკატამდე — მატარებელში უნდა დაეყო ცამეტი დღე. ამდენი ხანი მგზავრობა გუნებას ახდენს მართალია, მაგრამ მსოფლიო კი მოიარა, ამერიკიდან კალეში ორ თვესა და თორმეტ დღეში დაბრუნდა და უძვირფასესი ოცდაოთხი საათი დაინარჩუნა.

იგი მოწამეობრივად უვლიდა გარს დედამიწას დროის მოსაგებად, რათა შემდგომ დამტკბარიყო მონარჩენი სოვერენებით. ასეთ ყოფაში გავიდა სამი წელი.

ჯონ ჰეის რკინიგზის ხაზებზე ისეთ კაცად იცნობდნენ, მუდამ მოგზაურობას რომ ესწრაფვის. როცა ხალხი ეკრთებოდა, ვინ იყო იგი და რას საქმიანობდა, ჯონ ჰეი პასუხობდა:

— მე ვარ კაცი, მარადიულ ცხოვრებას რომ მისტანებია და იცოდეთ, ჩემსას ვიქმ კიდევ.

მთელი დღეები ან გემის კიჩოს თეთრ ხვეულ კვალს აკვირდებოდა, ანდა უსწრაფესი მატარებლების ფანჯრებს მიღმა მიმქროლავ ყაფისფერ მიწას. უბის წიგნაკში ინიშნავდა ყოველ განვლილ წუთს, ანდა წამს, უღმობელ მარადისობას რომ გამოსტაცა.

აბა ლოცვა ხომ ვერ უშველის საქმეს, — წარმოსთქვა მან, და რიგით მეოცე მოგზაურობისათვის შეემზადა. ჯონ ჰეის ბედი სწყალობდა. ბრაჰმაპუტრას ველზე რკინიგზის ლიანდაგის გაყვანას, რომელიც შიდა ჩინეთს უერთდებოდა, ის სიკეთე მოჰყვა, რომ კალეში აღებული ბილეთით კარაჩისა და კალკუტას გავლით ჰონკონგამდე მივიდოდა კაცი. მოგზაური მსოფლიოს ახლა ორმოცდაშვიდ დღეში შემოუვლიდა გარემო.

წერას ატანილმა ჯონ ჰეიმ თავისი საიდუმლო გაანდო ერთადერთ მეგობარს — მისი სახლის მეთვალყურეს ლონდონში. მერე აღარ დაახანა და უმალ გაემგზავრა კიდევ. ეს ქალი გამჭრიახი აღმოჩნდა და მყის თათბირი ჰყო იმ ვეჭილებთან,

რომელთაც პირველად ამცნეს ჯონ ჰეის მდიდარი მემკვიდრეობის ამბავი. ამ ქონებიდან ჯერ კიდევ ბევრი სოვერენი იყო დარჩენილი და ახლა ჰეის გვარეულობის სხვა ჩამომავალს სწადდა ისინი დაეხარჯა უმეტეს საზრიან რაიმეზე, ვიდრე რკინიგზის ბილეთები და გემის კაიუტები გახლდათ. სრბოლამ გასტანა ძალზე დიდხანს, რადგან მარადიულ ცხოვრებას მიღევნებული მოგზაური გზად როდი ყოვნდება. ჰეიმ კვლავ შესმოუარა მსოფლიოს და მადრასში დაეწია დაღვენებულ, ქაწცვაცლილ ექიმს.

აქ მას ებოძა თავისი შრომის ჯილდო, ჯონ ჰეი კი კურთხეული უკვდავების რწმენით აღივსო. ექიმი კარგა ხანს აკვირდებოდა მის შემხმარ ტუჩებს, აკანკალებულ ხელებს და თვალებს, რომლებიც წამდაუწუმ აღმოსავლეთს გახედავდნენ ხოლმე და ჩააგონებდა ბინა დაედო მადრასში, სანაპიროზე გადმომდგარ ერთ პატარა სახლში, რომლის შორიახლო ზღვა მოქცევისას აზავთებს ტალღებს.

ჰეი ახლა ზის ოთახში ჰერზე თოკებით ჩამოკიდულ სავარძელში და მის ქვეშ თავისუფლად ბრუნავს დედამიწა. ახდა მისი ნანატრი.

ეს არა სჯობს გემით ან მატარებლით მგზავრობას, ამგვარად ზომ წამსაც არ დაკარგავს და უკვდავი მზის ბადალი გახდება.

მერე ჰეიმ პირობა დასდო, მარადიულად ეხადა მისი შესანახი ხარჯები.

ჯერ არ მოჰკრილა კალედან ჰონკონგამდე სამგზავრო ბილეთი; თუმცა თხუთმეტი წლის შემდეგ ვინძლო ესეც ახდეს. ამბობენ კი ვინც ინდოეთის სამხრეთ სანაპიროზე მოხვდება, იქ, თეთრად შეფეთილ პატარა ბუნგალოში შეუძლია მოინახულოს ჰერზე მიმავრებულ თხელ რკინის ფურცელზე (იგი ხომ აბათილებს დედამიწის მიზიდულობას) ჩამოკიდულ სავარძელში მჯდომი უძლური მოხუცი, ხელში წამშზომით თვალმოუშორებლად რომ მისჩერებია მზეს.

იგი ეჭიბრება მარადიულობას, ღვინოს ვერ ეწყობა, თამბაქოს არა სწევს და მისი შესანახი ხარჯები არ აღემატე-

ბა თვეში 25 რუბიას. ეს სულდგმული უკედავი ჯონ ჰეი გახლავთ.

გარედან ესმის, როგორ გრუხუნებს მბრუნავი სამყარო, რომელთანაც, მისივ თქმით, აღარაფერი ესაქმება. ოღონდ თუ ეტყვი, რომ ეს მხოლოდ ზღვის მოქცევის ხმაურია და სხვა არაფერი, მწარედ აქვითინდება.

როცა მისი ტვინი წყვეტს გამალებულ მუშაობას, იგი გონს მოდის, ჩრდილიც გადაქრება ხოლმე და ჟამიჯამ ექვიც შეაქვს ექიმის სიმართლეში.

— რად არა დგას მზე ნიადაგ შუბის ტარზე? — წუსს ჯონ ჰეი.

მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლისა და ინდოეთის იმპერატორის ნდობით აღჭურვილი მოკავშირე, მისი სამეფო უმაღლესობა, ავღანეთის ამირა აბდურ რაჰმანი ის კაცი გახლავთ, ვისი დიდი თავაზი და რიდი მართებს ყოველ ქვეყნის ადამიანს. ამა ქვეყნის ძლიერთა მსგავსად იგი ქვეშევრდომთ თავზე როდი უსვამს ხელს. დედამიწის ზურგზე ხომ იშვიათად მოიძებნება ამათსავით თავნება ხალხი. იქაურებს სხვისი სიცოცხლე, საკუთრება, გინა კანონი და მთელი სამეფო არად უჩანთ. მათთვის არაფერია წმიდათაწმიდა. მკვლევებით, ქურდებით და მრუშებითაა სავსე ეს კუთხე. უზნეობა თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით. ამას ადათ-წესებიც დიდად უწყობს ხელს. და მაინც ეს ხალხი მთლად წყალწაღებული როდია. თავისებური ღირსება მოსავთ და ხამს მათი ხასიათის შესწავლა. ადგილობრივი მკვიდრი ხან სრულიად უმიზეზოდ ატეხავს ჩხუბს და არ დაშოშმინდება ვიდრე არ აკუწავენ, ანდა, თუ ბეზარს არ მოვიდა, არაფრით გამოიღებს ხელს. ასე რომ, ავღანელი ისე ძნელად შესაცნობია, როგორც მისი ღვიძლი ძმა, რუხი მგელი.

სიკვდილის შიში — აი მიზეზი, რის გამოც მორჩილებს ხალხი ამ გამგებელს. ზოგნი ამის გამო ამირას აღმოსავლური სიბრძნის მიმდევრად ნათლავენ. სხვანი იმასაც ამბობენ, ამირას სიტყვა მხოლოდ ტყვიის მისაწვეარზე ჳრისო. ასეა თუ ისე, ხალხს მაინც დიდი რიდი აქვს ამირასი, რადგან არავინ უწყის, როდის დააცხრებათ თავს ქვეყნის სრულუფლებიანი მეუფე.

შიშის ზარი ადგათ გპოლამ ჰიდერის — ავღანეთის ჯარის მთავარსარდლისა, რადგან მას ძალუძს, ვითომდაც არაფერი იყო, ისე გასვას კაცი ძელზე. მთელი ქაბულ-ქალაქი თრთის გუბერნატორის წინაშე, რომლის ხელშიცაა მათი ბედ-იღბალი.

რის გუბერნატორი და რის მთავარსარდალი — ყველაზე დიდი ზაფრა აქვთ ამირასი. თუმცა ქვეყნის განაპირას ბინადარი ზოგ-ზოგი ტომები, როცა მას შორს დაიგულევენ, ცუდბაქიობენ — ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნისო.

ამირას კანონი სისხლისფერია. მისი ერთი დარისებით წყდება ადამისშვილის სიცოცხლის ფოთოლი და მისი წყალობაც კი შემზარავია.

ამირას დევნიდნენ, ვიდრე ტახტზე აღწევდა. ბევრი განსაცდელი ნახა, ათას თოკშია გამოვლილი და, ყველა ჯურის ხალხი ნაცნობია მისთვის.

აღმოსავლური ადათის მიხედვით მავანი მომჩივანი ან შურისმაძიებელი, კაცი თუ ქალი, უფლებამოსილია ეახლოს მეფეს ყოველდღიურ თავყრილობაზე. ეს გახლავთ ერთპიროვნული მთავრობა. ასე იყო კურთხეული ჰარუნ აღრაშიდის დროს, ასეა ახლაც და ასე იქნება მაშინაც, ოდეს ინგლისელები ფეხს ამოიკევეთავენ ამ არემიდაშიდან.

მეფესთან მისული ბეწვის ხიდზე დგამს ფეხს. მბრძანებელი, შესაძლოა, მოიხიბლოს მომჩივნის პირდაპირობით და გულახდილობით, აღაზევოს იგი, ორიოდ წუთის მერე კი უმოწყალოდ გასწიროს ასევე ალაღად მოსიტყვე სხვა ქვეშევრდომი. ხალხს მაინც ძვირად ეთმობოდა თავისი უფლება.

ეს მოხდა ქაბულში, იმ დღეს, როცა ამირამ ირჩია ღია ცისქვეშ, ქალაქგარე ბაღარში განეხილა საქმეები. წინ მსუბუქი მაგიდა ედგა, რომლის ირგვლივ საზოგადოებრივი წოდებების შესაბამისად განლაგებულიყვნენ გენერლები და მესაზინეები.

სამეფო კარის დიდებულთა, ამ უწყალო სისხლისმწოველთა და ფეოდალთა წინამძღოლების გრძელი ამაღა გარს შემორკალოდათ მათ და ქაბულის ხეხილის ბაღებიდან მობერილი გრილი ნიაგი განუგრილებდათ შუბლებს.

ყოველი კუთხიდან წამდაუწუმ მოქანდებოდნენ ხოლმე ოფლში გახვითქული შათირები, უსტარებს მიართმევდნენ, იტყობინებოდნენ ჯანყის, ქიშპობის, შიმშილობის, აუკრეფავი გადასახადების თუ შარაზე ნაპოვნი განძეულის ამბავს.

ამირას მთელი დღე თავი ჰქონდა ჩარგული ამ საბუთებში, თავის სახელზე მოწერილ ბარათებს იტოვებდა, დანარჩენს მოხელეებს გადასცემდა და ჟამი-ჟამ ახსნა-განმარტებისათვის მოუხმობდა ხოლმე იქვე მომლოდინე თანაშემწეს.

ავღანეთის ამირას ნათლად და გარკვევით უნდა მოხსენდეს ყოველივე, შემდგომ ამისა მძიმედ დაიხრება აღმასის ვარსკვლავიანი კრაველის ქუდით დამშვენებული, პირქუშად მომზორალი მეფის თავი და თავის სამწყსოს მიუბრუნდება.

ნაშუადღევს ვიღაც ქალი მოიჭრა ყვირილით: ჩემი ქმარი ქაჩალია და გამყარეთ მასთანო. ამირამ უსმინა ორთავე მომჩივანს და ქალი დამოძღვრა: ქმარს აჭრილი რძე დაასხი მოტვლებილ თავზე, ვინძლო ბალანი ამოუვიდესო. მოსამართლეებმა ხარხარი ატეხეს. ქალი გაბრუნდა. გულში წყევლა-კრულვას უთვლიდა მეფეს.

როცა წყვილიადი ჩამოდგა და სასამართლოს საქმეები შეეცოტავდა, მეფის წინ წარსდგა ერთი ჩასკენილი, მცველებით გარშემორტყმული, ნაბეგვ-ნაცემი კაცი, ვისაც თურმე სამი რუპია მოეპარა.

მისი აღმატებულება არც ასეთ უმნიშვნელო საქმეებს ტოვებდა უყურადღებოდ.

— რად იქურდე? — ჰკითხა მეფემ.

ყველამ იცოდა, ამირასთან ცრუობა დიდი ვერაფერი სახეირო იყო.

— ლარიბ-ლატაკს ვინ რას მომაშავებდა, კუჭი მიხმებოდა.

— რად არ მუშაობდი?

— ვინ გამიკარა ახლოს, ლარიბთა ქომავო, სული კინალამ ამომხდა შიმშილით.

— ცრუობ, გაჭირვებული კი არა, ლოთი ხარ, მრუში და მცონარა. ამიტომაც იპარავდი.

ტუსალმა თვალები დახარა. ჩანდა, ის აღრეც იყო ნასა-

მართლვე და ამირას ხმის კილოში იგრძნო, სიკვდილი ირ ასცდებოდა.

— სამუშაოს ყველა იშოვნის, თუკი მოინდომა. ჩემზე უკეთ ეს ვინ იცის. ბევრჯერ მომნატრებია ლუკმა პური, მაგრამ ისე ვიქცეოდი, როგორც შეჭვეროდა ღმერთისა და კაცის მიერ განწირულ ალალ ადამიანს.

ამირას ლაპარაკის საღერღელი აეშალა. წინ წამოშვერილი ხმლის ტარი იდაყვით გადასწია და დიდებულებს მიუბრუნდა:

— ამ ტყუილების გუდას დამიხედეთ! ვინ ლაპარაკობს გაჭირვებაზე! ერთხელ შიმშილი მეც მომადგა კარს. რაც შემეძლო, მაგრად შემოვიჭირე ქამარი მუცელზე. ვიდრე ტახტზე ავიდოდი, მღევნიდნენ. უპატრონო ძაღლივით ვეხეტებოდი ქანდაპარში. თუმცა ერთი ადამიანი მაინც მედგა გვერდით. ჩემს გროშებს წირვა გამოუვიდა. დავრჩი ცარიელზე — აი, ასე. — მან ხელისგული უჩვენა დამსწრეთ — დღითიღღე მეცლებოდა ძალა, ძლივსლა მივალწევდი ხოლმე ჩემს თავშესაფარამდე. ღმერთმა იცის, რით გამქონდა თავი. ერთ მშვენიერ დღეს ხელი დავავლე ჩემს საუცხოო აბრეშუმის ლიპაფს — შესანიშნავი ირანული ნახელავი გახლდათ, ასეთს ახლა ვეღარსად შეხვდებით. ორ კაცს სწვდებოდა ეს ღუნღულა მოსასხამი. ამის გარდა რიგიანი არაფერი გვებოდა. ჰოდა, ეს ლიპაფი მევახშეს წავუღე, რომელიც ვიწრო ქუჩაბანდში სახლობდა. მიუუტანე და სამი რუპია მოვთხოვე. ქურდი ხარო, მაკადრა მევახშემ მე, ამქამინდელ მეფეს, — ეს ლიპაფი სულ ცოტა სამასი რუპია მაინც ღირსო. არა ვარ-მეთქი ქურდი, ვიტყვიცე. ქურდი კი არა, კეთილშობილი თავადი ვარ-მეთქი, ოღონდ სახსარდაკარგული. მოხეტიალე მათხოვრების თავადი მიწოდა მევახშემ და ასე მითხრა: ფული თან არა მაქვს, აგერ ეს მოხელე წაგყვება ჩემს სახლში და ორ რუპიას მოგცემს და რვა ანას, მეტს ვერ შემოგთავაზებო. მასლაათი გავაბით გზაში მე და იმ ახალგაზრდა კაცმა. კეთილი გულის ადამიანი გამოდგა. ასე მითხრა, მევახშისაგან ამ ლიპაფში მეტი გერგებოდაო და ორი რუპია დამ-მაცა. უარზე დავდექი, უმჯობესია რაიმე სამუშაო მიშოვოთ-მეთქი.

და მე, აბდურ რაჰმანი, ამირა ავღანეთისა, დღე და ღამეს
ვასწორებდი, ხელგადაკაპიწებული, ყულივით ვათრევდი
ტვირთსა და ჩემი ოფლისა და ატყავებული ზურგის საზღა-
ურად ოთხ ანას ვღებულობდი. ამ უკეთურმა კი უნდა იქურ-
დოს თურმე. წელიწადი და ოთხი თვე მუხლი არ ჩამიხრია,
ვერაგინ დამწამებს ცრუობსო. მე მოწმეცა მყავს. თუნდაც ის
მოხელე, ახლა რომ ჩემს მეგობრადაა შერაცხული.

სარდართა და კეთილშობილთა რიგიდან წამოდგა ყანაო-
ზით მოსილი კაცი, ხელები გულზე დაიჭდო და თქვა: ღეთისა
და ამირას სადიდებლად მოგახსენებთ, მე ვარ ის კაცი, ვინც
ადრე მევახშის მოხელე იყო.

ამირა ერთხანს დუმდა, მერე ხაფი ხმით აყვირდა, თავს-
ლაფს ასხამდა ტუსალს. ამ ლანძღვა-გინების ბოლო ხანჯალი-
ვით სიტყვები იყო: — დარ არიდ — რაც მოასწავებდა სასა-
მართლოს დასრულებას. ქურდი წაიყვანეს, რათა ასო-ასო
აეკუწათ და ამირას შემყურე მსაჯულებმა ირგვლივ ჩამოვარ-
დნილ სიჩუმეში ჩურჩულით წართქვეს: „ალაჰსა და მუჰა-
მედს ვფიცავთ, კაციც ამას ჰქვია“.

ეს ამბავი იგავად გამოდგება. ნაბოთეს ჩემი ბალის ყურე-ში გადავეყარე. თავზე ცარიელი კალათი ედგა. წელზე ბინძური ჩვარი ეხვია. ეს გახლდათ მთელი მისი ავლა-დიდება.

პირველი ნახვისთანავე შემწეობა მთხოვა. ამ გამწედულ კაცს ნეკნები ისე დაეთვლებოდა, როგორც მის კალათს წნელის ღეროები. დამაოსა იმის მოყოლით, თუ როგორ გაასამართლეს და ჩამოართვეს თუჯის ქვაბი.

ჯიბისაკენ წავიღე ხელი, რათა ნაბოთეს შეეწეოდი. ასე სჩვევიათ ხომ აღმოსავლეთის ხელმწიფეებს, როცა კარზე საუფლოდაკარგული მოხეტიალე უცხოელნი მიადგებიან ხოლმე. სადღაც ყილეტის სარჩულში რუპია მოვჩხრიკე. აღარც კი მახსოვდა, მქონდა თუ არა. ასე მეგონა ღვთის ნაბოძებია-მეთქი. ავდექი და ნაბოთეს გავუწოდე. ნაბოთე ენად გაიკრიფა. შემომლაღადა, შენა ხარ მთელ მრწის პირზე ღარიბთა ერთადერთი ქომაგიო.

მეორე დილით იგი კვლავ ვიხილე. მოკეთებული ჩანდა. პარმალზე მოერთხა ფეხი. ასე განმაცხადა: შენა ხარო ჩემი დედაც, მამაც, ჩემი პანთეონის ღვთაებების პირდაპირი შთამომავალიო. სამყაროს ბედ-იღბლის გამგებლობაც არ დაიშურა ჩემთვის.

საკუთარი თავი კი ჩემი ფეხის მტვრადაც არ მიაჩნდა. სად შენ და სად მეო, მლიქნიდა ეს ტკბილეულის ჩარჩვაჭარი. ასეთ ამბებში გამოაჩეკილი ვიყავი და ჯიქურ ვკითხე, რა გინდა-მეთქი.

— შენმა რუპიამ, — ჭადაგად დაეცა ნაბოთე, — ზეამზიდა, მარადიულ სივრცეებს მიმაახლა და ახლა მსურს ტკბილე-

ულობის დახლი დავდგა აქვე, ჩემი კეთილისმყოფლის მეზობლად. მსურს დღენიდაგ ვკვრეტდე შარავანდმოსილ შენს სახეს, როცა გარეთ გამობრძანდები და ქვეყანას გაასხივოსნებო.

მე დავყაბულდი და ნაბოთე ქედმოდრეკით გამეცალა. ჩემი ბალის კიდეში ნიადაგი შარისკენ ეშვება. ეს ფერდობი ხშირი ბუჩქნარითაა დაფარული. სახლიდან დაბამდე მოკლე საეტლე გზაა, რომელიც გვერდით ჩაუდის ამ ბუჩქნარს. მეორე დღეს დავინახე, ნაბოთეს ფერდობის ძირში, მზის გულზე მოერთხა ფეხი. წინ ტკბილეულით გაზიზნილი კალათა ედო.

ძვირფასი სიტყვები დახარჯა. შენი შეწირულების წყალობით კვლავ გავიმართე წელში, დიდი ბარაქა დამიდგაო.

იმხნად, როცა სამეფოს პირველი ბზარი გაუჩნდა, ამ არე-მიდამოს ნაბოთეს გარდა არავინ ბოგინობდა. ნაბოთე, მისი კალათი, ვარვარა მზე, რუხი მტვერი — ეს იყო და ეს.

მომდევნო დღეს იგი უფრო ზემოთ აჩოჩებულებო ბუჩქნარისაკენ. პალმის შტოს იქნევდა, მწერებს არ აკარებდა ტკბილეულს. ეტყობოდა კარგად ევაჭრა.

ოთხიოდე დღის შემდეგ შევნიშნე, კიდეც უფრო მაღლა აკოკოლავებულებო თავისი ბარგი-ბარხანით. ბუჩქნარის ჩეროში მოეკალათა და ჩვარი ორ ტოტზე გაეკიდა მოსაჩრდილებლად. კალათი ახლა დაყორილი ჰქონდა ტკბილეულით.

ამის საქმეს კარგი პირი უჩანს-მეთქი, — გავეფიქრე. შვიდი კვირის თავზე მთავრობამ ზედ ჩემი მამულის მესერთან მიწის წაკვეთი გამოყო უზენაესი სასამართლოს შენობისათვის. საძირკველს ყრიდნენ და ოთხიათასი ყული მიაყენეს სამუშაოს.

ნაბოთემ შეიძინა ცისფრად და თეთრად დაზოლილი ზეწარი, სპილენძის დასადგარი. პატარა ბიჭიც თან მოაყოლა, თავი რომ გაერთვა გაჩაღებული ვაჭრობისათვის.

ხუთი დღის მერე მან მოათრია ერთი სქელი, წითელყდიანი დავთარი და შუშის სამელნე. ნაბოთემ მუშები ვალში ჩააგდო და ვაჭრობამაც იმატა სესხის კვალობაზე. ერთის

ნაცვლად ახლა სამი კალათა ედგა. ნაბოთე კაფავდა და კაფავდა ბუჩქნარს. პატარა, კობტა ახო გამოჩეხა და იქ გაიწყო ზიმბილები, ზეწარი, წიგნები, ბიქსაც იქ მიუჩინა ადგილი.

განვლო კიდევ ერთმა კვირამ და ხუთმა დღემ და ნაბოთემ ახლა ალიზის კერია ააგიზგიზა ნაკაფში. დავთარი ბოლომდე შეავსო. მე კი განმიცხადა, ღმერთმა შენნაირი ინგლისელი თითო-ოროლა თუ გააჩინა, სათნობის ხორცშესხმული განსახიერება ბრძანდებიო.

მცირეოდენი ტკბილეულიც მომართვა. ამ ძღვენის მიღება იმას მოასწავებდა, რომ აწ მე უნდა მეკისრა მისი მფარველობა.

სამი კვირის შემდეგ შევნიშნე, ბიჭი ყოველ შუადღისას კერძს უმზადებდა თავის ბატონს. ნაბოთეს ღიბი დაედო. ბუჩქნარი უფრო ღრმად გაჩეხა და ახალი, უფრო ზორბა დავთარი გაიჩინა.

თერთმეტი კვირის მერე ბუჩქნარი თითქმის ბოლომდე გაკაფა და თავში წამოჭიმა ლერწმის ქოხი, ქოხის წინ კი სკამლოგინი დადგა. ორ ძაღლსა და ჩვილ ბავშვს ეძინათ ამ სკამლოგინზე. ჩანდა, ნაბოთეს ცოლი ეთხოვა. მან მითხრა, რომ ყველაფერი ეს ჩემი წყალობა იყო და რომ მე შეიდგზის აღვემატებოდი სიწმინდით თვით კრიშნას.

განვლო კიდევ ექვსმა კვირამ და ორმა დღემ და ქოხს უკანა მხრიდან ახლა ალიზის კედელი ამოუშენა. ქათმები მოამრავლა. ზინზლის სუნი დადგა იმ არე-მიდამოს.

მუნიციპალური მმართველობის მდივანმა განმიცხადა, შენი მამულიდან შარაზე იმდენი წყალი დის, ლამის დასაწრეტი არხის გათხრა დაგვეჭირდესო და წინადადება მომცა, რაიმე მელონა.

ნაბოთეს მოველაპარაკე ამის თაობაზე. ჩარჩმა კვლავინდებურად შემამკო: შენ ხარ ჩემი ანკვეყნიური საქმეების გამგებელი, ბალის სრულუფლებიანი მესაკუთრეცო, და გულის მოსაგებად მომართვა მტვრიან ტომსიკაში გამოკონილი მცირეოდენი ტკბილეული.

ის იყო ორმა თვემ განვლო და კიდევ ორი კვირაც ჩათავდა, რომ ერთი კალატონი ყული მოკლეს ნაბოთეს ზვრის წინ ატეხილ აყალმაყალში.

პოლიციის ინსპექტორმა ერთი ამბავი დაათია. ჩემს მსახურებს დაერია. მათი ბინები გაჩხრიკა, შემოელანძლა კარისკაცის ცოლი და თვით კარისკაციც ძლივს გადაურჩა დატუსაღებას. მაინც ვერაფერი გაირკვა, რადგან ყულების უმრავლესობა იმ დროს ისე იყო გადაძვრალი, ენას ძლივს აბრუნებდა პირში.

ნაბოთემ ჩემი სახელი იფარა და ხელისუფალთ თავიც შეაყოლა — სულ მალე მეორე შვილს ველიო.

ოთხი თვის თავზე ქოხს ყველა კედელი ალიზისა ჰქონდა. მკვიდრი ნაგებობა გამოვიდა. გაზულუქებულმა ნაბოთემ ჩემს ბუჩქნარში ამჯერად ხუთი თხა გაუშვა. მოკვერცხილი მუცელი ვერცხლის საათით დაიმშვენა და ზედ ალუმინის მბზინავი ძეწკვი დაიკიდა. ჩემი მსახურები იმხანობას სასმელს შეეჩვივნენ. დღენიდაგ ნაბოთესთან ეყარნენ, შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, მასთან რომ არ შეეველოთ. ავდექი და ნაბოთეს შევჩივლე.

— შენი წყალობით და შენი პირსახის სადიდებლად ჩემს დიაცებს ქალბატონებად გავხდი. ამბავი მოგიტანეს, იალღუნის ჰალაში ჩემი გამოხდილი არყით მსახურები იღეშებიანო? მერედა ილონოს რამე ბატონმა, მიხედოს თავის ხალხს, — იყო პასუხი.

კიდევ ერთი კვირა გაილია. მან კაცი იქირავა და ასე თორმეტი კვადრატული იარდის გაყოლებაზე ქოხის უკანა კართან მესერი გაავლო, რათა საქალეთი ხალხს თვალში აღარ მოხვედროდა. იმ კაცმაც პატივი დამლო. ახლა იმან იწყო ჩემი სახლიდან შარამდე გამავალი ბილიკით მოკლეზე სიარული: ერთხელ მწუხრისას ნაბოთეს ვაზნართან ფაეტონით შემოვუხვეე თუ არა, ორთავე ცხენი წვერწამახულ ბამბუკის ღობურს წამოეგო. ტლინკებს ისროდნენ გამწარებით. ერთი მათგანი წამოდგა. მაგრამ ვაი ამ ადგომას. მუხლები ჩამსხვრეოდა, მეორე ცხენს ფერდები ჩაღეწოდა. რა ჩარა მქონდა, თოფი ვკარი, ღაფხოცე ისინი.

ნაბოთე იქაურობას გაეცალა. ნაკაფი, სადაც მისი ქოხი იდგა, ერთნაირად გადახნეს, ნიშნად იმისა, რომ ეს ადგილი შეჩვენებულია.

მე საზაფხულო სახლი ავაგე, რომელიც ბაღს გადაჰყურებს. ეგ არის ჩემი ციხე-კოშკი. აქედან ვდარაჯობ ჩემს სამეფოს.

ახლა კი ვიცი, რასაც გრძნობდა აქაბი. იგი ხომ სამარცხვინოდ ყალბადაა გამოსახული საღმრთო წერილში.

საზარი ღამის საუფლო

ნოტიო, ჩახუთულმა ხვატმა, ჩარსავივით რომ განერთხო მიწის პირს, იმედი გადაწურა ძილისა. პაპანაქებს თითქოსდა ცეცხლს უნთებდნენ კრიჭინობლები. ამათ კი აკივლებული ტურები უწყობდნენ ხმასა... შეუძლებელი იყო მჭდარიყავი ბნელ, გამოცარიელებულ სახლში, სადაც ყოველი ჩამი-ჩუმი ექოდ გახშიანდებოდა ხოლმე და გეყურადებინა, როგორ უფართხუნებდა პანკა ჩამკვდარ ჰაერს. ამიტომაც სადამოს ათ საათზე საბიჯგელი დაეაყუდე ბალის შუაგულში და ხელი შეევუშვი, რათა მენახა საით გადაქანდებოდა. ჯოხი გადაწვა საზარი ღამის საუფლო ქალაქისაკენ მიმავალი, მთვარით განათებული გზის მხარეს. საბიჯგელის რახუნმა კურდღელი დააფრთხო. იგი გამოხტა თავისი სოროდან და მოკურცხლა გავერანებული მაჰმადიანური სასაფლაოსაკენ. იქ, ივლისის წვიმებით გადარეცხილ მიწაზე, სადაფივით ბზინავდნენ ნიაღვრებისაგან ზემოთ ამოყრილი და ყბამოგლეჯილი თავის ქალები და თავმსხვილა წვივის ძვლები. ჩახურებული ჰაერი და დამძიმებული მიწა თვით მიცვალებულებსაც აღარ აყენებდა საფლავში და ისინიც მალლა ამომძვრალიყვნენ გასაგრილებლად. კურდღელი კოჭლა-კოჭლობით მიკუნკულებდა. მერე შედგა, ცნობისმოყვარეობით დაყნოსა გამჭვარტლული, ძირგავარდნილი ლამპის თავი და გაუჩინარდა იალღუნის კორომების ჩრდილში.

ჰინდლუთა ტაძართან მიყუჟული ჰილობების მქსოველის ქოხში ჰერეხივით ეყარნენ შესუდრული ცხედრების მსგავსი მძინარე ადამიანები. მთვარე დაშტერებოდა ზემოდან დედამიწას. სიბნელეში თითქოსდა უფრო გრილოდა. ციდან მოსხივებული შუქი კი მართალია, მზის სხივივით მშანთავი როდი იყო, მაგრამ მაინც იმდენი სითბო მოჰყვებოდა, კიდევ უფრო

თენტავდა სიცხით ისედაც შეწუხებულ ადამიანს. ლარვიით სწორი შარა მიემართებოდა საზარი ღამის საუფლო ქალაქისაკენ და მის ორთავე ნაპირას სკამლოგინებზე ელაგა ათასგვარად მოკრუნჩხული გვამები.

ასსამოცდაათი ადამიანის სხეული — თეთრებში გამოხვეული, პირაკრული, ზოგიც შიშველი, მკვეთრ შუქზე აბანოზის ხესავით შავად ულაპლაპებდათ კანი. ერთი გულალმა ესვენა, სხვებისაგან განცალკევებით; პირღია იყო, ვერცხლივით თეთრი, ნაცარივით გაცრეცილი. ეს მძინარე კეთროვანი გახლდათ. სხვა დანარჩენნი — დაღლილ-დაქანცული ყულები, მოჯამაგირეები, მეწვრილმანეები თუ იქვე ახოხოლავებულ ფუნდუქში ჩამომხდარი მეფორნეები არიან, მოქმედების აღგილი — ლაპორისაკენ მიმავალი მთავარი ქუჩა, დრო — აგვისტოს თბილი ღამე.

მთვარის ჯადოსნურად მოციაგე შუქი დაღვრილიყო ყველგან, და ქვეყანასაც საზარლად ეცვალა სახე. შიშველ მიცვალებულთა რიგი, რომლის ბოლოს ჩანდა გახევებული ვერცხლისფერი ქანდაკი, როდი იყო ამოდ სახილველი. აქ მარტოოდენ მამაკაცები იწვნენ. ქალებს, რა ჩარა ჰქონდათ, ალიზის ქოხებში უნდა ამოხუთულიყვნენ. გაანჩხლებული ბავშვის ღნავილმა მიგვანიშნა მათი სამყოფელი. სადაც ბავშვებია, დედებიც იქ უნდა იყვნენ წესით. პატარებს მიხედვა სჭირდებათ ასეთ ღამეებში. აგერა შავი, ბურთივით მრგვალი თავი გადმოეყუდა ლავგარდანიდან და საწყალობლად გაღეული, ცვილისფერი ფეხი გადმოეკიდა წყლის სადინარზე. გაისმა მინის სამაჯურების წკარუნი. ქალის ხელი გამოცურდა წამით მოაჯირზე, წაწვრილებულ კისერს მოექდო და გაქირვებული ბავშვი უკან დაითრია. მისი გამყივანი კივილი წამსვე ჩაკვდა, განიმქვრა სქელ ჰაერში. მიწის შვილებს ამ გაგანიში ტირილის თავიც აღარ ჰქონდათ. კვლავ და კვლავ გვამები და მთვარით თეთრად გაშუქებული შარა. გზის პირას მთვლემარე აქლემების ქარავანი. ტურების გამკრთალი ლანდები. ჩათვლემილი გამწვევი ცხენები, კისერზე შერჩენილი მოსართავეებით. და კვლავ გვამები. გვამები ყველგან, სადაც კი ხორბლეულით დაყანთრებული

ურემი, ხე, გადახერხილი მორი, ორიოდ ბამბუკი, ანდა ლელის ხელეური აფენს ჩრდილს. მიწაზე ყრია ეს გვამები. ზოგი პირქვე გდია მტვერში, გულხელდაკრეფილი. ზოგს თავქვეშ მოპყოლია მჭილები, ზოგი ძალღივით მორგოლილა. სხვანი ჯვალოს ცარიელი ტომრებივით გადმოკიდულან საზიდებიდან. ვის თავი ჩაურგია მუხლებში. ეს სურათი აგრე შემადრწუნებელი არ იქნებოდა, ხვრინვა რომ მაინც სწვდებოდეს ყურს. მაგრამ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა არსაიდან. და აღარათფერი განასხვავებს მათ გვამებისაგან, გარდა ერთისა — გამწლეული ქუჩის ძაღლები რა დაყნოსავენ მათ, მყის სცილდებიან. აქა-იქ მოლანდავ მამის საწოლზე მიყუყულ ბაღლებს, მშობლის მზრუნველი ხელი რომ შემოსჭდომიათ წელზე. პატარების უმეტესობა კი დედებს გაუხიზნავთ სხვენზე. შიშობენ დედები, ლაშდაღრენილმა ქუჩის ძაღლებმა რამე არ მოსწიონ მათ ყავისფერ პირმშობებს.

დელის კარიბჭის ხახიდან მობულულმა მსუთრმა ლამის ხელი ამალდებინა ჩემს განზრახვაზე, ვწვეოდი საზარ ლამის საუფლო ქალაქს. ეს ხრაწი ნაზავია ათასგვარი მცენარისა თუ ცხოველის მყრალი სუნის, რაიც კლდეებით გარშემორტყმულ ქალაქში გროვდება დღე-ღამის მანძილზე. ამასთან შედარებით ქალაქს მიღმა გარინდული, ჩახაშმული ჭალებიც კი სავანედ ეჩვენება ადამიანს. ღმერთი შეეწიოს ამალმ ყველა დავრომილს, მოხუცსა თუ ჩვილს. სახლების კედლები ჯერ კიდევ ხურს და ბნელი ხევხუვებიდან ისეთი სიმყრალე მოდის, კამეჩს წააქცევს. ოლონდ კამეჩები ამას აინუნშიაც არ აგდებენ. მთელი ჯოგი დააბოტებს უკაცრიელ მთავარ ქუჩაზე. ხანდახან შეჩერდებიან, ზორბა დრუნჩებს სჩრიან ზორბლეულის დუქნის გამოკეტილი დარაბების ღრიტოებში და დელფინებივით ფრუტუნებენ.

მერე დგება სიჩუმე — გავსილი დიდი ქალაქის ღამეული ზუილით. რალაც სიმებნიანი საკრავის ხმას თულა ვარჩევ, ისიც ძლივსძლივობით ჩემს თავს ზემოთ ფანჯარას აღებენ და ხის ჩარჩოს ჭრიალი გახმიანდება ცარიელ ქუჩაში. ერთერთ სახურავზე ჰუკა ქშუის და ყალიონის მილის ბუყბუყში ისმის ხალხის ხმადაბალი ჯიჯინი. სხივი იჭრება დუქნის

ოდნავ შეღებულ დარაბებში. ქუჩიდან ჩანს, ჩითის ბარ-
დანებში ჩამქდარი, წვეერგაბურძგნული ბაზაზი დავთრებს
ჩაკვირკიტებს. სამი ზეწარმოსხმული აჩრდილი მოსჯდომია
გვერდით. დროდადრო რალაცაზე მიანიშნებენ ფართლეულის
გაქარს. ბაზაზი ჯერ ჩაიწერს, მერე კი თვითონაც გადაუგ-
დებს სიტყვას, ოფლით გახვითქულ შუბლზე ხელს მოის-
ვამს... ერთმანეთზე მიჯრილ სახლებსა და ქუჩაბანდებში
აუტანელი სიციხეა. ალბათ დუქნებში მთლად გაუსაძლისა
დგას. მაგრამ სამუშაოს როდი ელევინ. ჩაწერა, ამოხავე-
ლება და ხელის სახეზე მოსმა საათივით აწყობილად მოსდევს
ერთი მეორეს. მეჩეთის წინა მოედანი მოყორილია გვაშე-
ბით. კაცს აქ დიდი სიფრთხილე მართებს, ადამიანის სხე-
ულს რომ არ დააბიჯოს ზედ. ღრმა ძილში წასულა ვაზირ-
ხანის მეჩეთისაკენ მიმავალ გზაზე გაწოლილი უჩალმო
პოლიციელი. მთვარის შუქი დასთამაშებს შუბლსა და
თვალებზე, მაგრამ იგი ერთს არ შეირხევა. შუალამე ახ-
ლოვდება. სიციხე თითქოს მატულობს. მთვარის შუქი ფარ-
თო და განივ ზოლებად ეფინება მეჩეთის მომინანქრებულ
წინკარს, კედლებზე ახატულა წალოებში მთვლემარე მტრე-
დების ქულა ჩრდილები. ზეწარშემოხვეული ლანდები რის
ვაივაგლახით აითრევენ ტანს თავიანთი სკამლოგინებიდან,
და შენობის ბნელ ტალანებში უჩინარდებიან. შეეძლება კია
ავადწიო წოწოლა მინარეთის თავზე და იქიდან გადმოვხედო
ქალაქს? მოდი ვცდი, იქნებ კიბეზე გასასვლელი ჩაურახავი
იყოს. კარი მართლაც ღია დამიხვდა, მაგრამ ზედ ზღურბლ-
ზე გაშხლართულა მთვარისაკენ პირმიქცეული, რულმორეუ-
ლი დარაჯი. ჩემი ფეხის ხმით დამფრთხალი ვირთხა გა-
მობტება მისი ჩალმიდან. კაცი ხვრინავს, თვალს გაახელს
წამით, მერე გვერდს იცვლის და ისევ იძინებს. ინდოეთის
ათი თაკარა ზაფხულის მცხუნვარება ჩაკირულა ხვეული
კიბის ფსივიით შავ, გაპრიალებულ კედლებზე. რალაც თბილ,
ღუნღლიან, ცოცხალ არსებას წამოვედე გზაში. იგი საფეხუ-
რიდან საფეხურზე ახტა და მალლა ჭერზე შეფრთხილდა. ეს
განჩხლებული ფრთოსანი, ყვითელთვალა ძერა გამოდგა.
ძერებს გუნდ-გუნდად დაუბუდიათ მინარეთებსა თუ გო-

ბათებს შიგნით. ამ სიმალლეზე ჰაერი თუმცაღა ჩახუთულია, ბული მინც ძნელად ატანს და სულმოთქმული მზერას ვაპყრობ საზარი ღამის ქალაქს.

დორეს ყალბის ღირსია და ზოლას კალმისა მთვარის შუქჩრდილებში მიძინებული ამ უზღვავე ხალხის სურათი. სახლის სახურავები დახუნძლულია კაცებით, ქალებით, ბავშვებით, ჰაერი სავსეა გაურკვეველი ზრუნით. ქალაქის მკვიდრთ მოსვენება დაუკარგავთ — არცაა გასაკვირი. საოცარი ის არის, რომ არ დაფავენ სულს. ეს ჭგრო ისევე შეფოთავს, როგორც ღლისით, ოღონდ ახლა ხმაური თითქოსდა მინელებულა. შუქზე ჩანს, როგორ იცვლიან მძინარენი გვერდს, როგორ დაბორილობენ წინ და უკან და აქეთ-იქით გადააქვთ თავიანთი საწოლები. ხარობივით ეზოებში ასეთივე წრიალ-წრიალია ამტყდარი. მთვარის უწყალო შუქი დანათის ყოველივეს. იგი ნათელსა ჰფენს ქალაქგარეთ გაშლილ ველებს და ამქამად დეღედქცეულ მდინარე რავის. ზედ მდინარეთთან მიდგმული სახლის სახურავი ვერცხლისფრად ბზინავს ღამის გუშაგის შუქზე. სიციხით გათანგული ბედშავი ვინმე წამოიწევს, დახაშმულ სხეულზე დოქით წყალი რომ გადაისხას. წყლის შხეფების ხმა ძლივსღა მოსწვდება ყურს. საზარი ღამის საუფლო ქალაქის მიკარგულ კუთხეებშიც ალაგ-ალაგ გაისმის ჩხრიალი და ტოკავს წყალი მზეს მიშვერილი სარკის ათინათივით. ფთილა ღრუბელი გადაუვლის მთვარეს. თეთრ სივრცეში მკვეთრად გამოკვეთილი სახლები და მინარეთები ახლა მთლად შავად გაიღესა. კვლავ არ წყდება ქალაქის ხმაური, — შვებადაკარგული ოხვრა ხალხისა, ამოდ რომ ეძებს მოსვენებას. სახლის სახურავებზე მარტოოდენ მდაბიო დედაკაცებს სძინავთ. ალბათ რა წამებაა იწვევ ცხაურიან ზანანებში, სადაც ჭერ კიდევ ბეუტავს თითო-ოროლა ჭრაქი. ეზოდან ფეხის ხმა მოისმის. ეს მუეძინია, ალაპის ერთგული მსახური. თუმცაღა კარგი იყო ადრინანდ ენებებინა მობრძანება და სალოცავად მოეხმო საღათას ძილს მიცემული მორწმუნენი. მუეძინი წამით კარზე მოაფათურებს ხელს, შიგ შეიმალება და სულ მალე, თითქოსდა ხარის ხორხიდან ამომსკდარი, დიდებული, მეხივით ბანი გვამცნობს, რომ იგი უკვე

აღვიდა მინარეთის თავს. მისი ხმა, ალბათ, ფსკერზე დასული რავის ნაპირებსაც კი უწევს. ახლოდან უფრო მომწუსხავია ეს დაძახილი. ღრუბელი გაცურდება და მუეძინი შავად გამოიქერწება ზეცის ფონზე. ხელები ყურზე მიუდვია, ფართო მკერდი აღი-ჩამოუღდის. ალაპ ჰო აკბარა — მერე ქადაგი ერთხანს შეიცდის; ახლა სადღაც ოქროს ტაძრის მხრიდან მეორე მუეძინი მოსცემს ხმას. — „ალაპ ჰო აკბარა“! — ოთხგზის ზედიზედ განმეორდება ეს შეგონება. თითო-ოროლა კაცი უკვე ზეზეა. არ არს ღმერთი თვინიერ ალაპისა! ...რა დიდებული დაძახილია, შუალამისას ხალხს რომ წამოშლის საწოლებიდან. კიდევ და კიდევ დააქუხებს იგი ამავე შეგონებას, თავით ფერხამდე ტოკავს საკუთარი ხმის სიმძაფრისაგან, ფრფენს მისი ხმა და ყოველის მხრიდან ჰაერს გასერავს ბუბუნნი — და მუჰამედი მოციქულია მისი.

ასე გეგონებათ, მუეძინი ეტოქებოდეს ცის დასალიერს, სადაც გაზაფხულის ელვა თრთის და ფარფარებს გაშიშვლებული ხმალივით.

ახლა ქალაქში ყველა მუეძინი გაჰყვირის მაღალი ხმით. ზოგან, სახლის სახურავებზე ხალხი მუხლს იყრის. უკანასკნელი ამოძახილი — „ლა ილაპ ილ ალაპ“! — და მდუმარება დაისადგურებს, დათრგუნავს ყველაფერს, წნეხი რომ დააწევა ბარდანს, იმგვარად.

მუეძინი დაბლა ჩამობორძიკდება კიბეებზე, რალაცას ღუღლუნებს თავისთვის. შესავლის თალს გასცდება და თვალს მიეფარება. მხუთავი სიჩუმე გამეფდება საზარი ღამის საუფლო ქალაქში. ძერები კვლავ თვლემენ მინარეთზე, ოღონდ უფრო ხმამაღლა ქრინავენ. ხორშაკი ხან ნელა მობერავს, ხან კი მოქროლდება და მთვარეც ეშვება დაბლა, ჰორიზონტისკენ. მოაჯირზე გადამდგარი თვალს ვერ მოწყვეტ ამ სიციხით გაწამებულ ფუტკრების სკას.

რას ჩადიან, რას ფიქრობენ, როდის დააღწევენ თავს ძილბურანს?! კვლავ და კვლავ მოისმის დოქიდან გადმოსხმული წყლის ჩხრიალი და ქრიალი ხის საწოლებისა, რომლებსაც ჩრდილისაკენ აჩოჩებენ. უჩვეულო წყობის სიმძიანი საკრავების ხმას მანძილი ალბილებს და ჰანგი იქცევა საწყალობელ

გოდებად. ერთხელაც გაისმის ხმადაბალი გრგვინვა შორეული მეხისა.

მეჩეთის ეზოში შევდგი თუ არა ფეხი, მინარეთის კარის ზღურბლზე გაშხლართული დარაჯი წამოიწია, თავზე ხელე-ბი შემოიჭდო, რალაც წაიბუტბუტა და ისევ გაიშორა. ძერების ქრინვით ნანანავებმა ძილს მისცა თავი.

შფოთიანი თვლემა მიპყრობს, თანაც ვგრძნობ, სამი საათი მოწეულა და ჰაერს მსუბუქი სიგრილე დაჰკრავს. ქალაქი ახლა დუმს და მხოლოდ ქუჩის ძალი გაჰყმუის სადღაც სიყვარულის საგალობელს. ყოველისფერს ძილშუქი დასწოლია მთვარე ჩავიდა. ასე გეგონებათ, რამდენიმე კვირაა, რაც ეს უკუნი დგას. ძაღლებიც ჩაჩუმდნენ და მე ველი აისის პირველ სხივს, შინისაკენ რომ გავიკვლიო გზა. კვლავ ისმის ფეხების შლაპუნის. საცაა დილის ნამაზს შეუდგებიან და ჩემს ღამის დარაჯობასაც ყავლი გაუვიდა.

— ალაპ ჰო აკბარი! ალაპ ჰო აკბარი!

აღმოსავლეთი ჯერ განაცრისფერდა, მერე კი უეცრივ ზაფრანისფერი დაიკრა. მოქროლა აისის წინამასწარა, თითქოსდა მუეძინის მიერ მოხმობილმა ნიავმა. საზარი ღამის ქალაქი ფეხზე დგება, პირს განთიადისაკენ იქცევს. კვლავ მოიწყება ხმაური. ჯერ შარიშური და ჩურჩული ისმის, მერე დაგუდული გუგუნი. მთელი ქალაქი სახურავებზეა გასული. ქუთუთოები ტყვიასავით დამიმძიმა ამდენი ხნის უძილობამ. მინარეთიდან ეზოში გამოველ, მერე გარეთ — ქუჩაში. ხალხს უკვე აულაგებია საბან-გობანი და ერთი სული აქვთ, ვიდრე ჰუკას მოსწევინ და ჯიჯინს გააბამენ. გადაქრა წუთიერად მობერილი განმაცოცხლებელი ნიავქარი. ძველებურად ჩამოიხუთა.

— საპიბ, ღვთის გულისათვის, გზა მოგვეციო!

რა ხდება ნეტავი?

ბინდბუნდში ადამიანთა ლანდები ჩანან მხარზე გადებულ ტვირთით. განზე გავდექი. ქალის გვამი მიჰქონდათ გპატზე დასაწვავად. „ბედშავი, სიცხისაგან დაიხუთა შუალამისას“, წართქვა ვილაკამ.

და იყო ქალაქი იგი არა მხოლოდ ღამის საუფლო, არამედ საუფლო სიკვდილისაც.

ათასი მწუხარების ჭიშკარი

ნუ შეგშურდებათ ჩემი, რაკლა სელ
რალაც ერთი ბაისის ფაად ძალმის შე-
ვალო სამოთხის კარი.

ოპიუმის მწველის გამონათქვამი.

ეს ამბავი მე არ შემითხზავს — სიკვდილამდე ექვსი კვირით ადრე, მთელი ღამის განმავლობაში მიამბობდა ყოველივეს ჩემი მეტისი მეგობარი, გაბრალ მისკვიტა და მეც სიტყვა-სიტყვით ჩავწერე მისი ნაამბობი:

„ჭიშკარი“ მდებარეობს მჭედელთა და მეჩიბუხეთა უბნებს შუა, ვაზირ-ხანის მეჩეთიდან ასი იარღის დაშორებით. შემიძლია ყველას ავუწერო მისი ადგილმდებარეობა, მაგრამ სანაძლეოს ვდებ, ვერაფერს მიაგნებს, რაც უნდა კარგად იცნობდეს ქალაქს. შეიძლება ასჯერ ჩაუაროთ იმ არემარეს, სადაც ეს „ჭიშკარია“ და მაინც ვერ შეამჩნიოთ იგი. საპალნიანი სახედარი ვერ ეტევა კედლებს შორის, ხოლო ერთგან საქლის ლავგარდანი ისეა გამოწეული, რომ გამართული ვერ გაივლი. ამ ალაგს „შავი კვამლის საბუდარი“ შევარქვეთ, მანამდე კი იქაურობა სულ სხვაგვარად იწოდებოდა.

ეს სახლი ხუთი წლის წინათ მოხუც ფუნ-ჩინს, კალკატელ ხარაზს ეკუთვნოდა. ამბობენ, ფუნ-ჩინს კალკატაში ცოლი შემოკვდომია სიმთვრალისას. სწორედ ამიტომ მიუტოვებია მყრალი რახი და ოპიუმს დასწაფებია. მერე ჩრდილოეთს წასულა და ისეთი „ჭიშკარი“ გაუხსნია, სადაც კაცს შეეძლო მყუდროდ და მშვიდად მოეწია ოპიუმი: ნუ დაგავიწყდებათ, ეს იყო პუკა, ოპიუმის საუცხოო სახლი და არა რომელიმე იმ შმო-

რიან ჩანდუხანთაგანი, რომლებსაც მრავლად შეხვდებით ქალაქში. მოხუცმა თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცოდა და ჩინელის კვალობაზე ძალზე სუფთა იყო. ეს ცალთვალა, პატარა კაცი ხუთ ფუტზე მეტი არ იქნებოდა სიმაღლით. ცალ ხელზე ორი თითი აკლდა. მიუხედავად ამ ნაკლისა, მე არ მინახავს შავი აბების გაწყობის ესოდენ უბადლო ოსტატი. ოპიუმში თითქოს ვერას აკლებდა, რადგან თავის წილს დიდის წინდახედულობით ეწეოდა. ხუთი წელი დაეყავი იქ და ოპიუმის წევაში ვისაც გნებავთ გავეჭიბრები, მაგრამ ფუნ-ჩინთან კიდელი შეუძლებელი იყო. მოხუცი ფულის დიდი ტრფიალი გახლდათ. შევეიტყე, სიკვდილამდე გვარიანი თანხა დაუგროვებია, რაც მის ძმისწულს ხვდა წილად. მოხუცი კი ჩინეთისაკენ გაუყენეს გზას. იქ უნდა დავიმარხოო, — უთქვამს.

ზემო სართულზე მდებარე ოთახს, სადაც რჩეული მუშტრები იკრიბებოდნენ, ფუნ-ჩინი ახალი ქინძისთავივით სუფთად ინახავდა. ერთ კუთხეში ფუნ-ჩინის ჯოში ესვენა, ისეთივე გონჯი, როგორიც მისი პატრონი. ჯოშის წინ ყოველთვის ერჭო ანთებული კვარები, მაგრამ ჩიბუხების ხრჩოლვაში მათ სუნს ვერ იგრძნობდით. კერპის პირდაპირ ფუნ-ჩინის ლუსკუმა იდგა. მოხუცმა მას თავისი დანაზოგის დიდი ნაწილი შეაღია. ამიტომ იყო, ყოველ ახალმოსულს თავმომწონედ რომ უჩვენებდა ხოლმე. შავად მოელვარე კუბოზე წითელი და თეთრი წარწერები იყო გამოყვანილი. გამიგონია, თითქოს ფუნ-ჩინს იგი ჩინეთიდან ჩამოეტანოს. ვერ გეტყვით, ეს მართალია თუ არა. თუ საღამოობით პირველი მივიდოდი, უსათუოდ მის ძირას ვიგებდი ჰილოფს. აქ სიმყუდროვე სუფევდა და ხევიდან მონაქროლი ნიავიც ფანჯრებში უბერავდა დროდადრო. ოთახში იყო მხოლოდ ჰილოფები, კუბო, დროისა და წმენდისაგან მწვანედ, ლურჯად და მეწამულად მოლაპლაპე ჯოში. ეს იყო და ეს.

ფუნ-ჩინს არასოდეს უთქვამს ჩვენთვის, რატომ უწოდა ამ ადგილს „ათასი მწუხარების ჰიშკარი“. ჩემს ნაცნობ ჩინელთაგან მარტო იგი ხმარობდა ხოლმე უცნაურ სახელწოდებებს და ნათქვამის შინაარსს თავად უნდა ჩავწვდო-

მოდით. ისე, ჩინელთა გამოთქმები უმთავრესად ხატოვანია. კალკატა ამაში დაგარწმუნებთ.

არაფერი ისე არ იმბონებს თეთრ კაცს, როგორც შავი კვამლი. ყვითელკანიანი სხვაგვარადაა ნაქსოვი. ოპიუმი მასზე თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს, თეთრკანიანებს კი იოლად ერევა. მაგრამ კაციცაა და კაციცა ზოგიერთს იგი ისევე ასხამს ბრუს, როგორც ახალბედას თამბაქოს პირველი ნაფაზი. ოპიუმის მწვეველი ერთხანს ჩათვლემს, დილით კი ჩიტიერთაა. მეც ასეთი გახლდით თავდაპირველად, მაგრამ ზეთი წლის მანძილზე „ჭიშკარში“ მუდმივმა სიარულმა სრულიად შემცვალა.

ერთი მოხუცი მამიდა მყავდა, აგრის გზის პირას სახლობდა. მან ცოტა რამ მიანდერძა: თვიური შემოსავალი სამოცი რუპიის ოდენობით. მაგრამ რა არის სამოცი რუპია? მახსოვს, როცა კალკატის სატყეო სარეწაოში ვმუშაობდი, თვიურად სამასი რუპიის გარდა, პატარა გამორჩენაც მქონდა. ვიხსენებ ამას და ასე მგონია, თითქოს საუკუნემ განვლო.

ამ სამუშაოს დიდხანს არ შევრჩი, „შავი კვამლი“ ვერ ეწყობა სხვა საქმიანობას. მართალია, ვერ დამაგლახა, მაგრამ სხვებსავით უკვე აღარ შემიძლია დღიური სარჩოსათვის გარჯა. ბოლოს და ბოლოს სამოცი რუპიის მეტი ხომ არა მინდა რა! სანამ სული ედგა, მოხუცი ფუნ-ჩინი თვით იღებდა ამ ფულს. ნახევარს იტოვებდა, დანარჩენს მე მაძლევდა. ეს უმნიშვნელო თანხაც კი მყოფნიდა, ისე ცოტას ვკამდი. „ჭიშკარი“ ყოველთვის ღია იყო ჩემთვის: ძილი და მოწვევა შემეძლო, როცა კი მოვისურვებდი, დღე იქნებოდა თუ ღამე, ასე რომ აღარაფერი მადარდებდა. ვიცოდი, მოხუცს დიდრ გამორჩენა ჰქონდა ჩემგან. მერე და რა. ჩემი სამყოფი ფული ყოველთვიურად შემომდიოდა, დანარჩენს კი ქვეყნად ყველადფერს დაკარგული ჰქონდა ფასი. „ჭიშკარის“ მუშტრები თავდაპირველად ათნი ვიყავით: ერთი მეძავი ქალი, როგორღაც რომ ახერხებდა ორიოდ გროშის შოვნას, ორი ბაბუ, ისინი სამსახურიდან დაეთხოვათ და ფულს ვერ იხდიდნენ, ფუნ-ჩინის ძმისწული, ერთი უსაქმური ინგლისელი — თუ არ ვცდები, ვინმე მაკ... უზომოდ რომ ეწეოდა. ვგონებ, ისიც არაფერს

იხდიდა. ამბობდნენ, ვეჭილობისას სანამართლოდან დაუხსნიაო თურმე ფუნ-ჩინი. მადრასიდან გადმოხვეწილი ევრაზიელი მეტისი ქალი და ჩრდილოეთიდან გადმოსული ორი ბოგანო მამაკაცი, მათივე სიტყვით, სპარსელები თუ ავღანელები რომ იყვნენ.

ვერ გეტყვით, რა შეემთხვა იმ ორ ანარკულელ ბაბუს, მეძაემა ქალმა კი ექვსი თვის შემდეგ განუტევა სული „ჭიშკარში“. მისი სამაჯურები და სხვა სამკაულები ალბათ ფუნ-ჩინმა მიისაკუთრა. ინგლისელი მაგარ სასმელებსაც ეტანებოდა, ამიტომ ისიც მალე გაემართა საიქიოს, ერთ-ერთი სპარსი რა ხანია, რაც მოკლეს მეჩეთის მახლობელ დიდ ჭასთან. გვამი შიგ ჩააგდეს და პოლიციამ ჭა ამოქოლა სიმყარალის გამო.

დავრჩით მხოლოდ ხუთნი: მე, ჩინელი, ევრაზიელი, მეორე სპარსი და მეტისი ქალი. იგი ფუნ-ჩინის საყვარელი იყო, მემსაპიბს ვუწოდებდით. მემსაპიბი ახლა მეტად მობერებულა. ისიც ახალგაზრდა ჩანდა „ჭიშკარის“ გახსნის პირველ ხანებში, მაგრამ ჩვენ ყველას ამ „ჭიშკარმა“ მოგვიღო ბოლო. აქ დროის შეგრძნება უჩლუნგდება კაცს. ესეცაა, დრო ჩვენთვის აღარაფერს ნიშნავს.

მე კვლავ ყოველთვიურად ვიღებ ჩემს სამოც რუპიას. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სამას ორმოცდაათი რუპია და უფრო მეტიც შემომდიოდა კალკატის დიდ სატყეო საწარმოდან. იმ დროს ერთი მდაბიო ქალი მყავდა ცოლად. იგი უკვე აღარაა ცოცხალი. ამბობდნენ, „შავი კვამლისადმი“ ჩემი დაუოკებელი ღტოლვა გახდაო მისი სიკვდილის მიზეზი. იქნებ ასეცაა, მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მოგონებადაც არ ღირს. პირველ ხანობას მაფიქრებდა ხოლმე ჩემი ბედი, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. უკან მოსაბრუნე გზა აღარ მაქვს. ვიღებ კვლავინდებურად ჩემს სამოც რუპიას, ცაში ვარსკვლავებს არ ვეპოტინები და ვარ მშვიდად და წყნარად. მაგონდება, როგორ მივეჩვიე ოპიუმს: ეს მოხდა კალკატაში. პირველად საკუთარ სახლში მოვწიე — ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ამ საქმეში დრმად არ შემიტოპავს, მაგრამ ცოლი მაინც ამას გადაჰყვა.

შემდეგ როგორღაც გავიცანი ფუნ-ჩინი და მისი წყალობით მოვხვდი „ჭიშკარში“. ნუ დაგავიწყდებათ, ფუნ-ჩინის დროს სახლი საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო და სრულიადაც არ ჰგავდა იმ ჩანდუხანებს, სადაც ზანგები იყრიან თავს — სიწყნარე და სიმყუდროვე სუფევდა. „ჭიშკარში“ სხვებიც დაიარებოდნენ, მაგრამ ჩვენთვის მუდამ მზად იყო ჭილოფი და კუთხეში მდგარ კუბოსავით შავი და წითელი ურჩხულებით მოჭარგული მატყლის ბალიში.

მესამე ჩიბუხიც და ურჩხულები ამოძრავდებოდნენ და შეერკინებოდნენ ერთმანეთს. ურიცხვი ღამეების განმავლობაში ვუმზერდი მათ ბრძოლას. ურჩხულთა მოძრაობა იყო ნიშანი, რითაც ვზომავდი ოპიუმის ძალას. ახლა თორმეტი ჩიბუხი მჭირდება, ისინი რომ ადგილიდან დაეძრა. ამასთან ურჩხულები ჭილოფებივით დაიფლითა, დაწვირიანდა და ფუნ-ჩინიც აღარაა ცოცხალი. ორი წლის წინათ მოკვდა, სახსოვრად უცნაურად დაზღაზნილი არსებებით მოხატული ვერცხლის ჩიბუხი დამიტოვა. მანამდე სპილენძით მოსალტულ, მწვანე ნეფრიტის ყელიან, ბამბუკის დიდ ჩიბუხს ვხმარობდი. ძლიერ ტკბილი მოსაწევი იყო. ბამბუკი კვამლს იწოვს, ვერცხლი კი იმჰვარტლება და ამიტომ ხშირად მიწევს ფუნ-ჩინისეული ჩიბუხის წმენდა. ეს ზედმეტ საზრუნავს მიჩენს, მაგრამ ჩიბუხს მაინც ვინახავ მოხუცის სამახსოვროდ. მართალია, მან ბლომად ფული დამცინცლა, სამაგიეროდ, ჩემთვის არ ენანებოდა სუფთა ჭილოფები, ბალიშები და საუკეთესო ოპიუმი, როგორსაც ძნელად იშოვიდით.

ფუნ-ჩინი მოკვდა თუ არა, „ჭიშკარს“ მისი ძმისწული დაეპატრონა და „სამი სამფლობელოს ტაძარი უწოდა“, მაგრამ ჩვენ, ძველები, ამ სადგომს ძველებურად „ათასი მწუხარების ჭიშკრად“ ვიხსენიებთ. ძმისწული ვერ გამოდგა კარგი მეურნე. საქმეებში მგონი მემსაპიბი ეხმარება. ადრე ეს ქალი მოხუცის საყვარელი იყო, ახლა მასთან გადაინაცვლა. მათ „ჭიშკარი“ ყველა ჯურის ნაძირალებით, ზანგებითა და სხვა მისთანებით გაავსეს. ამიტომ არაერთგზის მიპოვნია ჩიბუხში ნამწვი — მოხუცი ხომ ამას არასგზით არ იზამდა ოთახი აღარ სუფთავდება, ჭილოფები დაიფლითა

და კიდევები მოერღვა, კუბო კი მოხუციითურთ ჩინეთში წაიღეს, თან ორი უნცია ობიუმიც ჩაატანეს — ვინიცობაა ფუნ-ჩინს გზაში მოწვევა მოესურვოსო.

ჯოშის ცხვირწინ ძველებურად უკვე აღარ მოსჩანს გაჩახახებულ კვარების თანავარსკვლავედი. ეს ცუდი ნიშანია, ისეთივე სარწმუნო, როგორც სიკვდილი. კერპს აღარავინ უვლის და იგი ახლა გაზინთული და გამქვეარტლულია ერთიანად. ამაში ბრალი მემსაჰიბს უდევს. ერთხელ ფუნ-ჩინმა დააპირა მოოქროვილი ქაღალდები დაენტო მისთვის. მემსაჰიბმა დაუშალა — ფულს ტყუილად ნუ ფლანგავ, კვარი დაუდგი, ჯოში განსხვავებას მაინც ვერ შენიშნავსო. მემსაჰიბი ზედმეტ ხარჯებს ერიდება და ახლა კერპს წებონარევი კვარები უნთია. ეს კვარები გვიანობამდე იწვის და ოთახში საზარელი სუნი დგება. კუქუს ხომ ნულა იკითხავთ. საქმე კარგად ვერ წავა, თუ სახლის პატრონები ასე განაგრძობენ. ვატყობ, ჯოში ჯავრობს. ხანდახან, გვიან ღამით, იგი ათასგვარი უცნაური ფერებით ნათდება, როგორც ეს ფუნ-ჩინის დროს სჩვეოდა. კერპი თვალებს ქაჩავს და ფეხებს ეშმასავით აბაკუნებს.

ვერ გეტყვით, რად არ ვტოვებ ამ ადგილს და არ ვეწევი ობიუმს ჩემს პატარა მყუდრო ოთახში, ბაზრის ახლოს რომ მიჭირავს. ცინ-ლინი ამას არაფრით მაპატიებდა. ვერ შეელოდა ჩემს სამოც რუპიას. იქნებ მოვეკალი კიდევ. გარდა ამისა, გადასვლას ათასი დავიდარაბა სჭირია. „ჭიშკარსაც“ ძალიან შევეწყე, თუმცა პირვანდელი ლაზათი სულ დაკარგა. მაინც მენანება მისი მიტოვება. ღია ცის ქვეშ სიკვდილზე ფიქრიც მზარავს. აქაურები კი ჭილოფებზე აბარებენ უფალს სულს.

ფუნ-ჩინი არავის გააჭაჭანებდა ისეთს, ვინც სიკვდილისწინა ზიარებით თუ სხვა ამგვარი რამით დაარღვევდა იქაურ სიმშვიდეს. ცინ-ლინი სულ სხვა კაცია. ყველგან გაჰყვირის, რომ მისი სახლი უპირველესია, არ კი ცდილობს კაცს ხელი მოუწყოს, და ამ არეულობას ბოლო მოუღოს. „ჭიშკარს“ ახლა ზანგები თულა ეტანებიან. ფუნ-ჩინის ძმისწული შიშით კარს უკეტავს თეთრკანიანებს და მეტიცებს. ჩვენ, ძველ

ბინადართ — მე, მემსაპიბსა და მეორე ევრაზიელს კი გვერი-
დება, თუმცა არაფრით გაიმეტებს სესხად თუნდაც ერთ
ჩიბუხს.

ვგონებ, ამ დღეებში მოკვედები აქ, ამ „კრეშკარში“. სპარ-
სი და მადრასელი ძალზე მოტეხილები არიან: ჩიბუხის
ანთებაშიაც ბიქს იშველიებენ. მე ამას მაინც ჩემით ვახერხებ.
აგრე ჩანს, ისინი დამასწრებენ სიკვდილს, მაგრამ არა მგონია,
მემსაპიბსა ან ცინ-ლინს გაუფსწრო. ქალი მამაკაცზე გაცი-
ლებით იოლად ეწყობა „შავ კვამლს“. ცინ-ლინი კი თუმცა
იაფფასიან ოპიუმს ეწევა, ძნელად დასაჯაბნია, საკმაოდ ურე-
ვია ბიძის სისხლი.

მახსენდება მეძავი ქალის სიკვდილი: მან ორი დღით
ადრე იგრძნო აღსასრულის უამი და წინასწარ გამზადილ
სუფთა კილოფსა და კარგად გატენილ რბილ ბალიშზე
მიიცვალა. მისი ჩიბუხი ფუნ-ჩინმა ჯოშის თავთან დაჰკიდა.
მოხუცს ყოველთვის უყვარდა ეს ქალი, მაგრამ სამკაულები
მაინც ააძრო. მე ვისურვებდი ამგვარ სიკვდილს, სიკვდილს
სუფთა, გრილ კილოფზე — საუცხოო ოპიუმით სავსე ჩი-
ბუხით. როცა ვიგრძნობ, რომ ჩემმა საათმა დაჰკრა, ყოვე-
ლივე ამას მოვთხოვ ცინ-ლინს. მოვთხოვ სუფთა, გრილ
კილოფსა და ძვირფას ოპიუმს, ჩემი ყოველთვიური შემო-
სავლით კი ისარგებლოს, სანამდეც სურდეს.

შემდგომ ამისა მოხერხებულად წამოვწვები გულამა,
გაყუჩდები და უკანასკნელად დავაშტერდები წითელი და
შავი ურჩხულების სასტიკ შერკინებას, მერმე კა...

ეპ, დავანებოთ ამას თავი, ჩემთვის ამქვეყნად ღლარ:ფერს
არა აქვს ფასი. ერთს ვითხოვ მხოლოდ: ნულა ჩაყრის ცინ-
ლინი ნამწვს ოპიუმში.

ფეხზე — საკუთარი ქალამანი, მხრებზე — საკუთარი თავი.

ადგილობრივ მკვიდრთა ანდაზა.

იქნებ მოწყალეა მოილოს ბატონმა და მხლებლად დამიყენოს, თუნდაც ექვს რუპიად. ყაბულსა ვარ. დიახ, საპიბ, არ დაგავიწყდეს შოშიებივით პირდაღებული სამი ბავშვი მყავს. ხორბალი კი ერთ რუპიად მხოლოდ ოცი გირვანქა მოდის. ისეთი საზრიანი მხლებელი ვიქნები, ბატონი დღის ბოლოს ყოველთვის ნაამები დარჩება და წლის თავზე ვინძლო ჩალმაც კი მიბოძოს. ზეპირად ვიცი სამხედრო დასახლებების მთელი ქუჩაბანდები და ათასი სხვა რამეც. ჰკუაუ მიჭრის და მიმსახურე, ბატონო ჩემო. ადრე პოლიციაში ვირიცხებოდი. რაო? ცუდი სახელი მაქვს? ალბათ მტრებმა დამიყარეს ასეთი ხმები. არა, თაღლითი არასოდეს ვყოფილვარ. წმინდა გულის ადამიანი ვარ და ჩემი ყოველი სიტყვა ნაღწე ნაღდია. პოლიციაშიც ასე მიცნობდნენ. იტყოდნენ ხოლმე: აფხალ-ხანი გულმართალი კაცია, მისი სიტყვა სანდოა. მე დელის მკვიდრი პათჰანი ვარ. იჭაურ პათჰანებზე კი აუგი არ ითქმის. ხომ გინახავთ დელი? ისე კი არამზადებს დელიშიც რა გამოლევს. არც უმაგისობაა, ნამდვილი ბრძენკაცი ჩანს საპიბი. მის თვალს არაფერი გამორჩება. უბით ვატარებ შენს ბარათებს, ძეხორციელი ვერაფერს შეიტყობს. არავისთან არ დავიკვებებ, კრინტსაც არ დავძრავ, რომ ასეთი პატივი მერგო. არა, საპიბ, ღმერთია მოწამე, გულში ცუდი არაფერი გამივლია. მარტოდენ იმის მოწადინე ვარ,

ღირსეული საპიბის მსახური გავხდე. ახალგაზრდა საპიბთა უმეტესობა კი ჯაჭვიდან აწყვეტილ ეშმაკსა ჰგავს. მართალია, ჩემს პატარებს ნატეხი პური სანატრელი აქვთ, მაგრამ მაგათ მაინც ახლოსაც არ გავეკარები. პოლიციაში სამსახურს რად დავეთხოვე? სრულ სიმართლეს გეტყვი. დაინავსა იქაურობა. ჰავილდარ რამ ბახშს, მაულა ბახშს, ჯაგატ რამს, ბჰიმ სინგ-ჰსა და სურაჯ ბულს, — არც ერთს არ ადვას კარგი დღე. რამ ბახში ციხეში ზის. ტუსალი გახლავთ მაულა ბახშიც.

ეს მოხდა ჰაულის თჰანაში — გოკრალ სიიტარუნის შა-რაზე, სადაც დაკოიტები თარეშობენ. ყოჩალი ჯეელები ვი-ყავით — რუსტუმები გვეთქმოდა. ამიტომაც გავგავზავნეს იმ თჰანაში, რვა მილით რომაა დაცილებული მეორე თჰანას. მთელი ღამე ვუთვალთვალეზდით დაკოიტების გამოჩენას. რატომ იცინის საპიბი? დამაცალოს ჩემი აღსარება. დაკო-იტები ძალზე გამჭრიახნი აღმოჩნდნენ და როცა ამას მივხვდით, თავიც ვანებეთ. თაკარა სიცხე იდგა. ჰაჰანაქჰა-ში, როცა ქვეყანა იწვის, ადამიანი მოჩვარულია... თვით ჯანმგარი საპიბიც ალბათ ვერ ეწყობა სიცხეს. მშვიდობა გვსურდა. ამიტომაც დავზავდით მათთან. გეგმა სქელვა ჰავილდარმა დააწყო. ჰოუ! ჰოუ! საპიბ, ასლა იგი ხორცსა ყრის, ციხის ფარდაგზე მიდებული. ჰავილდარმა შეუთვალა შარის ყაჩაღებს: თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის, ნუ ვერ-ჩით ერთმანეთსო. მკათათვის დასასრულს ვინმე ბეყეირათო კაცი უნდა გამოეგზავნათ მსაჯულის თვალის ასახვევად. ჰკვათხელს ვინდა რას მოჰკითხავდა და ჩვენი ღირსებაც არ შეილახებოდა. დაკოიტები ამას დაყაბულდნენ. მშვიდობა ჩამოდგა თჰანაში და მთელი დღე ნესვებს შევექცეოდით ტან-ტებზე გაშხლართულები. შაქრის ლერწამივით ტყბილია, სა-პიბ, ჰაულის ნესვი.

ერთი ტანმოკლე საპიბი იყო იმ ოლქში. სახელად იუნკუჰ საპიბი. მტკიცე ხასიათის კაცი გახლდათ, ლამის იმ საპიბის ბადალი, ვინაც თავისი ფრთის ქვეშ უნდა შემოფაროს. ათასი თვალი ება იუნკუჰ საპიბს, უსწრაფესად მიმოქროდა თავის ოლქში. გოკ'ალ სიიტარუნის ვეფხვს ეძახდნენ, რადგან ულოდნელად იცოდა თავდასხმა და მსხვერპლის მოშობა.

იმასაც მოასწრებდა მზის ჩასვლამდე, მთელი ოცდაათი მილის დაშორებით დაბანაკებულ ტექსილდარებს დააცხრებოდა და შეე დღეს დააყრიდა. არავინ უწყოდა მისი ასავალ-დასავალი. კარავი არსად ედგა, სადაც უღამდებოდა, იქ უთენდებოდა. როცა ცხენი დაეღლებოდა, ეშმაკის ეტლით დაქროდა ხოლმე. ბევრჯერ მინახავს სამ ვერცხლისფერ ბორბალს შუა ჩამჭდარი საპიბი. ამ ეტლს საპიბი ისე მართავდა ფეხებით, გეგონებოდათ, ქერით ნაპატიებ ცხენს მიაკენებსო. აი, ასე. ველზე მომქროლავი ქორის ჩრდილიც არაა ისე უხმაურო, როგორც ეგ ეშმაკის ეტლი გახლდათ, ხან სად ამოყოფდა თავს, ხან სად. როგორც კი ცნობას მიიღებდა საიდანმე, წამსვე თავს დაატყდებოდა იმ ალაგს, ერთ ალიაქოთს ასტეხდა.

ას ამბავი იმ ღამეს მოხდა, როცა ჩვენ, თჰანას მცველების დანაწესისამებრ ქვეშაგებზე გვეძინა. ძილის წინ ვივახშმეთ და თუთუნიც დავლიეთ. დილით გავიდვიძეთ და რა ვნახეთ? ჩვენი ექვსი შაშხანიდან აღარც ერთი არ დაგვხვდა. არსად იყო ის დიდი დავთარიც, ჰავილდარს რომ ებარა. თავზარი დაგვეცა. ასე ვიფიქრეთ, ალბათ დაკოიტებმა გატეხეს სიტყვა და გაგვაბითურესო. მაშინ ჰავილდარმა რამ ბახშმა შეგვიძახა: იყუჩეთ, ჩვენს თავს ცუდი ამბავია, მაგრამ საქმეს მაინც მოევლება. თიკანი მომგვარეთ და ხმალი მომიტანეთ. ახლა მაინც ვერ მიმიხვდით განზრახვას? როგორ შეგასმინოთ. ნათქვამია ცხენს — დეზითა, კაცს — სიტყვითაო.

ჩვენ, თჰანას რაზმელები, უმალ მივუხვდით ჰავილდარს ჩანაფიქრს. თანაც სამსახურის დაკარგვისა გვეშინოდა. სასწრაფოდ შევათრიეთ თიკანი ოთახში და ყური მივუგდეთ ჰავილდარის სიტყვებს. — ოცი დაკოიტი მოგვექრა — თქვა ჰავილდარმა და ჩვენც წესისამებრ გავიმეორეთ მისი სიტყვები. — ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა — განაგრძობდა ჰავილდარი, — ჩვენგან უვნებელი არავინ გადარჩენილა. ფანჯრის რიკულები ჩაილეწა. ეი, სურაჯ ბულ, ხალხნო, თქვენც, უმალ მიხედეთ ამ საქმეს. შიკრიკი აფრინეთ გოკრალ სიტარუნის ვეფხვთან.

მერე ის იყო, სურაჯ ბული მხრებით მიაწვა ფანჯარას

რიკულებს და შეამტერია. მე კი ჰავილდარის ჰაკ ცხენს მოვახტი, მათრახი დაეუშინე და დავშლიგინობდი ნესვების კვლებში, ვიდრე ცხენის ფლოქვებმა არ მობეკნა იქაურობა.

როცა ამებებს მოვრჩით და თქანაში დავბრუნდით, იქ თხა დაიკლა. კედლები ალაგ-ალაგ შევკვამლეთ და თითოეულმა ჩვენგანმა ტანისამოსი მოისვარა თხის სისხლით. გახსოვდეს, საპიბ, ადამიანის მიერ საკუთარ სხეულზე მიყენებულ ჭრილობას გამოცდილი თვალი იოლად არჩევს სხვისი მახვილის დანაკრავისაგან. ამიტომაც აილო ჰავილდარმა თავისი ტალვარი, ერთ-ერთ ჩვენგანს მკლავზე შემოჰკრა ხორცმრავალ ადგილას, მეორეს — ფეხზე, მესამეს ხელის ზურგი დაუსერა. ასე ჩამოჰყვა ყველას და სისხლი აღინა. სურაჯ ბული, ვინაც მეტისმეტად გამოიდო თავი, ყველაზე მაგრად იყო დაჩეხილი.

ო, საპიბ, გასაკვირად მარჯვედ მოეწყო საქმე. დიახ ლამის მეც მერწმუნა, რომ ოქანას დაკოიტები დასხმოდნენ თავს. ამ არე-მიდამოზე კვამლის სუნიც დიოდა, ნამსვრევებიც ეყარა და სისხლიც ეღვარა, მიწაც გადათქერილი იყო ცხენის ფლოქვებით.

— ახლა გაქუსლეთ — თქვა ჰავილდარმა, — დაგვალული საპიბის სახლისაკენ და ამცნეთ დაკოიტების თავდასხმის ამბავი.

— შენაც, აფზალ ხან, გავარდი და არ დაგავიწყდეს, რომ მტერთა და ოფლით მოთხვრილი უნდა ეჩვენო. მე აქ დავრჩები და დაწვრილებით პატაკს გავუგზავნი საპიბის მოადგილეს, სოფლელებსაც დავაპატიმრებ.

მაულა ბახშმა ცხენი დაძრა, მეც დეზი ვკარი ჩემს იორლას და ორთავენი ასე გასაცოდავებულნი წარვდექით რიპერტრის თეჰსილში, გოკრალ სიიტარუნის ვეფხვის წინაშე.

გრძლად და დალაგებულად მოვეუთხრეთ ყოველივე. შარს ვერაფერში მოგვდებდა. დაკოიტების სახელებიც არ დაგვვიწყნია. ბრძოლის სურათიც დავხატეთ. დაბოლოს ვთხოვეთ თან წამოგვეყოლოდა. ოღონდ ვეფხვმა ყურიც არ გააბარტყუნა. მხოლოდ ყასიდად გაიღიმა, როგორც სჩვევიათ საპიბებს, როცა რასმე ცუდს გაივლებენ გულში.

— აბა შემომფიცეთ, რომ თქვენი პატაკი უტყუარია, — მოგვმართა მან.

ჩვენ მივუგეთ — ვფიცავთ შენი მონამორჩილნი, ბრძოლის სისხლი ზედ შეგვხმობია.

— ვხედავ, — მოგვიგო მან. — გიყოჩაღნიათ. მაგრამ ცხენი მაინც არ მოითხოვს; არც ეშმაკის ეტლი. არც გული უწევდა, როგორც ჩანდა, ჩვენ მიდამოში სანავარდოდ.

ასე თქვა: ახლა წადით, დაღლილები იქნებით და წახებმსეთ. მე საპიბის მოადგილეს დაველოდებიო.

წეს არს, რომ თჳანას ჰავილდარმა დაკოიტების თავდასხმის შესახებ პატაკი უნდა მიართვას საპიბის მოადგილეს. შუადღისას ჩამოვიდა იგი. ტანსრული, ხნიერი და ამპარტავანი კაცი იყო. ჩვენ, თჳანელები აინუშშიაც არ ვაგდებდით მის რისხვას, გოკრალ სიიტარუნის ვეფხვის დუმილმა კი საგონებელში ჩაგვაგდო. მოადგილეს თან მოჰყვნენ ჰავილდარი რამ ბახში და კიდევ სხვებიც, რომლებიც ბადრაგობდნენ სოფელ ჰაულის ათ მცხოვრებს. ამათ ისედაც ცუდი თვალით უყურებდა სირკარის პოლიცია. დატყვევებულთ ხელებზე ხუნდები ედოთ. ტუსალები შეწყალებას ითხოვდნენ. ესენი იყვნენ: იმამბახში, მემამულე, ვინაც ცოლის გამო შეება ჰავილდარს და სხვებიც მოეყვანათ აქ სახელგატეხილნი, ავისმომქმედად მიჩნეულნი. ჩვენ, თჳანელებს დიდი ხანია მათი ჯავრი გვჭირდა.

ყველაფერი მოგვარდა და ჰავილდარიც სიამაყით აღივსო. მოადგილე გაბრაზებული იყო ტანმოკლე საპიბზე. დიდად არ გარჯილათ, გაიძახოდა. საპიბების ჩვეულებისამებრ ერთი შეგვიკურთხა და ჰავილდარი შეაქო.

იუნკუმ საპიბი კი თავის გრძელ სავარძელში იწვა გაუნძრევლად.

— ამ ხალხმა ფიცი თუ დადო? — იკითხა მან.

— დიახ, და ათი არამზადაც შეიპყრეს. — მიუგო საპიბის თანაშემწემ.

— უფრო მეტი კი ალბათ, თავისუფლად დაეხეტება თქვენ ოლქში. ცხენებს მოახტით და გაქუსლეთ, სირკარის

სახელით შეიჭერთ პროვინციაში. იქ ჯერ კიდევ ბლომად იქნებიან ასეთი ოხერტიანები. — თქვა იუნკუმ საპიბმა. — თუმცა ვგონებ, ეს ყველაფერი საჭირო არ უნდა იყოს. აქ მოდით ყველანი.

იმამ ბახშის საფეთქლებზე ბაწრის ნაჭდევი შევნიშნე. იცის კია ჩემმა ბატონმა უცეცხლოდ წამების ხერხი? გოკრალ სიიტარუნის ვეფხვის თვალებზე ბოროტი ღიმილი დაჩნდა.

გაშეშებული შევეყურებდი და ველოდი, რა მოხდებოდა. იუხკუმ საპიბმა შეალო აბანოს კარი და კვლავ ჩაიღიმა.

იქ ეწყო ჩვენი ექვსი შაშხანა და თჰანას დიდი დავთარიც იქ იღო. ვეფხვი ღამით მოსულიყო უხორცო სულივით უჩუმარი ეშმაკის ეტლით. ასე აგვაცალა მან მძინარეებს შაშხანებიცა და დავთარიც. ორჯერ მოგვაკითხა თურმე და თითო გზობაზე სამ-სამი შაშხანა წაიმძღვანა.

ჰავილდარს კინალამ ნალველი ჩაექცა. იუნკუმ საპიბის წინ მტვერში დაემხო, მის ჩექმებს წაატანა ხელი და მოწყალება მოიღეო, შეჰვედრა.

მე რას ვიქმოდო? დელიში ნაშობი პათჰანი გახლავარ, საპიბ. ახალგაზრდა კაცი ვარ, წვრილშვილიანი. ჰავილდარის ჰაკი ცხენი შემორაგულში ება. გავქანდი, შევახტი იმ ცხენს და გავქუსლე. ვგრძნობდი, აგერ-აგერ და მომეწეოდა ხელი-სუფალთა რისხვა. ჰოდა, მანამდე ვაჰენე ცხენი, ვიდრე არ დავარდა და სული არ განაფრთხო. ალაპის მადლით, ვინაც უცილობლად მართალი კაცის მხარეზეა, სამშვიდობოს გაველა: ჰავილდარი და დანარჩენები კი ციხეში სხედან.

ყალთაბანდიო? რა ბრძანებაა, ჩემო ბატონო. ღმერთი შეეწევა მას და შესძენს დაგანძულ, ფერიასავით მშვენიერ მემსაპიბსა და საღსალამათ შვილებს, თუკი თავის მხლებლად გამიზნის. ღვთის წყალობა გადმოვა მაშინ საპიბის თავზე. მაშ, ახლა ისღა დამრჩენია, ბაზარს ვაშურო და წვრილშვილი წამოვასხა ამ სასახლესავით დიდებულ ბინაში. ამის შემდეგ ბატონი იქნება ჩემი მამა და ჩემი დედაც, მე კი, აფხალ ხანი, მონა გავხდები მისი. ოჰე, კადირ ბახშო! მე ხომ ამიერიდან საპიბის ჯალაბისა ვარ!

დანგარას მსჯავრძი

შეხედეთ ერთი ფერგამკრთალ მარტვილს — ტანს გენა მოსდებია.

ახოთამწყობის შეცდომა

ამ ამბავს ახლაც ჰყვებიან ბერბულდას მთებში და დასტურად მიათითებენ ხოლმე მისიის სახლზე, რომლისგანაც მარტოდენ კედლებილა დარჩა. დიადმა ღმერთმა დანგარამ, გამრიგემ ყოველთა არსთა, მრისხანემ და ცალთვალამ, სპილოს წითელი ეშვის მფლობელმა, მოიმოქმედა ყოველივე და ვინც განუდგება დანგარას, მას რისხვად მოეველინება ცოფი იატისა და ისე გადაცდება ჰკუიდან, როგორც დაემართა ბარია კოლის ტომის მოდგმას, როს მათ ხელი ააღეს დანგარას და ტანთ შეიმოსეს. ასე უბნობს ათჰონ დაზე, მთავარი ქურუმი ტაძრისა და სპილოს წითელი ეშვის ებგური.

მაგრამ თუ ამის შესახებ იქაური მმართველის ნაცვალსა ჰკითხავთ, ვისაც აკისრია ბარია კოლელთა მეურვეობა, ის სიცილს დაგაყრით; განა იმიტომ, რომ ამრეზილია მისიონერებზე — სრულიადაც არა. ესაა მხოლოდ, მან საკუთარი თვალთ იხილა, როგორ იძია შური დანგარამ ტუბინგენის მისიის პასტორ იუსტუს კრენკსა, მის სათნო მეუღლე ლოტასა და მთელ მრევლზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ თუკი ვინმე იმსახურებდა ღმერთების წყალობას, ასეთი ადამიანი სწორედ ღირსი მამა იუსტუს კრენკი გახლდათ, რომელიც აჰყვა შინაგან ხმას, დაჟრტევა ჰაიდელბერგი, გადმოეშურა ამ ველურეთში და თან წამოიყოლა ცისფერთვალემა, ქერათმიანი ლოტა.

„ჩვენ ამ გონებადბნელებულ კერპთაყვანისმცემლებს უმკველად მოვარჯულებთო,— იტყოდა ხოლმე იუსტუსი თავისი დამტკრეული ინგლისურით და თან დასძენდა: — დიახ, ჩვენ გავაკეთილშობილებთ მათ. დავაჩვენებთ საკუთარი ხელით მოიპოვონ სარჩო, ყველა კეთილი ქრისტიანი ხომ უნდა იჯაფოდეს“.

და თავისი მწირი ჯამაგირითაც, რომელიც ინგლისელი მედავითნის შემოსავალსაც ვერ უტოლდებოდა, იუსტუსს კრენკი რაღაცნაირი მანქანებით ახერხებდა თავი გაერთმია მისიის საქმეებისათვის; იმ მისიისა, რომელიც მდებარეობდა ქამალას იქით, მალაირის ხეობის, მდინარე ბერბულდას გადაღმით, დანგარას ტაძრით დამშვენებულ პანთპის ცისფერი მთის ძირას — გულალალ, ნებიერ ბარია კოლელთა ტომის სამფლობელოს შუაგულში, რომლებიც დედაშობილა იარებიან და არ უწყყიან, რაა სირცხვილი.

ახლა აღარ იკითხავთ, რა გელით ასეთ გადაკარგულ მისიაში? ისეთი ეულობა, იმგვარი სიმარტოვე, რომ ყველაზე ყრუ ადგილიც კი ამასთან სამოთხედ მოგეჩვენებათ.

გაახელთ თუ არა თვალს, მარტოობა მაჭლაჯუნასავით დაგაწვებათ, ძალაუნებურად მთელი დღე საქმეს უნდა გადააყოლოთ გული. აქ არც წერილი აღწევს, ხმის გამცემი თქვენი რჯულის კაცი წამლადაც არ იპოვება. არც გზაა. საკმელს კი იშოვნით, მაგრამ ვაი ამ საკმელს, ჩალასავითაა, არაფრის გემო არა აქვს.

და თუ გსურთ სიცოცხლეს რაიმე შნო და ლაზათი ჰქონდეს, ამის იმედად თქვენივე სული უნდა იგულვოთ და უფალი ღმერთი.

დილაობით ფარული იქვით შეპყრობილი ახლადმოქცეულნი და აშკარად მოქირდალი ურწმუნოები შიშველი ფეხების ტყაპატყუპით მოჯარდებიან პარმალზე. თქვენ გმართებთ უსაზღვრო სილბილე და დათმენა, გარდა ამისა, გამჭრიახობაც, რადგან საქმე გიჭირავთ ბავშვურ მიამიტობასა, ასაკოვანი ადამიანის გამოცდილებასა და ველურის ცბიერებასთან. არ უნდა ივიწყებდეთ თქვენი სამწყსოს ჰირვარამსაც. რაკი ღვთის წინაშე მათი მოსარჩლეობა იკისრეთ, ამი-

ტომაც, უპირველესი თქვენი ვალია, ამ ტყუილთა შორის მოიძიოთ სულიერი ნაპერწკალი, რომელიც შესაძლოა მათში ღვიოდეს. თუკი სულის გარდა სხეულსაც მიხედავთ, მაშინ საქმე უფრო საძნელო გახდება. სნეულნი და სახიჩარნი აღიარებენ ყოველგვარ რწმენას, ოღონდ განიკუთნონ, მერე კი საცინლად აიგდებენ თქვენ გულუბრყვილობას, რომ ენდეთ და დაუჭერეთ.

როს მოსაღამურდება და დილანდელი სიხალისის კვალიც აღარ შეგრჩებათ, მაშინდა იგრძნობთ, რომ ამოღ დაშვრით. ამ მწარე გრძნობას არ უნდა დაეჩაგვრინოთ. უნდა გამოძრავებდეთ რწმენა, რომ ეშმაკსა თრგუნავთ ადამიანის სულის სახსნელად. ეს რწმენა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ, ოღონდაც მას, ვისაც სურს დღენიადგ ურყევად შეინარჩუნოს იგი, უნდა გააჩნდეს კაჟივით სხეული და უსაზღვრო მოთმინება.

ჰკითხეთ აბა, ბანოკბურნელ, ჰლარითმოსილ აქიმ ჰვაროსნებს. ანდა რაისინის სახარების გამავრცელებელ საზოგადოებას — იმ ძვალტყავა ამერიკელებს, რომლებიც იკვებნიან, გზა-შარად გავიხდით ისეთ ადგილებს, სადაც ინგლისელები ცხვირის შეყოფასაც ვერ ბედავენო.

სცადეთ, იქნებ ტუბინგენის პასტორმა მოგითხროთ, თუ რა გადახდა თავს. ოფიციალურ ანგარიშებს გადმოგრაგებენ. ამ ანგარიშებში კი ხსენებაც არაა მათი, ვინც ამ უდაბნოში ჩატოვა ახალგაზრდობა, ჰანმრთელობა და ყველაფერი, რაც გააჩნდა, გარდა რწმენისა. იქ ვერ ნახავთ იმ ინგლისელი ჰალიშვილების სახელებს, რომელთაც დაუტევეს თავიანთი სამშობლო და პანთჰის მთების ციებიან ჰუნგლებში დაასრულეს სიცოცხლე, თუმც წინასწარ უწყოდნენ, უცილობელი სიკვდილი რომ ელოდათ. პასტორებიდან ყველამ იცის ეს ამბები, ასევე ყველასათვის ცნობილია ერთი სენტ ბიზელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც სადღაც შორეთში იღვწოდა ღვთისნიერი საქმისათვის, მაგრამ ვერ აიტანა მარტობა და ნახევრად შეშლილი დაბრუნდა მისიაში ყვირილით: ღმერთი არ არსებობს, ეშმაკი კი საკუთარი თვალით ვიხილეო.

მსგავსს ვერაფერს ამოიკითხავთ ამ ანგარიშებში. ვინკე ცივილიზებული თეთრკანიანის გმირობა, მარცხი, იქვე თუ ბრმა რწმენა, სასოწარკვეთა თუ თავგანწირვა ხომ ვიეთთა ღვთისმოსავთ არაფრად უჩანთ. მეტი არაფერი ედარდებათ, ოღონდ კი გაუფანტონ თუნდაც ერთ ადამიანს (თუკი მას ადამიანი ეთქმის) მთისა და ტყის ქაჩების, კლდეთა ხიზანი ავსულებისა და მდინარის ალებისადმი ცრურწმენა. არც მმართველის ნაცვალი გალიო და არც არავინ თავს არ იწუხებდა ამეებზე ფიქრით. არადა, ბარია კოლელებს უყვარდათ იგი, პატივს სცემდნენ და არ აკლებდნენ კვილთით ნანადირევ თევზს, დაბურული ტყის ქანკრობში მოწყვეტილ ჯადვარის კონებს, გარეულ ფრინველს. ისიც ქინაქინას არ იშურებდა და უზენაეს ქურუმ ათპონ დაზესთან ერთად სათავეში ედგა ამ ტომის ძალზე მარტივ წეს-წყობილებას.

— ვინც ამ ქვეყანაში რამდენიმე წელს დაჰყოფს, — თქვა ერთხელ გალიომ კრენკებთან გამართულ სადილზე, — ყოველგვარ რწმენას ერთნაირი თვალთ შეხედავს. მე, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად ამოვიდგებით მხარში. ერთსა გთხოვთ, ნუ დამიჩაგრავთ ჩემს ბარია-კოლელებს, ისინი ურიგო ხალხი როდია, თანაც ჩემზე არიან მონდობილნი. — მე მათ ქრისტეს მცნებას შევასწავლი, — წარმოთქვა იუსტუსმა და მრგვალი სახე გადაუნათდა აღრფთოვანებისაგან. — მათი ცრურწმენების ამოძირკვას ნაუტბათევად როდი მიეყოფ ხელს, მაგრამ თქვენ, ჩემო მეგობარო, ვერ მოგიწონებთ რელიგიის ასე ხელალებით მოხსენიებას.

— ჰეიპო, — თქვა გალიომ. — მე უნდა ვიზრუნო მათ ხორცზე. სულები თქვენთვის დამითმია, ოღონდ ნუ გასდევთ თქვენი წინამორბედის, მაკნამარას კვალს, თორემ სიცოცხლის თავდებად ვერ დაგიდგებით.

— ასეთი რა შეემთხვა? — უღრტვინველად, ვითომდაც აქ არაფერიაო, იკითხა ლოტამ და ჩაი გაუწოდა ფინჯანთ.

— ზედმეტი მოუვიდა — ქოლგა დაუშინა თავში ბებერ დანგარას. რა გაემტყუნება, გამოუტყდელი იყო. ბარია კოლელებმა გამოაპანლურეს იქიდან და მაგრად მიბერტყეს. იმ დროს ოლქში გახლდათ და შიკრიკს გამოატანა ბარათი, —

მორწმუნეობის გამო მდევნიან, ჭარისკაცები მომაშველეთო. ჭარის უახლოესი ნაწილი კი ამ ადგილიდან ბარე ორასი მილის მანძილზე იყო დაბანაკებული. მივხვდი, რა მახეშიც გაება ეს კაცი. ცხენით მივკენდი პანთაში მოხუც ათპონ დახესთან. მამაშვილური საუბარი გაეუბი. ვუთხარი, თქვენისთანა ბრძენ-კაცი როგორ ვერ მიხვდა, რომ საპიბს მზემ დაჰკრა და ჰკუაზე შეცდა-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ ნანობდნენ სუყველანი. ათპონ დაზემ მომიბოდისა, შეშა და რძე გაუგზავნა თეთრ კაცს, ფრინველი და ათასი რამ. მე ხუთი რუპია შევწირე ტაძარს, ხოლო მაკნამარა ლაზათიანად გამოგიათთხეთ. არ მეპუებოდა, — კერპსა მონობ, მისი ბომონის წინ მუხლს იყრიო — მომაძახა. მაკნამარა რომ ქედს გადასულიყო და სარია კოლის ტომის ღეთაება პალინ დეო შეეგინებინა, მაშინ ველარას ვუშველიდი. ხელად გასვამდნენ წვერ-შერუჯულ ბამბუკის ძელზე. რაღა ჩარა მექნებოდა, თოკზე უნდა ჩამომეკიდა თითო-ოროლა საბრალო ველური. ნუ დაჩაგრავთ მათ, Padri... მაინც არაფერი გამოგივათ.

— როგორც უფალი ინებებს — თქვა იუსტუსმა, — პატარა ბავშვებიდან დავიწყებთ. ბევრი მათგანი ხომ დასნეულებულა. ასე არაა განა? ბავშვებს დედები მიჰყვებიან, შემდეგ მამები... ეჰ, კარგი იყო მხარში ამოგვდგომოდით.

გალიო დავმშვდობა მათ და გაეშურა ალაგ-ალაგ შემოჩვეული აბეზარი ვეფხვების გასაჟლეტად, აშმორებულ ჭუნგლებში ღამეების სატეხად, ჩამომპალი ბამბუკის ლონდების მისახედად, მომხვდური სარია კოლელი მხედრებს კვალში სადევრად, ვისაც წესად აქვთ მოჭრილი თავების ნადავლად წატაცება.

გალიო იყო ერთი ფეხმოჩორთვილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ღმერთისა და ხატის არაფერი სწამდა. იგი მხოლოდ უმაღლესი ძალაუფლების ტრფიალი გახლდათ. ასეთ ძალაუფლებას კი სწორედ ეს უკეთური, პირქუში მხარე ანიჭებდა.

არავინ მეცილება ამ თანამდებობას, თვალი ზედ არავის ჩიებაო, არაერთხელ აღმოხდენია მწარე ღიმილით. — ჩემდ უფროსი ათასში ერთხელ თუ შემოყოფს ცხვირს ამ კუთხეში

ში, ისიც მაშინ, თუ ციების საფრთხე არ ელის. მე მეფე ვარ და ბატონი აქაურობისა, ათჰონ დაზე კი ჩემი ნაცვალია.

გალიო იკვეხნიდა, რომ ჩალის ფასად უჩანდა ადამიანის სიცოცხლე, თუმცაღა საკუთარი თავის გარდა არავინ ჩაუგდია საფრთხეში. და აი, ახლაც არაფერს დაერიდა — ორმოცი მილი იარა მისიამდე, უნაგირზე შემოსმული შავტუხა ჩვილით.

— Padri, — თქვა მან — ბარია კოლელებს წესადა აქვთ, თუ ბავშვები მომრავლდა, მათ სასიკვდილოდ გაწირავენ: ტყეში დაყრიან ხოლმე. იქნებ ასეც სჯობს, ნება მათია. თქვენ კი შემთხვევა გეძლევათ ერთი მათგანი გამოზარდოთ. ბერბულდას განშტოებასთან ვიპოვე. ვგონებ, დედამისი ამედევნა, ტყეებში კვალდაკვალ მდევდა და ვინძლო აქამდეც მომყვა.

— ესაა ჩემი სამწყსოს პირველი ბატკანი, — წარმოთქვა იუსტუსმა. ლოტამ მკერდზე მიიკრა აქყვირებული ჩვილი, მოუნანავა და ჩააჩუმა.

ამასობაში შორიდან ხარბად მომზირალი მატუი ქანც-გაცილილი ძუ მგელივით ქელავდა ქალაკში და უთვალთვალეზდა, რას მოიმოქმედებდა ყოვლისშემძლე მმართველის ნაცვალი. ხომ არ შეჭამდა ცოცხლად ეს შავით მოსილი ჩია კაცი მის გოგონას? ათჰონ დაზემ არა სთქვა განა, ეს შავოსნებს წესად აქვთო.

მთელი ის გრძელი ღამე ლერწმიანში ილოდინა, დილით კი მოველინა მშვენიერი, თეთრი ქალი, რომლის მსგავსი მას არასოდეს ენახა. ქალს ხელში აყვანილი ჰყავდა თოვლივით ქათქათა სამოსში შეფუთული მატუის პირმშო.

ლოტას არ ესმოდა ბარია კოლეღა ენა, მაგრამ დედები უსიტყვოდაც კარგად უვებენ ერთმანეთს. მატუის ხმა ჩასწყვეტოდა მღელვარებისაგან. მორიდალად გამოწვდილი ხელებისა და მავდრებელი თვალების შემხედვარე ლოტა მიხვდა, ვინც აყო ეს ქალი.

ასე დაიბრუნა მატუიმ შვილი — მსახურად დაუდგება, მონად გაუხდება ამ გასაოცარ თეთრ ქალს, აწი ხომ თვისტომნი ახლოსაც არ გაიკარებენ.

ლოტაც ცხვირსახოცს არ იშორებდა და გერმანელების ჩვეულებისამებრ ცრემლად იღვრებოდა მასთან ერთად.

— პირველად ბავშვი, შემდეგ დედა, დაბოლოს მამა. ყველა ესე ღვთის სადიდებლად. — თქვა მსასოებელმა იუსტუსმა.

და მოდგა მშვილდოსანი მამაკაცი, ავი და მრისხანე, რადგან აღარავინ ჰყავდა კერძის გამკეთებელი. ამბავი მისიისა გრძელზე გრძელია. მარტოდენ იმას გაუწყებთ, თუ როგორ დაივიწყა იუსტუსმა თავისი უგუნური წინაპრის მაგალითი და ხელი შემოჰკრა გაპირუტყვებულ მატუის ქმარს ქალის შეურაცხყოფისათვის. როგორ დაფრთხა მატუის ქმარი, მაგრამ რაკი აღვიღზევე არ გაათავეს, გახალისდა და იუსტუსის ერთგული თანამდგომი გახდა. სწორედ იგი მოაქცია პირველად იუსტუსმა. როგორ იზრდებოდა მათი რიცხვი ათჰონ დაზეს ჯიბრზე. როგორ შეეტოქნენ ერთურთს დღეისდღის ღმერთისა და მყოობადის არსთგამრიგის მსახურნი. როგორ მოაკლდა დანგარას ტაძარს ძღვენი: გარეული ფრინველი, თევზი, თაფლის ფიჭა, როგორ შეუმსუბუქა ლოტამ ევას წყევლა ქალებს, იუსტუსმა კი აიძულა მამაკაცები, ეზიდათ ადამის ცოდვა. როგორ აღსდგა მათ წინააღმდეგ ბარია კოლელთა — ზარმაცი ღმერთის თაყვანისმცემელთა მოდგმა, და როგორ ჩააგონა მათ იუსტუსმა — ამ ბარაქიან ადგილას მიწის თხილზე უფრო მაწიერი ნაყოფიც მოგივათო.

ყველაფერს ამას არა ერთი თვე მოუნდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მხცოვანი ათჰონ დაზე იმას სჯიდა, თუ როგორ ეძია შური თავის ტომზე, ვინაც ხელი ააღო დანგარას. ველურისათვის ჩვეული ცბიერებით მან იუსტუსს მოყვარედ მოაჩვენა თავი. იმაზეც გადაუკრა სიტყვა, ქრისტიანობის მიღებაზეც უარს არ ვიტყოდითო. დანგარას თაყვანისმცემლებს კი ჩუმ-ჩუმად ჩააგონებდა: ვინც პადრეს სამწყსოს შეერთო, ტანთ შეიმოსა და შრომის ღმერთს დაემონა, კერპი ისეთ სატიკვარს შეჰყარის, ვინ იცის ყველანი ყვირილყვირილით გადაცვივდნენ ბერბულადს წყლებშიო.

ღამ-ღამობით სპილოს წითელი ეშვი ბუქსა სცემდა მთებში. მის ერთგულ ბარია კოლელებს ძილი გაუკრთებოდათ, მია-

ყურადებდნენ და იტყოდნენ: ყოველთა არსთა გამრიგე განსაცდელს უმზადებს მოღალატეებს. ო, დანგარა, მოწყალე იყავ ჩვენი და ჩვენი შვილებისა, გვიწილადე განდგომილთა მოსავალიო.

როცა მოზამთრდა, მმართველი და მისი მეუღლე ეწვივნენ ბარია კოლის მხარეს.

— ხომ არ მოინახულებდით კრენკის მისიას, — თქვა გელიომ — ურიგო საქმეს როდი აკეთებს; დიდად გაიხარებს, თუკი პატივს დასდებთ და მის მიერ აგებული ბამბუკის ტაძრის გახსნას დაესწრებით. არ გსურთ იხილოთ ცივილიზაციას ნაზიარები ბარას ტომი?

მისიაში ერთი ამბავი ატყდა.

— ახლა მმართველი და მისი მოწყალე ქალბატონი საკუთარი თვალით იხილავენ ჩვენი წვისა და დაგვის ნაყოფს. ჩვენ მათ წარვუდგენთ ახლად მოქცეულთ, საკუთარი ხელით შეკერილი სამოსით მორთულთ, ღვთის სახელის სადიდებელად, — წარმოთქვა იუსტუსმა და ლოტამაც დასძინა: ამენ.

იუსტუსი დიდი ხანია ბაზელის მისიონერთა მოშურნე იყო. ისინი ხომ თავიანთ მრევლს ქსოვაში წურთნიდნენ. იუსტუსის შეგირდებს კი ხელიდან არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ ათჰონ დაზემ იმარჯვა და ზოგ მათგანს შეასწავლა პანთპის მთაზე უხვად ნაზარდი მცენარეების ბოჭკოების პენტვა და აბრეშუმის პრილა ძაფის დართვა. მერე აქედან სამხრეთელი კუნძულების ტაპასავით თეთრი და სრიალა ქსოვილი გამოდიოდა.

იმ ღირსშესანიშნავ დღეს კი ახლადმოქცეულთ პირველად უნდა ჩაეცვათ ასეთი ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი და იუსტუსიც ფრიად ამაყობდა ამით.

— ისინი თეთრად მოსილნი შემოხვდებიან მმართველსა და მის დიდგვაროვან მეუღლეს და უგალობებენ „ვადიდოთ ღმერთი“. მერე კი ჩვენ განავხნათ საყდარი და მაშინ, შესაძლოა, თვით გალიომაც კი იწამოს ღმერთი. აბა ორ-ორად დაეწყვეთ, შვილნო ჩემნო. ლოტა, რა ტანის ქექვა აუტყდათ? ნელა, შვილო, ასე მანჭვა-გრეხა სად გაგონილა... მმართველი თვალს მოგკრავს და არ ეამება.

მერე ყველანი აღვიდნენ გორაზე, სადაც მისია იდგა. ახლადმოქცეულნი ორ რიგად დაამწყრივეს. თეთრად ქათქათებდა ორმოცამდე სულისაგან შემდგარი რაზმი.

— ოპო! — თქვა მმართველმა. — დიდი ნახტომი გაგიკეთებიათ წინ. ეს ბატონკაცი თავეკრძა ადამიანი გახლდათ და ყოველივე საკუთარ ნამოქმედარად ჩათვალა.

არასოდეს თქმულა უფრო მართალი სიტყვა, ღირსი მამა იუსტუსის სამწყსო სწორედ რომ ხტოდა.

თავდაპირველად ახლად მოქცეულნი ადგილზე ცმუკავდნენ, მერე კი ღრიანკალის დაკბენილი ცხენებივით ყარეს ტლინკები, კამარა შეკრეს გადაჩეული კენგურუებივით და პანთპის მთისაკენ გაჭენდნენ.

სპილოს წითელმა ეშვმა დაიბუხუნა. ახლადმოქცეულთა რიგები აირია და ერთის ვაი-ვაშით გაიფანტა იქეთ-აქეთ. იუსტუსი და ლოტა ზარდაცემულები შეჰყურებდნენ ამ სურათს.

— დანგარას წყევლამ გვიწია, — იყვირა ვილაცამ. — ვიწვი, ვიწვი! მდინარისაკენ, იქნებ თავს ვუშველოთ!

ბრბო შებრუნდა და მიაშურა ბერბულდაზე გადმოყუდებულ კლდეებს. ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა, ფეხებს აბაკუნებდა, ტანზე იხევდა სამოსს და გარბოდა დანგარას რისხვით დაზაფრული. ცრემლმორეულმა იუსტუსმა და ლოტამ მმართველთან მიიჩინეს...

— ვერაფერი გამიგია, — ამოიქლოშინა იუსტუსმა. — ჯერ კიდევ გუშინ ათ მცნებას ზეპირობდნენ... ახლა კი რას სჩადიან, ღმერთო ძლიერო, ნალა... ო, სირცხვილო!

ერთი ნახტომით მოველო კლდის თავს ოდესღაც მისიის სიამაყე, კეთილი, თვინიერი და სათნო ყმაწვილქალი, ახლა კი დედისობილად შთენილი და ფოცხვერივით ლაშდარენილი ნალა.

— ამის გულისათვის ვკარი ხელი ჩემს ხალხსა და დანგარას? — დაჰკვივლა მან იუსტუსს და კაბა მიუგდო, — ამისთვის უნდა დავიწვა ცოცხლად? ბრუციანო მაიმუნო, მიწის ჰიავ, გველთევზავ შენა, აკი მეუბნებოდი, ცეცხლი ვერაფერს დაგაკლებსო. ვიწვი, ვიწვი, შემიწყალე, ყოველთა არსთა გამრიგევი!

იგი შებრუნდა და ბერბულდას წყლებში გადაეშვა. დან-გარას საყვირმა საზუიმოდ დაიბუბუნა. ტუბინგენის მისიის უკანასკნელი ახლადმოქცეულიც სწრაფმა მდინარემ შორს გალაღა და გააშორა თავის მოძღვარს.

ამასობაში გალიო ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ქალწულის კაბას, რომელიც მის ფეხებთან ეგდო. ქსოვილი ხელით მოსინჯა, მერე მკლავები დაიკაპიწა და მზით გარუჯულ ადგილას მიიღო. თეთრ კანზე დაჩნდა წითელი იარა.

— აჰა, — დინჯად თქვა გელიომ, — ასეც ვფიქრობდი.

— რა მოხდა? — იკითხა იუსტუსმა.

— ამას ნესურის ხალათი ჰქვია, — ოლონდ ჯერ ეს მითხარით, ბოჰკო სად იშოვნეთ?

— ათჰონ დაზემ მიგვასწავლა.

— დახეთ ამ ბებერ მელას. მაგან ხომ ნილგირიული ჰინ-ჰარი შემოგატყუათ — *Lirardenia heterophylla* — ეგ მორიელის ნაკბენზე სუსხიანია. რაღა გასაკვირია, თუ მთელი ეს ჯამათი ამ ყოფაში ჩავარდა. ამ ჰინჰრისაგან თოკებსა გრეხენ ბონდებისათვის, ოლონდ წინასწარ ექვსი კვირა წყალში უწყვიათ. ვირეშმაკა, ეგა — გალიოს სიცილი აუტყდა.

ლოტა ქვეთინებდა მმართველის ცოლის მკლავებში თავჩარგული, იუსტუსი იდგა, ხელები აფთარებინა სახეზე. — *Lirardenia heterophylla*, — გაიმეორა გალიომ. — კრენკ, გეთქვათ ჩემთვის და აგარიდებდით ამ დავიდარაბას. აბლატი ბარიას ტომის გარდა ყველასათვის ცნობილია ეს მცენარე. მაგათი ხასიათი ხუთი თითივით ვიცი. უკან აღარასოდეს მობრუნდებიან.

იუსტუსმა მდინარეს გახედა. ახლადმოქცეულნი ჯერ კიდევ მოთქმა-გოდებით ყურყუმელაობდნენ თავთხელში და ღიში შეახმა პირზე. მიხვდა, რომ დადგა მისიის აღსასრული.

მთელი სამი თვე დაეხეტებოდნენ დანადგლიანებული იუსტუსი და ლოტა გაუღაბურებული სკოლის ირგვლივ. რამდენი არ ეფერნენ, ვერა და ვერ მოიმხრეს ისინიც კი, ვისიც ყველაზე ღიდი იმედი ჰქონდათ. ვინ შეებდავს ხელმეორედ დაიტეხოს თავს დანგარას რისხვა... ჯანდაბამდის გზა ჰქონიათო

ტანმოკლე კაცსა და მის ცოლს. — ასე ამბობდნენ ბარია კო-
ლელები, მათი დანახვაც არ გვინდაო.

გალიო დაემუქრა მათ, იუსტუსსა და ლოტას თავზე თმის
ღერიც რომ შეერხეს, ათჰონ დაზეს და მის ქურუმებს საყდ-
რის საკურთხეველზე ჩამოეკიდებო. ამან თუ იხსნა ცოლ-ქმა-
რი ბარია კოლელთა მოკლე და მოწამლული ისრებისაგან...

მაგრამ თევზს, ფრინველს, ფიქას და გოქს კვლავაც როდი
უზიდავდნენ ცოლ-ქმარს ბარია კოლელნი. სახსენებელი გააქ-
რეს ხორაგისა. და ვაგლახ, მარტოოდენ სულიერი საზრდო კი
ხორცს ვერ გააძლებინებს.

— მოდი, წავიდეთ აქედან, — უთხრა იუსტუსმა თავის
ცოლს, — აქ დარჩენა არაფერს გვარგებს. ალბათ ღვთის ნე-
ბაც ისაა, ჩვენი საქმე სხვამ განასრულოს, როცა ამის დრო
მოაწევს. ჩვენ კი უნდა გავცილდეთ აქაურობას და მე, რა
ჰქვია იმას... ბოტანიკას ჩაეუჭდები.

თუ ვინმე თავს გამოიდებს ხელახლა მოაქციოს ბარია კო-
ლი, ნუ დაივიწყებს, რომ პანთჰის მთის ძირას ჯერ კიდევ დარ-
ჩენილია მისიის ნაფუძარი... ის ადგილი კი, სადაც საყდარი
და სკოლა იდგა, ჯუნგლმა გადაფარა.

მეამბოხე მოტი-გაჯი

იყო ინდოეთს ვინმე მდიდარი პლანტატორი, მფლობელი ყავის პლანტაციებისა. ერთ დღეს ეცოტავა ადგილ-მამული და შეუდგა შემოჭარული კორომების აჩეხვას. ხეები ააკაფვინა, ძირკვები ამოწვა, მაგრამ ფესვები ისე ღრმად გატოტვილიყო მიწაში, ძვრას ვერ უზამდა კაცი. დინამიტი ძვირი ღირდა, ნელი ცეცხლი კი ვერ უშველიდა საქმეს. ყველაზე ნალდი მეურვე ამ საქმისა სპილოა ისევ. გოლიათი ან ეშვებით ამოგლეჯს ფესვებს, ხოლო თუ დაუცვდა ეს ბასრი აარალი, მომარყუტებულ თოკებს მოაბამენ და ამ უსაშველოდ ძლიერ მხრებს რალა დაუდგება, აბა, წინ! პლანტატორიც ადგა და იჭირავა რამდენიმე სპილო. ყველასაგან გამორჩეული სპილო ყველაზე უღირს მაჰაუტს — დისას ეკუთვნოდა. მოტი-გაჯი ერქვა ამ მართლაცდა საარაკო ქმნილებას. ავ თვალს არ შეეხედებოდა, ისეთი სპილო იყო — მაჰარაჯათა ფიქრი და ოცნება. უცხო მარგალიტსა ნიშნავს ხომ ეს სახელი. მაჰაუტი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახლდათ სპილოსი. იქაური ადათ-წესი ვერ ითმენს ამას, მაგრამ ქვეყანა ბრიტანელებს ეპყრათ და მაჰაუტიც, ერთი თავქეიფა ვინმე, მიშვებული იყო თავის ნებაზე. როგორც კი მოტი-გაჯის მონაგარ ფულს მოიგდებდა ხელში, მყისვე დუქნებისაკენ გაუტევედა. გამოიბრუქებოდა, მერე მიდგებოდა მოტი-გაჯს, კარვის პალოს უჩაჩქუნებდა წინა ფეხების ნაზ ფრჩხილებზე. მოარულ მთას ერთხელაც არ განუზრახავს სული განეფრთხო დისას სხეულიდან. კარგად უწყოდა, ცემა-ტყეპის შემდგომ, გამოფხიზლებული დისა შემოეხვეოდა ხორთუმზე და დაიწყებდა ფლიქვინს. ჩემო სიცოცხლე, სულის კლიტევ... კიდევ მრავალ საფერებელს

ეტყოდა, ფიანდაზად დაეგებოდა, პილატეს ცრემლს მიართმევდა თანაც. ერთობ მოყვარული იყო სპილოც სასმელისა. არაყს ეტანებოდა განსაკუთრებით. ისე პალმის ნაყენზეც არ ამბობდა უარს, თუ სხვას ვერაფერს მოახელთებდა. სავსე დოქს ერთად გამოუყვანდნენ წირვას. მერე ღისა მოკალათდებოდა სპილოს ფეხებშუა. მაჰაუტი მოსასვენებლად ჩვეულებისამებრ შუა შარაგზას ამოირჩევდა ხოლმე. ვერა მხედარი, ქვეითი თუ ფორნით მოარული ბიჯს ველარ გადადგამდა წინ. დაყოვნდებოდნენ და ელოდნენ, ვიდრე ღისა კარგ ძილს არ გამოაცხობდა. ვინ შებედავდა მაჰაუტის მოღარაჯე, მთასავით აზვიინულ სპილოსთან მიახლოებას.

პლანტაციაზე სულის მოსათქმელი დროც კი არ იყო, დიდძალ ფულს უხდიდნენ მუშახელს და თავნებობასაც ვერავინ ბედავდა. თავაუღებლივ მუშაობდა ყველა. ღისა მთელი დღე კისერზე ეჯდა მოტი-გაჯს, ჩაჰყვიროდა და ისიც თავისი ქარვისფერი ეშვებით თხრიდა, ძირკვავდა ხეებს, ფესვები ამოჰქონდა მიწიდან, დროდადრო ძალოვან მხრებზე მოგდებულ თოქსაც იშველიებდა. ღისა ჩაუბაგუნებდა ყურის ძირში, — ბარაქალა, სპილოთა მეუფეო, — პირს უქონავდა. საღამოს ეამს მოტი-გაჯი შთანთქავდა სამას გირვანქა მწვანილეულს, ღისა ვახშამს ერთ კვარტ არაყსაც მიაყოლებდა, მერე გაიშოტებოდა სპილოს ფეხებშუა და სიმღერას შეუყიდებდა. მღეროდა, სანამ არ მოაწევდა ძილის დრო.

კვირაში ერთხელ ღისა მდინარეზე გადენიდა მოტი-გაჯს. წამოწვებოდა მოტი-გაჯი ფშანში, ნებივრობდა თავთხელში, მაჰაუტი კი თავს დასტრიალებდა ქოქოსის პალმის რტოებისაგან შეკრული ცოცხით და აგურის ნატეხით. ხან ცოცხს უზაპუნებდა, ხანაც აგურს ატაკებდა ნეკნებზე. მოტი-გაჯი მშვენივრად არჩევდა ერთს მეორისაგან, როცა აგური მოხვდებოდა, წამოიზლაზნებოდა და გადაგორდებოდა მეორე გვერდზე. ღისა გულდასმით მოუსინჯავდა ფეხებს. გაბლარდნილ ყურებს გადაუწევდა, წყლული ხომ არ გაუჩნდაო, თვალის უპეებს დაუჭიმავდა, ანთება ხომ არა სჭირსო. როცა მორჩებოდნენ ბანაობას, შინ გასწევდნენ პატრონი და სპილო. შავად აზინებულები გოლიათი ხორთუმით აქანებდა გზისპირა ხიდან ანაგ-

ლექ თორმეტი ფუტის სიგრძე ტოტს, დისა კი გულმოდგინედ იკვანძავდა გრძელ, სოველ თმებს.

მშვიდად და უდრტვინველად გადიოდა დღეები, ვიდრე დისას ლოთობის ჭია არ შეუჩნდა. აბა რა ბედენა იყო თითო-ოროლა ყლუპი არაყი — ოდნავ აბრუყებდა, ძალას აცლიდა მუხლებში და მეტი არაფერი. ნამდვილ ღრეობას იყო დანატრული დისა.

ადგა, პლანტატორს ეახლა და — დედა მომიკვდაო — განუცხადა სლუკუნით.

— კი მაგრამ, დედაშენი აგერ ახლახან არ მოკვდა, სულ რაღაც ორი თვის წინათ? მოიცა, აკი გასულ წელსაც გარდაცვალა საწყალი! — პლანტატორი აქაურ წვეწვში იყო ნახარში და იოლად ვერ გააცურებდი.

— ის დეიდაჩემი იყო, ოღონდაც გამზრდელ დედად მიმაჩნდა, — ცრემლები ჰყარა დისამ. — თვრამეტი უწლოვანო ობოლი დარჩა უპატრონოდ, ჩემს მეტი მიმხედავი არავეინა ჰყავთ, — შუბლს იატაკზე არეხვებდა მაჰაუტი.

— საიდან შეიტყვე? — უყელა პლანტატორმა.

— წერილი მივიღე ფოსტით, — გამოცოცხლდა დისა.

— ერთი ამას დამიხედეთ! მთელი კვირაა ფოსტა არ მიგვიღია... აბა, მოუსვი აქედან და საქმეს მიხედე.

— შავი ჭირი მოსდებია სოფელს, ჩემი ცოლები სიკვდილის პირს მიუყენებია, — ახლა მართლა ატირდა დისა.

— ჩიპანს დამიძახეთ, ამის თანასოფლელს. ჩიპან, ამას ცოლი თუ ჰყავს? — ჩაჰკითხა პლანტატორმა.

— მაგას ვინ გაჰყვებოდა? ჩვენი სოფლის გოგოები უმალ სპილოზე გათხოვდებიან. — აფრუტუნდა ჩიპანი.

კვლავ აკვნესდა და აღმუვლდა დისა.

— გამასწარი აქედან, მერე გვიან იქნება, — იფეთქა პლანტატორმა. — მიხედე საქმეს.

— რა გაეწყობა, სიმართლე უნდა ვთქვა, — შეჰღალადა დისამ. — ორი თვე იქნება, რაც გემოზე არ გამოვმთვრალეარ. იმადა გთხოვე გამიშვა, ამ კურთხეულ ალაგს გავგერიდო და სხვაგან ვილოთბაშო.

პლანტატორს გაეღიმა.

— დისა, — მიუბრუნდა იგი მაჰაუტს, — რახან სიმართლე თქვი, ახლავე გაგიშვებ, მაგრამ ვინ მოუვლის მოტი-გაჯს, თავადაც იცი, შენს გარდა არავის უგონებს.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ნუ მოგიშალოს გამჩენმა, მადლიანო! მხოლოდ ათიოდე დღით გაგეცლები, სინდისნამუსს ვფიცავ, დროზე დავბრუნდები. სპილოსი მე ვიცი, ნება დამრთე, ღეთისნიერო, მოუხხმო მოტი-გაჯს.

დასტურჰყვეს დისას და მის გამყივან დაძახილზე ჭალიდან გამოჩინარდა დიდებული ეშვოსანი. პატრონის მოლოდინში ჩრდილს შეფარებოდა და ზურგზე სილას იყრიდა ხორთუმით.

— ნათელო სულისა, ლოთების ქომავო, კლდეო ძლოკანო, მათხოვე ყური.

მოტი-გაჯმა ყური მიუშვირა და ხორთუმი გაიქნია სალამის წიშნად.

— მე მივდივარ, — ჩასძახა დისამ.

მოტი-გაჯს თვალები აუციმციმდა. პატრონზე არანაკლებ უყვარდა ხეტიალი. გზად ბევრ ნუგბარ საკბილოს მოახელთებდა ხოლმე.

— მე წავალ, შენ კი, დაგვაჯულო ღორო, აქ დარჩები და დღელამეს გაასწორებ!

მოტი-გაჯს თვალები ჩაენავლა, თუმცაღა თავს ისე აჩვენებდა, თითქოსდა ყაბულს იყო. მას ხომ ჭირის დღესავით სძულდა ფესვების თხრა.

— მხოლოდ ათი დღითა გტოვებ, სულზე უტკბესო. აბა, აიშვირე წინა ფეხი, რაც გითხარი, ახლავე ამოვებეჭდავ ზედ. ისე ვერაფერს გაგაგებინებს კაცი, შე ქაობის გომბეშოვ. — დისამ სტაცა ხელი კარვის პალოს და ორჯერ შემოჰკრა სპილოს ფეხის ფრჩხილებზე. მოტი-გაჯი დრუხუნებდა და ფეხებს ინაცვლებდა. — ჩემს აქ არყოფნაში, — ჩააგონებდა დისა სპილოს, — თავაუღებლივ იმუშავებ. ძირფესვიანად ამოთხრი და გადაათრევ ხეებს. ამჟამიდან ჩიჰანის სიტყვა კანონი იქნება შენთვის. შეისვი ახლავე კისერზე!

მოტი-გაჯმა მიუშვირა ხორთუმის წვერი, ჩიჰანი ფეხის შედგა ზედ და ქედზე მოექცა სპილოს. დისამ კი სპილომ სარეკი მძიმე ანკუსი მიაწოდა.

ჩინაპმა მოტი-გაჯს უბალნო თავზე ისე დაჰკრა ანკუსი, როგორც ქუჩის მკირწყლავებს სჩვევიათ ხოლმე ჩაქუჩის ცემა და სპილომაც ბუკსა ჰკრა ხორთუმით.

— ენა ჩაიგდე, შე ტყის ღორო, შენა. ხომ გესმის, ეს ათი დღე ჩიპანი იქნება შენი მაჰაუტი. ახლა დამემშვიდობე, მეფევე დიდებულო, მჯობთამჯობო ყველა სპილოსი. ჭანმრთელად მენახე, აბა, ნახვამდის!

მოტი-გაჯმა ხორთუმი შემოაქდო დისას და ორჯერ აიტაცა ჰაერში. ჩვეულებრივ ასე ემშვიდობებოდა პატრონს.

— ახლა ეგ თქვენი მონა-მორჩილი გახლავთ, — მიუბრუნდა დისა პლანტატორს. — მე კი გზას ვეწევი.

პლანტატორმა თავი დაუქნია, ყაბულსა ვარო, და დისაც გაუჩინარდა კორომში, მოტი-გაჯი სამუშაოდ წაძუნძულდა.

ჩიპანი სულში იძვრენდა მოტი-გაჯს, სანელებლის გომიჯებს პირში ატენიდა, ეფერებოდა, მაგრამ სპილო მაინც ყურებჩამოყრილი იარებოდა. ჩიპანის ბალღიც ალერსით ეყდურტულებოდა ნაკაფიდან მობრუნებულ გოლიათს. მისი ცოლიც ფიანდაზად ეგებოდა, მაგრამ ბოგანოდ დაბადებულ მოტი-გაჯს ერთი სული ჰქონდა, ისევე ეგემა დისას დაუზოგავი ცემა-ტყეპა და გიჟური ალერსი.

მუშაობაში კი ისე გულმოდგინეობდა, თვალს არ უჯერებდა პლანტატორი.

ამასობაში დისა გზებსა და გზაჯვარედინებზე ხეტილობდა, ვიდრე თავისი ტომის ხალხის ქორწილს არ გადააწყდა. იმდენი იცეკვა და იმღერა ქორწილში, დღე-ღამის სათვალავი დაკარგა.

გათენდა მეთერთმეტე დღე. დისა არსად ჩანდა. მოტი-გაჯი თოკიდან ახსნეს — დილიდანვე უნდა გაერეკათ ნაკაფში.

სპილომ ერთი შეიფერთხა მხრები, მიმოიხედა და სულ სხვა მხრით გაუტია.

— ჰა, ჰა! მობრუნდი უკან, — შეუყვირა ჩიპანმა. — შემისვი კისერზე, შე ნავსად დაბადებულო, მოტრიალდი ჯუნგლის მშვენებავ, თორემ ერთიანად დაგიბეგვავ მაგ კოტიტა თითებს.

მოტი-გაჯმა რბილად ჩაიდუდლუნა, მაგრამ არც კი მო-

უხედა მაპაუტს. ჩიპანი გაეკიდა, თოკი მოამარყუე და სპილო დაიჭირა... მოტი-გაჯმა ყურები წამოყარა წინ.

მაპუტმა იცოდა, რას მოასწავებდა ეს და ლანძღვა-გინებით აიკლო. ამით ცდილობდა ცხოველის დაჯაბნას. — ჩემთან ეგეთები არ გაგივა, შე ეშმაკის კერძო, — გაპყვიროდა.

— პრამპ! — ამიოხავლა სპილომ, — მერე პირში გაჩრილი ტოტით, რომლითაც კბილებს იწმენდა ხოლმე, დარდიმანდულად იწყო ნაკაფში ხეტიალი. აბუჩად იგდებდა თვისტომთ.

ჩიპანმა პლანტატორს აუწყა ეს ამბავი. პლანტატორმა შოლტი მოიმარჯვა და გარეთ გამოვიდა.

მოტი-გაჯმა თეთრ ადამიანს დიდი პატივი დასდო, ერთხანს ნაკაფში არბენინა, მერე პარმალთან მიდენა. თვითონ სახლის წინ გაჩერდა. მთელი სხეული უთახთახებდა. ასე სჩვევიათ სპილოებს სიცილი.

— უნდა გავროზგოთ, — თქვა პლანტატორმა, — ისე მოვზილოთ, არც ერთ სპილოს არ ეწვნიოს. კალა-ნაგსა და ნაზიმს უხმეთ. თორმეტფუთიანი ჯაჭვები დაუყარეთ, კარგად დააძვალბილონ...

ამ უბანში კალა-ნაგი და ნაზიმი ყველაზე ზორბა სპილოები იყვნენ. ადამიანის დანარტყამი სპილოსათვის ბუზის ნაკბენია და მეტი არაფერი... ამიტომ ურჩ ცხოველებს ჯალათებად ისევ მათი ჯილაგისას მიუჩინენ ხოლმე.

ორთავემ ააჩხარუნეს მძიმე ჯაჭვები და მოტო-გაჯს მიაშურეს. ოცდაცხრამეტი წლის მოტი-გაჯი სიცოცხლეში ერთხელაც არ გალახულიყო, არც ახლა აპირებდა ზურგის მიშვერას. ცოცხალი თავით არავის გააბედვინებდა რამეს. იდგა და იცდიდა. თავს მარჯვნივ და მარცხნივ აქნევდა, კალა-ნაგის მსუქანი ფერდი ამოილო თვალში. აქ იოლად შეატანდა ეშვი. კალა-ნაგი უეშვო იყო. მარტოდენ ჯაჭვის იმედი ჰქონდა.

ადგა და გაეროდა. ისე ირჭებოდა, თითქოსდა თავშესაქცევად ათრევდა ჯაჭვს. ამ დილაადრიან ნაზიმიც არ იყო ჩხუბის ხასიათზე, ისიც შინისაკენ წაძონძროხდა. ყურდაფანჩული მოტი-გაჯი მარტოდმარტო შერჩა ბრძოლის ველს.

ბლანტატორმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და სპილო თავის ნებაზე მიუშვა. მოტიო-გაჯმა პლანტაციისაკენ მოუსვა. სპილომ თუ მუშაობაზე გული აიყარა, მისი მოთოკვა ისევე ძნელია, როგორც გემზე ღელვის დროს აწყვეტილი ოთხმოცდაერთ სტოუნიანი ზარბაზნის ადგილზე დაბმა.

მოტი-გაჯი ნაკაფში დაშტიალობდა და სამუშაოზე მიმდგარ სპილოებს ხორთუმებს უტყაპუნებდა ფერდებზე. ეკითხებოდა — პა, იოლად ამოდის ფესვები თუ არაო. ათას სისულელეს ჩმახავდა, — ვინ ჩამოართვა სპილოს უფლება, ნაშუადღევისას მუხლი მოხაროსო. იმდენი ქნა, სალამოსათვის მთლად არია მონასტერი. მერე, მოგვიანებით, საჩეხს მიადგა და საქმელი ითხოვა.

— რახან მუშაობა არ გნებავს, საქმელზე უკაცრავად გახლავართ, — შეუღრინა ჩიპანმა. — ხეპრე ხარ და გაუთლელი, შენ აქ რა გინდა, ჯუნგლში უნდა ამოგხდეს სული.

ჩიპანის ყავისფერმა ბალღმა, სოხანებზე რომ გორავდა, ფუნჩულა ხელები გაიწვდინა ზღრუბლზე ალანდული ვეება ჩრდილისაკენ. მოტი-გაჯმა იცოდა, რა ფასდაუდებელი არსება იყო ჩიპანისათვის ეს პაწია. ლამაზად მორკალა ხორთუმი, წინ გაიწვდინა. ბავშვმა ყიჟინა დასცა და მამას თორმეტი ფუტის სიმალლიდან მოესმა შვილის კისკისი.

— რომში ჩამბალ ორი ფუტის სიგრძე ლავაშებს მოგართმევ ახლავე, ახალმოჭრილ, ლორთქო შაქრის ლერწამებსაც, ოღონდ არაფერი ავნო ჩემს თვალის სინათლეს.

მოტი-გაჯმა ტოტყ ფეხებშუა მოაყუჩა ბავშვი. ამ ფეხებს შეეძლო წამში დაენაფოტებინა ჩიპანის ქოხი, მაგრამ სპილო დანაპირებს მოთმინებით ელოდა.

დანაყრდა თუ არა, ჩათვლიმა. ბავშვი გვერდზე გაფორთხდა. თვლემდა მოტი-გაჯი და დისა ეზმანებოდა. სპილოს ბევრ სხვა უცნაურობასთან ერთად ერთი ზნეც სჭირს: ძილი არ უყვარს, ოთხი-ხუთი საათის ძილი სავსებით ყოფნის დღე-ღამეში. ორი საათი ერთ გვერდზე სძინავს. შუალამისას მეორე გვერდზე გადაბრუნდება და ამდენსავე წასთვლემს, ესაა და ეს. დანარჩენ დროს ჭამს, ხეტიალობს, ღობე-ყორეს ედება და ფრთვინავს.

შუალამისას მოტი-გაჯი საჩეხიდან გამოვიდა. უეცრად დაეღანდა, თითქოს დისა სადღაც ბნელ ტყეში ეგდო უპატრონოდ. მთელი ღამე დაძრწოდა ბარდნარში, ყურებს აფართხუნებდა, გაჰყვიროდა, დისას კვალს ეძებდა.

მერე მეჩხერს მიაშურა, საღაც დისას საბანაოდ დაჰყავდა იქაც აახმინა საყვირი. არავინ გამოეპასუხა. მოტი-გაჯმა ააფორიაქა სპილოთა ტომი, დააფეთა ტყეში დაბანაკებული ბოშები.

დისა მხოლოდ დილით გამოჩნდა პლანტაციაში. ნაბახუსევი დატუქსვას ელოდა დაგვიანებისათვის. რაკი ბუნგალო და პლანტაცია ძველებურად დაუხვდა, თავისუფლად ამოისუნთქა — დისამ ხომ სხვაზე უკეთ იცოდა მოტი-გაჯის ხასიათი. პლანტატორს წარუდგა და თავი მოხსნა საბოდიშო ქათინაურებისა და ტყუილების გუდას. ამასობაში მთელი ღამე ნახეტიანები და მომშეული მოტი-გაჯიც საჩეხში მობრუნდა.

— აბა, მოუხმე, შენს ცხოველს — უბრძანა დისას პლანტატორმა და დისამაც გასძახა მოტი-გაჯს, მიუხვდომ, მარტოდენ სპილოსათვის გასაგებ საიღუმლო ენაზე.

მაჰაუტთა რწმენით, ეს ადამიანმინდელი ხელოვნება ჩინეთიდანაა შემოსული. იმ დროიდან, როცა სპილონი მეფობდნენ და არა კაცნი. მოტი-გაჯი მყის გაჩნდა ადგილზე. სპილოს ნავარდი არა სჩვევია. ოთხით ვერ გაჰყენდება სპილო, მაგრამ თუ მოინდომა ჩქარ მატარებელს წამოეწევა.

ჩიჰანმა გოლიათის მარტოდენ ლანდსდა მოჰკრა თვალი, ისე სწრაფად გაქრა საჩეხიდან სპილო. მოტი-გაჯი ერთი ყოფით ჩაეხვია დისას. ხორთუმი ააშვირა და სიხარულის შეძახილი აღმოხდა.

ცრემლები სდიოდათ ადამიანსა და ცხოველს. ერთუროს ეტმასნებოდნენ, სხეულის ნაწილებს უსინჯავდნენ.

— ახლა კი სამუშაოდ გავსწიოთ. აბა, შემისვი კისერზე, შვილო ჩემო, ხარებავ ჩამი სულისა — შემოუძახა დისამ.

მოტი-გაჯმა მალლა შეისროლა დისა და ორთავე პლანტაციისაკენ გაემართა დაძარღვეული ფესვების ამოსაძირკვად. პლანტატორი ისე განცვიფრდა, ვერც კი მოახერხა რიგიანად გაეჯორა დისა.

ამ ღამით მდინარეზე ვერ გადახვალ, საპიბ. ასე თქვეს, ხარურემი წაუღია მდინარეს და პონიმაც თურმე, შენს მოსვლამდე ნახევარი სათით აღრე რომ შევიდა წყალში, ვერ მიაღწია გაღმითა წაპირს. ჩქარობს საპიბი? შევდენი წყალში მეფონე სპილოს, თუ საპიბს ჩემი არა სჯერა. ოჲ, მაპაუტი აგერ ფარდულშია. გამოიყვანეთ რამ პერშადი. თუ არ შეაქცევს ზურგს მდინარეებს, ხომ კარგი. სპილოს გუმანი შეუმცდარია, საპიბ. აგერ რამ პერშადი, აგერა კალა ნაგიც... დე იყოს ნება შენი. მაშ, შებედე, ჩემო მეუფევი! შედი წელამდე და ნახე რას იტყვის მდინარე. ყოჩაღ, რამ პერშად, სპილოთა მოდგმის მარგალიტო, აბა შენ იცი...

— თავში ჩაპკარი, თავში, მაგ ბოთეს! ანკუსი მაგის ზურგის მოსაფხანი არ გეგონოს. დასცხე! დასცხე! რიყის ქვა რა ბედენაა შენთვის, რამ პერშად, მთაო ძალოვანო! გასწი, რუსტამ ბეგო, გასწი!

არა, საპიბი ცდა ამოა. გესმის, სპილო ბუკს აყვირებს. ის ატყობინებს კალა ნაგს, გაღმით ვერ გავალწევო. ერთ ალაგს ტარაბუა დასხმულივით ბრუნავს და თავს აქანებს. ბრიყვი როდია, ვინ, ვინ და მაგან კი იცის გააგებული ბარჰვის ძალა, აჰა ჩანს ჰკუა გეყო, შვილო ჩემო. სალამი შენდა, რამ პერშად, ბაჰადურო! ხეებქვეშ მიაყენებდეს მაპაუტი, საჭმელი არ მოაკლოს. ბარაქალა უღიადესო ეშვოსანთა შორის. სალამი სირკარს და ძილი ნებისა!

რალა გავაწყო. საპიბმა უნდა შეიცადოს, ვიდრე მდინარე დაცხრება. თუ ღმერთმა ინება, ის უკან დაიხვეს ხვალ, ანდა ზეგ დილით მაინც უეჭველად. რად გაბრაზდა საპიბი? მე

ხომ მისი მსახური ვარ. ღვთის წინაშე, ამ წყალდიდობაში რა ბრალი მიდევს? საპიბის სანაცვლო იყოს ჩემი ქოხი, მოიხმაროს, როგორც ენებოს. ვატყობ, იწვიმებს. გამოდის, ცის შვილო. სად გაგონილა დაცხრეს მდინარე, როცა ასე უგბილად ახსენებ? სად ძველი დროის საპიბები და სად დღევანდელი. წინათ, მდინარე თუ გზას გადაუღობავდათ ანდა თუ ორთვალის ტალახში ჩაეფლობოდა ერთს არ დაიჩივლებდნენ. ღმერთმა ასე ინებაო, იტყოდნენ. ცეცხლის ეტლი კი არაფერს ეპუება. მიდის და მიდის, თუნდაც მთელმა საქაჯეთმა დაქაჩოს კუდით, არას დაგიდევს. ცეცხლის ეტლმა წაახდინა საპიბები. ბოლოსდაბოლოს რა ბედენაა ერთი დღე, თუნდა ორი? საკუთარ ქორწილზე ხომ არ ეშურება საპიბი, რომ ასე ჩქარობს და ბრაზობს თანაც? ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! მე ერთი ბებერი კაცი ვარ და საპიბები ძვირად თუ მიწახავს. მომიტევე, თუ ვერ ვისაზრე და ვერ მოგაგე კუთვნილი პატივი. ხომ არ მიწყრება საპიბი!

მისი ქორწილი? ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! მოხუცი კაცის გონება მსგავსია ნუმაბის ხისა — ნაყოფი, კვირტი და წარსული წლები მკვდარი ფოთლები ერთად რომ ჰშვენის. ახალი თუ გარდახდენილი ერთად იყრის თავს მოხუცი კაცის მახსოვრობაში. საწოლზე ჩამოჯექ, საპიბ, და რძე მიირთვი, ანდა... იქნებ საპიბმა ჩემი თუთუნის დაღევა ინებოს? საუცხოო რამაა, ნუკლავს თამბაქოა. ჩემმა ვაჟმა გამომიგზავნა, იქ რომ მსახურობს. დალიე, საპიბ, თუკი იცი ყალიონის გაწყობა. დახე, საპიბი მუსლიმანივით აწყობს ყალიონს. ბარაქალა მას. გასაკვირია, სად ისწავლა ეს ყოველივე?

მისი ქორწილი? ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! საპიბმა თქვა, ქორწილი აქ არაფერ შუაშიაო. განა საპიბი გულს გადაუხსნის შავ კაცს? ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ იგი ჩქარობს. ოცდაათი წელია, საპიბ, ამ მდინარის პირს ვალამებ და ვათენებ, მაგრამ არასოდეს მიხილავს ასე მოჩქარე საპიბი. ოცდაათი წელი, საპიბ, ხუმრობა როდია. ორი ათასი საპალნიანი ხარი მიხილავს ფონს გადასული ერთ ღამეს. ახლა რკინიგზა მოვიდა. ბაზ, ბაზ, ბაზ, გაიძახიან ცეცხლის ეტლები და ასობით ლაქში ღვთის წყალბადაც გადადის ამ ხილით. ეს მართლაც რომ გა-

საკვირია. ოღონდაც ფონი გაუჟაკრიელდა და ხსენება გაჰქარა ქარავენების, ხეებს ქვეშ რომ დაიბანაკებდნენ ხოლმე.

არა, ტყუილად მისჩერებიხარ ზეცას. განთიადამდე იწვიმებს. ყური მიუგდე, ამ ღამით რიყის ქვა დაიძრა ზღინარის კალაპოტში. თუკი არ დაიშლი და გადასვლას ეცდები, ეგ ღორღი შენს ძვლებს გაცრცნის ხორცისაგან. მოდი კარს გადავკეტავ და წვიმა აღარ შემოასხამს. ვაპი! აპი! უპი ოცდაათი წელი ფონის ნაპირზე! ახლა რაღაი? ერთი საწყალი ბერიკაცი ვარ!.. სადაა ნეტავ ჭრაქი?..

რაო, საპიბ? სიბერის გამო კატასავით ჩუმი მაქვს ძილი. შენ კი კართან მოჩოჩებულხარ. მიცქირე ახლა, საპიბ, მიცქირე და მისმინე. ნახევარი მილით დაშორიშორდა ნაპირი ნაპირს. ვარსკვლავთა შუქზე ალბათ ხედავ, წყლის სიღრმე ათ ფუტზე მეტი იქნება. მდინარე არ დაიწვევს შენი შერისხვით, ვერც შენი წყევლა-კრულვა გაჭრის. რომელი უფრო მქეპარეა, საპიბ, შენი ხმა თუ ხმა მდინარისა? შეუძახე აბა, იქნება დაირცხვინოს. მე მიწვნევია ბარჰვის რისხვა, როცა მთებში გაავდრებულა. ერთხელ გადავცურე ადიღებული მდინარე, ამაზე ათგზის უარეს ღამით და ღმერთმა თუ მიხსნა სიკვდილს კლანჭებსაგან.

გნებავს ამბავს მოგიტხრობ, ძალზე კარგ ამბავს, ოღონდ ჯერ ყალიონს გავტენი ხელახლა.

ოცდაათი წლის წინ ყმაწვილკაცი ვიყავ, ჯანღონით სავსე: ყველა მტვირთავი მენდობოდა თუ დასტურვყოფდი, ფონი გაწმენდილია-მეთქი. მთელი ღამეები ჩქერალში ვიდექ, ყელამდე წყალში, შიშისაგან დაფეთებული ასობით ხარი გადამყავდა, ისე რომ ჩლიქსაც არ წამოვატყენდი. მერე მივაკითხავდი აძაგძაგებულ პატრონებს და ისინი მჩუქნიდნენ ქედლიერ ბულას. ასეთ პატივში ვყავდი ყველას. ახლა კი, როცა წვიმა დაასხამს და მდინარე ადიღდება, ჩემს ქოხში შევიძუძგები ხოლმე და ძალღივით ვწაწკანებ. ძალა დამელია, დავჩაჩანაკდი და ცეცხლის ეტლმაც ფონი გააუჟაკრიელა. ოღესღაც კი ბარჰველ ყოჩაღს მეძახდნენ.

ხედავ ჩემს თავ-პირს, საპიბ? მაბმუნს მიგავს. ანდა ჩემს მკლავებს? დედაბრისა რომ გეგონება. ოღონდაც, გეფიცები,

დიაცი თვალს ვერა სწყვეტდა ამ სახეს და ამ მკლავებშიაც იბუღებდა ოცი წლის წინათ. მერწმუნე, საჰიბ, მართალს ვამბობ. ოცი წლის წინათ.

მოდექი კართან და გახედე. მკრთალ შუქს ხომ ხედავ დაბლა, მდინარის გაყოლებახე? ესაა სოფელ პატეერაში აღმართულ ჰანუმანის ტაძარში დანთებული ცეცხლი. ეს სოფელი, რომელსაც დიდი ვარსკვლავი დაჰყურებს, ჩრდილოეთის მხარეზეა, მაგრამ იგი მიმალულა მდინარის განშტოებასთან. როგორია გადასაცურად, საჰიბ? გაიძრობ ტანზე და შეებედავ? ჰოდა, მე არა ერთხელ მიმიცურავს პატეერამდე. მის სიახლოვეს, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ნიანგებიც უღევია.

სიყვარულმა გარჩევა არ იცის, და ამიტომაც მე, მაჰმადიანს, ძეს მაჰმადიანისა, გულში ჩამივარდა ქალი — ქვრივი ჰინდუსი — ღვიძლი დაი ლამბარდარისა, სოფლის თავკაცის. ეს არაფერი. ლამბარდარის მთელი ჯალაბი მუტრას იყო წასული სალოცავად, როცა ქალი ახალი პატარძალი გახლდათ. ვერცხლის საჭიდები ეკეთა ტახტრევანის ბოძებს და აბრეშუმის ფარდები მალვიდა ქალს. აღარ ვიჩქარე მისი გადაყვანა, საჰიბ, რადგან ქარმა ფარდები გადასწია და ვიხილე იგი. ის ბიჭი — მისი ქმარი — მალე მოკვდა და ერთხელაც მე კვლავ გადავეყარე ტახტრევანზე მჯდომ ქალს. ლმერთმანი, ბრიყვნი არიან ჰინდონი. რას ვაქნევდი ქალი ჰინდუ იყო, ჯაინი თუ მოკვეთილი, კეთროვანი თუ სადსალამათი. ის ფიქრი მქონდა ფონის ახლოს მომეწყო სახლი და შინ დამესვა ჩემი საბედო. ცხრა ბარიდან მეშვიდე ამბობს, რომ ადამიანმა არ უნდა ითხოვოს წარმართი. ჭეშმარიტებაა განა ეს? ორთავეს — შიიტებსა და სუნიტებს ასე დაუდგენიათ — მაჰმადიანს არა აქვს უფლება დაქორწინდესო ურწმუნოზე. რაო? საჰიბი თავს რომ მიქნევს ამდენიც იცის? ზოგ ისეთ რამესაც ვეტყვი, რაც საჰიბს, ალბათ, არა სმენია. შიიტებიც და სუნიტებიც, კანონიერნიც და მოკვეთილნიც, სულ მოგონილი ამბავია სიყვარულისთვის. და ეს მოგონებებიც ფიჩხის პატარა კონაა, მყის რომ შთაინთქავს სიყვარულის ალი. რაც მართალია, მართალია — გულით მეწადა მისი შერთვა. მაგრამ რა უნდა მელონა? ლამბარდარი მომისევდა იქაურებს და კეტებით გამიპობდნენ თავს. არ

შეგდრკებოდი თუნდ ხუთი კაცის წინაშეც, მაგრამ მთელ სოფელს ვინ იქნება, რომ წინ აღუდგეს?

ამიტომაც მოვიტათობირეთ ჩვენ ორთა. ასე დავთქვიტ, გაღმით უნდა გადამეცურა ღამღამობით და ყანაში უნდა შევბვედროღით ერთმანეთს. არავინ უწყოღა ჩვენი ასავალღღასავალი. მიყურე ახღა. წესად მეღო გზა გაღმომეჭრა, გარსშემომმევეღო ჭუნგლისათვის მღინარის განშტოებამღე, საღაც მღინარის ხიღია, შვერიღს გავცღენოღი და მიმეღწია პატეერამღე. ტაძრის სინათღე შუეჭურას მაგივრობას მიწვეღა ბნეღღღამეღებში. ჭუნგლი მღინარის ახღოს სავსეა გვეღებით, პატარა გვეღებით, სიღაზე რომ თვეღემენ. არც ქაღის ძმეღი გამიშვებღენენ ყანიღან ცოცხაღს, იე რომ ვენახეთ. მაგრამ არავინ არაფერი იცოღდა, გარღა ჩვენ ორისა. თანაც მღინარის კაღაპოტიღან ქარღს მიერ მობნეული სიღა ფარავღა ჩემი ფეხის ნაკვაღევს. ცხეღ თვეეღებში ფონზე გაღასეღა პატეერამღე არაღ მიჩნღდა და წვიმეღების აღოობაზეც, წყაღდიღობას როღი ვეპუებოღი. თავს არ ვიზოგავღი, ბარკვეს აღმა ვჭრიღი. ჩემს ქოხში ვვახშობღი და წყაღს იე ვაყოღებღი, პატეერაში. ქაღლი გამენღო, ერთმა თავზეხეღაღებულმა, ჰირნამ სინგჰმა, მღინარის აყოღებაზე მეორე ნაპირს რომ სახღობღდა, თვაღი ღააღღა თურმე მას. ეგ სიქებეღი ძაღღებეღი არიან. მაგათ თავიანთი სიბრიყვის გამო უარი თქვეს ღვთით ნაბოძებ ისეთ სიყეთეზეც, თამბაქო რომაა. მე მზაღ ვიყავი დამეკღა ჰირნამ სინგჰი, რომ შებეღდა ქაღს და ეს შეკაღრა, საყვარელი გყოღიიო. ფიციტ იქაჭებოღდა თურმე, დავუღარაჭებ, ღამბარღარს გავუშხეღ მის სახეღს, თუ არ გამომყვებიო. მართღაც რომ ძაღღებეღი არიან სიქებეღი.

წეღში გარკობიღ, პატარა, ბასრ ღანას არ ვიციღებღი. აგრე მივცურავღი ხოღმე და მტერსაც კი არ ვუსურვებღი წინ გაღამღობებოღდა. არ დავინღობღი არც მას და არც სხვა ვინმეს, ვინც ჩემსა და ჩემს სატრფოს შუა ჩაღღებოღდა.

ერთ ღამეს, სწორედ წვიმეღის აღოობის წინ, პატეერას წასეღას დავეპირე, თუმცა მღინარე რისხვიტ ფრთონავღდა. ბარკვეს ასე სჩვევია. ოც ამოსუნთქვაში ჩამორიაღღება მთეღ

ბიდან. სამი ფუტის სიმაღლის ტალღებს დაიდგამს და, ვიდრე ცეცხლს დაანთებდნენ და პურს გამოაცხობდნენ, ეს ღელესავით წყალი თავის დას, ჯამნას, აღარ დაუდებდა ტოლს.

ნაპირს გავშორდი. ნახევარი მილით დაბლა მეჩეჩი მეგუალებოდა. უნდა მიმეღწია იქამდე და სული მომეთქვა; ვგრძნობდი, მდინარე მიმედ ჩამკიდებოდა ქუსლებში. რას არ ჩაიდენს ახალგაზრდა კაცი სიყვარულისთვის. ვარსკვლავები მკრთალად ანათებდნენ და მეჩეჩისკენ მიმცურავს დამპალი კედარის ხე მეტაკა ცხვირპირში. ეს იყო ნიშანი — მთის ძირში და მთის გადაღმაც დიდი წვიმა მოსულიყო. კედარის ხე ფესვმაგარია და იოლად როდი წყდება კლდეს. მე ვისწრაფვოდი, მდინარეც მეშველებოდა, მაგრამ, ვიდრე მეჩეჩზე ფეხს შევედგამდი, ზვირთცემამ იძალა და დახეთ ბედსა, ტალღის ქედზე გამოვრჩი.

მოხვედრილა კი ოდესმე საპიბი ისეთ წყალდიდობაში, როცა ტალღები გებრძვის და საძრაობა გაქვს წართმეული? თავადერილს ასე მეგონა წყალს მოეტბორა მთელი ქვეყანა, სამყაროს კიდეს გასწვდენოდა. ნაფოტივით მათამაშებდა მჭევვლები წყლისა. მდინარის თბეში მოქცეული კაცი რას გახდება. ისე ბორგავდა მდინარე, ხალხს დღესაც კი სულ პირზე ადგას მაშინდელი ამბავი.

ლამის ნალველი ჩამექცა, ზურგზე ვიყავი გაშოტილი, სიკვდილის შიშით ატანლი. ცოცხალი არსებებიც ბევრი ირეოდა წყალში — ტყის მხეცები, ნახირი. კაცის ხმაც მომესმა, საშველად მიხმობდა, მაგრამ მერეხი წამოვიდა, წყალმა თეთრი ღუჭი მოიგდო. ჩემს ქვემოთ, რიყის ქვებს გაუდიოდა რახარუხი, ზემოდან დამხშუოდა წვიმა. სხვა ხმა არაფერი ატანდა ყურთასმენამდე. მორევმა დამითრია და სული შემინუთა. ძნელია სიკვდილი, როცა ახალგაზრდა ხარ. აქედან უმზერ რკინიგზის ხიდს? გახედე აბა. აგერა იქ შუქი ჩანს პეშავარში მიმავალი საფოსტო მატარებლისა. ხიდი ახლა ოცი ფუტი სიმაღლისაა. იმ ღამით კი მდინარე ცხაურს ეტოტებოდა. სწორედ იქ მივენარცხე პირველად, მაგრამ ბლომად მორები დაყრილიყო ცხაურსა და ხიდის ბურჯზე და ძლიერ არ დაეშავებულვარ. ოღონდ ეს იყო, მდინარემ ისე დამაძვალბილა, ღო-

ნიერი კაცი რომ დატორავს ჯანსუსტს. ცხაურს ჩავექიდე და რის ვაივაგლახით ავცოცდი ზედ. საჰიბ, მდინარე ლამის მოაჯირზე გადმოდიოდა. თავად განსაჯე, რა წყალდიდობა უნდა ყოფილიყო. სმენაც დამეხშო და თვალისჩინიც წამერთვა. ღობურზე ვიყავ მიგდებული და ძლივსლა ვსუნთქავდი.

ცოტა ხნის შემდგომ, როცა წვიმა შეწყდა და ცაზე დაჩდნენ ახალპირდაბანილი ვარსკვლავები, თვალი ველარ გავაწვდინე მოტბორებულ მღვრიე წყალს. მდინარე მოაჯირამდე უწევდა. ხიდზე ბევრი დამხრჩვალნი ცხოველი გამოერიყა. ზოგი ცხაურში გაჩრილიყო კისრით, ზოგი, ჯერ კიდევ ცოცხალი, ცდილობდა ზედ აპოტინებულიყო. ვინ მოსთვლიდა კამეჩებს, ძროხებს, გველებს, ტურებს, ტახი და თითო-ოროლა ირემიც ერია შიგადაშიგ. მათი გვამები შავად ჩნდა ხიდის მარცხენა მხარეს. მომცრო ცხოველები კი ცხაურში გააძვრინა და დაბლა გააქანა მიმქროლავმა ღვარმა.

მერე ვარსკვლავები ჩაქრა, ხელახლა იხუვლა თქემმა. მდინარე კვლავ მოდგანდგარებდა და მე ვიგრძენი, ხიდი ირწეოდა სწორედ ისე, კაცი რომ იშმუშნება გაღვიძებისას, მაგრამ არ მეშინოდა საჰიბ, ვფიცავ, არ მეშინოდა, თუმცალა ძალა გამომცლოდა სახსრებიდან. ვიცოდი, არ უნდა მოემკვდარიყავ, ვიდრე ნანდაურს არ ვიხილავდი ერთხელ კიდევ. ოლონდ ის იყო, კბილს კბილზე მაცემინებდა, ამბაბანა და ვგრძნობდი, საცაა ხიდი უნდა გამომცლოდა ფეხქვეშ. ისე თრთოდა წყალი, როგორც იცის ხოლმე, ვიდრე დიდი ტალღა მოგორდებოდეს, დაცდილი მქონდა და უჰა, ზღვა წყალმა ხიდიც ააყირავა. მარჯვენა მხარე ცხაურისა წყალში ჩაინქრა, მარცხენა კი აყირავდა. წვერს გეფიცები, საჰიბ, მართალს ვამბობ: როგორც მიჩაპაპორის ქვის საზიდი ნავი კოჩავს ქარისაგან, ისე აყირავდა ბარჰვის ხიდი. ჰო, სწორედ ასე.

მორევმა დამითრია და უკანიდან აიყალყა გოროზი ტალღა. ხიდის ჭრიალი მომესმა, როცა ის საბრჯენებს მოსწყდა და ჩაინთქა. აღარაფერი მახსოვს იქამდე, ვიდრე მდლოვრში არ ამოვტივტივდი. მკლავი გავმართე საცურაოდ და — ჰოი, საოცრებავ, ხელში მომყვა მამაკაცის თმაშეკონილი თავი. დამხრჩვალნი იყო. ბარჰველი ყოჩაღის გარდა, აბა ვინ გაუძ-

ლებდა შმაგ მდინარესთან ჰიდრის. რუმბივით იყო გაბერილი. მთელი ორი დღის მკვდარი ჩანდა.

მაშველად მომეველინა. სიხარულმა ამიტაცა, მხოლოდ მაშინ ვირწმუნე, რომ უცილობლად ვნახავდი სატრფოს, უვნებელი, საღსალამათი. თითები მაგრად ჩაეჭიდე მის თმას, რადგან შორი გზა მედო წინ, ერთად გავყევით დაღმით მდინარეს — ჩვენ ორთავე — იგი მკვდარი და მე ცოცხალი, ერთმანეთს გადასკვნილები. ეს რომ არა, ჩემი საქმე წასული იყო. თავით ფეხამდე გათოშილი ვიყავი, ხორცი ქვესავით მექცა და წყალმა ძვლებში შეატანა. ის კი უშიშრად მიცურავდა უკვე განსაცდელ გამოვლილი.

გვერდულა დინებამ ლიას მიგვარიყა. ფსკერი ფეხით მოვსინჯე. ცხეღარი აღარ მომყვებოდა. შეეშინდი, ასე ვიფიქრე, კორძებს ხომ არ წამოდო-მეთქი. იალლუნის წვერობი მეხლებოდა მუხლებზე და მივხვდი, ჩემს ქვემოთ ყანა იყო. მდინარის ძირს ახლა კი ვუწიე ფეხი. თავთავებს მოვედე, მკვდარი გორაკზე შერჩა ლეღვის ხის ძირას, მე კი დელგმიდან რის ვაისყოფით გამოვადწიე.

უცნაურია განგების ნება, საპიბი მდინარებამ პატერას წინ აზიდულ ბორცვზე შემადგო, არა თუ სხვაგან. მკვდარი ბალახზე გამოვათრიე. პატივი დავდე გაწეული სამსახურისათვის, ისიც ვიპარე, ვინძლო კიდევ გამომდგომოდა. მერმე მივედი დანიშნულ ალაგს — ლამბარდარის ბელელის ახლოს და ტურასავით სამჯერ ვიკვილე. შეყვარებულს დაესწრო ჩემთვის. იქ დამხვდა. ტიროდა მუხლებზე დავარდნილი. დაქცეული ეგონა თურმე, ფონის პირს მდგარი ჩემი ქონი. უხმაუროდ როცა გამოველ, კოჭებამდე მომდგარი წყლიდან, მოჩვენებად მიმილო და გაქცევა დააპირა, მკლავები მოვაჭდე. იმხანობას განა თუ აჩრდილს ვგავდი, დრომ კი მაინც თავისი გაიტანა, ახლა ერთი ჯანდაგი ვინმე ვარ. ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! ფშუტე თავთავი ვარ ახლა ხორბლისა და წვენდაშრეტილი მაიზი. ჰოუ! ჰოუ!

ბარჰვის ხიდის ამბავი ვუთხარ და მან უღიადესი მიწოდა მოკვდავთა შორის. არავის ძალუძს ბარჰვი გადალახოს დიდროას ეამს. და აქობამდეც ადამისშვილს ჯერ არ უხილავს ალ-

ბათ ისეთი ჯოჯობითი, მე რომ განველე. იმ ბორცვს მივუბრუნდით ერთად, სადაც გვამი დაეტოვებ და ვაჩვენე, ვისი შემწეობითაც შემერჩა სიცოცხლე. კაშკაშა ღამე იყო. ქალი ვარსკვლავების შუქზე დააცქერდა გვამს. მერე ხელებში ჩამალა სახე. ესაა ჰირნამ სინგჰის გვამიო, ამოთქვა. მე ვუთხარი: მკვდარი ღორი გიჯობდეს ცოცხალს. მომიგო ქალმა: რაღა თქმა უნდა, მაგან არ გადამიჩინა ამ ქვეყნად ჩემთვის უძვირფასესი? აქ მაინც ნუ დატოვებ, სახელს გამიტენს. ტყვია რომ ჰქონდეს ნაკრავი ჩემიანების მიერ, კიდევ პო.

მერმე გადავაგორე გვამი და ასე ვთქვი: ღმერთი მოწამეა, ჰირნამ სინგჰ, შენს ცოდვაში ფეხი არ მიდგას. და მაინც, რაკი ასეთი საქმე დავმართე, არ გალირსე გპატზე დაფერფლვა, ახლა ყვავებისათვის დამილოცინხარ...

თავი ვუკარი გვამს ტალღებში და იგი წაიღო გაშლილმა წყალმა. მიაქანებდა შავ წვერს. ეს იყო და ეს, მას მერე აღარც მიხილავს ჰირნამ სინგჰი.

განთიადის უამს დავცილდით ერთმანეთს და მე ვაშურე ჯუნგლის იმ მხარეს, რომელიც ჯერ არ მოტბორილიყო. როცა მოდღევედა, მაშინლა ვნახე, რა ჩამედინა კუნაპეტში. ფერი მეცვალა, პატეერასა და გაღმითა კორომებს შორის მიქანაობდა დუქმორეული ღვართქაფი. მოხუცის ყბაში ამოჩრილი ჩამტვრეული კბილივით ჩანდა შუა წყალში მოტივტივებული ბარჰვის ხიდი. მდინარის არემარეზე სიცოცხლე გამქრალიყო. არც ფრინველები, არც ნავეები, მხოლოდლა ჯგრო ჩაძირული ხარების, ცხენების, ადამიანების. მდინარე სისხლისფრად შეეღება მთის ძირებიდან ჩამოშლილ აყალო მიწას. არასოდეს არ მოვსწრებვიარ ამგვარ წარღვნას. მეორედ მოსვლა იყო სწორედ. საპიბ, მე მოვიმოქმედე ის, რასაც ვერა კაცი ვერ შესძლებდა.

იმ ღამეს რაღას დავბრუნდებოდი უკან და ლამბარდარის სანახებისკენ პირს აღარ ვიზამ აღარასოდეს, თუ არა ღამით. მაშინ ხომ საფრთხეს ვეღარა ხედავს კაცის თვალი.

აღმა ავყევი მდინარეს და ერთი მკედლის სახლს მივადექი. ასე ვუთხარი, ჩემი ქოხი წყალმა წაიღო-მეთქი და იქ ლუკმა გამიყვეს. შვიდი დღე დავრჩი მკედლის სახლში, ვიდრე

სანდალი არ გამოჩნდა და შინ დავბრუნდი მერე იმ ნავით. სადღა იყო ან კედლები ან სახურავი. აღარაფერი დამიხვდა, გარდა აწელილი ტალახისა. თავად განსაჯე, საპიბ, რამოდენაზე უნდა ეწია წყალს.

ჩანდა სიკვდილი არ მებედა არც ქოხში, არც ბარჰვის შუაგულში და არც ის მეწერა, ხიდს ჩავეყოლოდი მდინარის ფსკერზე. გაჭირვებულს ღმერთმა მაწვია ორი დღის მკვდარი პირნამ სინგპი. დღესაც არ ვიცი, მოკლეს იგი თუ წყალმა დაახრჩო, ანდა რა მანქანებით გამიხდა შემწედ. მწამსა და მჯერა, ჯოჯოხეთი არ ასცდებოდა და პირნამ სინგპის ტანჯვის მდელიოზე მწყაზარ ყვავილად დაიხატება იმლამეული მოგონება.

ყურობ, საპიბ? მდინარემ იცვალა ხმა. ეპირება ჩათვლიმოს განთიადის წინ. ინათებს თუ არა, კვლავ იხუვლებს ახალი ძალით. საიდან ვიცი? ამ მდინარეს გავცქერი ოცდაათი წელი. წყლის ხმას ისე ვცნობ, მამა რომ არჩევს პირმშოს დაძახილს. ყოველი წამით უფრო და უფრო ყუჩდება ბარჰვი. მერწმუნე, ერთი ან ორი საათი საფრთხე არ გელის. დილისა კი რა მოგახსენო. იჩქარე, საპიბ! ახლა მოვიხმობ რამ პერშადს. და ამჯერად იგი ზურგს აღარ შეაქცევს მდინარეს. შენი ბარგი ხომ საიმედოდაა შეფუთული? ოჰე, პირდაუბანგლო მაჰაუტო! აბა, სპილო საპიბისათვის, გაუძეხი და შეატყობინე იქეთ ნაპირზე, რომ დილისათვის გზა შეიკვრება.

ფული? რა ბრძანებაა, საპიბ. მაგ ყაიდის კაცი როდი ვარ. ნურც ტკბილეულს შემომთავაზებ ბავშვებისათვის. თავად ხედავ, ჩემი სახლი ცარიელია, მე კი მოვხუცდი.

არე, რამ პერშად! ჩამოიდაბლე! დატ! დატ! დატ! მოყარე მუხლი. ღმერთმა მშვიდობით გატაროს, საპიბ!

უსაზღვროა თეთრი ადამიანის სამართალი — უფრო დიდია ძალი სიერუისა.

ადგილობრივ მკვიდრთა ანდაზა

ესაა თქვენი ინგლისური სამართალი, ღარიბთა ქომაგო?! შეხედე ერთი ჩემს ზურგსა და ფერდებს — ჯოხებით მბეგვეს, მძიმე ჯოხებით. მე ღარიბი კაცი ვარ და ჩემთვის სამართალს ვინ გააჩენს.

ოინი ვიყავით, ერთად შობილნი, ტყუპები. მაგრამ გარწმუნებთ, მე პირველი დავიბადე, რამ დასი კი ჩემზე უმცროსია სამი ამოსუნთქვით. ასე თქვა ვარსკვლავთმრიცხველმა და ჩემს პოროსკოპშიც ასე სწერია — ღურგა დასის პოროსკოპში.

ოლონდ ჩვენ ძალზე ვგავდით ერთმანეთს, მე და ჩემი ძმა, უნამუსო პირუტყვი. ვგავდით იმდენად, გინდ ერთად ვენახეთ ვისმე, გინდ ცალ-ცალკე, ვერვინ იტყოდა, რომელი იყო ღურგა დასი.

მარვარელი მაჰაჯანი ვარ და სინდისიერი ადამიანი. ეს სრული სიმართლეა. როცა დავვაჟაკადით, მამისეული სახლი მივატოვეთ პალიში და პანჯაბში გადავედით, რომლის მკვიდრნი, ვირების ნაშიერნი, ჭკუაზე აფრაკად არიან.

მე და ჩემმა ძმამ ისერ ჯანგში, დიდი ჭის ახლოს, საიდანაც გუბერნატორის მთელი ამაღა იღებს წყალს, ღუქანი გავხსენით. მაგრამ რამ დასი, ცრუ და მუხთალი, წამეჩხუბა და ჩვენ გავიყავით. მან ხელი დახვია თავის დაეთრებს, ქოთნებს, მარკოზის სახარებას და მევახშედ დადგა მონტგომერისაქენ

მიმავალი გზის კარიბჭესთან. მაშინაც უბრალო ვიყავ, ჩვენ რომ ერთმანეთს ჩალმები დავაგლიჯეთ. მე პალელი მაპაჯახი ვარ და ყოველთვის მართალს ვამბობ. ეს რამ დასი იყო ქურდი და მატყუარა.

ოღონდ ეს არის, დიდები კი არა, ბავშვებიც ვერ გვარჩევდნენ, რომელი იყო ჩვენს შორის რამ დასი და რომელი ღურგა დასი. მეტი რა უნდოდა ისერ ჯანგის მთელ ჯამათს — დაე, უშვილოდ გადაეგონ ისინი — მარაქაში მეც გამრიეს, მონტგომერის გზის კარიბჭესა და დიდ მოედანზე ამოთხრილი ჭის არემილამოზე ხმებს ყრიდნენ, ძმები ქურდები არიანო.

ისინი ყველანი ბრიყვები იყვნენ და პალელი მარკარის ფეხის ფრჩხილადაც არ დავაფასებ. ფული მისესხებია ყველა მაგათთვის. ოღონდ ცოტა, ძალიან ცოტა. თითო-ოროლა გროში. ღმერთია მოწამე, ერთი ღარიბი კაცი ვარ მთელი ფული რამ დასს აქვს — დაე, მისმა ვაყებმა ქრისტიანობა იწამონ, ქალიშვილმა კი ისე მოიჯაყოს თავი, რომ თაობიდან თაობას გადაეცეს ოჯახის შერცხვენის ამბავი. ნაბუშრები დასეოდეს, გათხოვება არ ღირსებოდეს, ისე ჩასულიყოს საფლავში. კერია გაციებოდეს ჩემი ძმის ოჯახს — ამას ვთხოვ გამჩენს, ღლეში ორჯერ. შესაწირავს და შელოცვებს ხომ ვინ მოთვლის.

დავიდარაბა ასე დაიწყო... ჩვენ გავინაწილეთ ქალაქი ისერ ჯანგი. მე და ჩემმა ძმამ. იქ, კარიბჭიდან ცოტა მოშორებით, მონტგომერისაკენ მიმავალ გზაზე, ცხოვრობდა ერთი ჯაგჰირდარი, მემამულე. სახელი მისი იყოს მუჰამედ შაჰი, შვილი ნავაბისა. დიდი თაღლითი ვინმე გახლდათ და თანაც ლოთი. ვიდრე გარს ეხვია ქალები და საქორწილო მეჯლისებისთვის ფულიც თავსაყრელი ჰქონდა, გულმხიარულად იყო და წვერზე ისვამდა ხელს. რამ დასმა მას ფული ასესხა. ლაქბი თუ ნახევარი ლაქბი რუპია. კარგად არ მახსოვს. ვიდრე ფული მოსდიოდა, ჯაგჰირდარი არხეინად აწერდა ხელს თამასუქებს.

ისერ ჯანგის ხალხი ჩემი წილხვედრი იყო, ჯაგჰირდარი და ქალაქის შემოგარენი — ჩემი ძმისა. ასე გავინაწილეთ. ღარიბი კაცი ვიყავ მენა. ისერის ხალხს ქონება, აბა, ვინ მისცა.

ცდას არ ვაკლებდი. რამ დასი კი ყურყურობდა ბალის წინ. ქეიფის ტრფიალს ფულს ჩაუთვლიდა. სახლთუხუცესს კი თამასუქს მოსთხოვდა.

ერთი წლის შემდეგ, შემოდგომის პირს, რამ დასმა უთხრა ჯაგპირდარს: „დამიბრუნე ჩემი ვალი“. ჯაგპირდარმა კი მაგრად გაათხზა. მაშინ რამ დასმა სასამართლოში მიიტანა ქალღლები და თამასუქები. — ყველაფერი რიგზე ჰქონდა — და იქიდან წამოიღო განკარგულება. ამ ღერბიან ქალღლებზე მთავრობის სახელი ებეჭდა. რამ დასი გოჯი-გოჯ ეპატრონებოდა იქაურობას, მანგოს ხეებს, ქას, ყანებს, ყველაფერს სათითაოდ. თავისი მოვალეები ჩაასახლა ამ მოსავლიან ადგილებში. ასე მოიღვა ფენი აქაურობაში, რაკილა გააჩნდა ქალღლები, რომლებზეც მთავრობის სახელი ებეჭდა. და მალე ჯაგპირდარს თეთრი სახლის მეტი აღარაფერი შერჩა. საქმე მარჯვედ ეწყობოდა. მაგრამ როცა ჯაგპირდარი გონს მოეგო, ცოფები ჰყარა და შეაჩვენა რამ დასი მაჰმადიანთა წესისამებრ. ჯაგპირდარი გულზე სკდებოდა, რამ დასი კი იცინოდა, მონაგებს მიითვლიდა. ეს იყო მარტის თვეში. ცხენზე შევჯექი და ჩემს მოვალეს, ერთ კანაფის მგრეხელს მივაკითხე. სად იყო, სად არა, ცხენზე ამხედრებული ჩემი ძმა, რამ დასი გამომეცხადა. თვალი მკიდა და მალალ ყანაში შეიმალა, ჩვენს შორის ხომ შუღლი იყო ჩამოვარდნილი. მე გზა განვაგრძე, ვიდრე არ მივაღდექი ჯაგპირდარის სახლთან აღერილ ფორთოხლის ხეს. ღამურები ფრენდნენ ირგვლივ, მიდამოს სადამოს ბინდი ეფინა. იქ შემომხვდა ოთხი თავშებურვილი მამაკაცი... ხელი მიტაცეს ჩემი ცხენის ლაგამს და იყვირეს: ეს რამ დასია, დასცხეს მაგას! დამიწყეს არგანით ცემა, მთეთქვეს მანამდე, ვიდრე არ ჩავიკეცე და ტირილი არ მოვრთე, შემიწყალე-მეთქი, მაგრამ ეს ნამუსგარეცხილები განაგრძობდნენ ჩემს ბეგვას და თან დამძახოდნენ: აი, შენი სარგებელი, ჩაგვიბარებია, კარგად დათვალე და აწონეო. ყვირილით დავაქციე იქაურობა, რამ დასი კი არა დურგა დასი ვარ-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. მითაქეს და მითაქეს, და როცა ენა წამერთვა, მხოლოდ მაშინ მანებეს თავი. სახეები კი დამახსოვდა ამ ავისმქნელობა.

ესენი იყვნენ: მსლებელი ელაპი ბახში, მუდამ კუდში რომ სდევს ჯაგპირდარის თეთრონს, დარაჯი ნურ ალი, გოლიათი მზარეული ვაჯიბ ალი, შიკრიკი აბდულ ლატიფი — ერთი სიტყვით, ჯაგპირდარის მთელი ამაღა. ძროხის კუდს დავიფიცებდი, მაგრამ — აჰი, აჰი ამას ფიცი რად უნდა. მე ერთი საწყალი კაცი ვარ, შეგინებული.

როცა ისინი სიცილ-სიცილით გამშორდნენ, ჩემი ძმა რამ დასი გამოვიდა ყანიდან და დამიტირა. მკვდარი ვეგონე, მაგრამ მე თვალი ავახილე და ვთხოვე წყალი მოეტანა. როცა დამარწყულა, ზურგზე შემისკა, მალული ბილიკებით მატარა და მიმიყვანა ისერ ჯანგში. იმ ეამს გული მომიბრუნდა ჩემს ძმა რამ დასზე მისი სიკეთის გამო და მტრობა დავივიწყე, მაგრამ გველი გველობას არ მოიშლის, ცრუ დარჩება ცრულ, ვიდრე არ მიეწევა განგების რისხვა.

შევცდი, რომ ვენდე ჩემს ძმას, ღვიძლ ძმას. როცა მის სახლს მივალწივთ და ცოტათი მოვიხედე, მოვუთხრე ჩემი ამბავი. მან თქვა: ნაღდზე, ნაღდია, მაგათ ჩემი გალახვა უნდოდათ და არა შენი. სასამართლოს კარი ღიაა, იჩივლე, როცა მომჯობინდები.

როცა ჩვენ ორთა პალი დავტოვეთ, იმ მხარეს შიმშილობა იყო მოწყებული ჯეისულმირიდან, ვიდრე გურგაუნსა და სამხრეთით გოგუნდამდე. ფეხი რომ მოვიკიდეთ, მერე მამიდა შემოგვეკელა. გასაჭირისას აბა მოკეთეს ლუკმაპურს ვინ დაამადლის?

როცა ავიშალეთ, ამ ჯანდაგმა და უკბილო ძუქნამ რამ დასს აუბა მხარი და მასთან გადაბარგდა.

სწორედ მას მიმგვარა ჩემმა ძმამ ნაცემი და დალილავებული. პირიდან სისხლს ვანთხევედი, მამიდაჩემს კი აქიმობისა ცოტა რამ გაეგებოდა და წამალიც უღევი ჰქონდა. ორი დღის მერამე ციება შემეყარა, მაგრამ არად ჩავაგდე იმ ხინჯის გამო, გულში რომ მედო ჯაგპირდარის მიმართ.

ისერ ჯანგელები ყველანი ვირის ნაშობნი არიან და ეშმაკთან წილნაყარნი. მოწმეებად კი, გაგიხარია, გამოდგებოდნენ. არაფრით არ მოხდებოდა, ჩვენება გადაეთქვათ. მოვისყიდინდი ოცამდე კაცს და ყველა მათგანი მიმოწმებდა არა თუ ნურ

აღის, ვაჭიბ აღის, აბღულ ლატიფის, ან, ელაპი ბახ-შის, — თვით ჭაგჭირდარის წინააღმდეგაც იტყოდნენ, სწორედ ჭაგჭირდარი, თავის თეთრონზე ამხედრებული ჭაგჭირდარი აგულიანებდა ხალხს ამის საცემრად. ბეგვეს და ორასი რუპია აართვესო. ამ ჩვენებისათვის მე ვალს გავუნახევრებ კანაფით მოვაჭრეს. ის იტყვის: ჩემსას იყო, ვალი დაეუბრუნე, მერე შორიდან თვალი მოვკარი, როგორ ძარცვავდნენ, მაგრამ შევშინდი და ხმა ვერ გავიღეო.

ეს გეგმა ჩემ ძმას, რა დასს გავანდე. კარგი მოგფიქრებიაო მომიწონა — ნურაფერი გადარდებს, ეცადე, მალე დადგე ფეხზეო.

ბოლომდე ვენდე ჩემ ძმას. ისიც ვუთხარი, მავან და მავან ხალხთან მიდი, მოწმეებად შეიპირე-მეთქი. ოლონდ ციება არ მეშვებოდა და კრუნჩხვებიც დამეწყო. იმ დღეს ვიფიქრე, მოდგა-მეთქი ჩემი აღსასრული. ახლა კი ვხედები, რომ ქვრივობერმა მამიდაჩემმა — ყველა უქმრო ქალივით უგულომ, წამალი შხამად მიქცია.

რამ დასმა მომიტანა კარის დიდი გასაღები, დავთრები და მთელი ის ოქროც, იატაკქვეშ რომ მქონდა დამალული. როდის ვტყუივარ, ათი რუპია თუ მექნებოდა, ანდა ოცი. მეტი კი არა.

ღმერთია მოწამე, ბევრი არაფერი მებადა.

ჩემმა ძმამ ისიც მითხრა, საქმეს უკვე გავჩარხავ, სანდო ხალხს შევეუთანხმდიო, მაგრამ სნეულებამ ერთთავად დამაძაბუნა და ლოგინს მიმაჯაჭვა.

როცა ცოტა მოვეძვობინდი — ვერ გეტყვით, რამდენი დღის შემდეგ — რამ დასი მოვიკითხე. მამიდაჩემმა მითხრა, მონტგომერის გზით სასამართლო საქმეზე წავიდაო. წამალი დავლიე და ღრმა ძილს მივეც თავი. როცა გამოვფხიზლდი, სრული სიჩუმე იდგა რამ დასის სახლში და ჩემს დაძახილზე არავინ გამომეპასუხა. შიშმა შემიპყრო, რადგან ვერაფრით მივმხვდარიყავი, რა მოხდა.

ჯონი დავიბიჯგე და რის ვაი-ვაგლახით მივალწიე ქასთან მდებარე დიდ მოედანს. ჭაგჭირდარი ვისლა ახსოვდა, ისე ვჯახნობდი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე.

ჯოვარ სინგჰს მოვუხმე, ხუროს, უპირველესს ჭაგჭირ-

დარის მამხილებელ მოწმეთა შორის. ასე ვუთხარი: „მზად
თუ ხარო, იცით კია, რა უნდა თქვათ სამსჯავროზე“?

მომიგო მან: „რა მოხდა და საიდან მოდიხარ, ღურგა
დას?“

— ამ წუთს წამოვდექი ლოგინიდან, რომელიც კარგახანს
ვლესე ჯაგპირდარის გამოისობით. სადაა რამ დასი, ჩემი ძმა,
ვინც უნდა მოლაპარაკებოდა მოწმეებს?

ამაზე ჯოვარ სინგკმა მომიგო: „ჩვენ რა შუაში ვართ. მე
მივეც ჩვენება და ამის გასამრჯელოც მივიღე, ჯაგპირდარმა
სასამართლოს ბრძანებით უნდა გაიღოს ის ხუთასი რუპია,
რამ დასს რომ წავლიჯა და კიდევ სხვა ხუთასი რუპიაც, მან
ხომ დიდად აზარალა შენი ძმა“.

რეტი დამესხა, თვალთ დამიბნელდა. ველარ ვხედავდი
ვერც ჭას და ველარც მის თავზე წამოყუდებულ ბერის ხეს.

ჯოხს დავეყრდნე და ვთქვი: „რას მიედ-მოვლები, ეს მე
მაწამა ჯაგპირდარმა და იმად მოვსულვარ, სამართალი ვეძიო.
სადაა ჩემი ძმა რამ დასი?“

მაგრამ ჯოვარ სინგკმა თავი გააქნია. ვილაც დედაკაცმა
შეიძახა: „რა ჰქონდა ჯაგპირდარს შენთან გასაყოფი. შე-
უსინდისო, ღვთის პირისაგან გადავარდნილო! ღვიძლი ძმის
გასაპირით ხეირობს, ხალხნო! ასე უჯიგრო რამ დაბადა ეს მე-
ვანშეები.“

მე ვიყვირე: „ვფიცავ ძროხას; ძროხის სახელს და მაჰა-
დოს ლურჯყელიან ტაძარს, ეს მე, მე მცემეს და მიმაცენეს
სიკვდილის პირს. ო, ისერ ჯანგის ხალხო, აღიარეთ სიმართ-
ლე და ვალში არ დაგრჩებით“. უეცრივ შემებაზრბაცა, რადგან
ცემით ძალამიხდილს ჯერ კიდევ არ დამცხრომოდა ტკივილე-
ბი, შემდეგ მოვიდა რამ ნარაინი, ვისაც ფარდაგი უფენია
უნაბის ხის ქვეშ, ჭასთან, და წერილებს უწერს ქალაქის
მცხოვრებთ. თქვა რამ ნარაინმა: „რა ხანია საქმე გაირჩა სა-
სამართლოში და კომისრის მოადგილე საპიბმა შენი ძმისავენ
გადახარა სასწორი. რამ დასი გაუძარცვიათო, დასტურჰყო.
ამაზე მეც მივეც ჩვენება და სხვა ამბებიც დამოწმდა. სამს-
ჯავროში ნაგვემ რამ დასს ორჯერ წაერთვა ცნობა. ეს ყველამ
დაინახა, ვეჭილებმაც და კათანდარა საპიბმა სკამი შესთავაზა.

რა გაუმუვლებს, ღურგა დასო? საქმე ისე წარიმართა, როგორც მე ვამბობ. ასე არ იყო, თუ?”

და ჯოვარ სინგჰმა თქვა: „მართალია, მეც იქ ვიყავი, სკამზე წითელი ბალიში იღო“.

და რამ ნარიანმა თქვა: „თავლაფი დაასხა ჯაგჰირდარს მართლმსაჯულებამ და მისი შიშით რამ დასი და მთელი მისი სახლელი უკან გაბრუნდა პალიში. რამ დასმა გვითხრა, შენ პირველი გაბრუნებულხარ, და შეუღლიც გამჭრალა თურმე თქვენს შორის. ღუქანიც გაგისნია პალიში თურმე. კარგი იქნება, ახლაც იქ წახვიდოდე, ჯაგჰირდარს მჭილი დაუკრავს გულზე — მაგათ ოხტში ამოვალო. საცა იქნება ერთ-ერთის მაინც მოვახელთებ, ჰის ოწინარზე ჩამოვკიდებ და იმდენს ვურტყამ, სისხლს წავასხმევინებ ყურებიდანო. რაც ვთქვი, ყველაფერი მართალია, იმ ხუთასი რუპიის ამბავიც“.

მე ვკითხე: „მართლა ხუთასი რუპია იყო?“

და კირპა რამმა, ჯატმა, თქვა: „ღიახაც რომ ხუთასი რუპია, თავად ვარ ამის მოწმე“.

ღარდით ამოვიგმინე, რადგან მეგონა, ორას რუპიას იტყოდნენ.

უცბად გულმა რეჩხი მიყო, ჩემი დავთრები და ფული გამახსენდა, ლოგინს ქვეშ, ხის სკივრში რომ მეგულებოდა, და რამ დასის სახლისაკენ გავექანდი.

იქ არაფერი ღარჩენილიყო, ერთი კაურის საფასურიც კი, ყველაფერი წაეღო ეშმაკის ნაშიერს, ძმას ჩემსას... მერმე საკუთარ სახლში წავედი და ღარაბები გავხსენი. არც იქ ღამხვდა აღარაფერი. ხორბლის გოდრებში ვირთხები დაწრიალებდნენ. ჰქუაზე კინაღამ გადავცდი. ტანსაცმელი შემოვიხიე, ჰას მივეარდი. ინგლისის მართლმსაჯულებას ვუხმობდი, გაჩენის ღღეს ვიწყევლიდი, იმ დავთრებს მივეტიროდი, ძმამ რომ ღამინახშირა. ხალხმა რომ ღაინახა ჰაში ვეპირებოდი გადახტომას, ირწმუნა ჩემი სიტყვები, ზურგსა და მკერდზე ხომ ჰერ კიდევ მაჩნდა ჯაგჰირდარის ჯოხების კვალი...

ჯოვარ სინგჰმა ტორები მომხვია, გამაქავა, აქეთ-იქით შემაბრუნა და ყველას უჩვენა ჩემ ტანზე გაჩენილი ნაჭღევები. სიცილისაგან ჩაბტირდა, ღამის ჰის არშიას არეხვებდა თავს.

მერე ისე იყვირა, ქარაევან-სარაიამდე მიაწვდინა ხმა: ჰეი, ჰეი! ტურები წაიკიდნენ და ერთი ნაცრისფერი ტურა მახეში გაე-
ბა. რაც მართალია, მართალია, ეს კაცი მაგრადაა ნაუევი და
მისმა ძმამ ჩაიჭიბა მაგის კუთვნილი ფული. შე ბოთევე, შენა,
ახლა რა გამოუღლევს ხალხს სალაზღანდაროს. ტურები წაი-
კიდნენ და დავთრებიც დაიბგალა. ო, ღურგა დასის მევაღე-
ბო, ვიცი, ოხრად იქნებით, დავთრები დაიწვა!

ამის გამგონე მთელი ისერ ჯანგი აჯვირდა, დავთრები
დაიწვაო. — აჰი, აჰი!

ეს მე წამომცდა, ბრალი ჩემი იყო. მთელი ქალაქი დამცი-
ნოდა. გამჭირდეს პანჯაბურად. მათ კი ძალზე მწარე გაქირდ-
ვა სჩვევიათ. ჯოხებს მიშენდნენ და ძროხის ნაკელს, ვიღრე
არ დავეცი და შეწყალება არ ვითხოვე.

წვირღების ზწერალმა რამ ნარაინმა ხალხს მიმართა: „შეწ-
ყვიტეთ ეს ყალიღა, თორემ მონტგომერიმდე მიაღწევს ამბა-
ვი და პოლიცია თავს დაგვადგებო“.

— ერთ სიკეთეს მაინც გიზამ, ღურგა დას, — მითხრა მწე-
რალმა, თან უშვერი სიტყვებით მამკობდა, — თუმცა ჩემს
დისშვილს უხიმანე, ყავისფერი უშობელი დასტყუე. ხალხნო
და ჯამაათნო, იქნებ რითიმე შეეწიოთ ამ ჯეელს. ვისა გყავთ
ისეთი პონი, რომელზეც გული არ გეთანაღრებათ. ჯაგპირდა-
რი თუკი შეიტყობს, ერთი ტყუბთაგანი ქალაქშიაო, ცოცხალს
არ გაუშვებს, მოვა პოლიცია, ასტეხენ ჩხრეკვა-ძიებას, მაგა-
თი ამბავი რომ ვიცი, არც დახლიდარებს გაახარებენ, გამოუ-
ქამენ ყველაფერს.

კირპა რამმა, მეჯოგემ თქვა: „მე მყავს დავარდნილი პონი,
მავრამ ცემა-ტყეპით, ვინძლო, ორი მილი მაინც გაიჩაქჩაქოს.
თუკი სულს გააცხებს, მეტყავებებს დაუთმეთ ლეში“.

შემდეგ ჩუმბომ, მეტყავემ, თქვა: „მაგ ლეშში სამ ანას
ვიძლევი, გზაშიც გავყვები. თუ ორ მილზე გაუძლო, მარტო
ორ ანას გადავიხდი“.

— აგრე იყოს, — დაყაბულდა კირპა რამი.

გამოიყვანეს პონი.

შიშისაგან პირი მქონდა გამშრალი და ჯერ წყალი დამალე-
გინეთ-მეთქი, ვითხოვე, შემდეგ რამ ნარაინმა თქვა: აჰა, ოთხი

ანა. ბედმა ძალზე დაგჩაგრა, მაგრამ მე მაინც არ დაგტოვებ ცარიელზე, თუმცაღა ყავისფერი უშობელის ამბავი ჭერ კიდეც ხინჯად მაქვს გულში. შენს სახლამდე გრძელი გზაა, წადი და, თუ გიწერია, იცხოვრე. ოღონდ პონის ლაგამი თან არ გაგყვეს. ეგ ლაგამი ჩემია.

ისერ ჭანგს ვტოვებდი. გზად სიცილს მაყრიდნენ ფართო-გავიანი ჭატები... მეტყავე მომყვებოდა გვერდით, ერთთავად თვალი ეჭირა, როდის დაეცემოდა პონი. მილიც არ გაგვევლო ცხოველს რომ სული გავარდა. ვირბინე და ვირბინე ჯაგპირდარის შიშით სანამ შემეძლო, მაგრამ ვფიცავ ძროხას, ვფიცავ ინდურსა და მუსლიმანურ ყველა ღვთაებასა და თვით საპიბის საფიცარსაც, ჩემი ძმა კი არა, ეს მე დამთეთქვა ჯაგპირდარმა. მაგრამ საქმე ჩაფარცხეს და სასამართლოს კარიც ჩარაზულია. კაფანდარა საპიბიც — ჭერაც დედის რძე რომ არ შეშრობია ტუჩებზე — თავის გზით წავიდა. — აჰი! აჰი! მე მოწმეები არა მყავს, იარებიც შემიხორცდა და ცარიელ-ტარიელიც დავრჩი. მაგრამ სულს ვფიცავ, რომ ჩემი ძმა კი არა, მე გამლახა ჯაგპირდარმა.

რალა ჩარა მაქვს? ინგლისის სამართალი დიდ მდინარესა ჰგავს. წინ წარდენილი იგი აროდეს ბრუნდება უკან და მაინც, საპიბ, აიღე კალამი და დაწერე გარკვევით, რაც გიაგბე, იქნებ საპიბის მოადგილემ გაკიცხოს უწვერული კაფანდარა საპიბი, დედის მიერ ჭერ აულუკავ კვიცს რომა ჰგავს. გაიგოს ყველამ, რომ მე გამლახეს და არა ჩემი ღვთის პირიდან გადავარდნილი ძმა.

ესეც დაწერე, დაე, ყოველმა საპიბმა შეიტყოს მისი კაიკაცობა. იცოდეთ ყველამ, რომ ჩემი ძმა, ძეი პარან დასისა, პალელი მაჰაჯანი, ღორია და ლამის ქურდი, მკვლელი და უმი ხორცის მლიჯნავი, ტურის ჭილაგის, გონჯი, ურჯულო, მურღალი და შუბლისძარღვგაწყვეტილი.

რამეთუ სავსე არს შურითა და გუჟ
ლისწყრომითა ქმარი მისი. არა კრიბოს
დღესა სასჯელისასა.

ივანე სოლომონისნი 6, 84

ქიშიში თუ ნუში, საჰიბ, აღჯანაბადი? იქნებ ყურძენი ქა-
ბულისა, ანდა მერანი გავეშებული? ოღონდ ინებოს საჰიბმა,
წამომყვესა და თვალი ჰკიდოს. ცამეტი წლისაა და რა არ ემარ-
ჯება, სამი წელია პოლოს თამაშობს. ისე ადგია აკაზმულობა,
გეგონება, თან დაჰყვაო დაბადებიდან. ქალის უნაგირსაც ირ-
გებს და... ო, წმინდაო ყურშიდ და უნეტარესო იმამებო! რას
ხედავს ჩემი თვალები, ეს ხომ თვით საჰიბია! აღივსო გული
და ხარობენ თვალნი ჩემნი. ღმერთმა ჯანი მოგცეს. ტირაჰის
კამკამა წყლის ბადალია მეგობრის მზერა უცხო მხარეში. რამ
გადმოგაგდო ამ წყეულ ქვეყნად? დელის სამხრეთით, შენ კარ-
გად იცი, ასე ამკობენ, საჰიბ, ამ კუთხეს: ავაზაკები ბინადრო-
ბენ იქ და როსკიპნი. ამბობენ, მიბრძანესო? ეჰო! აბა, ბრძა-
ნება რის ბრძანებაა თუ არ გადუხველ. ო, ჩემო ძმაო და მე-
გობარო, რა ნათელ საათს შევხვდით ერთმანეთს. გულს გაგ-
ლია რამ? ჯანმრთელად ხომ ხარ? ანდა ოჯახად როგორ გაქვს
საქმე? ამ ბედნიერ დღეს კვლავ შევიყარეთ ჩვენ ორთავენი.

გეახლო? დიდია შენი წყალობა, საჰიბ. ამ არემარეს თუ
ვიშოვით ცხენების სადგომს? სამი ცხენი და ფუთები უნდა
დავაბინაო. ბიჭიც თან მახლავს. გახსოვდეს, საჰიბ, ცხენის
ქურდი ვარ. პოლიციამ ეს კარგად უწყის. აბა, რა ესმით
ცხენის ქურდობის ველად დაზრდილ ამ ზანტ მცონარებს. ხომ

გახსოვს, საპიბ, პეშავარში ქამალმა რომ მიუკაცუნა ჯუმრუდის ჭიშკარს, ყაჩაღმა ქამალმა, და იმ ღამესვე წაასხა მთელი რემა პოლკოვნიკისა. მოკვდა ქამალი, მაგრამ დარჩა ძმისწული მისი და უფრო მეტი ცხენი გაქრება უგზოუკვლოდ, თუ ქაიბერის პირდაბჩენილი დარაჯები თვლემას არ მოიშლიან.

კურთხევა ღვთისა და წინასწარმეტყველის წყალობა სახლსა ამას. შენ, შაფიზ-ულა, ხეს მიაბი ამლაყი ცხენი და წადი წყალზე, დანარჩენები მზეს მიეფიცხონ, ხელს ნუ შეუშლი, ორად მოკეცე თაქნაბადი და ხურჩინივით გადაადე მაგ ცხენებს ზურგზე. ნუ შეშფოთდები, მეგობარო, აღმაცერად ნუ გასცქერი ემაგ ვერანებს, ხვალვე გავყიდი, მოვატყუებ იმ შტერ ოფიცრებს, რაკი ჰგონიათ, კარგად იციან ფასი ცხენისა. ჭაკი მაკედაა, ქურანა — ქაჯია ტყიური, წაბლა? — მიხვდები აღბათ, რატომაა ფეხდაბორკილი. გავყიდი, მერე დავბრუნდები პუბიში ანდა ეჰ, აღარ ვიცი, მივაშურებ პეშავარის ხეგს.

ო, მეგობარო ჩემი გულისა, რა კარგია, რომ კვლავ გიხილე. მთელი ღღე ტყუილები მეკერა პირზე. მდაბლად ვუკრავდი თავს ყოყოჩა საპიბ ოფიცრებს. ამიტომაც გამომშრალია ბაგენი ჩემნი გულმართალი საუბრისათვის. ოღრრ! ვიდრე ლუკმას ჩაიდებ პირში, თამბაქო უნდა გააბოლო. ეს საუცხოო რამაა, საპიბ. გვერდს ნუ მომისვამ, ჩვენი მამული არ გეგონოს, ემანდ ბანზე მოიკალათე. მე კი აგერ დავაფენ სამოსს. უსაშველო წყურვილი მკლავს. ვფიცავარ გამჩენს, სამმაგად რომ გვიზღავს მადლობას, ჩვენ მიერ შეთვლილს, ნუგბარიი წყალი ეგე, როგორც წყარო შეორანისა, თოვლის ნაყური.

ჩრდილოეთში ვინც გეგულება, ყველა ჯანმრთელია და ცოცხალი, ხოდა ბაქშიცა და სხვანიც. იარ ხანმა ქურთისტანიდან ცხენები მოლალა — ოცდაათი და ექვსი სული მარტოოდენ. აქედან ნახევარზე მეტი საჩალანდროა. სიტყვა დააქუხა იარ ხანმა ქაშმირ სარაიში. ასე უბნობდა: დროაო უკვე ინგლისელებმა გამოგზავნონ ზარბაზნები და ემირიც გაუყენონო მოუსვლელ გზას. ახლა თხუთმეტი საგუშაგოა ქაბულის გზაზე. იარ ხანს ეგონა, დაკაში ყველაფარი რიგზეაო. და სწორედ მაშინ ჩამოართვა გუბერნატორმა ბალხური ჯიმის კვი-

ცების ჯოგი. ეს უღმეთობაა, საპიბ, და იარ ხანიც იწვის და ილაგება გახელებული. სხვების ამბავსაც გეტყვი ახლა: მაპბუბ ალი კვლავ პუბიშია. წერს რადაცას. მარტოოდენ ღმერთმა უწყის თუ რას წერს. ტუგლუქ ხანი ჯურღმულში გდია კოხატის პოლიციასთან შეხლა-შემოხლის გამო. ფააზ ბეგმა წელი დაპყო იზმაილ-კი-ღქერაში. წამოვიდა და ბუხარული სარტყელი წამოგიძღვანა. ამოდ დაშვრა. არავინ უწყოდა, ო, ძმაო ჩემო, საით იყავი, რომელ მხარეს უნდა გვეძებნე. წყალმა ჩაგყლაპა და მეწყერმა წაგიღო თითქოს. სახლიკაცებმა ახალი საქმე გაჩარხეს. აქ, პაკპათპანთან ახლომანლო საკვებს ზიდავენ სახაზინო ოთხთვალეების ჯორებისათვის. ამბობენ, ბაზარში ერთ მოლას საოცარი ამბავი შემთხვევია. ოპო, აი, როგორი ამბავი, მისმინე, აბა...

რად მეკითხები ამას, საპიბ? ჭუჭყიანია ჩემი სამოსი, რადგან მტვრითაა გზები მოფენილი. სევდიანია ჩემი თვალეები, რადგან საოცრად კაშკაშებს მზე. გარუმბებულა ეს ფეხებიც, რადგან მყაყე წყლით განვიბანე და ჩაცვენილა ლოყები ჩემი, რადგან უგვანოა საკვები აქაური. ცეცხლი წაკიდებია მაგ შენ ფულს, რა თავში ვიხლი. უმდიდრესი ვარ. მე კი ვფიქრობდი, მყავს მეგობარი უგულითადესი. ეპ, სამწუხაროდ, შენც მაგათი ჯურის ყოფილხარ. სევდა ახრჩობს ადამიანს? მიეცი თ ფული, ამბობენ საპიბები. პატივაყრილია? მიეცი თ ფული, ამბობენ საპიბები. გული დაუკოდეს? მიეცი თ ფული, ამბობენ საპიბები. აი, როგორნი არიან ისინი და შენც, თვით შენც კი ამდაგვარი ხარ.

რას მისჩერებინხარ წაბლას კოკებში? აფსუს, ტყუილად მისწავლებია ცნობა ცხენისა. კოკლობს? მერე რა? აზამი გზები გამოუვლია და ცხენიც კოკლობს. ორმაგი ტვირთი აწევს ხომ, საპიბ, ამჯერად მაგ ცხენს.

ახლა შემოგთხოვ, ნება დამართო, დაგტოვო მარტო. წყალობა მოიღო საპიბმა, პატივი დამლო, დარბაისლურად გამოთქვა ეჭვი, რომ ეს ცხენები ნაქურდალია. ხომ არ დაგვდებს უფრო მეტ პატივს და არ გვანახებს ვირის აბანოს. უხმოს მეკარეს ან ქუჩის მხვეტელს, ყურმოჭრილ მონებს, კერძო მყოს მათი, მე ხომ საპიბის მეგობარი ვარ, წყალი მისვამს

მისი სახლის საჩრდილობელში. მან კი მიმუხტლა. რას იზამ, ხდება. ხომ არ გვიბოძებდა რვა ანას იგი. ამით მოინანიებდა შეცდომას თვისას და ახალს ჩაიდენდა უფრო უარესს.

მომიტევე, ო, ძმაო ჩემო, გგონია ვიცი რასა ვბოდავ? თუმც აფრიდი ვარ, მაინც ნაცარს დავიყრი თავზე. აქეთობისას იმ ველიდან გზაა მეტად ძნელი სავალი. ცხენებსაც მიტომ დაუშავდათ ასე ფეხები. ლიბრი გადაეკრო თვალებსა და დაითრგუნა სხეული ჩემი უძილობისაგან, გადახმა გული დარდისა და სირცხვილის გამო. მაგრამ ვფიცავ ღმერთს, მომნიჭებელს სამართლისა, ალაჰ-ალ-მუმიტს, მოვესწრები შურისგებასაც.

ძმებივით ვიყავით აქნობამდე. ერთი თეფშიდან კერძა ვჭამდით. ცრუ ვარ ახლა და უმადური წინარე შენდა. მისმინე; თუ უსაშველოდ დიდია დარდი, მაშინ სიტყვაა მისი წამალი. ერთგული კაცის გონება კი ჭაა ისეთი, სადაც ნასროლი ჭვა აღსარების ღრმად იძირება, აღარავისთვის და არასდროს აღარ ჩანს მერე.

ხევიდან ფეხით ამოვალწიე. ასე განველე მრავალი ვერსი. ქვესქნელის ცეცხლი შანთავდა სხეულს. რატომ? რის გამო? ასე იოლად რად გადივიწყე ძველთაძველი ჩვენი ადათი? წესები მათი, ვინც ცოლებსა და ქალიშვილებს ვერცხლზე ჰყიდნიან. დაბრუნდი ისევ ჩრდილოეთში. გამოერიდე ოხერ-ტილებს. მხოლოდ იქ ნახავ შენ ღვთისნიერ ხალხს; როცა მოვრჩები ამ საქმეს სრულად, ჩემად მოგიხმობ. შინისაკენ გავსწიოთ ერთად. ატმების ბალებს დაუფარავს იქ ველ-მინდორი. აქაურობა მტვრით გათხერილია, ქოთს ყველაფერი. ნეტარი სიო დანავარდობს თუთის ხეების ლბილ შტო-ფოთოლზე. ქათქათა თოვლი წყლად ქცეულა და ნიაღვრად მოედინება. დარტაფებში კოცონები ბრიალებენ. ქარავნები მიდიან მალა, ქარავნები მიდიან დაბლა, ხოლო კარავთა შუბის წვერები ნელი რხევით ესიტყვებიან კალოებიდან ადენილ ხმაურს. ვეება ცხენი შესჭიხვინებს ამხანაგს თვისას, სალამოს ბინდში რომ მისცურავს და იძირება. უჰ, რა კარგია ახლა ჩვენსა. მაშ, დაუბრუნდი ისევ ჩრდილოეთს, მშობლიურ წიაღს, კეთილ მოძმეებს!

სევდა რადა მკლავს? თუ არ ქალისთვის, ვისთვისაა აბა,

იგლეჯს გულს კაცი და ნაფლეთ-ნაფლეთ წვავს მას ნელ ცეცხლზე. ო, ნუ დამცინებ, გთხოვ, მეგობარო. ო, დრო მოაწვეს, იცოდე შენიც.

აბაზაელი ქალი იყო, ცოლად რომ მყავდა. ასე მოვიქვეც, რადგან მსურდა შერიგება ჩემი თემისა და გჰორის ტომის. აწ ახალგაზრდა აღარა ვარ, კირმა შეფეთქა თეთრად ჩემი თმა-წვერ-ულვაში, იქნებ არ უნდა ავყოლოდი ჩემს გულისწადილს?.. რაჰმანი ამბობს: თუ კაცის გულს სიყვარული განეწონება, ჰკუჷ და გონება ებინდება, თვალთა ისრებით გიმონებსა და წამწამებით, გადარკალული წარბებით გიპყრობს, ტყვედ გიგდებს ხელად. ვერც გამოგიხსნის ველარავინ. ესაა და ეს. სხვა არაფერი.

გახსოვს სიმღერა, პინდის ბანაკში რომ იმღერიან უზბეკები ემირისანი, როცა ცხვარს წვავენ.

ძალღებია აბაზაელნი და ცოლნი მათნი მოციქულნი ჯოჯოხეთისა. საყვარელი ჰყოლია იმ ქალს მისივე მოდგმის, მამამის-მა კი კრინტიც არ დასძრა ამისა გამო. ო, ძმაო ჩემო, წყევლა-კრულვა შეუთვალე, როცა ილოცებ, ვერაგ დაუდ შაჰს, როგორც მე ვწყევლი მთელ ამ გზაზე ფაქრიდან იშამდე, ყოველ ლოცვად დადგომის ქამს; დაუდ შაჰს, თავი რომ შერჩენია ჯერ კიდევ მხრებზე და მკლავებიც ასხია ტანზე, ვინაც თავს ლაფი გადამასხა და ერთი გოჯა მალიკანდას მთელ საქალეთის სასაცილოდ გადამაქცია.

ორი თვის თავს პინდუსტანს წაველ, ჩერატში. თორმეტი დღე დავყავი მხოლოდ. დავიბარე კი, ორი კვირა დავრჩები-მეთქი. ასე მოვიქვეც, გამოცდა მსურდა მე იმ ქალისა. თქმულა: არ ენდო უმწეოსო. ხეობას რომ შემოვალწიე, დღე სულს დაფავდა. და სწორედ მაშინ ყურთ მესმა ხმა მამაკაცისა, ჩემის სახლის წინ რომ იმღეროდა. დაუდ შაჰისა იყო ეს ხმა, ხოლო სიმღერით, ცად ავლენილით, უზნობდა ასე: დრეი ვარა იაუდი — სამთავე ერთი. ასე მეგონა, თითქოს გულზე მომავლეს თოკი და ჯოჯოხეთის ყველა ეშმაკი მოეჭიდა ამ გაბაწრულ გულს ჩემს მოსაშობად. გზის კიდესთან მივცოცდი ჩუმად, მაგრამ წვიმებს ნესტი ეწოვათ ჩემი თოფის პატრუქისათვის და ველარ შევიძელ მოკვდინება დაუდ შაჰისა. ქალის სიკვდი-

ლიც მწყუროდა ძლიერ, ორთავესი მწყუროდა სისხლი და დაუდ შაპი გადაურჩა ჩემს შურისგებას. მღეროდა იგი ჩამომქდარი სახლ-კარის ზღურბლთან. მაშინ განახვანა კარი ქალმა, გამოეგება, მე კი მუცლით გავეკარ კლდეს და ახლოს მივხობდი. ფეხი დამიცდა ქვაზე და მაშინ გადმომხედეს ზევიდან ორთა. იატაგანი ვიშიშვლე, მაგრამ დასაკარგავში მოისროლა თოფ-იარაღი, ანაზღად გაქრა მოქიშპე ჩემი. სული ტკბილია.

სვეტიცივით იდგა ქალი ერთ ალაგს, რომ აღვიმართე მის წინაშე და შევეკითხე: ეგ რა ჰქმენ, ქალო? დაურიდებლად შემომხედა, თუმცა უწყოდა ჩემი ზრახვა, გადიკისკისა და მითხრა ასე: არაფერია, მე ის მიყვარდა, შენ კი ძალი ხარ და ცხენის ქურდი, ბნელში მძრომელი. ახლა დამჩეხე.

მე კი ჯერ კიდევ თვალდავსებულმა არნახული სიმშვენიერით, — აბაზაელ ქალს ვერ შეედრება სილამაზით ქვეყნად ვერავინ, ო, ძმაო ჩემო, — მივუგე ასე: არ გეშინია? შემეპასუხა: ერთი რამისა, ცოცხლად დარჩენის. ოჰო, ვუთხარი: ამისი ნუ შეგეშინდება. თავი დახარა და ისე დავკარ კისერზე რკინა, რომ ჩემს ფეხებთან გადმოგორდა თავი მაშინვე. გავხელდი, ვითარ სისხლში მოსდგამს ჩემი ტომის ხალხს. მოვლიჯნე დანით ორთავე ძუძუ, რათა ერთ გოჯა მალიკანდას' ჯამათი დაზაფრულიყო. ეს ზრახვა მქონდა. წყალს მივეც სხეული მისი. იმ მდინარეს, ქაბულს რომ ერთვის. დრეი ვარა იაუ დი, დრეი ვარა იაუ დი... სხეული უთავო, სული უსინათლო და გული ჩემი შავად ფერილი, — სამივე — ერთი, ერთი — სამთავე!

იმავე ღამით დაუყოვნებლივ გადაველ გჰორში. ვეკოთხებოდა ხალხს დაუდ შაპის ასავალ-დასავალს. მითხრეს, პუბიში წავიდაო ცხენთა ბაზრობაზე. რას ერჩი. ახლა ხომ მშვიდობაა თქვენს სოფლებს შორის. მივუგე მაშინ: მშვიდობა ეთქმის განა ლალატსა და ურცხვ ტრფობას ქაჯ ატალასი ჰურელისადმი?.. სამჯერ ვახალე თოფი კიშკარს, გადვიხარხარე და ჩემს გზას გავუყევი.

იმ ღამეს, ძმაო და მეგობარო ჩემი სულისა, სისხლანასვამი იყვნენ ვარსკვლავნი და მრგვალი მთვარე ზემოდან რომ

დამჩერებოდა. ფატარი მიწის გემო მქონდა დახაშმულ პირში. არ გამეტება დიდი ხანია ლუკმაც მცირედი. გპორის ხეობიდან გადმოდენილ წვიმას ეხვრეპავდი, ჩემს სახეზე უხვად დადენილს.

მაპბუბ ალი მოვიძიე პუბიში. მწერალი იყო მაპბუბ ალი და გარინდული იჯდა კილოფზე. იარალი გადავეცე, ამას ითხოვდა ჩვენი ადათი. არას ვნაღვლობდი, გულს ამოჭრილი ასე მქონდა, შიშველი ხელით უნდა მომეხრჩო მოსისხლე ჩემი, ქიშმიშის კუნწულს რომ მისწვდები, სწორედ იმგვარად. თქვა მაპბუბ ალიმ: დაუდ შაპი პეშავარში გადასულა, დელისაკენ მიმავალ გზაზე ცხენებს აქუჩებს. ასე ამბობს: ბომბეის კონკების კომპანია ყიდულობს ცხენებს, რვა სულს თითო ვაგონისათვის. ასე მითხრა მაპბუბ ალიმ და მისი თქმული სიმართლე იყო.

მაშინლა მივხვდი. ნადირობა არ იქნებოდა ისე იოლი, მე რომ მეგონა. ჩემი რისხვის ასარიდებლად შორეთის ლტოლვილი უცხო ქვეყნის სამანს იყო მტერი მიმდგარი. გადარჩება კი? ხომ ცოცხალი ვარ ჭერჯერობით? რა გადაარჩენს. დაე, ილტვოდეს ჩრდილოეთით, დორას ჩავიდეს, ან მიაღწიოს შავ წყალს სამხრეთის. უკან მივყვები ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს სატრფოს კვალს მიჯნური ხელი, და მივეწევი და მკლავს შემოვხვევ. ეპო უუნაზესად შემოვხვევ ხელებს და ვეტყვი ასე: სამაგალითოდ აღასრულე შენი საქმე და საზღაურიც უხვი გერგება. ჩემს ძმურ მოხვევენას ვერსად წაუვა დაუდ შაპი ცოცხალი თავით. არც ნესტოები დასჭირდება სასუნთქად მერე, აღარც ცხვირ-პირი. ოღრ, რა უყავ დოქი, ისე მწყურია, ჭაკმა ცხენმა რომ იცის ხოლმე წყლის მონატრება დამაკებისას.

თქვენი კანონი? რად მიღირს იგი? მითხარი აბა, რომელი ცხენი მისჩერებია მარულისას მოედნის ზღუდეს. ან ალი მუსჯიდის ძერებს თუ აფრთხობს ლეშზე გადმოწოლილი ჩრდილი გპორ კუტრის. საზღვარს გაღმა წამოიწყო ეს ყოველივე და გათავდება იქ, სადაც ღმერთი ისურვებს, ან ამქვეყნად, ან ჯოჯოხეთში — სამივე ერთია, ერთი სამთავე.

მისმინე ახლა, გულის დარდის მესაიდუმლვე. ნადირო-

ბის ამბავს მოგითხრობ: პუბლიდან პეშავარში გადაველ. უპატრონო ძაღლივით ვეხეტებოდი ქუჩებში. მტერს ვეძიებდი. მეზმანა ერთხელ, თითქოს დავლანდე, დიდ მოედანზე თხრილში ნაგუბარ წყლით პირს იბანდა. ახლოს მიველი, არაეცნო დამხვდა. იქნებ ის კაცი, მე რომ ვიხილე, სულაც არ იყო დაუდ შაჰი. იქნებ ის იყო და მიიშალა ჩემი დანახვით შეძრწუნებული.

მეწვრილმანე ქალიშვილმა მითხრა: ნაუშერაში სდომებია დაუდ შაჰს ასვლა.

— შენ, გულო ყოველთა გულთა, ნუთუ არ გწყალობს დაუდ შაჰი, არ დადის შენთან — შევეკითხე მე.

— ო, როგორ არა.

— მწყურია ძლიერ მისი ნახვა, მეგობარი ვარ. ორი წელია რაც არ შევყრილვართ. დამმალე აგერ, გევედრები, დარაბების ჩრდილში დავუცდი.

და მომიგო ქალიშვილმა:

— ო, პათჰან, შემომხედე თვალებში!

მე შემოვებრუნდი, მკერდზე მივაწექ, თვალებში ჩაეყურებდი, ვეფიცებოდი, რომ ვამბობდი ღვთიურ სიმართლეს. მაშინლა მითხრა მან: „ჩერ არ მინახავს მეგობარი ქვეყნად არც ერთი, მომლოდინე მეგობრისა ამგვარ თვალებით. ატყუეთ ღმერთი და წინასწარმეტყველნიც, ნება თქვენია, მაგრამ იცოდეთ ვერ მოატყუებთ ქალს ვერასოდეს. იცოდე, ჩემი გამოისობით ერთი ღერიც კი არ მოაკლდება დაუდ შაჰის თმას“. მოვკლავდი, მაგრამ შემიპყრობდნენ, წყალში ჩაეყრიდი სუყველაფერს.

გამეცინა და გამოვებრუნდი, შუკას გაეყევი. ის კი დაეყრდნო ფანჯრის რაფას და მომძახოდა დამცინავ სიტყვებს. ჯამუნი ჰქვია, როცა მოსისხარს წესს ავუგებ, კვლავ დავებრუნდები პეშავარში და სასურველი აღარ აქნება ეგ ჯამუნი საყვარლებისთვის. აჟ განდება იგი, აჟ — ხეიბარი ხეს მიყრდნობილი, კლდე-ღრედ გდებული. ჰო! ჰო! აჟ იქნება იგი მას შემდგომ.

პეშავარში ცხენები შევისყიდე, ყურძენი, ნუში, ზლომად ჩირიცი ზედ მივაყოლე. ეს ხორაგი მისთვის მინდოდა, ხელი-

სუფალთ ეჭვი აღარ დაბადებოდათ და წინ მქონოდა მკ გზა ხსნილი. ნაუშერასაც მივალწიე, მაგრამ დამიძვრა. აღარ ვრცოდი, სად წავსულიყავ, საით მეძებნა. ნაუშერაში დავყავ ღლეღამე. გვიანობისას, როცა ცხენებთან ერთად მკძინა, ხმა შემომესმა, მთელ ღამეს თავზე დამტრიალებდა, შეუსვენებლივ ჩამიურჩულებდა: პირქვე ვიყავი ჩამხოზილი (ასე ძილი ალქაჯს სჩვევია), და ხმაც ყურში რომ ჩამძახოდა, ეშმაკეული იყო იგიც. ჩამჩიჩინებდა: სამხრეთით წადი და უსათუოდ ჰპოვებ დაუდ შაჰს.

მისმინე: არ გადაგლალა გრძელმა ამბავმა? დაქსელილათათაებოლოდ, მოსასმენადაც ძნელია ფრიად. ახლა განსაჯე, მე თავს გადამხდა ეს ყოველივე. ყოველი ვერსი გამოვიჩრილე პუბიდან აქამდე. ნაუშერადან წინამძღვრად ეს ხმა მომდევდა და წყურვილი შურისგებისა.

ატოკს მივადექ, ავ მდინარეს. ეს სახელი ჩვენებურად აბედითს ნიშნავს. ჰო-ჰო! ლომგული კაცი ავ სიტყვასაც ფასაგად აქცევს და ამიტომაც არ მომეცარა ატოკთან ხელი. და კვლავ მომესმა კლდეს მინარცხებულ ტალღათა გრგვინვის ჩამახზობელი ხმა ავსულისა — ვიდოდე მარჯვნივ. მივენდე ამ ხმას, პინდიგჭებისკენ გადავუხვიე, ძილი გამიკრთა იმ დღეებში, არ მომეკარა. აბაზაელი ქალის თავი სულ თვალწინ მედგა დღითა და ღამით, ჩემს ფეხებთან დაგორებული. დრეი ვარა იაუ დი, დრეი ვარა იაუ დი! ცეცხლი, ნატარი და საჩეცელი — სამივე ერთი, ერთი სამთავე.

შორს ვიყავ მაშინ ქორ-ვაჭართა სავალი გზიდან. ამ გზას ირჩევენ ზამთრის პირზე სიალკოტში გადამავალნი, მერჯე სამხრეთით გზა-შარაზე გაივაკებენ, სად ჯარისკაცთა ყაზარმები გადაჭიმულა. საჰიბი შემომხვდა პინდიგჭების ბანაკში. თეთრი ჭაკი იყიდა ჩემგან კარგ ფასად და მითხრა, ვინმე დაუდ შაჰს გაუვლიათ შაჰპურისაკენ ცხენებით. მაშინლა მივხვდი, არ ტყუოდა ხმა იღუმალი და უსწრაფესად გავეშურე მლაშე ქედისკენ. ადიდებული ჭელუმი ნაპირზე გადმოსულიყო. ცდა არ ძალმიძდა. გადაცურვისას ყორანა ცხენი წყალმა წაიღო და დაახრჩო. თავ-ფეხიანად გადაყლაპა მრუმე მორევმა. ცუდად მენიშნა. ჩემზე აღმართა მკაცრი ხელი მაღალმა ღმერთ-

მა. აქეთა მხრიდან, როცა წყალში ვლევნილი ცხენებს, გაღმა ნაპირზე დაუდ შაპი ფონს გასულიყო.

ო, ალპიას, ალპიას! ფლოქვებმა ჩემი ჭაკი ცხენისა განფანტეს ჭერაც ცხელი ფერფლი იმ კოცონის, დაუდ შაპს რომ დაენტო აღრე. როს განთიადი აფერადდა, გადმოვალწიე მეორე ნაპირს. ვერ მოვატანე. მუხლში ქარი თუ ჩაუდგა ვერაგს სიკვდილის შიშით. გეზელქორივით გავენთე მაშინ შაპურისაკენ. გზად არ ვუხვევდი. ვშიშობდი, არსად ამცდენოდა. შაპურიდან ჭემულს გავყევი ნაპირ-ნაპირ, რადგან ვფიქრობდი, თავს არიდებდა რეჰნას უდაბნოს. მაგრამ მალე საპიბალთან გადავუხვით და დავადექი გზას მიმავალს ჯანგისა, სამუნდრისა და გუგერასაკენ. ასე ვიარე, სანამ ერთ ღამეს ჩემი ლურჯა ზედ არ მიადგა მონტგომერისკენ მიმავალ შარას. ადგილი ესე იყო ოკარა. აბაზაელი ქალის თავი კვლავ ვიხილე ყვითელ ქვიშაზე დაგორებული. იქიდან აველ მე ფაზილკაში. იქ რომ შესედეს ძვალტყავა ცხენებს, შიმშილისაგან დაოსებულებს, პირში მახალეს, დაგიკარგავსო ჭკუა-გონება. კვლავ ჩემთან იყო ხმა იღუმალი. გონება ჭრიდა, დაღლილი ვიყავ მარტოოდენ დაუდ შაპის უნახაობით. ცას განეზრახა, არ მეწერა ხილვა მისი არც რანიასა და არც ბაპადურგარპში. მაშინ დელიში შევალწიე დასავლის მხრიდან, მაგრამ იქაც ვერ ვპოვე მტერი. საოცრება ვნახე მრავალი, ძვირფასო ჩემო, გზებზე მავალმა. ვუყურე, როგორ გადადიოდნენ მალაყებს რეჰნას უდაბნოს მღვრიე ქვიშაში გაზაფხულის ჟამს ატეხილი ულაყებივით გადარეული შმაგი ქაჭები. ისიც მესმოდა, ორმოებიდან ჭინები რომ უხმობდნენ ერთურთს. ჩემ თვალწინ გადაიარეს დიდმა ჭინებმა.

არ არიანო ქვეყნად ქაჭები, ასე ამბობენ საპიბები. ჭკუით სავსეა თეთრი კაცი, მაგრამ ბევრი რამ სიზმრადაც არ დალანდებია. ბედაურთა და ქაჯთა ბუნება მათთვის უცხოა. ჰოი ჰოი იციან, უბადრუკად ჩამთვალე თუნდაც, მე კი ერთს გეტყვი, სსავსე მთვარე როს ანათებდა, ტინგიცა ქაჯთა ბრბო მინახავს კვილ-კვილით ქენაბის სალ მეჩეჩებზე ახტუნებული.

არ მეშინოდა? იცი, რას გეტყვი, ჩემო ძმაო, ადამიანის ჯნება-სურვილი, როცა ერთ მიზანს გაეწონება, აღარ ეშინის

მას არც კაცის, ღვთის ან ეშმაკის. თუ შურს ვერ ვიგებ, თო-
ფის კონდახით მივლევ-მოვლევავ სამოთხის ბჭეებს, ან ბასრძ
დანით გავიკაფავ გზას შავეთისას და დაუღ შაპის გვამს გა-
მოვთხოვ ქვესკნელთ მეუფეს. აბა, რომელი სიყვარული დაე-
დარება გრძნებით სიძულვილს. იყუჩე, ვიცი შენი გულისნადე-
ბი. ნუთუ თვალებზე დამეკრო ლიბრი, ანდა ამემღვრა სისხ-
ლი ძარღვებში? არა, სიშმაგე არ მოსდებია სხეულსა ჩემსას.
მშფოთვარე ვნებამ მომაშთო მხოლოდ.

არ მეცნობოდა ის ადგილები, დელის სამხრეთით რომ
გადაშლილა და ამიტომაც ვეღარ გეტყვი, თუ რა გზები გა-
მოვიარე. ისე კი ბევრი ქალაქი განვვლე. მეწერა, უნდა წავ-
სულიყავ სამხრეთისაკენ, ოდეს ცხენები გაოჩნდებოდნენ,
დავეგდებოდი მწირ მიწაზე, დღის მობრძანებას ველოდებო-
დი. არ მომეკარა ძილი ვერანი გზაზე დაქანცულს; გამოგიც-
ლია, ჩემო ძმაო, უსაშველო უძილობა, რომლის დაძლევა არა-
ვის ძალუძს? როცა ყოველი სახსარი გტკივა, ყოველი ძვა-
ლი, გასკდომაზეა საფეთქლები... დრეი ვარა იაუ დი, დრეი
ვარა იაუ დი! თვალი მზისა და თვალი მთვარისა, რულდაკარ-
გულნი თვალნი ჩემნი — სამივე ერთი, ერთი სამთავე.

იყო ქალაქი, რომლის სახელიც გადამავიწყდა, და იმ
ქალაქში მთელი ღამე მიხმობდა ვიღაც.

გამოგეცხადე იმ მიდამოდან, ჰამიპურს რომ უწოდებენ.
დახე ღვთის ნებას! უნდა მენახე ხარებად ჩემდა და საწინ-
დრად მომავალი მეგობრობისა. ვტკბები შენი სახის ჰერეტიით
და ქანცგაცლილი ფეხები ისევ ჭანით მევსება. ვივიწყებ უკ-
ვე მძიმე გზაზე გამოვლილ ურვას. გულიც ჩამდგარა საგულ-
ლეში, რადგან ვიცი, დგება ჟამი აღსასრულისა.

იქნებ მოხდეს, დაუღ შაპს აქ, ამ ქალაქში გადავეყარო,
ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე, რადგანაც ჟამსა გაზაფხუ-
ლისა მთიელს ყოველთვის მოუხმობენ ცად აწვდენილი მწვერ-
ვლები. იხილავს განა ჩვენი მხარის მთებს და გორაკებს?
ყველგან მივწვდები; არ გაცუდლება ეს შურისგება, მშვენივ-
რად ვიცი, და ისიც ვიცი, ღმერთს ჩაბლუჯული ჰყავს დაუღ
შაპი. ფათერაკს არც რას გადაეყრება, ვიდრე ვიპოვი. საღ-
ნალამათი მოვაკვდინო ღუშმანი იგი, ტანმრთელი და სი-

ცოცხლით . საესე, ასეთია სურვილი ჩემი. რაც უფრო
ძნელად ძვრება კანი, უფრო ტკბილია ბროწეული.

დაე, ეს მოხდეს მზის ცხოველ შუქზე, როს შემედლება
საცნაურვეო პირსახე მისი და საწადელიც ჩემი ესრედ დაგ-
ვირგვინდება.

როს აღვასრულებ მე ჩემს საქმეს და ღირსეული გავხდე-
ბი ისევ, მადლობას ვუძღვნი ღმერთს, გამგებელს კანონთ სას-
წორის. მერმე დავწვები, მთელ დღეს, მთელ ღამეს, კვლავ
მთელსა დღესა და მთელსა ღამეს ვიძინებ ისე, რომ არც რაი-
მე სიზმარეული არ შეაშფოთებს ჩემს დაეანებას.

აი, ახლა კი ო, მეგობარო, უკვე გასრულდა ამბავი ჩემი,
აჰი აჰი! აღჰიას, აჰი!

აუხსნელი მიზეზების გამო, ისე რომ არავინ გაუფრთხილებია, სრულიად ახალგაზრდა იმრეიმ ირჩია განშორებოდა ამ ქვეყანას, უფრო სწორედ ერთ პატარა ინდურ დაბას, სადაც სახლობდა.

ჯერ კიდევ წინაღლით იგი საღ-სალამათი გახლდათ, სეგ-ბედნიერი და ყველა მოწმე იყო, როგორი ხალისით თამაშობდა კლუბში ბილიარდს. დილით კი მისი კვალიც გაქრა და ყოველგვარი ძებნა უშედეგო აღმოჩნდა. იგი არ გამოცხადდა დანიშნულ დროზე სამსახურში და მისი ძაღლებშებმული ორთვალაც აღარ გამოჩენილა შარაგზაზე. ყველა ამ მიზეზებისა და კიდევ იმის გამო, რომ მისი გაუჩინარება ოდნავად მაინც დაეტყობოდა ინდოეთის იმპერიის მმართველობას, ხელისუფლებამ კეთილი ინება წამით მაინც მოეცალა მისთვის და ძიება გამოაცხადა. მოჩხრიკეს ტბები, ჭები, დეპეშები დაგზავნეს რკინიგზის ყველა სადგურზე, აცნობეს ათასორასი მილის დაშორებით მდებარე უახლოეს ზღვისპირა ქალაქსაც, მაგრამ ვერც ბარჯებით, ვერც ტელეგრაფის საშუალებით მისი მოძებნა ვერ მოხერხდა. იმრეის თითქოსდა მიწამ უყო პირი და ქალაქში მისი ამბავი აღარავინ სმენია.

შემდგომ ამისა ინდოეთის დიდი იმპერიის ცხოვრება წარემართა თავისი გზით (რას ძალუძდა, აბა, ამ დინების შეკავება) და იმრეი იქცა მითქმა-მოთქმის ისეთ საგნად, რომელიც მთელი თვის მანძილზე ყოფნის ხალხს სალაყბოდ, მერე კი დავიწყებას მიეცემა ხოლმე.

მისი თოფები და ეტლები გაიყიდა საჯარო ვაჭრობით. უწყების უფროსმა აბდაუბდა წერილი მისწერა დედამისს. ატყობინებდა, თქვენი შვილი უკვალოდ გაქრაო.

იმრეის ბუნგალო დაცარიელდა.

სამი თუ ოთხი ხვატიანი თვის შემდეგ ჩემმა მეგობარმა სტრიკლენდმა, რომელიც პოლიციაში მსახურობდა, გადაწყვიტა დაეჭირავენინა ეს ბუნგალო მისი მფლობელის, ადგილობრივი მკვიდრისაგან. ეს მოხდა მანამ, ვიდრე სტრიკლენდი მისის იუგალზე დაინიშნებოდა (მოგეხსენებათ, ეს ამბავი ჩემი აღრინდელი მოთხრობის თემა გახლავთ) იმ ხანებში, როცა იგი იკვლევდა იქაურ ადათ-წესებს...

ძალზე თავისებურ ცხოვრებას ეწეოდა და გარშემო მყოფნი ვერ ეთვისებოდნენ მის ახირებას.

სტრიკლენდის სახლში ყოველთვის ულევია იყო ხორაგი, ოღონდაც იგი დროს არ დაგიდევდათ, ჭამდა, როცა მოეხასიათებოდა, ხან ფეხზე მდგარი, ხან ბოლთის ცემის დროს, რასაც მოახელთებდა კარადაში.

მისი ქონება შედგებოდა ექვსი შაშხანისა, სამი სანადირო თოფისა, ხუთი უნაგირისა და მაჰსირის დასაჭერი მსხვილტარიანი ანკესებისაგან, რომლებიც სიდიდითა და სიმაგრით ბევრად აღემატებიან ორაგულის საჭერ ანკესებს.

ბუნგალოს ერთი მხარე ამ ნივთებით იყო მოფენილი, მეორე ნახევარი კი ეჭირათ სტრიკლენდსა და მის ძალს ტიეტჯენსს. ამ უზარმაზარ, რამპურის ჯიშის ქოფაკს დღეში ორი ვაჟკაცის ულუფა ძლივს ყოფნიდა. მყეფარი სტრიკლენდს თავის ენაზე ესიტყვებოდა. თუკი ქუჩაში რაიმე საექვოს შეამჩნევდა, რაც მისი უდიდებულესობა დედოფალი-იმპერატორის კეთილდღეობას საფრთხეს უქადდა, იგი პატრონთან მიირბენდა ხოლმე და განგაშსა სტეხდა. სტრიკლენდი მყის გამოიღებდა ხელს — ხალხს ჩხრეკდნენ, აჯარიმებდნენ ანდა ატუსაღებდნენ.

იქაურებს ტიეტჯენსი კეთილ სულად არ მიაჩნდათ. შიშნარევი რიდიტა და თავაზით ეპყრობოდნენ.

ბუნგალოში ძალს ცალკე ოთახი ჰქონდა განკუთვნილი. იქ ედგა მოფარდაგული საწოლი და წყლით სავსე ვარცლი. დამით მოსულ დაუპატიჟებელ სტუმარს ძალლი ერთი ნახტომით გააკრავდა მიწას და ყეფით აიკლებდა იქაურობას.

ერთხელ ტიეტჯენსმა სიკვდილისაგან იხსნა სტრიკლენდი;

მაშინ იგი ვილაც მკვლელის კვალს იძიებდა. დამნაშავე კი დილაადრიან შეიპარა მის ბინაში, რათა სტრიკლენდი ანდამანის კუნძულებზე უფრო შორს გაესტუმრებინა. ტიეტჯენსმა ავაზაკს იმ დროს წაასწრო, როცა იგი, პირში ხანჯალგაჩრილი, სტრიკლენდის კარავში ძვრებოდა.

იმ დღიდან ტიეტჯენსს ვერცხლის საყელური შეაბეს, ხოლო ქაშმირის შალისაგან შეკერილ მის საბანს მონოგრამა დააქარგეს. ტიეტჯენსი ხომ აზიზი ცხოველი გახლდათ.

ძალლი წამითაც არ სცილდებოდა სტრიკლენდს და ერთხელ, როცა პატრონს ციებამ შეუტია, მან ცუდ დღეში ჩააგდო ექიმები, არც არავინ გააკარა სიახლოვეს, არც თვითონ იცოდა რითი ეშველა. მაშინ ინდოეთის სამედიცინო მომსახურების მკურნალი, მაკარნატი იძულებული შეიქნა თოფის კონდახი ეთავაზებინა მისთვის. მხოლოდ ამის მერე მოეგო გონს ძალლი და გზა მისცა იმათ, ვინც ავადმყოფს ქინაქინას მიაწვდიდა.

სამსახურის გამო მომიწია იმ მიდამოებში ყოფნამ. კლუბის ყველა ოთახი დაკავებული იყო და ამიტომაც სტრიკლენთან დავბინავდი.

ეს იყო რვაოთახიანი, საკმაოდ რიგიანი ბუნგალო, წვიმი-საგან საიმედოდ დაცული ისლის სქელი ბურულით. დაქანებული სახურავის ქვეშ გადაჭიმული იყო ისეთი სუფთა ტილო, რომელსაც ვერაფრით გააჩხევდით თეთრად შეფეთქილი ქერისაგან.

ვინც არ იცოდა ინდური ბუნგალოების აგების წესი, მას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ტილოს ჩარდახის ქვეშ იმყოფებოდა სამკუთხა წალო, რომელსაც ისლის სქელი ფენა და ღირეები ღობავდა. ეს იყო ვირთხების, ღამურების, კიანჭველებისა და სხვა ათას უწმინდურთა ბუდე.

ტიეტჯენსი ისეთი ყეფით შემომეგება, გეგონებოდათ წმინდა პავლეს ტაძრის დიდი ზარი რეკსო. ცხოველმა მხრებზე შემომამწყო თათები ნიშნად იმისა, რომ მოხარული იყო ჩემი ნახვის.

სტრიკლენდმა რაღაც სალაფავი მოზიზნა, მადიანად შეექცა. მერე თავის საქმეზე წავიდა და ძალს შემატოვა.

ზაფხულის ხვატი თბილმა წვიმებმა შესცვალა. ჩახუთული ჰაერი არ იძვროდა, მხოლოდ წვიმის წვეთები რაკუნობდა ზუმბასავით და გარშემო დგებოდა შეფეების ლურჯი ბურჟუსი.

ბაღში უძრავად აშვეტილ ბამბუკებს, შაქარვაშლებს, მანგოს ხეებს, ათასნაირ ხეხილს, თბილი თქორი დასდიოდა, გარშემორაგულ ალოეს ბუჩქებში კი ბაყაყებმა შეუკიდეს სიმღერას.

შებინდებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა კოკისპირულად დაუშვა და ცა ფეხად ჩამოდიოდა ძირს, მე უკანა პარმალზე ვიჯექი, სირსველით დბფარულ ტანს ვიქექავდი და ვაყურადებდი, როგორ მოთხლავუნობდა წვიმა ლარიდან. ძალს დრუნჩი ჰქონდა ჩემს მუხლებში ჩარგული.

სალამოს ტიეტჯენს ნამცხვრით გაუმასპინძლდი. ჩაი პარმალზე დავლიე, რადგან იქ უფრო გრილოდა, თანაც გავვრიდე იმ ბნელ ოთახებს, საიდანაც დიოდა უნაგირებისა და თოფის ზეთის სუნი, სულაც არ მსიამოვნებდა საგნების ამ ჩელხში ჯდომა.

მწუხრის ჟამს მსახური გამომეცხადა. მუსლინის ხალათი შემოტმასნოდა გაწუწულ ტანზე. ასე მითხრა: უცნობი ბატონი ვილაცას კითხულობსო. უხალისოდ წამოვდექი, გამოცარელებულ სასტუმრო ოთახში შევედი და მსახურს ვუბრძანე, ლამპა მოეტანა. მომეჩვენა, თითქოს ერთ-ერთ ფანჯარასთან ვილაცის ლანდი გაკრთა. მაგრამ როცა იქაურობა განათდა, ოთახში არავინ აღმოჩნდა, მხოლოდ წვიმა ეშხეფებოდა მინებს და ნესტოებს ხვდებოდა წყლით გაჟივებული მიწის სურნელი. მსახურს ჰკუა-გონება შევუქე: შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა-მეთქი, ვუთხარი და პარმალზე დავბრუნდი. ძალლი იქ არ დამიხვდა, გარეთ გასულიყო და დაშაქრულ ნამცხვრითაც კი ძლივს-ძლივობით შემოვიტყუე უკან. სადილობისას დაბრუნდა თავით ფერხამდე წყლით გამლღვალი სტრიკლენდი; შემოსვლისთანავე ესა თქვა, ვინმემ ხომ არ მიკითხაო.

მე მოვუბოდიშე და ვუამბე, რომ გამომიხმეს ტყუილ-

უბრალოდ ოთახში. სტრიკლინდს ჩუმი არ გაუღია. მსახურს მხოლოდ ის ანიშნა, სუფრა გააწყვეო.

ამას კი მართლაც სადილი ეთქმოდა:

მაგიდას თეთრი სუფრაც კი ამშვენიებდა. ცხრა საათზე სტრიკლინდს ძილი მოერია, მეც დაღლილობა ვიგრძენი. როგორც კი პატრონი ადგა და თავისი ოთახისაკენ გაემართა, მაგიდის ქვეშ გაწოლილი ძაღლი წამოვარდა და გადახურულ პარმალზე გაიჭრა.

სტრიკლინდის ცოლს რომ მოენდომებინა გარეთ ძილი, ამას იგი არაფრად ჩააგდებდა, მაგრამ ტიეტჯენსი განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა.

მე გადავხედე სტრიკლინდს, ველოდი, რომ იგი ძაღლს დატუქსავდა და უკან შემოიხიზნებოდა. მან მხოლოდ დამნაშავესავით გაიღიმა. ასე იღიმის კაცი, რომელმაც ეს-ესაა გაგანდოთ მისთვის სამძიმო პირადი ამბავი. მხოლოდ ეს თქვა, რაც აქ გადმოვედით, აგრე დასჩემდაო.

ძაღლი სტრიკლინდისა იყო, ამიტომაც ხმა არ გავიღე, მაგრამ ვგრძნობდი, პატრონს სწყინდა ცხოველის ასეთი ცეტობა. ტიეტჯენსი ჩემი საწოლი ოთახის ფანჯარასთან მოკალათდა. ქექა-ქუხილი დროდადრო შეაზანზარებდა ისლის სახურავს და მერე ისევ მიწყდებოდა. ელვა გაეკვრებოდა ცას, თითქოს ბელლის კარებზე მიხლილი კვერცხი; ჩემი ფარდებიდან ვუცქეროდი, როგორ ძილფხიზლობდა ზეზეურად ეს უშველებელი ძაღლი პარმალზე. ბალანი ყალყზე ასვლოდა. ბონდის ბაგირბივით დაძვებულ ფეხები ერთ ადგილას ჰქონდა ჩასობილი.

ქექა-ქუხილი მიწყდებოდა თუ არა, ვცდილობდი ჩამეთვლიმა, მაგრამ მეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც დაჟინებით მიხიზნებოდა. სახელსაც კი მეძახდა:

ამასობაში ცამ გადაიკრა. ტიეტჯენსი ბალში გავიდა და დაბლა დაზიდულ მთვარეს შეჰყემოდა.

ვიღაც ცდილობდა ჩემი კარის გაღებას, დაწრილობდა სახლში, ხან ერთ პარმალს მიადგებოდა, გულამოვარდნილი, ხან მეორეს. როგორც კი ჩამთვლიმა, მომეჩვენა, რომ ჩემს კარზე თუ სადღაც ზემოთ გამწარებით აბრახუნებდნენ და სასოწარკვეთილი ყვირილიც შემომესმა.

სტრიკლენდის ოთახში შევევარდი. ცუდად ხომ არ შეიქნამეთქი, ვიფიქრე.

გაუხდელი მიწოლილიყო საწოლზე და ჩიბუხს აბოლებდა. — ვიცოდი, მომაკითხავდით, — თქვა მან. — ჩემი ფეხის ხმა ხომ არ მოგესმათ?

თავი დავუქნიე, მთელი სახლი დაიარეთ-მეთქი, ვუთხარი. სტრიკლენდმა გაიცინა და მირჩია დასაძინებლად წავსულიყავი. გავბრუნდი და დილამდე ვიძინე. მაგრამ არეულ სიზმრებს ვხედავდი — თითქოს ვიღაცა შევლას მოითხოვდა. რა გასაჭირი ადგა ნეტა იმ უცნობს, რაღაცას ჩურჩულებდა, რაზებს ეფათურებოდა, ცდილობდა შემოპარულიყო ოთახში, ბორიალობდა ირგვლივ და მამუნათებდა, რომ მე ხელი არ გავუწოდე საშველად.

ამ ძილ-ღვიძილში მესმოდა, როგორ ხმაურობდა წვიმა და როგორ ყმუოდა ბაღში ტიეტჯენსი.

ორი დღე დავყავი ამ სახლში. სტრიკლენდი ყოველდღე სამსახურში დაიარებოდა. მე კი დიდხნობით შემატოვებდა ხოლმე ტიეტჯენსს, ერთადერთ სულიერს.

სანამ დღის სინათლე იდგა, რა გვიჭრიდა, როგორც კი შებინდდებოდა, პარმაღზე გავიდოდით, აღარ ვცილდებოდით ერთმანეთს. ის უცნობი ხომ, ვისაც ასე ვერიდებოდით, გამუდმებით დაყიალობდა იქით-აქეთ.

ერთხელაც არ მომიკრავს მისთვის თვალი, მაგრამ ვხედავდი, როგორ შეირხეოდა ხოლმე ოთახშუა ფარდები, როცა ის ოთახიდან ოთახში გაივლიდა. მესმოდა, როგორ ჭრიალებდა სკამები, როგორ იმართებოდა მისი სხეულის სიმძიმისაგან დადრეკილი ბამბუკი... სასადილოში შევიდოდი თუ არა, გვრძნობდი, რომ პარმაღის წინ ვიღაც იმალებოდა ბნელში და ელოდა, როდის გავიდოდი ოთახიდან.

ტიეტჯენსი არ მცილდებოდა გვერდიდან, ბალანი ყალყზე დასდგომოდა. იჭვრიტებოდა ბნელში და აკვირდებოდა ჩემთვის უჩინარი არსების ადგილმონაცვლეობას. ეს ძალღი საღამოს მოსაწყენ საათებს მიხალისებდა.

ოთახებში იგი არასოდეს არ შედიოდა, მაგრამ მთელი გულისყური იქითკენ ჰქონდა. როცა ჩემი მსახური გამოცხადდებ-

ბოლა, ოთახებს გაანათებდა ლამპით, და სახლში სიმყუდროვე დაისადგურებდა, მხოლოდ მაშინდა შემოვიდოდა ძალი, უკანა ფეხებზე დაყუნცდებოდა და კვლავ უთვალთვალეებდა უხილავ ვისმეს, ჩვენს ზურგს უკან რომ მიმოდოდა. ეს მე სიმხნევეს მმატებდა და ტიეტჯენსმაც საბოლოოდ მოინადირა ჩემი გული.

რაც შეიძლება თავაზიანად განვუცხადე სტრიკლენდს, რომ ვეპირებოდი კლუბში საცხოვრებლად გადასვლას. ვუთხარი, რომ მოხიბლული ვიყავი მისი სტუმართმოყვარეობით, რომ ძალიან მომწონს აოფები და ანკესები, მაგრამ ვერა და ვერ ვეწყობი ამ სახლის გარემოს. მან ბოლომდე მისმინა და გამიღიმა დაღლილი, შემწყნარებლური ღიმილით.

ამ აღამიანს 'შესანიშნავად ესმოდა ყველაფერი.

— დარჩით აქ და ვნახოთ რას ნიშნავს ეს ყოველივე. ყველაფერი, რაც თქვენ მომითხრეთ, მე უკვე იმ დღიდანვე ვიცოდი, როცა ბუნგალო დავიქირავე. შეიცადეთ, ტიეტჯენსი აღარ შეკარება, თქვენც მტოვებთ?

სტრიკლენდმა ერთხელ უკვე მომანიჭა ბედნიერება და გამრია საქმეში, ერთი წარმართული კერპის ასეველ-დასავალს რომ სდევდა. მაშინ კინალამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვხვდი და ახლა აღარავითარი სურვილი არ გამაჩნდა ხელახლა გადამეტანა ეს დავიღარაბა.

სტრიკლენდი კი ისეთი აღამიანი გახლდათ, ვისთვისაც რაიმე უსიამოვნებაში გაბმა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც სხვებისთვის სადილად დაჯდომა.

ამიტომაც მე სრულიად გულწრფელად განვუცხადე, რომ დიდად პატივს ვცემდი და ყოველთვის მოხარული ვიქნებოდი მისი ნახვისა, ოღონდ ამ სახლში ღამის გათევაზე ცივი უარი ვთქვი.

ამასობაში ტიეტჯენსი გავიდა და პარმალზე წამოწვა.

— ღმერთმანი, მე ეს სრულიადაც არ მიკვირს, — თქვა სტრიკლენდმა და მიაჩერდა მალლა გადაჭიმულ ტილოს. — შეხედეთ აბა.

ტილოსა და ლავგარდანს შუა ორი ყავისფერი გველის კუ-

დი კონწიალობდა. ისინი გრძელ ჩრდილებს აფენდნენ ლაპის შუქზე.

— გეშინიათ გველებისა?

ჩახედეთ თვალებში რომელსაც გნებავთ მცურავს. მის მზერაში ამოიკითხავთ, რომ ყველა საიდუმლო სკოდნია ადამის ცოდვისა, რომ იგი ისეთივე ზიზღითაა აღსავსე თქვენს მიმართ, როგორსაც გრძნობდა სამოთხიდან გამოძევებული ადამის შემხედვარე ეშმაკი. მე მძაგს გველები და მეშინია კიდევ მათი.

— უეჭველად შეაკეთეთ სახურავი. მომეციოთ გრძელი ანკესი და გამოვდევნოთ უწმინდურები იქიდან, — ვურჩიე მე.

— ღირეებს შუა იქნებიან მიმალულნი, — მომიგო სტრიკლენდმა. — ახლავე ავძვრები სახურავზე და ჩამოვყრი მაგათ დაბლა. თქვენ ანკესი შეამზადეთ. აქ დაუდარაჯდით და წელში გაწყვიტეთ.

სულაც არ მსურდა, ახალი სადარდელი გამეჩინა, მაგრამ რა ძალა იყო. ანკესი მეკავა და ვყურყუტებდი, ვიდრე მან არ მოიტანა ხეებზე მისადგმელი კიბე. სტრიკლენდმა პწკალა ოთახის კედელს მიაყუდა. უნასების კუდები ჭერისაკენ აიგრინა და მიიმალა. მესმოდა, როგორ შრაშუნობდა მცურავთა გრძელი სხეულები ღუნედ გაკიდულ ტილოზე.

სტრიკლენდს ლამზა ეკავა, ერთხელ კიდევ ვცადე ჩამეგონებინა მისთვის რა საშიში იყო ისლის სახურავისა და ტილოს ჩარდახს შუა მიმალულ უნასებზე ნადირობა. ისიც შევახსენე, რა ზარალი მოუვიდოდა თუკი ტილო გაიხეოდა.

— სისულელეა, — მომიგო სტრიკლენდმა, — ეგენი ახლა თბილ კუნძულებში იქნებიან მიმალულები. ცივ კედელს ვერ ეგუებიან. — იგი ჩაეჭიდა ტილოს კიდეს და აგლიჯა. ქსოვილი გაიფხრიწა. სტრიკლენდმა თავი გაპყო გამორღვეულში და ბნელ კუთხეში შეიჭვრიტა.

კბილი კბილს დავაჭირე და ანკესი შევემართე. შიში მზარავდა, უხსენებელი არ დამცემოდა ზემოდან.

— აჰა, — დასჭექა სტრიკლენდმა და მისმა ხმამ გადაიგრუხუნა სახურავზე. — აქ სამყოფი ფართობია მეორე ოთახისათვის და ეშმაკმა დალახვროს, მგონი ვიდაც სულიერი ბინადრობს კიდევ.

— გველები? — ავძახე მე ქვემოდან.

— არა. ნამდვილი კამეჩია, შუა ღირებუება გაწოლილი, მომაწოდეთ ანკესის ტარი.

— ნამდვილი ბუდეა უწმინდურების. რა გასაკვირვია, რომ აქ გველები შემოჩვეულან, — თქვა სტრიკლენდმა, როცა ანკესი ავაწოდე და კიდევ უფრო მაღლა აიწია. მე ვხედავდი, როგორ მოძრაობდა მისი იდაყვი, როცა იგი ანკესის ტარს უჩუჩხუნებდა.

— აბა, გამოდი მანდედან! თავი გასწიეთ, ძირს ვაგდებ.

ტილო თითქმის ოთახის შუაგულამდე გამოიბურცა, რაღაც სიმძიმე ჩამოიზიდა ანთებული ლამპისაკენ. ძლივს მოვასწარი სანათისათვის მეტაცა ხელი და განზე გავმდგარიყავი, რომ ტილო მოწყდა კედლებს, ჩამოცურდა, გაიხა და მაგიდაზე რაღაც გადმოისროლა.

ვერ შევებდე შემეხედა იმ საგანისათვის, ვიდრე სტრიკლენდი არ ჩამოხტა კიბიდან და გვერდით არ დამიდგა.

სიტყვაძვირი კაცი იყო. არაფერი უთქვამს. მხოლოდ სუფრის კუთხე ასწია და ზედ გადააფარა მაგიდაზე მდებარე საგანს.

— გასაოცარია, — თქვა მან და ლამპა ძირს დადგა. — ჩვენი მეგობარი იმრეი დაბრუნდა. ოჰო, ნუთუ ეს შენა ხარ, იმრეი?

მაგიდის საფარქვეშ რაღაც შეინძრა და იქიდან გამოცოცდა ბატარა უნასი. მას უმაღლესად გააფრთხობინეს სული ანკესის ტარით, ენაჩავარდნილი ვიდექი. სტრიკლენდი ერთხანს ჩაფიქრდა. მერე ღვინო დაისხა ჭიქაში და გადაკრა.

— მაშ ეს იმრეია? — ვიკითხე მე.

სტრიკლენდმა წამით ზეასწია საფარი და დახედა.

— დიახ, — თქვა მან. — ყელი აქვს გამოლადრული.

— აი, თურმე რატომ ისმოდა სახლში ჩურჩული. — აღმოგვხვდა ორთავეს.

ბალიდან მოისმა ტიეტჯენის გაბმული ყეფა. ცოტა ხნის შემდეგ ძალღმა თავისი გრძელი დრუნჩი შემოპყოს სასადილო ოთახში, იქაურობა დაყნოსა და ჩაჩუმდა. ჩამოფხრეწილი ტილოს ნაგლეჯები თითქმის მაგიდამდე უწევდა.

ტიეტჯენსი ოთახში შემოვიდა და დაყუნცდა. ენა გადმო-
აგდო, თათები წინ დაიწყო და პატრონს შეაჩერდა.

— საქმე ცუდადაა, ბებრუცუნავ, — უთხრა სტრიკლენ-
დმა ძალღს და მე მომიბრუნდა — ადამიანები საიქიოში
გასამგზავრებლად ბუნგალოების სახურავზე როდი ძერებიან.
არც ტილოს გაჭიმავენ ხოლმე ოთახს ზემოთ. მოდით განვსა-
ჯოთ რას ნიშნავს ეს ყოველივე.

— უკეთესი იქნებოდა ამისათვის სხვა ადგილი შეგვერ-
ჩია, — შევთავაზე მე.

— შესანიშნავი იდეაა! ჩააქრეთ ლამპები. ჩემს ოთახში
წავიდეთ.

ლამპებს ხელი არ ვახლე და სტრიკლენდის ოთახისაკენ
გავემართე. აქაურობას ეგ უკეთ მოუვლის-მეთქი ვიფიქრე.

როცა საქმეს მორჩია, უკან შემობრუნდა. ორთავემ თამ-
ბაქო გავაბოლეთ და გავვირინდეთ. სტრიკლენდი ფიქრებს წა-
ელღო. მე შიშმა ამიტანა და ხარბად ვეწეოდი.

— იმრეი დაბრუნდა, — თქვა სტრიკლენდმა. — ისმება
კითხვა: ვინ მოკლა იგი. ნუ შემედავებით. მე ჩემი მოსაზრება
გამაჩნია. როცა ეს ბუნგალო დავიჭირავე, იმრეის მსახურე-
ბის უმეტესობა ჩემთან დარჩა. ერთი მიამიტი, უწყინარი
კაცი გახლდათ იმრეი. ასე არ იყო განა?

მართალი ბრძანებაა-მეთქი, დავეთანხმე, თუმცა საფარ-
ქვეშ მდებარე საგანი ამაზე არაფერს მიმანიშნებდა.

— თუკი მსახურებს აქ მოვუყრი თავს, ისინი პირს შე-
კრავენ და არიელებივით მოჰყვებიან ტყუილების ფქვას. რას
იტყოდით ამაზე?

— სათითაოდ შემოიყვანეთ, — ვურჩიე მე.

— დანარჩენები ამხანაგებს დაურბენენ და ყველას მოს-
დებენ ამ ამბავს, — არ დამეთანხმა სტრიკლენდი, — უნდა და-
ვაცალკევოთ ეს ხალხი. როგორ გგონიათ, თქვენმა მსახურმა
იცის რამე?

— შესაძლოა. თუმცა არა. იგი ხომ სულ რაღაც ორი-
სამი დღეა, რაც აქ იმყოფება, — მივუგე მე. — თქვენ რო-
გორ ფიქრობთ?

— ვერაფერს გეტყვით, მეც მათეებს, როგორ მოახერხა ამ ადამიანმა იქ მოხვედრილიყო.

სტრიკლენდის საძილე ოთახის გარედან მოისმა ყრუ ხველა, რაც, იმას მოასწავებდა, რომ გაიღვიძა სტრიკლენდის მსახურმა, ბაჰადურ ხანმა და ახლა ეპირებოდა თავისი ბატონი მოესვენებინა ლოგინში.

— შემოდი, — უთხრა სტრიკლენდმა. — რა თბილი ღამეა, არა?

ბაჰადურ ხანმა, ექვსი ფუტის სიმაღლე, ბრგვე, მწვანე ჩალმიანმა მაჰმადიანმა დასტურჰყო, რომ მართლაც თბილი ღამე იდგა, მაგრამ შენიშნა, ალბათ წვიმა მოვა, ჰაერს გაწმენდს და ბატონს აამებოს.

— მაგას რა სჯობია, თუ ღეთის ნებით ასე იქნა — უპასუხა სტრიკლენდმა და ჩექმები გაიძრო. — ასე მგონია, ბაჰადურ ხან, დიდი ჯაფა გადგას იმ დღიდან, რაც მომეჭირავე, როდის იყო ესა?

— ნუთუ არ ახსოვს ცის შვილს. ეს მაშინ მოხდა, როცა იმრეი საჰიბი საიდუმლოდ გაემგზავრა ევროპაში. მე კი დიდი პატივი დამდო ღარიბთა ქომავმა და მსახურად დამიყენა.

— მაშ იმრეი ევროპაში წავიდა?

— ასე ამბობენ მისი ყოფილი მსახურები.

— და შენ დაუბრუნდები იმრეის, როცა იგი ჩამოვა?

— რა თქმა უნდა. ის მოწყალე ბატონი იყო. მსახურთათვის სასურველი.

— ეს მართალია. ძალიან დავიღალე, ბაჰადურ ხან. ხვალ შავი ირემი უნდა მოვინადირო. მომაწოდე, გეთაყვა, აგერა იმ ყუთში რომ თოფი დევს.

მსახური დაიხარა, ამოიღო ლულა, კონდახი, საკეტი და გადასცა სტრიკლენდს, რომელიც შეუდგა თოფის აწყობას, თან მოწყენილად ამთქნარებდა.

შემდეგ მან ფალასკისაყენ გაიწოდა ხელი. ერთი დიდი ვაზნა ამოაძრო და თოფის სახაზინო, 360 ექსპრესად წოდებულ ნაწილში ჩადო — მაშ იმრეი საჰიბი ევროპაში გაემგზავრა საიდუმლოდ? — კვლავ გაუმეორა სტრიკლენდმა კითხვა — განა ეს უცნაური არ არის, ბაჰადურ ხან?

— მე რა გამეგება თეთრი ადამიანის ასავალ-დასავალისა, ცის შვილო.

— მართალს ამბობ. შენც ცოტა რამ იცი, ოღონდ ახლა შეიტყობ საკმაოდ ბევრს. მე გავიგე, რომ იმრეი საპიბი დაბრუნებულა შორეული მგზავრობიდან, ახლა მეზობელ ოთახში წევს და ელის თავის მსახურს.

— საპიბი!

ლამპის შუქი დაეცა თოფის ლულას, რომელიც მიეზჩინა ბაჰადურ ხანის ფართო მკერდს.

— შედი და ნახე, — უთხრა სტრიკლენდმა. — ლამპა წაიღე. შენი ბატონი დაღლილია და გიცდის იქ. იარე!

მსახურმა ლამპა აიღო და სასადილო ოთახისაკენ გაემართა. სტრიკლენდი უკან მიჰყვებოდა, თოფის ლულით იგდებდა წინ.

ბაჰადურ ხანმა წამით ბნელ კუთხეს მოავლო მზერა, მერე იატაკს დააჩერდა და როცა მაგიდაზე მდებარე საგანი მოხვდა თვალში, სახე გადაუფითრდა.

— რაო, რას იტყვი, — ჰკითხა სტრიკლენდმა პაუზის შემდეგ.

— რალა მეთქმის. ახლა მე ვგავარ თეთრი კაცის მუქაში მოქცეულ თიხას. რას მიპირებს თქვენი მოწყალება?

— თვის ბოლოს ჩამოგახრჩობენ. სხვა რას ელი?

— ჯერ შეიცადე, საპიბ, მომისმინე. ერთხელ მსახურებს შორის ჩამოიარა, და ჩემი ოთხი წლის ბალდი გათვალა. ათ დღეში ციებამ ამოხადა ბედშავს სული.

— განა რა სთქვა ასეთი იმრეი საპიბმა?

— მან სთქვა: რა ლამაზი ბიჭიაო და თავზე ხელი მოუთათუნა. ამიტომაც მოკვდა ჩემი ბავშვი. აი, რად მოვკალი იმრეი-საპიბი შებინდებისას, როცა ეძინა სამსახურიდან მობრუნებულს. მერე სახურავის დირეებზე ავათრიე და ტილო გადავკიმე. ცის შვილმა ახლა ყველაფერი იცის. მე მსახური ვარ ცის შვილისა.

სტრიკლენდმა თოფის ლულის ზემოდან გადმომხედა და ადგილობრივ კილოკავზე მომმართა: მოწმე იქნები, რომ მან ეს სიტყვები თქვა. აღიარა, მე მოვკალიო.

ბაჰადურ-ხანის განაცრისფერებულ სახეს ერთადერთი ლამა ანათებდა. მან სწრაფად ისაზრა, რომ რითიმე უნდა ემართლებინა თავი.

— მახეში გავები, — ოლონდ დამნაშავე არა ვარ. ეს მან გათვალა ჩემი ბიჭი. ამიტომაც მოვკალი და გადავმალე კიდევ. ეშმაკის მსახურის გარდა ამ ამბავს სხვა ვერავინ მიხედებოდა.

და მან გადახედა მის წინ მშვიდად გაწოლილ ტიეტჯენსს.

— კარგად მოგიფიქრებია. შენ ალბათ თოკით მიაბი იგი დირეს. პოლა, ახლა თავად მოგიწევს თოკზე დაკიდება. ასეც ხდება ხოლმე.

გამოცხადდა სტრიკლენდის მიერ ნახმევი ნამძინარევი პოლიციელი. მას კიდევ ერთი სხვაც მოჰყვა. ტიეტჯენსი მშვიდად იწვა.

— წაიყვანეთ ეს კაცი, სადაც ჯერ არს. — განკარგულება გასცა სტრიკლენდმა. — საქმე უნდა აღიძრას.

— მე ჩამომასრჩობენ? — იკითხა ბაჰადურ ხანმა, რომელიც არ ცდილა გაქცევას და თვალები მიწას დააშტერა.

— უთუოდ. თუკი ხვალ წყალმა აღმა არ იწყო დენა, — დაუდასტურა სტრიკლენდმა.

ბაჰადურ-ხანმა წინ გადადგა გრძელი ნაბიჯი, ერთი შეთრთოლდა მთელი ტანით და მერე გახევედა.

პოლიციელები ელოდნენ შემდგომ განკარგულებას.

— შეგიძლიათ წახვიდეთ, — მიუბრუნდა მათ სტრიკლენდი.

— ნუ სწუხხართ. ძალიან მალე დაგტოვებთ, — თქვა ბაჰადურ ხანმა. — შემომხედეთ, მე უკვე ამ ქვეყნისა აღარ ვარ.

მან ფეხი ასწია. გაბურბუსალებული მცურავის თავი მიკეროდა ნეკზე.

— მიწათმოქმედთა გვარისა ვარ, — დაიწყო ბაჰადურ ხანმა და გადაქანდა. — სწორედ რომ შევრცხვებოდი, თუკი საჯაროდ დამსჯილით სიკვდილით. ამიტომაც ვარჩიე ასე მოვქცეულიყავი. მშვიდად იყავით. საპიბის ხალათებიც ზუსტადა მაქვს დათვლილი, ხოლო პირსაბანზე ხელუხლებლად დევს სა-

პნის დიდი ნაჭერი. ჩემი ბავშვი მოკვდა. მე კი ავთვალე მოკალი. მაშ რაღად უნდა ჩამოგეხრჩვეთ? ახლა ღირსეულად ჩავალ სამარეში.

საათიც არ გასულა, რომ ბაჰადურ ხანი მიიცივალა. მოკვდა ისე, როგორც კვდება ყველა, პატარა, ყავისფერი კარაიტის მიერ დაგესლილი.

პოლიციელებმა მისი გვამი და სუფრის ქვეშ ამოდებული საგანიც თავიანთი დანიშნულების ალაგას წაიღეს.

— ყოველივე ეს აუცილებელი იყო, რათა შუქი მოჰფენოდა იმრეის გაუჩინარების ამბავს, — თქვა სტრიკლენდმა ძალზე წყნარად, როცა საბანში გაეხვია. — ესეც თქვენი მეცხრამეტე საუკუნე! გაიგონეთ, რა თქვა იმ კაცმა?

— დიახ, — ვუპასუხე მე. — იმრეიმ შეცდომა დაუშვა. ის ხომ არ იცნობდა აღმოსავლურ ადათებს, თანაც სწორედ იმ დროს იფეთქა ტროპიკულმა ციებამ. ბაჰადურ ხანმა ოთხი წელი დაჰყო მასთან.

მე შევკრთი. ჩემი მსახური ხომ ზუსტად ამდენივე ხანს მსახურობდა ჩემთან. როცა ოთახში შევედი, დავინახე რომ იგი მელოდა, რათა ჩემთვის ჩექმები გაეძრო. მელოდა მშვიდად. სპილენძისაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას დაჰგავდა.

— რა დამართა ბაჰადურ ხანს? — ვკითხე მე.

— გველმა უკბინა და მოკვდა. დანარჩენი საჰიბმა იცის, — თქვა მან.

— შენ რაღა იცი ამის შესახებ?

— მხოლოდ იმდენი, რამდენიც შესაძლოა შეიტყო ადამიანისაგან, ვინაც მწუხრის ჟამს მოიწადინა შურისგება. ნება მიბოძეთ, საჰიბ, ჩექმები გაგხადოთ.

ძალგაცლილი დავეგდე საწოლზე და ამ დროს მომესმა სტრიკლენდის შეძახილი:

— ტიეტჯენსი დაუბრუნდა თავის ალაგს!

უზარმაზარი შოტლანდიური მწვევარი მართლაცდა ზვიადად გაშოტილიყო თავის მოფარდაგებულ საწოლზე. მომიჯნავე ოთახში კი მაგიდაზე ეგდო ჭერიდან ჩამოხერგილი, ცარიელი, ყოველად უსარგებლო ტილო.

ჰიმალაის მთების წიაღში, ტიბეტისაკენ მიმავალ გზაზე ცხოვრობდა ერთი მეფე. მისი ციციქნა სამფლობელო ათასი ფუტის სიმაღლეზე აზიდულიყო ზღვისპირიდან. სამეფოს მეტი წილი ლამის თავქვე ეკიდა. მისი შემოსავალი ოთხას გირვანქასაც კი არ აღწევდა წლიურად და ეს თანხა იხარჯებოდა ერთი სპილოსა და ხუთი კაციისაგან შემდგარი არმიის შესანახად. ინდოეთის მთავრობის მოხარკე მეფეს აქ გამავალი ჰიმალაი-ტიბეტის გზის მოვლა-პატრონობა ევალებოდა და ამისათვის მცირე რამ სახსარიც ეძლეოდა. სამეფო ხაზინას ისიც შეელოდა, რომ იგი სარკინიგზო კომპანიებს ამარაგებდა ხე-ტყით. ტყეში აქრევივინებდა უზარმაზარ კედარის ხეებს. ეს ხეები ზატყით ჩაეხეთქებოდნენ სათლაჯის მდინარეში, სამასი მილის სიშორეზე ჩააქანებდა წყალი მორებს და მერე მათ დახერხავდნენ, ფიცრებს ლიანდაგზე აგებდნენ შპალებად. ეს მეფე (მის სახელს არ გაგიმხელთ), შეკაზმავდა ხოლმე დარახტულ ცხენს და სიმლას ქალაქში გაჩაქჩაქდებოდა, სახელმწიფო საქმეებზე რომ ეთათბირა ლეიტენანტ-გუბერნატორთან, და კიდევ იმისთვის, დაერწმუნებინა მეფის ნაცვალი — ჩემი ხმალი დედოფალ-იმპერატორს მსახურებსო.

შემდეგ მეფის ნაცვალი ბრძანებდა, დაებრაგუნებინათ დოლები და დარახტული რაში და მხედრიონი — ორად-ორი ჩამობრანძული კაკალი კაცი და მაცნე — მეფეს რომ წინ უძღოდა ვერცხლის კვერთხით, გაიჭირითებდა ცის კიდედან მოცურებულ მყინვარის კუდსა და არყიანის ულრანს შუა გადაჭიმულ თავიანთი სამფლობელოსაკენ.

ამ ადგილებს უნდა ვსტუმრებოდი და იმ ამპარტავანი მეფისაგან, ვისაც ჰყავდა ნამდვილი სპილო და რომლის გვარი მოითვლიდა თორმეტ ასეულ წელს, დიდ სიკეთეს არაფერს მოველოდი.

ლამით წვიმამ დაასხა და აგორებულმა ღრუბლებმა გადაფარეს ხეობაში ჩაყუჩული სოფლების სინათლები. ცის დასალიერზე აშვეტილი, ღრუბლისა და ქარიშხალისათვის მიუწვდომელი დონგა პა — ღვთაებათა შესაკრებელი — ქვეშესდგომოდა მწუხრის ვარსკვლავს.

გვიმრით შემოგარსულ ხეთა ტოტებში ჩაშენებულ ბუდეებზე მონადირე მაიმუნები ნალვლიანად შემღერდნენ ერთ-ერთს. და ქარის უკანასკნელ მოქროლებას უჩინარი სოფლებიდან მოჰქონდა კვამლის, ცხელი ლავაშებისა, ბუჩქნარის ჭოჭისა და გირჩების მპალას სუნი. ესაა სურნელი ჰიმალაისა და თუკი ვინმემ ერთხელ მაინც იყნოსა იგი, სიცოცხლის დასასრულს მაინც ყველაფერს ზურგს აქცევს, მთებს დაუბრუნდება და იქ მიაბარებს სულს უფალს. ღრუბლები მოჯორგდა, სურნელი გადაქრა და მიწის პირს შერჩა მარტოდენ თოშიანი ნისლი და სათლაჯის მდინარე, დაბლა რომ მიქანაობდა ხეობაში.

სქელდუმიანი ცხვარი, რომელსაც სიცოცხლე იოლად არ ეთმობოდა, შებლაოდა ჩემს კარავს, პირველ ვეზირსა და მწიგნობართუხუცესს ერჩოლებოდა — მეფეს ძღვენი მოერთმია ჩემთვის.

მადლობა მოვახსენე და ვკითხე, ჩემი სტუმრობით მეფეს სიმშვიდეს ხომ არ დაეუბრღვევ-მეთქი. პირველმა ვეზირმა თავზე ჩალმა მოირგო და რწმენით აღმავსო, უზენაესი დიდად ნაამები დარჩებაო ამით. მე ჭაშნიკად ორი ბოთლი თავარაყი გაუფუგზავნე მოკრძალებულად და როცა ოთხში ამოდებულნი, სახელდახელოდ შემწვარი ცხვარი მომართვეს, აღარ დავაყოვნე, ჭანჭრობი გადავჭერი და სასახლეს მივადექი. მეფემ ჯარი მაახლა, მაგრამ მეომრები ჩემს მზარეულთან მასლაათს შეყვნენ. მთელი მსოფლიოს ჯარისკაცები ხომ გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

უდაბურ მთებში ნატვრის თვალივით იდგა ალიზითა და

მორებით ნაშენი ოთხოთახიანი სასახლე. მეფეს ეცვა მეწამული ფერის ქურთუკი, თეთრი მუსლინის შარვალი და ეხურა ზაფრანისფერი ძვირფასი ჩალმა. პატარა მოფარდაგულ ოთახში მიმიღო, რომელიც სასახლის ეზოში გადიოდა. იქ ბინადრობდა კუდით ხორთუმამდე მორთულ-მოკაზმული სპილო, ზურგზე გადაფენილი ჯეჯიმით.

პირველი ვეზირი და მწიგნობართუხუცესი ესწრებოდნენ დარბაზობას. დანარჩენი დიდებულები კი დაეთხოვათ, რათა ზემოხსენებულ ორ ბოთლს არ ეცდუნებინა ისინი და მათი ზნეობა არ შეებლალა. მეფემ სურნელოვანი ყვავილების აცმა ჩამომკიდა ყელზე და მკითხა, ბედნიერად განისვენებდა თუ არა ჩემი პატივცემული გვამი.

მევუგე: მისი ამოდსამზერი პირსახის შემხედვარეს ლამის ბინდი მზის შუქად მესახება და ქველ მეფეს თავად ღმერთები მიუზღავენ-მეთქი სამაგიეროს.

მომიგო: რადგან ინებე ჩემს სამეფოში მობრძანება, მოსავალი, ალბათ, საგრძნობლად იმატებსო.

— მეფის სახელი გასწვდა ქვეყნიერების ოთხივ ფრთეს, — განვაგრძობდი მე, — და ხალხები შურით გულზე სკდებიან, რაკი დღენიადაგ ესმით ყოვლადგაბრძნობილთა: მთვარისადარი პირველი ვაზირის, ლოტოსისადარი მწიგნობართუხუცესისა და მთელი სამეფოს ქებათა-ქება.

მერმე თოვლივით ქათქათა ბალიშებზე მოვირთხით ფეხი. სიტყვა გააგრძელა, — მაიზის მოსავალს ცუდი პირი უჩანსო. რკინიგზის მესვეურებზე საყვედური თქვა — ხე-ტყეში რიგიან საფასურს არ მიხდიანო. ათას რამეზე ვსაუბრობდით და მეფემ არაერთი სახელმწიფო საიდუმლო გამანდო. ერთ ჭვეშევრდომზეც დაიჩივლა, თურმე ნუ იტყვიოთ და, ეს კაცი უზენაესის ნება-სურვილს არ ეპუებოდა.

— ძველ დროშიო, — თქვა მან, — მე შემეძლო ემანდ რომ სპილო დგას, მისთვის მებრძანებინა ფეხით დაესრისა ურჩი. ახლა კი გაღმა, 70 მილის დაშორებით უნდა გავგზავნო გასასამართლებლად და მისი შესანახი ხარჯებიც სახელმწიფომ უნდა იკისროს.

— რა დააშავა ამ კაცმა, რაჯა საპიბ? — შევეკითხე.

— მაგ გადამთიელს დიდსულოვნად მიეუბოძე კარ-მი-
დამო, როცა პირველად შემოდგა ფეხი ჩვენს მხარეში. მან კი
საშემოსავლო გადასახადი იუკადრისა. ჯერ ხომ მეფე ვარ,
ვისაც კანონითა და ადათით მოსავლის ერთი მერვედი უნდა
მიეთვალოს! ამ ეშმაკის ნაშიერმა კი, როცა გალალდა, ამ
მცირედზედაც უარი მითხრა, თანაც ქვირითივით ყრის ბავ-
შეებს.

— ციხეში ჩააგდე, ო, მეფეო, — ვურჩიე მე.

— ვერა, საპიბ, ვერ ვიქმ. — არ დამყაბულდა მეფე და
ბალიშებზე წამოიწია. — ორმოცი წელი ფრჩხილი არ წამომ-
ტკენია. სნეულებამ მხოლოდ ერთხელ დამრია ხელი და
სახლში გამომკეტა. მაშინ დავიფიცე, რომ კაცსა თუ ქალს
არასოდეს მოვაკლებდი ღვთით ბოძებულ ჰაერსა და მზის
შუქს. ისე კი დაუნანებლად წავაცლიდი მარჯვენას. ახლა
რალა გაეაწყო. აქაურობას ინგლისელები განაგებენ და ჩემი
ხალხიდან ვინმემ რომ მოიწადინოს, — მან ცერად გადახედა
პირველ ვეზირს, — მყის მისწერს წერილს მეფის ნაცვალს
და მაშინ დოღების ხმაური აკრძალული ხილი გახდება ჩემ-
თვის...

მეფემ ნარგილეს ვერცხლის ტუჩი მოაძრო, უბრალო
ქარვისა მოარგო და მე გადმომცა.

— მარტო ეს როდი იკმარა, — განაგრძო მეფემ. — გზის
გასაწმენდადაც ვერ გამომიყვანია. ეს კიდევ არაფერი — ხალ-
ხსაც აუყარა გული. არადა, მკობთამკობნია მდინარიდან მო-
რების გამოზიდვაში.

— ჰო, მაგრამ იგი თაყვანსა სცემს უცხო ღმერთებს, —
მორიდებით ჩაურთო პირველმა ვეზირმა.

— ეგ რა მოსატანია, — თქვა მეფემ, რომელიც აკბარი-
ვით შემწყყნარებელი იყო რწმენის საკითხში. — ყოველ კაცს
საკუთარი ღმერთი ჰყავს აჩენილი. ცეცხლი იქნება თუ
დედამიწა, ყველა ჩვენგანს ერთნაირად ეკუთვნის, ბოლოს
და ბოლოს. მე მხოლოდ ის მწყინს, რომ არაფრად მაგდებს.

— მეფეს ჰყავს ჯარი, — ვთქვი მე. — რად არ დაუბგალა
მაგას სახლი და დედისობილა არ ატანტალა ტყე-ღრეში?

— ო, არა. ქოხი ადამიანის საბუღარია. ერთხელ, როცა

კვლავ ჯორზე. შეჯდა, მეომრები გავგზავნე მის შესაპყრობად, სამ კაცს თავი გაუხეთქა კომბლით, დანარჩენი ორი გაიქცა. თოფ-იარაღიც ზედ ესხათ, მაგრამ ვაი იმ თოფებს...

მე მინახავს ამ ქვეითთა საჭურველი. ეს იყო ჩახმახამოგლებული, მავთულით შეკოწიწებული, ფრინველზე სანადირო, ჭიანჭაში ფილთა თოფების გროვა.

— ესეცაა, — განაგრძო მეფემ და ბოთლს წასწვდა, — უმაგისოდ წყალში ჩახერგილ მორებთან ვერას გავხდებით, ურიგო კაციც როდია, გულადია და ხუმარა. რა უნდა ვუხერხო მას, საპიბ?

საკვირველი აღამიანი ჩანდა. აბა, ბეჩავი მთიელები ვითარ გაბედავდნენ მეფის ურჩობას. ეს ხომ იგივე იყო, ღმერთების შესაწირავზე ეთქვათ უარი.

— მეფის ნებართვით სამ ღღეს არ ავყრი ჩემს კარვებს და მოვინახულებ იმ კაცს. მეფის წყალობა ღვთის ლოცვა-კურთხევის სწორია, ჯანყი კი — დიდი ცოდვა. მოდით, ახლა ეს ორი ბოთლი დავცალოთ და კიდევ ერთიც მივაყოლოთ.

— ნება მომიცია, — დაყაბულდა მბრძანებელი.

მეორე ღღეს მაცნემ მთელი სახელმწიფო მოიარა და გაპკიოდა, მდინარეზე მორები ჩაიხერგა და ყველა ერთგულ ქვეშევრდომს მართებს ხელი გამოიღოსო. იმ ნესტიან ღამით ყაყაჩოს ველზე ხალხი ჩამოხვავდა სოფლებიდან, მეც მათ შეეუერთდი. ასობით გაკოპიტებული კედარის ხე გამოსდებოდა კლდის ქიმებს. მდინარე ყოველ წუთს უფრო და უფრო მეტ ხე-ტყეს მოერეკებოდა და მოახლიდა ჯებირს. წყალი ღმუოდა და ხეებს წალმა-უკუღმა ათამაშებდა. ტალღების მორევში მოსახლეობა ჭოკებით ცდილობდა ხერგის შეტოკებას, იმ იმედით, რომ მდინარე ამ ნაზვინს მერე ერთიანად დასძრავდა.

უეცრივ გაისმა ყვირილი — ნამგეი დულა! და გამოჩნდა აწოწილი, წითურთმიანი სოფლელი, რომელიც გზად-გზა იძრობდა ტანსაცმელს. იგი სწრაფად მოიჭრა მდინარესთან.

— აი, ესაა მოჯანყე, — თქვა მეფემ, — ახლა კი ეშველება საქმეს.

— საიდან სადაო ეს წითური ფაფარი? — ვიკითხე მე, რადგან მთიელთა შორის ასეთი ფერის თმა იმგვარივე იშვიათობაა, როგორც ცისფერი, ანდა მწვანე.

— უცხო ჯილაგისაა, — თქვა მეფემ და თან შეუძახა: — ყოჩაღ, ყოჩაღ!

ნამგევი დულა შეხობდა ხერგზე და დიდი კავით იწყო მორების ჭერა. ნელ-ნელა მიცურავდა წინ ნიანგივით, სამი თუ ოთხი კაცი მიჰყვებოდა უკან. არადა მწვანე წყალი უხვად გადმოსჩქეფდა იმ ღიობებიდან, რომლებიც გაჩნდა ჯებირებში. მერმე სოფლელებმა ყიჟინა დასცეს. აცივიდნენ ნაზვინზე და ჩაქედილ მორებს დაუწყეს ჯაჯგური. ყველგან მოლანდავდით მათი წინამძღოლის — ნამგევი დულას წითურ თავს.

მორები ტორტმანითა და ჭრიალ-ჭრიალით დაიძრა. ამ დროს კი ახალი ხეები ხეავდებოდა უკვე დაცხავებულ ჯებირზე. შემდეგ ყველაფერი ერთმანეთში აირია. წყლის ქაფში შავი თავები ატივტივდა. მდინარემ ყველა და ყოველი წინ გაიგდო. ვხედავდი, წითური თავი დაღმით რომ მიქანაობდა ჯებირის ნაშთებთან ერთად. იგი გაუჩინარდებოდა ხოლმე მოხეტქებულ, დიდროვან მორებს შუა.

მერე ნამგევი დულა ნაპირთან ახლოს მოცურდა. დელფინივით ამოიფრთვინა, წყალი მოიწურა თვალებიდან და მდაბლად დაუქრა თავი მეფეს. ძნასავით თმასა და წვერზე, გეგონებოდათ, ცეცხლი უკიდიაო. ბალნით შემოსილ, ამოწეულ ყვრიმალებს შუა კი უჩანდა მხიარულად მოცინარი ცისფერი თვალები.

აქაური არა და არ ეთქმოდა, და მაინც ტიბეტელს ჩამოჰგავდა მეტყველებით, ჩვევებით, მორთულობით. იგი ლაპარაკობდა ლეპეჩას დიალექტზე, ოღონდ ხორხისმიერ ბგერებს არბილებდა, თითქოს ენას უჩლექსო.

— საიდანა ხარ? — ვიკითხე.

— ტიბეტიდან! — მან მიათითა მთებს გადაღმა და ალაღად გაიღიმა. ჩემდა უნებურად სალამი ვუთხარ ნამგევი დულას. მანაც მაგრად ჩამომართვა ხელი. წმინდა სისხლის ტიბეტელს კი ამეებისა არაფერი გაეგება. ის თავისი სოფლისა-

კენ გაბრუნდა და მომესმა მხირული, თითქოსდა ძალზე ნაცნობი ყვირილი.

— აი, ხომ ხედავ, — თქვა მეფემ, — ამიტომ ვერ გავიმეტე მოსაკლავად, მაგრამ, — მან საყვედურით გაიქნია თავი, — თავის ტყავში ვერ ეტევა, საჩივარი საჩივარზე მოდის. დავბრუნდეთ სასახლეში და განჩინება ვყოთ.

მეფეს ჩვევად ჰქონდა, ყოველდღე, თერთმეტიდან სამ საათამდე გაესამართლებინა ქვეშევრდომები. მე შევესწარი, რაოდენ მიუკერძოებლად სწყვეტდა ძალზე მნიშვნელოვან საკითხებს. ცილისწამებას, მიჯნების მორღვევას, ღიატა წაგვრას. მას სახე მოეღრუბლა და მე მომიხმო.

— კვლავ ნამგვი დულა, — წარმოთქვა მან სასოწარკვეთით. — საშემოსავლო გადასახადზე უარის თქმა ხომ არა და არ იქმარა. ახლა მთელი სოფელი შეუძრავს, მხარი ამიბითო. ასეთ რამეს ჯერ არ მოვსწრებხარ. არადა, ჩემ ხარკს ხომ მძიმე სულაც არ ეთქმის!

ერთ ჩია სოფელს, ყურს უკან რომ წითელი ვარდი გაერჭო, კანკალი აუვარდა. იგი მონაწილე ყოფილიყო შეთქმულებისა და მეფის მოწყალების იმედით ყველაფერი დაფქვა.

— ო, მეფეო, — მივმართე მე, — თქვენი ნებართვით დღემდე შევიცადოთ. მხოლოდ ღმერთებს ძალუძთ მალი და სწორი განჩინება ჰყონ. იქნებ ეს სოფელი ტყუის.

— არა, მე ვიცნობ ნამგვი დულას; მაგრამ რაკი სტუმარმა ასე ისურვა, დე, იყოს ნება მისი. ოღონდ იცოდე, მაგასთან ბევრი ლოლიავე არ გარგებს.

იმავე საღამოს შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ ნამგვი დულამ ისევ მოახერხა ჩემი გულის მონადირება. შემომტყუროდა ალალი ღიმილით. მიამბობდა მდინარის პირას, ყაყაჩოს ყანაში შემოჩვეულ დიდ, ყავისფერ დათვზე. ხომ არ ჩაკუჭაფრდეთო, — შემომთავაზა.

შეთქმულება ცოდვას და სასჯელი არ ავცდებამეთქი, — დაგმოქდვრე გულმოსულმა.

წამგვი დულას წამით სახე მოეღრუბლა. ჩუმად გავიდა

კარვიდან და ცოტა ხანში ფიჭვნარედან მომესმა მისი ღი-
ლინი.

სიტყვები ჩემთვის გაუგებარი იყო, მაგრამ ჰანგი, ისევე,
როგორც ღულუნა კილო, თითქოსდა მეცნობოდა.

კვლავ და კვლავ იმღერდა ნამგეი დულა და ვცდილობ-
დი, როგორმე გამეხსენებინა ეს დავიწყებული ჰანგი. ნასა-
დილევს აღმოვაჩინე, ვიდაცას დიდი ნაპერი ჩამოეფხრიწა
გარეთ გაფენილი ჩემი ხავერდის მოსასხამისთვის. ამან ისე
განმარისხა, ყაყაოს ველზე ჩავეხეტე იმ იმედით, იქნება
წავწყდომოდი ყავისფერ დათვის. უეცრივ მომესმა, გულმო-
სული ტახვიით ქშუტუნებდა ეშმაკის ფეხი და მაიზის ნამნა-
პკურევე ყანაში ჩაეუსაფრდი. მთვარე გავსილიყო, ირგვლივ
დათავთავებული ყანის სურნელი დიოდა. ახლა კი ჰიმალა-
ური ძროხა აბლავლდა. გულსაკლავად ბლაოდა ეს შავი, ჩათ-
ქვირებული საქონელი, ბევრად რომ არ აღემატებოდა სიდი-
დით ნიუფაუნდლენდის ჯიშის ძალს.

უეცრივ ორმა აჩრდილმა ჩამიქროლა გვერდით. ის იყო
თოფი შევმართე, რომ მოვლანდე — ორთავეს წითური თავე-
ბი ჰქონდათ.

ტანმომცრო არსებას ბაწარი დასთრევდა უკან. მთვარის
ჩრდილი შავად ახავერდდა მათ სახეებზე. დიახაც რომ ახა-
ვერდდა; პირზე ჩემი მოსასხამისაგან გამოქრილი ნიღბები
აეკრათ.

გაოგნებული დავბრუნდი კარავში. დილით მთელი სამე-
ფო აფორიაქებული დამიხვდა, ამბობდნენ — გასულ ღამეს
ნამგეი დულამ დანით კუდი მოკვეთა ჩია სოფლელის, მისი
გამცემის ძროხასო.

ეს იყო გაუგონარი მკრეხელობა. ძროხა ხომ წმინდა ცხო-
ველია. ხალხი სისხლს ითხოვდა, მაგრამ ნამგეი დულა ქოხში
ჩაიკეტა, კარ-ფანჯრები ამოხერგა და არავის ეპუებოდა.

მე, მეფე და ხალხი ფრთხილად მიუახლოვდით ქოხს. ჩან-
და, ამ კაცს უმსხვერპლოდ ვერ მოვიგდებდით ხელში, რად-
გან სარკმლიდან გამოშვერილი იყო კრიალა თოფის ღულა.
აქვე დავძენთ, მთელ სახელმწიფოში მხოლოდ ეს თოფი იყო
ვარგისი.

ნამგეი დულამ ჩვენს იქ მისვლამდე წკიპზე დააცდინა თურმე რომელიღაც მომხდურს. მოქმედი არმია უმოქმედოდ იდგა. აბა სხვა რისი მაქნისი იყო. თუკი ვინმე ბიჯს გადადგამდა წინ, ფანჯრებიდან წამოუშენდნენ ფიქალის ბასრ ნამსხვრევებს. ამას დროდადრო მდულარე წყალიც ზედ ემატებოდა.

გარედან ჩანდა სახლში მოფუთფუთე წითური თავები. ოჯახი მხარში უდგა თავკაცს. ჩვენი მოთხოვნის პასუხად ტანში გამზარავი ყივილი ისმოდა.

— ჩემს სახელმწიფოში მსგავსი არაფერი მომხდარა, — ესა თქვა მეფემ და ყალიონი გააბოლა. — მომავალ წელს უეჭველად ვიყიდი ერთ პატარა ზარბაზანს, — განაგრძო მან და ვედრებით შემომხედა.

მე აზრი მოვიკრიფე და შევეკითხე, — სამეფოში ღვთისმსახური არავინა გყავთ? ვინძლო დაიყოლიოს ეგ კაცი.

— ის მხოლოდ საკუთარ ღმერთს სცემს თავყვანს. — მომიგო პირველმა ვეზირმა, — ისევე შიმშილით თუ ვაიძულებთ დაგვენბდეს.

— მომიახლოვდეს თეთრი კაცი, — ანაზღად მოისმა ნამგეი დულას ხმა — სხვას ცოცხალს არავის გავუშვებ. მომიახლოვდეს თეთრი კაცი!

კარი ფართოდ გაიღო და ბავშვებით გაჭედილი ტიბეტური ქოხის წინკარში შევედი. ყველა მათ აღისფერი თმები ჰქონდათ. იატაკზე ეგდო ძროხის სისხლიანი კუდი და ხავერდის ორი დალიჯნული ნაკუწი.

— რაზე ჩაიღინე ეს სასირცხვილო საქმე, ნამგეი დულა? — გავკიცხე მე.

მან კვლავ ხიბლიანად გაიღიმა. — აქ არაფერია სასირცხო. მე მხოლოდ კუდი მოვჭერი იმ კაცის ძროხას, ვინც გამცა. ვაპირებდი, ტყვიაც მეკრა მისთვის, ოღონდ, ღმერთმანი, არა სასიკვდილოდ, მხოლოდ ფეხებში.

— რაზე ჩაიღინე ეს ყოველივე, მეფეს ხომ ყველა უხდის ვადასახადს...

— მამაჩემის ღმერთს ვფიცავ, ვერ ვიტყვი, — თქვა ნამგეი დულამ.

— ვინ იყო მამაშენი?

— ამ თოფის პატრონი, — მან მიჩვენა იარაღი, ტაუერის მუშეკეტი, რომელზეც ამოტვიფრული იყო თარღი — 1832 წელი, და ოსტინდოეთის ღირსპატივისცემა კომპანიის დამლა.

— მამაშენს რა ერქვა?

— ტიმლეი დულა, — თქვა მან. — როცა პატარა ვიყავი, მახსოვს, წითელ პალტოს ატარებდა.

— ეჭვიც არ მეპარებოდა, ასე იქნებოდა. გაიმეორე გეთყვა ერთი-ორჯერ მამაშენის სახელი.

იგი ნებას დამყვა და მაშინ მივხვდი, რატომღაც ამახინჯებდა სიტყვებს. — ტკიპლა თქულა. — წარმოთქვა მან ალტყინებით. — აქამდე თაყვანს ვცემ მის სალოცავებს.

— მეც შემახედე იმ ღმერთს.

— ცოტა ხნის მერე, მწუხრის უამს.

— იქნებ გახსოვდეს როგორ ილოცვიდა მამაშენი?

— დიდი ხანი გავიდა, მართალია, მაგრამ ერთი სიტყვა ჩამებეჭდა, რომელსაც ხშირად იმეორებდა. „შუნ“. ამის გაგონებაზე მე და ჩემი ძმები ხელად წამოვცვივდებოდით — აი, ასე.

— აჰა. დედა სადაური გყავდა?

— მთიელი ქალი, ლეპჩა დარჯილინგიდან. მაგრამ ისინი გადამთიელს მიწოდებდნენ ჩემი წითური თმის გამო.

ცოლმა, ტიბეტელმა ქალმა, ნაზად შეაგლო მკლავზე ხელი. ამ ხანგრძლივმა მოლაპარაკებამ მთელი დღე გასტანა. მოაწია მწუხრის უამმა. წითურთმიანი მთელი ჯამაათი იატაკიდან წამოიშალა და დიდის ამბით ნახევარწრედ განლაგდა.

ნამგეი დულამ თოფი ააყუდა კედელზე, აანთო ზეთის პატარა ქრაქი და კედლის წალოში ჩადგა. მერე გადასწია წვრიანი ფარდა და გამოჩნდა გაცვეთილი სპილენძის ჯვარცმა, დაყუდებული ოსტინდოეთის უხსოვარდროინდელი პოლკის მუზარადზე.

— ასე იცოდა მამაჩემმა, — თქვა მან და მოუქნელად გადაიწერა პირკვარი. ცოლმა და ბავშვებმაც მას მიბაძეს. შემ-

დღე ყველამ მოთქმასავით შეუქცია იმ სიმღერას, რომელიც ფერდობიდან მომესმა ადრე.

ახლა კი მივხვდი ყველაფერს. კვლავ და კვლავ გაბმულად, გულამოსკვნით მღეროდნენ ისინი „მწვანით მოსილთა“ საგალობლის მისამღერს:

„ხეზე ჰკიდებენ კაცსა თუ ქალს — მათ, ვინც ატარებს მწვანე სამოსელს“.

შევნიშნე, ერთი პატარა ბიჭი შემოჩენილივით მითვალთვალებდა. რუპია მოვიჩხრიკე ჯიბეში.

მონეტა საჩვენებელ და ცერა თითს შუა მეკავა. მიეჩერებოდი კედელზე მიყუდებულ თოფს. მიმიხვდა, ღიმილი დაეფრქვა სახეზე. სიმღერა არ შეუწყვეტია, პეშვი გაშალა ფულისათვის. მერე კი თოფი ჩამიცურა ხელში. ახლა შემეძლო იქვე გამეთავებინა ნამგეი დულა, მაგრამ ეს არ მსურდა. სისხლმა სისხლი იცნო. ნამგეი დულამ ფარდა წაახურა წალოს. მწუხრის ლოცვა დამთავრდა.

— ასე გალობდა მამაჩემი, სიმღერა გრძელი იყო, მაგრამ მე გადამავიწყდა სიტყვები, არადა, ღმერთი მაინც შეისმენს. ახლა ხომ ხედავ, ამ ხალხის მოდგმისა არა ვარ, და ჩემგან რაღა ხარკს ელიან...

— აგრე რად ირჯები?

კვლავ განმაიარალებელი ღიმილი — ეგ რომ არა, აბა რით შევიქცეოთ თავი, რით არ სჯობია დათვების დევნას? მაგრამ ამათ რას შეასმენ.

მერე მან იატაკზე დაყრილი ნიღბები აიღო და ბავშვივით გულუბრყვილოდ შემომჩერდა.

— ეს ოინბაზობა ვინლა გასწავლა? — ვკითხე მე და ნიღბებზე მივუთითე.

— ვერ გეტყვი. დარჯილინგელ ლეპჩას რა ჰქუა ეკითხება. და ეს ხავერდიც...

— მე რომ ამწაპნე?

— არა, მერწმუნე. განა მოვიპარე? რა თავში ვიხლი მაგ ქსოვილს, — მან ხავერდი თითებით მოსრისა.

— ძროხა რომ დაასახიჩრე, ეს ცოდვა რადლა დაიდე?

— მართალია, საპიბ, მაგრამ იმ კაცმა გამცა. უშობელი კი ჩემს ცხვირწინ აქნევდა კუდს... მე დანა მქონდა მომარჯვებული. გონს რომ მოვეგე, კუდი უკვე ძირს ეგდო. აღარ ყოფილა საშველი, საპიბ, რახან შენც აგრე უბნობ.

— შინ ღარჩი, — ვუთხარი მე. — მე კი მეფეს ვინახულებ.

მთელი მოსახლეობა მთის ფერდობზე გამოფენილიყო. მე წინ წავდექი.

— ო, მეფეო, ამ კაცს ორგვარად თუ მოევლება. ან უნდა ჩამოკიდო ხეზე მთელი თავისი ჯალაბით და მაშინ წითური თმის სახსენებელიც გაწყდება ამ კუთხეში...

— არა, — თქვა მან. — რას ვერჩი პატარა ბალებს.

ისინი ქოხის წინ გამოეფინენ და უსიტყვო მორჩილებას უცხადებდნენ მეფეს. ნამგეი დულა იცდიდა მკლავზე გადადებული თოფით.

— ანდა, მიუხედავად გაუგონარი მკრეხელობისა, რაც ძროხის მიმართ ჩაიდინა, უნდა პატივი დასდო და ჯარში ჩარიცხო. იგი იმ მოდგმას ეკუთვნის. რომელსაც წესად არა აქვს გადასახადი იხადოს. თმა მას წითლად სისხლმა შეუღება. ჩაუყენე ნამგეი დულა ჯარს სათავეში. უბოძე ეს ღირსება და მიენდე. ოლონდაც თვალი გექიროთ, არც მან და არც მისმა ჯალაბმა ფეხი არ გაადგას აქედან. უკმეი ქათინაურები, საჩუქრებსაც ნუ დაიშურებ, ნურც ორიოდ ბოთლ სასმელს, მაშინ ურჩობას ველარავინ გაგიბედავს. ასეთი დაბადა გამჩენმა. ისიც არ დაივიწყო, მას თანამომენიც ჰყავს.

მთელმა ხალხმა ერთხმად ამოიგმინა:

— ღმერთმა გაცილოს ისინი, დიდ დავიდარაბას აგიტეხენ! მაშ გაამწყესე იგი. არმიაში. ო, მეფეო, არჩევანი შენზეა.

მეფემ დახარა თავი და მე წარვთქვეი: — წინ წამოდექ, ნამგეი დულა, და უწინამძღვრე მეფის ჯარს. შენი სახელი ამჟამით იქნება არა ნამგეი დულა, არამედ პატსეი დულა.

და ნამგეი დულა, ახლად მონათლული პატსეი დულად, ძე ტიმლეი დულად წოდებული ტიმ დულანისა, მუხლებზე მო-

ეხვია მეფეს. მერე ჭარისკაცებს წაუთაქა და გაქანდა კოშკი-დან კოშკისაკენ, რათა გულწრფელად მოენანიებია თავისი მკრეხელური საქციელი.

და მეფეც ისე იყო ნაამები ჩემი გამჭრიახობით, რომ შემთავაზა მეყიდა სოფელი ოც ფუნტ სტერლინგად, მაგრამ ჰიმალაიში სოფელს არასგზით არ ვიყიდი, ვიდრე თუნდაც ერთი წითური თავი იბოგინებს ზეცას აღწეულ მყინვარის ბოლოსა და არყის უღრანს შუა.

მე კარგად ვიცნობ ამ მოდგმას.

სიცოცხლე ან სიკვდილი — მესამე გზა
არ არსებობს

ადგილობრივ მკვიდრთა ანდაზა

ეს ამბავი, ჯამბაზების თქმისა არ იყოს, სიცრუე როდია.

ჯუკსი შემთხვევით წააწყდა სოფელს, რომელიც მართლა არსებობს, თუმცაღა მის გარდა იქ ჯერ არც ერთ ინგლისელს არ დაუდგამს ფეხი. ასეთივე დაბებს ჯერ კიდევ ახლახან ნახავდით კალკატას მიდამოებში და ამბობენ კიდევ, თუკი ინდოეთის დიდი უდაბნოს შუაგულში ღრმად შეაღწევთ, იქ წააწყდებით არათუ სოფელს, არამედ მთელ ქალაქსაც მკვდრებისა, რომელთაც, მართალია, სული ჯერ არ ამოხდომიათ, მაგრამ სიცოცხლესთანაც აღარაფერი ესაქმებათ.

ისიც ნამდვილია, რომ იმავე უდაბნოში არის უცნაური ქალაქი, რომელსაც ყოველი მდიდარი მევახშე აშურებს ხოლმე შემდგომ იმისა, რაც დიდძალ ქონებას მოიხვეჭს. მევახშეები თავიანთ უზღვავე ავლა-დიდებას დამცველი კანონის უდრეკ ხელსაც კი არ ანდობენ და თავშესაფარს ამ უწყალო უდაბნოეთში ეძიებენ. ისინი უკვეთავენ დიდებულად გაწყობილ ლანდოებს, ფულს არ იშურებენ, ყიდულობენ ლამაზ-მანების სულსა და ხორცს და თავიანთ სასახლეებს ოქროით, სპილოს ძვლით, მინტონის შორენკეცითა და სადაფით ამშვენებენ.

ამიტომაც სავსებით უტყუარი ჩანს ჯუკსის მონათხრობი.

იგი ინჟინერია, ტვინი გამოტენილი აქვს ათასგვარი გეგმებით, ანგარიშებითა და, რა თქმა უნდა, თავს არ შეიწუხებდა რაღაც მონაგონის შესათხზველად.

ჯუკსმა ქალაქის გაანდო, რაც თავს გადახდა.
მაშ ასე:

ერთხელაც პაკპათჰანისა და მუზარაკურის მიდამოებში ყოფნისას ციება შემეყარა. ეს ადგილი ხრიოკი ქვიშნარია. დიდი გასაჭირი მადგა. მუშახელის ჯიჯინმა სული ამომხადა. ყულის დასანახად ველარ ვიტანდი. სამუშაო ფრიად საძნელო მქონდა, დიდ გულისყურს მოითხოვდა და სადღა მეცალა მოსაწყენად, თუნდაც მიდრეკილი ვყოფილიყავ ამ არავაჟეკური სენისაკენ.

1884 წლის 23 დეკემბერს ოდნავად შემაცია. მთვარე გავსილიყო და ამიტომაც ჩემს კარავთან მოხროვებული ძაღლები შეჰყმუოდნენ მნათობს. ეს ეშმაკის ნაშიერნი ორ და სამ ხმაზედ გაჰკიოდნენ. კინალამ ჰკუაზე შემარყიეს.

რამდენიმე დღის წინ მე საიქიოს გავისტუმრე ერთი ასეთი თავგამოდებული მომღერალი. ლეში ჩამოვკიდე საფრთხობელად კარვის შესასვლელიდან ორმოცდაათი იარდის დაშორებით, მაგრამ მისი თვისტომნი ეტაკნენ იმ ლეშს, ერთმანეთსაც კლანჭი გაჰკრეს, ბოლოს გაბდღვნეს და განახლებული ძალით დააგუგუვნეს სამადლობელი ჰიმნები.

ციება ახელებს ზოგ ადამიანს. ჩემი სიშმაგეც სულ მოკლე ხანში გადმოინთხა ერთ უზარმაზარ შავ-თეთრ უწმინდურზე, მთელი დღე გაუთავებლივ რომ ყმუოდა და პირველი რომ გამისხლტებოდა ხოლმე. ეს ბრაზი მექცა მტკიცე გადაწყვეტილებად — მომეკლა იგი. ორჯერ დავაცილე ამ ძაღლს ჩემი ორლულიანი სანადირო თოფიდან იმის გამო, რომ ხელი მიკანკალებდა და თავი მიბრუოდა. უეცრივ აზრად მომივიდა, მისთვის ცხენით დამევილო თავი გაშლილ ველზე და შუბი მეკრა.

ჩემი განზრახვა ციებაშეყრილის ნაბოლევარს ჰგავდა, მაგრამ მაშინ ეს ჩანაფიქრი ჰკუასთან ახლოს მეგონა და იოლად განსახორციელებლად მესახებოდა.

ამიტომაც მეჩინიბეს ვუბრძანე ცხენი შეეკაზმა და უჩუმრად მოეყვანა კარავის უკან შესასვლელთან. პორნიკი მომგვარეს, მე გვერდით ვედექი ცხენს და მზად გახლდით მოვ-

ჯდომოდი მას და ვძგერებოდი ცხოველს, როცა იგი კვლავ აყმუვლდებოდა. აქვე დავსძენ, ორი დღე იყო, რაც პორნიკი არ გამოეშვათ თავლიდან. საღამოს გრილი ჰაერი მახალისებდა. ცხენი მიეუშვი, ბასრი დეზები ამოვკარი, ის დაოთხდა. შურდულივით გაქროლდა. კარავი საღმაც უკან ჩამოვიტოვე და გლუვ ქვიშრობზე ისე გავექენდი, თითქოსდა დოლის მონაწილე ვყოფილიყავ. მეორე წამს გადავუსწარი წყეულ ძაღლს. ბრუდასხმულს აღარც კი მახსოვდა, რატომ ვიჯექი ცხენზე და რად მეპყრა ხელთ შუბი.

ციებ-ცხელების სიშმაგემ და სწრაფმა ქენებამ, ეტყობა, გამომალენჩა. ბუნდოვნად თუ მახსოვს, რომ უზანგებზე შევიმართე და შუბს ეუქნევედი სავსე მთვარეს, რომელიც მშვიდად დამცქეროდა ზემოდან. ყოჩინას ვცემდი აქლემის საცონნარ ბუჩქებს, როცა ისინი გაიშტიალებდნენ ჩემს გვერდით. როგორც ჩანს, უნაგირიდანაც მოვსხლეტილვარ. ცხენს თუ დავეკიდე დეზებით. მეორე დღეს პორნიკს ჯიდაოზე ეტყობოდა ამისი კვალი.

წყეული ცხოველი შეპყრობილივით მიექანებოდა თითქოს უსაზღვრო, მთვარის შუქით მოღვრილ ქვიშრობზე. მერე ნიდაგი უეცრივ აიზიდა და როცა ავქანდი დამრეც ფერდობზე, ვერცხლის ზოლივით მოელვარე სათლაჯის წყლები დავლანდე. აქ პორნიკი წაფორხილდა, ცხვირით ჩაერჭო ქვიშაში და ორთაყენი გადავგორდით უჩინარ ფერდობზე.

ალბათ ცნობა დავკარგე, რადგან კვლავ გონს რომ მოვედი, პირქვე ვეგდე რბილი, თეთრი ქვიშის ზვინზე. ამასობაში განთიადმაც ითანდათანა. როცა საკმაოდ მოდღვედა, მე დავინახე, რომ მოვხვედრილიყავი ცხენის ნალისებრ ხაროში, რომელსაც ერთი მხრიდან სათლაჯის მეჩეჩისაკენ ჰქონდა განასვლელი. ციებამ ამიშვა და მსუბუქი თავბრუსხვევის გარდა აღარაფერი მაწუხებდა.

პორნიკს, რომელიც ჩემგან რამდენიმე იარდის დაშორებით იდგა, ილაჯი კი გასცლოდა, ოღონდ სრულიად უვნებლად გადარჩენილიყო.

პოლოსათვის ვარგისი უნაგირი დაბრეცილიყო და მუ-

ეულზე მოქცეოდა ცხენს. ერთხანს ვჯახირობდი, ვიდრე გავასწორებდი და ამასობაში ის ადგილიც მოვათვალიერე, სადაც ასე წინდაუხედავად ჩავეცი.

იქნებ თავიც მოგაბეზროთ, მაგრამ მაინც ვრცლად მინდა წარმოვსახო იქაურობა, რადგან დაწვრილებით აღწერა ყოველივესი მკითხველს დაეხმარება ალლო აულოს მოვლენათა შემდგომ მსვლელობას.

წარმოიდგინეთ, აბა, როგორც უკვე ვთქვით, ასე ოცდათხუთმეტი ფუტის სიმაღლის ნალისებური ქვიშის ხარო დამრეცი კედლებით, რომელთა დაქანება ალბათ 65° იქნებოდა. კედლები გარს ერტყმოდა ორმოცდაათამდე იარდის სიგრძისა და ოცდაათიოდე იარდის სიფართის მოსწორებულ ალაგს, რომლის შუაში ამოკუნძულიყო ურანდავი მორებისაგან ნაშენი ჰის თავი. ხაროს ფსკერის გარშემო მიწიდან სამი ფუტის სიმაღლეზე ერთმანეთს მწყრივად მისდევდა ოთხმოცდასამი კვერცხისებური, კვადრატული და მრავალწახნაგოვანი სორო. თითოეულის შესასვლელი სამ ფუტს უწევდა. ახლო მანძილიდან შეიმჩნეოდა, ყოველი სორო საგულდაგულოდ გამაგრებული გახლდათ მდინარიდან გამოზიდული მორებით და ბამბუკებით, ხოლო შესავალთან, ჟოკეის ქუდის წინაფრის მსგავსად, გამოწეული იყო წვიმისაგან დასაცავი ფარდული. ამ გამოქვაბულებში სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჩანდა, ოღონდ მთელი ამფითეატრი გამოსცემდა საძაგელ, გულისამრევ სუნს, რომლის მსგავსი ინდურ სოფლებში ხეტილის დროსაც კი არ მიგრძენია.

ხელახლა მოვაჯექი პორნიკს, რომელსაც ჩემსავით ბანაკისაკენ უწევდა გული და ნალის ფსკერი მოვიარე გარეთ გასასვლელის ძებნაში. გამოქვაბულების ბინადართ საჭიროდ არ ხცნეს გამოჩენა და მე დავენდე მხოლოდლა საკუთარ თავს.

პირველივე ცდამ, ცხენით ავქენებულიყავი ქვიშის კედლებზე, მიმახვედრა, რომ ისეთსავე მახეში გავები, როგორსაც უგებს ჰუანქველების ლომი თავის მსხვერპლს.

ყოველ ნაბიჯზე ზღვა ქვიშა იფშენებოდა ზემოდან და წვრილი საფანტივით რახრახებდა წვიმისაგან დასაცავ ფარ-

დულზე. რამდენიმე ამაო ცდის შემდეგ ქვიშით გაგულული მე და პორნიკი ჩავგორდით ფსკერზე და ახლა ისლა დამრჩენოდა, მდინარის ნაპირისაკენ მეცადა გაღწევა.

როცა იქაურობა მოვათვალიერე, იმედი ჩამესახა. მართალია, ქვიშის გორები მდინარის კიდეს ებჯინებოდა, მაგრამ წყალში ბევრი მეჩეჩი და თავთხელი ჩანდა, რომელთაც ცხენით იოლად გავფონავდი, მერე კი გადავუხვევდი მარჯვნივ, ან მარცხნივ და გზას გავიკვლევდი მყარი ნიადაგისაკენ. ის იყო პორნიკი ქვიშაზე მივუშვი, რომ შემაკროთო შაშხანის ყრუ გასროლამ, რომელიც მდინარის პირიდან მომესმა. იმავე წამს ტყვიამ გაიზუზუნა პორნიკის თავთან და ქვიშას ბოლი ააღინა.

ეჭვს გარეშე იყო, ეს გახლდათ სამწყობრო შაშხანა, „მარტინი ჰენრის“ ტყვია. აქედან დაახლოებით ხუთასი იარდის დაშორებით შუა წყალში ლუზა ჩაეშვა ადგილობრივ მკვიდრთა ნავს და მისი ცხვირიდან დილის ჰაერში არგოლილი კვამლის ნაკადი მიმანიშნებდა, თუ საიდან მოდიოდა ასეთი თავაზიანი გაფრთხილება. ნეტავ ოდესმე თუ მოქცეულა რომელიმე ღირსეული ჯენტლმენი ასეთ გამოუვალ ჩიხში? მუხანათური ქვიშის ფერდობი გარდუვალ ზღუდედ აღმართულიყო, ხოლო მდინარის პირისაკენ ჩემი გასეირნება დამთავრდა იმით, რომ ვიღაც ჰკუთახელმა იქაურმა მკვიდრმა ტყვია დამიშინა. გამოგიტყდებით, ჩემი მოთმინების ფილა ივსებოდა.

მეორე ტყვიამ ნიშანი მომცა, რომ უმჯობესი იქნებოდა დავმცხრალიყავი და მე სასწრაფოდ დავუბრუნდი ქვიშარის გზით ნალს. შაშხანის გასროლის ხმაზე მაჩვის სოროებიდან, სადაც არ მეგონა სულიერი ვინმე თუ ჰაჰანებდა, გამოძვრა სამოცდახუთი ადამისშვილი.

მე გარსშემომერტყა მაცქერალთა ბრბო — ორმოცი მამაკაცი, ოცი ქალი და ერთიც ბავშვი, არაუმეტეს ხუთი წლისა. მათ ყველას ემოსათ ის ნარინჯისფერი კონკები, ინდოელ მათხოვრებს რომ ასხიათ და მთელი ეს თავყრილობა მოგაგონებდათ ოხერ-მუდრეგი ფაკირების ჯგროს. ენა ვერ იტყვის მათ სიბინძურეს და აბრანძქლობას. შემზარა ამ სანა-

ხაობამ. რა აძლებინებთ-მეთქი ამ მაჩვის სოროებში, — ვიფიქრე ზიზღით.

ჩვენს დროშიც კი, როცა თვითმმართველობამ ადგილობრივ მკვიდრთა თვალში ფასი დაუკარგა საპიზის პიროვნებას, ნაჩვევი გახლდით ქვეშევრდომთა თავაზიანობას და როცა ბრბოს მივუახლოვდი, ბუნებრივია, ამასვე მოველოდი. ვაი რომ მოლოდინი გამიცრუვდა.

ამ ჩამოფლეთილმა ადამიანებმა რაკი მათ შორის დამიგულეს, ყიჟინი დასცეს. ისინი ხარხარებდნენ, უსტვენდნენ და ყმუოდნენ. ზოგი მათგანი ზედ მიწაზე ეხეთქებოდა და ტარაბუა დასხმულივით გორავდა. ერთ წამს თავი ვანებე პორნიკს და გაგულისებულმა მუშტები დავუშინე მთელი ძალით, ვისაც მოვახელთე. ეს წუნკლები ძირს ეტყეპებოდნენ კეგლის ჯოხებივით და მათი სიცილ-ხარხარი ახლა შეცვალა შეწყალების ვედრებამ. ვისაც ვერ მივწვდი, მუხლებზე შემომეხვივნენ და ათასგვარ კილოკავზე დანდობას მთხოვდნენ. სიმართლე გითხრათ, შემრცხვა კიდევაც საკუთარი თავდაუქერლობისა.

ამ აყალმაყალში ჩემს ზურგს უკანიდან ვილაც გამწივანი ხმით ინგლისურად აგნიასდა: „საპიბ, საპიბი ნუთუ ვერ მიცანით, მე გუნგა დასი ვარ, საპიბ, გუნგა დასი, ტელეგრაფისტი“.

სწრაფად შემოვბრუნდი და პირისპირ შევრჩი გუნგა დასს (ყოველგვარი ჭოქმანის გარეშე ვასახელებ ამ ადამიანის ნამდვილ გვარს და სახელს)... ამ კაცს ვიცნობდი ოთხი წლის წინ, მაშინ იგი დეკანელი ბრაჰმანი გახლდათ, რომელიც პანჯაბის მთავრობამ გაამწესა ხალსიას ერთ-ერთ შტატში. ადგილობრივი ტელეგრაფის განყოფილება მიანდვეს... მახსოვს ერთი მხიარული, ჩასუქებული მოხელე იყო, უხვად მომადლებული კალამბურების ინგლისურად შეთხზვის უნარით. ერთხელ მან სამსახურიც კი გამიწია. მაგრამ მაინც ველარცნობდი. ამ თვისებით კი მყის გამოვარჩევდი ხოლმე სხვა მოხელეთაგან... მოგეხსენებათ, იშვიათად რომ ინდოელი ინგლისურად ოხუნჯობდეს.

ახლა ეს კაცი ძნელად საცნობი გამხდარიყო. არც კასტინ

ნიშანი, არც ღიბი, სამოსიც შემოძარცვოდა, დათაფლულნი სიტყვა-პასუხიცი აღარ მოუდიოდა ძველებურად.

ჩემს წინ იდგა ნამდვილი ჩონჩხი, უჩალმო, ლამის შიშველი. გრძელი თმები გაკვირტებოდა და ვირთევზასებრი თვალები ღრმად ჩასჯდომოდა. ვერაფრით ვერ ვიცნობდი, მარცხენა ლოყაზე რომ არ სჩენოდა ნახევარმთვარესავით ნაიარები. ეს უცილობლად გუნგა დასი იყო და მე გავიხარე კიდევ, რადგან ვიპოვე ინგლისურად მოლაპარაკე აჭაური მკვიდრი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამაგებინებდა, რა ამბავი იყო ჩემს თავს.

ბრბომ უკან დაიხია, როცა მე მივუბრუნდი ამ უბადრუკ ადამიანს, და ვუთხარ, ესწავლებინა ჩემთვის ამ ხაროდან თავის დაღწევის ხერხი. მას ხელში ახლად გაპუტული ყვავი ეკავა. ჩემი კითხვის პასუხად ზანტად აძვრა სოროების წინ მოტკეპნილ ქვიშის მოედანზე და ხმაამოუღებლივ შეუდგა ცეცხლის გაჩაღებას. გამხმარ ბალახს, სილის ყაყაჩოს და ნარიყ ფიჩხს სწრაფად წაეკიდა ალი. შვება ვიგრძენი, როცა კოცონი ჩვეულებრივი გოგირდის ასანთით ანთო. ცეცხლი რომ ააგიზგიზა და ყვავიცი კოხტად აავო შამფურზე, გუნგა დასმა ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— ძრსებობს მხოლოდ ორი ჯურის ხალხი, სერ. ცოცხლები და მკვდრები. მოკვდებით — მკვდარი გქვიათ, ცოცხლობთ — ცოცხალი (მან ყვავი შეაბრუნა, რომ არ დასწვოდა). და თუკი სახლში არ ამოგხდათ სული, ან გპატის გზაზე, მაშინ ამ წალკოტში ამოყოფთ თავს.

ახლა კი ცხადი შეიქმნა ამ შმორიანი ალაგის საიდუმლო და წიგნებში ამოკითხული რაც კი რამ გაზვიადებულად და თავზარდამცემად მეჩვენებოდა, გაფერმკრთალდა ბრაჰმანის მონაყოლთან. თექვსმეტი წლის წინათ, რომ გემიდან გადმოსულმა პირველად დავადგი ფეხი ბომბეის მიწას, ერთმა სომეხმა მოგზაურმა მომითხრო: ინდოეთში არის ერთი ადგილი, სადაც მიყავთ და ტოვებენ იმ ადამიანებს, ვისაც სიკვდილის ანგელოსი ცელს ბოლომდე არ მოუქნევსო. მახსოვს, გულიანად ვიციწე მაშინ, რადგან ეს ჩავთვალე მოგზაურის მიერ შეთხზულ ზღაპრად. ახლა კი, როცა ამ ქვიშის ხაფანგის

ფსკერზე ვიჯექი, ჩემს მეხსიერებაში ფოტოსურათივით აღ-
დგა ვატსონის სასტუმრო, მოქანავე პანკებით, თეთრად მორ-
თული მსახურებით, წარმომიდგა სომეხი მოგზაურის ცვილის-
ფერი სახე და ხმამალა ავხარხარდი.

მურდალ ფრინველზე წახრილმა გუნგა დასმა ცნობის-
მოყვარეობით გამომხედა. ინდოელები იშვიათად თუ იცინიან
და არც გარემოცვა იყო ისეთი, გუნგა დასის წრეს გადასული
მხიარულება რომ გამოეწვია, იგი კვლავ ფრინველს მიუბ-
რუნდა. დარბაისლურად ააძრო ყვავი ხის შამფურიდან და
ასევე ნება-ნება შეექცა. შემდეგ განაგრძო თხრობა, რომელ-
საც მისივე სიტყვებით გადმოვცემ: ქოლერიტ შეპყრობილებს
სიკვდილსაც არ ატლიან, ცნობაწართმეულთ ცოცხლად მარ-
ხავენ. როცა მდინარის პირას მიიყვანენ, ასეც ხდება, ცივი
ჰაერი გამოაცოცხლებს ხოლმე ადამიანს. თუ მასში კიდევ
ღვივის სიცოცხლე, შლამით ამოუტენიან ცხვირ-პირს, რათა
საბოლოოდ მოუღონ ბოლო. ჩემში სიცოცხლე ფეთქდა და
იოლად როდი ვაპირებდი დანებებას. თავმომწონე ბრაჰმანი
ვიყავ, ახლა კი მკვდარი ვარ და — იგი დააჩერდა წმინდად
გამოხრულ მკერდის ძვალს და ჩვენი შეხვედრის შემდეგ პირ-
ველად დაეტყო მღელვარება — ახლა ყვავებს და სხვა ათას
სისაძაგლეს შევექცევი. ზეწრები შემომაძრეს და, როცა ნა-
ხეს, ცოცხალი ვიყავი, ერთი კვირის სამყოფი წამლები მომ-
ცეს. წარმოიდგინეთ, საკმაოდ მოვიხედე. შემდეგ რკინიგზით
სადგურ ოკარას წამიყვანეს და კაციც გამაყოლეს, რომელ-
საც თვალი უნდა სჭეროდა ჩემზე. სადგურ ოკარაზე კიდევ
ორი სნეული დაგვიხვდა. ღამით სამთავენი აქლემებით მოგ-
ვიყვანეს ოკარადან აი ამ ადგილამდე. ქვემოთ მიბიძგეს და
ის ორიც ზედ მომაყოლეს. მას მერე ორწელიწადნახევარია
ჩავრჩი აქ. ოდესღაც თავმომწონე ბრაჰმანი ვიყავ. ახლა კი
ყვავებს გეახლებით.

— ნუთუ არაა აქედან გასალწევი გზა?

— არავითარი. თავდაპირველად, როცა აქ მოვხვდი, მრავალჯერ მოვსინჯე ბედი, ცდას სხვებიც არ აკლებდნენ, მაგრამ
ქვიშას, რომელიც წარამარა თავზე გვეფშვნებოდა, ვერაფერი
უუხერხეთ. ფეხი ვერ მოვიკიდეთ ზედ.

— კი მაგრამ, — გავაწყვეტინე მე. — მდინარისაკენ ხომ გზა ხსნილია და თუკი ტყვიებს არ შეეპუება კაცი, ღირს შებედვა, აი, ღამით...

მე უკვე ჰაიპარად მოვიფიქრე გეგმა გაქცევისა, გუმანი მამცნობდა, არ გამენდო ეს გეგმა გუნგა დასისათვის, მაგრამ იგი უმალ მიმიხვდა გულისნადებს და ჩემდა გასაოცრად იმწამს დაიწყო ხრინწიანი, იქედნური ხითხითი.

— სულ ტყუილია, — იგი ისე გაკადნიერდა, სიტყვა „სერა“ არ მალირსა, — მაგრამ თქვენ მაინც სცადეთ. ერთხელ მეც ვცადე, მხოლოდ ერთხელ.

გაურკვეველმა სულმდაბლურმა შიშმა, რომლის დაძლევისაც ამოდ ვცდილობდი, ერთიანად დამიმონა. ღამის ათი საათი იქნებოდა, მე კი გუშინ დილიდან ხემსი არ ჩამედო პირში, ცხენზე ჯირითმაც გამახელა და იმ წუთებში ალბათ ნამდვილ გოქსა ვგავდი. ქვიშნარზე მივბობლავდი, ხან ღვთის საგმობ სიტყვებს გავიძახოდი, ხანაც ვლოცულობდი. მდინარისპირა ლელიანშიც ვცადე გამედწია, მაგრამ ტყვიების შიშში მიბორკავდა ფეხებს, რომლებიც ქვიშას აფუტებდნენ ჩემს წინ. მზარავდა იმაზე ფიქრი, რომ ამ საზიზღარ არსებათა შორის ტყვიანაკრავი ცოფიანი ძაღლივით უნდა ამომხდომოდა სული და ბოლოს ქანცგაცლილი დავეცი ქასთან. შეშლილივით ვბოდავდი, მაგრამ ზედაც არავინ შემომხედა.

ორმა თუ სამმა კაცმა, კიდან წყალს რომ იღებდნენ, ზედ დააბიჯა ჩემს მოთახთახე სხეულს, მაგრამ არც ამათ ჩამადგეს ყურადღების ღირსად. ჩანდა, დიდი ხანია მისჩვეოდნენ ამგვარ სანახაობას. შავი დღე მადგა. ისევ გუნგა დასმა, რომელიც სილაში ხვევდა ცხელ ნაკვერჩხლებს, კეთილინება, მომხედა და თავზე ნახევარი კათხა შმორიანი წყალი გადმომასხა. დიდად მადლიერი დავრჩი, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა ჩემს გაქირდვას უღიმღამო და ზუზუნა ხმით. ასე ბურანში მყოფი ვეგდე შუადღემდე. ბოლოს შიმშილმა ამაწრიალა და გავენდე გუნდა დასს, რომელსაც ახლა ჩემს მფარველად ვსახავდი. ჩვეულებისამებრ ხელი ჩავიყავი ჯიბეში საბოძვარის გასაცემად და ოთხი ანა ამოვიღე. მყის

მივხვდი ამ საქციელის უაზრობას და ის იყო უკან უნდა ჩამედო ფული, მაგრამ გუნგა დასი სხვა ჭკუაზე იდგა.

— მომეცით ფული, — მითხრა მან. — სულ, რაცა გაქვთ, თორემ მთელ ამ ჯამათს საშველად მოვუხმობ და ველარაფერი გიხსნით.

ყველაფერი ისე ითქვა, თითქოსდა აქ არაფერიაო.

ბრიტანელს უპირველესად თავისი ჯიბის დარდი აქვს, მაგრამ მყის ჭკუას მოვეგე. მართლაცდა, უაზრობა იყო იმ ერთადერთ კაცთან კამათი, ვისაც ხელეწიფებოდა ჩემი აქაჟური ცხოვრება ასატანი გაეხადა და ვისაც ერთადერთს შეეძლო ვეხსენი ამ ჯოჯოხეთიდან. მთელი ფული (ცხრა რუბია, რვა ანა და ხუთი პაისი) მას გადავულოცე. ბანაკად მარტო ხურდას ვატარებდი ფეხის ქირის სხვა წვრილმანი სამსახურის გასამჭელოდ. გუნგა დასმა ჩაბლუჯა ფული და დაფლეთილ წელსათარში ჩამალა. ეშმაკისებრი გამომზერით მიმოიხედა ირგვლივ, ხომ არავინ მითვალთვალებსო.

— ახლა კი რალაცას მოგიხაზირებთ, — თქვა მან.

ვერ გეტყვით, რა სიამოვნება მოჰგვარა ფულის ჩაჯიბვამ, მაგრამ ისე გაიხარა, აღარ ვნანობდი, რომ იოლად დავუთმე. ექვიც არ მეპარებოდა, არაფრით არ დამინდობდა, უარი რომ მეთქვა.

ვიდრე მე ვლიჯინდი გუნგა დასის ნაბოძებ ტალახივით მოზიზნულ ლავაშს და კათხით ვაყოლებდი ჭის ბინძურ წყალს, ირგვლივ მყოფი ადამიანები ნიშანწყალსაც არ იჩენდნენ იმ ცნობისმოყვარეობისა, რაიც აგრეერიგად ნიშნადია ინდური სოფლებისათვის. ძალდადაც არავინ მაგდებდა და გუნგა დასიც სხვაზე უკეთ როდი ირჯებოდა. შეკითხვები დავაყარე. ამ საზარელი ალაგის ამბავს ვიძიებდი. დიდად გასახარი ვერაფერი შევიტყვე. ეს სოფელი თურმე უხსოვარი დროიდან არსებულა. მისი სიტყვებით ასე გამოდიოდა, რომ იგი მოითვლიდა ერთ საუკუნეს მაინც და ამ ხანში არც ერთ სულდგმულს არ გაელწია აქედან. კვლავინდებურად შიშმა ამიტანა. თავი მოვთოკე, რომ არ მეყვირა მალალი ხმით და ხაროს გარშემო სირბილი არ დამეწყო. გუნგა დასი კი არ მეშვებოდა, ნიშნისგებით და ავი სიხარულით შემზერდა ჩემს კმუნვას, ვერაფ-

რით ვაიძულე ეთქვა ჩემთვის, ვინ იყვნენ ამ საქმის იღუმალნი მესვეურნი.

— ასე იყო ნაბრძანები, — მიმეორებდა იგი. — ჯერ არავინ გადასულა ამ ბრძანებას.

— დამაცადე, აი, ჩემი მსახურები მომიკითხავენ. გპირდები, რომ ამ ადგილს აღვევიან პირისაგან მიწისა, ზრდილობის გაკვეთილსაც გადმოგცემ, ჩემო მეგობარო.

— თქვენს მსახურებს ნაწილ-ნაწილ გაგლეჯენ, ვიდრე ისინი აქამდე მოაღწევენ და გარდა ამისა, ჩემო ძვირფასო, თქვენ ხომ მიცვალებული ბრძანდებით. და ასე გასინჯეთ, დასაფლავებულიც.

იგი მიყვებოდა, რომ აქ უამი-უამ მოჰქონდათ თურმე ხორაგი და ზემოდან ყრიდნენ ამფითეატრში. გამოქვაბულის ბინადარნი მხეცებივით სტაცებდნენ ლუკმას ერთურთს. როცა ვინმე მათგანი სიკვდილის მოახლოებას იგრძნობდა, მიძვრებოდა თავის ბუნაგში და იქ აბარებდა უფალს სულს. გვამს ხან სოროდან გამოათრევდნენ და ქვიშაზე დააგდებდნენ, ანდა ბუნაგშივე ტოვებდნენ დასააღპობად.

„ქვიშაზე აგდებენო?“ ამ ნათქვამმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და მე შევეკითხე გუნგა დასს, ეს წესი ხომ ავრცელებს-მეთქი ათასგვარ ჭირს.

— ამას, — გუნგა დასმა კვლავ ხრინწიანად ჩაიხითხითა, — თავად ნახავთ. დიდი დრო გექნებათ დაკვირვებისათვის.

ამ სიტყვებზე, მისდა გასახარად, ერთხელ კიდევ გამაჟროლა და სასწრაფოდ სხვა რამეზე გადავიტანე სიტყვა.

— როგორ ცხოვრობთ დღიდან დღემდე? რას საქმიანობთ? ასე მომიგო: რას უნდა ვაკეთებდეთ. ეს ადგილი არ ჰგავს თქვენს, ევროპიულ ციურ სავანეს, აქ არც აღარავინ თხოვდება და არც ცოლს თხოულობსო.

— სამისიონერო სკოლაში აღვიზარდე და ჰკუთა რომ მეზმარა და რწმენა შემეცვალა, ცოცხლად დასამარებას ავცდებოდიო, — ჩიოდა გუნგა დასი. მაგრამ ვიდრე გვერდით მიგულებდა, ვგონებ, მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს.

აქ იმყოფებოდა საპიბი, გაბატონებული რასის წარმომადგენელი, ბავშვივით უმწეო და მთლიანად დამოკიდებული

იქაურებზე. მან გამიზნულად და აუჩქარებლად იწყო ჩემი ტანჯვა მსგავსად მოწაფისა, ვინც თვალმოუშორებლივ უმზერს ქინძისთავზე წამოცმული ხოჭოს წამებას, ანდა თავის სოროში მოკალათებული ქრცვინისა, გზამოჭრილ კურდღელს რომ ჩაფრენია კისერში. აქედან ფეხსაც ვერ მოიცილი. სიკვდილამდე ჩარჩები აქ და მერე მოგისვრიანო ქვიშაზე, აი, რას ჩამაგონებდა გუნგა დასი. ეს ნაძირალა ისე შემომხაროდა, როგორც ეგებებიან, ალბათ, ცოდვილნი ახლად გარდაგებულ სულს. სიტყვის შებრუნების ან აღშფოთების თავი როდილა მქონდა. მთელი ძალა წაიღო ენით აუწერელ შიშთან ბრძოლამ, რომელიც შესაძლო იყო კვლავ მომრეოდა. ამას შევადრიდი მხოლოდ ლამანშის გადალახვისას ყოვლისმძლე ზღვის ავადმყოფობასთან ჭიდილს. ოღონდ ჩემი წვალება სულიერი წვალება გახლდათ და ამიტომაც ბევრად უფრო საძნელო.

დღეს ყავლი გასდიოდა და ბინადარნი მრავლად გამოეფინენ გარეთ, რათა სხეული შეეშვირათ ნაშუადღევის მზის სხივებისათვის. ხალხი თავს იყრიდა პატარ-პატარა ჯგუფებად და მასლაათობდა. მე ზედაც არავინ მიყურებდა. ჩემი გუმანით იქნებოდა ასე ოთხი საათი, როცა გუნგა დასი წამოდგა, თავი დურთა ბუნაგში და გამომეცხადა ცოცხალი ყვავით ხელში. საბრალო ფრინველი ამოქვარქნილი იყო ქუჭკუში და ფრიად საცოდავად გამოიყურებოდა. ოღონდ იგი სულაც არ უფრთხოდა თავის პატრონს. გუნგა დასი ფეხაკრეფით მიუახლოვდა მდინარის პირს, კოლბოხიდან კოლბოხზე აბიჯებდა, ვიღრე არ გავიდა ერთ სწორ, პატარა ქვიშიან ალაგს, ზედ ნავის საპირისპიროდ. ნავიდან მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. იგი შედგა და რამდენიმე მარჯვე მოძრაობით ფრთაგაშლილი ფრინველი ზურგით დააბა მიწაზე. ყვავმა წამსვე მორთო ჩხავილი და ჰაერში ფეხების ფართხალი. ამ ხმაურმა მიიპყრო ყვავების გუნდის ყურადღება, რომლებიც აქედან რამდენიმე იარდით დაშორებულ მეჩჩიზე რაღაცას ცხარობდნენ. ვერ გაერკვიათ, კოლბოხზე ლეში იდო, თუ სხვა რამ. მერე ეს გუნდი აიშალა და მიბმული ფრინველისაკენ გამოეშურა. გუნგა დასმა, რო-

მელიც დიდ ბელტთან მიწვა, მანიშნა, მეყუჩა, თუმცა ეს გაფრთხილება ზედმეტი იყო. ერთი ყვავი თვალისდახამხამებაში ეძგერა აჩხავლებულ, უმწეო ფრინველს და მყის აფართხალდა მის კლანჭებში. იგი ფრთხილად გამოწვალეს იქედან და მიაბეს ერთ ბელქვეშ მყოფი თვისტომის გვერდით. ვიდრე მე და გუნგა დასი გორახებს გადავეფარებოდით, ახლა კიდევ ორი ტყვე აფართხალდა ფეხებაშვერილი ფრინველების კლანჭებში. ასე გრძელდებოდა ეს ნადირობა, თუკი შესაძლოა ამ საქმიანობას ეწოდოს ეგზომ ღირსეული სახელი, ვიდრე გუნგა დასმა არ დაიჭირა ბარე შვიდი ყვავი. ხუთი მათგანი იქვე მოგუდა, წყვილი ფრინველი კი მეორე დღისათვის დაიტოვა სანადიროდ. სარჩოს მოპოვების ამ ახალმა, ჩემთვის ჭერეთ უცნობმა ხერხმა განმაცვიფრა და გუნგა დასს სიმარჯვე შევუქე.

— რა ბედენაა, ხვალ თავად ჩაუსაფრდებით ყვავებს და ნანადირევს მე მომართმევთ. თქვენ ხომ გაცილებით ღონიერი ხართ ჩემზე.

ამ მშვიდმა დაჯერებულობამ მოთმინება დამიკარგა და მკაცრად შევეუძახე:

— ეი, შენ, ძველო გაიძვერავე, რას ფიქრობ, რისთვის მოგუცი, განა, ფული?

— კეთილი და პატიოსანი, — იყო აულელეგებელი პასუხი. — ხვალ არა — ზეგ, ზეგ არა — მაზეგ. ადრე თუ გვიან თქვენც დაიწყებთ ყვავების ჭამას. არა ერთი წლის მანძილზე იქნება ეს ფრინველი თქვენი მაგიდის კერძი და მადლობასაც უძღვნით თქვენს ევროპიელ ღმერთს ყვანჩალების გაჩენისათვის.

დიდი სიამოვნებით ამოვხდიდი სულს საკუთარი ხელით ასეთი მჩხიბავობისათვის, მაგრამ სავალალო ყოფაში ვიყავ და ვამჯობინე, დამეთრგუნა აღშფოთება. საათსაც არ გაევლო, რომ მე შევექცეოდი ერთ-ერთ ყვავს და, როგორც გუნგა დასმა მიწინასწარმეტყველა, ვმადლიდი ღმერთს, ეს სიკეთე რომ მაინც არ მომაკლო. ვიდრე ცოცხალი ვარ, არასოდეს დამავიწყდება ის ვახშამი. ხაროს ყველა ბინადარი ფეხმორთხმით იჯდა სილის დაბეკნილ მოედანზე თავიანთი ბუ-

ნაგების წინ და ნაგვისა და მშრალი ლელიანისაგან ისწრაფო-
და პატარა კოცონის დანთებას. სიკვდილმა ერთხელ დაალი-
რა მსახვრალი ხელი ამ ხალხს, ოღონდ საბოლოოდ აღარ და-
ტორა, რადგან ამ ხალხიდან უმრავლესობა ქალ-კაციანად ჩა-
ჩანაკი ბებრები იყვნენ, გალულები, მოკუზულები, დრო-
უამის მიერ ილაჯგაცილინი. ჭგუფ-ჭგუფად შექუჩულიყვნენ
ეს ძეხორციელნი და ბკობდნენ და სჭიდნენ (მარტოოდენ
ღმერთმა თუ უწყის, რაზე).

ერთი კი იყო, მათი მოდუღუნე კილო მკვეთრად განსხვავ-
დებოდა ადგილობრივ მკვიდრთა გაუსაძლისი ჯაჯლანისაგან.

დროდადრო ხან ვის, ხან ვის, სიშმაგე წამოუვლიდა, ისე-
თი, მე რომ დამეუფლა იმ დილით და მაშინ ეს ტანჯული
ყვირილითა და წყევლა-კრულვით ეტაკებოდა დამრეც ფერ-
დობს, ვიდრე გაცუდებული, სისხლში მოთხვრილი და ხელ-
ფეხდადამბლავებული არ დაეცემოდა მოედანზე. დანარჩენე-
ბი ამგვარ გამოხდომებს აინუნშიაც არ აგდებდნენ. ამ სანახა-
ობებით გაბეზრებულთ წინასწარ იცოდნენ, რომ ყოველი მათ-
განის ცდა ფუჭი იყო. ასეთი რამ თავადაც ოთხგზის ვიხილე
იმ ღამით.

გუნგა დასმა მეტად საქმიანად აწონ-დაწონა ჩემი მდგომა-
რეობა და ვახშობისას პირობები წამომიყენა. ახლა ამის
გახსენებაზე მეცინება კიდევ, მაშინ კი დანა პირს არ მიხსნიდა
სიმწრისაგან. იგი კისრულობდა ჩემს მოვლა-პატრონობას, ამ
პირობით: ჩემს ცხრა რუპიას და რვა ანას შვიდ კვირას მამ-
ყოფინებდა სარჩოდ. მერე თავად უნდა მიმეხედა საკუთარი
თავისთვის. ჩემი ფეხსაცმელების ფასად კი მზად გახლდათ
დაეთმო მისი ბუნაგის მომიჯნავე გამოქვაბული და ეწილდა
ლოგინისათვის ხმელი ბალახი.

— კეთილი, გუნგა დას, — მივუვე მე. — პირველ პირობას
ხალისით ვიღებ, ისე კი, რომ იცოდე, არაფრად მიღირს აქვე,
ადგილზევე გავაფრთხოებინო სული და წაგართვა ყველაფერი,
რაც გაბადია (მე მხედველობაში მქონდა ორი ფასდაუდებელი
ყვავი) — ამიტომაც გადაჭრით უარსა ვარ დავითმო ფეხსაც-
მელები. ბუნაგსაც ისეთს დავიკავებ, რომელიც თვალში
მომივა.

გუნგა დასმა მყის კილო შეიცვალა და უარი თქვა თავის განზრახვაზე. იმ წუთს არც კი მიკვირდა, რომ მე, ცამეტ წელს სამსახურში მყოფი სამოქალაქო ინჟინერი, ვკადრულობდი და ძალადობით ვემუქრებოდი ამ ადამიანს. მერე რა, თუ მას ანგარება ამოძრავებდა. ასე თუ ისე, მაინც დავალებული ვიყავი ამ კაცისაგან. სხვა რა გზა მქონდა. ამ წყეულ დასახლებაში ხომ მხოლოდ ერთი კანონი ბატონობდა. — ძლიერთა ნება, ეს ცოცხალნი ლეშნი არა სცნობდნენ იმ სამყაროს არც ერთ კანონს, რომელმაც იგინი უარყო. სიცოცხლის შესანარჩუნებლად მარტოდენ ჩემს ძალასა და გამჭირახობას უნდა დავყრდნობოდი. ასე მეგონა, თითქოს საუკუნეები გასულიყო მას მერე, რაც ჩემს ჩვეულ სამყაროს გამოვშორდი. თვალწინ მედგა ცუდბედიათი „მინიონეტის“ ეკიპაჟი.

ამჟამად რა მიჭირს, ღონეზე ვარ-მეთქი, — ვფიქრობდი გულში, — და ძალმიძს გავუმკლავდე ბარე ექვს ამისთანა ბრანძიანს, მაგრამ მერმისისთვისაც უნდა ვეცადო, არ დავძაბუნდე. შხად უნდა ვიყო, თუკი მელირსა და დაჰკრა ჩემი თავისუფლების ეამმა.

ამ გადაწყვეტილებით იმედმოცემული მივეძალე საკმელსასმელს და მივახვედრე გუნგა დასი, რომ ახლა აქ მე ვიყავი ბატონი და თვითნებობის ერთი პატარა საბაბიც კი კმაროდა, რათა უმალ მომეკლა. დაძინება რომ დავაპირე, გუნგა დასმა გაიღო ორი ხელეური მშრალი ბალახი. ეს ბალახი ჩემს ბუნაგში ჩავკუჭე, მერე ფეხებით ჩავთელე და შევძვეერი შიგ.

მორებით გამაგრებული ხვრელის სიღრმე ცხრა ფუტს აღემატებოდა. აქედან შემეძლო მეცქირა, როგორ მიიტალებოდნენ სათლაჯის წყლები ახალი მთვარის შუქზე და თავი მივდე დასაძინებლად.

რამ დამავიწყოს იმლამინდელი საშინელება. ჩემი სორო კუბოსავით ვიწრო იყო და მისი კედლები უთვალავი შიშველი სხეულის ხახუნს გაესიპა და გაეპოხა. საძაგელი სუნნი დიოდა. ძილი არ მომეკარა ნაომარ-ნაშფოთარს. ღამე იწურებოდა და მეზმანა, თითქოსდა მთელი ამფითეატრი გაივსო მეჩჩეებიდან ამომძვრალი ეშმაკებით, რომლებიც ატრიზავდნენ ბუნაგებში თავშერგულ უბედურებს.

ინჟინრებს არ მოსდგამთ მდიდარი წარმოსახვა, მაგრამ იმ დროს შიშმა ისე იოლად ამიტანა, თითქოსდა ქალი ვყოფილიყავ. ნახევარი საათის შემდეგ კი მაინც ჩემს საფიქრალს ვუტრიალებდი. ქვიშის ციცაბო ფერდობებზე აღწევის იმედი გადაწურული იყო. დავრწმუნდი, ერთადერთი ისლა დამრჩენოდა, სიცოცხლე სასწორზე შემეგდო და მთვარის ციმციმა შუქზე რაღაც მანქანებით გაესლტომოდი შაშხანის ტყვიებს. აქაურობა ისე მზაფრავდა, აღარაფერს დაგიდევდით, ოღონდ კი აქედან დამელწია თავი. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა ნაპირთან მიხობებულს ის ჯოჯობეთური ნავი აღარ დამიხვდა. ბიჯიც და, თავისუფალი ვიყავი.

ნავის მარცხენა ფრთით ამოკუნძულ პირველსავე მეჩეჩამდე უნდა მიმელწია, შვერილთან წყალი გამეფონა და ხმელზეც გავიდოდი.

ბევრი აღარ მიფიქრია, უმალ გადავლახე ის კოლბოხები, სადაც გუნვა დასი ყვავებზე ნადირობდა და გადათეთრებულ ქვიშნარზე გავედი. მშრალი ბალახის საფარველს გადავცდი თუ არა, მყის ვიგრძენი, როგორ დაიდრიკა წყალქვეშ სილა, როგორ მიწოვდა და მითრევედა ფოლხვი ნიადაგი. ენა ვერ იტყვის ამ საშინელებას. წუთიც და, მე თითქმის მუხლამდე ჩავეფალი. მთვარის შუქზე ისე ჩანდა, თითქოსდა ქვიშის მთელი ზედაპირი თახთახებდა ავი სიხარულით ჩემი იმედგაცრუების გამო. ძლივს ამოვბობლდი ოფლად გაღვრილი შიშისა და დაძაბულობისაგან, რის ვაი-ვაგლახით დავბრუნდი უკან და პირქვე დავემხე კოლბოხებზე.

ხაროდან ერთადერთ გასაქცევ გზას მერხევი ქვიშა მიკეტავდა. ვერ გეტყვით, რამდენი ხანი ვეგდე ასე... მახსოვს კი, რომ გამომაფხიზლა გუნვა დასის ბორბოტმა ხითხითმა.

— მე გირჩევდი, ღარიბთა ქომაგო, — ეს მათხოვარი ინგლისურად რატრატებდა, — შინ დაბრუნდე. აქ დასნეულდები. თანაც ნავი რომ მოტრიალდება, იცოდე, ტყვია არ აგცდება.

ვიფიქრე, ყელში ვწვდები ამ სალახანას და მერხევე ქვიშაში ჩავლუპავ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, წამოვდექი და გამოქვაბულის წინ მობეკნილ მოედნამდე მივეყევი.

— გუნგა დას, რის მაქნისია ეს ნავი, როცა აქედან გაღწევა ისედაც შეუძლებელია? — სიტყვა გადაუუქარ ამ ურჯულს, თუმცა აღარც მეგონა, პასუხს თუ მალირსებდა.

მაგონდება, ღრმად დამწუხრებულსაც კი არ მასვენებდა ფიქრი იმაზე, ტყვია-წამალს ტყუილუბრალოდ რომ ხარჯავდნენ, მაშინ, როცა ნაპირი ისედაც საიმედოდ იყო დაცული.

გუნგა დასმა კვლავ გაიცინა და მომიგო:

— ნავი აქ მხოლოდ დღისით მოდის, იმ მიზეზით, რომ გზა მაინც არსებობს. მოყარაულენი ფხიზლად არიან და ვიმედოვნებ, ჩვენდა გასახარად, თქვენს საზოგადოებას არ მოვაკლდეთ კარგა ხანს. აქაურობა არცთუ აუტანლად მოგეჩვენებათ, როცა რამდენიმე წელს დაჰყოფთ და ყვავებსაც გემოს გაუგებთ.

გაფიხხული და იმედგაცლილი წავეხეტე ჩემს ამყარლებულ ბუნაგში და იქ ჩამეძინა. ცოტა ხნის შემდეგ დაქრილი ცხენის ცადაწვდილმა ჰიხვინმა გამომალვიძა. ძლივს გამოვალწიე გარეთ და რა ვიხილე? პორნიკი, ჩემი საწყალი პორნიკი, მკვდარი ეგდო ქვიშაზე. ჩემთვის გაუგებარი დარჩა, როგორ მოახერხეს მისი მოკვლა. გუნგა დასმა საქმე ამგვარად განმიმარტა, ცხენის ხორცი ყვავისას სჯობია, ხალხის კეთილდღეობას კი ყველაფერი უნდა შეეწიროსო.

— ჩვენ აქ რესპუბლიკა დავამყარეთ, მისტერ ჯუქს, მობრძანდით და თუ გნებავთ, თქვენი წილი მიიღეთ. ყველანი ერთხმად მადლობასაც შემოგწირავთ ცხენისათვის.

ეს მართლაც რესპუბლიკა გახლდათ, რესპუბლიკა ორმოს ფსკერზე მომწყვდებული მხეცებისა, ვინც განწირული იყო სარჩოს ძიებასა, ერთმანეთთან კინკლაობასა და ძილქუშში ამოხდომოდა სული. მე არც კი ვცდილვარ აღმფრთვება გამომეთქვა. ვიჩეჭი და მივჩერებოდი ამ გულისამრევ სანახაობას.

პორნიკის ლეში ელვის უსწრაფესად აქნეს. თუმცაღა სისუფთავით ვერ დაიკვეხნიდნენ, კაცებმა და ქალებმა დაითრისეს ნაჭრები, ბაქნებს მიაშურეს და შეუდგნენ კერძის მომზადებას. გუნგა დასი მე მემსახურებოდა. ამასობაში კვლავ მომიარა გადაულახავმა სურვილმა ვძგერებოდი ქვიშრობის კედლებს და მებლოტიალა ზედ, ვიდრე ძალაგაცლილი არ ჩამოვ-

დღავდებოდი ძირს. მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი წინ-
აღვდგომოდი ამ სწრაფვას. გუნგა დასი კი კვლავ შეურა-
ცხმყოფლად ოხუნჯობდა ჩემი მისამართით, ვიღრე არ გან-
ვუცხადე, საქმარისია კიდევ ერთი სიტყვა და იქვე მოგაშ-
თობ-მეთქი. ამან ბურთი ჩასჩარა პირში. მაგრამ ახლა ეს
ღუმელიც ვერ ავიტანე და თავად შეკავებულიანე — ხმა ამო-
ელო.

გუნგა დასი ძვალს ღრღნიდა.

— თქვენ აქ ჩარჩებით, როგორც ერთი ფარანგი, — ცი-
ვად თქვა მან და თან გამომცდელად შემომხედა პირში ძვალ-
გაჩრილმა.

— რომელი სხვა საპიბი, შე ლორო, შენა? მიპასუხე ახ-
ლავე, არ გაბედო, იცოდე, ტყუილის თქმა.

გუნგა დასმა ჩემი სადგომის მარცხნივ რიგით მეხუთე
გამოქვავბულს მიათითა — მიბრძანდიო აგერა იქ და ნახეთ
საკუთარი თვალით. ის მოკვდა ბუნაგში იმგვარად, როგორც
მოკვდებით თქვენ, მოვკვდები მე, ყველა ეს კაცები თუ ქალე-
ბი და ეს ბავშვიც.

— ღვთის გულისათვის, მომიყევი ყველაფერი, რაც იცი
ამის შესახებ. როდის მოვიდა იგი აქ, ან როდის მოკვდა.

ჩემს ხმას თხოვნის კილო შეეპარა. გუნგა დასი ცბიერად
გაიდრიჭა ლა მომიგო:

— არაფერს არ გეტყვით, ვიღრე რაიმეს არ მომცემთ.

მაშინ ველარ მოვითმინე, შიგ შუბლში ვთხლიშე და დავა-
რეტიანე. იგი ჩამოგორდა ბაქანიდან და მყის ჩემს ყურმოჭ-
რილ მონად იქცა, მელაქუცებოდა, ფლიკვინებდა, ლამობდა
მუხლებზე მომხვეოდა და იმ ბუნაგისაკენ გამიძღვა, რომელ-
ზეც აღრე მიმითითა.

— არაფერი არ ვიცი იმ ჯენტლმენის შესახებ, თქვენს
ღმერთსა ვფიცავ, რომ არაფერი. ეგ იყო, ისიც ამ ადგილას
ჩამოენარცხა. თქვენსავით ლამობდა აქედან გაქცევას, თუმ-
ცა ყველაფერი ვიღონეთ, რომ ამ განზრახვაზე ხელი აეღო.
ტყვია კი აქ მოარტყეს.

გუნგა დასმა დამჭლევებულ მუცელზე დაიდო ხელი და
თავი მიწამღე დახარა.

— მერე რა მოხდა? განაგრძე!

— შინ წავიყვანეთ, თქვენხო კეთილშობილებავ. წყალი ვასვით და სველი ნაჭრები ვადეთ. იწვა ასე. ჰოდა, ამოხდა სული.

— რამდენ ხანში?

— დაახლოებით ნახევარ საათში, მას მერე რაც დაჭრეს. ვიშნუს მოვუხმობ მოწმედ, — იტყებოდა ეს წამხდარი ადამიანი, — რომ შემწეობა არ დამიკლია.

იგი ძირს განერთხო და კოჭებზე შემომხვია. მაგრამ მე ეჭვი მეპარებოდა მის სათნოებაში და მიუხედავად მისი ფიცისა, წიხლი ჩავაზილე.

— თქვენ ალბათ გამძარცვეთ იგი. ამას ახლავე გამოვარკვევ. რამდენი ხანი დაჰყო საპიბმა აქ?

— ალბათ, წელიწადნახევარი... მე მგონი, ბოლო დროს ის თავის ჭკუაზე აღარ იყო. მაგრამ ისმინეთ ჩემი აღსარება, ღარიბთა ქომავო. თუ გსურთ, შემოგფიცოთ, რომ მისი კუთვნილი არც ერთი ნივთისათვის ხელი არ მიხლია. რას აპირებს თქვენი მოწყალეობა?

მაჯაში ვწვდი გუნგა დასს და წავათრიე უკაცური გამოქვამულის წინ მობეჯნილ ბაქანისაკენ. თვალწინ მედგა ჩემი უბედური, ტყვედქმნილი წინაპარა, მისი ენით აუწერელი ტანჯვა თვრამეტი თვის მანძილზე, ადამიანი, ვისაც, მუცელში დაჭრილს ამ სოროში, ვირთხასავით ამოძვრა სული.

გუნგა დასს მოეჩვენა, რომ მის მოკვდინებას ვეპირებოდი და საწყალობლად აყმუვლდა. ხორციტ გულამსუყებულნი ხაროს ბინადარნი გაშტერებულნი მოგჩერებოდნენ.

— აბა, შეძვერი შიგ, გუნგა დას, — ვუთხარი მე. — და გარეთ გამოიტანე გვამი.

გული მიმდიოდა ამ საშინელებისაგან. გუნგა დასი კინალამ გადაგორდა ბაქანიდან და ხმამაღლა აღმუვლდა.

— კი მაგრამ, მე ბრაჰმანი ვარ, საპიბ, მაღალი კასტის ბრაჰმანი, გაფიცებთ მამათქვენის სულს, დამინდეთ, საპიბ.

— გამჩენსა ვფიცავ, ბრაჰმანი კი არა, ვინც არ უნდა იყო, ისე შეხვალ შიგ, მზე მაღლა იქნება! — შევძახე მე, მხრებში ვწვდი, ჯერ თავი შევარგვევინე გამოქვამულის ყელში, ტყნიც

მეცხველი კიტლაყით, მერე იქვე ჩამოვქეჟი და ხელები სახეზე ავიფარე.

გავიდა რამდენიმე წუთი და ჯერ შრაშუნი და კრიალი მომესმა, მერე გუნგა დასის გაგუდული ხმა. იგი თავის თავს ელაპარაკებოდა, შემდეგ რაღაც გაბაგუნდა და მე თვალეზი ავახილე.

მშრალ ქვიშას ინგლისელის გვამი მოყვითალო-მოყავისფრო მუშიად ექცია. გუნგა დასს ვუბრძანე, განზე ეტია, ვიდრე გვამს დავათვალიერებდი. მიცვალეზულს ზეთისხილისფერი მომწვანო სანადირო ქურქი ეცვა, დალაქავეებული და გაცვეთილი, ტყავის სამხრეულეზით გაწყობილი — ეს იყო ოცდაათი თუ ორმოციოდე წლის, საშუალო სიმაღლის მამაკაცი ღია, სილისფერი თმით, გრძელი უღვაშეზით და აბურდული წვერით. ზედა ყბაზე ერთი კბილი აკლდა და მარჯვენა ყურის ბიბილო წაგლეჯილი ჰქონდა. მარცხენა ხელის შუა თითზე ეკეთა ფარისებრი ბეჭედი, რომლის ჰელიოტროპი ოქროში იყო ჩასმული. ბეჭედზე ჩანდა მონოგრამა, რომელზეც რაღაც ბ. კ-ს თუ ბ. ლ-ს მაგვარი ასოები იყო ამოკვეთილი. მარჯვენა ხელის თითზე ჩამოცმული ჰქონდა გადაღესილი და ფერგადასული ვერცხლის ბეჭედი — დარგოლილი კობრას გამოსახულება.

გუნგა დასმა ჩემს ფერხთით განალაგა მის მიერ გამოქვაბულში ნაპოვნი წვრილმანი ნივთების გროვა. მე ხელსახოცი გადავაფარე გვამს და შევეუდეჟი მის თვალიერებას. ვადგენ სრულ სიას ნივთებისას, იმ იმედით, ვინძლო, ვინძმეს დაეხმაროს გარდაცვალეზულის ვინაობის ამოცნობაში.

1). მანანის ხისაგან გამოთლილი ჩიბუხის თავი, კიდეებზე დაკბილული, ძალზე გაცვეთილი და გაშავეებული, ჩუქურთმაზე შემოხვეული კედით.

2). ორი გასაღები — ორთავე გატეხილი.

3). ჯაყვა — კუს ბაკანის ტარით, დამშვენებული ვერცხლის თუ ნიკელის ფირფიტით, ზედ ამოჭრილი მონოგრამით — „ბ. კ.“

4). კონვერტი გადაშლილი ბეჭდით და ვიქტორიას მარკით,

რომელიც ეგზავნებოდა „მისის მონს (შემდეგ გაურკვეველია) — ჰემ-ნტ“.

5). უბის წიგნაკი ნიანგის ტყავის მაგვარი გარეკანით, ყუაში გარკობილი ფანქრით. პირველი ორმოცდახუთი გვერდი ცარიელია. ოთხნახევარი დაწერილია ძალზე გაუგებრად. დანარჩენი თხუთმეტი შევსებულია პირადი შენიშვნებით, ძირითადად სამ პიროვნებას რომ ეხება. ესენია: მისის ი. სინგლტონი (რომელსაც რამდენჯერმე შემოკლებით უწოდებს „ლოტ სინგლს“), მისის მეი და გარმისონი (რომელსაც, აგრეთვე, შემოკლებით ხან „ჯერის“ უწოდებს და ხან „ჯექს“).

6). პატარა, პირმოტეხილი სანადირო დანა. აღმასით დამუშავებული მამალი ირმის რქისა, რგოლით, რომელსაც გამობმული აქვს კანაფის ნაგლეჯი.

ნურავის ეგონება, თითქოს იქვე შემედგინოს ამ ნივთების დეტალური სია. პირველ ყოვლისა, ჩემი ყურადღება უბის წიგნაკმა მიიპყრო და ჯიბეში ჩავიდე იგი იმ განზრახვით, რომ შემდგომ ყურადღებით დამეთვალეირებინა. დანარჩენი საგნები ჩემს გამოქვაბულში მივმალე, და რადგანაც წესრიგის მოყვარული ადამიანი გახლდით, დაწვრილებით აღვწერე ყოველივე. შემდეგ მივუბრუნდი გვამს და გუნგა დასს ვუთხარ, მიცვალებული მდინარემდე მიმატანინებეთქი.

გვამი რომ ავწიეთ, მისი ჯიბიდან გადმოვარდა ძველი, გასროლილი, ყავისფერი მასრა და ჩემს ფეხებთან გაგორდა. გუნგა დასმა ის ვერ შეამჩნია.

ფიქრმა გამკრა, რად უნდა სდებოდა ჯიბეში ამ კაცს მასრა. მონადირე გასატენად უვარგის, დამწვარ მასრას რად ღაიღებდა ჯიბეში. ასე ჩანდა, იგი შიგ სოროში გაესროლათ. მაშინ სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო თოფიც. კინალამ გუნგა დასს არ შევეკითხე ამის შესახებ, მაგრამ ღროზე შევიკავე თავი.

გვამი კოლბოხებთან დავასვენეთ მერხვევი ქვიშის მიჯანსთან. ვეპირებოდი ჩამეხოხებინა იგი დაბლა, ქვიშაში ჩასანთქაყად (დამარხვის სხვა ვერაფერი საშუალება გამოვძებნე) და გუნგა დასს ვუბრძანე, განზე გამდგარიყო.

პირქვე დაგდებული მკვდარი დავაცურე მერხვე ქვიშაზე. ამასობაში უნებურად გადასკდა გაცრეცილი, დამპალი სანადირო კოსტუმი და გვამის ზურგზე შემზარავი ნატყვიარი გამოჩნდა.

ექვი არ იყო, თოფის ლულა გასროლის დროს მოკლულის ზურგზე მიებჯინათ. ეს ადამიანი ჯერ მოეკლათ და მერე მოეცვათ მთელი სანადირო ქურჭი. ახლა კი ბედშავის სიკვდილს ფარდა აეხადა. ალბათ, რომელიმე ხაროს მკვიდრმა, სავსებით შესაძლოა გუნგა დასმა, მოკლა იგი მისივე საკუთარი თოფით, რომელიც ყავისფერი თოფისწამლით იტენებოდა. ამაში ნავიდან დამიზნებულ შაშხანებს ბრალი არ ედოთ.

სასწრაფოდ ხელი ვკარი გვამს. იგი მყის ჩაინთქა ქვიშაში. ტანში გამაჟრჟოლა ამის შემხედვარეს.

გაოგნებული და გაბრუებული შეევუდექი უბის წიგნაკის ყურადღებით კითხვას. როცა წიგნაკი გადავშალე, ძირს დავარდა ყუასა და ყდას შორის ჩადებული გამოხუნებული ქალაღის ნაგლეჯი. აი რა ეწერა ზედ:

„ოთხი პირდაპირ საყვავე კოლბოხიდან; სამი მარცხნივ, ცხრა წინ; ორი მარჯვნივ; სამი უკან; ორი მარცხნივ; თოთხმეტი პირდაპირ; ორი მარცხნივ; შვიდი პირდაპირ; ერთი მარჯვნივ; ცხრა უკან; ორი მარჯვნივ; ექვსი უკან; ოთხი მარჯვნივ; შვიდი უკან“.

წერილს კიდევები ჰქონდა მომწვარი. ვერაფრით მივხვდი, რის გამო. ხმელ ბალახზე მოვირთხი ფეხი, ვაბრუნებდი წალმა-უკულმა ამ ფურცელს და შეცარიე მზერა ვიგრძენი. მოვიხედე და თვალანთებულ და ხელებგამოწვდილ გუნგა დასს შევეფთე.

— იპოვეთ, ხომ? — სუნთქვა ეკვროდა მას. — ნებას დამრთავთ, ერთხელ მაინც დავხედო, გეფიცებით, უკან დაგიბრუნებთ.

— რას ნახავ? ან რას დამიბრუნებ?

— იმას, რაც ხელთ გიპყრიათ — ეგ ქალაღი ორივეს გვიხსნის.

და მან გამოიწვდინა მეტის ცნობის წადილისაგან აცახ-
ცახებული მტაცებელი ფრინველის კლანჭის მაგვარი ხელი.

— სად არ ვეძებე, — განაგრძობდა გუნგა დასი, — ვიცო-
დი, არ იშორებდა, სულ თან დაჰქონდა. ამისათვის მოვკალი
და მაინც ვერ მივაგენი.

გუნგა დასს სავსებით გადაავიწყდა თავისი უბადრუკი
მონაჩმახი ნავიდან გასროლის შესახებ. მშვიდად ვუსმენდი,
ზნეობრივი გრძნობა ჩლუნგდება, როცა საქმეს დაიჭერთ
საფლავიდან ამოღებულ. ცოცხალ-მკვდარ ხალხთან.

— რას ცმუკავ, რასა მთხოვ?

— აი ეგ ფურცელი ორივეს გადაგვარჩენს. ღმერთო, რა
ბრიყვი ხართ. ვერა ხვდებით, რომ ახლა კი გვეშველა?

იგი ღრინაგვით, გადარეულივით ცეკვავდა ჩემს წინ.
გამოგიტყდებით, მეც ერთიანად შემძრა ამ ამბავმა.

— ნუ ხტუნავ, ამიხსენი, რაშია საქმე? მაშ, შენი ფიქრით
ეს ქალაქი გვიხსნის? როგორ, რანაირად?

— ხმამაღლა წაიკითხეთ, გემუდარებით, ხმამაღლა.

გუნგა დასი აღფრთოვანებით მისმენდა და თან თითებით
რალაც ზიგზაგები გამოჰყავდა ქვიშაზე.

— ახლა მისმინეთ: ციფრები გამოსახავს ინგლისელის
თოფის ლულის სიგრძეს უკონდახოდ. ეს ლულა მე მაქვს.
გამოდის ოთხი ლულის სიგრძე უნდა გადავთვალათ იმ ად-
გილიდან, სადაც ყვავებზე ვნადირობდი. მდინარე უნდა
გადავჭრათ. ხომ გესმის? შემდეგ სამი მარცხნივ. ოჰ, მაგონ-
დება, როგორ აკლავდა ამას თავს მთელი ღამეების განმავ-
ლობაში. მერე ცხრა პირდაპირ და ასე შემდეგ. პირდაპირ,
ანუ მურხვევი ქვიშის გზით, ასე მითხრა მან, ვიდრე მოვკლავ-
დი.

— ჰო, მაგრამ თუკი იცოდი ეს ყველაფერი, რაღაზე ჩარ-
ხი აქ?

— საქმეც ის არის, რომ არ ვიცოდი. მან მხოლოდ ის
მითხრა, რომ წელიწადნახევარი მოუწდა ამის გამოანგარიშე-
ბას. როგორც კი ნავი უკაშ გაბრუნდებოდა, მაშინვე შეუდგე-
ბოდა ხოლმე გეგმის შედგენას. და ასე მიაგნო ხერხს, თუ
როგორ უნდა გაელწია აქედან მერხვევი ქვიშის გზით. შემ-

თავაზა კიდევ ერთად გავიქცეთო. მაგრამ მე შემეშინდა, სამუშაოს საბოლოოდ რომ მოამთავრებს, ღამე გამეპარება-მეთქი. ავდექი და მოვკალი. ესეცაა, სასურველი როდია აქედან უვნებლად გააღწიოს ისეთმა კაცმა, თუნდაც ერთხელ რომ მოხვდა ამ ადგილას. ეს მე არ მეხება. უფლებამოსილი განლაგართ, მე ხომ ბრაჰმანი ვარ.

გაქცევის იმედმა კასტური სიამაყე დაუბრუნა გუნგა დასს. იგი ადგა, ბოლთის ცემას მოყვა, თან გაცხარებით იქნევდა ხელებს.

როგორც იქნა დავიყოლიე, ყველაფერი დალაგებულად მოეთხრო. მომიყვა, როგორ ათენა ღამეები ინგლისელმა, გოჯი-გოჯ ეძებდა გასასვლელს მერხევ ქვიშაზე. მერე კი დაიქინა თურმე: მდინარეს უნდა ავეყვით ასე, ოციოდ იარღზე, ნალის შვერილს გარშემოვუაროთ და სამშვიდობოს გავალთო.

აღრფთოვანებულმა ხელი მაგრად ჩამოვართვი გუნგა დასს, რის შემდეგაც ჩვენ გადავწყვიტეთ გაქცევა იმავე ღამით. სული დაგველია მწუხრის მოლოდინში. დაახლოებით ათი საათისათვის (თუკი სწორად ვსაზღვრავ) როცა მთვარემ ის-ის იყო გამოანათა ხაროს კიდედან, გუნდა დასი შეძვრა თავის სადგომში და იქედან გამოათრია თოფის ლულა, რათა გზის მონაკვეთები დაეზომა. ხაროს საცოდავი ბინადარნი რა ხანია შეყუჟულიყვნენ თავიანთ ბუნაგებში. სადარაჯო ნავიც დინებას გაჰყვა რამდენიმე საათის წინ და ჩვენ მარტოდ-მარტონი აღმოვჩნდით იმ კოლბოხებზე, სადაც ყვავებს ვუსაფრდებოდით.

გუნგა დასს ლულის გადმოტანისას გაუვარდა ქალაღლის ფურცელი, რომელსაც ჩვენთვის მეგზურობის მაგივრობა უნდა გაეწია. სასწრაფოდ დავიხარე მის მოსაძებნად და უეცრივ მოვლანდე, გუნგა დასი აპირებდა თოფის ლულა ეხეთქა ჩემთვის თავში. აცილება ვერ მოვასწარ. კეფაში მთხლიშა. ასობით ცეცხლოვანმა ვარსკვლავმა დაკვესა ჩემს თვალთაგან და უგრძნობლად გავიშოტე მერხევი ქვიშის კიდეზე.

გონს რომ მოვედი, მთვარე უკვე ჩასულიყო, კეფა აუტანლად მტკიოდა. გუნგა დასი სადღაც გამქრალიყო, პირი სის-

ხლით მქონდა სავსე. კვლავ დავემხე ძირს და ღმერთს შევევედრე, მეტად აღარ ვეტანჯე, მალე მიებარებიან ჩემი სული. შემდეგ აღრინდებულმა უგუნურმა სიშმაგემ შემიპყრო და ქვიშის ფერდობისაკენ წავლაყუნდი.

უეცრივ მომესმა, თითქოსდა ვილაც მიხმობდა ჩურჩულთ: საჰიბ! საჰიბ! საჰიბ! ზუსტად ისე, როგორც ჩემს რიკ-შას სჩვეოდა დაძახება დილაობით. ვიფიქრე, ხომ არ გავგიჟდი-მეთქი. მაგრამ ზემოდან ჩამოიბნა პეშვი მიწა. მალლა ავიხედე და დავინახე ჩემი კურძვალის, დანუს, ხაროში ჩამომზირალი თავი. იმ ბიჭისა, ვინაც გაწერთნა ჩემი საუკეთესო მწვერები.

რაკი თავისკენ მიმახედა, ხელი ასწია და თოკი დამანახა. ფეხზე ძლივს ვიდექი. აქეთ-იქით მაქანებდა და ხელითვე ვანიშნე ძირს ჩამოეშვა.

ეს იყო ერთმანეთში გადაგრეხილი, პანკპას ჩამოსაკიდი ორი ტყავის ღვედი, ბოლოზე მარყუჟით. თავზე გადავიტარე ეს მარყუჟი და ილღიებში ამოვიდე. დანუ ვილაცას უბრძანებდა, წინ წასულიყო. მერე ვიგრძენი, მალლა მეზიდებოდნენ. და შემდეგ წამს სულშეხუთული და თითქმის გულწასული აღმოვჩნდი გორაკის თავზე, ხაროს რომ გადმოჰყურებდა.

მეძალღე ბიჭი, რომელსაც მთვარის შუქზე ფერი მიხდოდა, მვედრიდა, ახლავე წავეყოლოდი კარავში.

იგი თურმე პორნიკის ფლოქვების კვალს გამოჰყოლოდა თოთხმეტი მილის მანძილზე ხარომდე. მერე დაბრუნებულიყო და ყველაფერი ეამბნა მსახურებისათვის. ისინი ცივ უარზე დამდგარიყვნენ საქმე დაეჭირათ ისეთ სულდგმულთან, ვინც იმ საზარელ სიკვდილის დაბაში მოხვედრილიყო.

მაშინ დანუმ შეკაზმა ერთ-ერთი ჩემი ცხენი, დაიიღლიავა წყვილი პანკპას თოკი, დაბრუნდა ხაროსთან და ამომათრია იმგვარად, როგორც აღგიწერეთ.

1

— გოგო რომ დაიბადოს?

— ეს შეუძლებელია, ჩემო მეუფევ. იმდენი დამე ვილოცე და იმდენი ძღვენი შევწირე შეიხ ბაღლის მიზგითს, მჭერა, ალაპი ვაჟს გვიბოძებს. ის გაიზრდება და დავაჟკაცდება. ხარობდე ამ ფიქრით. დედაჩემი მიხედავს, ვიდრე მოვლონიერდები, პატანის მიზგითის მოლა კი გამოიცინობს რომელ ვასკვლავზეა დაბადებული. ღმერთმა ქნას ბედი დაჰყვეს. და მაშინ... აი, მაშინ კი შენ აღარასოდეს მოგბეზრდება შენი მოწა.

— როდის აქეთ იქეც მონად, ჩემო დედოფალო?

— თავიდანვე. ახლა ზეცამ წყალობა მოიღო. როგორ უნდა მერწმუნა შენი სიყვარული? აკი მიყიდე, აკი ვერცხლი გაიღე ჩემს საფასურად.

— ის ხომ მზითვეი იყო. მე უბრალოდ ფული მივეცი დედაშენს მზითვისათვის.

— მან კი გადამალა და ზედ აზის მთელი დღეები კრუხივით. მზითვეიო? რა დროს ჩემი მზითვეი იყო, მიწას არ ავცილებოდი. ბავშვი ვიყავი. ოღონდ ცეკვა კი კარგი ვიცოდი და შენც ფული არ დაიშურე თავის შესაქცევად.

— მერედა ბედს ემღური? ნანობ თუ?

— ვნანობდი. დღეს კი მიხარია. ახლა ხომ მარადეჟამს გეყვარები, ჩემო მეფევ.

— მარადეჟამს, მარადეჟამს.

— მაშინაც კი, თუ მემ-ლოგი, შენი სისხლის თეთრი ქალი, შეგიტრფობს? შენ იცი, მე თვალს ვადევნებ ხოლმე მათ, როცა ისინი საღამოობით სასეირნოდ გამოდიან. აუჰ, რა ლამაზები არიან.

— მერე რა. ტიკინების მეტი რა მინახავს, მაგრამ შემდეგ მთვარე ვიხილე და მათკენ გამექცეოდალა თვალი?

ამირამ ტაში შემოჰკრა და გაიცინა.

— კარგ სიტყვას ამბობ, — თქვა მან. უეცრივ კილო იცვალა და ზვიადად დასძინა:

— კმარა, ნებას გრთავ წახვიდე, თუკი ეს გსურს.

მამაკაცი ადგილიდან არ დაიძრა. იგი იჯდა წითლად გალანჯულ ტახტზე. იატაკზე ეგო ლურჯ-თეთრი ქსოვილი, რამდენიმე ნოხი და ეყარა ინდურ ყაიდაზე მოქარგული ყურთბალიშები. კაცის ფერხით მოკალათებულიყო თექვსმეტი წლის ყმაწვილქალი ამირა, რომელიც ამ ადამიანს მთელ ქვეყნად უღირდა. თითქოსდა ყველაფერი სულ სხვაგვარად უნდა წარმართულიყო. მამაკაცი ინგლისელი გახლდათ, ქალი კი მაჰმადიანთა რჯულისა. უსახსროდ დარჩენილმა დედამ ამირა გაიმეტა. იგი ხომ თვითონ ბნელეთის მოციქულსაც კი მიჰყიდდა შვილს, ოღონდ რიგიანი ფასი მიეცათ.

მამაკაცს ეს ამბავი დიდად არაფრად ჩაუგდია, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ჯერაც უმწიფარმა გოგონამ ერთიანად დაიპყრო მისი არსება. მან ამირასა და დედამისის, ერთი ჯანდაგი, კუდიანი დედაბრისათვის, იქირავა პატარა სახლი, რომელიც გადაპყურებდა წითელი აგურის კედლით გარშემორტყმულ დიდ ქალაქს.

ამირა საბოლოოდ დაფუძნდა ამ ახალ ალაგს. ყველაფერი თავის გემოზე მოაწყო, დედამისიც მალე აღარ უჩიოდა სამზარეულოს ვიწროობასა და ბაზრის სიშორეს და როცა ეზოში, ჰის პირს ნარგიზები აყვავდა, ჰოლდენმა მაშინდა იგრძნო, რომ ეს სახლი მის მშობლიურ კერად ქცეულიყო.

ბუნგალოში, სადაც იგი მარტოხელად ცხოვრობდა, ყველას შეეძლო შეხეტებულებოდა, რა დროსაც არ უნდა მოსურვებოდა. ამიტომაც დიდად სახარბიელო როდი გახლდათ იქ ცხოვრება. ქალაქის სახლში კი მარტოდენ მას შეეძლო სადიაცოში შესვლა. ეზოში შეაბიჯებდა და ხის დიდი ჰიშკარი ჩაირახებოდა თუ არა, თავი იქაურობის მეფედ ეგულვოდა, ამირა კი დედოფლად. და აი, ახლა მესამე სულდგმული აპირებდა შეჰმატებოდა ამ ორთა. მის გამოცხადებას ჰოლდე-

ნი თავდაპირველად ამრეზით შეხვდა. ეს არსება ეპირებოდა დაერღვია სიმშვიდე იმ სახლისა, თავისად რომ მიაჩნდა. ამირა კი ცას ეწვია სიხარულით, არანაკლებ ხარობდა დედამისიც.

მამაკაცს, განსაკუთრებით თეთრ მამაკაცს, როდი ძალუძს მუდმივი სიყვარული. ოლონდ ეს იყო — აგრე სჯიდა ორივე ქალი — ბავშვი ერთხანობას მტკიცედ ჩაიჭერდა მას. და მაშინ, სჩვეოდა ხოლმე ამირას თქმა, იგი ზედაც არ შეხედავს თეთრ ქალებს, ო, როგორა მძაგს ყველა ისინი.

— ერთი დროც მოვა, — ეტყოდა ხოლმე ამაზე დედამისი, — იგი დაუბრუნდება თავის ხალხს, მაგრამ ღვთის ნებით მანამდე ჭერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის.

ჰოლდენი მდუმარედ იჯდა ტახტზე და ცდილობდა მომავალი წარმოესახა. მკმუნვარი იყო მისი ფიქრები. ორფა ცხოვრებას ხომ არაერთი სირთულე დასდევს. სწორედ დღეს ხელმძღვანელობამ გამოიჩინა უჩვეულო ყურადღება და იგი ორი კვირით მიავლინა შორეულ სიმაგრეში. განსაკუთრებული დავალება მისცეს. მას უნდა შეეცვალა ოფიცერი, რომელსაც ცოლი გაუხდა ავად. ბრძანების მომტანმა მხიარულად შენიშნა, რა ბედნიერი ხარ ცოლ-შვილი რომ არა გყავსო. და ახლა ჰოლდენი აქ მოსულიყო, რათა ამირასათვის ემცნო თავისი გამგზავრების ამბავი.

— ეს ვერაა კარგი, — დინჯად წარმოთქვა ქალმა, — მაგრამ არც თუ უსაშველოა. აქ დარჩება დედაჩემი და თუკი სიხარულმა არ მომკლა, სხვა არაფერი მიჭირს. როცა ჩემი დრო მოაწევს, იმედი მაქვს... იმედი კი არა მტკიცედ მჯერა, უთუოდ დაბრუნდები, ხელში აიყვან შენ პირმშოს და მეც მარადღეამს გეყვარები. მატარებელი ხომ შუალამით გადის, ჰოდა გზას ეწიე. გულს ნუ დაიმძიმებ ჩემზე დარდით. ოლონდ დროზე კი დაბრუნდი. ერიდე თეთრ ქალბატონებს. მალე მობრუნდი, ჩემო სიცოცხლე...

მამაკაცი ეზოში გავიდა და ჭიშკართან მიბმული ცხენისაკენ გაემართა. ჰალარა დარაჯს შევსებული დეპეშის ბლანკი ჩასჩარა ხელში და უბრძანა შემთხვევისთანავე დაუყოვნებლივ გამოეგზავნა მისთვის ეს ქალაღდი. მერე კი საფოსტო მატარებლით გაემგზავრა დავალების შესასრულებლად. ისეთი

გრძნობა გაჰყვა, თითქოსდა საკუთარ დასაფლავებაზე მიდი-
ოდა. იგი ყოველ წუთს ელოდა, რომ დეპეშას მოუტანდნენ
და მთელი ღამეები ეზმანებოდა, რომ ამირა მოკვდა. ამიტო-
მაც სამსახურებრივ მოვალეობას არცთუ პირნათლად უძღვე-
ბოდა და თანამშრომლებსაც როდი ეპყრობოდა ღიღის თავა-
ზით.

ორმა კვირამ განვლო. სახლიდან არაფერი ისმოდა. როცა
ეკვიტ შეპყრობილი, აფორიაქებული ჰოლდენი უკან მობ-
რუნდა, სახლამდე მაინც ვერ მიაღწია, რადგან სადილზე
მიიწვიეს კლუბში. მთელი ორი საათი იქ ეკლებზე იჯდა.
აქეთ-იქედან, თითქოსდა სიზმარში, ვილაყეების ხმები ესმო-
და. ეს ხმები ჩასძახოდნენ, რა გემართება, საქმეს ვერ უძ-
ღვები, ხელქვეითები ყირაზე გადადიან, ქვეყანა დაგცინისო.

მერე, უკვე გვიანობისას, იგი გულისხნეობით მიაჭენებდა
ცხენს ქალაქში. კიშკარზე დაარახუნა, მაგრამ არავინ გამოხე-
და. ის იყო ცხენი პირუტყუ შეაბრუნა კიშკრისაკენ, იმ გან-
ზრახვით იქნებ წიხლებით გავადებინო კარიო და ამ დროს
პირ ხანიც გამოჩნდა ფარანით ხელში და ალვირი ჩამოართვა.

— მოხდა რამე? — იკითხა ჰოლდენმა.

— მე ამაებინა რა მეკითხება, ღარიბთა ქომაგო, ყველა-
ფერს უჩემოდაც შეიტყობ, — და მოხუცმა გამოიწვავდა პემ-
ვი, როგორც შეჭფერის კარგი ამბის მაცნეს, ფეშქაშს რომ
ელის.

ჰოლდენმა სირბილით გადაჰრა ეზო. ოთახში სინათლე
არ ენთო. ცხენმა დაიჭიხვინა კიშკართან და ამავე დროს მან
გაიგონა საწყალობელი ჰყლოპინი. ჰოლდენს თითქოს ბურთი
გაეჩხირა ყელში. ახალი ხმა იძახდა, მაგრამ ეს სულაც არ
ნიშნავდა იმას, რომ ამირა ცოცხალი იყო.

— სახლში არავინა ხართ? — შეჰყვირა მან და ქვის ვიწ-
რო კიბეზე შედგა ფეხი.

პასუხად ჯერ ამირას მხიარული შეძახილი გაისმა, მერე
კი — დედამისის სიბერისა და სიამაყისაგან მთრთოლვარე
ხმა.

— აქა ვართ ჩვენ — ორი ქალი და მამაკაცი, ძე შენი.

ჰოლდენმა ოთახში შეაბოტა და ფეხი დაადგა ზღრუბლზე

გადებულ გაშიშვლებულ თილისმა ხანჯალს. გაფოთებულ ჰოლდენს ისე მაგრად მოუხვდა ქუსლი, ხანჯალი ვადაში გადატყდა.

— დიდ არს ალაპი, — ჩურჩულით ამოთქვა ამირამ, — ახლა მისი ავი შენზე გადმოვა.

— ძალიანაც კარგი... თავად როგორა ხარ, ჩემო სიცოცხლე.

მერე დედამისს მიუბრუნდა — მითხარი, ქალო, როგორ არის შენი ქალიშვილი.

— სიხარულმა ტანჯვა გადაავიწყა ეგ ახლა მალე მომჯობინდება, ოღონდ ჩუმად ილაპარაკე, — იყო პასუხი.

— რადგან აქა ხარ, მალე უკეთ შევიქნები, — ჩაილაპარაკა ამირამ. — ჩემო მბრძანებელო, რა ხანია აქ არ ყოფილხარ. რა საჩუქრები ჩამომიტანე? თუმცა ამჯერად მე გიძღვენი საჩუქარი. დახედე აბა, ჩემო სიცოცხლე. მართლაც საოცარი ბავშვია. ძალა არ შემწვევს ხელი გამოვიღო.

— იყურე. ნუ ლაპარაკობ. მე შენს გვერდით ვარ, ბაჩარი.

— კარგი ნათქვამია. ახლა ჩვენი დაშორება აღარაფერს ძალუძს. ამ ბნელში თვალი თუ გიჭრის, ნახე აბა, კანზე ერთი ლაქაც არ აზის. ჯერ არ შობილა ასეთი ბიჭი. დიდება ალაპს, პანდიტი გაიზრდება, არა მეფის მხედარი. შენ კი, ჩემო სიცოცხლე, ისევ გიყვარეარ? მე ხომ ახლა გამხდარი და მიყმენდილი ვარ... მართალი მითხარი.

— ჰო, კვლავინდებურად მთელი გულით მიყვარხარ, ჩემო მარგალიტო, მშვიდად იწეკი, მშვიდად.

— ოღონდ ნუ წახვალ. გვერდით დამიჭეკი, აი, ასე. დედა, ამ სახლის ბატონს ბალიში მოართვი.

ამირას მკლავზე დაგორებული ახალშობილი შეტოკდა.

— ო, — თქვა ამირამ, — გოლიათი იშვა. მუშტებს ისე ძალუმად მიშენს გვერდებში, ამგვარი ალბათ არაფერი მოვლენია ქვეყნიერებას. ის ჩვენია, ჩვენი შვილი, შენი და ჩემი. ფრთხილად, თოთო ბავშვია.

ჰოლდენი თითებით ნაზად შეეხო ღუნდლიან თავს.

— მაჰმადის რჯულს ვაზიარე, — თქვა ამირამ. — მთელი

ღამეები, ძილი რომ არ მეკარებოდა, ლოცვებს ჩავჩურჩულე და ყურანის სურებს ჩავაგონებდი. საოცარია, ესეც ჩემსავით პარასკევს დაიბადა. იცი როგორ მებლაუჭება თითებთ. ფრთხილად, ჩემო სიცოცხლევე, არაფერი მოსწიო.

ჰოლდენი ხელის გულებზე მოეფერა პატარას. ბავშვმა თითები მოკუმა და მამაკაცს ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

აქამდე მხოლოდ ამირა იყო მისი საფიქრალი, ახლა კი სხვა ვინმემაც დაისადგურა მის სულში. ოღონდ ჯერაც ვერ შეეგრძნო ბოლომდე, რომ ეს იყო მისი შვილი, რომ ეს იყო ადამიანი.

იგი ჩაფიქრდა. ამასობაში ამირამ ჩათვლიმა.

— ახლა კი წადი, საპიბ, — ჩასჩურჩულა დედამისმა. — არ ივარგებს თუკი აქ დაუხვდები, როცა გაელვძება. მოსვენებას საჭიროებს.

— კეთილი, მივდივარ, — მორჩილად თქვა ჰოლდენმა. — აი ფული, ბავშვს არაფერი მოაკლო.

ამირა ვერცხლის წკარუნმა გამოაღვიძა.

— მე დედა ვარ და არა ძიძა, — თქვა მან მიღებული ხმით. — რაო, თუ ფულს მომცემ უკეთ მოუველი განა? დედა, დაუბრუნე უკან ყველა რუპია უკლებლივ. მე ჩემს მეუფეს შევძინე შვილი.

ქანცგაცლილმა ამირამ ძლივს მოასწრო ამ სიტყვების წარმოთქმა და ღრმად ჩაეძინა. ჰოლდენი ფეხაკრფით გავიდა ოთახიდან. ეზოში პირ ხანი შემოხვდა. მოხუცი ქვეშ-ქვეშად ილიმებოდა.

— ჯალაბი გიმრავლოს, — თქვა მან და ჰოლდენს გაუწოდა თავისი, პოლიციაში სამსახურის დროინდელი, დაბლაგვებული ხმალი. ჭის პირად კიკინი მოისმა.

— იქ ორი თხა მიბია. ჯიშისანი თხებია, — თქვა პირ ხანმა, — კარგი ფულიც დამიჯდა. ვიცი ქეიფს არ იხდით და ხორცი მე დამრჩება. მარჯვედ დაჰკარი, საპიბ, მაგ ხმალს არ ენდო. შეიცადე, ვიღრე თხები ბალახის კიკინს მორჩებიან და თავს აიღებენ.

— ეს რატომ? — იკითხა გაოცებულმა ჰოლდენმა.

— როგორ თუ რატომ — უნდა მსხვერპლი შევწიროთ ღმერთებს. ახალშობილს რომ თვალი არ ეცეს. ღარიბთა ქომავმა იცის რა სიტყვებიც უნდა წარმოთქვას. — ჰოლდენმა ოდესღაც დაიზუთხა მსხვერპლის შეწირვის დროს წარმოსათქმელი სიტყვები, ოღონდ რას იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მართლაც მოუწევდა ამ მელოცვას წარმოთქმა. ხელში ხმალი ეკავა და უეცრივ თათქოსდა კვლავ იგარძნო ჩვილის თითების შეხება და შვილის დაკარგვის შიშმა შესძრა.

— დაჰკარ, — უთხრა პირ ხანმა. — როცა ახალი სიცოცხლე იშვება, მეორე სიცოცხლე უნდა შეიწიროს. შეხე, თხებმა თავი აიღეს. აბა, უსწორე ხმალი და მარჯვედ დაჰკარი, საპიბ!

ჰოლდენმა ანგარიშმიუცემლად ორჯერ მოიქნია ხმალი და მაჰმადიანური ლოცვა წართქვა.

ლოცვის სიტყვები ასეთი იყო: ო, ყოვლისშემძლეო, შენ მომეც ძეი, გწირავ სიცოცხლეს სიცოცხლისათვის, სისხლს სისხლისათვის, თავს თავისათვის, ძვალს ძვლისათვის, თმას თმისათვის, ტყავს ტყავისათვის.

მესერთან მიბმულმა ცხენმა დაიფრუტუნა, რადგან მის ნესტოებს მოსწვდა ახალი სისხლის სუნნი, ჰოლდენის ჩექმებზე რომ იჩქეფა.

— ბარაქალა, — თქვა პირ ხანმა და ხმლის პირი გაწმინდა. — აფსუს, რა მეომარი იქნებოდი, მე შენი მსახური ვარ და მსახური შენი ძისა. დღეგრძელ იყოს მისი მოწყალება ათას წელიწადს. თხის ხორცი შემიძლია წავიღო?

და პირ ხანი კმაყოფილი გაეცალა. ამ საქმიდან ხომ მთელი თვის ჯამაგირის ოდენ თანხას გამოორჩა.

ჰოლდენი უნაგირს მოეელო და ცხენი სალამოს ბინდში გააქენა. შმაგი სიხარული აღავსებდა მხედარს და ამას ენაცვლებოდა ბუნდოვანი და თითქოსდა უსაგნო სინაზე. არაოდეს განმიცდია ასეთი რამ, ფიქრობდა იგი, მოდი კლუბისაკენ გავწევ და ცოტათი გულს გადავავოლებ ბილიარდის თამაშს.

საბილიარდო გატენილი იყო ხალხით. ეს-ესაა იწყებოდა პულის თამაში. მოხვდა თუ არა ტოლ-ამხანაგებთან სავსე, გაჩახჩახებულ ოთახში, ჰოლდენი ხმამაღლა ამღერდა:

...ბალტიმორაში ლამაზი ვნახე...

— ნუთუ მართლა? — შეეხმინა ოთახის კუთხიდან კლუბის მდივანი. — ის აღარ უთქვამს იმ ლამაზმანს, ფეხები ლაფიანი გაქვსო. ერიპაა, შენ სისხლი გცხია, ჩემო ძმაო და მეგობარო.

— ეს არაფერი, — თქვა ჰოლდენმა და თავის კიის მისწვდა. — ალერდში ვიარე, ეშმაკმა დალახეროს, მართლაც რას მიგავს ჩექმები.

ქალიშვილი თუ გეყოლა, უმაღ გავითხოვდება,
ვაქიშვილი თავდადებით მეფის წარში იბრძოლებს,
გაწვართული, გვერდზე დაშნით, ზღვას გახედავს გემიდან.

მღეროდა ჰოლდენი.

— ყვითელი ლურჯზე, მწვანეს რიგია, — ზუზუნა ხმით ამოთქვა მარკერმა.

— ზღვას გახედავს გემიდან,... ეი, მწვანე ჩემია,... ზღვას გახედავს გემიდან,... აუჰ, ჩავაფლავე... კვალს გაჰყვება ჰამისას.

— ნეტავ ვიცოდე რამ გაგამხიარულა ასე? — გესლიანად შენიშნა ერთმა სამსახურისთვის თავგადადებულმა უმცროსმა მოხელემ — ხომ არ გგონია, მთავრობა დიდად კმაყოფილი დარჩა შენი მუშაობით სანდერსის ადგილზე?!

— მაშ, ასე გამოდის უფროსები გამათახვენ, არა? — თქვა ჰოლდენმა დაბნეული ღიმილით, — არა უშავს რა, გავუძლებთ.

კლუბის წევრებმა საუბარი წამოიწყეს უბერებელ თემაზე — ყოველი ადამიანის სამსახურეობრივ მოვალეობასა და მის აღსრულებაზე.

ჰოლდენი ოდნავ დამშვიდდა. კლუბში გვიანობამდე შერჩა. როცა თავის ბუნგალოში მობრუნდა, ყარაული შეეგება. ეტყობოდა ახმედ ხანმა უწყყოდა სახლის პატრონის ავან-ჩავანი. დიდხანს არ მიჰკარებია რული ჰოლდენს და როცა ჩათვლიმა, სასიამო სიზმარი ესიზმრა.

— რა ხნისაა ახლა?

— ია ალაჰ! მხოლოდ მამაკაცი თუ იკითხავდა ამას. მალე ექვსი კვირისა შესრულდება, ჩემო სიცოცხლე. მე და შენ დღეს სალამოს ბანზე ავალთ და მოვძებნით მისი ბედის ვარსკვლავს. აგრეა წესი. ის იშვა პარასკევს, მზის ნიშნის ქვეშ. ასე მიწინასწარმეტყველეს, თქვენ ორთავეზე მეტ ხანს იცოცხლებს და მდიდარი იქნებაო. ამაზე უკეთესს რაღას ვისურვებდით, საყვარელო.

— რაღა თქმა უნდა. წამო ბანზე. ცთომილთა დათვლა შენთვის მომინდვია. ოღონდ ღრუბლიანი დღეა და ცაზე აგერაგერ თუ მოსჩანს თითო-ოროლა ვარსკვლავი.

— ზამთრის წვიმებმა დაიგვიანეს და შესაძლოა ახლა მოულოდნელად დაიწყოს თავსხმა. წავიდეთ, ვიდრე ვარსკვლავები მთლად არ გამქრალან ციდან. ხედავ, ჩემი საუკეთესო სამკაულები ავისხი.

— ყველაზე კარგი კი დაგვიწყნია.

— უჰ, მართლა, ჩვენი განძი. ისიც თან წავიყვანოთ, მას ხომ ჯერ არ უნახავს ვარსკვლავეთი.

ამირა ვიწრო კიბით ავიდა სახლის ბრტყელ ბანზე. მარჯვენა ხელით მკერდზე მიკრული ჰყავდა ოქრომკედით მოსირმულ, დიდებულ მუსლინის საფარში გახვეული ბავშვი. იგი მშვიდად ესვენა დედის მკლავზე და სადღაც შორეთში იმზირებოდა ფართოდ გახელილი თვალებით. თავზე პაწია ჩაჩი ჰქონდა ჩამოცმული. ამირა სამკაულებით მორთულიყო. ნატიფად გამოჰრილ ნესტოებში მარგალიტის საკინძები ჰქონდა გაყრილი. ეს საკინძე წინწყალის მაგივრობასაც სწევდა, რომელიც კანს თეთრად აჩენს. შუბლზე იქაურ ოსტატთა ნახელავი, ნათელი ქვებით მოოჭვილი, ზურმუხტითა და ნადნობი ლალით დამშვენებული ოქროს მორთულობა ეკეთა. ყელზე ეკიდა ჰედური ბაჯალლოს მსხვილი რგოლი, ვარდისფერ კოქებზე კი ნაყუმებიანი ვერცხლის ძეწკვები შემოეგრაგნა. მაჰმადიანი ქალის საფერი ნაცრისფერი მუსლინის კაბა ემოსა, მკლავებზე აბრეშუმის ძაფით გადაკონილი ძვირფასი ლითონის რკალები ესხა, მაჯებზე კი უბრწყინავდა

მინის სამაჯურები. ყველა ამ აღმოსავლურ მორთულობათა შორის თვალში გეცემოდით ეს უცხო ყაიდის სამაჯურები, რომლებიც ტკაცუნით იკეტებოდა. ამირა ბალღით იქცევდა ხოლმე თავს ამ საკეთით. ქალს განსაკუთრებით უყვარდა ეს ნივთი. იგი ხომ ჰოლდენის ნაჩუქარი იყო.

ბანზე თეთრ მოაჯირთან მოკალათდნენ. ქვევით ქალაქის სინათლეები კრთოდა. — იქ ბედნიერი ხალხი დაიარება, — თქვა ამირამ, — ოლონდ სად ისინი და სად ჩვენ. მართლაც რომ ქუღბედნიანები ვყოფილვართ. ჩვენი ალბათ თვით თეთრ ქალებსაც კი შეშურდებოდათ.

— აჯრეა.

— საიდან იცი?

— ისინი ძუძუს თვითონ როდი აწოვებენ შვილებს, ძიძებზე გააბარებენ ხოლმე.

— ასეთი რამ სად გაგონილა, — შეიცხადა ამირამ, — აჰი! — მან თავი მიაყარდნო ჰოლდენის მხარს — ორმოცი ვარსკვლავი დავთვალე და თვალი დამეღალა. ბავშვს გადახედე, ჩემო სიყვარულო, ეგეც ითვლის.

პატარა მრგვალი თვალებით მშვიდად შესცქეროდა ბნელ ცას, ამირამ იგი ჰოლდენს გადააწოდა.

— რა დავარქვიათ? — იკითხა ქალმა. — ამის ყურებით აღამიანი ვერ გაძლება. შენი თვალები აქვს, პირი კი...

— შენსავით კოხტა, ძვირფასო, ვის-ვის და მე ეგ არ მესწავლება.

— მომეცი ახლა. უკვე მომენატრა.

— არა, იყოს ჩემთან. რა გინდა, ხომ არ ტირის.

— რომ იტიროს, მაშინ დამითმობ? შენც სხვა მამაკაცებს გავხარ. მე კი როცა ატირდება ხოლმე, მაშინ უფრო ძვირად მეთმობა. რა დავარქვიათ, ძვირფასო?

ჰოლდენს მკერდზე მიხუტებოდა თოთო, უსუსური სხეული და მამაკაცი ისე შიშობდა რამე არ ვაენოო, ამოსუნთქვაც კი ვერ გაეხედა.

გალიაში მთვლემარე თუთიყუში, რომელიც ინდოეთში ბევრგან ოჯახის მფარველ ანგელოსადაა შერაცხული, აფხაკურდა თავის ქანდარაზე და ფრთები ააფრთხილა.

— აი, პასუხიც, — გახალისდა პოლდენი. — მიან მიტუმ თქვა თავისი სიტყვა. დავარქვათ მისი სახელი. მკვირცხლი იქნება და ენაკვიმატი... თქვენს ენაზე... მაჰმადიანთა ენაზე, ხომ მიან მიტუ თუთიყუშს ნიშნავს

— ჩვენს ენაზე, არა? ჩემი და შენი რამ გაყო? — გაბრაზებით თქვა ამირამ. — მისი სახელი ცოტათი მაინც ხომ უნდა ჰგავდეს ინგლისურ სახელს.

— მაშინ ტოტა დავარქვათ.

— კეთილი. ესეც ხომ თუთიყუშს ნიშნავს. მომიტყევე, ჩემო მეუფევე, რომ გავბედე და შეგეპასუხე, მაგრამ... თავად განსაჯე, სად გაგონილა ციდა ბავშვი და ამსიგრძე სახელი? ტოტა დავარქვათ. ჩემი და შენი ნამცეცა ტოტა... გესმის პატარავ, შენ ტოტა გქვია.

მან ლოყაზე მოუთათუნა ხელი ბავშვს. ჩვილმა გაიღვიძა, ნანას ნატრულმა ჭყლოპინი მორთო და დედამაც უმალ უმღერა.

ავო ყვავო, გამეცალე, ძილს ჩუ უფრთხომ პატარას;
ჯუნგლში ქლიავს ნაყოფისგან დასდრეკია ტოტები,
ერთი პენი ღირს მთელი გოდორა
მამ მოუღბინე, ჩემო პატარავ...

რაკი დარწმუნდა, რომ ქლიავები მართლაც ერთი პენი ღირდა და უახლოეს ხანში არ გაძვირდებოდა, ტოტა დედას ჩაეკრო და კვლავ ძილს მისცა თავი. ეზოში, ჭასთან, დასრიალებული ხარები იცოხნებოდნენ. მოხუც პირ ხანს პოლდენის ცხენის სიახლოვეს მოერთხა ფენი. ხმალი მუხლებზე გაედო და რულმორეული ეწეოდა უგრძეს ნარგილეს, რომლის ბოლო ჩარგული იყო წყლიან ფიალაში. ისე ბუყბუყებდა ეს ფიალა, თავი ბაყაყებით სავსე ტბის ახლოს გეგონებოდათ. ამირას დედა პარმალზე იჯდა და ქსოვდა. ხის კიშკარი ჩადული იყო. ბანზე აღწევდა საქორწილო სიმღერების ხმა და ახშობდა ქალაქის შორეულ გუგუნს. გამოქროლდა ღამურების გუნდი და წამით გადაფარა დაბლა დასული მთოვარე.

— მე ვილოცე — ფიქრიანად თქვა ამირამ, კარგა ხნის ღუმელის შემდგომ, — ჩემს წინასწარმეტყველსაც ვეაჯე და

შენს ბიბი მირიამსაც. ასე მსურს, გამჩენმა მე მომკლას შენს მაგივრად, თუკი სიკვდილი კარს მოგადგება და ბავშვის მაგივრადაც მე შემიწიროს. როგორ ფიქრობ, შეისმენს ჩემს ვედრებას?

— შენს ბაგეებს სიტყვაც რომ დასცდეს, ვინ იქნება არ აღასრულოს?

— მე მართალ სიტყვას ველოდი, შენ კი ქათინაურებს მიქმევ. გეკითხები, შეისმენენ-მეთქი თუ არა ჩემს თხოვნას.

— აბა რა გითხრა. უსაზღვროა ღვთის მოწყალება, სხვას ვერას გეტყვი.

— ასეა განა? მე ჯერ არ ვუწყვი. მისმინე. თუ მოკვდი მე და მოკვდა შენი შვილიც, რაღას იქმ მაშინ. გამოგვიგლოვ და დაუბრუნდები ისევ უსირცხვილო თეთრ ქალბატონებს? სისხლის ძახილი ხომ ძლიერია.

— ყველა როდი განისჯება ერთის საზომით.

— მართალია. ქალი ნაკლებად ემონება ამას, კაცები სხვა ჯურისანი არიან. ადრე თუ გვიან შენ დაუბრუნდები საკუთარ ტომს. ამას როგორღაც გადავიტანდი, რადგან მე უკვე ღაარ ვიქნები ამქვეყნად. ოღონდ გული იმაზე მწყდება, როცა შენც აღესრულები, სხვას ალაგს მოხვედები, ჩემთვის უცხო რამ სამოთხეში.

— მაინცდამაინც სამოთხეში?

— სხვაგან აბა სად? — ღმერთი შენ ავს როგორ ინდომებს? ჩვენ ორნი კი შორს ვიქნებით, სამუდამოდ გამიჯნულნი შენგან. ადრე, როცა შვილი არ მყავდა, ამაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ეს აზრი ამეკვიატა და დარდად მაწევს გულზე.

— მოხდეს რაც მოსახდენია. ჩვენ ხომ არ ვუწყვით, რას მოგვიტანს ხვალინდელი დილა. ღღესღღეობით კი სიყვარულიც მოგვნიჭებია და ბედნიერიც ვართ. ასე არაა განა?

— დიახაც. საქმე ისე მოგვეწყო, ზეცას უნდა შევთხოვდეთ, არ წაგვართვას ბოძებულნი.

— ნუთუ მართალია, რომ უსირცხვილო თეთრი ქალები სამგზის მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ჩემი მოდგმისანი. მართალია, რომ ისინი ხნიერნი თხოვდებიან?

— საიდან მოიტანე. ისინიც სხვა ტომის ქალებივით ირჯებიან, დაქალდებიან და მაშინ ირთავენ ხოლმე ქმრებს.

— ეს ვიცი, მაგრამ ასე ამბობენ, ოცდახუთი წლის ჰასაკში ქორწინდებიანო.

— მართალი უთქვამთ.

— ია ალაპ, ჩვენში საკუთარი ნება-სურვილით ვინ მოიყვანს, გეთაყვათ, თუნდაც თვრამეტი წლისას. მთელ ამ კუთხეში მაგ ჰასაკისას უკვე გადაბერებულად თვლიან. ასეცაა. ქალი მართლაც წუთობით ბერდება. ოცდახუთი წლისანი თხოვდებიანო? მაგ ხნისა რომ მოვიყრები, უკვე ბებრუხანა ვიქნები. ხალხი კი ამბობს, თეთრი ქალები მთელი თავიანთი ცხოვრება ახალგაზრდები რჩებიანო. ო, როგორ მძულან ისინი.

— მერედა რა გვესაქმება მათთან?

— რა გითხრა აბა. მე ის ვიცი, რომ დედამიწაზე ცხოვრობს ჩემზე ათი წლით უფროსი ქალი. გაივლის კიდევ ათი წელი და როცა მე ჰალარა შემერთვება თმაში და ტოტას ძიძადლა ვივარგებ, იგი მოვა და წარმტაცებს შენს სიყვარულს. ეს უსამართლობაა და ბოროტება. გაწყდა მაგათი ჯილაგი.

— რის ქალი, რა ქალი. ბავშვი ხარ ჯერაც. ახლა აგიტატებ და დაბლა ჩაგიყვან.

— ტოტას არ მოსწიო რამე, ჩემო მეუფევე, ბავშვი მართლაც რომ შენ გეთქმის, მე კი არა.

ამირამ გულში ჩაიკრა თავისი პირმშო, ჰოლდენმა კი ხელი დახვია დედა-შვილს და ორთავე ქვემოთ ჩაიყვანა. ამირა კისკისებდა. ტოტა თვინიერი თვალებით იმზირებოდა. ანგელოსური ღიმი დაჰფენოდა სახეზე. ეს ბავშვი ჰოლდენისათვის შეუმჩნეველად მალე იქცა ოქროსფერ კერპად და სრულუფლებიან გამგებელად იმ სახლისა, ქალაქს რომ გადაჰყურებდა ზემოდან.

ეს იყო ამირასა და ჰოლდენის სრული ბედნიერების ხანა. ისინი ქვეყნისაგან მოწყვეტილნი იყვნენ საიმედოდ ჩარაზული ხის ჭიშკრით, რომელსაც ძილმოურევნელი პირ ხანი ყარაულობდა. ჰოლდენი დღისით სამსახურში დაიარებოდა და უსაზღვრო სინანულით შემზერდა გარშემო მყოფთ, ვისთვისაც უცხო იყო ასეთი ბედნიერება.

ბავშვებს გულგრილად ვერ უყურებდა, მისი ასეთი მოულოდნელი მშობლიური სინაზე აოცებდა ოფიცერთა ცოლებს და ეს იქცა მათი სალამოების თავშესაქცევ საგნად.

მწუხრის დადგომისას იგი ამირასაკენ იჩქაროდა და ისიც უთხრობდა ხოლმე ტოტას ნამოქმედარის შესახებ. თუ როგორ შემოკრა მან უეცრივ ტაში, როგორ აათამაშა თითები ის რა თქმა უნდა სასწაულად ითვლებოდა როგორ გამოძვრა საწოლიდან და იმდენ ხანს გაჩერდა თურმე ფეხზე, რამდენიც სჭიროდა სამ ამოსუნთქვას.

— სამ გრძელ ამოსუნთქვას — დაიჟინა ამირამ, — რადგან სიხარულისაგან სულს ძლივს ვიბრუნებდი.

მალე პატარამ ცხოველებსაც დაუფრთხო მოსვენება — თეთრ ხარებს, კიდან რომ ქაჩავდნენ წყალს, ეზოში გამოთხრილ სოროში მობინადრე მანგუსტას, პატარა, ნისლა ციყვებს და განსაკუთრებით თუთიყუშ მიან მიტუს, რომელსაც წამდაუწუმ კუდში სწვდებოდა ხოლმე.

ტოტამ ერთხელ ისე ააჩხავლა მიან მიტუ — ამირა და ჰოლდენი რომ არ მიშველებოდნენ, ცუდად იყო თუთიყუშის საქმე.

— აი, შე საძაგელო. ამ ყაჩაღანას დამიხედეთ. ეს ხომ შენი ძმაა, თქვენ ხომ ერთი სახელი გქვიათ. სირცხვილი ტოტას, — ამუნათებდა ამირა ბავშვს. — მოიცა, მე ვიცი მაგის წამალი... ახლავე აფლატუნსა და სულეიმანივით გონიერს გავხდი. უყურე აბა. — და ამირამ მოქარგული ტომსიკიდან ამოაძვრინა ნუშის კაკლები. — ჯერ შვიდამდე დავითვალო...

მან გაანჩხლებული და გაფოფრილი მიან მიტუ გალიის თავზე წამოსვა. თვითონ ბავშვსა და ფრინველს შორის ჩამოჭდა. ნუშის კაკლებს ტეხდა და თავისი კბილებივით თეთრ გულს აცლიდა.

— ნუ იცინი, ჩემო სიცოცხლე, ნუ იცინი. მიცქირე აბა. ნახევარს თუთიყუშს მივცემ, ნახევარს ტოტას.

მიან მიტუმ ფრთხილად ჩამოართვა ნისკარტით თავისი წილი, მეორე ნახევარი ამირამ ბავშვს ჩაუღო პირში და თან ჩაკოცნა. ტოტამ ნება-ნება იწყო ნუშის გულის ლოღნა და ფართოდ დააქყიტა თვალები.

— ასე ვიქმ ზედიზედ ექვსი დღე და აგერ ნახავ, ჩვენი შვილი ბრძენი იქნება და ოქროპირი. გვითხარი, ტოტა, რა კაცი გამოხვალ, როცა დავაქვაცდები და დედაშენი კი გაქალაჩავდება.

ტოტამ თავისი ფუნჩულა ფეხი მოკეცა და პასუხი არ აღირსა დედას. მას უკვე შეეძლო ფორთხვა, ტყუილუბრალო ლაილაი კი ჭირივით სძაგდა. მხოლოდ ისა სწადდა, მიან მიტუს ჩაფრენოდა კუდში.

როცა იმდენად მოიზარდა, რომ ვერცხლის ქამარი შემოართყეს და ვერცხლისავე ყელსაბამი ჩამოჰკიდეს, მაგიური კვადრატის გამოსახულებით, ბიჭი ბაღში გაიპარა და პირ ხანს მთელი თავისი ავლადიდება შესთავაზა ჰოლდენის ცხენზე გასეირნების საფასურად.

ამ ონავარმა მოახერხა გასხლტომოდა ბებიას, რომელიც ამ დროს მოხეტიალე მეწვრილმანეებს ევაჭრებოდა პარმალზე. პირ ხანს გული აუჩუყდა, თვალზე ცრემლი მოადგა, ჩვილის ფუნჩულა ფეხებს შუბლით შეეხო ნიშნად ერთგულებისა, მერე ხელში აიყვანა და ფათერაკების მაძიებელი, მამაცი ტოტა დედას მიჰგვარა. თან იფიცებოდა, აგერ ნახავთ, ეს ბავშვი ხალხის ბელადი გახდებაო.

ერთ დახუთულ საღამოს ტოტა დედ-მამასთან ერთად სახლის ბანიდან უმზერდა ფრანების შეჯახებას, რომელსაც ქუჩის ბიჭები უშვებდნენ. ამის შემხედვარემ თავადაც აიჩემა, მეც მინდა ფრანი, ოღონდ პირ ხანმა გაუშვასო. ჯერ ვერ შეეებდა ისეთი საგნებისათვის, მას რომ აღემატებოდნენ სიდიდით. ჰოლდენმა გადაიხარხარა. აი, შე ეშმაკის ფეხოო, გაიძახოდა. მაშინ ტოტა ფეხზე წამოდგა და დარბაისლურად დაბეჭდა:

— ჰამ პარკ ნაჰინ ჰაი, ჰამ აღმი ჰაი — მე ეშმაკის ფეხი კი არა, კაცი ვარ!

ჰოლდენს სიტყვა გაუწყდა და ტოტას მომავალზე უფრო ღრმად ჩაფიქრდა. ფუჭი იყო მისი საგონებელი. მათი ბედნიერების წყაროს, ასეთ საოცარ ბავშვს დიდი დღე არ ეწერა. უეტრივ ჩაქრა მისი სიცოცხლე. ინდოეთის მიწა-წყალს ხომ ასე სჩვევია. ციდა ბატონმა, როგორც პირ ხანი უწოდებდა,

ერთბაშად მოიწყინა. ტკივილს უჩიოდა პატარა და ხეირიანად არც კი ესმოდა ამ სიტყვის აზრი. არადა, გადაჰყვა კიდევ ამ სატკივარს. დარდისაგან შეშლილ ამირას თვალი არ მოუხუჭავს. მთელი ღამე თავით ეჯდა ბავშვს. მეორე დღით კი ტოტა მოაშთო შემოდგომის ციებამ.

ძნელი იყო მისი სიკვდილის დაჯერება და პირველად ვერც ამირა და ვერც პოლდენი ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ ტოტა იქცა ამ გაშეშებულ სხეულად. მერე ამირამ თავი ახალა კედელს და დარდისაგან ალბათ ჭაშიც გადავარდებოდა, პოლდენს რომ არ შეეხოჭა.

როცა პოლდენი დღით სამსახურში მივიდა, იქ დაუხვდა წერილების უჩვეულოდ დიდი ჩელხი. ეს დასტები სასწრაფოდ უნდა გაერჩია. საქმე დიდ გულისყურს ითხოვდა და თავაუღებელ მუშაობას. მისი ერთადერთი ხსნაც სწორედ ამაში იყო.

8

ტყვიის ძვერებას ადამიანი თავდაპირველად რივიანად ვერც შეიტყობს. დაკოდელი სხეული მხოლოდ ათი-თხუთმეტე წამის შემდეგ თუ მისცემს სულს უბედურების ნიშანს. და მერე მოიწყება სულთმობრძაობა. ადამიანი თრთის, წყურვილი ახრჩობს, გმინავს და ბოდავს. პოლდენმა ნელ-ნელა შეიცნო ტკივილი, სწორედ ისევე, როგორც თანდათან შეიცნო ბედნიერება და გაუჩნდა დაყინებითი სურვილი დამალვოდა ხალხს. პირველხანობას მხოლოდ შვილზე დარდობდა, მერე კი მიხვდა, რომ ამირაც საჭიროებდა შველას. ქალი გამუდმებით იჯდა მუხლებში თავჩარგული და მხოლოდ მაშინ თუ აიღებდა თავს, როცა თუთიყუში მორთავდა ჩხავილს სახლის ბანზე: ტოტა, ტოტა, ტოტა! მერე კი პოლდენს გაუსაძლისი დაუდგა.

მას უდიდეს უსამართლობად მიაჩნდა რომ სადამოობით ბაღში, სადაც უკრავდა სამხედრო ორკესტრი, ყვილ-ხივილი გაჰქონდათ უცხოთა ბავშვებს, მისი საკუთარი პირმშო კი

საფლავში იწვა. ბავშვის დანახვა მის სულში აღძრავდა არაადამიანურ ტკივილს და გულში ხანჯლად ესობოდა მამების აღფრთოვანებული მონაყოლი თავიანთ ნაშიერთა ოინბაზობაზე. ვისთვის უნდა გაენდო დარდი, ან შემწეობა ვისთვის უნდა ეთხოვა. ამირამ დღეყოველი ჯოჯობეთად უქცია. ეპკით შეპყრობილი ქალი ნიადაგ ამუნათებდა საკუთარ თავსაც და ქმარსაც. სხვა რაღა დარჩენია აბა შვილის სიკვდილით გამწარებულ მშობელს. ის ფიქრი ღრღნიდა, ვინ იცის, ეგებ მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, ბავშვი ცოცხალი გვეყოლებოდაო. ლამის ცოცხლად შეჭამა ქმარი და პოლდენს უნებურად ახსენდებოდა ერთი მისი ნაცნობი, საკუთარ თავს რომ ადანაშაულებდა ცოლის სიკვდილში და გვემდა ნიადაგ, თუმცა ამაში იოტის ოდენა ბრალიც არ ედო.

— ვინ იცის, — გაუთავებლად ჩიოდა ამირა, — ზრუნვა რომ არ დამეკლო, ახლა საღ-სალამათი იქნებოდა. იმ დღეს ბანზე თამაშობდა, მე უბედური კი, აპი, თმების დასაფარცხნად წავშავდი. იქნებ იმ დღეს დაიხაშმა სიცხისაგან და ციება შეეყარა.დროზე რომ მიმეხედა, ვინ იცის... მითხარი, ჩემო სიცოცხლე რომ მის სიკვდილში ცოდო არ მიდევს. შენ იცი ტოტაზე მზე ამომდიოდა, ისევე როგორც შენზე. მანუგეშე, რომ უბრალო ვარ, თორემ შემჭამა დარღმა. რად რა მოგკვდები, აპი

— ღმერთს გეფიცები, შენ უბრალო ხარ. ტოტას ასე ეწერა და რა ძალა შეგვწევდა. რაც მოხდა, მოხდა. ნუ ფიქრობ ამაზე, საყვარელო.

— ეგ იყო ჩემი სიცოცხლე, ყველაფერი მაგას მაგონებს. ღამით კი ჩემი მკლავი ჰაერს ეხვევა. სიცარიელეს ვებოტინები ღამღამობით. აპი, აპი ო, ტოტა, დამიბრუნდი, ერთად შევიყაროთ კვლავ ყველანი.

— იყუჩე, იყუჩე, შეიცოდე შენი თავი და მეც დამინდე, თუ გიყვარვარ.

— აგრე რად ლაპარაკობ. ნუთუ ეს ყველაფერი დიდად არ გიჩანს. თუმცა თეთრ ადამიანს ხომ ქვის გული აქვს. რად ზრ მერგო ქმრად ჩემი ტომის კაცი. დე, ვეცემე და ვებეგვე, ოღონდაც უცხოის სარჩენი არ გავმხდარიყავ.

— განა მე უცხო მეთქმის შენგან, ჩემი შვილის დედისა-
გან?

— აბა ვინა ხარ შენ, საპიბ. ო, მომიტყევე. დარღმა ლამის
ჭკუიდან შემშალა, თვალის სინათლევ. შენ რომ არა, ვის
შევჩივლო მე უბედურმა. შენს გარდა ვის შევთხოვო შემწე-
ობა. ნუ გამირისხდები. ტკივილი მალაპარაკებს თორემ შენს
მონა-მორჩილს ენა როგორ მოუბრუნდებოდა ამაების სათ-
ქმელად.

— ვიცი, ვიცი. სამნი ვიყავით. ახლა ორნილა ვართ. მითუ-
მეტეს უფრო ძვირად უნდა გვიღირდეს ერთმანეთი.

ისინი ჩვეულებისამებრ ბანზე ისხდნენ. ჩახუთული ღამე
იდგა. მეხმა დაიგრუხუნა და ელვა გაკრთა ცის დასალიერზე.
ამირა მაგრად მიეკრო ჰოლდენს.

— ყურობ, წვიმას დანატრულ ძროხასავით არ ბლუის
გადამხმარი მიწა? მეშინია. ვარსკვლავებს რომ ვითვლიდით,
მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. შენ ხომ ისევ ისე გიყვარ-
ვარ. გუნება ხომ არ გეცვალა, ახლა როცა ტოტა აღარა
გყავს, მიპასუხე.

— ახლა მეტად მიყვარხარ, რადგან ერთად შევესვით ტანჯ-
ვის სამსალა და ერთმანეთილა შეგვრჩია.

— ჰო, — წაიჩურჩულა ამირამ — რა კარგია, რომ ასე უბ-
ნობ. შენ ისეთი ძლიერი ხარ და ისეთი კეთილი. ამიერიდან
დიდი ქალივით მხარში ამოგიდგები. მომაწოდე სიტარი და
მისმინე. მხედრულ სიმღერას გიმღერებ.

მან აიღო კოხტა, მოვერცხლილი სიტარი და იწყო სიმღე-
რა დიდსა გმირ რაჯა რასულზე. უეცრივ თითები აუთრთოლ-
და. ჰანგი შეწყდა, მერე კი სიტარი ისევ აკვნესდა და გაისმა
ძველებური ნანა:

ჭუნგლში ხეები ისხამენ ქლიავს.

ერთი პენი ღირს მთელი გოდორი

ერთი პენი ღირს მთელი გოდორი

მაშ მოულხინე ჩემო პატარავ.

ამირას ცრემლები წასკდა. კვლავ გოდებდა, ბედს ემღურო-
და. მერე ჩაეძინა, მარჯვენა მკლავი ისე გადაეგდო გვერდზე,

თითქოსდა ვიღაც ეწვინა ზედ. იმ ღამის მერე ჰოლდენს ოდნავი შვება მიეცა. გაუსაძლისმა მუდმივმა სატანჯველმა აიძულა სამუშაოში ჩაფლულიყო შრომა ერთიანად ნთქავდა მის ფიქრებს. დღეღამეში ათ-ათი საათი უჯდა მაგიდას ამირა კი საწოლზე დამხობილიყო. გამოკეტილში და მოთქვამდა. როცა ჰოლდენს უკეთესობა დაეტყო, ამირამაც ცოტათი გამოიხედა თვალებში, როგორც ეს ცოლებს სჩვევიათ. მათ კვლავ გაიხარეს ერთმანეთთან ყოფნით, მაგრამ ახლა ძალზე ფრთხილობდნენ.

— ტოტა მოკვდა იმიტომ, რომ ჩვენ ის მეტისმეტად გვიყვარდა, ღმერთმა იეჭვიანა, — თქვა ამირამ. — ფანჯრების წინ შავი თიხის ქოთანს დაკვიდე, თვალი რომ არავინ გვცეს. გახსოვდეს, სიხარული არ უნდა დავიტყოთ, უჩუმრად ვვიდოდეთ ცის ქვეშე, ღმერთი რომ არ განგვიდგეს. მართალს არ ვამბობ... — და მან ჰოლდენს უდიერი სიტყვა აკადრა. ქალს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ თუ კი ასე მოიქცეოდა, ღმერთებს თვალს აუხვევდა და მათი რისხვაც ასცდებოდა, ეს წესად დაიდეს. ოღონდ ეგ იყო, ასე შეამკობდნენ ერთიმეორეს, მერე კი ისეთ ხვივნა-აღერსს მოჰყვებოდნენ, რომელსაც გნებავთ ღვთაებას შეშურდებოდა.

ციურ ძალებს ამაებისათვის სად ეცალათ. სხვა საფიქრალი ჰქონდათ, ოცდაათმილიონიან მოსახლეობას ოთხი მოსაგლიანი წელი მოუვლინეს ზეღიზედ. ხალხმა კუჭი გაიძლო, ბავშვებიც მოუმრავლდათ. საცხოვრებელი ალაგი აღარ ჰყოფნიდათ და მთავრობას საზრუნავი გაუჩნდა. ქვედა ტუტინგის ცილინდრითა და ფრაკით მორთული პარლამენტის წევრი მოგზაურობდა იქით-აქეთ და ყველგან გაჰყვიროდა ბრიტანელთა მეუფების კეთილმყოფელ შედეგებზე და ჯერ კიდევ შესაძლო ერთადერთი ვარგისი ღონისძიების სახით მოსახლეობას სთავაზობდა შემოედოთ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სწავლებას სისტემა. ეს სისტემა ხომ ითვალისწინებდა ადგილობრივ პირობებს და აგრეთვე კენჭისყრის საყოველთაო უფლებასაც. პინდუსტანელები ნაძალადევი ღიმილით ეგებებოდნენ მას. მაგრამ როცა ამ კაცმა ხოტბა აღუვლინა აყვავებულ დჰაკის ხეს, იქაურებს სახეები დაებრიცათ, რად-

გან დჰაკი ნაადრევად აყვავდა, ეს კი ავბედითობის უცილო ნიშანი იყო.

მოხდა ისე, კოტ კუმხარსენის ოლქის კომისარი ერთი დღით ეწვია ადგილობრივ კლუბს და სასხვათაშორისოდ ამბავი მოყვა. პოლდენი გადაფითრდა, როცა მოისმინა ამ ამბის დასასრული.

— როგორც იქნა დაგვეხსნა ეგ დეპუტატია თუ რაღაც დოზანა; არასოდეს მინახავს ასე ზარდაცემული კაცი. მე და ჩემმა ღმერთმა, თუ ეს საკითხი პარლამენტში არ დასვას. ერთ ახალგაზრდა კაცს დამგზავრებია გემზე. ერთად უსადილნიათ, იმ ყმაწვილს კი ქოლერა შეეყრია და თვრამეტ საათში წაუღია თურმე წერილი. თქვენ იცინით, ხალხნო, და ქვედა ტუტინგის დეპუტატმა კი სულ ცოფები ჰყარა. დიდად შიშნაჰამი გახლდათ, სიმართლე გითხრათ. ახლა, როცა სიმწარე იწვნია და თვალი აეხილა, ექვი არაა, გული აღარ დაუდგება და მალე მოუსვამს აქედან.

— ურიგო როდი იქნებოდა მაგასაც შეეყრებოდეს ჰირი, მაგრამ რა დროს ქოლერაა. მართალია, ვითომ სენი გავრცელდაო? — ჩაილაპარაკა ერთმა დამსწრეთაგანმა, მარილის სარეწების გაკოტრებულმა მფლობელმა.

— წესით ნაადრევია, მაგრამ ვაგლახ რომ, — ფიქრიანად წარმოთქვა ოლქის კომისარმა. — ახლა ჩვენს კუთხეში კალიების შემოსევაა. ჩრდილოეთის საზღვრის გაყოლებაზე ქოლერის რამდენიმე შემთხვევა იყო. „შემთხვევას“ თავაზიანობის გულისთვის ვამბობთ, თორემ ხალხიც ბლომად დაწყდა და ხუთ ოლქშიც მოსავალი ერთიანად განადგურდა. წვიმები კი კაცმა არ იცის როდის გვეღირსება. ახლა მარტი კარზეა მომდგარი. სულაც არ მინდა ხალხი დავზაფრო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, დედა-ბუნება მზადაა აიღოს ხელში წითელი ფანქარი და ჩაიხედოს თავის საანგარიშო დავთარში.

— მე კი სწორედ ახლა ვეპირებოდი მეთხოვა შვებულეება, — მოისმა შორი კუთხიდან ვიღაცის ხმა.

— წელს შვებულეების იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებაა. დაწინაურებას კი ელოდეთ. სხვათაშორის მინდა ვიხლაფორო-

თო, იქნება მთავრობამ საშველი დააყენოს სარწყავ არხს, რომელიც ლამის ასი წელია რაც გაგვყავს. ყველა ქარი სასიკეთოდ ქრისო, ნათქვამია და ვინძლო მთავრობამ ასეთი ძნელბედობისას მაინც მოაბას თავი ამ საქმეს.

— შიმშილი, ციება და ქოლერა. ჩვეულებისამებრ დღესაც ამისათვის მოიცალეთ, — თქვა ჰოლდენმა, — ამ თემას ვერ ელევით ხომ?

— ჩვენ რა შუაში ვართ? კვლავ მოუსავლიანობა და ავადმყოფობების გავრცელება, აი რა ეწერება მომავალ წელსაც გაზეთებში, თუკი იქამდე მივაწევთ. თუმცა თქვენ რა გიჭირთ. მე თქვენ გეტყვით, ცოლ-შვილი გიტირით, ქალაქიდან გასაყვანი გაავთ ვინმე, თუ რა?! იმათ იკითხონ, ვისაც მოუწევს წვრილ-შვილის მთებში გახიზვნა.

— მე ვფიქრობ თქვენ ზედმეტ ყურადღებას იჩენთ ბაზრის ქორებისადმი, — თქვა სამდივნოს ახალგაზრდა მოხელემ. — აი, მე შევნიშნე...

— კარგი ერთი თუ ხატრი გაქვს, — გააწყვეტინა ოლქის კომისარმა. — მომხედე, სიტყვა მაქვს შენთან.

მან გვერდზე გაიყვანა მოხელე და დაუწყო რალაცის ჩიჩინი სარწყავი არხის მშენებლობაზე. ეს გახლდათ კომისრის აკვიატებული იდეა.

ჰოლდენმა გასწია თავისი ცარიელი ბუნგალოსაკენ. ახლა იგრძნო მთელი სიძლიერით, რომ მარტო როდია ამქვეყნად. იგი შეძრა ყველაზე კეთილშობილურმა შიშმა — შიშმა სხვის ბედ-იღბალზე.

განვლო ორმა თვემ და როგორც ოლქის კომისარმა იწინასწარმეტყველა, ბუნებამ მართლაც მოიმარჯვა წითელი ფანქარი და დავთარიც გაშალა. მკა დამთავრდა თუ არა ხალხმა პური ისაკლისა. არადა გამოცემული გახლდათ დეკრეტი, რომლის მიხედვითაც არც ერთი ადამიანი არ უნდა მომკვდარიყო შიმშილით და მთავრობამაც ხორბალი გაგზავნა იმ რაიონებში, სადაც შიმშილობა იყო. მერე ინდოეთს ყოვლის მხრიდან მოეძალა ქოლერა და სენმა მოსრა აქაური წმინდა ალაგების თაყვანსაცემად გადმოხვეწილ მომლოცავთა ნახევარმილიონიანი თაბუნი. ზოგს სული ამოხდა თავიანთ

ღვთაებათა ფერხთით, სხვანი განილტვნენ, განიფანტნენ და ავრცელებდნენ კირს. ქოლერა აღწევდა გალაენიან ქალაქებშიც და ორ ასეულ კაცს სცელავდა დღელამეში. ხალხის ჯგროები ესეოდა მატარებლებს, დაზაფრული ადამიანები საფეხურებზე იყუჩებოდნენ, ძვრებოდნენ სახურავებზე, ოლონდ როგორმე ეშველათ თავისათვის. მაგრამ ქოლერა ყველგან მისწვდა მათ. ყოველ სადგურზე ვაგონებიდან გადმოჰქონდათ მიცვალებულთა და მომაკვდავთა სხეულები. გვამები ეყარა ზედ გზებზეც. იდგა კირისა და კარბოლის სიმქავის სუნი. ინგლისელთა ცხენები ფრთხებოდნენ, რა მოლანდავდნენ ბალახებში შავად ამოჩენილ გვამებს. ცამ პირი შეიკრა, წვეთი არ ვარდებოდა ზემოდან. დედამიწამ ჯავშანი დაიდო და კაცი სოროსაც კი ვერ გათხრიდა სიკვდილისაგან თავის გადასარჩენად. ინგლისელებმა ოჯახები მთებში გახიზნეს. თავად ქალაქად დარჩნენ და დროდადრო ინაცვლებდნენ ადგილებს სენთან მებრძოლთა შეთხელებული რიგების შესავსებად. თავის ერთას დაკარგვის ფიქრით დაზაფრული ჰოლდენი ამირას არწმუნებდა დედასთან ერთად ჰიმალაის მთებში გამგზავრებულიყო.

— რად უნდა წავიდე? — იკითხა ქალმა ერთ საღამოს, როცა ისინი ერდოზე იხდნენ.

— ყველა თეთრი მემ-ლოგი უკვე გაიხიზნა?!

— ყველა, უკლებლივ?

— ჰო, ყველა, თუმცაღა იქნება დარჩა კიდევ ვინმე თვით-რჩული, ქმრის ჯიბრით სიცოცხლესაც რომ საფრთხეში ივდებს.

— აგრე ნუ ამბობ. ვინც დარჩა, ჩემს დად შემირაცხავს, შენც უღიერად ნუ იხსენიებ. მეც დავრჩები აქ. მოხარული ვარ, რომ ქალაქი გაიცალა უსირცხვილო თეთრი ქალებისაგან.

— ქალს ველაპარაკები თუ უგნურ ბაღს. ოლონდ დამთანხმდი და დედოფალივით გამგზავრებ, კამეჩებშებმული მოჩარდახული წითელი ურმით, მხლებელსაც გაახლებ თან.

— კმარა. უგნური ყოფილხარ, თუკი ფიქრობ, რომ მაგით მომხიბლავ. რაში მჭირდება ზიზილ-პიპილოები. აი, ტოტა

კი, იცოცხლე გაიხარებდა. კამეჩებს მოუტყაპუნებდა ქედზე და საძაგრავს გაეთამაშებოდა. შენ მიმაჩვიე ინგლისურ ადათ-წესებს და ბავშვის გამო ალბათ მეც წავიდოდი. მაგრამ ახლა ფეხსაც არ მოვიცვლი არსად. თეთრი ქალები ჯანდაბაშიც წასულან. რაც უნდათ ის ქნან, მე ეგ არ მეკითხება.

— ისინი ქმრების ნებას დაჰყვენენ.

— ძალიან კარგი. როდის აქეთ გახდი ჩემი ქმარი, რომ მიბრძანო. მე შენი შვილის დედა ვარ, შენ კი ყველაფერი ხარ ჩემთვის. აბა რა გულით გავემგზავრო, შენ იცი, თუნდ სამოთხეში ვიყო, წამსვე ვიგრძნობ ფრჩხილიც რომ წამოგტკივდეს. იქნებ ამ ზაფხულს სენი შეგეყაროს, ჯანი. მაშინ ალბათ თეთრ ქალს მოუხმობენ შენს მოსაველელად და ის წარმტაცებს შენს სიყვარულს.

— ჰო, მაგრამ სიყვარული ხომ ერთ წუთში არ იბადება. მას არც სიკვდილის სარეცელთან ესაქმება რამე.

— ამაებინა შენ რა გესმის, ქვის გულიანო. ვთქვათ, იმ ქალს მარტო მადლობის სიტყვები ერგოს და არა სიყვარული. ვფიცავ ალაჰს და მის მოციქულს, ვფიცავ ბიბი მარიამსაც, შენი წინასწარმეტყველის დედას, მე ამასაც ვერ გადავიტან ჩემო მბრძანებელო. მეტს ნულარ გამაგონებ, საყვარელო, მაგ სისულელეს. არსადაც არ წავალ, სადაც შენ, იქაც მე. — იგი ყელზე მოეჭდო ჰოლდენს და ხელი დააფარა ტუჩებზე.

რა შეედრება ბედის კლანჭებისაგან იმ წუთებში გამოგლეჯილ ბედნიერებას, როცა კაცს თავზე სიკვდილის მსახვრალი ცელი დაღირებია. ისინი ჩახვეულები ისხდნენ, ერთმანეთს დაურიდებლად ეძახდნენ საალერსო სახელებს და ახლა უკვე როდი ეშინოდათ ღმერთების რისხვისა. ქვემოთ ჩანდა დადუმებული, სულთმობრძავი ქალაქი. ქუჩებში გოგირდს ახიოლებდნენ. ჰინდუიტურ ტაძრებში ბუბუნებდნენ უზარმაზარი ნიჟარები, რადგან ღმერთები ყურს იყრუვებდნენ იმ დღეებში. ყველაზე დიდ მუსულმანურ მიზგითში დღითა და ღამით ლოცულობდნენ და მინარეთებიდან განუწყვეტილად მოუწოდებდნენ მორწმუნეთ, ედიდებინათ ალაჰი. სახლებიდან მოისმოდა ზარი. ერთხელ დედის მოთქმაც გაიგონეს, მკვდარ შვილს რომ უხმობდა დამიბრუნდიო. როცა განთიადი

დადგა, მათ იხილეს — ქალაქის კიშკრიდან მიცვალბულები გაქჷონდათ. ყოველ საკაცეს უკან თითო-ოროლა მომტირალი მისდევდა. ამის შემყურე ამირა და ჰოლდენი შიშმა დაზაფრა და კვლავ ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

ბუნებამ დაუნდობლად გაასწორა ანგარიში: ქვეყანა დაუძლურდა და საქირო იყო იგი კვლავ აღევსო სიცოცხლის ნაკადს, რომელიც აგრე იაფია ინდოეთში. უმწიფარი მამებისა და უწლოვანი დედების ნაშიერნი ვერ უმკლავდებოდნენ საღმობას. ხერხემალში გატეხილ მოსახლეობას ისღა დარჩენოდა ეცადა, ვიდრე ბუნება კეთილინებებდა და ხმაღს ჩააგებდა ქარქაშში. როგორც ჩანდა ნოემბრის თვეზე აღრე არ ეღირსებოდათ შვება ინგლისელებმა დაკარგეს ხალხი, მაგრამ თავიანთ რიგებს უმაღ ავსებდნენ. დამშეულთა დახმარება, ქოლერით ავადმყოფთა ფარდულების აგება, წამლების გაცემა, ათასგვარი უბადრუკი მცდელობა რაიმე აქიმური ღონისძიებებისა — ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა.

ჰოლდენმა მიიღო ბრძანება მზად ყოფილიყო, რათა ყოველ წუთს შესძლებოდა შეეცვალა მწყობრიდან გამოსული რომელიმე თანამემამულე. ამირას იგი მთელი დღეები ვერ ხედავდა. არადა შესაძლო იყო ქალს სულ რაღაც სამიოდ საათში ამოხდომოდა სული. ჰოლდენი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ იგი უსათუოდ მოკვდებოდა. ისე იყო ამაში დაჭერებული, რომ როცა ერთხელ თავი აიღო ქაღალდების ჩელხიდან და კარებში უხმოდ ასვეტილი პირ ხანი დაინახა, მწარე სიცილი აუვარდა.

— რაო, რას მეტყვი? — იკითხა.

— როცა ადამიანი ღამით ყვირის და სული ყელში ებჯინება, ველარა ჯადო იხსნის სიკვდილისაგან. იჩქარე, ცის შვილო, შენს სახლს შავი ქოლერა მიადგა.

ჰოლდენმა ცხენი გაქუსლა სახლისაკენ. ცა ღრუბლებმა გადაფარა. დგებოდა გვიანი წვიმების დრო, თუმცა ჭერხნობით აუტანლად ცხელოდა. ეზოში ამირას დედა გამოეგება მოთქმით.

— უკანასკნელ დღეშია. თვითონ მიიყვანა თავი სიკვდილის პირას. ახლა სულსა ლევს. რა ვიღონო, საპიბ?

ამირა სახლის იმ თვალში იწვა, სადაც დაიბადა ტოტა. როცა ჰოლდენი შევიდა, ის არც განძრეულა. მომაკვდავი ადამიანის სული მარტოობას ეძიებს და ცოცხალთათვის შეუღწეველ ნისლიან შორეთში იყუდრებს. შავ ქოლერას ჩუმი ბიჭი აქვს და არც ბოდიშები სჩვევია. ამირას უკვე დასდგომოდა თავს სიკვდილის ანგელოსი. იგი ქლოშინებდა, მზერა ჩაქრობოდა. არც მისი ბაგეები პასუხობდნენ ჰოლდენის კოცნას. ყოველგვარი იმედი გადაწყვეტილი იყო. ჰოლდენს მხოლოდ მტანჯველი მოლოდინი დარჩენოდა. წვიმის პირველმა წვეთებმა გადაირახუნეს სახლის სახურავზე და დასიცხული და წყალდანატრებული ქალაქიდან მზიარული ყიჟინა გაისმა. ამირას გახლტომილმა სულმა თითქოსდა წამით კვლავ მოხედა დატევებულ სხეულს და ქალს ბაგე გაეხსნა. ჰოლდენი დაიხარა, რათა ნათქვამი უკეთ გაეგო. — არაფერი დაინარჩუნო ჩემს სამახსოვროდ. არც თმა მომკვეცო. თეთრი მემლოგი უთუოდ გაიძულეებს დაწვა ჩემი კულული და იმ ცეცხლის ალი სამარეშიც კი მომწვდება. დაბლა დაიხარე, დაბლა. გახსოვდეს კია, რომ მე მიყვარდი და ვაჟი შეგძინე. ალბათ მალე შეიერთავ თეთრ ქალს. დე იყოს ასე. მაგრამ შენ უკვე იყავ მამა. ეს გრძნობა კი აღარ განმეორდება. გამიხსენე, როცა შვილი შეგეძინება, შენი ალალი მემკვიდრე, ვისაც ყველას წინაშე თამამად აღიარებ შენად. დე, მისი ავი ჩემზე გადმოვიდეს, ვფიცავ, ვფიცავ... — მისი ტუჩები ძლივსძლიობით წარმოთქვამდნენ უკანასკნელ სიტყვებს — შენს მეტი ღვთაება არ მივის, სიყვარულო.

და იგი აღესრულა. ჰოლდენი გახევებული იჯდა. მზერა გაპყინვოდა. ბოლოს ამირას დედამ გადასწია ფარდა.

— მოკვდა, საჰიბ?

— ჰო, მოკვდა.

— მაშინ მე დავიტირებ მას, მერე კი მოვივლი სახლს და მოვხიკავ რაც ნივთებია. საჰიბი ალბათ აქ აღარ იცხოვრებს და ეს ყველაფერი ხომ ახლა ჩემია. აქ ძალზე ცოტა რამაა. მოხუცი ქალი ვარ, საჰიბ, და მიყვარს რბილი საგებელი.

— ღვთის გულისათვის გაჩუმდი. გარეთ გადი და იქ იტორე, ისე რომ შენი ხმა არ გავიგო.

— საპიბ, მას ოთხ საათში დაასათფლავებენ.

— მე ვიცი თქვენი ადათი და მანამდე გავეცლები აქაურობას. დანარჩენი შენი საქმეა. დაიხსომე, საწოლი, რომელზეც... რომელზეც ის წევს...

— ჰო, ეს საუცხოო, პრიალა საწოლი დიდხანია მინდოდა...

— მაშ დარჩსომე. საწოლს ხელი არ ახლო. ყველაფერი დანარჩენი ამ სახლში შენია. იშოვე საზიდარი, დატვირთე და მოშორდი აქედან. სვალ დილისათვის არც ერთი ნივთი არ იყოს აქ, გარდა საწოლისა.

— ერთი ბებერი დედაკაცი ვარ, საპიბ. თანაც ადათი ითხოვს მკვდარი დიდხანს დავიტიროთ. არაერთი დღე. წვიმები დაიწყო და სად წავიდე?

— ეგ ჩემი საქმე არ არის. მე ვთქვი ჩემი სიტყვა. საოჯახო ნივთებში ათას რუპიას მაინც აიღებ. სალამოს ჩემი მხლებელი კიდევ ასს მოგატანს დამატებით.

— ეს ძალზე ცოტაა, საპიბ. აბა იანგარიშე. მზიდავი ტყავს გამაძრობს.

— თუკი ახლავე არ აიკრავ გუდა-ნაბადს, ერთ პიასსაც ვერ მიიღებ. სულ ცარიელზე დაგტოვებ. აბა, ჩქარა მოცილდი აქედან. მარტო დამტოვე მიცვალებულთან.

მოსხუცი ჩაფრატუნდა კიბეებზე. იგი ისე ჩქარობდა ყველაფერი მოეკოჭა, რომ შვილის დატირებაც კი გადაავიწყდა.

ჰოლდენი კვლავ თავით უჯდა ამირას. სახურავზე წვიმა მოთხლამუნობდა. ეს ხმაური უფრთხობდა ფიქრებს. აზრი ვეღარ მოეკრიფა. თუმცა არც მაინცდამაინც ცდილობდა ამას... მერე ოთახში აილანდა ოთხი, თავით ფეხებამდე ზეწრებში გახვეული, წვიმით გალუმპული აჩრდილი. ქანდაკად ქცეულ მამაკაცს მიაჩერდნენ თავიანთი რიდეებიდან ეს აჩრდილები. ისინი მიცვალებულის განსაბანად მოსულიყვნენ. ჰოლდენი ეზოში გავიდა და ცხენისაკენ გაემართა.

სულ რამდენიმე საათის წინ, როცა იგი აქ მოქანდა, მხუთავი

სიცხე იღვა, მიწაზე კი სქლად იდო მტვერი. ახლა ეზო წყალს მოეტბორა და ჭიშკართან დამდგარ გუბეში ბაყაყები ირეოდნენ. მღვრიე-ყვითელი მორევი ბრუნავდა და წვიმის შხეფები ქარის ყოველი მოქროლებისას საფანტივით ეხეთქებოდა თიხისაგან ნაშენ კედლებს. ჭიშკართან იღვა შემცივნებული პირ ხანი.

— მე ვიცი საპიბის ბრძანება, — თქვა მან. — მართებული გადაწყვეტილებაა. ახლა სახლი ცარიელია. შიგ არავინ არაა. მეც ვტოვებ აქაურობას. დე, ჩემი მაიმუნივით დანაოჭებული პირსახე ნურავის მოაგონებს იმას, რაც მოხდა. საწოლს დილით გადმოვიტან შენს ბუნგალოში. ოღონდ გახსოვდეს, საპიბ, ეგ საწოლი კრილობაში პირდატრიალებული დანის მაგვირობას თუ გასწევს. მე მომლოცავად წავალ. ფულს არ ავიღებ. შენ კარგად მეპყრობოდი. მაძლარიც ვიყავ ყოველთვის. შენი დარდი ჩემი დარდია, საპიბ. უკანასკნელად მიპყრია ხელთ შენი ცხენის აღვირი.

იგი დამშვიდობებისას ორთავე ხელით შეეხო პოლდენის ჩექმას. ცხენი გასცდა ჭიშკარს. გზის ორივე მხარეს კრიალებდა და შარიშურობდა ბამბუკი. ქარი უბერავდა სახეში პოლდენს. მან თვალები მოიჩრდილა და ჩაიბურტყუნა:

— ეშმაკსაც წაუღიხარ...

ბუნგალოს ყარაულ ახმედ ხანს უკვე შეეტყო ამბავი. პოლდენმა ეს ამოიკითხა ყარაულის თვალეში. ახმედ ხანმა ვახშამი მოართვა და თავის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად მხარზე შეეხო ბატონს.

— ხემსი ჩაიღე, საპიბ, საჭმელი დარდს გაგიქარეებს. ნაცადი მაქვს. ნუ იღარდებ. ღრუბლები მოვლიან და წავლიან, საპიბ, ღრუბლები მოვლიან და წავლიან... ჭამე, საპიბ, ცხარე კერძი მოგიტანე.

მაგრამ პოლდენს ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. წვიმა იმ ღამითაც შეუსვენებლად ასხამდა. მიწის პირი გადაიჩრეცხა. წყალი ანგრევდა სახლების კედლებს. ნიაღვარი შეიჭრა მაჰმადიანთა სასაფლაოზე და დააოხრა სამარეები. წვიმა მოდიოდა მეორე დღესაც. პოლდენი იჯდა ოთხ კედელ შუა, ერთიანად მიცემული თავის სადარდელს. მესამე დღეს მას

მოუტანეს დეპეშა, რომელიც სულ რამდენიმე სიტყვისაგან შედგებოდა: „რიკეტის კვდება მინდონიში, პოლდენმა შესცვალოს დაუყოვნებლივ“. და მას მოუნდა გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ შეეველო თვალი თავისი ძველი სავანესათვის.

ამინდი იცვალა. ნოტიო მიწას ოხშივარი ასდიოდა და პოლდენი თავით ფერხამდე წითლად იყო ამოგანგლული თიხნარის ნაორთქლით. ალიზისაგან ნაგები ალაყაფის ბოძები წყალს დაენგრია, ნიაღვარს მოეგლიჯა ხის მძიმე ჭიშკარიც, ასე საიმედოდ რომ იცავდა სახლელუს და ახლა კარი მთერალი კაცივით გადაღრეცილი ეკიდა რკინის ცალ კილოზე. კოჭამდე ასულიყო ბალახი. გამოცარიელებული იდგა პირ ხანის სადარაჯო კოშკი, თქეშს ჩაენგრია სახურავი. ისლი ეფინა დირებზე. პარმალზე ნისლა ციყვი დასახლებულიყო. გეგონებოდათ აქაურობა ხალხს სამი დღის უკან კი არა, მთელი ოცდაათი წლის წინათ დაეტოვებინა.

ამირას დედას გაეზიდა ყველაფერი გარდა დაჩირჩნული ჭილოფისა. სრული მდუმარება სუფევდა. მორიელთა ფხაქუნნი თუ არღვევდა სიჩუმეს. ამირასა და ტოტას ოთახები სქელი ობით მოფარულიყო. ბანზე ასასვლელი ვიწრო კიბე ჭერიდან ჩამორეცხილი შემხმარი ტალახით იყო მოთხვრილი.

პოლდენი იდგა კარგახანს. მერე ერთხელ კიდევ შეავლო ყველაფერს თვალი და ეზოს გადაღმა გადავიდა.

შარაზე ერთცხენიანი ორთვალა გაეჩერებინა სახლის მფლობელ დურგა დასს. დარბაისელი, ჩასუქებული, მუდამ მომლიძარი, თეთრი მუსლინის სამოსით მორთული დურგა დასი თავის სამფლობელოს ათვალეიერებდა. ამოწმებდა, გაუძლო თუ არა სახლის სახურავებმა წვიმას.

— შეეიტყვე, საპიბი აღარ ფიქრობს თურმე ამ სახლის ქირაობას.

— თავად რას უპირებ მანდაურობას?

— ალბათ ისევ გავაქირავებ.

— თუ ასეა, კვლავ ჩემად დარჩეს.

დურგა დასი ერთხანს დუმდა.

— ნუ იქმ, საპიბ, არ გირჩევ. ერთ დროს მეც ვიყავი ახალგაზრდა და მეც... ახლა კი მუნიციპალიტეტის წევრი გახლავარ. ჰოუ, ჰოუ! ნუ იქმ მაგას. როცა ჩიტები გაფრინდებიან, ბუდე რიდას მაქნისია? მე ვუბრძანებ დაარღვიონ ეს სახლი. ხე-ტყეს როცა მომინდება მაშინ გავეყიდი. სახლს დაარღვევენ და აქ გზა გაივლის გპატიდან ქალაქის გალავნამდე. რა ხანია მუნიციპალიტეტი ისედაც ეპირება ამას. მაშინ მთლად გადიშლება და მოსწორდება შენობის ნაფუძარი და ველარავინ იტყვის თუ რა ალაგას იდგა ეს სახლი.

რიკშა-აჩრდილი

დე, ნუ დამირღვევს სულის მშვიდობას
აღქაჯი ანდა ზმანება აეი.

მწუხრის ჰიმნი.

ინდოეთში თეთრ ადამიანს ნაცნობ-მეგობარს რა გამოუ-
ლევს. სწორედ ეს გახლავთ ამ ქვეყნის ერთი მცირეთაგანი
უპირატესობა ინგლისთან შედარებით. ხუთი წლის განმავლო-
ბაში მავანი მოსამსახურე გაიცნობს ორ ან სამ ათეულ მოხე-
ლეს, ათობით და ოცობით პოლკებისა და ბატარეების ოფიც-
რებს და კიდევ ათას ხუთასამდე სხვა პირს, ვისაც სახელმწი-
ფო უწყებებთან საქმე არა აქვს. ათი წლის მერე ეს რაცხვი
გაორკეცდება, ოცი წლის თავზე კი მას შეეძლება იმპერიაში
მყოფი თითქმის ყველა ინგლისელი ნაცნობად ჩათვალოს და
რომელ კუთხეშიაც არ უნდა მოხვდეს, თავი შინ იგულოს.
ტურისტები, რომელთაც დაუჩემებიათ ჩვენთვის ყველგან ღია
უნდა იყოს კარიო, თავგასულნი არიან დამხედურ თვისტომთა
გულითადობით. დიდად შეჭირვებულნი არიან ხშირი სტუმ-
რიანობით ამ ქვეყნის მკვიდრი ბრიტანელები. და მაინც, თუ
თქვენ აქაურ მცხოვრებელ ითვლებით და არც ონერტიალი
ვინმე ხართ და არც ის მახინჯი, თითო ოჯახს რომ არ დაელე-
ვა, მაშინ ყველა სახლის კარი ღია დაგიხვდებათ და ერთი მუჟა
თანამემამულენიც მტლედ დაგედებიან.

კამარტელი რიკი ასე, თხუთმეტა წლის წინათ ესტუმრა
კუმანოელ პოლდერს. თავდაპირველად ეპირებოდა მხოლოდ
ორი ღამე გაეთია მასთან, მაგრამ ნიკრისის ქარის შეტევამ
ლოგინს მიაჯაჭვა, მთელი ექვსი კვირა კალაპოტიდან ამოავდო,

ხელ-ფეხი წაართვა და კინალამ სულიც გააფრთხობინა პოლდერის ჭერქვეშ. პოლდერი კი ისე იქცევა, თითქოს მთელი სიცოცხლე დავალებული იყოს რიკიტისაგან და მის პატარებს ყოველწლიურად უგზავნის სათამაშოებითა და სხვა საჩუქრებით სავსე ყუთებს. აქ ეს წესადაა, ყველანი აგრე ირჩებიან. მამაკაცები, რომლებიც ნამდვილ სახედრად გთვლიან და არც გიმაღავენ ამას, ქალები, რომლებიც გთათხავენ, უემურს გეძახიან და ათვალწუნებით უყურებენ თქვენი ცოლის ახირებებს — ყველა ესენი ქალ-კაციანად ფეხქვეშ გაგეგებიან, თუკი ავად გახდებით, ან რაიმე უბედურება გეწვევათ.

ექიმი ჰეთერლი სახელმწიფო სამსახურში იდგა და ამას გარდა, საკუთარი ხარჯებით კერძო საავადმყოფო ჰქონდა გახსნილი — პალატები უკურნებელთათვის — როგორც შეარქვეს მისმა მეგობრებმა. სინამდვილეში კი ეს იყო ავდარში დაზიანებული ნაგების შესაკეთებელი ფარდულის მსგავსი შენობა. ინდოეთში ხშირად გამოხდება ხოლმე ძალზე ჩახუთული დღეები და რადგან დასაწყობი აგურების რიცხვი იგივე რჩება, ერთადერთი შეღავათი კი ზედმეტი, ძალღუმადური შრომაა, ხალხს არაქათი ეცლება და ჭკუაზე ცდება ხოლმე.

ექიმი ჰეთერლი მისი ხელობის ადამიანთაგან ყველაზე თავაზიანია. იგი თავის ავადმყოფებს ყოველთვის ერთსა და იგივეს ურჩევს, — თავი დაბალ სასთუმალზე გედოთ, დინჯად იარეთ და არ იღელვოთო — გადაღლისაგან ხომ იმდენი ადამიანი იღუპება, რასაც კაცობრიობის ვერა კეთილშობილური მიზნები ვერ გაამართლებსო. მისი ფიქრით, სწორედ გადაღლამ დაღუპა პენსი, რომელიც ხელში ჩააკვდა ამ სამიოდეწლის წინათ. რაღა თქმა უნდა. უფლებაც მოსავს, ასე სჯიდეს. სიტყვისაც ვერავინ შეუბრუნებს. მე კი მგონია, პენსი დაღუპა თავში გაჩენილმა ნასვრეტმა, საიდანაც მას უწმინდური შეუძვრა და ბოლოც მოუღო. ჰეთერლი ჩემს თეორიას მასხრად იღებს.

„პენსი ჭკუაზე შეირყა, — იყინებს ჰეთერლი, — იმ მიზეზით, რომ მას კარგა ხანს არ აღირსეს შევებულება და სამშობლო ვერ მოინახულა. ის კი არავინ უწყის, პენსი მართლა სალაზანასავით მოექცა თუ არა მისის კეიტ-ვესინგტონს. მე

ეთელი, იგი გამოფიტა კატაბუნდის დასახლებაში თავდაუზო-
გავმა მუშაობამ და ამიტომაც გულთან აგრე ახლოს მიიტანა
ეს უბრალო სასიყვარულო ბარათები. პენსი მართლაც დანიშ-
ნული იყო მისს მენერინგზე, ქალმა კი უარი უთხრა ცოლობა-
ზე. ამას ციებაც დაერთო და მერე მოჩვენებები დაეწყო.
გადაღლისაგან შეიქნა ავად და ამავე მიზეზმა მოულო კიდევ
ბოლო ბედშავს. ჩვენს ხელისუფლებას მოეკითხოს მისი ცოდ-
ვა. არა თუ ერთი კაცის, ვგონებ, ორი და სამი ადამიანის მა-
გივრადაც იწყვეტდა წელს“. ამ მოსაზრებას ჰეთერლის ვერა-
ვინ გადაათქმევინებს.

მე კი არა მჯერა ამისა. არაერთხელ ვმკდარვარ პენსის თა-
ვით, როცა ჰეთერლის ავადმყოფებთან გამოიძახებდნენ ხოლ-
მე. სასოწარკვეთამდე მივყავდი ამ ადამიანს. თავისი დუღუნა,
ყრუ ხმით აღმიწერდა ხალხის იმ დასტას, რომელიც მუდამ
თვალწინ ედგა. სულით ავადმყოფთათვის ჩვეული გატაცებით
ყვებოდა თავის ხილვებს. როცა გონს მოვიდა, ეურჩიე, ყვე-
ლაფერი ქალღმრთაისთვის გაენდო და ამით შევება ეპოვნა.
თუკი პატარა ბიჭს რაიმე ახალი უწმაწური გამოთქმა ჩაესმა,
გამჩენი არ მოასვენებს, ვიდრე ამ სიტყვებს ცარციით არ
მიაჯღაბნის სადმე ჭიშკარზე. კაცმა რომ თქვას, ესეც თავისე-
ბური ლიტერატურა გახლავთ. პენსი მეტად აღრეული იყო და
ის რახარუხა საგაზეთო ენაც, რომლითაც თავის განცდებს
აღწერდა, აბა, რა შევებას მოჰგვრიდა.

ორი თვის შემდეგ იგი სამსახურისათვის ვარგისად
სცნეს. ერთ-ერთ კომისიაში მიიწვიეს. ხალხი აკლდათ და შემ-
წეობა სჭიროდათ. პენსი დააფასეს, მაგრამ მან სიკვდილი
ირჩია. აღსასრულის წინაც იმას ირწმუნებოდა, სწორედ ზმა-
ნებებმა მიმაყენეს სამარის პირსო. მე შემოვინახე 1885 წლის
დათარიღებული მისეული ხელნაწერი. აგერა ისიც:

„ჩემი ექიმი მიჩვენებს დავისვენო და ჰაერ , გამოვიცვალო.
ასე ჩანს, სულ მალე აღვასრულებ მის რჩევას. ჩემს ყურა-
დღებას არც წითელ ქურთუკიანი შიკრიკი შეაშფოთებს და
აღარც შუადღის ზარბაზნის ბათქი. ჰაერსაც ისეთს ვისუნ-
თქავ, სამშობლოსაკენ მიშავალ ხომალდს მოქროლილი ზღვა-
ური მონაგონი იყოს. ვიდრე კი აქ ვარ, იმის საპირსპიროს

გიქმ, რასაც ჰეთერლი მირჩევს — გულს გადავუხსნი მთელ ქვეყნიერებას. თქვენც საშუალება მოგეცემათ, ამოიციოთ ჩემი სნეულება, თავად განსაჯოთ, იპოვება თუ არა ამ ტიალ ქვეყანაზე ვინმე ისეთი, ამგვარი ტანჯვა-წამება რომ ხედომოდეს წილად. ჩემი ნაუბარი ჰგავს ჩამოხრჩობა გადაწყვეტილი კაცის მონათხრობს, ვის კისერსაც ყულფი მიუმარჯვეს. ისე საძნელოა ს.სმენად და ისე საზარი, რომ ნაკლებად ირწმუნებს ვინმე. ორი თვის უკან რომ ვისმეს ეთქვა ჩემთვის, აგრე დაგემართებაო, ვიფიქრებდი, ეს კაცი ან მთვრალია, ან ჭკუაზე შეცდა-მეთქი. ორი თვის უკან უბედნიერესი კაცი ვიყავ მთელს ინდოეთში, ახლა კი პეშავარიდან ზღვის პირამდე ჩემზე ბედკრული არავინ მეგულება. და ეს ვუწყით მხოლოდ ჩვენ ორმა — მე და ჩემმა ექიმმა.

„ტვინს, სტომაქსა და თვალებს საღმობა შეჰყრია, აი, მიზეზი აგრე ხშირი და დაჟინებითი „გრძნობათა ცთომილები-საო“, მიცხადებს ექიმი.

სულ უვიცად და ხეპრედ ვნათლავ. წითური ქილვაშებით დამშვენებული ექიმი კი მისი ხელობის საფერი უცვლელი თავაზით მექცევა და ისე ლბილად მიღიმის, ჩემი თავი უმაღური და ანჩხლი ავადმყოფი მგონია. ეს იქით იყოს, თავად უკეთ გაერკვევით ყველაფერში.

სამი წლის წინ, როცა დიდი ხნის შევბულების შემდეგ გრეივსენდიდან ბომბეიში ვბრუნდებოდი, ჩემდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ გემზე გაგიცანი აგნეს კეიტ-ვესინგტონი. ვის რა ესაქმებოდა, რა ქალი იყო მისის ვესინგტონი. ამიტომაც მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ეს კია, გზაში ერთმანეთი ჭკუის დაკარგვამდე შეგვიყვარდა. მოგეხსენებათ ასეთ შემთხვევებში ერთი კოცნის ხოლმე, მეორე კი ლოყას უშვერს. ღმერთია მოწმე, სატრაბახო არაფერი მაქვს და არცა მცხელა ამისათვის... ჩვენი ბედითი შეხვედრის მეორე დღიდანვე შევნიშნე, აგნესის გრძნობა ბევრად უფრო ძლიერი იყო და ეგებ უფრო წმინდაც, ვიდრე თქვენი მონამორჩილისა. ვეჭვ, თავად თუ გრძნობდა ამას. შემდგომში კი ეს ამბავი საბედისწერო გამოდგა ორთავესათვის და დიდი სიმწარე გვაწვინია.

ბომბეში დაეცალდით ერთმანეთს. სამი თუ ოთხი თვე აღარ შეეხვედრივართ. მერე ის იყო, შევებულება მერგო, ვესინგტონი სიყვარულმა არ მოასვენა და სიმლაში შევიყარეთ. მთელი შემოდგომა იქ გავატარეთ. თივასავით აპრიალე-ბული ჩემი ვნების სახმილი წლის ბოლოს ჩაინავლა. ქალს არაფერს ვემართლები. თავი არც ანგელოსად მომაქვს.

1880 წლის აგვისტოში ველარ დავუმალე და გამოეუტყდი, რომ გავბეზრდი მისგან და მისი ხმის გაგონებასაც კი ველარ ვიტანდი. ხომ შეიძლებოდა ვინმე ქალს ჩემზეც ასევე ასტრუ-ვებოდა გული. მიტოვებულ ქალთა უმეტესობა იმით გადამიხ-დიდა, უმალ არშიყობას გააჩაღებდა სხვა მამაკაცებთან. მისის ვესინგტონი ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ. მას არად უჩნდა ჩემი ზიზლი და უხეში გამოხდომები:

— ჭეკ, ძვირფასო, — გუგულივით იმეორებდა ხოლმე ერთსა და იმავეს, — დარწმუნებული ვარ, ეს შეეცდომაა, სა-შინელი შეეცდომა. აი, ნახავ, ჩვენ კვლავ დავმეგობრდებით. მომიტევე, ჭეკ, ძვირფასო.

ბრალეული მე ვიყავ და ამას ვგრძნობდი კიდევ. სწორედ ამიტომ, მისდამი შეეცოდების ნაცვლად, ერთგვარი თვინიერი უგულობა დამჩემდა, რომელიც შემდეგ მძაფრ ზიზლში გადაი-ზარდა — ეს იმასა ჰგავს, ცოფმორეული ადამიანი რომ ველარ ეშვება და ფეხებით სრესს გაჭყლეტილ, მაგრამ ჭერ კიდევ ცოცხალ, სისხლისმწოველ ობობას. ასეთ ყოფაში გავასრულე 1882 წელი. შემდეგ წელს ჩვენ კვლავ შევხვდით სიმლაში. ნაღვლიანი მისის ვესინგტონი კვლავინდებურად კრძალვით ცდილობდა ჩემს შემორიგებას, მეც კვლავინდებურად მთელი არსებით მძაგდა ეს ქალი. ზოგჯერ ვერასგზით ავარიდებდი თავს. დამიმართობხლებდა და ყოველ ჭერზე ერთსა და იგი-ვეს იმეორებდა. ჩიოდა, ეს შეეცდომაა და კვლავ დავმეგობრ-დებითო. ჩემი გონება სხვაგან ქროდა და ვერ მივმხვდარიყავ, ეს ქალი მარტოოდენ იმედითლა რომ სულდგმულობდა. ზაფ-რანის ფერი დაედო, ზეზეულად ჩამოხმა და დაჭკნა, მერწმუ-ნეთ, ეს ყოველივე ვისაც გნებავთ, სასოწარკვეთამდე მიიყ-ვანდა. შეუფერებლად იქცეოდა, ნამდვილი ბავშვივით. მეტ-წილ მას ვამტყუნებდი, უძილო ღამეებში კი, როცა ციება შე-

მიტევდა, სინდისი მქენჯნიდა, მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი, ასე უღიერად რად ვექცევი-მეთქი. აღარ კი ძალმიძდა თავი მომეჩვენებინა, თითქოსდა მიყვარდა. ეს ხომ თვალთმაქცობა იქნებოდა ორთავ ჩვენგანის წინაშე. აი, რას დავარქმევდი „გრძნობათა ცდომილებას“.

გასულ წელს ჩვენ კიდევ შევხვდით ერთმანეთს და ყველაფერი ძველებურად განმეორდა: იგივე მორიდებული ვედრება ქალისა, იგივე ნაძალადევი, მოჭრილი პასუხები ჩემის მხრით. საბოლოოდ მაინც შევძელი დამერწმუნებინა, რომ უაზრო იყო ძველი სიყვარულის განახლების იმედი. ზამთრის პირს სხვა ქარმა წამიღო და მთლად დავშორიშორდით. ახლა ლოგინად ჩავარდნილი დადინჯებით ვსჯი ამა ყოველზე და ვცდილობ, ყველაფერი თანმიმდევრულად გავიხსენო.

1884 წლის შემოდგომა რაღაც აბურღული ზმანებასავით მაგონდება, სადაც ჩრდილნათელი სიზმარეულად გადაღესილა. — არშიყობა ყმაწვილქალ კიტ მენერინგთან, ჩემი იმედები, შიშნარევი იქვები. ცხენით ჯირითი მასთან ერთად, თრთოლვით ამოთქმული სიყვარულის აღსარება, მისი პასუხი და კვლავდაკვლავ ფერგამკრთალი ქალის სახება, ჩემს წინ რომ ჩაატარებენ თეთრარშიიან შავ ლივრეებში გამოწყობილი მსახურნი, იმ რიკშათი, მე რომ ასეთი მოთმინებით ველოდი ადრე. მისის ვესინგტონის შორიდან დაქნეული ხელთათმანიანი ხელი და ერთი და იგივე გულისგამაწვრილებელი შეძახილები. მე კიტი მენერინგს ვეტრფოდი მთელი არსებით და, რაც უფრო მეტად მედებოდა მისდამი სიყვარულის ალი, მით მეტად მძაგდა აგნესი. აგნესტოს ბოლოს მე და კიტი დავინიშნეთ, მეორე დღეს კი ჯაკოს მთის შორიახლო გადავეყარე ამ კაჭკაჭივით ჭრელ ჯამპანებს. უეცრივ სიბრაღულის მყისიერმა გრძნობამ შემძრა და შევჩერდი, რათა ეს ამბავი მემცნო მისის ვესინგტონისათვის. მან უკვე იცოდა ყველაფერი.

— გავიგე, რომ ცოლს თხოულობ, ჯეკ, ძვირფასო! — და იმავე წამს მოაყოლა: — დარწმუნებული ვარ, ეს შეცდომაა, საზარელი შეცდომა, და ჩვენ კვლავინდებურად დავმეგობრდებით.

ისეთი სიტყვა შეგკადრე, მამაკაცსაც შეაცბუნებდა, დარ-

დისაგან დაღუულ ამ ცოცხალმკვდარ ქალს კი, აბა, რაღას უზამდა. ლამის ხელში ჩამაკვდა.

— მომიტევე, ჯეკ, არ მინდოდა მეწყენინებინა, მაგრამ ეს ასეა, ეს ასეა!

და მისის ვესინგტონს ცრემლები წასკდა. მივატოვე და გავშორდი. ოღონდ ეს იყო, გულში ხინჯმა გამკრა, ნაძირალასავით ვიქცევი-მეთქი. დიდხანს კი არ გამყოლია ამაზე ფიქრი. როცა უკან მოვიხედე, დავინახე, რომ მან მოაბრუნა თავისი რიკშა, ალბათ უნდოდა მე დამწეოდა.

ეს სურათი სამარადქამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში. თქემით ვადარეცხილი ცა, გაჟიებული, წვირეთი გახინთული ფიქვები, ლალუმებით დახეთქილ კლდეთა შორისეთებში მკვეთრად ჩანდა ოთხი ჯამპანის შავ-თეთრი ლივრეები, ყვითლად დაზოლილი რიკშა და მისის ვესინგტონის ოქროსფერ-კულულებიანი თავი. ღონემიხდილი ქალი ბალიშზე მიწოლილიყო, ხელში ცხვირსახოცი ეკავა. სანჯაულის წყალსატევებთან ბილიკზე ჩავუხვიე და მერანს დეზი ვკარი. ერთჯერობაზე მომესმა კიდევ, თითქოს მან მიღუული ხმით დამიძახა: „ჯეკ“! თუმცაღა, შესაძლოა, მომეჩვენა კიდევ, არცერთხელ არ გავჩერებულვარ და არ მიმიყურადებია. ათიოდ წუთის შემდეგ ცხენით მომავალ კიტის შევეყარე და ჩვენ ერთად გავწიეთ სასეირნოდ.

ისე გახარებული დავრჩი სატრფოს ნახვით, სრულიად გადამავიწყდა ჩემთვის უსიამო შეხვედრა.

ერთი კვირის შემდეგ მისის ვესინგტონი მოკვდა. თითქოსდა აუტანელი ტვირთი მომეხსნაო და დაბა ველს წაველ ძალზე ბედნიერი. სამი თვეც არ გასულიყო, რომ აღარც მახსოვდა აგნესი და მხოლოდ რომელიმე მისი ძველი ბარათი თუ მომაგონებდა ხოლმე ჩვენს ძველ ნაცნობობას. 1885 წლის იანვრის დასაწყისში ამოვქექე მთელი მისი წერილები და ცეცხლს მივეცი. იმავე წლის აპრილში კი ერთხელ კიდევ მოვინახულე უკვე ლამის დაცარიელებული სიმლა, მაგრამ ახლა კიტი ქვეუღიყო ჩემ სალოცავ ხატად და აღარაფერი მახსოვდა მის გარდა. გვერდიდან არ ვცილდებოდი, სასიყვარულო სიტყვებს ჩავჩურჩულებდი. გადაწყდა, ჩვენ უნდა დაქორწინ-

ნებულებით ივნისის ბოლოს. გადაუქარბებლად ვიტყვი და არც გამეჭყუნება, მთელ ინდოეთში უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა თავი. ორი საოცნებო კვირა შეუმჩნევლად გაილია. როდის-როდის გამახსენდა როგორ იქცევა ასეთ შემთხვევაში ყველა მოკვდავი და კიტას შევეუხნდი, დაუყოვნებლივ შევიაროთ ჰამილტონის საოქრომჭედლო ქულბაქში და იქ შევეუკვეთოთ-მეთქი საქორწინო ბეჭედი. აღარ დაგვიხანებია და ჰამილტონს ვეწვიეთ. ეს იყო 1885 წლის აპრილში. არ ენდოთ ექიმს, რაც არ უნდა თქვას მან, ექიმს არ ენდოთ. მე სრულიად საღ გონებაზე გახლდით; არც მეხსიერებას ვუჩიოდი და არც სხვა რამეს.

საოქრომჭედლო ქულბაქში ადათი დავარღვიე, თავად მოვარგე კიტის საფირონითა და წყვილი ბრილიანტით დამშვენებული ბეჭედი შეცბუნებული გამყიდველის თვალწინ. შემდეგ მთის ძირს გავუყევით, კომბერმირის ხიდი გადავიარეთ და პელიტის ყავახანისაკენ გავემართეთ. ჩემი ავსტრალიური ჯიშის ცხენი ფრთხილად მიაბიჯებდა ფოლხვ თიხნარზე. კიტი გვერდით მომყვებოდა, კისკისებდა და მართობდა მხიარული ამბებით. სიმლაში სამკითხველოსა და პელიტის ყავახანის პარმალის წინ დაბა ველიდან მოსულ მილეთის ხალხს მოეყარა თავი. და სწორედ ამ დროს მომესმა, თითქოს შორიდან ვიღაც ნათლობის სახელს მეძახდა. ხმა მეცნობოდა, მაგრამ ვერკი მომეგონა, საიდან. ჰამილტონის ქულბაქიდან კომბერმირის ხიდამდე ორი ბიჯილა იყო. მე მაინც მოვასწარი მეხსიერებაში ჩამომეთვალა დუქინამდე ადამიანი, ვინც თავს ამის ნებას მისცემდა. ბოლოს ყველაფერი ყურების ბეუილს გადავაბრალე. უეცრივ პელიტის ყავახანის წინ ჩემი ყურადღება მიიპყრო თეთრად მოსირმულ შავ ლივრეებში გამოწყობილმა ოთხმა ჯამპანიმ, რომლებიც მიაჩოჩილებდნენ ქრელყვითელა ლარიბულ რიკვას. წამით ფიქრმა წამილო. წარსული წელი მომაგონდა, ზიზღმა შემძრა და ბრაზი შემომმენტო. ეს ქალი ხომ მოკვდა. განა ყველაფერი ამით არ დამთავრდა? მაშ რაღად გამომეცხადნენ თეთრად მოსირმულ შავ ლივრეებით მორთული მსახურნი? რაღად უნდა წაეხდინათ ჩემთვის ხელახლა გუნება? ვინც არ უნდა გამოდგეს მათი დამქირავებელი ქალ-

ბატონი, ხვალვე ვეწვევი და ვთხოვ, თავის ჯამპანებს სხვა ფერის ლივრეები ჩააცვას. მე თავად დავიჭირავენ მათ, თუ მომეპარინა, საზღაურს გადავუხდი და იმ ლივრეებს ავალღებ ზურგიდან, ენა ვერ იტყვის, რაგვარი უსიამო გრძნობა აღმიძრა მათმა გამოჩენამ.

— კიტი! — შეეძახე მე. — დახე, ბედშავი მისის ვესინგტონის ჯამპანები კვლავ აქ არიან, ნეტა ვინაა ახლა მათი ქალბატონი?

კიტი შორიდან იცნობდა მისის ვესინგტონს და ყოველთვის მეკითხებოდა ამ უჩვეულო ფერმკრთალი ქალის ამბავს.

— რაო? აბა, სად? — წამოიძახა მან. — ირგვლივ ვერაფერს ვხედავ.

ესა თქვა თუ არა, მისი ცხენი რატომღაც დაფრთხა დატვირთული ჯორის დანახვანზე და მოახლოვებულ რიკშასთან გაქანდა. ძლივსლა მოვასწარი, ფრთხილად-მეთქი მეყვირა და საბტად დავრჩი — მხედარი ცხენიანად ისე იოლად გასხლტა ჯამპანებისა და ორთვალას ბმულში, თითქოს ღრუბელში შეცურებულ იყო.

— რა მოხდა? — მომადახა კიტიმ, — რა შეშლილივით ყვირიხარ, ჭექ, მართალია, დანიშნულები ვართ, მაგრამ ჭერჯერობით მაინც არ მინდა ქვეყანას მოვდო ეს ამბავი. ჯორსა და პარმალს შუა აქლემიც კი გაეტევა. იქნება ფიქრობ, ცხენზე ჯდომა არ ვიცი. — ამ სიტყვებთან ერთად თავნება კიტი მოხდენილად შეიჩხა უნაგირზე და ბჯღაური თეატრონის პლატოსაკენ გააქენა. მერმე დამამუნათა, ექვიც არ მეპარებოდა, უკან გამომყვებოდით. მე რალა დამემართა? არც არაფერი, კაცმა რომ თქვას. არ ვიცი, სიმთვრალეს დავაბრალო? იქნებ გავგიჟდი, ანდა სიმლაში ავმა სულეებმა დაისადგურეს? დეზი ვკარი ჩემ დაუდგეგარ ცხენს და უკან შემოვტრიალდი კომბერმირის ხიდისაკენ. უმალ შემობრუნდა რიკშაც. ახლა იგი კვლავ ჩემს წინ ატუზულიყო.

— ჭექ, ჭექ, ძვირფასო — ამჯერად მკვეთრად ჩამესმა. ზარივით გახშიანდა ყოველი სიტყვა, თითქოსდა, შიგ ყურში

ჩამძახესო — ეს რალაც საშინელი შეცდომაა, მომიტევე, ჭეკ, მოდი, ისევ მეგობრებად დავრჩეთ.

რიკშას სახურავი გადაიხსნა და ელდა მეცა, შიგ იჭდა ოქროსკულულებიანი მისის ვესინგტონი, თავი მკერდზე დაეხარა, ხელში ცხვირსახოცი ეკავა.

აღარ მახსოვს, რამდენხანს ვიყავ ასე გაქეპებული. მხოლოდ მაშინ მოვფხიზლდი, როცა ჭილავდარმა ჩემი ცხენი დაისადავა და მკითხა, შეუძლოდ ხომ არა ხართო. რის ვივაგლახით ჩამოვხდი ცხენიდან და ცოცხალ-მკვდარმა თავი ვდურთო პელიტის ყავახანაში ალუბლის ნაყენის გადასაკრავად. მაგიდებს უსხდა რამდენიმე მომსვლელი. ისინი ახალჭორებს უყვებოდნენ ერთმანეთს. იმ წამს მათი ფუჭი ლაყობა ყველაზე მეტად მესალბუნა. მეც მხარი ავუბი. ვიციინოდი და ვოხუნჯობდი მათთან ერთად. და უეცრივ სარკეში მოვლანდე ჩემი სახე, მიცვალებულივით თეთრი და დაგრძელებული. რამდენიმე კაცმა ყურადღება მიიქცია ჩემს უცნაურს იერს. ალბათ ვისკი მეტი მოსვლიაო, თუ იფიქრეს, და მზრუნველობა გამოიჩინეს, თავაზიანად სცადეს გარეთ გავეყვანეთ, მაგრამ მე ამის გაგონებაც არ მინდოდა. ჩემს ჭკუაზე მყოფ ხალხში მსურდა გავრეულიყავ. ასე მოსდის ოთახში მართო მყოფ, სიბნელით დაზაფრულ ბავშვს და იგი უფროსების ოთახში შევარდება ხოლმე. ათიოდ წუთი ვილაზღანდარე, თუმცალა ეს დრო საუკუნედ მეჩვენა. და უეცრად გარედან კიტის ხმა მომესმა. მე მკითხულობდა. კარი გაიღო და კიტი შემოიჭრა. მზად იყო გავეკიცხე უყურადღებობისთვის, მაგრამ ჩემმა იერმა შეაჩერა.

— ჭეკ, — შეჰყვირა მან, — რა დაგემართა, შეუძლოდ ხომ არა ხარ?

სხვა რა ჩარა მქონდა, ვიცრუე, მგონი მზემ დამკრა-მეთქი. სინამდვილეში ყველაფერი მოხდა საღამოს ხუთ საათზე. აპრილის ღრუბლიანი დღე იდგა და მზეს ერთხელაც არ გამოუხედიო. იმწამსვე მივხვდი ჩემს შეცდომას. შევეცადე გამოემესწორებინა, მაგრამ ახალი უაზრობა წამოვროშე და ყავახანიდან მორჩილად გამოვყევი მეფუერი მრისხანებით აღსავსე კიტის. ნაცნობებმა ღიმილი გამომამყოლეს. ათასგზის მოვეუ-

ბოდიშე, ავადმყოფობა მოვიმიზეზე და სასტუმროსკენ გავემართე. ჩემს ოთახში ჩამოვჯექი და შევეცადე მშვიდად განმესაჯა ყველაფერი.

მე, ტიბალდ ჯექ პენსიმ, ფრიად განათლებულმა ბენგალელმა მოხელემ, საღმა გონებისამ და სრულიად ჯანმრთელმა, სწორედ 1885, ჩემთვის ამ ილბლიან წელს სამარცხვინოდ მივატოვე სატრფო, დაზაფრულმა რვა თვის წინ მკედარი ქალის აჩრდილით. ამ სინამდვილეს ხომ ვერსად გავექცეოდი. როცა მე და კიტი ჰამილტონის ქულბაქიდან გამოვდიოდით, ნიშნობაზე ფიქრით გართულს მისის ვესინგტონი მომაგონდებოდა? თანაც ეს მოხდა დღისით მზისით. ყველაფერი უცვლელად იყო. პელიტის ყავახანის წინაც ხალხი ისევ ისე მიდი-მოდინდა და უეცრივ, ღმერთმა უწყის თუ საიდან და როგორ, გამომეცხადა ეს სამარისეული მოჩვენება.

თვალწინ მედგა, კიტის არაბულმა ბედაურმა ღრუბელივით რომ შეარღვია რიკშა. ვაგლახ, ფუჭი იყო ჩემი იმედი, როცა ვფიქრობდი, იქნებ მისის ვესინგტონის ტყუპის ცალივით მსგავსმა ვინმე ქალბატონმა დაიქირავა-მეთქი ორთვალა და ძველ ლივრებში გამოწყობილი ოთხი ყული. ჩემს გონებას ერთი და იგივე ფიქრი ღრღნიდა. სულ ამებნა თავგზა. ვერაფრით ამეხსნა ეს ყოველივე. თავდაპირველად კადნიერმა აზრმა გამიელვა — ყველაფერი გამენდო კიტისათვის და მეთხოვა, რაც შეიძლება მალე დავქორწინებულიყავით. იქნებ მიჯნურის მკლავებში თავჩარგულს აღარ მეხილა რიკშათი მოარული აჩრდილი. ეს მოჩვენება არ უნდა იყოს, ვიმაგრებდი მე გულს. თვალი თუ მატყუებს. შესაძლოა, მოგელანდოს კაცი თუ ქალი, მაგრამ ვის ელანდება რიკშა, ყული ანდა მენაგვე?

ღილით კიტის მონანიების ბარათი გავუგზავნე. ვევედრებოდი, ეპატიებინა ჩემთვის იმდღევანდელი უცნაური საქციელი, მაგრამ ჩემი ქალღმერთი კვლავ შემომწყურალი იყო და მე მომიწია პირადად მომეხადა ბოდიში. აღრიაანად ვეახლე, თავს ვიმართლებდი. კუქის ტკივილი და გულის ძგერა მოვიმიზეზე. ღამით ბევრჯერ გავიმეორე ეს ტყუილი. ამიტომ წარბი არ შემეხსრია, როცა ვთვალთმაქცობდი. ასეთმა დაჭერებულმა,

ლამის სიმართლის მსგავსმა ნათქვამმა გაქრა. სალამო ხანს, როცა მე და კიტი სასეირნოდ წავედით, ჩვენს სიყვარულს სიცრუის პირველი ჩრდილი დასცემოდა. კიტიმ დააჩინა, ჯაკოს გარს შემოვუაროთო. ჭერ კიდევ არ მოვსულიყავი გონს. ამის თავი არა მქონდა და შევთავაზე, ბოილოჯონგის გზით, ობსერვატორიის ბექობისაკენ გაგვესეირნა. კიტი გამიბრაზდა და თითქოს განაწყენდა კიდევ. მაშინ დავეუთმე იმის შიშით, ჩემს დაჩინებას რაიმე ახალი უსიამოვნება არ გამოეწვია და ჩვენ ჩხოტა-სიმლასაკენ გავემართეთ. ერთხანს ფეხით ვიარეთ. ჩვეულებისამებრ მონასტრის სერამდე მივედით. მერე კი ბედაურებს მოვახტით და ლარივით გამართული გზით სანჯალის წყალსატევს ვაშურეთ ოთხახმით. ცხენებს თითქოს ფრთები გამოესხათ. გადასასვლელს ვუახლოვდებოდით. გული ლამის ბუდიდან ამომვარდნოდა. მისის ვესინგტონზე ფიქრი არ მასვენებდა, ჯაკოს გზაზე ყველაფერი მას მაგონებდა. ამ ამბავს ყვებოდწენ ცხენის ფლოქვებქვეშ მოჩხრიალე კენჭები, ამაზე ზრიალებდნენ ფიქვების წვეროები, წვიმებისაგან მოდიდებული ნიაღვრები კი ხარხარებდნენ და დამცინოდნენ პირშერცხვენილს, ქარიც მამუნათებდა, ყურში ჩამბლაოდა, მოლაღატე ხარო.

ქალბატონთა შარად წოდებულ მოტკეპნილ გზაზე კი მე მელოდა საშინელება, მთელ თვალსაწიერზე სხვა არაფერი ჩანდა, გარდა ოთხი შავ-თეთრი ჯამპანის, ჭრელყვითელა ორთვალასი და შიგ მჯდომი ოქროსკულულებიანი ქალისა. იოტი-სოდენადაც არ შეცვლოდათ იერი. სწორედ ასე გამოიყურებოდნენ რვა თვის წინათაც. ერთი წუთით წარმოვიდგინე, თითქოს კიტიც ხედავდა იმას, რასაც მე ვუმზერდი. ჩვენ ხომ გასაოცარი ერთობა გვქონდა, მაგრამ მან ისეთი რამ თქვა, ცივი წყალი გადამესხა.

— ირგვლივ კაციშვილი არ ჩანს. მოდი, ჭეკ, წყალსატევისაკენ გავაქენოთ. აბა, ვინ მიასწრებს.

მისი მკვირცხლი არაბული ბედაური ჩიტივით გაფრინდა. ჩემი ავსტრალიური ცხენიც ფეხდაფეხ მიჰყვა და ქვემოთ, კლდეებისაკენ დავეშვით. რამდენიმე წამში ჩვენ უკვე ორმოცდაათ იარღზე მივეუახლოვდით რიკშას. იგი შუა გზაზე გაა

ხიდულიყო. კიტის ბედაურმაც და ჩემმა ცხენმაც კვლავ შეარღვია ზმანების ეს ღრუბელი. და კვლავ ზარივით ჩამესმა ყურში ვედრებით წარმოთქმული სიტყვები: «ჭეკ, ჭეკ, ძვირფასო! მომიტევე, გეთაყვა ეს შეცდომაა, საშინელი შეცდომა!»

შერყეულივით დეზი ვკარი ჩემს ცხენს და როცა წყალსატევის ნაგებობისაკენ მოვიხედე, თეთრად მოსირმული შავი ლივრეები დავლანდე. გამპანებს ფეხი არ ეცვალათ. მოთმინებით მელოდნენ მთის რუხ ფერდობთან და ნიაგმაც მოაქროლა იმ სიტყვების დამცინავი ექო, ახლახან რომ ჩამესმა ყურში.

კიტის ჭერ კიდევ მანამდეც რაღაც აბდაუბდას ვპასუხობდი. ახლა მთლად დამებნა თავგზა. ვიფიქრე, რაიმე სისულელე არ დამცდეს, უმჯობესია, დავდუმდე-მეთქი და სანჯაულის წყალსატევიდან ეკლესიის გორამდე სიტყვა არ დამიძრავს. დანიშნული მთელი გზა დამცინოდა, რამ დაგამუნჯა, რა პირკატა გეცაო.

იმ საღამოს მენერინგებთან უნდა მესადილა და შინ მიმეჩქარებოდა, ტანთ რომ გადამეცვა. ელიზუშმის მთაზე რომ ავდიოდი, უეცრივ ბინდბუნდში ორი მამაკაცის საუბარს მოეკარი ყური.

— საკვირველი საქმეა, — თქვა ერთმა, — ამ ადამიანის კვალიც აღარ დარჩა. ჩემი ცოლი ჭკუას კარგავდა მაგ ქალისათვის. სიმართლე გითხრათ, ვერ გამიგია, რა ხვითო იყო ამისთანა. როცა ის მოკვდა, ცოლმა რაღაც ავადმყოფურად აიხირა რიკშასა და ყულებისათვის ფული არ დაიშურო, აქ მომგვარეო. მოგეხსენებათ, მემსაპიბის სურვილს ვინ გადუვა. მაგრამ არ იკითხავთ, რა შევიტყვე? იმ კაცმა, ვისგანაც მისის ვესინგტონი რიკშას ქირაობდა, მითხრა, ოთხივე გამპანი ჰარდვარის გზაზე ქოლერამ მოაშთოო. საწყლები ეგენი. რიკშა კი პატრონს დაუღეწია. მიცვალებულის ორთვალათი ერთხელაც არ მისარგებლია, დანავსულიაო, განმიცხადა. საკვირველია, ღმერთმანი, ბედშავი მისის ვესინგტონი ისე იარებოდა, ჭიანჭველას არ აბიჯებდა ფეხს და ვის რას ავნებდა. — ისე გადავინახარე, თავად გამზარა ტანში ჩემივე სიცილმა. გამოდის,

მართლა არსებულა რიკშას აჩრდილები და იმქვეყნადაც ქი-
რაობენ თურმე ჯამპანებს. ნეტავ მაკოდინა, რამდენს უხდის
მისის ვესინგტონი საიქიოში თავის მსახურთ, რამდენ საათს
მუშაობენ ისინი, საითაა მათი მგზავრობა.

და თითქოსდა, ამ უკანასკნელი კითხვის პასუხად, კვლავ
ვიხილე ეს ეშმას ეტლი, რომელმაც უმაღ გზა გადამიღობა
წყველიადში. მიცვალებულები მოკლევზე კრიან ხოლმე. რომე-
ლი ცოცხალი ყული მიედრება მათ სისწრაფეში. ისევ გამე-
ცინა ხმამალა, მაგრამ პირზე ვიტაცე ხელი, შევშინდი, კქუა-
ზე არ შევიშალო-მეთქი. ისე კი, მგონი, გაგყეებას ბევრი არა-
ფერი მიკლდა.

მახსოვს, რიკშას მივუახლოვდი, ცხენი შევაჩერე და თავა-
ზიანად მივესალმე მისის ვესინგტონს. წინასწარ ვიცოდი, რა-
საც მეტყოდა, მაინც ბოლომდე მოვუსმინე და ვუთხარი, ეს
ყველაფერი უკვე ვუწყი, მოხარული ვიქნები, ახალს თუ რას-
მეს დაუმატებთ-მეთქი. იმ საღამოს ჩემში, ალბათ, რალაც
ავსული ჩასახლდა, მძლია ეშმაკმა და სიზმარივით მახსოვს
საიქიოდან მობრუნებულ სულს ყოველდღიურ ამბებზე გავუ-
ბი მასლაათი.

— ეს ან გიყია, ანდა ღვინოშია დამბალი. მაქს, ჰქენი სი-
კეთე, სახლში მიიყვანე ეგ უბედური.

ეს უკვე მისის ვესინგტონის ხმა როდი იყო. გამვლელებმა
შემნიშნეს, საკუთარ თავს რომ ვესაუბრებოდი და მიპატრო-
ნეს. მომეტებული ყურადღებითა და თავაზით მექცეოდნენ.
მათი სიტყვებიდან დავსკვენი, უგრძობლად მთვრალი ვეგო-
ნე. შეცბუნებულმა მადლობა გადაუხადე. სასტუმროში მი-
ვედი, გადავიცვი და ათი წუთის დაგვიანებით გამოვეცხადდი
მენერინგებთან. ძლივს გამოვაგენი ბნელში-მეთქი, თავი ვი-
მართლე. კიტიმ რა თქმა უნდა, მისაყვედურა, შეყვარებულე-
ბი არ იგვიანებენო, და მე მაგიდას მივუჭექი.

გაცხოველებული საუბარი მიმდინარეობდა, ჩემთვის არა-
ვის ეცალა. ამით ვისარგებლე და შეყვარებულს სატრფიალო
ჩათინაურები ვუფრქვიე. უეცრივ მომესმა, მაგიდის ბოლოს
მჭდომი წითურქილვაშებიანი, დაბალი კაცი ძალზე ხატონად
ყვიბოდა, როგორ ნახა ახლახან შეშლილი. აღიარებულ

მთხრობელთა ჩვეულებისამებრ, ხალხს გადახედა მოწონების შეძახილების მოლოდინში, უეცრივ ჩემს მზერას შეეფეთა და გაშრა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. წითურქილვაშებიანმა „დანარჩენი აღარ მახსოვსო“ თუ რაღაც ამგვარი ჩაიბურტყუნა და ასე გასწირა აღიარებული მთხრობელის სახელი.

სადილი წესისამებრ მიღებულ დროზე დასრულდა. დიდი სინანულით დავეშორდი კიტის. ეჭვი არ მეპარებოდა, ყულები კართან მელოდებოდნენ. წითურქილვაშებიანმა კაცმა, რომელიც სიმლას ექიმი ჰეთერლი გამოდგა, განმიცხადა, ერთი გზა გვქონია, მეც თქვენთან ერთად წამოვალო. მაღლიერებით მივიღე მისი წინადადება.

გუმანმა არ მიმტყუნა. ჯამპანები ხეივანთან იდგნენ. წარმოიდგინეთ, ორთველაზე ფარანიც კი ენთო. ეშმაკი აშკარად დასცინოდა სააქაოს. წითურქილვაშებიანი პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ჩანდა, სადილის დროს მხოლოდ ამისი ფიქრი ჰქონდა.

— მითხარით, გეთაყვა, ასეთი რა შეგიჩნდათ ელიზეუმის გზაზე.

კითხვა ისე მოულოდნელი იყო, პასუხი თავისთავად ამომხდა.

— აი, რა, — და მე მივუთითე ჯამპანებსა და ორთველაზე.

— რამდენადაც მე მესმის, ეს თეთრი ცხელება უნდა იყოს. თუმცა, ფხიზელი ჩანხარო. მაშინ თვალს უნდა დაეაბრალოთ. იქ სადაც უთითებთ, არაფერი ჩანს. თქვენ კი დამფრთხალი ცხენივით თრთით და ოფლი გასხამთ. ასე გავს, თვალს მოსვლია ზიანი. ერთი სიტყვით, უნდა გავერკვე ყველაფერ ამაში. წამობრძანდით ჩემთან, ბლესინგტონის გზისპირს ვცხოვრობ.

ჩემდა გასახარად რიკმა აღარ დაგვლოდებია. იგი გაგორდა და ოცი იარდით დაწინაურდა. ამ მანძილზე ვილოდა, სულ ერთი იყო, ცხენები ტაატით მიგვყავდა, ჩორთით, თუ ნავარდით. იმდამ მოვეუთხრე ჩემს თანამგზავრს ყველაფერი, რაც აქ წერია.

— გახსოვდეთ, ყმაწვილო, ცუდ დროს ჩამჩარეთ ბურთი პირში, აფსუს, რა გატაცებით ვყვებოდი და სიტყვაც მომდევ-

და. მიპატიებია თქვენთვის, რადგან დიდი განსაცდელი გედგათ. ახლა კი წავიდეთ ჩემთან სახლში. დე, ეს გაკვეთილად იქცეს თქვენთვის. აწ მთელი სიცოცხლე უნდა ერიდოთ ქალებსა და ურგებ საქმელს.

რიკშა კვლავინდებურად წინ მიგვიძლოდა, წითურქილვაშებიანი კაცი კი ყოველ წამს გაფაციცებული მეკითხებოდა, აბა, ახლა სად არისო, ახლა კი სადო.

— თვალები, პენსი, თვალები, ტვინი და სტომაქი, — აი, რას ეფუძნება ადამიანის არსებობა. ამ სამში მაინც სტომაქია უმთავრესი. თქვენ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობთ ტვინს, კუჭს კი არად აგდებთ. იმიტომაც არ გივარგათ თვალები. სტომაქი მოაწესრიგეთ და ყველაფერი გაგივლით. ღვიძლის დამაშუშებელი აბები უნდა მიიღოთ. ამჟამად მე ვიქნები თქვენი პირადი ექიმი. ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება განა შეიძლება?

ამასობაში ჩვენ ლამის გავლიეთ ბლესინგტონის გზა. ერთხმად რიკშა შედგა ზემოდან გადმოშვერილი ფიქალი კლდის ქვეშ, რომელზედაც ფიქვები აღმართულიყო. უნებურად მეც შევავყენე ცხენი და თანამგზავრს განვუმარტე ჩემი საქციელის მიზეზი.

— კი მაგრამ, ნუთუ ფიქრობთ, რომ თქვენი მოლანდებების გამო მთელი ღამე აქ გავითოშები... ღმერთო შეგვიწყალო, ეს რა ხდება.

მოისმა ყრუ გრუხუნნი და ჩვენკენ წამოემართა ქუფრი მტერის ბოლქვები. ატყდა ტოტების ლაწალუწი და ფიქვებითა და ჩირგვებით მოფარული კლდის უშველებელი ნამზღვლევი ჩამოწვა და ჩახერგა ვზა კიდითკიდემდე. ფესვიანად ამოგლგეჯილი ხეები ერთხანს ირყეოდნენ ბნელში, ვითარცა მომთვრალე გოლიათები, მერე კი ზღართან მიიღეს და საშინელი ზრიალით განერთხნენ ძირს.

— ბიჯიც და, ათი ფუტის სიღრმეზე დაგვმარხავდა... ბევრი რამ არის, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი... წავიდეთ, პენსი. ახლა სიამოვნებით გადავკრავდი ვისკის.

უკან მოვბრუნდით. ეკლესიის მთის ქედი გადავიარეთ და მივადექით ექიმი ჰეთერლის სახლს.

იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ჩემს მკურნალობას. მთელი კვირის განმავლობაში გვერდიდან არ მომცილებია. ემადლოდი ბედსა, რომ მთელ სიმლაში სახელგანთქმული, აგრე გონიერი და კეთილშობილი ექიმი მომივლინა მხსნელად.

დღითიღღე უკეთესობას ვგრძნობდი. დავცხრი და სიმშვიდე დამეუფლა. ახლა კი ლამის ვირწმუნე ჰეთერლის „თვალის ცთომილების“ თეორია. კიტის მივწერე, რომ ცხენიდან ჩამოვვარდი, მყესები დამეჭიმა და რამდენიმე დღე მომიწევდა შინ ყოფნა.

ჰეთერლის მკურნალობის მეთოდი ძალზე მარტივი გახლდათ. მან დამინიშნა ღვიძლის დამაშუშებელი აბები, გრილი აბაზანები და ხანგრძლივი გასეირნება. ოღონდ მხოლოდ დილაადრიან, ან გვიან საღამოს. ამ ადამიანმა საზრიანად შენიშნა, ფეხბტკივან კაცს სასეირნოდ როდი სცხელა და თქვენი საცოლე სახტად დარჩება, ასეთ ვითარებაში რომ გიხილოთო.

მან გულმოდგინედ შეისწავლა ჩემი გვამი და მკაცრი ფარები დამიწესა. ეცადეთ, ბევრი იაროთ ფეხითო, დამარიგა და შინ გამისტუმრა. აი, როგორ დამმოდღერა დამშვიდობებისას:

— ყმაწვილო, მე დაგიშუშეთ სხეულის მრავალი საღმობა და განგიქარვეთ სულიერი ტკივილი. გახსოვდეთ, პირველი მიზეზია მეორისა. ახლა კი აიკარით გუდა-ნაბადი და გასწიეთ თქვენს კიტისთან.

მადლობა მინდოდა გადამეხადა, მაგრამ მან უორს დაიჭირა. მოკლედ მომიჭრა:

— არ იფიქროთ, ეს ყველაფერი თქვენი სიყვარულით მოვიმოქმედე. ჩემი რწმენით, ნამდვილ ნაძირალასავით იქცეოდით. მაგრამ ძალზე საინტერესო ავადმყოფი კი ხართ, თქმა არ უნდა. არა, არც ერთი რუპია, ძალიან გთხოვთ, — უარზე დადგა ჰეთერლი. — ნაძლევესა ვდებ, ადარ გაგიმეორდებათ თვალის, ტვინისა და სტომაქის ეგ ოინი. და თუკი ასე მოხდა, ყოველ ჭერზე თითო ლაქკ რუპიას გადაგიხდით.

ნახევარი საათის შემდეგ მე უკვე კიტის ვეჭექი გვერდით მენერიანების სასტუმრო ოთახში, ცას მიწეული კარზე მომდგარი ბედნიერებით და ერთხელ და სამუდამოდ განრიდებუ-

ლი საზარელ მოჩვენებებს. მწამდა განსაცდელი აღარ მელოდა. ამ იმედით კიტის შევთავაზე, ცხენით გაგვესეირნა ჯაკოს მიდამოებში.

არაოდეს მიგრძენია თავი ესოდენ მხნედ. არაოდეს ვყოფილვარ სიცოცხლის ხალისით აგრე აღსავსე, როგორც იმ დღეს, ოცდაათ აპრილს. კიტი ცას ეწია სიხარულით. მენერინგების სახლიდან ერთის სიცილითა და მუსაიფით გამოვედი და, ჩვეულებისამებრ, ჩხოტასიმლას გზას გავუყევით.

მე ვიჩქაროდი, რაც შეიძლება სწრაფად მიმეღწია სანჯაულის წყალსატევამდე, რათა იქ ბოლომდე მერწმუნა ექიმის ნათქვამი. ცხენები ქარივით მიქროდნენ. მე კი მოუთმენლობისაგან სული მელეოდა. კიტი განცვიფრებული იყო ჩემი სიტუციით. ბოლოს ვეღარ მოითმინა და მეძრაბა:

— რა გემართება, ჯეკ, რა პატარა ბიჭვით იქცევი. რას ჩადიხარ.

ამ დროს უკვე მონასტრის სერს მივატანეთ. ცხენს მათრახის ტარიც ვუთავაზე და მარჯვედ შევათამაშე.

— რას ჩავდივარ? არაფერს ისეთს, ძვირფასო. შენ რომ ჩემსავით მთელი კვირა ლოგინი გელესა, ასე არ იტყოდი.

კვლავ დავუბრუნდი ამა ქვეყანას,
გრძნობათა ჩემთა მეფე ვარ კვალად...

წამოვიწყე მე.

ამასობაში მონასტრის სერი უკან მოვიტოვეთ, კიდევ ცოტაც და, ვიხილავდით სანჯაულის გაღმითა მხარეს. და ეპა, შუა გზაზე თეთრად მოსირმული შავი ლივრეები დავლანდე, ყვითლად დაზოლილი რიქშა და მისის ვესინგტონი. ცხენი შევაყენე. თვალები მოვიფშვნიტე. ერთიც გავხედე და რალაც ამოვიხავე.

როცა გონს მოველ, პირქვე ვეგდე მიწაზე. მუხლებზე დაჩოქილი კიტი ცრემლად იღვრებოდა.

— გაქრა, ძვირფასო? — ამოვიგმინე.

— რა გაქრა, ჯეკ, ძვირფასო. რას ნიშნავს ეს? აქ რალაც შეეცდომაა, საშინელი შეეცდომა, ჯეკ.

ამ სიტყვებზე ფეხზე წამოვიჭერი, გიჟვით ვბოდავდი.

— დიახ, აქ მართლაც რაღაც შეცდომაა, — გავიმეორე მე. — მოდი ერთი, და ნახე.

ბუნდოვნად მახსოვს, კიტის ხელი ვტაცე და იქითკენ წავიყოლიე, სადაც რიკშა იდგა. ვეაჭებოდი სატრფოს, ჩაეგონებინა მისის ვესინგტონისათვის, რომ ჩვენ დანიშნულები ვიყავით და ვერა ძალა გავგყრიდა. ვინ იცის, რას არ ვროტავდი. რიკშაში მჯდომ საშინელებას ვუხმობდი, ერწმუნა ჩემი და ვეხსენი ამ გაუსაძლისისაგან. ეტყობა, კიტისთან ჩემი და მისის ვესინგტონის აღრინდელი აშიკობის ამბავიც დამცდა, რადგან იგი ყურთასმენად იქცა. სახე გადაუფითრდა, თვალები შელავდა.

— გმადლობთ, მისტერ პენსი, ეს სავსებით საკმარისია, ცხენი, მსახურო!

იქვე მდგარმა ჯილავედარებმა, როგორც აღმოსავლელებს მოსდგამთ, არაფერი დაიტყვეს. ნირი არ უცვლიათ, ცხენებს ქამანდი ჰკრეს და აღუშფოთებლად მოჰგვარეს ქალბატონს. კიტი უნაგირზე მოექცა. მე ჩავეჭიდე მისი ტაიჭის აღვირს და განრისხებულ ქალიშვილს ვვედრიდი მოესმინა ჩემთვის და მოეტევებინა. პასუხად მათრახი გადამაწნა სახეზე და რამდენიმე ისეთი სიტყვა მაკადრა, გამეორება მეუხერხულება. თქმა არ უნდოდა, ნამდვილად რაღაც დამცდა კიტისთან. უკან წავლაყუნდი რიკშასაკენ. სახიდან სისხლი წამდინდა და ზედ ლურჯად ამოიბურცა ტაბასტო. ამ დროს თავს წამომადგა ექიმისი ჰეთერლი. როგორც ჩანს, იგი უკან მოგვეყვებოდა და გვივალთვალვებდა.

— ექიმო, — შეველაღადე მე, — მის მენერინგმა უარი მითხრა ცოლობაზე და ამას საბოლოოდ ბეჭედიც დაუსვა. აი, ისიც.

და მე დალილავეებული ყვრიმალი ვუჩვენე.

— ახლა კი ღროა პირობის თანახმად გაიღოთ ერთი ლაქი რუპია.

მეტად საცოდავად გამოვიყურებოდი, მაგრამ ჰეთერლიმ ისიცილი მაინც ვერ შეიკავა.

— ასე იოლად არ ვაპირებ ფარ-ხმალის დაყრას და დავიცავ კიდევ მკურნალის ღირსებას, — წამოიწყო მან.

— ნეტავი თქვენ, ექიმო, ბედნიერებას სამუდამოდ დავემ-
შვიდობე, და თუ ჩემთვის სიკეთე გსურთ, ყველაფერს აჯო-
ბებს, სახლში მიმიყვანოთ.

შვიდი დღის შემდეგ (ეს მოხდა შვიდ მაისს) მოვედი გონს.
ჰეთერლის ოთახში ვიმყოფებოდი. ძალა სულ გამცლოდა ბავ-
შვივით უმწეოს. ჰეთერლი საწერ მაგიდასთან იჯდა, წინ ქა-
ლალდები ელაგა და ყურადღებით მომჩერებოდა. ცუდი ამბე-
ბი მითხრა, მაგრამ ტანჯულ-გვემულს გულზე არათფერი გამკა-
რებია.

— დანიშნულმა დაგიბრუნათ თქვენი წერილები. ფართო
მიმოწერა გაგიჩაღებიათ, ახალგაზრდებო! ამ შეკვრაში, მგო-
ნი, საქორწინო ბეჭედი უნდა იყოს. მე ნება მივეცი ჩემს თავს
და დაეწვი კიტის მამის საკმაოდ არათავაზიანი ბარათი.

— კიტი რასა იქმს-მეთქი, — ძლივს ამოვიღულულუდე.

— ნულარ იკითხავთ. თქვენ თურმე ვათქვით საკუთარი
თავი. ჰოდა, კიტი ამბობს, ეგ ვაჟბატონი მისის ვესინგტონს
ისე მოეპყრო, სირცხვილისაგან თავი არსად გამოეყოფა. ახლა
კიდევ ჯაკოს აღმართზე თეთრმა ცხელებამ მოუარა და მაგის
სახელის გაგონებაც აღარ მინდაო. ჰირვეული ვინმე ყოფილა
თქვენი საცოლე.

მე ამოვიგმინე და კედლისაკენ გადავბრუნდი. — ახლა
არჩევანი თქვენზეა მეგობარო, ქორწილი, მართალია, ჩაიშალა,
მაგრამ მენერინგებს სულაც არ სურთ მთლად მიწასთან გა-
გასწორონ. გადაწყვიტეთ, ან თეთრი ცხელება უნდა მოიმიზე-
ზოთ, ან ბნედა. სამწუხაროდ, მესამეს ვერაფერს შემოგთავა-
ზებთ. თუ, რა თქმა უნდა, მემკვიდრეობით სიგიჟეს არ
იჩივთ. ირჩიეთ რომელიმე და მე დაგიდასტურებთ. სხვაფ-
რივ არ იქნება. მთელმა სიმლამ იცის, რაც მოხდა ქალბატონ-
თა შარაზი. გადაწყვიტეთ, აბა, სწრაფად.

ამ რამდენიმე წუთში, ასე მეგონა, მთელი ჯოჯობეთის
ჯურღმულები მოვიარე. იჭვის, დარდისა და გამოუვალი სასო-
წარკვეთის ჩახში ვიყავი გამომწყვდეული. ჩემს წინ სავარ-
ძელში ჩამჯდარი ჰეთერლივით ვაკვირდებოდი საკუთარ თავს,
თუ რას ვირჩევდი ამ ორი ერთმანეთზე უარესი შესაძლებ-
ლობიდან. მერმე, როგორც იყო, ამოვღერდე (ჩემს ხმას თავა-

დაც ძლივს ვცნობდი) — ამ მხარეში ზნეობა დიდად ფასობს. ასე თქვით, ბნელად მოუარა-თქო. გადაეცით მენერინგებს ჩემი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები. ახლა კი ცოტას წავთვლემ.

ჩემი გაორებული არსება კვლავ შეერთდა. მეორე მე — ფხიზელი თვალი ჩაინთქა და ჩაიკარგა ჩემს არეულ სულში და ახლა კვლავ ამერია გონება. ლოგინში ვბორგავდი და ვცდილობდი, ერთიმეორის მიყოლებით აღმედგინა მენსიერებაში, რაც ამ ერთი თვის განმავლობაში გადამბდა.

— გამიგონე, ჯეკ ბენსი, სიმლაში სულებს რა უნდა, — ჩავჩიჩინებდი ჩემს თავს. — რა უგუნური ყოფილა ის ქალი, რომ ცდილობს ამაში დამაჯეროს. რად არ მეშვება აგნესი? ასეთი რა დავუშავე. მეც ხომ შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ განა უკან დავბრუნდებოდი შურის საძიებლად? რა უნდა ჩემგან, რაზედ მიღობავს გზას ბედნიერებისაკენ, რას მემართლებათ?

მზე შუბის ტარზე იდგა, როცა გამომეღვიძა და გვიანობამდე რული აღარ მომკარებია. მერე კი ძილქუში დამაწვა ციხის საგებელზე მიგდებული, ნაწამები ტუსალივით, რომელიც ტივილსაც ველარა გრძნობს.

მეორე დღეს ლოგინიდან ველარ წამოვდექი. დილით ჰეთერლიმ მინახულა. ასე მითხრა: მენერინგების საპასუხო ბართი მივიღე, პირობა ავასრულე, ჩემი სიტყვა ვთქვი, ახლა მთელმა სიმლამ იცის ეს სამწუხარო ამბავი და ყველას ეცოდებით. ისე კი ღირსი არა ხარ ამდენი ყურადღებისა, ქალების მუსუსოო, — ღიმილით დასძინა მან. — თუმცაღა მარტოდენ ღმერთმა უწყის, რა განსაცდელიც გადავბდათ. არა უშავს, რა. თქვენი განკურნება ჯერ კიდევ შესაძლოა.

გადაჭრით უარი ვუთხარ. არას გზით არ ვიწამლებ-მეთქი. სულის სიღრმეში ვგრძნობდი, ახლა ჰეთერლის აღარაფერი ძალუძდა. იოტის ოდენა შვებას ვერ მომგვრიდა. ამასთან შემძრა იმ უღმერთობამ, რაც ჩემ თავს ხდებოდა. ხომ იყვნენ ჩემზე გაცილებით უარესი ადამიანები, რომელთაც არავინ სჯიდა ამ ქვეყნად და ცოდვები მხოლოდ საიქიოს მოეკითხებოდათ? მაშ, რალა მარტო მე მხვდა წილად ასეთი გაუგონარი უსამარ-

თლობა? მერე კი სხვა, საოცარი გრძნობის ტალღა მომეძალა. ასე მეგონა, მხოლოდ აჩრდილთა ქვეყანა იყო სინამდვილე და მხოლოდ მე და რიკმა ვარსებობდით, ხოლო კიტი სული იყო. ჰეთერლი, მენერიინგი და ყველა ჩემი ნაცნობნი ქალ-კაციანად სულები იყვნენ. თვით მაღალნი მთანიც ჩემს საწამებელ აჩრდილებად გაცხადებულყვნენ. მთელი კვირა ამ სატანჯველში დავლიე. ხან ერთი გრძნობა მომიცავდა, ხან მეორე. სხეული კი წარმოიდგინეთ, დღითიღვე ჯანსაღდებოდა და როცა კედლის სარკეში ჩავიხედე, დავრწმუნდი, შემეძლო ყოველდღიურ ცხოვრებას დავბრუნებოდი. იმ შინაგანმა ბრძოლამ, ასე გასინჯეთ, კვალი არ დამაჩინა სახეზე. მართალია, ფერი გამკრთომოდა, მაგრამ სახე ადრინდელივით ჩვეულებრივი და მშვიდი მქონდა. მე კი ველოდი, სენი გარკვეულ დაღს დამასვამდა.

თხუთმეტ მაისს, დილის თეთრმეტ საათზე, დავტოვე ჰეთერლის სახლი და უცოლო კაცის ჩვეულებისამებრ, კლუბში წავედი. ყველა წევრმა უკვე იცოდა ჩემი ამბავი — ჰეთერლისაგან შეეტყვოთ. გადაქარბებული თავაზით მექცეოდნენ, თუმცა უხერხულობა მაინც ვერ დაეფარათ. მივხვდი, ამათვის სამარადუამოდ უცხო გავმხდარიყავი. ისე გავმწარდი, ქუჩაში ატუხული ყულასაც კი შემშურდა. ოთხ საათზე სასეირნოდ გავედი. გულში იმედი მიღვივოდა, იქნებ სადმე კიტრსათვის მომეკრა თვალი. ზედ პლატოს მისადგომებთან თეთრად მოსირმული შავი ლივრეები წამომეწივნენ და მთლად ახლოდან მომესმა მისის ვესინგტონის მიერ წარმოთქმული სიტყვები. ამას ველოდი იმ წუთიდან, როგორც კი კლუბიდან გამოვედი, მხოლოდ იმან განმაცვიფრა, ცოტათი რომ შეაგვიანდათ. რიკმა-აჩრდილი და მე მდუმარედ ვვიდოდით ჩხოტასიმლასაკენ მიმავალი გზით. ბაზართან კიტიმ გადამისწრო — ვილაც ჩემთვის უცხო მამაკაცი ახლდა. მე ზედ არ შემხედა, ძალდადაც არ ჩავუგდივარ, მადლობაც კი არ მაღირსა, გზა როცა დავუთმე. თუმცაღა, წვიმიანი დღე იყო და ეპატიება, იქნებ ვერ შემამჩნია.

კიტი, თავის მხლებელსა და მე, ჩემს იმქვეყნიურ შეყვარებულთან ერთად, დაწყვილებულნი გარს ვუვლიდით ჯაკოს.

საამო, ყუყუნა წვიმა წამოვიდა და ფიქვებიდან ნაეური წყალი დაბლა დასდიოდა ფლატეებს.

„პეი, ჭეკ პენსი, ნუ გავიწყდება სადაც ხარ. სიმლაში, ჭეკ, სადაც ყველა კენჭი გეცნობა, სიმლაში და არა სხვაგან“, — ამ აზრს ისე დაეინებით ჩავაგონებდი საკუთარ თავს, ერთი-ორჯერ კინალამ ხმამალლა ამოვთქვი ეს სიტყვები. მერე შევეცადე კლუბში მოსმენილი საუბრები აღმედგინა მეხსიერებაში. სხვადასხვა ჯიშის ცხენების ფასებს ვიხსენებდი და კიდევ ათას რამეს, რაც ჩემთვის აგრე ჩვეულ ინგლისურ-ინდურ ცხოვრებას ეხებოდა. გამრავლების ტაბულაც კი გავიმეორე სხაპასხუპით, რათა მერწმუნა, რომ სრულ ჭკუაზე ვიყავი. ამან შეება მომგვარა და ვინ იცის, მიხსნა კიდევაც ორიოდ წამით აჩრდილის მოქროლებსაგან. კიდევ ერთხელ ავუყუევი მონასტრის სერს და სწორ გზაზე გამოვედი. აქ კიტიმ და მისმა მხლებელმა ცხენებს დეზი ჰკრეს და მისის ვესინგტონს შევტრია.

— აგნეს, — ვუთხარი, — იქნებ გადახსნა რიკშას სახურავი და მამცნო რას ნიშნავს ეს ყოველივე.

სახურავი უხმაუროდ გადაიწია და მე პირისპირ აღმოვჩინდი ჩემს გარდაცვლილ და კარგა ხნის დასაფლავებულ შეყვარებულთან. ისევ ის კაბა ეცვა, როგორც მაშინ, უკანასკნელად რომ ვნახე ცოცხალი. იგივე სიფრიფანა ცხვირსახოცი ეკავა და სავიზიტო ბარათების ჩასაწყობი ზარდახშა. რვა თვის წინ მკვდარი ქალი და სავიზიტო ბარათი? კვლავ მოვიშველიე გამრავლების ტაბულა და ორთავე ხელით ჩავეჭიდე გზისპირა ქვის მოაჯირს, იქნებ ეს ლოდები მაინც არ იყოს-მეთქი მოჩვენება.

— აგნეს, — გავუთხარი მე, — ღვთის გულისათვის, მითხარი. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

მისის ვესინგტონი წინ გადმოიხარა, სწრაფად დაიქნია თავი (რარიგ მეცნობოდა ეს მოძრაობა) და ალაპარაკდა.

ჩემი მონათხრობი წარმოსახვის ყოველგვარ საზღვარს გადასცდა და ვიცი, თვით კიტიც, ვისთვისაც ამას ვწერ, სულერთია არ დამიჯერებს, მაინც განვაგრძობ.

სანჯაულის ბილიკიდან ოლქის კომისრის სახლამდე მთელ

გზაზე გვერდით მიეყვებოდნენ მისი ვესინგტონს, თითქოსდა რიკმაში მჯდომ ცოცხალ ქალთან საუბრით გართული მხლებელი. მერე კი შემოიპყრო ისეთმა უცნაურმა, მტანჯველმა გრძნობამ, უფლისწულს რომ მოიცავს ტენისონის ლექსში.

...ასე მეგონა, ვეიდოდი ცოცხალ აჩრდილთა შორის...

ოლქის კომისარს ბაღში წვეულება გაემართა და ჩვენ ორთავენი იქედან მოდენილ ხალხში გავერიეთ. როცა ამ ადამიანებს დავაკვირდი, ყველანი სიზმარეულ, უსხეულო აჩრდილებად წარმომიდგა, რომელთაც ხელით ვერ შეეხებოდნენ. ასე მეჩვენა, თითქოს გზა მოგვეცეს მე და მისი ვესინგტონის რიკმას.

ენა არ მიბრუნდება იმის სათქმელად, თუ რაზე ვსაუბრობდით ამ უცნაური პაემანის განმავლობაში. ექიმი პეტერლი ალბათ დამცინებდა და იტყოდა, რომ მე სინამდვილედ მივიღე თვალის, ტენის და კუჭის საღმობით გამოწვეული ქიმიკა. ეს იყო საზარელი და თანაც ძვირფასი განცდა. ამოუცნობი რამ მჭირდა. მიკვირდა კიდევ, რანაირად შემეძლო ამქვეყნად კვლავ მეარშიყნა იმ ქალთან, ვისაც ხელი ვკარი და ჩემი უგულობით საფლავეში ჩავდე.

შინისაკენ როცა ვბრუნდებოდი, კიტი მოვლანდე — აჩრდილთა დასში გარეული ერთი აჩრდილი. იმის აღწერას რომ მოვეყვებო, რაც მომდევნო ორ კვირაში მოხდა, ალბათ ვერასოდეს დავასრულებდი თხრობას და თქვენც მოთმინების ფიალა აგვესებოდათ.

ყოველდღიურად, დღითა და ღამით მე და რიკმა-აჩრდილი განუყრელად ვაარებოდით მთელს სიმლაში. სადაც არ უნდა წავსულიყავ, მუდამ თან მდევდა თეთრად მოსირმული შავი ლივრეები. მათთან ერთად გამოვდიოდი სასტუმროდან, მათთან ერთად ვბრუნდებოდი უკან. თეატრიდან გამოსული აუცილებლად მოვლანდავდი ხოლმე ოთხივეს სხვა, მოყარყაშე, აჭაჭლანებულ ჯამპანებს შორის. ბანქოს თამაშს შუალამემდეც რომ შევეყოლოდი კლუბში, ისინი ფეხს არსად მოიცვლიდნენ.

ასეთივე მოთმინებით ელოდნენ ხოლმე სადღესასწაულო მჯღლისის დასასრულს, თუკი იქ მიწვეული გახლდით. ეს რიკმა ნამდვილ, ხისა და რკინისაგან შეკრულ ორთვალას ჰგავდა

ეს იყო მხოლოდ, ჩრდილი დაჰკარგვოდა. ვინმე სწრაფი ჰენე-
ბით მომავალი ნაცნობს რომ დავინახავდი, ძლივს ვიკავებდი
თავს. მინდოდა ხოლმე გამეფრთხილებინა, რიკშას არ დასტა-
კებოდა. მთელი ის დღეები გამვლელთა გასაკვირად აუდ-ჩა-
ვუდიოდი ხეივანს და განუწყვეტლივ ვმასლაათობდი მისის
ვესინგტონთან.

ერთი კვირის შემდეგ უკვე აღარავის სჯეროდა, რომ მე
ბნელად მომიარა, ახლა ყველა შეშლილად მთვლიდა. მანაც არ
ვიშლიდი და ცხოვრების ძველებურ წესს მივსდევდი. დაჯი-
რითობდი ცხენით, სტუმრადაც ჩვეულებრივად დავიარებოდი.
ხალხში მსურდა მეტრიალა. ადრე კი ამის დიდი ტრფიალი
როდი ვიყავ. ახლა ყოველდღიური ცხოვრება მიზიდავდა და
ამასთან გამოუთქმელ სევდასა ვგრძნობდი, როცა დიდხანს
ვერ გნახულობდი ჩემს საიქიოელ მეგობარ ქალს. წარმოუდ-
გენელია იმის გადმოცემა, თუ როგორ მეცვლებოდა გუნებ-
განწყობა მოყოლებული თხუთმეტი მაინიდან. ასეთ ყოფაში
ვარ დღესდღეობითაც.

რიკშას გამოჩენა მზაფრავდა ხოლმე და თანაც გაურკვე-
ველი სიხარულით აღმავესებდა. მერმე კი მეუფლებოდა გამო-
უვალი სასოწარკვეთა. ვერც სიმლას დატოვება გამებედა და
თანაც ვიცოდი, იქ ყოფნით თავს რომ ვილუპავდი. უფრო მე-
ტიც, რატომღაც მტკიცედ ჩამენერგა, რომ განწირული ვიყავი
თანდათან ამომხდომოდა სული. ერთადერთი, რაც მსურდა, ეს
იყო, რაც შეიძლება უდრტკინველად მეზიდა ტანჯვის უღელი.
ხან სული მიმდიოდა, ისე მომწყურდებოდა კიტის ნახვა, ხა-
ნაც მარტოოდენ ცნობისწადილით ვუმზერდი შორიდან, რო-
გორ არშიყობდა ჩემს მონაცვლესთან, უფრო სწორად კი
მონაცვლეებთან. ახლა უცხო შევექნილიყავით ერთურთი-
სათვის.

დღით მისის ვესინგტონთან ვხეტიალობდი და, შეიძლება
ითქვას, კმაყოფილიც გახლდით ამით. ლამაზობით გამჩინსა
თხოვდი, დავებრუნებინე ჩემთვის ჩვეულ სამყაროში. ამ
ეცხლსა და წყალს შუა ვიყავ. გონებას მილენჩებდა, სულში
შამთარი მიდგებოდა იმაზე ფიქრით, რომ უხილავი და ხილუ-
ლი ქვეყანანი ასე უცნაურად გადახლართულიყვნენ ერთურთ-

ში, აღძრულიყვნენ, რათა სამარის კარამდე ედევნათ სულაობოლი.

27 აგვისტო. ექიმი ჰეთერლი თავს მევლება. სიმხნევეს არ კარგავს. მაგრამ გუშინ კი მირჩია, შევებულება ვითხოვო ავადმყოფობის მიზეზით, იქნებ აჩრდილი სხვაგან ვერ მოგწვდეთო. მაშ, მთავრობას უნდა მიემართო, არა? იქნებ კეთილ ინებონ ხელისუფალთა ინგლისს გამისტუმრონ და გამარიდონ ხუთ აჩრდილსა და ჰაერში მფრენ რიკმას... ჰეთერლის რჩევაზე თავშეუქავებელი ხარხარი ამიტყდა. ასე მივუგე: ფეხს არსადაც არ მოვიცვლი და აქ, სიმლაში მორჩილად დაველოდები-მეთქი სიკვდილს.

ო, როგორ მზატრავს სიკვდილის მოახლოვება. ღამღამობით ფიქრი მტანჯავს, თუ როგორი აღსასრული მელის.

იქნებ ჩემს ლოგინში მივიცვალო, ვითარ შეჰფერის ღირსეულ ინგლისელს.

იქნებ ხეივანში სეირნობისას ამომწვალონ სული სხეულიდან და გადანასკვონ ამ საზარელ აჩრდილთან.

ნეტავ იმ ქვეყნად თუ შევეყრები ჩემს ნანდაურს, ვისი ერთგულიც გახლავართ და ვინ იცის, ვერც იქ ავცდე ჩემთვის საძულველ აგნესს. შესაძლოა, ისეც გვეწეროს ჩვენ ორთავეს, სამარადღეამოდ იმ ადგილებში ვფრენდეთ, სადაც ცხოვრება გაგვივლია. რაც უფრო ახლოვდება საკვდილის უამი, მით მეტად მერევა საძულველი ამ სამარისეული აჩრდილის მიმართ. ასე მოსდგამთ ხომ ცოცხალ არსებათ. უცნაურია, მკედართა საუფლოში მყოფობდე და ჯერეთ ცხოვრების ნახევარიც არ განგევლოს. ათასჯერ უფრო შემზარავია ლოდინი ენით უთქმელი საშინელების.

ვიცი, არ დამიჯერებთ, რასაც აქა ვწერ. მაშ, შემბრალებთ თუნდაც იმისთვის, რომ მსხვერპლი გავხდი „გრძობათა ცთომილებისა“. ის კი იცოდეთ, თუკი ოდესმე წყვდიადის მოციქულთ სამარემდე მიუყვანიათ ვინმე სულიერი — მე ვარ იგი.

ნუ იქნებით უსამართლონი. შეიცოდეთ ის ქალიც. ესეც უწყოდეთ, თუკი ოდესმე მამაკაცს უმსხვერპლია ძეხორციელი, ეს მამაკაცი მე ვარ. მე შევიწირე მისის ვესინგტონი და ჯერაც ბოლომდე არ შემისვამს განგებისმიერი სამსალა.

ქალაქის კედელზე

და გარდასხნა იგინი სარკმლით, რაჟეთუ სახლი მისი ზღუდისა თანა იყო და ზღუდისა თანა იგი მყოფობდა.

ისუ ნავე 2, 15.

ლალანი მსოფლიოს ყველაზე ძველ ხელობას მისდევდა. ლილითი გახლდათ მისი ბებიის ბებიის ბებია. ეს ყველაფერი, ვგონებ, ჯერ კიდევ ევას გაჩენამდე არსებობდა. დასავლეთში აუგად ახსენებენ ლალანის ხელობას. ქადაგებებს თხზავენ ამის შესახებ და ახალგაზრდებს ურიგებენ ზნეობის დასაცავად. აქ კი, სადაც ეს ხელობა მემკვიდრეობით გადადის დედიდან ქალიშვილზე, ამაებისათვის არავის სცხელა და ესეც აშკარა დასტურია აღმოსავლეთის თავმიშვებულობისა.

ლალანის კანონიერი ქმარი — აღმოსავლეთში ყველა ქალს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მეუღლე — იყო უზარმაზარი უნაბის ხე. დედამისმა, რომელიც თავის დროზე ლელვის ხეზე გათხოვდა, ლალანის ქორწილზე დახარჯა ათიათასი რუპია; დარიბ-ლატაკთ კი ადათისამებრ, ხუთიათასი რუპია მოწყალება დაურაგა. ქორწილი აკურთხა იმ ტაძრის ორმოცდაშვიდმა მღვდელმსახურმა, სადაც ლალანის დედა დაიარებოდა სალოცავად.

უნაბის ხის ცოლობა სწორედ რომ შესაშურიია. მის ღირსებას აგრე იოლად ვერაეინ შელახავს, თანაც ეს ხე ძალზე წარმოსადეგია.

ლალანის ქმარი ქალაქის კედლების მიღმა ერგო. თვით ლალანის სახლი კი აღმოსავლეთის კედელზე იდგა და მდინა-

რეს გადაჰყურებდა. ამ სახლის ფართო ფანჯრიდან ვინმე რომ მოსხლეტილიყო, ოცდაათი ფუტის სიმაღლიდან შიგ ორმოში ჩაეცემოდა. ისე კი აქედან მშვენიერი ხედი იშლებოდა. მაკქერალი იხილავდა დასარწყულებლად გადენილ ქალაქის ნახირს, ადმინისტრაციულ მოხელეთა მოსამზადებელი კოლეჯის მობურთალ სტუდენტებს, მდინარის ნაპირებზე არშინასავით მოვლებულ მაღალ ბალახსა და ხეებს, წყალში ამოშვერილ დიდროვან მეჩჩეებს, დალანდავდა აწ განსვენებულ იმპერატორთა წითელ აკლდამებს, შორს კი თვალს მოატანდა ხვატის ცისფერ ბულში გამომკრთალ, ჰიმალაის თოვლიანი მთების ბზინვას.

ვალი დადს სჩვეოდა ფანჯრის წალოში წოლა. აქედან იგი საათობით უქვერეტდა ხოლმე ამ არემარეს. ეს გახლდათ ინგლისური აღზრდა-განათლებით თავგზააბნეული და ამით ტანჯული ახალგაზრდა მაჰმადიანი. მაჰამ იგი მისიის სკოლაში მიაბარა სიბრძნის შესასწავლად და მან ეს სიბრძნე გაცილებით მეტი შთანთქა, ვიდრე საჭირო იყო. მაჰმის სიკვდილის შემდეგ ვალი დადი დამოუკიდებელი კაცი გახდა. ორი წელი ნაირგვარ რელიგიებს შეისწავლიდა და კითხულობდა ყოვლად უჩვეულებ წიგნებს. ამ ახალგაზრდამ ვერა და ვერ შესძლო ერთდროულად გამხდარიყო რომაული კათოლიკური ეკლესიის მრევლისა და პრესვიტერიანული სამწყსოს წევრიც (მისიონერებმა, რომელთაც ვერ გაუგეს ვალი დადს, ამხილეს იგი და თავს ლაფი დაასხეს). სწორედ მაშინ შეეყარა ლალანს ქალაქის კედელზე და იქცა მის ერთ მუჭა თაყვანისმცემელთაგან ყველაზე თავგამოდებულ და ერთგულ მიჯნურად.

ისეთი მოხაზულობის თავი ჰქონდა, მისი შემხედვარე ინგლისელი მხატვრები ალბათ ჰკუთას დაკარგავდნენ და არაერთგზის გამოსახავდნენ ტილოზე, რომანტიკოსი მწერალი ქალები კი ამ პირსახის შთაგონებულ აღწერილობას სულ უკანასკნელ, ასე, ცხრაას გვერდზე მაინც განავრცობდნენ. სინამდვილეში კი ეს იყო ერთი უბრალო ახალგაზრდა მაჰმადიანი. კალმით ნახატი წარბები, თხელი ნესტოები, ხელის მომცრო მტევნები, პატარა, კოხტა ფეხები და ძალზე დაღლილი მზერა. აი, ასე გამოიყურებოდა ვალი დადი.

ოცდაორი წლის რომ შეიქნა, შავი, კოხტა უღვაშები მოუშვა, ზედ სიამით ისვამდა ხელს და ნაზ სუნამოს იპკურებდა. ნათხოვრობდა ჩემგან წიგნებს და ლალანს ეარშიყებოდა ფანჯრის წალოში. სხვა დანარჩენი ჩირადაც არ უღირდა. ვაღი დადი სიმღერებსაც თხზავდა თავის სატროფოზე. ამ სიმღერებს ახლაც აკენესებენ ქალაქში ყასბებისა და მკედელთა უბნების მიდამოებში.

ერთ-ერთ ყველაზე გულშიჩამწვდომ სიმღერაში ნათქვამია: „ლალანმა თავისი სილამაზით მოხიბლა და მოაჯადოვა ინგლისელი ხელისუფალნი, მოსვენება დაუქარგა...“ ასეთია სიმღერის შინაარსი. მაგრამ თუკი ჩაუუკვირდებით, სამ სიტყვაზე — „სილამაზე“, „გული“ და „მშვიდობა“ — აგებულ სამ ზმას აღმოვაჩინეთ. და მაშინ სიმღერის აზრი ასეთნაირად ჩამოიქნება: „ცბიერმა ლალანმა გადარია ხელისუფალნი და შეიწირა მავანი და მავანი კაცი“.

როცა ვალი დადი ამ სიმღერას მღერის, თვალები ნაკვერცხლებივით უელავს, ლალანი კი გადაწვება ხოლმე ბალიშზე და უცვეთელას კონებს აყრის გულის მურაზს.

ეს იქით იყოს. ახლა კი უნდა გავაცნოთ უმაღლესი მთავრობა, რომელიც თავი და ბოლოა ყველაფრისა. ინგლისიდან ჩამოდიან ჯენტლმენები, დაპყოფენ ინდოეთში რამოდენიმე კვირას, გარს უვლიან ამ დიდ სფინქსს და წერენ წიგნებს ქვეყნის საქმიანობასა და ადათ-წესებზე, კიცხავენ, აძაგებენ ანდა აქებენ ინდოსტანს იმისდა მიხედვით, თუ რას ჩააგონებს მათ საკუთარი უმეცრება. ამის გამოისობით მთელ ქვეყნიერებას ეფინება უმაღლესი მთავრობის გამგებლობის ამბავი, იმპერიის მმართველობისა კი არავინ, თვით უზენაესმა მთავრობამაც არაფერი უწყის. ყოველ წელს ინგლისი გზავნის ახალ შევსებას, რაც ოფიციალურად ინდოეთის საქალაქო უწყებად იწოდება. ამათგან ზოგი თავისით კვდება, ზოგს გაუსაძლისი სამუშაო უღებს ბოლოს, სხვანი კი სამუდამოდ კარგავენ ჯანმრთელობას. ეს დამამშვრალნი ილტვიან აარიდონ ქვეყანას ჭირი, შიმშილი, მოუსავლიანობა, შეძლება მისცენ ბოლოსდაბოლოს დადგეს საკუთარ ფეხზე. ქვეყანას ამის პირი არ უჩანს, მაგრამ მშვენიერია თვით იდეა. ხალხსაც ნება-

ყოფლობით გადაუდვია თავი და მუშაობაც არ ნელდება წლიდან წლამდე. ქვეყანას წინ უბიძგებენ, უყვავებენ, თათხავენ, — მისსავე სასიკეთოდ. თუ საქმე წინ წავიდა, მაშინ ეს ინდოელთა დამსახურებად ჩაითვლება. ინგლისელი განზე უნდა გადგეს და ჭირის ოფლი მოიწუროს. თუკი შეფერხდა, აი მაშინ, რატომღაც, ინგლისელებს მოკითხავენ ხოლმე პასუხს.

ამგვარმა ზედმეტმა ლოლიავმა იქაურ მკვიდრთა უმეტესობას რწმენა გაუღვივა, რომ ძალი შესწევთ ქვეყანა მათებურად მართონ. ეს სჯერა საქმის ერთგულ ბევრ ინგლისელსაც, რადგან თეორია შესანიშნავ ინგლისურ ენაზეა ჩამოყალიბებული და შენელებულია ცინცხალი პოლიტიკური საკაზმით. არსებობს სხვა ჯურის ხალხიც. ამათ, მართალია, განათლება აკლიათ, სამაგიეროდ ხილვების უნარი მონიჭებით და ოცნებობენ, ქვეყნის მმართველობა თავიანთ თარგზე აქრან. ასეთ ხალხს რა გამოლევს ორასმილიონიან მოსახლეობაში და მათზე მუდამ თვალი უნდა გეჭიროთ. ასე გასინჯეთ, იქნებ დაცალეწონ კიდეც Pax Britanica-დ წოდებული დიდი კერპი, რომელიც, თუ გაზეთებს ვერწმუნებით, შემოსაზღვრულია პეშავარისა და კომორინის კონცხით. ხვალ რომ განკითხვის დღე დადგეს, უმაღლესი მთავრობა „მიიღებს ზომებს სახალხო მღელვარების დასაშოშმინებლად და დარაჯებს დაუყენებს სასაფლაოს, რათა მკვდრებიც კი საბრძოლო მწყობრით ვლიდნენ“. ყველაზე დაბალი რანგის მოხელე პირადი პასუხისმგებლობით დაატუსაღებდა გაბრიელს, თუკი მთავარანგელოსი ვერ წარმოადგენდა კომისრის მოადგილის მიერ გაცემულ საბუთს, რომლის თანახმადაც დასაშვები იქნებოდა „მუსიკობა და სხვაგვარი ხმაური“.

აქედან ცხადი ხდება, რომ უბრალო მოკვდავთ, თუ არ დაშოშმინდებიან, შავი დღე დაადგებათ. არც უმაგისობაა. არავინ აინუნშიაც არ აგდებს მღელვარების გარეგნულ ნიშნებს, არავის ადარდებს რა ხდება, სრული უმეცრება სუფევს და საქმეში ჩაუხედაობა. ხოლო როცა აუცილებელი და საკმარ მიზეზები დახვავდება, მათ აწონ-დაწონიან, ათვლიან, მერე კი ამოქმედდება სახელმწიფო მანქანა: მეოცნებესა და ღრუბ-

ლებში მფრენს მოკვეთენ მის ამხანაგებსა და მიმდევართ. ოღონდ მას მთავრობა ბოლომდე არ გაწირავს. მიმოსვლა როდი ეკრძალება (რა თქმა უნდა, გარკვეულ საზღვრებში), ოღონდ თავის სულიერ ძმებს სიახლოვეს აღარ უნდა გაეკაროს.

ყოველ ექვს თვეში ერთხელ უმაღლესი მთავრობა მოიკითხავს პყრობილს და რა დარწმუნდება, არაფერი უქირსო, ოფიციალურად დასტურყოფს მის არსებობას. არაფერ ხმას არ იმაღლებს მისი დატუსაღების გამო, რადგან იმ ერთ მუქა ადამიანებს, რომელთაც უწყიან საქმის ნამდვილი ვითარება, შიში ზარავთ, ვაითუ გამქლავნდეს დევნილის ნაცნობები რომ ვართო, არცერთა ინდური გაზეთი არ კიდებს ხელს ამ საქმეს, არც გამოსვლებს აწყობს, რადგან ეს გაზეთები სულაც არ იზიარებენ ცრუ ანდაზას, რომელიც გვარწმუნებს, კალამი ხმაღზე ძლიერიაო, და თავაზიანად და წინდახედულად ირჩებიან.

ახლა თქვენ ყველაფერა იცით ვალი დადის, აზიურ-ევროპული განათლების არსისა და უმაღლესი მთავრობის შესახებ. ოღონდ ლალანის გარეგნობაზე კი ჭერაც სიტყვა არ დაგვცდენია. ამისათვის (თუ ვალი დადს ნათქვამს დავესესხებით), საჭიროა ათასი ოქროს კალამი და მუშკით განზავებული მელანი. რას არ ადრიდნენ ლალანს: დილ საგარის ვრცელ ტბას, ფორაჯებიან მწყერს, ქურციკს, მზეს, უდაბნოს თავზე აღანძულ დაისს, ვარსკვლავებსა თუ ნორჩ ბამბუკს. ეს შედარებები ცხადყოფენ, რომ ლალანი იქაურთა გემოვნებით (რაც დიდად არ განსხვავდება ევროპული გემოვნებისაგან) ფრიად ეშხიანი არსებაა. თვალები — შავი, თმა — შავი, წარბებიც შავი აქვს წურბელებივით. პირი — კოხტა, ტბილმოუბარი, ხელები პაწაწინა (ამ ხელებმა დიდძალი ფული მოაქუჩეს), ფეხის ტერფებიც პატარა აქვს ლალანს, მაგრამ სწორედ ამ ფეხებმა თელეს მრავალთა და მრავალთა მამაკაცთა ფიანდაზად დაგებული გულები. „ლალანი ლალანია... შეუცნობი, იღუმალი არსება“ — ასე იმღერის ვალი დადი.

ქალაქის კედელზე მდგარი პატარა სახლი ძლივს იტყვედა ლალანს, მის მოახლესა და ვერცხლის საყელურით შექვეულ

ფისოს. ვარდისფრად მოლივლივე დიდი, ნათელი ბროლის ქალა ეკიდა ოთახის ჭერზე. ეს ხრონგი ვილაც წვერილფეხა ნავაბმა უსაჩუქრა ლალანს და ისიც მარტოოდენ ზრდილობის გულისათვის არ აყოლებდა ნაგავს. ოთახში ეგო პრიალა, ხაქოსავით თეთრი ჩუნამის იატაკი. ერთ-ერთ კედელში გამოჭრილი იყო ცხაურიანი ფანჯარა ხის მოჩუქურთმებული ჩარჩოთი. ყველგან ელაგა ფაფუკი ბალიშები და ეფინა სქელი ნოხები, ცალკე ფარდაგზე იდგა ფირუზის თვლებით მოოქვილი ვერცხლის ჰუკა — ლალანის პირადი ნივთი. აქვე იყო ვალი დადიც. მომსვლელნი ესე მისჩვეოდნენ ლალანის გულის მურაზს, როგორც ამ ნივთებს.

აკი ვთქვი, მას არ ეთმობოდა ფანჯრის რაფა და მხართეძოზე წამოწოლილი სჯიდა იქ სიცოცხლესა და სიკვდილზე. მისი ყველაზე დიდი საფიქრალი კი ლალანი იყო. ქალაქის ახალგაზრდობა სახლის კარს უტალახებდა ქალაქის მშვენიებას. ამოდ — ლალანი ფრიად გამრჩევი, სიტყვაძვირი, საზრიანი, კჳუადამჯდარი ქალი გახლდათ, მორიდალი ყოველგვარი ღრეობებისა, რომელთაც მუდამ აყალმაყალი მოსდევდა.

თუ არარა ვარ, არც ვიმსახურებ ეგოდენ პატივს,

თუ რამედ ვღირვარ, არ ყოფილან ჩემი საფარი, — ეშმაკურად წაულექსებდა ხოლმე ლალანი.

აპრილის დამლევისა და მაისის გრძელ დამეებში ლაშის მთელი ქალაქი შეიყრიდა ხოლმე თავს ლალანის პატარა, თეთრ ოთახში, თუთუნის მოსაწევად და სამასლაათოდ.

ვინლა არ იყო აქ: შიიტები, ყველაზე ღჯუ და შეურიგებელი ყაიდის ხალხი, სუფიები, რომელთაც გული აუყრიათ წინასწარმეტყველზე და ბოლომდე აღარც ალაჰისა სჯერათ; შუა ინდოეთისაკენ ბაზრობასა თუ სხვა საქმეებზე გადამართული, მოხეტიალე ჰინდუ ქურუმები — გზად რომ შემოეხვიათ ამ მხარეში, შავად მოსილი პანდიტები, ცხვირზე რომ სათვალე წამოუცვამთ და გულგვამში მოუნელებელი სიბრძნე რომ უწრიალებთ; პანჩაიატების წვეროსანი მამასახლისები, სიქებბა... ესენი დაწვრილებით ყვებოდნენ ოქროს ტაძარში ამ ბოლო დროს ატეხილი საეკლესიო ყალილას ამბავს, აქ იხილავდით მახეში გაბმული მგლების მსგავს, ყვავე-ყორნები-

ვით მოყრანტალე, საზღვარგარეთიდან მოსულ, მზერაამღვრეულ ქურუმებს; ფრიად გაბლენძილ და საშინლად ყბედ, უნივერსიტეტის დიპლომით აღჭურვილ ხელოვნების მაგისტრებს. მთელი ეს მიღეთის ხალხი და კიდევ ბევრი სხვა ვინმე ირეოდა ლალანის თეთრ ოთახში.

ვალი დადი იწვა ფანჯრის რაფაზე და უსმენდა მათ ნაუბარს.

— ეს გახლავთ ლალანის დარბაზი, — მითხრა მან, — იგი ელექტურია, ხომ სწორად გამოვთქვამ? მასონთა ლოგების გარდა არსად მინახავს ასეთი თავყრილობა. იქ ერთხელ ებრაელებთანაც კი მომიწია პურის ჭამამ. — მან ჩააფურთხა ქალაქის მთხრებელში და ბოდიში ითხოვა, რომ ეროვნულ გრძნობებს ვერ მოერია.

— მართალია, ყოველგვარი რწმენა დავკარგე ამ ქვეყნად და ვცდილობ კიდევ ვიამაყო ამ დანაკარგით, ვერ იქნა და ვერ ამოვიღე გულიდან ებრაელთა მიმართ ზიზღი. ლალანიც არ აჭაჭანებს აქ ურიებს.

— მაინც რას საქმობს მთელი ეს ჯამაათი? — ვკითხე მე.

— არაფერს, ლაილას გარდა. ნეტავ ვიცოდე, ვინ დაწყევლა ჩვენი ერი. რაღა ეგენი და რაღა ათენელნი. ისმენენ და ყვებიან ახალ ამბებს, ისმენენ და ყვებიან. ლალანმა იცის, რაც ხდება მთელ დუნიანზე. ჰკითხე და თავად დარწმუნდები.

— ლალან — სასხვათაშორისოდ ჩავაგდე სიტყვა (იგი საიდანღაც გამომტყვრალ ქურთების მომხრე ჯენტლმენს ესაუბრებოდა) — როდის გაემართება 175-ე პოლკი აგრას?

— არც არასოდეს, — თავის მოუბრუნებლად მომიგო ლალანმა, — მის მაგივრად იქ გაამწესეს 118-ე პოლკი. 175-ე კი სამი თვის შემდეგ გაემართება ლაკჰნაუში, თუ მანამდე ახალი ბრძანება არ იქნა.

— სრული ქეშმარიტებაა, — დაჭერებულად თქვა ვალი დაღმა, — განა თქვენი დეპეშებით და გაზეთებით ამაზე მეტს შეიტყობთ? ამ ხალხს საქმე დაღვეია, ისმენენ და ყვებიან ახალ ამბებს — მითხარი, ძმაო, ნუთუ ევროპელებს არასოდეს მოწევიათ ღვთის წყევლა ბაზარში ლაუბობისათვის? მთელი ინდოეთი მისი დღედამოსწრება ენას არ აჩერებდა, ათენებდა

და აღამებდა ბაზარში, ვიდრე ჯარისკაცები არ ჩამოივლიდნენ. აი მიზეზი, რომ თქვენ აქ ფართაშობთ დღესდღეობით, ნაცვლად იმისა, სამშობლოში გძვრებოდეთ სული შიმშილით. და მეც უკვე მაჰმადიანი აღარ მეთქმის... მე წყველა-შეჩვენების ნაყოფი ვარ. და კიდევ ერთი რამითა ვარ დავალებული თქვენთანებოსაგან, სიტყვას არა ვძრავ, რომელიმე ინგლისელი ავტორის ციტატის გარეშე.

მან ჰუკა მოქაჩა და ალალ-ყასიდად დანაღვლიანდა თავისი ახალგაზრდობის ამ გაცრუებულ იმედთა გამო.

ვალი დადი ყოველთვის დარდობდა რალაცაზე. სამშობლოზე, სასო რომ წარუყვეთა, რელიგიაზე, რომლის რწმენაც დაკარგა, ანდა ინგლისელთა ცხოვრების წესზე, რასაც ვერაფრით აუღო აღლო.

ლალანმა კი არ იცოდა, რა იყო დარდი. მუდამ მომართული ჰქონდა სიტარი. ერთი ჰანგი ამოეჩემებინა: „ო, ფარშავანგო. იყავლე ისევ“, — არაფერი სჯობდა მის მოსმენას. მოელს ინდოეთში სიმღერა არ იყო, ლალანს არ სცოდნოდა — სატრაფილო ჰანგები იქნებოდა თუ ლაშქრული. ამ სიმღერებში ერთმანეთს ენაცვლებოდა სააღერსო და შუღლის გამაღვივებელი სიტყვებო, კოცნის ხმა. მახვილთა სივსივი, დაცალებული სატრაფოს გოდება — აჰი, აჰი, აჰი... ეს ქალი ისე ანელებდა ჰუკასათვის თამბაქოს. რომ იგი სამოთხის კარბქესავით სურნელოვანი გჩვენებოდათ და ღრუბლებში ენანაგებინეთ. ლალანი ქარგავდა ოქრომკედის საოცარ ნაყშებს. თუ ისურვებდა, სარკმელში შემოჭრილ მთოვარის სხივსაც კი გაიწვევდა საცეკვაოდ. გრძნობდა ხალხისა და ქალაქის გულის ფეთქვას. კარგად უწყოდა, ვისი ცოლი იყო ერთგული, ანდა ვინ ლალატობდა ქმარს. ჩახედული იყო სახელმწიფო დაწესებულებათა საიდუმლოებებში. ნასიბანი, მისი მოახლე, დაიჩივლებდა ხოლმე: ლალანის ზინათი ასი ათასი ფუტი სტერლინგი ღირს და ერთხელაც იქნება, ქურდი შემოიპარება და ჩემ ქალბატონს მოახრჩობსო. ამაზე ლალანი ეტყოდა: ნუ სწუხხარ, იმ ქურდს მთელი ქალაქი ასო-ასო აკუწავს და ავხელთა მოდგამამაც კარგად უწყის ეს ამბავიო.

ლალანი კვლავ მისწვდა სიტარს, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯ-

და და წამოიწყო ძველებური პანგი. ასე იმღეროდა ერთი დია-
ცი ბრძოლის წინა დღით, ვიდრე ჯამნას ფშანებს სისხლი ჭია-
ფერად შეღებავდა და ვიდრე სივაჯი თურქესტანული ლაფშა-
თი დელიში გაიტაცებდა სხვას ლალანს. ამ სიმღერას მაჰრა-
თულ ლაონის უწოდებენ. იგი გვითხრობდა ჩიმნაჯის სპათა
გმირობის შესახებ, რომელთაც აოტეს მზისა და ცეცხლის
შვილნი.

ლალანს დამსწრეთა გუნდი ეხმიანებოდა. გუნდი ყვებოდა
წითელჩაღმაიანი ჯიგიტის შესახებ, ვინაც ოქროის გულისა-
თვის თავს არ იზოგავდა ბრძოლის ველზე.

— ამ ჭეელს თავი აქვს გადადებული, — განმიმარტა ვალი
დადმა ინგლასურად სიმღერის სიტყვები — ჩვენ კი გემფარ-
ველობს თქვენი ხელისუფლება. ჩემი განათლების კაცი შორს
წავიდოდა. — მას თვალები აუელვარდა, — მმართველობის
წევრი რას მიქვია, საკანონმდებლო საბჭოშიც კი გამოიჭიმე-
ბოდა.

— ილაპარაკეთ ჩვენს ენაზე, — წარმოთქვა ლალანმა და
კვლავ ააუღერა სიტარი.

გუნდის სიმღერა ქალაქის კედლიდან აღწევდა ფორტ-ამა-
რას პირქუშ გალაუნამდე. არაფინ იცის ზუსტად ფორტ-ამარას
სიგრძე-სიგანე. სამი ხელმწიფე აშენებდა მას ასეული საუკუ-
ნეების წინათ და ასე ამბობენ: გალაუნისძირა მიწისქვეშა ტა-
ლანები არა ერთი მილის მანძილზე უწევსო. აქ იდგა მეცი-
ხოვნეთა ბატარეა და ქვეითთა ოცეული. არც აჩრდილების
ნაკლებობა იყო. აყვავების ხანაში ფორტ ამარა მოითვლიდა
ათი ათას კაცს და მისი თხრილები პირთამდე ივსებოდა ხოლ-
მე გვამებით.

— ამ ჭეელს თავი გადაუღვია, — კვლავ მოისმოდა ლალა-
ნის ხმა.

ერთ-ერთ ყორეზე გამოჩნდა მოხუცის ქალარა თავი და
ხმლის ტარზე გადაჭიმული ზვიგენის ტყავივით ხეშეშმა ხმამ
გაიმეორა გუნდის მინამღერი. უეცრივ ბერიკაცმა ახალი სიმ-
ღერა წამოიწყო, რომელსაც თავი და ბოლო ვერ გაუეგე.

— რა ხდება? — ვიკითხე მე, — ვინ არის ეს კაცი?

— კაცი კი არა, სალი კლდეა, — მომიგო ვალი დადმა, —

იგი გებრძოდან თქვენ 46 წელს, ჭერაც უწვევრული, გებრძოდან 57-ში და შემოგითიათ 71-შიც, ვიდრე ხალხს ზარბაზნების ლულებზე მიაკრავდით. ახლა, მართალია, მოხუცდა, მაგრამ თავისას მაინც არ მოიშლიდა, ძალი რომ შესწევდეს.

— ასე გამოდის, ვაჰაბი ყოფილა, მაგრამ თუკი ვაჰაბია, ანდა სიქჭი, მაშინ რაღაზე ეხმიანება მაჰრატულ ლაონის?

— არ ვიცი, — მომიგო ვალი დადმა, — იქნებ იგი განუდგა თავის სარწმუნოებას. იქნებ მეფედ გახდომა სურს. იქნებ თავად არის მეფე. ვერაფერს გეტყვით. სახელიც არ ვიცი მისი.

— მტკნარი სიცრუეა. ვალი დად, ისე დაწვერილებით ყვე-ბი მის ამბავს, სახელიც უეჭველად გეცოდინება.

— სრული ჭეშმარიტებაა... მე მატყუარა ერის შვილი ვარ. უბრალოდ არა მსურს მისი სახელი გაგამხილოთ. გამოცანა თქვენზეა.

ლალანმა სიმღერა დაამთავრა. ფორტზე მიათითა და უბრალოდ თქვა, — ჭხემ სინგჭი.

— ჰმ, — ჩაიდუღუნა ვალი დადმა, — რაკი მარგალიტმა ისურვა სახელის გამხელა, მით უარესი მისთვის.

მე გადაუეთარგმნე ეს ლალანს და მან გაიცინა.

— მე ასე მსურდა. მაგათ ჭხემ სინგჭი ბირმაში დიდხანს ჰყავდათ გამომწყვდეული, ვიდრე ჰკუაზე არ შეეცდა. დიდი პატივი მიაგო მთავრობამ. მერე, როცა ეს ცხადი გახდა, უკან გამოისტუმრეს თავის ქვეყანაში, სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ რომ ენახა სამშობლო. მართალია, ხნიერია, მაგრამ სამშობლოს შემხედვარეს მეხსიერება თანდათან უბრუნდება. გარდა ამისა, ცოტა ვინმეს როდი ეხსომება მისი სახელი.

— საინტერესო გადმონაშთია, — თქვა ვალი დადმა და ჰუკა მოქაჩა, — ის უბრუნდება თავის განათლებულ და წელში გამართულ ქვეყანას. მაგრამ მარგალიტის თქმისა არ იყოს, ხალხს იგი ჭერაც არ დავიწყებია. ოდესღაც ის დიდი ადამიანი იყო. ინდოეთში აწ გადაშენდება დიდი ადამიანები. ახალგაზრდობა ფეხქვეშ გაეგება უცხოთა ღმერთებს. მერე შეიფერებენ „მოქალაქეობას“, „ერისკაცობას“ — განა ასე არ იხსენიებენ მათ აქაური გაზეთები?

ვალი დადი, როგორც ჩანდა, უგუნებოდ ბრძანდებოდა. ლალანმა ფანჯარაში გაიხედა და გაიღიმა, რაკი მოლანდა გარეთ ადენილი მტვერი.

გარეთ გამოვედი. გზაში არ მტოვებდა ფიქრი ქხემ სინგპხე, რომელიც ოდესღაც დიდ ამბებს ატრიალებდა თავის მიმდევრებთან ერთად და უმადლესი მთავრობის ძალაუფლება რომ არა, ალბათ მაჰარაჯობასაც დაიმშვენებდა.

ფორტ-ამარას მთავარი კომენდანტი ქალაქში არ იმყოფებოდა, შვეებულებაში გახლდათ. მისი თანაშემწე, უმცროსი კომენდანტი კი კლუბიდან ფეხს არ იცვლიდა. სწორედ იქ შევხვდი მას და სიტყვა ჩავუგდე, რასა იქმს ახალი პატიმარი-მეთქი. უნდა გენახათ, რას ბაჭიბუქობდა. იგი სიცოცხლეში პირველად განაგებდა ფორტს და ძალაუფლება თავში ჰქონდა ავარდნილი.

— ერთი კვირის უკან, — თქვა მან, — მოიყვანეს ეს კაცი. ვინც არ უნდა იყოს, იგი ნამდვილი ჯენტლმენია. ორი პირადი მსახური ჰყავდა. რამდენიმე ვერცხლის ქვაბი ებადა და იერი-თაც ნამდვილი ოფიცერი გეგონებოდათ. მე და ჩემმა ღმერთმა ზრუნვა არ დამიკლია, სუბადარ-საპიბს ვუწოდებდი. მოგეხსენებათ, სჯობს თავიდანვე კეთილად განიწყო ასეთი ხალხი.

— მომხედეთ სუბადარ-საპიბ, თქვენი თავი მე მომანდეს. სულაც არ მინდა სიცოცხლე გაგიმწაროთ, ოღონდ თქვენც უნდა შემიწყოთ ხელი. მთელი ფორტი თქვენს განკარგულებაშია... ფლაგმტოკიდან ვიდრე გალავნის თხრილამდე. და მე ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს, ოღონდ ამით ბოროტად ნუ ისარგებლებთ. მომეცით სიტყვა, სუბადარ-საპიბ, რომ გაქცევას არ ეცდებით.—ასე ვუთხარი, რადგან ვიფიქრე, ამასთან მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ ივარგებს-მეთქი. მართალი გამოვდექი. მოხუცმა სიტყვა მომცა და ახლა კმაყოფილი დალაყუნობს ფორტში სნეული ყვავივით. დიდი საკვირველი ვინმეა, სულ იმას კითხულობს, სად იმყოფება და რა შენობებია ირგვლივ. როცა აქ მომგვარეს, ხელი მოვაწერე ცისფერი ქალაღდის ნაგლეჯებს იმის საბუთად, რომ ჩავიბარე მისი ღირსეული გვამი. აქედან თუ გაიქცა, პასუხს მე ვაგებ და

მინც მეუხერხულება, პაპისდარ ადამიანს რომ ვდარაჯობ. ასე არაა განა? შემოიარეთ ამ დღეებში მის სანახავად.

სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, რაიც შემდგომ ცხადი გახდება, მე არაერთხელ შემივლია ფორტში, ვიდრე ქქემ სინგპი იქ იყო გამომწყვდეული. მახსენდებოდა მისი ქალარა თავი, ლალანის ფანჯრიდან თვალმოკრული, და ხაფი ხმა. აქაურებმა გამანდეს, ამარას შესანიშნავი სანახების შემხედვარე ქქემ სინგპს დლითილღე უბრუნდება მეხსიერება და ამასთან ერთად კვლავ უღვივდება მთავრობისადმი სიძულელი, რომლის ნასახიც აღარ შემორჩენოდა ბირმის სატუსალოების წყალობით. დილიდან გვიანობამდე ბორგნეულად დაბორილობდა ფორტის დასავლეთ მხარეში, მისცემოდა ამო ფიქრებს და ქალაქის კედელზე გადმომდგარი ლალანის შემხედვარე მხედრულ სიმღერებს ყრანტალებდა. ქქემ სინგპი კომენდანტის მოადგილეს გაანდობდა ხოლმე თავის ხეაშიადს.

— საპიბ, — ეტყოდა იგი და ჯოხს დაარაკუნებდა მოაჯირზე, — ოცი წლისა ქალაქადან ველად გაქრილ მხედართა კვალს გაეყევი. მერმე ასეულს ვმეთაურობდი, შემდეგ — ათასეულს. ბოლოს — ხუთიათასი კაცისაგან შემდგარ რაზმს. ახლა კი? — და იგი მიათითებდა თავის ორად-ორ მსახურზე — ჩემს ნებაზე რომ იყოს, ყველა საპიბს ყელებს დავლადრავდი, იმ დროიდან მოწყებული აქნობამდე სხეას არას ვნატრობ. თვალი გეპირათ ჩემზე, საპიბ. თორემ ასევე ძველს დავუბრუნდები. ყოველივე გადავივიწყე ბირმაში ყოფნისას, მაგრამ ახლა, სამშობლოში, სხვა ქვეუაზე ვარ.

— აკი აღმითქვით, დიდად არ გაგრჯითო? — საყვედურობდა კომენდანტის მოადგილე.

— თქვენ კარგი ადამიანი ხართ, — მიუგებდა ქქემ სინგპი. — და ჩემი დრო რომ დადგეს, თქვენ ერთადერთს ვერ გაგიმეტებდით სასიკვდილოდ.

— გმადლობთ, — დინჯად ბასუხობდა ინგლისელი, — ის მიჩერებოდა ზარბაზნების რიგს, ნახევარ საათში რომ ძალუძდათ ნაცარტუტად ექციათ მთელი ქალაქი. — შინ წავედით, ქქემ სინგპ. ნასადილევს კი შემოიარეთ ჩემთან, ვიმასლაათოთ.

ქქემ სინგპი ჩვეულებრივ თავის ბალიშზე მოიკალათებდა

ხოლმე კომენდანტის მოადგილის ფერხთით. ყლუპავდა ცერეცოს მყრალ ნაყენს და ყვებოდა უცნაურ ამბებს ფორტ-ამარაზე, რომელიც ძველად სასახლე ყოფილა თურმე. ყვებოდა ბეგამებსა და რანიებზე, ამჟამად ოფიცერთა სასადილოდ ქცეულ, მრგვალქერიან ოთახში რომ ამოხადეს სული წამებით. არც სობრაონის ამბავს იგიწყებდა და კომენდანტის მოადგილეს, აღესილს ეროვნული ზვიადობით, ლოყებზე აღმური ედებოდა. ყვებოდა კუკების მრისხანე, ასიათასი სულის მიერ ნაწინასწარმეტყველებ ამბოხზე, მაგრამ სიტყვას არასოდეს დამრავდა 57 წელზე, იგი კომენდანტის მოადგილის სტუმრად თვლიდა თავს. 57 წელი კი ის წელი გახლდათ, რომლის ხსენებასაც ერთნაირად ერიდებოდნენ ბრიტანელნიც და ინდოელნიც. მარტოოდენ ერთხელ, როცა ცერეცოს არაყი თავში შეუჭდა, ამოსცდენია:

— საჭიბ, თუ გავიხსენებთ სობრაონისა და კუკების ხანას, გამოტეხილად გეტყვით, გაკვირვებას ვიყავით, როგორ აიტანეთ ეს ყველაფერი და მთელი ქვეყანა სატუსალოდ არ აქციეთ. არადა ჩემამდე აღწევს ხმები, თურმე დიდად ელოლიავებით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, და თქვენი შიში და რიდი აღარავის აქვს. ამით თქვენ იმ ტოტსა კრით, რომელზეც ზიხართ. ეს ხომ უგნურებაა. ვინა სთქვა წყალი და ზეთი გაერთდებო. აი, 57-ში...

მაშინ მე დაბადებულიც არ ვიყავი, — სიტყვა მოუქრია კომენდანტის მოადგილეს და ქვემ სინგჰი თავის საკანში წაფრატუნებულა.

კომენდანტის მოადგილე კლუბში მიყვებოდა ხოლმე მოხუცის ნაუბარს და ახლა გულით მეწადა მეხილა მოჯანყეთა ბელადი.

ფანჯრის წალოში მოკალათებულმა ვალი დადმა ულმობლობა დამწამა, ლალანიც თავს იკატუნებდა, ვითომდა დიდად ნაწყენი დამირჩა, როგორ თუ ჩემს თავს ბებერი, ჭალარა სიქპის საზოგადოება ამჯობინეო.

— აქ ულევია თამბაქო, მეგობრები, შეგიძლია გულისთადად იმასლაათო, შეიტყო ქალაქის ყველა სიხალე. რაც მთავარია, აქ ხომ მე გეგულები. ზღაპრებსა და სიმღერებს არ მო-

გაკლებ, ვალი დადი კი ინგლისური აბდაუბდით გამოგიქედავს ყურებს. ნუთუ ყოველივე ეს გალიაში გამომწყვდეულ მხეცზე გასურს გაცვალო. წადი ხვალვე, თუ ასე გინდა, ოლონდ იცოდე, დღეს აქ მოვლენ მავანნი და მავანნი და ახალი ამბების გუდას მოხსნიან თავს.

ამ ხვალეს არა და არ დაადგა საშველი. თბილი წვიმები შეცვალა ოქტომბრის დამდეგის სუსხმა, ისე რომ, დრო თვალსა და ხელს შუა გამეპარა.

ამასობაში ფორტის კომენდანტი დაბრუნდა შვებულებიდან და ქქემ სინგჰზე ზედამხედველობა ჩაიბარა. კაპიტანი დიდი უხიაგი ვინმე გახლდათ. იგი ყველა ადგილობრივ მკვიდრს ზანგებს უწოდებდა. (ამით თავის უზრდელობასაც აჩენდა და უცოდინარობასაც).

— აფსუსი არ არის ორი ტომასი ცდებოდეს ამ ბებერი ზანგის სადარაჯოდ? — თქვა მან.

— ვფიქრობ, ამით თავს მოვუქონავეთ. ჯარასკაცებს ნაბრძანები აქვთ, ახლოსაც არ გაეკარონ, მაგრამ მოხუცი ასე თვლის, თითქოსდა მის სიდიადეს უზღავდეთ ხარკს, საბრალო ეგა...

— არასგზით არ დაუშვებთ, რომ ამისათვის ორი ჯარისკაცი მოწყვიტონ თავის საქმეს! მიუჩინეთ მას წყვილი აქაური ქვეითი.

— სიქები? — იკითხა მოადგილემ და წარბები მალა აქაჩა.

— სიქები, პათჰანები, დოგრები, — ეგენი ჩირადაც არ მიღირან, არც ერთი არაა დიდი ხვითო.

და კაპიტანმა ისეთი კილოთი დაუწყო ქქემ სინგჰს ლაპარაკი, რომ მოხუცი აბილბილდა.

თხუთმეტი წლის წინათ, როცა იგი მეორედ შეიპყრეს, ყველანი ისე უცქერდნენ, როგორც გალიაში გამომწყვდეულ ვეფხვს. ქქემ სინგჰი დიდად ნაამები იყო ამით. ოლონდ ახლა დავიწყნოდა, რომ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და იმდროინდელ უმცროს ოფიცრებს ახლა კაპიტნობა დაემშვენებინათ:

— რაო, ის ლორი კაპიტანი კიდევ განაგებს სიმაგრეს?! —

ყოველდღე ეკითხებოდა ქვემ სინგჰი ინდოელ დარაჯებს და ისინიც პატივს მიაგებდნენ რა მის ასაკს და დიდებულ იერს, სუბადარ-საჰიბს უწოდებდნენ ტყვეს. ოღონდ მცველებმა არ უწყოდნენ, ვინ იყო იგი...

იმ დღეებში ლალანის თეთრ ოთახში ზღვა ხალხი იყრიდა თავს და იქაურობას დიდი გამოცოცხლება ეტყობოდა. ვალი დადი დავარდნილიყო ქადაგად. ჩემგან ნანათხოვრებ წიგნებიდან ამოკითხულ ცოდნას აფრქვევდა.

— სმენა იყოს და გაგონება: ათენელნი ჯერ გამოკეტავდნენ თავიანთ შტერ დედაკაცებს და მხოლოდ მერე იწყებდნენ ახალი ამბების განსჯას. აქედან წარმოსდგა პეტერების, ამ საამო და ამავე დროს გონიერ ქალთა ინსტიტუტი, ასე არ არის განა? ყველა ბერძენი ფილოსოფოსი მოხიბლული იყო მათი საზოგადოებით. მითხარით, ჩემო მეგობარო, — მომიბრუნდა იგი — როგორაა ამჟამად საქმე საბერძნეთის ანდა ევროპული კონტინენტის სხვა ადგილებში? რაო, თქვენი ქალებიც აფრაკად არიან ჭკუაზე?

— ვალი დად, — მივმართე მე, — ჩვენს შორის დიდი ზღუდე ძევს. ერთმანეთთან ჩვენი ქალების ხსენებას ორთავე ვერიდებით.

— დიახ, — თქვა ვალი დადმა, — უცნაურია, რომ ერთმანეთს ვხვდებით მხოლოდ აქ, მეძავის სახლში, ასე არ უწოდებთ თქვენ ამ ხელობის ქალებს? — და ვალი დადმა ჩიბუხის ტარით ლალანზე მიანიშნა.

— ლალანი ლალანია, — ვთქვი მე და მართალიც ვიყავ — ისე კი უმჯობესი იქნება, ვალი დად, შენს გზას ეწიო და ფუჭ ოცნებებზე ხელი აიღო.

— მაშინ მე მოვირთვებოდი ინგლისური ფრაკით და ალბათ გავხდებოდი გამოჩენილი მუსლიმანი ვეჰილი, ვინ იცის, ისეთი პატივიც მხოლოდოდა წილად, ჩოგბურთიც მეთამაშა კომისრის ბინაზე, სადაც ინგლისელები ერთ მხარეს ქუჩდებიან, აქაურები — მეორეზე, „მთელ იმპერიაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ხელშეწყობის მიზნით“.

— გულო გულისა, — სწრაფად მობრუნდა იგი ლალანს — საჰიბი მირჩევს თავს ვუშველო.

— საპიბს ჯერ ჰკვიანური არაფერი დასცდენია პირი-
დან — სიცილით შეეხმიანა ლალანი. — ამ სახლში მე ვარ დე-
ლოფალი, შენ კი — მეფე. ხოლო საპიბი, — მან თავზე შემოიჭ-
დო ხელები და წუთით ჩაფიქრდა — საპიბი ჩვენი ვაზირი იქ-
ნება, შენი და ჩემი, ვალი დად...

ვალი დადმა მოურიდებლად გადაიხარხარა. მეც გამეცინა.

— დე, იყოს ასე, — თქვა მან, — ჩემო მეგობარო, ყაბულ-
სა ხართ ამ სარფიან თანამდებობაზე? ლალან, ჯამაგირი კარ-
გი დაეუნიშნოთ?

ლალანმა სიმღერა წამოიწყო. ვალი დადსაც მეტი რა
უნდოდა. ერთი რომ გაჩუმდებოდა, ახლა მეორე იწყებდა ზმე-
ბრთ მოქარგული სპარსული ლექსების წარმოთქმას. ზოგი
მათგანი ლამის უწმაწური იყო. ეს ლაზლანდარობა შეწყდა,
როცა ლალანს აუწყეს, ვილაც შავკოსტუმიანი, სქელი, ოქროს
პენსნიიანი კაცი გეწვიაო.

ვალი დადი წამოდგა და ამ ვარსკვლავიან ღამეს ვარდების
დიდ ბაღში სასეირნოდ წამოიყოლია. ჩვენ გამოვთქვამდით
მკრეხელურ აზრებს, შესახებ სარწმუნოებისა, ხელისუფლე-
ბისა და მამაკაცის ცხოვრების გზისა.

კარზე მომდგარი იყო მოპარამი, მაჰმადიანთა დიდი სამ-
გლოვიარო დღესასწაული. ვალი დადი ისე აძაგებდა ამ რელი-
გიურ სიშმაგეს, ვინძლო მოეკვეთათ თავი თავისუფლად მოაზ-
როვნე მაჰმადიანებსაც.

გარს ვარდის ბუჩქები შემოგვეჯაროდა. ზემოდან დაგვექე-
როდა ვარსკვლავები და ქალაქის ყველა უბნიდან მოისმოდა
მოპარამის მომასწავებელი დიდი დოღების ბრაგაბრუგი.

ქალაქის ერთი მხარე ინდუსებს ეკავათ, მეორე კი მაჰმა-
დიანებს. ერთნიც და მეორენიც მეომართა მოდგმისა იყვნენ.
რელიგიურ დღესასწაულს კარგი ბოლო არ უჩანდა.

ინდუსები, თუ მთავრობას ორჭოფობას შეატყობენ, ცდი-
ლობენ, თავიანთი თუნდაც უბრალო რელიგიური დღესასწაუ-
ლი დაამთხვიონ მოპარამის გმირების, მოწამეთა — ჰასანისა
და ჰუსაინის საყოველთაო დატირებას.

ბრჭყვიალა ქალღმერთისაგან შეკოწიწებულ წამებულთა
აკლდამებს ერთის ღრიანცელით, გმინვა-მოთქმით დააპროწია-

ლებენ ქალაქის ქუჩებში. საკრავებს აზუილებენ და ჩირაღ-
დნებს იქნევენ. ამ გამოსახულებებს ტაზიები ჰქვია. პოლიცია
წინასწარ წარმართავს მათი მსვლელობის გეზს და რაზმებსაც
თან აახლებს ყოველ ტაზიას იმის შიშით, ვითუ ინდუსებმა
მათ ქვეები დაუშინონო. ეს ხომ დედოფალს განუფრთხობს
სიმშვიდეს და მის ერთგულ ქვეშევრდომებს კი შესაძლოა
სულიც გააფრთხობინოს.

მოპარამის ხანა მხედართა ქალაქში ხელისუფალთ მოსვე-
ნებას უკარგავს. თუკი ჭანყი იფეთქებს, ამაზე პასუხს სწო-
რედ ხელისუფლება აგებს და არა მოჭანყენი. დიდ გასაჭირში
არიან კანონის დამცველნი — არც სასაცილოდ უნდათ გაიხა-
დონ თავი ზედმეტი სიფრთხილით, არც ცდა უნდათ დააკლონ
ამ საქმეს. არც მწვალი უნდათ დასწვან და არც შამფური.

— მიაყურაღეთ დაფდაფებს, — თქვა ვალი დაღმა. — ეს
ხალხის გულებაა. ფუტურო, მაგრამ ზარბათქიანი. თქვენი
აზრით, რიგორ ჩაივლის წელს მოპარამი? ვგონებ, შფოთი არ
აგვცდეს.

მან შუკაში შეუხვია და მარტო დამტოვა ვარსკვლავებსა
და ძილმორეულ დარაჯთან. მეც მივეწეკი. მესიზმრა, ვალი
დადს ქალაქისათვის ალყა შემოერტყა და დაერბია. მე ლალა-
ნის ვაზირად გავეხადე და ნიშნად ამისა ქალბატონის პუკა
ებომებინა.

მთელი დღე ბაგიბუგობდა მოპარამის დოლები. და მშვი-
დობიანი, აცრემლებული მოქალაქენი ნაბიჯზე არ სცილდე-
ბოდნენ კომისრის მოადგილეს. შ:შით ძრწოდნენ, მაჰმადიანე-
ბი განთიადამდე არ მიგვაწევიანებნო.

— ექვს გარეშეა, — საიდუმლოდ გადაულაპარაკა კომის-
რის მოადგილემ პოლიციის უფროსს, — ინდუსები ეპირებიან
შფოთის ატეხვას. ჩვენც არ დავრჩებით ვალში და პატარა
თამაშას მოვეუწყობთ. წინასწარ გაეფრთხილე ორთავე მხა-
რის ქეთხუდები. არ შეისმენენ და მით უარესი მაგათთვის.

იმ ღამეს ხალხით გაივსო ლალანის ოთახი. ოღონდ ამათ-
გან არც ერთი არ მენახა ადრე, შავ კოსტიუმში გამოწყობი-
ლი, სქელი, ოქროს პენსნეიანი ჩენტლმენის გარდა.

ვალი დადი კვლავინდებურად იწვა ფანჯრის რაფაზე. არა-

სოდეს არ გამოუმჯდარებია ასეთი მწვავე ზიზღი თავისი ხალხის რწმენის მიმართ. ასე რამ შეშალა ეგ უბედურებო — გაიძახოდა.

ლალანის მოახლე გულმოდგინედ ჰკრიდა და გართავდა თუთუნს სტუმრებისათვის. დოლების ბაგუნის მოგვესმოდა, როცა ტაზიების თანხლებით დასტები მიემართებოდნენ ქალაქგარეთ მდებარე ველისაკენ, მთავარ შესაკრებ ალაგას და ემზადებოდნენ საზეიმო მსვლელობისათვის. ქუჩები თითქოსდა იწვოდა ჩირაღდნების ცეცხლში. მარტოოდენ მდუმარე ფორტ-ამარა ჩნდა შავად.

როცა დოლების ბრავუნის ერთხანს შეწყდა, თეთრ დარბაზში არავინ გაიღო ხმა.

— პირველი ტაზია დაიძრა, — თქვა ვალი დადმა და მინდორს გახედა.

— რაღაც ადრე ხომ არ მოუვრდათ? — სიტყვა ჩაურთო პენსნიანი მამაკაცმა, — ჯერ მხოლოდ ცხრის ნახევარია.

ხალხი წამოიშალა და წავიდ-წამოვიდა.

— ზოგი მათგანი ლადაქის მკვიდრია, — თქვა ლალანმა, როცა ბოლო სტუმარმა დასტოვა იქაურობა, — მაგათ ჩამომიტანეს აგურა ჩაი, ისეთი, რუსებმა რომ იციან, და პეშავარული სამოვარი. აბა, მიჩვენეთ, როგორ აყენებენ ინგლისელი მემსაპიბები ჩაის.

ნაყენი საძაგლობა გამოდგა. როცა ჩაის სმას მოვრჩით, ვალი დადმა შემომთავაზა ქუჩებში გაგვევლო. გული მიგრძნობს, ღამით არეულობა მოხდება, — თქვა მან, — მთელი ქალაქი ამას ელის. ბაბუთა ნათქვამისა არ იყოს, ხმა ღვთისა, ხმა ერისაო. ახლა კი უზურში გქონდეთ, ფადიშაჰის კარიბჭესთან მთელი ღამე ჩემი ცხენი იქნება დაბმული. შეგიძლიათ გაიჭირითოთ ქალაქში და თვალს წყალი დააღვეინოთ, კაცმა რომ თქვას, ღირს კია? რა სასიამოვნოა აბა, მთელი ღამე ყურში ჩაგძახოდნენ: „ია ჰასან, ია ჰუსაინ“!

ყველა, ოცდაროივე დასტა, ქალაქის კედლების შიგნით დაწყობილიყო. დოლები გრუხუნებდნენ, ბრბო გნიასობდა, „ია ჰასან, ია ჰუსაინო“ — გაიძახოდა და გულმკერდში იცემდა ხელებს. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ უბერავდნენ სასულე

ორკესტრის დამკვრელები. მაჰმადიანი ქადაგნი, სადაც კი მოახელთებდნენ, ყველგან ლალადებდნენ მარტვილთა საკედლის ამბავს. ოცი ფუტის სიფართო ქუჩებში ბრბოს დინებას ვერაფრით დააღწევდი თავს. სხვა გზა არ იყო, მას უნდა მიჰყოლოდი. ინდუსთა უბნებში ყველა დუქნის კარ-ფანჯარა ჩაეხურგადაერაზათ. როცა ორი ათეული ჯანიანი მამაკაცის მხრებზე შედგმული, დიდებული ტაზია ჩაატარეს, საიდანაც გამოქროლდა აგურის ნატეხი და პატალოსა და სალმანდისაგან შექრული კედარო გაფხრიწა.

— ხელთა შენთა შეგვედრებ სულსა ჩემსა, — მკრეხელურად წაიბუტბუტა ვალი დაღმა. უეცრად უქანიდან გაისმა შეძახილი და იქაურმა პოლიციის ოფიცერმა ცხენი შეაგდო ბრბოში.

ახლა აგურის მეორე ნატეხმა გაიზუზუნა. ტაზია დადრკა და შეყანყალდა.

— იარეთ, მთავრობის სახელით გიბრძანებთ, იარეთ წინ! — დასჭყვივლა პოლიციელმა, მაგრამ ბრბო უკვე ლანძღვა-გინებით მიდგომოდა იმ სახლს, საიდანაც აგური ისროლეს, დარაბებს ლიწინ-ლიწინი გაუდიოდა.

ერთბაშად ქარი ამოვარდა და ახლა არათუ მხოლოდ მხედართა ხევში, ბევრგან სხვაგანაც ზღვაში შეეცურებული გემებივით დაირწა ტაზიები. ჩირაღდნების გრძელი ჭოკები ყვინთავდა და აიზიდებოდა ტაზიათა გარშემო, ხალხი კი ღრიანცელობდა.

— ინდუსები ბილწავენ ტაზიებს, ჰკა მაგათი დავუღწოთ სალოცავები!

რამდენიმე პოლიციელმა, თან რომ ახლდნენ ყოველ ტაზიას, მოიმარჯვეს ხელკეტები და ხალხს დაუშინეს. ისინი ბრბომ გადათელა. ინდუსებმა მოაზღვევეს ქუჩები და გაჩაღდა დიდი ცემა-ტყემა. აქედან ცოტა მოშორებით, სადაც ტაზიებს არავინ ერჩოდა, ჯერ კიდევ ბრაგუნობდა დოლები და მოისმოდა „ია ჰასან, ია ჰუსაინის“ ძახილი. ოღონდ ამან დიდხანს არ გასტანა და კვლავ აირია მონასტერი.

ქუჩის კუთხეებში აყუდებული მოლები ფეხებს ატეხავდნენ სკამლოგინებს. ღვთის სახელით უბათქუნებდნენ მკრე-

ხელებს. ჩაჩუმებული სახლებიდან კი მტერ-მოყვარეს განურჩევლად აცვივოდა თავზე აგურები და ხალხით გაქედნილ ქუჩაში ყურისწამლები ბლავილი იდგა.

ერთი ტაზია აბრიალდა, ხევის კუთხეში ჩაეცა და ცეცხლოვან ჯებირად გაეხირა ინდუსებსა და მაჰმადიანთა შუა. ბრბო წინ ეკვეთა და ვალი დადმა ჭის პირას ჩასობილი ქვის ბოძისაკენ მიბიძგა.

— გიკვირს თუ?! — ჩამძახა მან ყურში ქეშმარიტი ურწმუნოსათვის შეუფერებელი სიფიცხით. — აგურები წინასწარ მოიმარაგეს მაგ ღორის ჯილაგის ინდუსებმა. ამ ღამით ძროხებს გამოვფაშვავთ მაგათ ტაძრებში.

ერთიმეორეს მიყოლებით ჩაიქროლეს აღმოდებულმა, დაფლეთილ-დაგლეჯილმა ტაზიებმა. მათ ღმუილითა და კივილით მიჰყვებოდა თაბუნები. სახლის კარებს არ ტოვებდნენ მთელს, მუშტებსა და წიხლებს უშენდნენ გზადაგზა. ბოლოს მივხვდით ამ უკუქცევის მიზეზს. ოლქის პოლიციის მოადგილე, ახალგაზრდა ჰუგონინი წასძლოლოდა ოცდაათიოდე კონსტებლს და ბრბოსთვის თავი დაეწყო. მისი ბეხრეკი, ნისლა ცხენი აინუნშიაც არ აგდებდა ღეზების ცემას. ჰუგონინის შოლტს მოსვენება არ ჰქონდა.

— მაგ ვირეშმაკებმა კარგად იციან, რომ პოლიციას ძალები არ ჰყოფნის, — ჩამომყვირა მან, როცა გამისწორდა და მოიწმინდა გაჩეხილი სახე, — იციან, რომ ჩვენ ცოტანი ვართ. ნუთუ კლუბის წევრები არ მოგეშველებიან? წინ, დანახშირებული მამის შვილებო!

მათრახმა გადაიწივლა ბრბოს თავზე. კონსტებლებმა ყვლავე ამუშავეს ჯოხები და თოფის კონდახები. ბრბო და მღევრებიც თვალს მიეფარნენ. ხმაური მიწყდა და ვალი დადი მოჰყვა ლანძღვა-გინებას. ფორტ-ამარადან კენტი მაშხალა აიჭრა დამეულ ცაში. შემდეგ — ორი. ეს იყო ჯარების მოხმობის ნიშანი.

ოფლში გაღვრილმა, მომტვერილმა, მაგრამ მაინც თავაზით და ზრდილად მომღიმარმა კომისრის მოადგილემ, პეტიტმა გაიქროლა დაცალიერებულ ქუჩაზე. იგი მიელალებოდა მეამბოხეთა მთავარ ჯგუფს.

— ჭერჭერობით სისხლი არ დაღვრილა! — იყვირა მან, — მე მათ განთიადამდე კუდში ვდეგ. შენც არ მოეშვა, ჰუგონინ, ვიდრე ჭარი არ მოგვისწრებს!

ხალხის ამ ჭგროსათვის ამოსუნთქვის საშუალება რომ მიეცათ, სხვას ვინღა ჩივის, სახლებს დაბგალავდნენ და არეულობა მაშინ უნდა გენახათ. ალი ბრბოს ისევე აგიყებს, როგორც მხეცს სისხლის დანახვა.

ეს ამბები კლუბშიაც შეიტყვეს. ფრაკებში გამოწვართული მამაკაცები გამოეთანენ ქუჩებში და აღვირებით, მათრახებოთა და შემთხვევით ხელში მოგდებული კეტებით დაერივნენ ამ აღრიალებულ ბრბოს.

ამათ ვაგლახად ვერაფერს უბედავდნენ, რადგან მემამბოხეებს ამდენი ჭკუა ჰყოფნიდათ. იცოდნენ, ევროპელის სიკვდილი იათად არ დაუჭდებოდათ და ამას არაერთი კაცის ჩამოხრჩობა რომ მოჰყვებოდა — ვინ იცის, იქნებ ზარბაზნებიც კი დაეშინათ.

ქალაქში ერთბაშად ხმაური გაორკეცდა. ინდუსები, ჩანდა, როდი ხუმრობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბრბომ პირი იბრუნა. უცნაური სანახაობა გახლდათ. ტაზიები აღარსად ჩანდა. ქუჩებში ეყარა მარტოოდენ მათი დამსხვრეულ-დალეწილი სადგარები. სადღაც გაქრა პოლიციაც.

ღროდადრო გამოტყვრებოდა რომელიმე ჰინდუ თუ მაკმადიანი ქალანთარი და ამაოდ შესთხოვდა ერთმორწმუნეთ დაშოშმინებულებიყვნენ და ჭკუისათვის მოეხმოთ. ასეთი რჩევა-დარიგებისათვის ქალაქი თავკაცებს თეთრი წვერით დაითრევედნენ ხოლმე.

ბრბოს ტალღებში ყელყელობდა ცხენიდან ჩამოგდებული იქაური პოლიციელი. დეზებით იგერიებდა ხალხს და ყველას მოაგონებდა, მთავრობის შეურაცხყოფა არ შეგრჩებათო. ისმოდა ჭოხების ხათქა-ხუთქი. ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთს, პირზე ღუქმომდგარნი გაჰკიოდნენ. სახლებში შევარდნას ლამობდნენ. ჭიშკრები მოყანყალდა მუშტების ცემით.

— კიდევ კარგი, რომ იარალი არა აქვთ, — სიტყვა გადავუგდე ვალი დადს, — თორემ ნახევარი ქალაქი გაწყდებოდა.

ვალი დადს ნესტოები დაბერვოდა, მზერა გაშტერებოდა, ჩუმად იჩაჩქუნებდა მჯილს მკერდში.

ჩაიქროლა მთლად გადარეული ხალხის ტალღამ. ეს მაჰმადიანთა ბრბო იყო, დევნილი ინდუსი ბერების დიდი გუნდის მიერ. ვალი დადმა ერთი შეიკურთხა, „ია ჰასან, ია ჰუსაინო“ დასძახა, ჩაერთო ბრძოლის ორომტრიალში და თვალთაგან დამეკარგა.

მე შუკაში შევრგე თავი და ფადიშაჰის კარიბჭეს მივაშურე. იქ მოვძებნე ვალი დადის ცხენი, შეეკეპი ზედ და ფორტ-ამარასაკენ ავიღე გეზი. ქალაქის კედელს გავცდი თუ არა, ღრიალი ცოტათი მიწყნარდა და ახლა მხოლოდ ყრუ გუგუნი შოისმოდა. ამ წყნარ, ვარსკვლავიან ღამეს ეს ხმა ზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენდა და მოწმობდა ხუთასი განრისხებული მამაკაცის ძალმოსილებას.

ჯარები, რომელთაც კომისრის თანაშემწის მიერ ნაბრძანებში ჰქონდათ შეგროვილიყვნენ ფორტთან, არ ამკლავებდნენ მღელვარების ნიშანწყალს.

სიმაგრის აღმოსავლეთით ჩაყენებული, ადგილობრივ მკვიდრთაგან შედგენილი ქვეითთა ორი ოცეული, ცხენოსანთა ესკადრონი და ბრიტანელ ფეხოსანთა ოცეული შეტევის ბრძანებას ელოდა. გულისტკივილით ვალიარებ, მეტად ნაამეზი ჩანდნენ ამ „თავშესაქცევით“. მართალია, უფროსი ოფიცრები ბუზღუნებდნენ, დილაადრიან რას წამოგვეყარეს ლოგინებიდანო, ინგლისელ ჯარისკაცებსაც ყასიდად განაწყენებული სახე მიეღოთ, მაგრამ ყოველი უმცროსი ოფიცრის გულში სიხარული სუფევდა. მწკრივში ჩურჩულმა გაიბრინა.

— რომელმა ჰქვიანმა ბრძანა, თოფები არ დატენოთ?

— ვაი, სირცხვილო!

— მაგ მათხოვრებს რისი თავი აქვთ.

— ნეტა არ მინდა, ჩემი მევახშე შემახვედრა. მაგის ვალიდან ვერ იქნა და ვერ ამოვედი!

— თოფებს ვილა ჩივის, ალბათ სმალსაც ვერ ვიხმართ!

— აჰა, მეორე შუშხუნაც აენთო!

— აბა, დავიძარით!

მეციხოვნე მეზარბაზნეები, რომელთა გულშიც ბოლო წუ-

თამდე ჭიატობდა ფუჭი იმედი (ასე ეგონათ, ნებას დართვენენ ქალაქისათვის ზარბაზნები დაეშინათ) გადმოეყუდნენ აღმოსავლეთის კარიბჭის მოაჯირებზე და ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებდნენ.

ჯარმა ქალაქის ბჭეები დაინაწილა. ინგლისელი ქვეითები დაწყვილდნენ და ქალაქის მთავარი კარიბჭისაკენ გაემართნენ. ცხენოსნები ფადიშახის კარიბჭის მხრით გაჭენდნენ. ადგილობრივ მკვიდრთაგან შედგენილი რაზმი კი ნელა დაიძრა ყასბების კარიბჭის მიმართულებით. ბლღვირი უნდა აედინათ მოჯანყეთათვის, რომლებთანაც პოლიციამ ვერაფერი გააწყო. წესრიგის დამცველებმა მხოლოდ ის შესძლეს, ხელი შეეშალათ მუსულმანებისათვის, დაეწვათ წარჩინებულ ინდუსთა სახლები. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი უბნები იყო ჯანყის მთავარი კერა, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან კი ჩქამი არ ისმოდა. სიბნელეს მოეცვა იქაურობა. ლალანის სახლისაკენ გავეშურე. იქ სინათლე არ ენთო, მაგრამ შესასვლელი ღია იყო და ბნელში ძლივს ავფოხიალდი კიბეებზე. ასე ვიფიქრე, ლალანი ვინმეს გაგზავნის-მეთქი ვალი დადის საძებნელად.

თეთრ ოთახში მბეუტავი ერთადერთი ლამპის სინათლეზე დავინახე, ფანჯრიდან გადმოეყუდებული ლალანი და მისი მოახლე ქალი ცდილობდნენ ვიღაცის ზემოთ ამოთრევას.

— დაიგვიანე, ძალზე დაიგვიანე, — ქლოშინით წარმოთქვა ლალანმა, ისე რომ თავი არ მოუბრუნებია. — გვიშველე, ბოთვე, ტაზიების კუდში დევნასა და ღნავილში სული თუ კიდევ გიდგას. მე და ნასიბანს ქანცი გაგვძვრა. ო, საპიბ, ეს თქვენა ხართ? ინდუსებმა ერთი მოხუცი მაჰმადიანი თხრილის პირს მიაყენეს. კეტებით მოკვლას უპირებდნენ, იქნებ როგორმე მალლა ამოვზიდოთ.

ფანჯრიდან გადაშვებულ აბრეშუმის გრძელ სარტყელს ჩავეჭიდე. სამივენი ვეჭაჩებოდით რაც ძალი და ღონე გვქონდა. ამ სარტყელის ბოლოს ეკიდა ვიღაც ძალზე მძიმე სულდგმული. მესმოდა, კედელზე ყოველ მიხეთქებისას ლანძღვაგინებით იკლებდა იქაურობას, იმას კი ველარ მიეხვდი, რა ენაზე ვვამკობდა.

— აბა ერთიც, აბა პა, — შესძახა ბოლოს ლალანმა. წყვილი ყავისფერი ხელი მოეჭიდა ფანჯრის რაფას და იატაკზე დაგორდა გულამოვარდნილი, დარბაისლური შესახედლობის მაკმადიანი.

პირშებურვილსა და მტვერში ამოგანგლულს, ჩალმა ცალ თვალზე ჩამოფხატოდა, სახე ბრაზით ჰქონდა დაბრეცილი.

ლალანმა წამით თავი ჩარგო მკლავებში, რაღაც ჩაიდუღუნა ვალი დადის მისამართით, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე.

მერე ხელები შემომაკლო კისერზე და საალერსო სიტყვები ჩამჩურჩულა. სუნთქვაშეკრული გავინაბე. რა შეილი ვიყავი, თავპატიუი გამედო? ამაებს ჩვეულმა ხალუმმა ნასიბანმა პირი მოგვარიდა. შებრუნდა კუთხეში მდგარი დიდი სკივრისაკენ და იწყო შიგ ბუჭური.

მუსულმანმა იატაკზე მოირთხა ფეხი, თვალებს რისხვით აელვებდა.

— ერთი სათხოვარიცა მაქვს, საპიბ. რახან ბედზე მოგვისწარი, — მომმართა ლალანმა, — იქნებ შენვე გადაატარო ქალაქი (ო, რა ვარდივით მეფინებოდა გულზე ლალანის პირით წარმოთქმული „შენ“) და კუმხარსენის კარიბჭესთან მიაცილო ეს ბედშავი. ყველგან ჯარია ჩაყენებული. მოხუცს ავს რასმე გადაყრიან. იქ კი ალბათ იშოვნის ეტლს და თავის გზას ეწევა. ეს კაცი ჩემი მეგობარია. შენ კი, შენ ათასჯერ მეტი ხარ, ვიდრე მეგობარი. ამიტომაც შეგბედე.

ნასიბანი დაიხარა მოხუცისაკენ და რაღაც ჩაუჩურთა სარტყელში. მე წამოვაყენე იგი იატაკიდან და ქუჩაში გავიყვანე.

ქალაქში ვერაფრით ავცდით ჯარებსა და ხალხის ბრბოს. და ვიდრე მხედართა ხევს მივალწევდით, ყურს მოსწვდა ბრიტანელ ქვეითთა მხიარული ყიყინა.

— წინ, მათხოვრებო, წინ, ეშმაკის ნაშიერნო, აბა მარდად, აქეთ!

ჯარისკაცები მემამოხეებს შიშველი ფეხის თითებზე უჩაჩქუნებდნენ ხიშტებწაცლილი თოფების კონდახებს, ისმოდა ხალხის ვაი-ვიში.

ჩემი თანამგზავრი რაღაცას ბურტყუნებდა თავის ენაზე და

ასე ვიდრით, სანამ ბრბომ არ გაგვყარა და იძულებულნი გავხდით, გზა სხვა მხრით გაგვეკვლია.

მოხუცს წავეტანე და ხელში მომხვდა სამაჯური, სიგკების რკინის სამაჯური, მაგრამ გულში ექვიც არ გამივლია. ლალან ხომ აგერ ახლახან მენხვეოდა ყელზე.

სამგზის უკუგვაგდო ბრბომ და როცა რის ვაივაგლახით გავიკაფეთ გზა და ინგლისელ ქვეითებს დაეუძვერით, ახლა სიქცხენოსნებს შევეჩიხეთ, ბრბოს რომ მოერეკებოდნენ შუბის ტარებით.

— ვინ არიან ეს ძაღლთაპირები? — იკითხა მოხუცმა.

— ვინა და სიქები, ბიძაჩემო, — მივუგე მე.

ისევე შევერიეთ დაწყვილებულ ცხენოსნებს. უეცრივ ჩვენს წინ აღიმართა მუზარადჩაქულეტილი, კლუბის წვერებით გარშემორტყმული კომისრის თანაშემწე.

— განთიადამდე არ მოვეშვებით მაგათ, — თქვა პეტიტმა, — ვინ არის ეგ თქვენი ჩამობრანძული მხლებელი? — ეს საფრთხობელა სად იპოვეთ?

ისლა მოვასწარი მეთქვა, სირკარის სახელით-მეთქი და უეცრივ ახალმა ბრბომ, რომელიც ინდოელ ფეხოსნებს გაუბოდა, ას იარღზე გაგვტყორცნა კუმპარსენის კარიბჭისაკენ და პეტიტი აჩრდილივით გაქრა.

— ვერაფერი გამიგია, რა ხდება, — ამოიხვნეშა ჩემმა თანამგზავრმა. — ნეტავ ბევრი ჯარი დგას ქალაქში?

— ხუთას კაცამდე უნდა იყოს.

— ლაკი ადამიანი აოტა ხუთასმა. მათ შორის სიქებიც ერია. აფერუმ მაგათ. ბებერი კი ვარ, მაგრამ გასაკვირია, კუმპარსენის კარიბჭეს რომ ველარა ვცნობ. სადაა ქვის ლომები, სადაა ქვის არხები? საპიბ, მე ძალზე მოხუცი ვარ, ფეხზე დგომაც კი მიჭირს.

და იგი გაიშოტა კუმპარსენის კარიბჭის კუთხეში.

საიდანღაც გამოტყვრა ის ოქროს პენსნიანი, სქელი მამაკაცი, ლალანთან რომ მენახა ადრე.

— დიდი პატივი დამდეთ, რომ ჩემი ძველი მეგობარი მომგვარეთ, — დათაფლულად თქვა მან — აკალელი შიწათმოქმედი გახლავთ, ამ არეულ ქალაქში მაგას არ ედგომება. ეტლი

მზადაა. თქვენ მართლაც დიდი სიკეთე მიყავით. ბარემ მაღლს მარილიც მოაყარეთ და ეტლში ჩამასმევინეთ მოხუცი.

ჩვენ შევათრიეთ ბერიკაცი იქვე, ჭიშკართან მიყენებულ ნაქირავებ ეტლში, და მე კვლავ გავბრუნდი ქალაქის კედელზე გადმომდგარი სახლისაკენ. ჯარი ერეკებოდა ხალხს წინ და უკან, პოლიცია ჭეჭდა და ქუხდა — ყველანი სახლებშიო... ოლქის ინსპექტორის მოადგილის შოლტი უმოწყალოდ ზუზუნებდა. შიშით დაზაფრული მედუქნეები ცხენოსნებს უზანგებზე ეკიდებოდნენ, ურცხვად ჩმახავდნენ, სახლები დაგვირბიესო. ზორბა სიქპი მხედრები მათ მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს, ჩააგონებდნენ, სახლებში დაბრუნდით, სანამ უარესი არ დაგმართხნათო ზურგზე თოყებმოგდებულნი, ხელიხელგადაჭდობილი ბრიტანელი ჯარისკაცების პატარ-პატარა ჯგუფები სიმღერითა და ყვირილით ეხეტებოდნენ ქუჩებში. პინდუთა და მაჰმადიანთა ფეხის თითებზე გადადიოდნენ ჩექმებით.

რელიგიური მსვლელობა არაიდეს ჩაუწიხლავთ ასეთი გულმოდგინებით და მშვიდობის ბედკრულნი ზელმყოფნიც ასე არაოდეს უგვემიათ. ჯარისკაცები პოულობდნენ ორმოებსა და გომურებში მიძალულ. ბოსტებსა და კუთხეებს ამოთარებულ მორწმუნეებს და ჭიტლაყის კვრით მიერეკებოდნენ სახლისაკენ. უსახლკაროთ კი ორგზის მეტი ცემა-ტყეპა ხვდებოდათ წილად.

ლალანის სახლთან რომ მივბრუნდი, გადავაწყდი ზღურბლზე გაწოლილ ადამიანს. იგი ზლუქუნებდა და ხელები ბატის ფრთებივით უთრთოდა. სწორედ ის გახლდათ ვალი დადი — პირწავარდნილ ურწმუნოდ რომ მოჰქონდა თავი. უჩაღმოსა და ფეხშიშველას დუეი მორეოდა პირზე. სისხლი დასდენოდა, ისე მაგრად იცემდა მჯიღს გულმკერდში. იქვე ეგდო ჩამქრალი ჩირადის მომტვრეული ტარი. და როცა მის ასაღებად დავიხარე, მომესმა — ვალი დადის ბაგეებს თრთოლვით ამოსცდა — ია ჰასანი, ია ჰუსანი!

კიბზე ავათრიე იგი და კენჭი ვესროლე ქალაქის მხარეს გამოჭრილ ფანჯარას. თითქმის ყველა ქუჩაზე დაისადგურა სიჩუმემ და მობერა განთიადის წინამასწარა გრილმა ნიაფმა. მიზგითის წინ ვილაც კაცი შედგა, იქვე დაგდებულ გემს და-

აჩერდა. მიცვალებულს თოფის კონდახითა თუ ბამბუკის კე-
ტით ჰქონდა თავი გაპობილი.

— უმსხვერპლოდ მაინც ვერ გადავრჩით — წარმოთქვა
გულჯავრიანმა პეტიტმა და ზეწამოსწია ეს დაბრეცილ-დაჰყ-
ლეტილი თავი. — დახეთ, ამ ნადირებმა ხელიც გამოიღეს.

შორიდან კი ისმოდა ჯარისკაცთა სიმღერა. ისინი „პეი შავ-
თვალას“ გაჰკიოდნენ და კანტი-კუნტად შემორჩენილ მემამო-
ხეებს სახლებში დენიდნენ.

თქვენ ალბათ მიხვდით ყველაფერს. მე ამის ჰკუა არ მეყო.
იმ დროს, როცა ხმა დაირხა ჰქემ სინგპი ფორტიდან გაიქცაო,
ამ მოთხრობას როდი ვწერდი. უშუალო მონაწილე გახლდით
ამ ამბებისა და ვერ კი შევნიშნე, რომ მოხუცი, ლალანი, ოქ-
როს პენსნეიანი ჯენტლმენი — კრიალოსანის მარცვლებივით
ვიყავით ერთ ძაფზე აცმული. რას ვიფიქრებდი, მოხუცის
მხლებლად გამწესებული კაცი ვალი დადი გამოდგებოდა,
რომ ლალანმა მკლავები იმად შემომხვია, არ დამენახა ნასიბა-
ბანი ფულს რომ უდებდა ჰქემ სინგპს და რომ ლალანმა ფა-
რად მიფარა, რადგან თეთრკანიანი ვიყავ, ვალი დადს მამჯო-
ბინა, ვინაც დააღალატა.

მე ასე გადმომცეს, ფორტ-ამარაში აჯანყებულები რომ
შეიჭრნენ, ჰქემ სინგპმა ისარგებლა არეულობით და გაიქცა,
მისი ორა მცველიც მიიმაღაო. სხვა დანარჩენზე ბაიბურშიც
არ ვიყავი.

შემდგომ კი მეც ამეხილა თვალები და ასე გასინჯეთ,
თვით ჰქემ სინგპსაც. ის ძველ დოსტებს მიაღვა, მაგრამ ბევრი
მათგანი უკვე ცოცხლებში აღარ ეწერა. დანარჩენებს ნირი
ეცვალათ. შიშმა თავისი გაიტანა და აღარც ახალგაზრდებმა
გამოიღვეს თავი. ჰქემ სინგპს ხომ აღრინდელი შარავანდელი
აღარ ემოსა. ყმაწვილკაცობა გამალებით ეწერებოდა ადგი-
ლობრივ მკვიდრთაგან შედგენილ პოლკებში, ანდა სახელმწი-
ფო უწყებებში პოულობდა თბილ ადგილს. ჰქემ სინგპი ვერ
უბოძებდა მათ ვერც პენსიას, ვერც ჭილდოებს და ვერც ძა-
ლაუფლებას... ვერაფერს, გარდა სახელოვანი სიკვდილისა.
ყველას ზარბაზნის ლულებს მიაკრავდნენ. ასეთ პატივს კი ჯან-
ყის თავი უცილობლად დასდებდა მათ.

ბერიკაცი წერდა წერილებს, დებდა აღთქმებს, მაგრამ ეს წერილები ხელში ჩაუვარდა პოლიციის ერთ მოხელეს. მან გასთქვა ქვემ სინკვი და ამ სამსახურისათვის ჩინ-მენდლებიც ჩამოაკიდეს და დააწინაურეს კიდევ.

ქვემ სინგვი დაჩაჩანაკდა. ცერეცოს ნაყენიც უღევი როდი იყო და მის სიტყვებს ცეცხლი მოაკლდა. ვერცხლის ჯამჭურჭელი ფორტ-ამარაში დატოვა თავის ფუშფუშა საბან-გობანთან ერთად. ოქროს პენსნიან ჯენტლმენს კი მიანიშნეს მისმა დამქარავეებლებმა — ქვემ სინგვას სახალხო ბელადობა აღარ უწერია და არამია მაგაზე დახარჯული ფულიო.

— უსახლვროა ამ ლენჩი საპიბების მოწყალება, — წარმოთქვა ქვემ სინგვამა, როცა საქმის ვითარება აუხსნეს. — ჩემი ნებითვე დავბრუნდები ფორტ-ამარაში. იქ პატივით მიმიღებენ. მომეცით რიგიანი ტანსაცმელი და გზას გავუდგები.

და აი, ერთ მშვეკიერ დღესაც ქვემ სინგვამა მიუქაკუნა ფორტ-ამარას ჭიშკარს. ეახლა კაპიტანსა და მის თანაშემწეს, რომლებიც კნალამ გააჭოლარჯვა სიმლადან სეტყვასავით წამოსულმა „ფრიად საიდუმლო“ გზავნილებებმა.

— მე დავბრუნდი, კაპიტან საპიბ, — წარმოთქვა ქვემ სინგვამა — ნულარ დამიყენებთ დარაჯებს, რამეთუ გარეთ სახარბიელო აღარაფერი მეგულება.

ერთი კვირის თავზე, როცა ქვემ სინგვი მოვინახულე, უკვე ვიცოდი, ვინ იყო იგი. თავი ისე ეჭირა, თათქოსდა ჩვენს შორის რაღაც ფარული შეთანხმება არსებელიყო.

— ძალიან კი იმარჯვეთ, საპიბ! — მითხრა მან. — დიდად აღფრთოვანებული ვარ თქვენი გამჭრიახობით. როგორ თამამად აღუდექით წინ ჯარისკაცებს. ისინი ხომ არ დამინდობდნენ და უეჭველად შუაზე გამგლეჯდნენ. ახლა ფორტ-ულტაგარკში იმყოფება ტუსალი, რომელსაც მამაცი კაცი სულ იოლად გააპარებდა იქედან. თუ გნებავთ, მე სილაზე გამოვხაზავ ფორტის ადგილმდებარეობას...

მე კი ამ დროს იმას ვფიქრობდი: ხომ მაინც მერგო-მეთქი ლალანის ვაზირობა.

ინდი ანაზდეულად ადიდდა. წინდლით ჯერ კდევე შესაძლო იყო მდინარის გაფონვა. მას ღამეს კი წყალი ხეთ მიღზე გაიტოტა, ამღვრეული და აზვირთებული ტალღები ამზღვევდა ნაპირებს და მდინარე, რომელსაც მთვარის შუქი დანათოდა, სულ უფრო და უფრო მატულობდა. ექვსი წვეროსანი მამაკაცი ეზიდებოდა მათთვის უჩვეულო ტვირთს. ისინი შედგნენ მორეცხილ ქვიშნარზე, საიდანაც მოიწყებოდა რიყის ქვებით მთლად გადათეთრებული ველი.

— ვინ გაღუვა განგების ნებას, — თქვეს მათ. — ასეთ ღამეში ნავითაც კი ვერ გადავალთ მდინარეს. უმჯობესია, ცეცხლი დავანთოთ და ვახშამი მოვამზადოთ. თავზევით ძალა აღარაა.

ისინი შეშფოთებულნი დასცქეროდნენ ჯალამბარს. სიკვდილს ებრძოდა ზედ დასვენებული კოტ-კუმპარსენის ციებაშეყრილი კომისარი.

ეს მან მოარჯულა საზღვართან მობინადრე ტომი და როცა კომისარს მათი უკარება მთების კალთებთან სნეულებამ დარია ხელი, სწორედ ამ ტომის ექვსმა მეომარმა უპატრონა და მოიყვანა აქამდე. მისი თანაშემწე, დარდისა და უპალობისაგან გულდამძიმებული და თვალმდასიებული ტალანტაური, ცხენდაცხენ მოჰყვებოდა ჯალამბარს. სამი წელი იმსახურა კომისარის ხელქვეითად და ისე შეეთვისა მას, როგორც სჩვევიათ ერთად ჭირგამოვლილ ადამიანებს. ტალანტაური ცხენიდან ჩამოხდა, ჯალამბარის ფარდა გადასწია და შიგ შეიხედა.

— ორდ, ორდ, გესმის ჩემი? ცდა მოგვიწევს, ვიდრე წყალი არ დაიკლებს. ბედმა გვიმტყუნა.

— მესმის, — მოისმა ძლივს გასაგონი ჩურჩული. — უნდა შევიცადოთ, მე კი ვფიქრობდი, ბანაკამდე გამთენიისას მივალწევდით.

ერთ-ერთი მეომარი ჩააჩერდა შორეულ ნაპირს, მკრთალად მოციმციმე სინათლე მოლანდა და ტალანტაირს ჩაულაპარაკა:

— იქ მისი ბანაკის კოცონი მოსჩანს. იქაა მისი ცოლიც. ისინი რიბირაბოზე გადმოვლენ მდინარეს. ნავები უვარგათ. ოღონდ ესაა, გააწევს კია საპიბი დილამდე?

ტალანტაირმა თავი გადააქნია. იარღლი-ორდი სულს დაფავდა. ღირდა განა მისი აფორიაქება იმ შეხვედრის ფუჭი იმედით, რომელსაც არ ეწერა აღსრულება...

მდინარე მოეხეთქა ნაპირს, შთანთქა დიდი ბელტები და უფრო ავად აღმუვლდა.

მზიდავებმა იწყეს უდაბნოში კაქაქის ძებნა კოცონისათვის — აგროვებდნენ იმ ხმელ ეკალნარს, აქლემი რომ ეტანება და მდინარეზე გადასვლის მომლოდინე მობანაკეთა მონაჩენ ფიჩხს. მათი აშურმა ბრწყინავდა, როცა ისინი უჩუმრად მიმოდიოდნენ მთვარიან ბინდბუნდში და ტალანტაირის მერაზნი ფრუტუნით ამცნობდა მათ, რომ უარს არ იტყოდა საძაგრავეზე.

— მეც შემამცივნა, — მოისმა ხმა ქალამბარიდან, — ვგრძნობ, დადგა ჩემი აღსასრული. საწყალი პოლი. — ტალანტაირმა საფარი გაუსწორა. ამის შემხედვარე ხოდა-დად-ხანმა მოიძრო ცხვრის ტყავის ღუნღლიანი ქურქი და ზედ გადააფარა.

— მე ცეცხლთანაც კარგად გავთბები, — თქვა მან.

ტალანტაირმა მკერდზე მიიკრა კომისრის ღონემიხდილი, დაუძლურებული სხეული. სიცივე არ უნდა მიაკარონ და იქნებ ერთხელ კიდევ ეღირსოს ცოლის ნახვა. ოღონდ, თუ სასწაული მოხდა და მდინარემ სამი ფუტი დაიკლო.

— ახლა უკეთ ვარ, — თქვა ორდმა მიღეული ხმით. — მომიტევეთ, თავს გაბეზრებთ, დასალევი არაფერი გაქვთ?

რძე და ვისკი მიაწოდეს. ორდი შეთბა და ბუტბუტი იწყო.

— სიკვდილის კი არ მეშინია, ცოლი მადარდებს და ჩემი

ოლქი. მადლობა ღმერთს, რომ ბავშვები არ გვყავს. დიკ, შენ ხომ იცი, ვალებში ვარ ჩაფლული. სამსახურის პირველ ხუთ წელს დიდი ვალი დამედო. პენსია მცირეა, მაგრამ ჩემი ცოლი იმყოფინებს, მას დედა ელის სახლში, უკან დაბრუნება კი გაუჭირდება.

— რა სალაპარაკოა, ხელს გავუმართავთ, — დაბეჯითებით წარმოთქვა ტალანტაირმა.

— ვინ იცის, იქნებ ქუდის ჩამოტარებამაც მოგიწიოს. ღმერთო ძლიერო, ახლა ვწვევარ და მაგონდება, რამდენი ვინმე ჩავარდნილა ამ დღეში. მოკვდა მორტენი, ის ჩემი კბილა იყო. მოკვდა წვრილშვილიანი შონესი. მახსოვს, თავს გვაბეზრებდა ხოლმე ბავშვების წერილების კითხვით. მოკვდა ვეანსი, იგი კოტ-კუმპარსენმა შეიწირა. მოკვდა რიკეტსი, მინდონაში მიაბარა უფალს სული... ახლა ჩემი ჯერი მოდგა. ადამიანი ამ მთებში კარტოფილის ბოლქვივითაა ჩაკარგული. ჰო, მართლა, ჩვენი სამოურავო ხუსრუ ხეილის ტომის ოთხი სოფელი ბეგარის შემცირებას ითხოვს ამ გაზაფხულზე. ეს სამართლიანი მოთხოვნაა, რადგან მოუსავლიანი წელი დგას, ყანები არ ვარგა. თვალი გეჭიროს, რომ თხოვნა შეუსრულონ. ფერისსაც მოეთათბირე არხის თაობაზე. ჩრდილო ინდოსტანის სოფლებს ეს ერთ რამედ უღირთ. როგორ მინდოდა მის დამთავრებას მოვსწრებოდი. ოღონდ ფერისი დიდი ბედოვლათი ვინმეა. შეჯანჯლარება უნდა. ამიერიდან შენ უნდა მართო ოლქი, ვინემ ჩემი შემცვლელი მოვიდოდეს. ისე კი ვისურვებდი სამუდამოდ გაგამწესონ ამ ადგილზე. აქაურ ხალხს ხუთი თითივით იცნობ. არადა, მაინც ბულოუზს დანიშნავენ ალბათ. არაა ურიგო კაცი, მაგრამ საზღვარზე სამუშაოდ ეგ არ ივარგებს, თანაც ღვთისმსახურებს ვერ ეწყობა. თვალი გეჭიროს ჯაგაელ ბრუტიან მოლაზე. მის შესახებ ჩემს ქაღალდებშიც წერია... მგონი, ისინი სკივრში უნდა ელაგოს, სამხედრო სამოსელთან ერთად. მოუხმე ხუსრუ ხეილის ხალხს. უკანასკნელი სიტყვა მსურს ვუთხრა. ხოდა-დად-ხან!

ჯალამბართან ბელადი მიიჭრა, მას მიჰყენენ დანარჩენნიც.

— ხალხნო, მე ვკვდები, — წარმოთქვა ორდმა ადგილობრივ კილოკავზე. — აწ ველარ იხილავთ ორდ-საჰიბს, რომე-

ლიც ყურებს გიწევდათ და გიშლიდათ საქონლის ტაციობას.

— ეგ არ იქნება! — ხმადაბლა დაიბუბუნა დასტამ. —
ლმერთი შეეწევა საპიბს.

— არა, ის მოკვდება და მხოლოდ მაშინ შეიტყობს ვინ
ამბობდა მართალს, მუჰამედი თუ მოსე. ოლონდ თქვენ სიკე-
თის გზაზე უნდა ვლიდეთ, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები.
ყოველმა თქვენგანმა ძველებურად უნდა იხადოს ხარკი. მე
ვიშუამდგომლე, რომ სოფლებს წელს შეღავათი გაუწიონ.
მთიელებმა ხელი უნდა ააღონ საქონლის ტაციებას, ერთმანე-
თის ქოხების გადაბგალვას და ყური არ ათხოვონ იმ მქადაგებ-
ლებს, რომელთაც ხელისუფლება თვალში ეპატარავებათ და
ხალხს დამლუპველი ომისაკენ მოუწოდებენ. ამ ომში ერთი-
ნად გაიყუჩება თქვენი ხალხი, მოსავალსაც უცხო ტომი გა-
ზიდავს. ქარავენების ძარცვასაც უნდა მოეშვათ და აბრაგობა-
საც, იარაღი საპოლიციო პოსტზე უნდა დატოვოთ ხოლმე,
როცა ბარში ჩახვალთ. თქვენთან იგულეთ ტალანტაირ-საპიბი.
იმას კა ველარ გეტყვი, ჩემ ადგილს ვინ დაიკავებს. ნაღდს
გეუბნებით, შეილებო, და დამეჭვრება, მე ხომ ცოცხლებში
აღარ ვითვლები. შეილებს გიწოდებთ, ვაეკაცი კი ხართ, მაგ-
რამ მაინც ბალები გეთქმით.

— შენ კი მამა ხარ ჩვენი და დედა, — შეჰლაღადა ხოდა-
დად-ხანმა. — რა გვეშველება, ვინლა იქნება ჩვენი ქომავი და
დამრიგებელი?!

— აქ დარჩება ტალანტაირ-საპიბი, იმას მიენდეთ. მას
ესმის თქვენი ენა და თქვენს გულისთქმასაც კარგად ხვდება.
დააშოშმინეთ ახალგაზრდები, ყური მიუგდეთ უხუცესებს და
მორჩილებდეთ მათ. ხოდა-დად-ხან, გამომართვი ეს ბეჭედი,
საათი და ძეწკვი. ჩემს ძმას გადაეცი. გაუფრთხილდი ამ ნიე-
თებს ჩემი ხათრით... პირობას გაძლევ, რომელი ღმერთიც არ
უნდა ვიხილო, ასე ვეტყვი, ხუსრუ ხვილის ტომის ხალხი კარ-
გი ხალხია-მეთქი. ახლა კი ნება მომიცია თქვენ გზას ეწიოთ.
დამტოვეთ მართო.

ხოდა-დად-ხანმა ჩამოიცივა თითზე ბეჭედი და რა მოესმა
მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები, ხმამალა ამოიოხრა.

მისმა ძმამ მდინარეს გაღმითა მხარეს გახედა. მოიწყო გან-

თიადი და უეცრივ მდინარის მქრქალ ზედაპირზე თეთრი ლაქა დაჩნდა.

— ის მოდის, — ყრუდ ჩაილაპარაკა ხოდა-დად-ხანის ძმამ. — გააწევეს განა საპიბი კიდევ ორ საათს?

მან ამოიძრო ქამრიდან ორდის მიერ მიცემული საათი და მართალია, ამაებისა არაფერი გაეგებოდა, ინგლისელთა მიზანვით მაინც უაზროდ დახედა საისრეს.

ორი საათის განმავლობაში ბორიალობდა ქარით გაბერილი აფრა ტალღებში. ტალანტაირს კვლავ ჩახუტებული ჰყავდა ორდი და ხოდა-დად-ხანი უზელდა ფეხებს. ორდი ხამუშ-ხამუშ ოლქს ახსენებდა ხოლმე და ცოლს. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა აღსასრული, მით უფრო ხშირად ადგა პირზე ცოლის სახელი.

მხლებლები იმედოვნებდნენ ორდმა არ უწყოდა, მისი ცოლი სიცოცხლეს რომ იგდებდა საფრთხეში და მორყეული ნავით მოისწრაფოდა აქეთკენ.

მაგრამ მომაკვდავს საოცრად გამახვილებოდა წინათგრძნობა. მკლავებიდან გამოუსხლტა ორდი ტალანტაირს, ფარდებს იქით განედა და დაინახა მოახლოებული აფრა.

— ეს პოლია, — ვითომდაც არაფერიაო, ისე წარმოთქვა მან, თუმცა სულთმობრძავს სასიკეთო პირი აღარ უჩანდა.

— პოლი, რა ოინი მიყო ბედმა... დიკ, შენ მოგწევეს ყველაფერი უამბო...

ერთი საათის შემდეგ ტალანტაირი ნაპირზე დაუხვდა კუბოკრული საცხენოსნო ტანსაცმლითა და ფართოფარფლებიანი ქუდით მორთულ ქალს, რომელმაც მიატირა. ქალი იგლოვდა თავის ქმარს, თავის ნანდაურს.

ამის შემხედვარე ხოდა-დად-ხანი ჩაემხო ქვიშაში და ხელები სახეზე აიფარა.

II

ეს მოსაზრება მეტად სადა და მახვილგონივრული გახლდათ: შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწის სახელის მოპოვება, ქვეყნის მმართველად ამ ქვეყნისავე მკვიდრის და-

ნიშვნა და ამით ხალხის გულის მონადირება — ამაზე იოლი რამე იყო განა? მისი უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის ორასი მილიონი მადლიერი ადამიანიც სამარადჟამო ქებათა-ქებას აღუვლენდა მას.

მეფის ნაცვალთაგან უუმალლესის შესაფერად იგი გულგრილი იყო ქებისა თუ განქიქებისადმი. მმართველობა და ფუძნებული ჰქონდა მკაცრ პრინციპზე, რომელსაც არასოდეს ღალატობდა. მისმა კალამმა და მკვევრმეტყველებამ შექმნა ახალი ინდოეთი, შექმნა ერი, თანატოლი სხვა ერებისა. მისი საკუთარი პირმშო გახლდათ ეს ქვეყანა. ამიტომაც მეფის ნაცვალთა შორის უდიადესმა ყურადილო მათი რჩევა, ვინც დასახელა იარღლი ორდის შემცვლელი.

ბენგალიაში მომსახურე სამოქალაქო პირთა შორის იყო ერთი კაცი, თავისით რომ დაიმკვიდრა ადგილი საზოგადოებაში. ამას დაასართა ინგლისის შვილებთან ღია პაექრობაში მოპოვებული სამეცნიერო ხარისხიც. ეს იყო განათლებული, მაღალ საზოგადოებას მიკუთვნებული პიროვნება და თუკი ხალხის ნათქვამს დაეჭვრება, ბრძნულად და, რაც მთავარია, გულისხმიერად მართავდა სამხრეთ აღმოსავლეთ ბენგალიის მჭიდროდ დასახლებულ კუთხეს. ის ნამყოფი გახლდათ ინგლისში და მოხიბლული ჰყავდა კიდევ იქაური საზოგადოების ერთი ნაწილი. სახელად ერქვა, თუკი მეფის ნაცვალს მეხსიერება არ ღალატობდა, გრიშ ჩანდარ დე, ხელოვნების მაგისტრი. ერთი სიტყვით, ვის შეეძლო წინაღდგომოდა ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანის ასეთ კანონიერ დანიშვნას ხალხისავე მმართველად. მეფის ნაცვალი თვლიდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ბენგალიაში თავისუფლად შეიძლებოდა ვინმე ახალგაზრდა ბენგალელის გამწესება. ხოლო გრიშ ჩანდარ დე, რომელმაც ძალზე საზრიანი ბროშურა დაწერა სახელმწიფოს მართვაში გულისხმიერების როლის შესახებ, უნდა გადაეგზავნათ ჩრდილოეთში, კოტ-კუმპარსენში.

მეფის ნაცვალი ერიდებოდა ქვემდებარე თანამდებობაზე დანიშვნის საკითხში ერთპიროვნულ ჩარევას. მას სურდა ყველა მიეხვედრებინა, რომ ასეთ ვითარებაში იგი მხოლოდ რჩევებს იძლეოდა. მიუხედავად რასობრივი განსხვავებისა, ხე-

ლოვნების მაგისტრი მისტერ გერიშ ჩანდარ დე უმეტეს ინგლისელი გახლდათ, ვიდრე თვით ინგლისელები. მას გააჩნდა განსაკუთრებული მიდგომა და გამჭკრიახობა, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო მოხელეებიც კი მხოლოდ სამსახურის ბოლო წლებში იძენენ.

მკაცრთა, შევწვერა გამგებელთა, სათათბირო მაგიდას რომ უხსდნენ, არ მოიწონეს არჩევანი, რამაც მეფის ნაცვალთა შორის უდიადესი წონასწორობიდან გამოიყვანა და ბავშვივით გააჭიუტა.

— ეს მოსაზრება თითქოს ჭკუასთან ახლოა, — ამოთქვა გამგებელმა წითელი პროვინციებისა, რომელსაც განეკუთვნებოდა კოტ-კუმპარსენი. მას თავისი ანგარიშები ჰქონდა. — სიძნელე მარტო ის გახლავთ, რომ...

— ალაგმეთ ოლქის მოხელეები, ამოუყენეთ მხარში ორი ნაცადი, მედეგი თანაშემწე, დაუნიშნეთ, აგრეთვე, საუკეთესო მოადგილე პროვინციაში. პირველყოვლისა, ლეთისმოშიშობა ჩაუნერგეთ ხალხს და თუკი საქმე მაინც ვერ მოგვარდა, აიღეთ და ყველაფერი თანაშემწეებს დააბრალეთ. საბოლოოდ კი ყოველივე ეს მაინც ოლქის კომისრის თავზე გადატყდება, — ისეთი დაუფარავი მოურიდელობით წამოისროლა უქარქაშო ხმლის ორდენის კავალერმა, რომ წითელი პროვინციების მმართველი უნებურად შეკრთა.

ერთმანეთს უსიტყვოდ მიუხვდნენ და გარიგებაც თავისთავად მოხდა.

უნდა ვალიაოთ, რომ ინდოეთის საზოგადოებრივმა აზრმა სათანადოდ ვერ შეაფასა მეფისნაცვლის ეს ბრძნული გადაწყვეტილება. არ დააყოვნეს მოსყიდულმა გაზეთებმაც, რომლებიც ბიუროკრატიის აშკარა მსახურნი არიან — არ დაკმაყოფილდნენ მარტოდენ იმაზე მინიშნებით, რომ მისი ბრწყინვალეობა ჭკუამოკლეა, მეოცნებე და დოქტრინიორი. მას დასწამეს ყველაზე უარესი — ხალხის სიცოცხლე არაფრად ენალვლებო.

კალკატაში გამომავალი „მეფის ნაცვლის ცნობარი“ ერთის ამბით მადლობას უხდოდა მას და დითირამებს აფრქვევდა: „ჩვენმა საყვარელმა მეფისნაცვალმა ამჯერადაც თავისდა სა-

სახელოდ ცხადყო ბენგალელი ხალხის საამაყო უნარი — უნარი იმ პროვინციების ადმინისტრაციული და სახელმწიფოებრივი პოსტების გაძლოლისა, რომლებიც ჩვენი საზღვრებისა და მხედველობის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. წამითაც ეპვი არ გვეპარება, რომ ჩვენი შესანიშნავი თანამოქალაქე, ესკვაირი, ხელოვნების მაგისტრი, გრიშ ჩანდარ დე დაიცავს ბენგალელთა ღირსებას, მიუხედავად ცდებისა ზურგსუკანა ხრიკებით სახელი გაუტეხონ იმ თავმომწონე მოქალაქეთა შორის, ვისაც მოუწევს მათთვის უკადრისი ადგილობრივი მკვიდრის ხელქვეითობა და მისი ბრძანების შესრულება. რას იტყვით ამაზე, ბატონებო? ვეედრით ჩვენს ძვირფასს მეფისნაცვალს, რომ მალლა დადგეს რასობრივ ცრურწმენასა და პოლიტიკურ სიბეცეზე და ჩვენს გამორჩეულ სამოქალაქო მოხელეებსაც ისეთივე ანაზღაურება დაუნიშნოს და იმგვარი შეღავათებიც მისცეს, როგორადაც გალაღებულნი არიან მათზე უფრო სვებედლიანი თანამოძმენი“.

III

— როდის აპირებს ეს კაცი შეუდგეს მოვალეობის აღსრულებას? ახლა მარტო დავრჩი და ასე ვატყობ, მის ხელქვეითად ყოფნისას სიმხნევე მმართებს.

— იქნებ სხვა სამუშაოზე გადასვლა გიჯობს? — გამომცდელად ჩაეკითხა ბულოუზი. მერე მხარზე დაადო ხელი ტალანტიარს. — ჩვენ ყველანი ერთ უღელში ვართ შებმული, ნუ გადაგვიდგები, ისე, კაცმა რომ თქვას, აქ რა დაგრჩენია, თუკი შეგიძლია სხვა ადგილის შოვნა.

— აქ მუშაობდა ორდი, — უბრალოდ თქვა ტალანტიარმა.

— მერე რა, ახლა დე იმუშავებს — ბენგალიის ჰეშმარიტი შვილი. კანონთა კრებულებით და სასამართლო პროცესებით აქვს ტვინი გამოტენილი. ისე კი, მოხელის პირობაზე შესანიშნავი აღამიანია და სასიამოვნო თანამოსაუბრეც. ამ კაცს ყოველთვის დაკას მხარეს, მის მშობლიურ კუთხეში ამუშავებდნენ. იქ ცხოვრობდნენ ხომ მისი დები, ბიძაშვილ-დეიდაშვი-

ლები და დეიდები. დემ ეს ადგილი ლამის საოჯახო ნაკრძალად აქცია. ქვეშევრდომებს როდი ზღუდავდა. გასაქახს აძლევდა, ცხოვრების სახსარი ემოვათ. ამიტომაც იქაურები ლამის ფიცულობენ მის სახელს.

— მე ის მაფიქრებს, რა პირით ვუთხრა ოლქის მცხოვრებლებს, რომ ქვეყანა ბენგალელებმა უნდა მართონ, იქნებ ვინმეს ჰგონია, ხუსრუ ხეილის ტომი ყურსაც არ გააბარტყუნებს, როცა ამას შეიტყობს? რას იტყვიან ამაზე მაჰმადიანთა სოფლების უხუცესნი, რანაირად იმსახურებს მუზბი სიქებისა და პათჰანებისაგან შემდგარი პოლიცია მისი ზედამხედველობის ქვეშ? ჩვენ არაფერს ვიტყოდით ამ პოსტზე მთავრობას თუნდაც მეეზოვე რომ დაენიშნა. ჩემი ხალხი კი დიდ ყალილას ატეხავს, თავად უწყი. რას მიქარავენ, ნეტავი?

— ჩემო კარგო, ზეპირად ვიცი ეს ყველაფერი და უფრო მეტიც. როცა ჩემი მოსაზრებები გამოვთქვი, მითხრეს, რა ბავშვურად მსჯელობთო. ღმერთმანი, თუკი ხუსრუ ხეილის ტომი მარტოდენ ყაყანს დასჯერდება, არა მცნობია მათი ხასიათი და ეგ არის. ასე ჩანს, მთელი ოლქი შენ დაგაწვება კისერზე და მეც იძულებული გავხდები ღვთის ანაბარად მივაგდო ჩემი სამუშაო და შეგენაცვლო ხოლმე. ასე რომ, ბენგალელს შენივ სასიკეთოდ, ყოველდღიურად უნდა შეუწყო ხელი.

— ორდის ხათრით, თორემ მე ეს ყველაფერი ორ შაურადაც არ მიღირს.

— ნუ სულელობ. ღმერთმანი, ეს ძალზე სამწუხაროა და მთავრობა ადრე თუ გვიან მიხვდება ამას. ამიტომაც გულს ნუ გაიტეხ, უნდა ეცადო, როგორმე უპატრონო შენს ოლქს. უნდა იშუამავლო კიდევ ბენგალელსა და ხალხს შორის. შეძლებისდაგვარად უნდა აარიდო იგი ათასგვარ მოსალოდნელ დამცირებას. გმართებს სწორ გზაზე დააყენო და ყოველნაირად გაწაფო საქმეში. ხუსრუ ხეილი დააშოშმინე და ჩააგონე პოლიციის უფროს კურბარს ფხიზლად იყოს. მე სატელეგრაფო ჭიხურიდან ფეხს არ მოვიცვლი და მზად ვარ ჩემი სახელი ვანაცვალო ოლქის ინტერესებს. ისე, არც შენ დაგადგება კარგი დღე. შენი სახელიც შეიბღალემა, რალა თქმა უნდა. თუკი შეს-

ძლებ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩააყენო, და ბენგალელ-საც კეტებით დაზილვა ასცდა, მაშინ ყოველგვარ პატივს მოიმკის. ფეხს თუ წაიტეხს, აი, მაშინ კი ჯოხი შენ თავზე გადატყდება. ბრალს დაგდებენ, რომ არ უერთგულე ბოლომდე.

— მე ვიცი ჩემი საქმე, — თქვა ტალანტირმა დაღლილი ხმით, — და ცდას არ დაეაკლებ. ოღონდ ეს იოლი არ გეგონოს.

— ხელი გაანძრიეთ და ალაპიცი შეგეწევათო, — ასე იტყოდა ხოლმე ორდი, როცა საქმეს უჭირდა.

და ბულოუზმა ცხენს მათრახი ჰკრა.

უცნაური და სევდისმომგვრელია ის ფაქტი, რომ მისი უდიდებულესობის სამსახურში მყოფი ორი ჩენტლმენი ასე სჯიდა მესამე, განათლებულ, ზრდილ და თანაც ძალზე გულითად ადამიანზე.

მაგრამ, აბა, ყური მიუგდეთ კლდეზე ფეხმორთხმულ ბრმა მოლას ბეუტურს.

ხუთი წლის წინათ ინგლისელთა ქვემეხიდან როყიოდ ნატყორცნმა ყუმბარამ მიწა შეაყარა მას თვალეზში. ეს მაშინ იყო, როს გპაზები არ შეეპუნენ ბრიტანელ ხიშტებს.

მოლა დაბრმავდა და ამ ერთმა შემთხვევამ როდილა მოუბრუნა გული ინგლისელებზე.

იარღლი ორდმა იცოდა მოლას ამბავი და ბევრჯერ გაუტრიზავებია კიდევც.

— ძალღებო თქვენა, — უთხრა ერთხელ თვალდავისილმა მოლამ კოცონის ირგვლივ შემოკრებილ თვისტომებს. — ქუჩის ძალღებო! ორდ საპიბს უჯერებდით, მამას ეძახდით და ისე ექცეოდით, როგორც შვილებს შეპტერის, ინგლისის მთაფრობამ კი გიყოთ სეირი. ალბათ გაიგებდით, ორდ საპიბი მოკვდა.

— აი, აი, აი! — გაისმა ექვსიოდე ადამიანის ხმა.

— ის ნამდვილი ვაჟკაცი იყო. როგორ ფიქრობთ, ვინ დაიჭერს მის ადგილს? ალბათ, ბენგალელი — ეგ სამხრეთელი თევზიყლაპია.

— ცრუობ! — ჩაერია ხოდა-დად-ხანი. — შენ რომ მოლა არ იყო, თოფის კონდახს ჩაგთხრიდი პირში.

j

— ოპო, შენც აქა ხარ, ინგლისელების თითლიბაზო? გარ-
ქე ხეალვე საზღვარზე და ორდ-საპიბის შემცვლელს შესთა-
ვაზე შენი სამსახური, წულები წაიძრე ბენგალელის კარვის
წინ და ძღვენი ჩაუჭუჭყე მურიან ხელებში. მე ვაცი, მაინც
ასე იზამ. ჩემს ახალგაზრდობაში თუკი ვინმე ყმაწვილკაცი
უდიერად მიმართავდა მოლას, ვინც იცავს ზეცისა და ქვესენ-
ლის ბქეებს, მაშინ უჩვენებდნენ, როგორ უნდა პირში თოფის
კონდახის ჩაჩრა.

თვალდავსებულ მოლას ჭირივით სძულდა ხოდა-დად-ხა-
ნი, ისინი ხომ ერთმანეთს ეცილებოდნენ ტომის წინამძღოლო-
ბას. ხალხს რიდი ჰქონდა ორთავესი. ერთის ღონისა ეშინო-
დათ, მეორისა კი სულიერი ძალმოსილება ზაფრავდათ. ხოდა-
დად-ხანმა დახედა ორდის ბეჭედს და ჩაიბუზღუნა: მე წავალ,
ხომ არ ავყვები ამ გამორჩერჩეტებულ ბეხრეკს, ხალხს რომ
ინგლისელთა წინააღმდეგ ამხედრებს. თუ მთავრობა მართლა
გადაცდა ჭკუიდან და ასე მოიქცა, მაშინ...

— მაშინ, — ამოაყრანტალა მოლამ, — შენ წაასხამ ახალ-
გაზრდებს და თავს დაესხმი ოთხ სასაზღვრო სოფელს.

— ანდა შენ მოგიგრეხ კისერს, შე ყიამყრალო შავო ყო-
რანო.

ხოდა-დად-ხანმა თავისი გრძელი თმები ზეთით საგულდა-
გულოდ გაიპოხა, შემოარტყა საუკეთესო ბუხარული ქამარი,
დაიხურა ახალი ჩალმა, ჩაიცვა ზიზია, მწვანე წულები და რამ-
დენიმე ამფსონის თანხლებით დაეშვა მთებიდან, რათა სტუმ-
რებოდა კოტ-კუმპარსენის ახალ კომისარს.

საჩუქარიც წაიმძღვანა — ოთხი თუ ხუთი ფასდაუდებელი,
თეთრ ხელსახოცში გამოკრული, აკბარის დროინდელი მოჭუ-
რი. კომისარი მიიღებს ამ ძღვენს და ტომს შეღავათს გაუწევ-
სო, ფიქრობდა.

ეს პატარა დარბაზობა იმის მანიშნებელი იყო, რომ ხოდა-
დად-ხანის პირადი პასუხისმგებლობით ხუსრუ ხეილის ტომი
ერთხანს ჭკუით იქნებოდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში,
თუკი ავღანელს თვალში მოუვიდოდა კოტ-კუმპარსენის ახა-
ლი კომისარი.

იარღლი-ორდის დროს ასეთი სტუმრობა მთავრდებოდა

ხოლმე გულუხვი გამასპინძლებით, მარადიული მეგობრობის უგულითადესი აღთქმებით. სჯულით აკრძალული სასმელიც უხვად დიოდა რაღა თქმა უნდა.

მერმე ხოდა-დად-ხანი ამაყად შემოიმართებოდა თავის სამფლობელოში და ხოტბას აღუვლენდა ორ თავადს, ორდ-საპიბსა და ტალანტაირს, და ირწმუნებოდა, თუკი ვინმე შებე-დაეს და გაითარეშებს ინგლისის სამფლობელოში, მას ცოცხ-ლად გააძრობენო ტყავს.

კომისრის კარავი ძველ ადგილას იდგა. ხოდა-დად-ხანმა მოურიდებლად შეაბიჯა ღია კარში და აღმოჩნდა ზრდილი, წარმოსადეგი, ინგლისურ კოსტიუმში გამოწყობილი ბენგალე-ლის წინ, რომელიც მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა.

ხოდა-დად-ხანს ვერაფრით დააჯერებდით, რომ განათლება აკეთილშობილებს ადამიანს, მის თვალში განსწავლულობას ფასი არ ჰქონდა და მაგიდასთან მჯდომი კომისარი ყოველად საზიზღარ, საძულველ ორფეხად, ბაბუდ მიიღო.

— ოჰო, — მხიარულად წარმოთქვა მან. — სადაა შენი ბა-ტონი ბაბუჯი?

— მე კომისარი ვარ. — ინგლისურად მიუგო ჯენტლმენმა.

და სწავლა-განათლებით გაყოყორებული ეს კაცი სახეში მიაჩერდა ხოდა-დად-ხანს.

ვისაც ადრეული ბავშვობიდან არაერთხელ უხილავს სა-სიკვდილო ბრძოლა-ჰიდილი, გინც ადამიანს ქათამივით გამოს-ჭრის ყელს — კაცს ქედმაღალსა და ამპარტავანს — ბენგალე-ლი რომ ყურმოჭრილ მონად მიუჩნევია, ინდოეთი კი საკუთა-რი ფეხის ფრჩხილადაც არ უღირს — აგრე იოლად აბუჩად ვერავინ აიგდებს. იგი თვალის ერთი შევლებითაც კი დაჯაბ-ნის მდიდრულ ოჯახში აზიზად ნაზარდ, ოქსფორდის უნივერ-სიტეტის სტუდენტს, ვისაც ძილის წინ დედა ზაფრავდა ხოლ-მე ავღანეთისა და შავი ჩრდილოეთის საზარი თქმულებებით, არსებას, რომელს ტკივილისა ისევე ეშინია, როგორც ზოგ ადამიანს შეცოდებისა.

ოქროსჩაჩროიანი სათვალის მინებიდან მომზირალი თვა-ლები ძირს დაიხარა. ხოდა-დად-ხანმა ჩაიხიბხითა, შემობრუნ-და და იქვე მდგომი ტალანტაირი დალანდა.

— აჰა, — აგდებულად თქვა მან და მონეტები დაუყარა წინ, — აიღე და მიე მაგას, არამი იყოს. ოღონდ ერთი რამე მითხარი, საპიბ, ნუთუ მთავრობა მართლა შეიშალა და ეს შავი ბენგალელი ძალლი გამოგვიგზავნა? ან მე როგორ უნდა ვიმსახურო მასთან, ან შენ?

ტალანტირისათვის მოულოდნელი არ იყო ეს საყვედური.

— ეს ბრძანება გახლავს, — უხალისოდ ჩაილაპარაკა მან. — ის ძალზე გონიერი ს... აპიბია.

— როგორ, ეგაა საპიბი? ეგ კალა აღმია — შავი კაცი. ეგ იმის ღირსიც არაა, ვირს მისდევდეს უკან კუდში ხელჩაკიდებული. ვინდა არ არბევდა ბენგალიას; ასე სწერია თურმე წიგნებში. შენც მოგეხსენება, თუკი ჩრდილოელებს ქალები მოუნდებოდათ ან ნადავლი, მყის ბენგალიას მიაშურებდნენ. ახალი საპიბიო? მერე ვის შემდეგ, ორდ საპიბის შემდეგ! ეს რა ბავშვური ლაილია. ვაგლახ, როდი ცრუობდა თერმე ბრუტიანი მოლა.

— რა თქვა შენმა მოლამ, — ჩაჰკითხა დაექვებულმა ტალანტირმა. იგი ვერ იტანდა ამ ჩაშრეტელთვალეზიანსა და ენადაგესლილ ბებრებს.

— მე მდინარის პირას მომაკვდავ ორდ-საპიბს შეეფიცე ერთგულება. ახლა რაღა გამოდის — ინგლისი კი არა, ბენგალია ყოფილა ამ კუთხის ბატონ-პატრონი!

— აქ ვიმყოფები მე, — წარმოთქვა ტალანტირმა, — და მე გახლავარ ინგლისის მაჰარანის მსახური.

— მოლა კი ამბობდა, რაკი ორდ-საპიბი გვიყვარდა და ვმორჩილებდით, მთავრობამ ახლა სულ აგვიგდო და ეს ღორი არ დაგვასვა თავზეო?! ისიცა თქვა, ყველა თეთრ ჯარისკაცს უკან გააბრუნებენ, ინდუსების დრო ღვებაო.

ასეთი დიდი ქვეყნის მმართველობა ხუმრობა საქმე როდია. რაც აგრე იოლად განსახორციელებელი ჩანს კალკატაში, ასე უდავო და უჭოქმანო ბომბეიში, აგრერიგად მისაღები მადრასში, ჩრდილოეთში სხვაგვარად განიმარტება, ინდის ნაპირებზე კი სულ სხვანაირად წარმოჩინდება ხოლმე. ხოდა-დადხანი ნათლად და გარკვევით მიანიშნებდა, რომ ვერაფერს გახდებოდა იმ აცვევნილ თანამემამულეებთან, რომელთა ბელადიც

თვალდავისილი მოლა გახლდათ. ღმერთმა უწყის, რას მოიმოქმედებენ ისინი — მათ ხომ ახალი კომისრის სახელის გაგონებაც კი არ უნდათ. დარწმუნებული კია ტალანტიანი, რომ თუ საზღვარზე ჯანყმა იფეთქა, ოლქის ჯარები შესძლებენ მოთარეშეთა ალაგმვას?

— უთხარი მოლას, რომ ასეთი ლაყბობით, შესაძლოა, დაღუპვის პირამდე მიიყვანოს თავისი ხალხი, — მოკლედ მოსცრა ტალანტიანმა, — თავებდს აწყველინებენ საზღვრების დარღვევისა და დაღვრილი სისხლისათვის. მაგრამ რისი შნო მოგცა ღმერთმა, შენს სიტყვას სათათბიროში რაღა ფასი აქვს.

ხოდა-დად-ხანმა ხმა არ გაიღო. მან შეიტყო ის, რისი გაგებაც სწადდა და დაბრუნდა მთებში.

იქ მას იქედნური ქათინაურები უკმია მოლამ, ბანაკის კოკონთან მწარედ რომ ამარმალებდა ენას.

17

წარმოიდგინეთ, აბა, თქვენთვის უცნობი ოლქი კოტ-კუმპარსენი.

ინდის მიერ სიგრძივ გადაკვეთილი ეს ადგილი გაწოლილი იყო ხუსრუს მთაგრეხილის ძირას, ქვებით მოყრილი მწირი მიწების მიჯნებთან.

ამ ვრცელი უბნის მოსახლეობა მიუთვლიდა თითქმის ორასი ათას კაცს და ოლქს დაკისრებული ჰქონდა საკმაოდ დიდი გადასახადი იმ მიწისათვის, რომლის ნახევარზე მეტიც ვერან უდაბნოდ იყო ქცეული. არადა მიწათმოქმედნი სულაც არ გამოირჩეოდნენ თვინიერი ხასიათით. ქვამარილის მტეხელებიც დიდი ჩხუბისთავი ხალხი გახლდათ. მესაქონლეები ხომ მთლად აცვევნილები იყვნენ.

ოლქის კიდევებში ჩაშენებული საპოლიციო პოსტისა და ალიზისაგან ნაგები პატარა სიმაგრის ყარაული კრიკაში უდგა მარილის მაქურდალებსა და საქონლის პარიებს. იმათთან ხომ ვერაფერი გააწყეს სამოქალაქო მოხელეებმა. უფრო ქვემოთ

ჩანდა ჯამალა — ოლქის შტაბი — უბადრუკი, სახურავ დაცხა-
ვებული, კარით შეფეთქილი ბელლების რიგა, სადაც წვიმა
გრიალით ჩადიოდა. ეს ქობმახები, რომლებიც ზაფხულობით
გავარვარებულ ლუმელებს ემსგავსებოდა, ქოთდა სნებიანი
შშორით. ამ ბელლებს დაცინვით ბინებს ეძახდნენ.

სწორედ ამ ადგილისაკენ ექირა გეზი გრიჩ ჩანდარ დეს.
ბენგალელებს პუდელის ჭიშის ძაღლებივით იშვიათად თუ
შეხვდებით საზღვრის მცხოვრებთა შორის, რომლებიც ერთ-
მანეთს თავებს აკლიან გაწალდული ბარებით და განურჩევ-
ლად სცემენ თაყვანს ინდურს თუ მაჰმადიანურ კერპებს.

ისინი მიესივნენ ჩამოსულს, თითს აშვერდნენ, ხან მაკე
კამეჩს ადარებდნენ, ხან ჯაგლაგ ცხენს — იმისდა მიხედვით,
თუ სადამდე გასწვდებოდათ ხატოვანების მწირი მარაგი. მას-
ხარად იგდებდნენ მომყოლ პოლიციელებსაც — ბულასავით
სიქებებს, ეკითხებტრდნენ, რამდენ ხანს უნდა ზილოთ ზურგით
ეგ ბენგალელი მაიმუნიო. იმასაც იძიებდნენ, ცოლები თუ
ახლდათ თან და მოძღვრავდნენ, ღმერთი არ გაგიწყრეს, ჩვენი
ქალებისაკენ თვალი არ გაგექცესო. ერთმა დანაოქებულმა,
გზის პირას მოყურყუტე კუდიანმა ხელი შემოიკრა გამხმარ
ძუძუებზე და როცა კალა აღმმა გვერდით ჩაუარა, შეიცხადა:

— ძუძუ მიწოვებია ექვსი დევივით ვაეკაცისათვის, ექვსი-
ათასი ასეთი ბედოვლათი ლუკმადაც რომ არ ეყოფოდათ,
მაგრამ მთავრობამ იმათ ტყვია ჰკრა, ეგ კი ტახტზე წამოსვა.

ჩასკვნილი, ცისფერჩაღმიანი მკედელი გაეპასუხა:

— იმედი არ გადაიწყვიტო, დედილო, იქნება ეგეც უკან
მიჰყვეს შენს ნაბუშრებს.

კუდა სოკოებივით ჩაწკაპული ყავისფერი ბავშვები ცნო-
ბისმოყვარეობით შემზერდნენ ყველაფერ ამას. მათ ძაღზე
უყვარდათ ორდ-საპიბის კარავში შეძრომა, სოხანეზე ხომ სა-
კენკივით უხვად ეყარა სპილენძის ფული. თანაც იქ იმდენ
ამბებს ისმენდნენ, ამის ნახევარიც კი არ ექნებოდათ მათ დე-
ლებს გაგონილი.

ამ შავტუხა სქელუას ეცოდინებოდა განა, როგორ დააძრო
ლოჯები პირ პრითმა ათ ეშმაკს, ან ვინ აზიდა და დაზზავა
დიდრონი ლოდები ხუსრუს მთავრეხილზე. ანდა რას იზამდა

დიდი რუხი მგელი, თუკი სოფლის კიშკრიდან შუალამისას გასძახებდნენ — ბაღლ დჰასი მოკვდაო.

ამასობაში გრიშ ჩანდარ დე გაცხარებით ჩასჩინებდა რაღაცას ტალანტიარს. იგი თვით ინგლისელზე უმეტეს ინგლისელის კილოთი უყვებოდა ოქსფორდზე, „მშობლიურ ინგლისზე“, ამასთან ამჟღავნებდა წიგნებში ამოკითხულ ცოდნას სტუდენტთა ღრეობების, კრიკეტის მატჩების, ნადირობასა და ინდოელთათვის მიუღებელ სხვა ბიწიერ გასართობთა შესახებ.

— ამ ყმაწვილებს მაგრად უნდა ამოვლოთ ლაგამი, — რამდენიმეჯერ გაიმეორა მან შეშფოთებით, — ოლქის მმართველობის სადავეები არამცდაარამც არ უნდა მოვუშვათ.

ცოტა ხნის შემდეგ ტალანტიარს მოესმა დებენდრა ნათ დეს ხმა, რომელმაც ძმურად გაინაწილა თავისი სახლისკაცის ბედი, იმ იმედით, მისი მრჩეველი შევიქნებო. მან ბენგალურად ჩაულაპარაკა — ჩემო ძმაო, დაკაში ხმელი თევზის ფცქვენა გერჩივნოს დელიში ქარქაშიდან ამოწვდილ ხმალის ქნევას. ეს ხალხი ეშმაკთანაა წილნაყარი და ყოველთვის შეკაზმული უნდა გყავდეს ცხენი.

იმ საღამოს ჯამალადან 30 მილის დაშორებით მდებარე ერთ პატარა, მიყრუებულ ქალაქში ახალმა კომისარმა სიტყვა თქვა ქვეშევრდომთა წინაშე.

ეს იყო მისხალ-მისხალ გამოზომილი გამოსვლა, რომელიც უთუოდ ჯეროვან შთაბეჭდილებას მოახდენდა, შიგ რომ არ გარეულიყო ერთი შეხედვით უწყინარი, სამად სამი სიტყვა:

— ჰამარა ჰუკუმ ჰაი — ეს ჩემი ბრძანებაა.

ფართო კარვის კიდიდან, სადაც შექუჩიულიყო საზღვართან მცხოვრები რამდენიმე მიწათმოქმედი, ზარივით დარეკა სიცილმა, მერე გესლის სამსალა გაერია და ხარხარში გადაიზარდა. დებენდრა ნათ დეს წაწვეტილი სახე გადაუფითორდა.

გრიშ ჩანდარ დე მიუბრუნდა ტალანტიარს და უთხრა:

— ეს შენი... შენი განკარგულებაა.

ამ დროს გარედან მოისმა ცხენის თქარათქუერი და კარავში შემოიჭრა გაოფლილი და დამტვერილი ოლქის პოლიციის უფროსი კურბარი.

ხელისუფლებამ ჩვიდმეტი წლით ჩატოვა ეს სარანგი პროვინციის ამ შორეულ კუთხეში, რათა მარილის მაქურდალობა აღეკვეთა. ბედშავი იგი მუდამ მოიმედვე უნდა ყოფილიყო დაწინაურებისა, რომელიც აროდეს მოუწევდა, გადავიწყნოდა კიდევ: როგორ ეტარებინა თავისი თეთრი, სუფთა მუნდირი, ენგიანი დეზები ლაქის ფეხსაცმელებზე მიემაგრებინა. თავზე განურჩევლად ხან მუზარადი ეხურა, ხან ჩალმა.

მოტეხილი, სიცხისა და სიცივისაგან გამოთავებული, სიცოცხლე გამწარებული კურბარი ელოდა პენსიის დანიშვნას. ეს პენსია კი მარტოლა პურისა და თამბაქოს ფულად თუ ეყოფოდა.

— ტალანტაირ, — წარმოთქვა მან ისე, რომ გრიშ ჩანდარ დესათვის ზედაც არ შეუხედავს, — გარეთ გამომყევი, სიტყვა მაქვს შენთან:

ისინი გავიდნენ.

— საქმე ასეა, — განაგრძო კურბარმა. — ხუსრუ ხეილის ტომი ამბოხდა. ამ სალახანებმა ყელი გამოსჭრეს რამდენიმე ყულის, არხის სანაპიროზე მოკლეს ორი ჯარისკაცი და გაიტაცეს ქალი. ამის გამო არ შეგაწუხებდი. ჩემი თანაშემწე ჰუგონინი დავადევნე. ათი ცხენოსანი პოლიციელის თანხლებით. მაგრამ, ვფიქრობ, ეს მხოლოდ დასაწყისია. კოცონები გიზგიზებს ჰასან არდების მთებზე და თუ არ ვიჩქარეთ, ამბოხი მოედება საზღვარს. ისინი ხეირს არ დააყრიან ხუსრუ ხეილის ოთხ სოფელს. რა ხანია ეგენი ერთმანეთის მოსისხლეები არიან. შენც იცი, ბრმა მოლას, მას შემდეგ რაც ორდი აღარა გვყავს, გამჩენი არ ასვენებს, დღენიადაგ საღმრთო ომისაკენ მოუწოდებს.

— ჯანდაბა და დოზანა! — თქვა შეფიქრიანებულმა ტალანტაირმა. — ეგენი, როგორც ჩანს, დროს არ კარგავენ. ახლავე შევჯდები ცხენზე, ფორტ-ზიარს წავალ, იქნებ იმათ დამახმარონ ჯარისკაცები ბარის სოფლების დასაცავად, თუკი უკვე გვიანი არაა. ფორტ-ზიარი, თუ არ ვცდები, ტომი დოდს უნდა ებაროს. ფერისმა და ჰუგონინმა კი ჭკუა უნდა ასწავლონ მაგ წყლის ვირთხებს. რას ემგვანება პოლიციის უფროსი, რომ ხალხის დასანახად ყარაულად დაუდგეს ხაზინას. დაბრუნდი

არხზე. მე დეპუტას გავუგზავნი ბულოუზს, ჯამალაში ჩამოვიდეს და პოლიციის გაძლიერებული რაზმით უდარაჯოს ხაზინას. მართალია, მოჯანყებები ისედაც ხელს არ ახლებენ მას, მაგრამ ეს ამბავი მოხელეებზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს.

— მე... მე... მე დაბეჯითებით მოვითხოვ ახსნა-განმარტებას, რას ნიშნავს ეს ყოველივე? — მოისმა კომისრის ხმა, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვა მოსაუბრეებს.

— ოპო! — თქვა კურბარმა. პოლიციელს ვერაფრით წარმოედგინა, რომ თხუთმეტი წლის სწავლა-განათლებას შეეძლო სასწაული მოეხდინა და ბენგალელი ინგლისელად ექცია. — საზღვარზე შეტაკება მოხდა. ხალხი ბლომად დაიხოცა. მოსალოდნელია ბრძოლა და აწი, ალბათ, უფრო მეტი ხალხი დაწყდება.

— რა მიზეზით?

— მთელ ამ მხარეში არავის ეხატებით გულზე, ეს იქით იყოს, მოგეხსენებათ, თქვენი მითითებით ვმოქმედებთ, რას მირჩევთ, რა ვქნა?

— მე ჯერ კიდევ არ ჩამიბარებია ოლქი, — ჩაიბურტყუნა საქციელწამხდარმა კომისარმა და კილო შეეცვალა. ის უკვე აღარ წააგავდა თვით ინგლისელზე უმეტეს ინგლისელს.

— ასეც ვიცოდრი. რა გაეწყობა... იმას ვამბობდი, ტალანტაირ, შენი გეგმა ჭკუასთან ახლოა. ეწიე საქმეს. ხალხი არ დაგჭირდება?

— არა, მე მხოლოდ ერთი კარგი ბედაური მინდა. დეპუტას ვინლა გაგზავნის შტაბში?

— შენ უფროსს ისეთი ფერი ადევს, გამთენიამდე, ალბათ, ბარე ორ მაგარ-მაგარ დეპუტას დააფრენს. მიეუშვათ ნებას, დაე, იმპერიის მთელმა ჯარებმა აქ მოიყაროს თავი. ნახონ ერთი, რა გასაჭირიც გვადგას. აბა, გზა მშვიდობისა. თავს გაუფრთხილდი და გახსოვდეს, რომ ხუსრუ ხეილის ტომის ხალხს ქვემოდან ზევით სჩვევია ხმლის აქნევა კაცის ასაჩეხად. ეი, მირ ხან. შეუკაზმე ტალანტაირ-საპიბს ყველაზე კარგი ცხენი. ხუთი მხედარი აახლეთ ჯამალამდე კომისარ საპიბ ბაჰადურს. უნდა ვიჩქაროთ.

აჩქარება მართლაც მართებდათ. მაგრამ დებენდრა ნათ დე ჩამოეკიდა ერთ-ერთ პოლიციელის ცხენის აღვირს, არ ეშვე-ბოდა და ცდილობდა გაედო უმოკლესი გზა ჯამალამდე. მო-გუბსენებათ, თავის თავს მინდობილი ბენგალელი ფარსაგს არაფერს გადაეყრება.

დებენდრა დეს ერჩივნა ძმას გაჰყოლოდა, რომელიც ცხე-ნით გაემართა ჯამალასაკენ. გრიშ ჩანდარ დე რკინიგზას მისდევდა, გზიდან არ უხვევდა და მადლობას სწირავდა თვით კათოლიკური უნივერსიტეტების მეცნიერთათვის უც-ნობ ღმერთებს იმის გამო, რომ ასცდა თავისი ძმის ვაზარობა და კიდევ იმისათვის, რომ დარჩენოდა ერთი გამოსავალი — თავი მოევადადმყოფებინა. (ამგვარი ხრიკები ხომ ფრიად ნიშნა-ლია ამ მრავალშვილიანი რასისათვის).

მისდა საუბედუროდ, ორმა ხუმარა პოლიციელმა გზაში, უნაგირებზე ჩაყაყაის დროს ასეთი გასართობი მოიგონა: ისი-ნი რიგრიგობით შედიოდნენ ოთახში და ჰკუიდან შლიდნენ ბენგალელს ეშმაკეული ტომების მოძალების, გადამწვარ-გადაბუგული ქალაქებისა და ომის სხვა შემზარავი ამ-ბებით.

ეს ლაზღანდარები ირწმუნებოდნენ, ამგვარი გასართობი არაფრით არ ჩამოუვარდება მოუხელთებელ ავლანელებზე ნადირობასო.

ყოველი ახალი მონაგონი ამბავი ნახევარი საათის გარჯას უმატებდა ამ მონაჩმახის მსმენელს და იგი ადგენდა ისეთი მოთხოვნებით აღსავეს დებეშებს, რომ თვით დედაქალაქი დელიც კი ალყაშემორტყმული გეგონებოდათ. გრიშ ჩანდარ დე ტელეგრაფით შემწეობას სთხოვდა ყველა უფლებამო-სილს, ვისაც კი შეეძლო თუნდაც ერთი ხიშტიანი ჯარისკაცის მიშველება, ანდა ამ დაზაფრული ადამიანის სამშვიდობოს გაყვანა.

იგი მარტო დარჩა, თანაშემწეთაგან ზოგი სად გაიქცა და ზოგი სად. ეს დებეშები რომ დაგზავნილიყო, ალბათ დიდი ამბები დატრიალდებოდა, მაგრამ ჯამალაში ერთადერთ მორი-გე ტელეგრაფისტსაც ეძინა, ხოლო სადგურის უფროსს კი, როცა თვალი ჰკიდა ქალაქების ამ უზარმაზარ ჩელხს, მაშინ

მოაგონდა, რკინიგზის კანონები რომ კრძალავენ საიმპერიო ცნობების გადაგზავნას.

პოლიციელებმა რამ სინქმა და ნიჰალ სინქმა თავქვე ამოიდეს ეს გროვა და გემრიელი ხვრინვა ამოუშვეს.

ტალანტაირმა დეზი ჰკრა თავის გადარეულ ლაფშას და მიუშვა ორმოც მილიონ შარაზე ფორტ-ზიარისაკენ. იგი თვალდახუჭულიც კი გააგნებდა გზას თავის ოლქში და ამიტომაც დრო აღარ დაკარგვია მოკლე ბილიკების ძებნაში. ტალანტაირი საძოვრების გავლით იმ ფონისაკენ გაეშურა, სადაც მოკვდა და ემარხა ორდი.

ფხვიერი მიწა ახშობდა ცხენის ფლოქვების ხმას. მთვარე უფენდა წინ საკუთარ ჩრდილს, დაუდევარი აღქაჯის გამოსახულებას რომ მოჰგავდა.

სინესტე ძვლებამდე ატანდა.

მერე ერთმანეთს წაეწყო გორაკები, ჩირგვები, რომლებიც ცხენის მუცელს ეტყლაშუნებოდნენ, მოუკირწყლავი გზა, იალღუნის ხის რტოები, მათრახივით რომ გადაეწვნებოდა სახეზე, მოხავერდებული უკიდვგანო ველები—მოჩითული მთვლემარე ძროხებით. ბოლოს უკან დარჩა მთები და კვლავ მოიწყო ტრამალი, სადაც ამლავი იორლა ძლივს მიიკვლევდა გზას ინდისპირა ქვიშნარში.

ტალანტაირი ბაიბურში არ იყო, ვიდრე ტაატით მავალმა, მობანდალე ბორანმა ცხვირი არ ახალა მდინარის მეორე ნაპირს. ცხენი ფრუტუნით გაფრთხა, როცა ორდის თეთრ საფლავის ქვას წაადგა.

მაშინ მან ქუდი გადაიძრო და ისე შესძახა, რომ მკვდარსაც კი გაეგონა:

— შენი ხალხი აბუნტდა, ძმობილო, წარმატება მისურვე! გამთენიისას იგი ავეანდით არახუნებდა თოშიანი ნისლით მობურულ ფორტ-ზიარის ქიშკარზე, სადაც ბელუჩ ბეშაკლის საგრძნობლად შეთხელებული პოლკის ერგასი მხედარი ყოველთვის მზად იყო დაეცვა მისი უდიდებულესობის ინტერესები.

ამ ფორტს თაობდა ძველთაძველი გვარის — დერულეტინ ჩამომავალი ტომ ღოღი.

ტალანტირი თავს წაადგა ცხვის ქურქში გახვეულ, ცე-
ხისაგან ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებულ სწორედ ამ
ოფიცერს, რომელიც ცდილობდა ფორტის აფთიაქარის მიერ
შედგენილ სიაში ავადმყოფთა გვარების ამოკითხვას.

— აჰა, თქვენც მოხვედით? — თქვა მან. — კეთილი, ცუდი
დღე გვადგას. არა მგონია, რომ ოცდაათზე მეტი მხედრის გა-
მოყვანა შეეძლო, ისე კი ყ-ყ-ყ-ოველ ღონეს ვინმართ. როგორ
გგონიათ, ეს ყველაფერი ნამდვილია თუ მოკორილი?

მან ტალანტირს ქალაღის ნაგლეჯი მიუგდო, რომელზეც
გურმუქის ენაზე ვილაცას დაეჭაბნა: „ჩვენ ვერ დავიოკებთ
უხედარ ცხენებს. ისინი ხვალვე, მთვარის ჩასვლის უამს იბა-
ლახებენ ჯაგაის გადასასვლელთან, ოთხი სასაზღვრო სოფე-
ლის ზღვრებში“. ბოლოში მომრგვალებული ხელით მიწერი-
ლი იყო ინგლისურად: „თქვენი გულწრფელი მეგობარი“.

— ერიჰა! ეს ხომ ხოდა-დად-ხანის ნახელავია, — წამოი-
ძახა ტალანტირმა — დაუხეპირებია ორი ღერი სიტყვა და
თავი მოაქვს ამით. ისე კი ინგლისურის ინჩი-ბინჩი არ უწყის.
ეგ ავაზაკი მახეს უგებს მოლას. თავის საქმეს იწყობს.

— არაფერი გამეგება ხუსრუ ხეილის პოლიტიკური ხრი-
კებისა. ეგ საქმე თქვენ უკეთ იცით. ქალაღი კი ჭიშკარს
ზემოდან გადმოისროლეს. ამ ამბავს მიხედვა უნდა. ერთად
მოვისაზროთ, რა მოვიმოქმედოთ. ეს კია, მთელი ფორტი ლო-
გინადაა ჩავარდნილი. და, ალბათ, ბრძოლაც სახუმარო როდი
იქნება. აგრეა, ხომ? — თქვა ტომი დოდმა.

ტალანტირმა მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება, ამასობა-
ში ტომ დოდს ასრუტუნებდა და აბაბანებდა ციებისა-
გან.

მან მთელი დღე მოანდომა გეგმის დაწყობას, ციებით შე-
პყრობილებს ამხნევებდა და ასე მეცადინობდა, ვიდრე შე-
ბინდებისას ორმოცდაორი ძვალტყავად ქცეული, გაბურძგნუ-
ლი მხედარი არ ჩააყენა მწყობრში.

ტომ დოდმა ამაყი მზერა მოაკლო მათ და ასე მი-
მართა:

— ვაჟკაცებო! თუ დაიხოცებით, იცოდეთ, ჯოჯოხეთი არ

აგცდებათ, ამიტომაც ეცადეთ, ცოცხლები გადარჩეთ. არც ის იფიქროთ, ჯოჯოხეთში უფრო ცხელოდეს, ვიდრე აქ. თანაც ვინა თქვა, იქ ციება გაგვაწამებსო. რიდასი უნდა გეშინოდეთ. გინდ იქ ყოფილხართ და გინდა აქ. ნაბიჯით იარ!

ჯარისკაცებმა სიმწრით გაიციინეს და გზას გაუდგნენ.

▼

ხუსრუ ხეილის ტომი დიდხანს ვერ დაივიწყებს იმ ღამეულ გათარეშებას ბარის სოფლებში. მოლამ მათ იოლი გამარჯვება აღუთქვა და უთვალავი ნადავლი. მაგრამ თითქოსდა მიწიდან ამოძვრნენ დედოფლის ხმალამოწვდილი მხედრები. ისინი ჩეხავდნენ, კაფავდნენ, ცხენების ფლოქვებით თელავდნენ მათ. ხალხმა აღარ იცოდა, სად შეეფარებინა თავი. ასე ეგონათ, მთელი არმია დაგვესხა თავსო. ამ არეულობაში ბევრი დაეცა ქვემოდან ამოქნეული ავღანური ხანჭლით გაფატრული და უფრო მეტს ცელავდა კარაბინის შორსმწვდენი ტყვია. ჭერეხივით ეყარა სხეულები.

— ღალატიაო, — იყვირეს აქეთ-იქიდან და როცა მიაღწიეს თავიანთ ძნელად მისადგომ მთის მწვერვალებს, ორმოცი მოკლული და სამოცამდე დაჭრილი დაითვალეს. ახლა კი იოტისოდენაც აღარ სჯეროდათ ბარელი ბრუტიანი მოლასი.

ისინი ჯაჭღანებდნენ, ილანძღებოდნენ, დაობდნენ. კოცონთან მოჯარული ქალები დასტიროდნენ დაღუპულებს, მოლა კი ქოქოლას აყრიდა ოტებულთ.

მერე წამოდგა დინჯად და ენაწყლიანად მოუბარი ხოლად-ხანი. ასე ამბობდა, ტომის ყველა ამქამინდელი უბედურების მიზეზი ბრუტიანი მოლაა, ვინაც ათასგზის იმრუდა და მახეში გააბა მთელი ხალხიო. რა თქმა უნდა, კადნიერება იყო ბენგალელის მმართველად დასმა. მაგრამ ეს როდი ღირდა ამდენ სისხლისღვრად. ინგლისელთა სიბეცემ სულაც არ შეასუსტა მათი ძალა. ისინი მოსაზღვრე ტერიტორიებს იძლად არავის დაუთმობენ. პირიქით, ომში გამობრძმედილი მოწინააღმდეგის მიერ დაჯაბნილ, სარჩო გამოლულ ტომს გზას

დაუხშობენ და ხუსრუ ხეილი მანამდე ვერ შესძლებს ინდოს-
ტანთან ვაქრობას, ვიდრე მძევლებს არ გაგზავნის ნიშნად
მორჩილებისა და არ გადიხდის არეულობისა და დაღვრილი
სისხლის საზღაურს — ოცდათექვსმეტ ინგლისურ გირვანქას
ყოველი მოკლული სოფელის საფასურად. იცით თუ არა
თქვენ, რომ ეგ ბარელი ძაღლები მოჰყვებიან ფიცხილს, თით-
ქოსდა გაგვენახევრებინოს მაგათი მოდგმა. მოლა გადაიხდის
მთელ ამ ჭარიმებს, თუ ჩვენ მოგვიწევს თოფების გაყიდვა?
კოცონებს გადაუარა ხმადაბალმა დრტინვამ.

— მაშ ასე, რა მოვიგეთ, მოლას წყალობით ცარიელზე
დავრჩით. თანაც გული მეთანადრება, რომ ხუსრუ ხეილის
ტომის მკვიდრთ არ გაგვაჩნია სალოცავი წმინდა ალაგი, ჩვენ
დავძაბუნდით და აწ როგორღა შევებდავთ ძველი ადათისა-
მებრ გადავლახოთ მადარ ხეილის საზღვარი და მუხლი მოვი-
ყაროთ პირ საჯის საფლავთან. მადარის ტომის ხალხი შემო-
გვიტევს და ახიც იქნება ჩვენზე. მაგრამ ჩვენი მოლა ხომ
წმინდანია. განა ამ ღამით მან არ გაისტუმრა ამდენი ხალხი
სამოთხეში? დე, იგიც მიეწიოს თავის სამწყსოს, ჩვენ კი მულ-
ტანის ლურჯი კრამიტის გუმბათს დავადგამთ მის საფლავს
და ყოველ პარასკევს სანთურებს დავუდგამთ ფეხებთან.
მოლას წმინდანად შერაცხავენ და ამ ტაძარში ჩვენი ქალები
ილოცებენ, რათა გამრავლდეს ჩვენი ჯილაგი და შეივსოს
ბრძოლაში შეთხელებულ მეომართა რიგები. რას იტყვიით
ამაზე?

პასუხად გაისმა მწარე ხითხითი. უიტ, უიტ, უიტ, — ამოს-
რიალდა ქარქაშიდან ხმლები. მოლა წამოხტა და თვალის ჩაბ-
რეტილი კაკლები მიაშტერა კარს მომდგარ სიკვდილს, რომ-
ლის ხილვა მას არ ძალუძდა. იგი უხმობდა ალაჰსა და მუჰა-
მედს და წყევლა-კრულვას უთვლიდა თავის ტომს. მერე კი
განწირული აბორიალდა კოცონებს შორის. მთიელნი ნაზად
უღიტინებდნენ მოლას ილღიებში ხანჯლის წვერებით. ალაჰის
მსახური შეიძახებდა, გახტებოდა განზე. მაგრამ ახლა ყელს
მოკაწრავდა იატაგანის ცივი პირი, ანდა წვერზე გაეხახუნე-
ბოდა შამხანის ლულა. ეს ყოველივე ტომის პოეტმა ხურუკ
შაჰმა უკვდავყო ლექსით.

მოლა საშველად მოუხმობდა თავის მომხრეებს, მაგრამ მათი უმეტესობა ველზე ეყარა. ხოდა-დად-ხანმა დაკოდილთ დაუარა და ყელეში დასჭრა, ერთიც არ დატოვა ცოცხალი.

რა ქებას არ იტყოდნენ იმ ტაძრისა, მოლასთვის რომ უნდა იფგოთ. ჰატარა ბავშვებიც ტაშის ცემით მისძახოდნენ:

„აბა მოუსცი მოლა, მოუსცი, მოგდევენ“.

ბოლოს და ბოლოს, როცა ამ თამაშით გული იჭერეს, ხოდა-დად-ხანის ძმამ დანა გაუყარა ნეკნებშუა.

— ამიერიდან, — მომაჯადოებელი თავმდაბლობით წართქვა ხოდა-დად-ხანმა, — მე ვიქნები ხუსრუ ხეილის ტომის ხელადი!

არაფინ შედავები. გათოშილი და ქანცგაცლილი ხალხი ძილად მიეგდო.

დაბლა კი, ბარში ტომ დოდი ხოტბას ასხამდა იმლაძეულ მხედრულ თარეშს. უნაგირიდან გადმოხრილი ტალანტაირი კი გულამოსკვნით პლუქუნებდა. მას ხელში ეკავა ხუსრუ ხეილის ტომის სისხლში გასცრილი ხმალი, იმ ტომისა, ორდს რომ ასე მტკიცედ აყავდა შოთოკილი.

ერთმა რაჯბუტმა შენიშნა, ტალანტაირის მერანს მარჯვენა ყური მთლიანად წაეცლილი ჰქონდა მხედრის უდიერი მოქნეგით, ამხე ტალანტაირი მთლად აირია. გული ამოუჯდა, რის გაი-გაგლახით დააშოშმინა ტომი დოდმა.

— დილამდე შევიცადოთ, — თქვა მან. — ვიდრე სალაშქროდ დავიძრებოდით, მე გუდებეშე პოლკოვნიკს. ცთხოვე, ბეშაკლელთა რაზმი გამოეგზავნა მარქაფად; პოლკოვნიკი, ეტყობა, გამინაწყენდა, სანახაობას რომ მოვაკელი. ეს მთიელი მათხოვრები აწი ბუხსაც აღარ იაფრენენ.

— თუ ასეა, უბრძანე ბეშაკლელ ქარისკაცებს, წავიდნენ, ნახონ, კურბარს ხომ არაფერი შეემთხვა არხზე. ჩვენ უნდა ვუყარაულოთ საზღვარს, შენ დარწმუნებული ხარ, ტომ, რომ ეს... რომ ეს მართლა ცხენის ყური იყო?

— ო, სავსებით, — თქვა ტომმა. — შენ კინალამ თავიც არ წააგდებინე ბედშავ ცხოველს. მე გიყურებდი, როცა ეს დავიდარაბა იტყდა. იყუჩე, ძმაო.

შუადღისას მოქანდა ბეშაკლელთა ორი ესკადრონი. გაცო-

ფებულ ოფიცერთა ჯგუფი მოითხოვდა, ტომი დოდი სამხედრო ტრიბუნალისთვის გადაეცათ — ლაშქრობამ ლაზათი დაუკარგაო. მათ სურდათ, მხედრები დაუყოვნებლივ გაეგზავნათ არხზე, სადაც კურბარი და ჰუგონინი დამფრთხალ ყულებს ჩააგონებდნენ, ექვსიოდე თქვენი თანამემამულის აჩეხილი ცხედარი არ ღირს იმად, რომ ასეთი სარტიანი სამუშაო დაუკარგოთო.

ბეშაკლელთა რაზმის გამოჩენამ იმედი მოსცა ამბოხებულთა იმ ჯგუფს, პოლიცია რომ სდევნიდა. ისინი გამხნევდნენ, რაკი დაინახეს, არხზე კვლავ დულდა სიცოცხლე. ის ლტოლვილები კი, ვინც მდინარეთა შენაკადების კალაპოტებსა და ხეობებს შეაფარა თავი, მხედრებმა გამოყარეს სამალებიდან. დაისის ჟამს პოლიციამ ფხიზელი ზედამხედველობა დააწესა საზღვრებზე, კოვბოები რომ ფიცხლად ადი-ჩამოუდიან ფეთიანი ცხენების რემას, ისე დაწრიალობდა ყარაული ყოველის მხრით.

— ახლა კი, — უთხრა ხოდა-დად-ხანმა თავის მომხრეებს და მოციმციმე სინათლეებზე მიუთითა, — თქვენ ხედავთ, როგორ იცვლება დროება, ცხენებს მოჰყვება ეშმაკის მანქანები — ზარბაზნები, და თუკი დასკირდათ, ისინი ამ ზარბაზნებს შთის მწვერვალებზე კი არა, ღრუბლამდეც აიტანენ. თუ ტომი სათათბირო დასტურს მომცემს, მე ვეახლები ტალანტაირ-საპიბს, რომელსაც ვუყვარვარ და ბედსა ვცდი, იქნებ ალყა მაინც მოგვიხსნან. ნებას ვითხოვ, ვილაპარაკო ტომის სახელით.

— ღმერთი იყოს შენი შემწე! როგორ ციმციმებენ ეს წყეული კოცონები. ნუთუ ინგლისელებს მართლა მავთულით გადმოჰყავთ თავიანთი ჯარები? ან იქნებ ეს ბენგალელთა ნამოქმედარია?

როცა ხოდა-დად-ხანი მთებიდან ეშვებოდა, იგი შეაჩერა ვილაც მძიმედ დატვირთულმა კაცმა. ხოდა-დად-ხანი სასწრაფოდ გაბრუნდა უკან, თითქოს რალაც დაავიწყდაო.

ახალი ბელადი წინ გადაუდგა მღევრებს. ითხოვა მოეყვანათ იგი ტალანტაირ-საპიბთან, რომელიც ბულოუზთან ერთად

ჯამალაში იმყოფებოდა. საზღვარზე მშვიდობა დამყარდა და მოდგა დრო წერილობითი ახსნა-განმარტებისა.

— მადლობა ღმერთს,—თქვა ბელოუზმა,—რომ ეს არეულობა ერთბაშად დაგვატყდა თავს. რა თქმა უნდა, თავის მართლება იოლი როდი იქნება, მაგრამ მთელი ინდოეთი ისედაც მიხვდება ყველაფერს. ხანმოკლე შფოთი ბევრად სჯობია ხუთი წელი საზღვარზე ჯახირს. ეს უფრო იაფი ჯდება. გრიშ ჩანდარ ღემ განაცხადა, რომ ავადაა და უარი თქვა ოლქის მმართველობაზე. იგი გადაიყვანეს თავის ადრინდელ პროვინციაში, ბრალი არაფერში დაუდიათ.

— რა გასაკვირია, — მწარედ შენიშნა ტალანტირმა. — ახლა ის მითხარით, მე რა დანაშაული მიმიძღვის.

— გეტყვიან, რომ გარდაამეტე შენს ძალაუფლებას, რომ ყველაფერ ამის შესახებ უნდა წერილობით მოგეხსენებინა სამი კვირით ადრე მაინც, ვიდრე ხუსრუ ხეილი თავდასხმას მოახდენდა, მაგრამ არა მგონია, ხელისუფალთ ამის გამო ხმაური ატეხონ. მათ კარგი გაკვეთილი მიიღეს. წაიკითხე კურბარის პატაკი? მართალია, წერა არ ეხერხება, მაგრამ სიმართლის თქმის უნარი კი შესწევს.

— სიმართლე ვის რა თავში საჩლელად უნდა. უმჯობესი იქნებოდა, დაეხია ის პატაკი. მე გული გამიტყდა. რა საჭირო იყო ეს ყველაფერი. ერთი ეგაა — ბაბუ მოვიშორეთ თავიდან. ამასობაში მხედრობის თანხლებით დარდიმანდულად შემოიმართა ხოდა-დად-ხანი, ხელში გატენილი თოფრაკი ეკავა.

— ხალისი ნუ მოგაკლოთ ღმერთმა და სიხარული, — წარმოთქვა მან გულმხიარულად. — კეთილი და პატიოსანი, საპიბებო, მართლაც გვარიანი ბრძოლა გადაიხადეთ. ნაიმ შაჰის დედა დავალებულია შენგან, ტალანტირ-საპიბ. ასე თქვეს, ყბა, სქელი ქურთუკი და ლავიწის ძვალი პირწმინდად გაგიკვეთია ერთი მოქნევით. ბარაქალა. მაგრამ რადგანაც ტომის სახელით ვლაპარაკობ, უნდა ვთქვა, ერთი დიდი შეცდომა მოგვევიდა. შენ და მე, ტალანტირ, ავასრულეთ ის ფიცი, რომელიც დაეუდეთ ორდ საპიბს ინდის ნაპირზე.

— ავღანელივით, დანას რომ მხოლოდ ცალ პირს ულესავს, ასეა, არა? — ჩაურთო ტალანტირმა.

— დიხაც, ნაკრავი მარჯვე რომ მოუვიდეს, მენდე, ეს ბრმა მოლამ აიყოლია თავისი წუნკალი ენით ახალგაზრდობა და ჩააგონა მათ, ბენგალელი რაკი წამოგვასვეს თავზე, ინგლისელებს ნულა დაერიდებით და საზღვარი თქვენად იგულვე-თო. ისინიც დაეშვნენ მთებიდან, რათა შური ეძიათ შეურაცხ-ყოფისათვის და დაერბიათ იქაურობა. კარგად უწყვი, შემდეგ რაც მოხდა და მე რითაც დაგეხმარე. ასამდე კაცია დაქრილ-დახოცილი. შერცხვენილებს და მგლოვიარეთ ომი აღარ გვსურს. უფრო მეტიც, თავი მოვკვეთეთ ბრუტიან მოლას, რომლის ბოროტი ენის სავსავეა ასე გადაგვაცდინა ჭკუიდან. აი, საბუთიც — და მან იატაკზე დადო მოლას თავი. — აწი მოლა ვეღარ დათესავს შფოთს, რადგან ახლა ბელადი მე ვარ და სათათბიროში ყველაზე მაღალ ადგილას ვზივარ, ოღონდ აქ კიდევ ერთი თავი ძევს. ეს მეორე შეცდომა გახლავთ. ერთი ჩვენიანი გადააწყდა შავ ბენგალელ ძაღლს, ყველა ამ უბედურებათა მიზეზს, რომელიც ცხენით მიდიოდა და ტირო-და. რაკი უწყოდა, ეს მან გაისტუმრა მოუსაველეთში ჩვენი რჩეული თვისტომნი. ალა-დად-ხანმა, რომელსაც თუკი ისურ-ვებთ, ხვალვე დავხვრეტ, აიღო და თავი წააცალა მას. მე ისიც აქ მოვიტანე, რათა ნამუსი შეგინახოთ და დაფლათ იგი. და-აკვირდით, სათვალე ოქროსია, მაგრამ მას მაინც არვინ და-ხარბდა.

ტალანტაირის ფეხებთან ნელ-ნელა დაგორდა ბენგალელის თვალახელილილი და პირღია თავი, მოკლედ შეკრეჭილი თმე-ბით და სათვალეებით — ხორცშესხმული საშინელება.

— აჰა, კიდევ ერთი მსხვერპლი, ხოდა-დად-ხანი, ეს ხომ მისი ძმის, დებენდრა ნარის თავია. თავად ბაბუს რა ხანია საფრთხე აღარ ელის, ეს იცის ყველამ, გარდა ხუსრუ ხეილის ბრიყვი ტომისა.

— ძალიან კარგი. მძორთან რა მესაქმება. მე მხოლოდ ახ-ლად დაკლული საქონელი მიყვარს. ეგ მთების ძირას დაბო-რიალობდა და გზას კითხულობდა ჯამალასაკენ, ალა-დად-ხან-მა კი ჯაპანამისაკენ უჩვენა გზა. იგი ხომ, თქვენი თქმისა არ იყოს, დიდი ხებრე ვინმეა, ახლა ისლა დაგვრჩენია, ველოდოთ განჩინებას. რაც შეეხება ალყას...

— ვინ მიგდახარ, ძაღლის ხორცის სალაზო შენა, — დასა-
ქემა ტალანტაირმა, — რომ აქ პირობები წამომიყენო და ხელ-
შეკრულებები მომთხოვო... აიკარი გუდა-ნაბადი, გასწი შეწი
მთებისაკენ და იყურყურე იქ მშიერ-მწყურვალმა, ციდრე
მთავრობა არ მოიცილის შენი ხალხისთვის... ჭკუათხელი ბალ-
ლები ხართ სუყველანი... ითვალეთ მკვდრები და ხმა-კრიშტ
არ გავიგო თქვენი. დარწმუნებული იყავით, მთავრობა ღირ-
სეულ კაცს გამოგზავნის.

— ჩვენც არა ვართ ურიგო ხალხი, — მიუგო ხოდა-დადა-
ხანმა მერე თვალი თვალში გაუყარა ტალანტაირს. — და
ღმერთსა ვთხოვ, საპიბ, ის ღირსეული ადამიანი შენ ყოფი-
ლიყავ.

მართი საზრ(ი)სი

ყაზი ჯამალ ედ დინს, ძეს ფერიშტ ედ დინ ხანისა, საპატიო დიდებულის, რაო საპიბის მსახურს, ჩრდილო პინდუსტანის სასამძღვრო მხარის, ჯაგესარის თავადის, მისი უდიდებულესობა რაო საპიბის ღირსეული მსახურისა და მისი უმაღლესობის მხლებელის, ხაიატულა ხანის ძის, შაფიზულა ხანისაგან.

წიგნი ესე მოწერილია ქალაქ ლონდონიდამ, სახლიდამ, რომელს ნორტბრუკის კლუბი ჰქვია, სადაც ვმყოფობ შეწევნით დედუფლისა.

ძმებსა და ძმადნაფიცებს როდი უნდა სჭიროდეთ ერთმანეთისადმი გულითადობის და უზაკელობის აღთქმა-ფაცილი. გული გულს ისედაც სცნობს და ჭკუა-გონება სჯის ორთა სიმართლეს. სახელი და დიდება სუფევდეს შენს სახლში უკუნითი უკუნისამდე და მოგებოდოს საჩრდილობელი უდაბნოსა შინა.

ძმაო ჩემო, ქვემოთე წვრილად მოგითხრობ ჩემი წარკლუნის ამბავს. მე შევიძინე ყოველისფერი, ნაინანატრი რაო საპიბისა. ძალიც შემწვეს დავიქადნო, სარფიანად ვივაჰრე-მეთქი. წყვილი დედალ-მამალი, ხალებით აფორაჯებული მურა ძალლი ვიყიდე, ბექდიანი ქალაღლიც თან მოჰყვა ამ ძალლებს, მათი ჭიშიანობის თამასუქად.

ვერცხლის საყელურები უმშვენებთ ზორბა კისრებს, ვუწყვი, რაო საპიბი ცას ეწევა სიხარულით, ამიტომაც არ დავაყოვნე, კაცს მოვურიგდი. ეს კაცი ბომბეიმდე გემით ჩაიყვანს ფესანგ ქოფაკებს, მერე კი იქაურ ხაზინადრთ ჩააბარებს. მართლაც რომ გამორჩეული ჭიშის ძაღლებია. უკეთესი არ იქნება. ხუთი თოფიც შევიძინე. ორ მათგანს ვერცხლით მოსევება.

დებულო კონდახები აქვს და ოქროთი მოჩუქურთმებულო ჩახმახები. ტყვიას ტყვიაში ჩასვამ ამ ორპირიანი სასროლით. იარაღი ხავერდისა და წითელი თალათინის შალითაშია გახვეული. უბადლო ნახელავია დანარჩენი სამიცი, ოღონდ მორთულობა კი აკლიათ. ერთი ჰაერით გასატენია, თოთხმეტ ბათქიანი, ტახების სარეკად გამოადგება რაო საპიბს. მეორე ვეფხვზე წასასვლელი ორლულიანი თოფი, ოსტატობის ნიმუში გახლავს. მესამე კი, ფრინველზე სანადირო, საფანტიანი თოფია, ბუმბულივით მსუბუქი. ამას თან მოჰყვა ათას-ათასი მწვანედ და ლურჯად შეფეროვნებული ვაზნა. ერთი მოკლე თოფიც დავასართე, ანტილოპებზე სანადირო, ოღონდ ისეთი, ოთხას ნაბიჯზე კაცსაც რომ წააქცევს თავისუფლად.

რაო საპიბის ეტლის ოქსინოს ჯიღებით გაწყობილი, მოსხივცისკარე აკაზმულობა ჯერაც ვერ მოესწრო: ტყავი ძნელად ჰგუობს წითელ ხავერდს. აღლუმებისათვის განკუთვნილი უნაგირი კი, ოქროფერილი უზანგებით, რა ხანია ძევს დალაქულ თუნუქის ტაგრუცში. ქაფურიც როდი დავინანე, ბლომად ვასხურე. ვერსად დავიგულე დიაცთა ნიადაგ საოცნებო საპირფარეში საგნების, სუნამოსა და ყანაოზის ჩასაწყობი ჰვარჰვალიტა ზარდანა. არც თმისა და წვერის დასახვევ მაშებს წავწყდომივარ სადმე. ამ ნივთების გამოჩალხვა ხომ კირკიტსა და დიდ გარჯილობას ითხოვს. ერთხანს მიმინოების ოქროცურვილი ზანზალაკების, ჩაჩისა და სახლათავის იმედიც ნუ გექნებათ.

მიაწვდინე რაო საპიბის ყურს მისი მონამორჩილის გულმოდგინეობა. ამბავი. ვინძლო ჩემს მანდ არყოფნაში გული აიყაროს შორეულ მოგზაურზე. თვალყური გეჭიროს კბილებჩამძღვალ ბაჰადურ შაჰზე, რადგან ჩემი ფხითა და გარჯით (ლამის ჩემი დამემართა თოფების ძებნაში) და შენი სიტყვის შეწევნით, მწადს ჯაგესურის ჯარის სპასპეტობა დავიმშვენო. იცოდე, ის უნამუსო ბაჰადურ შაჰიც სარდლობას ფიქრობს. ამბავი მომივიდა, რაო საპიბი ემაგ პამპულას სწყალობსო. რა ღმერთი გაგიწყრათ! ღვინო შემოგელიათ თუ ბაჰადურ შაჰმა აიკრძალა სმა-ქეიფი? არც ის იფიქრო, სასიკვდილოდ მემეტებოდეს, იმას კი ნუ დაივიწყებ, ჯეროვნად შეზავებული სას-

მელი კაცს ჰკუიდან რომ გადააცდენს. გაიხსენე ეს ძველთა-ძველი ნაცადი ხერხი.

აწ კი მოგიტხრობ ყოველივეს, რაიც გწადდა შეგეტყო სა-ჭიბთა ქვეყნის გამო, შენთვის სანიანოს. ღმერთია მოწამე, ცდა არ დავაკლე, ჩაეხდომოდი თვალთ ნანახსა და ყურით მოსმენილს. სიტყვანი და ზრახვანი ჩემნი ესწრაფვიან ჰეშმა-რიტებას, ეგებ კი ისიც გამოვიდეს, სიცრუე ვრმახო უნე-ბურად.

როს გავშინაურდი — თვალი ჯერ თაღზე მბრწყინავ ჯა-ვაირს ამჩნევს, მერე კი იატაკზე მორიახებულ ჰუჰყს — მა-შინდა ვირწმუნე, რარიგ შეჩვენებული ალაგი ყოფილა ჩენი ჯაგესარივით ვრცელი ლონდონ-ქალაქი, ისე ბნელია იგი, ბინ-ძური და სავსე მდაბიოვებით, რომელნი დღენიდაგ მთვრალე-ბი ყრიან. გარჩევა აღარა აქვს ქალსა თუ კაცს. ყველანი ჯო-გად ეხეტებიან და გაჰკივიან ტურებივით. ყოველლამე ათასო-ბით აცეტებული ქალი გამოშავდება გარეთ; ბორიალობენ იქეთ-აქეთ, ოინბაზობენ, ღვინო გვწყურიაო, იკლებენ იქაუ-რობას. ასეთ დროს ოჯახის კაცი ცოლ-შვილს გაარიდებს ხოლ-მე ამ აყალმაყალს და თეატრებსა თუ სხვა გასართობ ადგი-ლებში წაასხამს მათ. მერე კი ავნი თუ კარგნი ერთად დარიგდე-ბიან სახლებში — თითქოსდა დასარწყულებლად გარეკილა ხბორები, ერთ ნახირად რომ მოედინებიან დაისის ქამს ფშა-ნის პირებიდან. მსგავსს არაფერს მოვსწრებივარ და ვეჰვე, მი-წის პირზე ამის ბადალი რაიმე ხდებოდეს. უხსოვარდროინ-დელია დიაცთა ეგ ხელობა, მაგრამ ვინ დაგიდევს ამას. ქალ-კაციანად მოქუჩდებიან და თავიანთ ღმერთს შეჰლალადებენ. — ვინა სთქვა, სად გაგონილაო. ამ დროს კი სწორედ მომთვრა-ლე და მრუშ დიაცთა ლამის შემოლევწონ სალოცავის კარა. ნამაზის დღეებში მეიხანებს მხოლოდ მაშინ აღებენ, როცა მიზგითები იხურება. ეს იმასა ჰგავს, ჯამნას პარასკეობით რომ გადაუგდონ სათავე. ხალხი მოსწრებაზეა. უგრძნობლად ილეშებიან და მერე თხრილებში გორავენ. და ეს ყველაფერი ხდება მლოცველთა თვალწინი ჩანს, ღმერთს მართლაც დაეი-წყნია აქაურობა, რადგან ულოდნელად გამოხდება ისეთი დღეები, როცა თოშინი ნისლი ჩამოწვება, მზე გადაქრება

ციდან და ქვეითნი თუ ცხენოსანნი ალაღბედზე მიიკვლევენ გზას წყვილიადში. პაერი საესეა წუმწუბისა და ფისის მახრჩობელა კვამლით, ამიტომაც ხალხი ბუზივით იხოცება. ენით აუწერელი საზარლობაა, მაგრამ ალაჰის მადლმა, თავადა ვარ ყველაფრის მომსწრე. მართალი არ გეგონოს, თითქოსდა საპიბები ჩვენსავით ერთ ღმერთსა სცემდნენ თაყვანს. ამ მღვრიე წყალში ჩასახედად ვერც შიიტებისა და სუნიტების მაგალითი გამოგვადგება. მე მეომარი ვარ და არა ღერვიში და კარგად მოგეხსენება, ჩემთვის ორთავეს ერთი ფასი აქვს. ხალხში კი მაინც გავიკითხე მათი ღმერთების ავან-ჩაევანი.

ახლა ყველას ჩამოგიტვლი სათითაოდ: ერთი მათგანი მუხტი-ი-ფაუჯის წინამძღოლი გახლავთ. მას თაყვანს სცემს სისხლისფრად მოსილი ხალხი. ისინი ხავიან და ბნედა მოსდით. მეორე ხატია, რომელს სანთლებს უნთებენ და საკმევებს უკმევენ. ხატი ისეთ შენობაში ასვენია, პირველად რანგუნში რომ ვნახე, როცა ცხენების საყიდლად ჩავედი. ზოგს მიცვალებულთა დიდი კრებულისაკენ პირით მიქცეული საკურთხევლები უდგათ სათაყვანოდ, ამ საკურთხევლებს მეტწილ უგალობენ ხოლმე. სხვათ ქალი აურჩევიათ, მშობელი დედა იმ დიდი წინასწარმეტყველისა, ვინც მუჰამედზე ადრე იშვა. უბრალო ხალხს ღმერთი არა ჰყავს, მათი ღმერთი ისაა, ვინც ქუჩის ფარნებზე ძვრება და იქედან ქადაგებს. უფრო გონიერნი აღმერთებენ საკუთარი ხელითა და სიტყვით შემონაქმედს. მათი უმეტესობა ბერწი ქალებია. ყველა თავის მოსაწონ ღმერთსა ქმნის, გონების უღბილეს თიხას თავიანთ ყაიდაზე ზელენ და ამ ნაძერწში აქსოვენ ზრახვა-სურვილებს. თითოეულს საკუთარი კერპი დაუსვამს და ეს კერპი ფერიცვალობს იმისდაკვალად, ადამიანს სტომაქი ასტკივა თუ სხვა რამ საღმობა შეეყრება. ვიცი არ დამიჯერებ, ძმაო ჩემო, თავდაპირველად მეც არ მჯეროდა. ახლა კი აღარაფერი მიკვირს, ათას თოკში ვარ რადგანაც გამოვლილი.

მეტყვი ალბათ, რა თავში ვიხლი ვისი წვერი უფრო გრძელია, აჰმადისა თუ მაჰმადის. გიჯობს ის მამცნო, უწერილო თუ არა ჩვენს სურვილს აღსრულება.

ო, ეს ამბავი უბრალო არ გეგონოს. აჰმადისა თუ მაჰმადის

წვერის სიგრძე-სიგანეს ისე დაუინებით იძიებენ, თითქოსდა ცისა და ქვესკნელის რაობას განსჯიდნენ. კარგი იყო აქ ყოფილიყავ, თავად გეზილა ყოველივე. ბევრს რასმე გამცნობდი.

ახლა მათი სამეფოს ჩარხის შესახებ. ვიეთნი დიდმოხელენი, ესე ექვსასანი ჩამოუვლიან მდაბიორთ, გლეხებს, მეტყავეებს, ბაზაზებს, დედაკაცებსაც არ დაივიწყებენ და კალთას აუესებენ დაპირებებით. სანაცვლოდ სთხოვენ, ნება მოგვეციოთ თქვენი სახელით სათათბიროზე სიტყვა დავძრაოთ. რაკი დასტურს მიიღებენ, ბრუნდებიან საბჭოს შენობაში, სხედან იქ და ყაყანებენ. ყველა თავისკენ მიითლის, თავის თაბუნს ეფოფრება ზედ. ვაზირები და დივანები სულ ეჯაჯლანებიან ფულზე ამ ექვსასთა, ძალს ესენი არიან და ძალს ისინი. თუკილა ექვსასთა შორის თანხმობა არ იქნა ხარჯთასკლის თაობაზე, მაშინ მთელ ქვეყანაში აირევა მონასტერი. ტანსაცმელსაც უნდა დაემშვიდობო, პეშვი თოფის წამალიც საძებნელი გახდა. ნალი რომ ნალია, იმასაც ვერ იშოვნის დასაქედად.

ამ ფარისევლებთან ძალაუფლებით ვერც ჭარის მთავარსარდალი მოვა, ვერც ინდოეთის მეფის ნაცვალი, ვერც თავად დედუფალი.

ექვსასანი ორ ხროვად იყოფიან. ერთიმეორეს გამუდმებით ასხამენ თავსლაფს. სულ ნაძირალეზად, თაღლითებად და ქუჩის ძალღებად ნათლავენ ერთურთს. ასე გასინჯეთ, დედუფლისაც კი არ ერიდებათ. თუმც იარაღი არ ასხიათ, შუღლობას მაინც არ იშლიან, შუღლს, რომელსაც არ უჩანს ბოლო. მოხსნიან ხოლმე ტყუილების ბოხჩას თავს, ვიდრე უბრალო ხალხს არ გაბერავენ ათასი სიცრუით, მერე ისინიც დაიწყებენ რაღაცეების ბოდვას და უარს იტყვიან მოსაკრებელის გადახდაზე. თავიანთ დიაცებს დარაზმავენ, ყვითელი ყვავილების კონებს ჩასჩრიან ხელში და ამ დავიდარაბაში უკრავენ თავს. ქალი ხომ თუთიყუშივით იმეორებს გულის მურაზის ნაროტავს. პოდა, ესენიც ათას აბრუნდს ჩააგონებენ. ასე არ ესიტყვება განა მონა ქალი მამუნს, აბდულაპის ძის ნექტარიან ლექსში:

მყის ბოლოს მოგიღებს ხმალი და ტყვია
სიტყვა კი ნელი-ნელ ამოგხდის სულს...

თუკი რამე ხელს აძლევთ, ამას ჭეშმარიტებად ასაღებენ, თუ არა და თვით სიკვდილიც რომ იყოს — სულ ტყუილია, მოგონილიაო, — გაიძახიან. ბალღებივით იმას რომავენ, რაც ენაზე მოადგებათ და ბალღებისავე მსგავსად ტაციანობა სჩვენიათ. პატრონს ვილა დაგიდევს, რაც თვალში მოუვათ ყველაფერს ხელს წაატანენ.

როცა უგუნურთა ეს ჯარი უთანხმოების ჩიხში მოემწყვდევა და ლაყაფით ენა გაუცვდებათ, მაშინ შეუდგებიან თავების დათვლას. და ვინც მეტი გამოვა, ის მხარე დასძლევს და მათი სურვილი დაკანონდება. გაცუდებულნი კვლავ მიადგებიან მდაბიოებს, ჩასჩინებენ — კანონს გაუღეკით, მათი აღმასრულებელნი დახოცეთო.

ამას მოსდევს დიდი სისხლისღვრა. ღამ-ღამობით დაერვიან ხოლმე უიარაღო ხალხს, დაეღეტენ, საქონელს გაუუჟავენ, ქალებს შეუგინებენ. მართალია, დიაცებს ცხვირებს არ აჭრიან, სამაგიეროდ თმებს კვეცენ და კანს უშანთავენ. მერე საბჭოს ეს სინდისგარეცხილი წევრები წარდგებიან სასამართლოს წინაშე და უტიფრად იფიცებიან, — ღვთის წინაშე, ბრალი არაფერში გვიძევს, არავინ შეგვიგულიანებია — აიღე შარაგზიდან ქვა და სული გააცხებინე მავანსო. რა გგონია, თავებს დააყრევინებენ? ნახვივით შერჩებათ ყველაფერი...

წაუკითხავდე ამას რაო საჭიბს, იმ დროს მოაგონებდე, როცა შეძლებულმა მანგლოტელმა თავადებმა იუკადრისეს მოსაკრებელის გადახდა. ხომ გახსოვს ორთავენი — შენცა და მეც თან ვახლდით ლაშქარს, და მაშინ იყო შავმა შუბებმა აშალეს ისლი სახლების ერდობებზე. ამან ნირი წაუხდინა იქაურებს და ტყვია-წამალიც აღარ დახარჯულა. აქ კი შუღლი არა და არ წყდება. ხუთი წლის ვითომდა მშვიდობიანობის ეამს იმდენი თვისტომნი ამოელიტეს, ომიანობის დროს ამის ნახევარიც არ გაწყდებოდა. მოჭიშპენი ჩაცხრებიან, მერე კი კვლავ წაიკიდებიან. საწყალ ხალხს და მიწის მუშებს მუსრს გაავლებენ ხოლმე.

ესე ყოველი ჩვენი წისქვილის დოლაბს აბრუნებს. ახლა კი უკეთესს გეტყვი, რაიც მართლა გვიქადის სურვილთა აღსრულებას.

ნუკი დამძრახავ, თუ გამოთქმა არ მოგეწონოს. მოგეხსენება, კალამი მაინცდამაინც როდი მიჭრის. სწორედ რომ უნიჭობის გაქირ ვირზე ვარ ამხედრებული. არც სათქმელია აგრე იოლი. ძილის ემბაზში განიბანე ჭკუა-გონება, და მერმე მოუბრუნდი ავთრათს. აგრე აჯობებს.

ათასჯერ გადაბრუნებული აქაური მიწაწყალი გაიფიტა და ამძაღდა; ისევე, როგორც აუღაბურებს საძოვრებს ზედ მისეული ნაშმევი ჯოგი. აქაური ჰაერიც სამსალანარევი. ქუჩებში შმორიანი ფიცრებია დაგებული. მყრალ ოხშივარს აფუტებენ ეს ფიცრები. საოსტიგნობიდან აღენილი კვამლით ნაშქვარტლი, ჩაგუბული ჰაერი გასაქანს არ აძლევს ამ ნატისუსალს, თითქოსდა კოჭობის თავზე დამხობილი თუჯის ხუფი, ცხვრის შეჭამანდის წვეთს რომ არ გადმოაღენს კერიაზე.

მთელი ეს ამქარი დიდ-პატარიანად ყვიციანია. ქადაგად დავარდნილ ექვსასთა ხომ ფერი აღარ აძევთ სახეზე. განა არა, ჩვენშიც ქალწულთა და ხმაღს უჩვევ კაბუკთა შეეყრებათ ხოლმე ეს ავადობა, მაგრამ არსად იმგვარად მოდებული არ მინახავს, როგორც აქ, ამ ქვეყანაში. ეს სენი ზამთარ-ზაფხულ ილაჯს უწყვეტს აქაურებს. აბეჩავეებს ადამისშვილთ, ღირსებისა და მედეგობის ნაშანწყალს აცლის.

უნდა განახა, ეს დაგლახებულნი რომ მოდგებიან და არც ერთ ხელისუფლებას გაუკილავს არ დატოვებენ. კაცობის აღარა სცხიათ რა. მაზეზიანი, კაპარჩხანა გოგობივით იზმაზნებიან. ეს ბუტიები ხომ ტუჩს აუბზუებენ და ზურგს უკანიდან ემანჭებიან ყველას, ვინც სულ თვალეში არ შესციცინებთ.

თუკი ვინმეს ხელს დაადებენ — ავისმოქმედიო, მტყუანს და მართალს ვინღა არჩევს, ხელად ერთის გნისით მიეჭრებიან სახელშეგინებულს და თხზავენ ათასგვარ სისაძაგლეს მასზე, მის ცოლსა და ქალიშვილებზე. სწორედ რომ ქენქერა დიაცებივით ირჯებიან.

წესად დაუდევთ: ცალი ხელით სარანგებს ევეპავენ, მეორე ხელით კი იმავე სარანგებს უთეთქვავენ თავ-პირს, როგორ თუ ცემა-ტყეპა იუკადრისესო. ამას არ კმარობენ, საურავსაც ააღლეტენ ხოლმე.

როცა სუფევას მთლად აბუჩად აიგდებენ და მიწასთან გაასწორებენ, იმავე სუფევას შესთხოვენ შემწეობას და რა მიაღწევენ საწადელს, თავსგასულნი უარესს სჩადიან.

ჩაგრულთა ამქარი შფოთს ტეხს ქუჩებში, დროშებს მოაფრიალებენ, რომელთა გაწყობას შეალიეს ბარე ოთხი დღე და მთელი კვირის მონაგარი ფარაც გადააყოლეს. ეს ჯამათი მანამდე არ მოისვენებს, ვიდრე ქუჩებს ისე არ ჩახერგავს, ვერც ცხენოსანმა გააღწიოს და ვერც ფეხოსანმა. არასგზით დამომშინდებიან, სანამ თავისას არ გაიტანენ.

ვინც ჯაფაში საზღაურს იღებს, ჯორზე შეჯდება ხოლმე და უარს ამბობს მუშაობაზე, ვიდრე თეთრს ბლომად არ ჩაუჩხრიალევენ. ამათ მხარში უდგანან ღვთის მსახურნი და, რალა თქმა უნდა, ექვსასთა ხროვისანიც. ეგენი ხომ, თუკი სადმე ყალილა ატყდა, ისე ხელად დააცხრებიან იქაურობას, როგორც ძერები დავარდნილ ხარის ლეშს. მღვდლები, საქმედალელული მოლაყბენი და სხვა მისთანანი ალაღმართლებად შერაცხავენ შფოთის თავებს, ერთხმად ბეჭედს უსვამენ: თუკი ერთს შრომა ეზარება, არც მეორეა იმის მოვალე, წელი იწყვიტოსო.

ყველა ამებმა ისე არივ-დარიეს ლონდონ-ქალაქის ნავსაყუდელიდან ხომალდების გასტუმრების დრო-საათი, უმჯობესად მივიჩნიე რაო საპიბის თოფები და ცხენების აკაზმულობა მატარებლით გამეგზავნა მეორე ბოლაზამდე. დანამდვილებით ახლაც არ ვიცი, მიაღწევს კია ჩემი სკივრები დანიშნულების ალაგს? ესაა საქმე? სოვდაგრის ღირსების შემლახავი ხომ ქალაქს დაუხშობს სიკეთის კარს. გეხსომება, საადი იტყვის:

ვაკარი პირს არ იზამს დასავლის მხარეს
თუკი იქ შფოთია და აურზაური.

საკუთარი სიტყვის პატრონი აქ არავინ მეგულის. ან კი რა ჩარა აქვთ. ქვეშევრდომებს კაცი ვერ ენდობა. ამ ხალხმა უკანანი წინ მოაქცია, მსახური ბატონზე აღაზევა, აქაოდა, ერთი ბატონი რად არის, მეორე კი მსახურიო. ის ვისლა ახსოვს, ყველა სულიერი რომ თანაბარია ღვთის წინაშე, ვინც კი პატიოსნად აღასრულებს თავის ვალს. ეს ვითარება ჩამარხე გონების კიდობანში.

მდაბიოთა სიღუბეში და გოდება-ჩივილმა, რამაც თვით მიწის წიაღი გამოლალა, ჰკუთნა უღრძო ზოგთა, ვისაც არც რაიმე განსაცდელი შეხვედრია, და არც ხალხის თავზე დაღირებული მახვილით დაზაფრულა. ესენი წამდაუწუმ იმას გაიძახიან, მოდიოთ დაცავლენოთ ყოველი არსებული, მერმე მკლავები დავიკაპიწოთ და ისე ვიჭაფოთო. ამ ყვეყჩებს ხომ მეორე წამს ბებერები დაასხდებათ და ტყავი აუვათ ხელებზე. ეს ჭელები, ამხმელნი ცოდვათა სოფლისათა, ვითომდა დიდად იდებენ თავს გაჭირვებულთათვის, არადა ინახით სხდომის მოტრფიალეთ იოლი ცხოვრება და ფუფუნება როდი ეთმობათ. მაგათ არც უბრალო ხალხის ესმით რამე და არც ბრალიანისა. თილისმა სიტყვებით აბრუებენ, ჰკუთნა რევინ კუჭმიმხმარ ლატაკებს და თავადაც უარესი მოსდით. ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ხალხი ათენებს და აღამებს ღუქნების კართან. გულჩვილი და ჰკუთამოკლე ადამიანები ცარიელ სიტყვებს არ იშურებენ მათთვის. საწურთნად მიეღალეებიან, ოსტატებს აბარებენ იმ ფიქრით, იქნებ ფეიქრები, კირით-ხუროები ან სხვა ჯურის ხელოსნები გამოჩეკონ მათგან ამ ოსტატებმა. ეს სასაცილოდაც არავის ყოფნის, რადგან ხელოსნები ისედაც თავზე საყრელია ყველგან. სჯობს თვალი გაახილონ და ჯერ ხელებზე დახედონ შეგირდებს. მამაზეციერმა და განგების ძალამ ხომ სწორედ ხელებზე ამოტვიფრა ყოველი კაცისა და მისი წინაპრის ხელობა. ამათ კი სჯერათ, რომ ლოთის ნაშიერს საჭრეთელი არ აუკანკალდება და მეეტლე მარჯვედ მოაბათქაშებს კედლებს. საბოძვარსაც განუსჯელად გასცემენ. ეს საცრით წყლის ხაპვასა გავს. ამიტომაცაა ჯარი ასე ჩამოტყაული. ახლანდელ მთავრობას, რომელსაც ხვალ თუ ზეგ სხვა შესცვლის, მცირე სახსარიც რომ გაელო ამ ბავშვთა შესამოსად და აღსაჭურვად, არ მომიწევდა ამ სიტყვების არც თქმა, არც დაწერა. მაგრამ ამისათვის აქ არავის სცხელა. აწ გარდასული დიდებით კი თავი მოაქვთ. ზღაპრებსა თხზავენ ძველ გმირთაგმირებზე. იმათ ქებაში ამოსდით სული. ყბედებმაც საქმე იშოვეს, კვერს უკრავენ და ბაირამობენ.

ალბათ გეხამუშა და კიდევ იფიქრებდი, ამდენს რას ლაქლაქებსო დედაკაცებსა და ბრყვებზე. სჯულს გეფიცები,

ექვსასთა მარაქაში ერთი და ორი ლენჩი როდი ურევია. მაგათ საბჭოს კი ქალები ათამაშებენ თავის ნებაზე.

გახსოვს ბრძანება, ზღვის გადაღმიდან რომ მოვიდა — განა ამ მიზეზით არ ამოწყდა ჩვენთან ჩაყენებული ინგლისელთა ჯარი? თუ ადრე თითო-ოროლა ჯარისკაცი ავადდებოდა, მაშინ სნეულებამ ასობით მეომარს დარია ხელი და ეს მოიმოქმედა თავფქვილა კაცებისა და ბერწი ქალების ქაქანახირმა.

რაკილა მივხვდი, ძალაუფლება ექვსასთა სქერიათ და არა მეფის ნაცვალს ან სხვა ვინმეს, ყველაზე ყბედსა და ჩერჩეტ ადამიანებს დავეუახლოვდი, მათ შორის ვტრიალებდი. სწორედ ესენი თავობენ ხომ უბრალო ხალხს და მათივე მხარდაჭერით პარპაშობენ კიდეც. ზოგს ისა სურს, ჩვენი მიწა-წყალი და თვისტომნი ტყუპის ცალივით ემგვანოს ინგლისელებისას. გვფარვიდეს ღმერთი, ბრიყვთა დამაწყევარი. მაგათმა გასაგისმა რა უწყის აბა ჩვენი ადათების. მეც აქ თავშესაქცევე რასმედ გავუხდივართ. ერთნი ჰინდუსს მეძახიან, სხვანი რაჯპუტს და ისე აგდებულად მომმართავენ, თითქოსდა მონა ვიყვე. მართალია, ზოგი მათგანი მაღალი წარმოშობისაა, მაგრამ უმეტესობა მდაბიონი არიან, გაუზრდელნი, ღირსებადაკარგულნი, კამეჩივით სქელტყავიანნი, უპირონი და ქალების კალთას გამობმულნი.

ახლა მოგითხრობ შესახებ იმისა, რაც ორი დღის უკან მოხდა. ერთგან გამართულ სადილზე ვილაც მკივანა დიაცმა მამაკაცების თანდასწრებით სჯა წამოიწყო ჩვენი ქალების დღევანდელ ყოფაზე. მისი ყოველი სიტყვა ღირსებას მიბღალავდა სახეში გაწნული სილაქივით. შეუხდოს ღმერთმა, ერთი ტუტუცი ვინმე იყო, მაინც თავს ვიკავებდი, ვიდრე მთლად დაუკრეფავში არ გადავიდა. რაო და თურმე ნუ იტყვით, აწ ჩვენს ზანანებსა და ყველა მათ, ვინც კრეტსაბელს მიღმა გვეგულვის, ზედამხედველობა უნდა დაუწესონ.

მაშინ მე წარვთქვი, — გიგრძენია კი ოდესმე, როგორ თრთის სიცოცხლე შენს გულთან და თუ მიგიკრავს ზედ პატარა ბიჭი, ო, უბეჩავესო დიაცო. პირგამეხებით მომიგო ამ ასპიტმა — მე თავისუფალი ქალი ვარო და არა ჩვილების მონა. მე კი ლმობიერად — დე, იყოს ასე, დაო ჩემო. ღმერთი შეგე-

წიოს, რადგან ყველა მონაზე უმეტესი კირთება გერგო. კაცის სიცოცხლის პირველი ათი წელი ხომ დედის წილხვედრია. მწუხრიდან განთიადამდეც ცოლია, რალა თქმა უნდა, ბატონი ქმრისა. გამთენიისას აღარ ეთმობა და ხელებით ეპოტინება თავისი რჩეულის ტაიჭის აღვირს. უცხო იქნება შენთვის მარადჟამს ეს ვნებათაღლევა. მარტობას მოგიტანს დილა...

გაკვირდა იგი, რომ წარმართის პირიდან აგეთი სიტყვები წარმოდინდა. არადა ეს დიდად პატივცემული, სახელმოხვეჭილი ქალი ხომ საქვეყნოდ აცხადებდა, არც ღმერთი მწამს, არც ხატიო.

მიაწვდინე ეს რაო საპიბის ყურთასმენას და ჰკითხე, რამდენ პირ ტყავს გამაძრობდა, ასეთი ქალი რომ მიმეგვარა მისთვის. ამ აღქაჯთან ხომ მოგონება იქნებოდა ის ყვითელკანიანი, კაჩელი ქალიშვილი, თავის შესაქცევად ერთმანეთს რომ უსინიანებდა გოგოებს და თავადს კი ქოშით გაუპო ტუჩი. ეს ამბავი ხომ გეხსომება და გეხსომება.

ვაგლახ, ძალაუფლების ამოქოლილ შადრევანში, თუ საძრაობა არ მიეცა, ვინძლო დამყაყდეს ანკარა წყალი. ეგენი ისეც მზად არიან ჩვენი ქვეყანა ფუნად აქციონ. რალა დაუშლით. მაგათ ხელშია ძალაუფლება, მათ ხელშია აკი ხაზინა, და ვგონებ მთელი ინდოეთიც.

მათმა გონებამ როდი უწყის, რას იტყვის ენა. მდაბიოს სწრაფვა კარმიდამოს მესერს არ სცდება. როგორღა იგრძნობს აბა მდაბიო საგანთაშორის უხილავ ძაფებს, დაქსელილს დეღამიწის ერთი კიდიდან მეორემდე.

საქვეყნოდ ტრაბახობენ იგი ექესასანი, მეფის ნაცვალი და სხვანი ჩვენი მორჩილნი არიანო. ახლა ისიცა ვთქვათ, თუკი ბატონებს პაზრი ღალატობს, მსახურებს რალა ჰკუა მოეკითხება.

ზოგი თვლის, რომ ყოველგვარი ომი ცოდვია, ხოლო სიკვდილი — ყველაზე დიდი საშინელება. სხვები, მსგავსად წინასწარმეტყველისა, აცხადებენ: ლოთობა ბოროტება არიო. ამ მოძღვრების სიმართლეს დასტურყოფს კიდეც მათი ქუჩები. მოიძებნებიან ისეთებიც, უმეტესად მდაბიონი, რომელნი

ამტკიცებენ — არცერთი ხელისუფლება არ უქნია ღმერთსო და შეჩვენებას უთვლიან ხმალსა და მათრახს.

მათებრმა ხალხმა დიდი გულითადობა გამოიჩინა ჩემთან საუბარში. თითქოსდა ბოდიშობდნენ, ინდოსტანი ჩვენ რად გვეყუდენისო. დამიბედეს კიდეც, ერთი ღროც მოვა, ინგლისელებს ნება-უნებურად მოუწევთ მანდაურობის დატოვებაო. თეთრკანიანთა ჯილაგს ჩვენში რა დალევს, მაგათი ზნე ხუთი თითივით მეცნობა. პოდა, ამის გამგონეს კინალამ ხარხარი ამიტყდა, მაგრამ ვიყუჩე. გამახსენდა, ამათ ჭკუა რომ ეკითხებოდათ თავების დათვლისას.

მავანნი მალალი ხმით იცხადებენ, საპიბთა მთავრობა ინდოსტანს რად ბეგრავესო. აი, ამათ კი კვერს ვუქრავდი. მაგონდებოდა რაო საპიბის ჩემდამი მოწყალება იმ ძნელბედობისას, როცა გოლვიან ყანაში გაილანდებოდა ჯარისკაცთა ჩალმები და დიაცთა ოქროს სამაჯურებსაც რაწკარუწკი გაუდიოდა ოქრომჭედლის ქურის ფსკერზე.

რა ენად გავიკრიფე, რომელი ოქროპირი მე ვარ. ეს ხომ პუნელ მაჰრატებსა და აღმოსავლურ ჰანგზე აყროყინებულ ბენგალელ ვირუკებს შეჰფერით. ისინი ბრიყვებს ჩაიგდებენ ხოლმე ხელში და ტვინს ამოუჭამენ — დიდი კაცის შვილები ვართო. სინამდვილეში კი შენც კარგად გეცნობა მათი ვინაობა. მათხოვართა დოსტები არიან, ალაფების, მეტყავეების, ბოთლებით მოვაჭრეთა, ზარაფთა და სალახთა ნაშიერნი. ვიტყვი: ჩვენ, ჯაგესარელებს, ინგლისელებთან მეგობრობა გვმართებს; იმ ინგლისელებთან, რომელთა ზენით დაგვიპყრეს, რაო საპიბის შთამომავლობა მარადიულად დაამკვიდრეს და ნებას მიგვიშვეს.

მაგრამ ეს გლახუკები, რომელნიც მთავრობის წყალობით სწავლას ეზიარნენ და ინგლისური სამოსიც მოისხეს, უარს ამბობენ მამათა რწმენაზე ანგარებისა გამო და ძირს უთხრიან და ეკინკლავებიან ინდოეთის თავკაცებს. ამიტომაც მათ დიდად აფასებენ ზოგნი ექვსასთაგანნი. თავი ისე უჭირავთ ამ სალახანებს, თითქოსდა მაჰარაჯები იყვნენ და ხალხის ბედ-იღბლის გამგებელნი. ბევრი ვიცინე მათმა შემყურემ, გული კი ბოლმით მევსებოდა. ერთხელაც, ვილაც ალაფის ნაშობთან მომი-

წია სუფრაზე დაჯდომამ. ინგლისურად ჭიკჭიკებდა და თან უკურთხებდა იმ პურმარილს, რომელსაც შეეჭეოდა. ყველანი ტაშსა სცემდნენ მოწონების ნიშნად. კინალამ ცრემლები ღვარა, ჩვენზე ჩაგრული ხალხი მიწის პირზე აღარ მეგულებო, უარი თქვა თავის სქელმუცელა ღმერთებზე და თვის-ტომთა სახელით მთელი ქვეყნის გამგებლობა მოითხოვა. მერე შემობრუნდა ჩემსკენ, მხარზე ხელი გადამხვია და ინგლისურად თქვა: აი, ეს კაცი კვერს დამიკრავს, თუმცა სხვა რჯულისა არისო.

ასე გააცნო ჩემი თავი შეკრებილთ.

პირმომღიმარმა ჩვენს მშობლიურ ენაზე მიეუგე — აიღე ხელი, დაკარგულო ადამიანო, ბოგანოვ შენა, თორემ ვერც ამ ხალხის უგნურება გიხსნის და ვერც ჩემი ღუმილი თავის შერცხვენისაგან. იქეთ გაიწი, ხვადაგო...

მაგათ ენაზე კი ასე ავმეტყველდი: სიმართლეს უბნობს, როს დიდად გონიერი ინგლისელნი ქვეყნის ჭირისა და ლხინის უმეტეს თანაზიარად გვეყოფენ, მაშინ მაჰმადიანებს ერთობა ექნებათ-მეთქი ინდუსებთან.

მარტო ის პეიტარი თუ ხვდებოდა, რა სახმილიც მიდაგავდა გულს. ამ კაცს ლმობიერად ვეჭეოდი, რამეთუ იგი ხელს უწყობდა ჩვენთა სურვილთა აღსრულებას. ისე კი განსოვდეს ეგ ვინც არი — ძეი ვინმე კალკატელი ღურგა ჩარან ლაჰასი... თუ სადმე მოახელთო, ყური აუწიე მაგ ღვთის გლახას. არ ივარგებს, თუკი ბოთლებით მოვაკრენი და მეძველმანენი მხარზე ხელის ტყაპუნს დაუწყებენ თავადთა შთამომავალთ.

დროდადრო განზრახ გავერევი ხოლმე ხალხში ამ კაცის თანხლებით, რათა იქაურებმა თქვან — ინდუსებსა და მაჰმადიანებს ერთობა აქვთო. ოღონდ როცა დავიმარტოხელე, ვუბრძანებ ხოლმე, უკან მდიოს უკაცრიელ ქუჩებში. ესეც დიდი პატივია მაგისათვის. ღმერთო ძლიერო, რა ბრალი მიძევს, ეს ჭუჭყი და ტალახი ვზილო?

სწორედ რომ სიბინძურედ წარმომესახება აქაურობა და როცა ჩავუკვირდები ყველაფერს, ლამის ბოლმამ დამახჩოს. ბენგალელებმა და მათხოვართა დოსტებმა კარგად უწყიან,

რომ საპიბებს ძალაუფლებას მეფის ნაცვალს ან ჯარის მთავარსარდალი როდი ანიჭებს, არამედ ამ ქალაქის მკვიდრი ექვსასანი. და მეტ წილ ისინი, ყველაზე ბევრს რომ ლაყბობენ.

ასე იქნება, — წლითიწლობით ბენგალელები უფრო ხშირად შეათარებენ აქაურთა კალთას თავს, უფრო და უფრო მოშინაურდებიან ომახობის მაძიებელნი, თავისას არ მოიშლიან, რალა თქმა უნდა, და ამ სახეგაცრეცილ ექვსასთა წაქეზებით ინდოეთის მთავრობას ერთიანად დაადამბლავენ. ასე რომ, შეძლებული გახდება ქვეყნის ჩარხის ტრიალი, მათი კირკიმალაობისა და ცხვირის ჩაყოფის გარეშე. ინგლისელებს ხომ ამჟამად ეს აძლევეთ ხელს ყველაზე მეტად.

ვაჭარბებ ვითომ? არა მგონია. შენც შეიტყობდი ალბათ, ერთმა უმეცარმა და უსირცხვილო ექვსასთაგანმა, თავშესაქცევად შეადგინა ბენგალიის სანაზირო დასტურლამალი. ამ გრაგნილს ყველგან დააფრიალებს და ისეთი რიხით კითხულობს, თითქოსდა ტახტის მემკვიდრე მეფედ კურთხევის დროს წარმოთქვამდეს სეფე სიტყვას. და ეს კაცი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში ერევა, როდი თაკილობს სათათბიროში მეტყავეთა, მეწაღეთა და ქურჭჩების წინაშე ქადაგად დაეცეს და იკვეხნიდეს, ღმერთი არა მწამსო.

იქნებ გგონია, დედუფლის რომელიმე დიდებულმა, მეფის ნაცვალმა ან თვით დედუფალმა ხმა აღიმალლა ამ მეტყავის წინააღმდეგ? ამიტომაც ხომ არ გვიჯობს მას შევეკედლოთ და მის თანამოაზრეთ... თავად განსაჯე.

ტელეგრაფი ამ ექვსასთ მსახურებს და ინდოეთის ყველა საპიბი უკლებლივ მსახურია ტელეგრაფისა. რასაც ჩასძახებენ, იმას ამოიძახებენ ჭურვიით. როგორც იცი, მათხოვრის დოსტები ყოველწლიურად ხან ერთ, ხან მეორე ადგილას აწყობენ თავშეყრილობას, რომელსაც კონგრესს თუ რალაც ჯანდაბას და დოზანას ეძახიან. წყალს ამღვრევენ მთელ ჰინდუსტანში, კაჭკაჭივით იმეორებენ ჩვენს მდაბიოთა ნაროტავს და ითხოვენ, იმ ექვსასთაებრ მათ ებაროთ ხაზინის კლიტენი. ამ ზრახვებს როდი მალავენ. სულს ხდიან გუბერნატორს, მის ნაცვალს, ექვსასთა, ყველა ხელისუფალთ განურჩევლად. ამ ჭკუანაღრძობი ხალხის და ბერწი ქალების ერთი დასტა იწყნა-

რებს კიდევ მათ თხოვნას. სხვა დანარჩენთაც, როცა კარს აუტალახებენ და სისხლს გაუშრობენ, რაღა ჩარა აქვს, ყაბულდებიან სიცოცხლე მობეზრებულნი. და ხელახლა ატყდება დავიდარაბა დედუფლის საბჭოში. არ დაივიწყო, მეზობელ კუნძულსაც ხომ დიდად უწყობენ ხელს და ეხმარებიან კიდევ ფარული შუღლის გაჩაღებაში.

თავადაც უწყვი, ექვსასთა მდაბიო დამქაშები ყოველწლიურად წოწილობენ ჩვენს ქვეყანაში. დაპყოფენ აქ მცირე ხანს, შემოიკრებენ გარშემო მათხოვართა დოსტებს, ელაქუცებიან და ეპირფერებიან. ეს უკანასკნელნი გაიგულეებენ თუ არა მათ, მყის მიაკითხავენ ღვთის ანაბარად დარჩენილ გლეხებსა და მეომრებს, ამცნობენ, მგონი გვეშველა, ზღვის გადაღმიდან შემწეობა გველისო. ეს ჭორი აგორებულ გუნდასავით იზრდება.

ახლა მთავარს გეტყვი. ეს კონგრესია თუ რაღაცა ეშმაკი, იმას მეცადინეობს ექვსასთა არ შეეჩეხოს თვალში, და თუკი ეს მოახერხა, მაშინვე მგზნებარე სიტყვებით აგულიანებს გლეხებს, ბეგარისაგან განთავისუფლებას და ახალ მთავრობას პირდება. ეს ჩვენ ხელს გვაძლევს, ოღონდ ამ თესლში ღვივის საფრთხის ყვაეილი. თავადაც იცი, რა ძალა აქვს მითქმა-მოთქმას, — მთას გადააქცევს, და მაინც იმ შავ წელიწადს, როცა მე და შენ ახალგაზრდები ვიყავით, ჩვენმა ერთგულებამ დიდად არგო ჯაგესარს. მაშინ არ მოგვიბოძა მთავრობამ ორთავე მხრიდან მომიჯნავე მიწები? კონგრესმა კი რა უნდა მოიმოქმედოს განა ისეთი, რომ ათიოდ ჯარისკაცი ვერ აუვიდეს. მაგრამ თუ ემაგ კონგრესის სიტყვები ჭკუაში დაუჯდათ ქვეშევრდომებს, ანდა საქმეგამოლეულ, მოცილილ ბატონებს, მაშინ შესაძლოა დროზე ადრე იფეთქოს ჯანყის აღმა. ეს არაფერი, რადგან ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი მეგულეობა ამ ხანძრის ჩამქრობი, მარჯვე თეთრი ხელი, მერე კი ყველაფერი კალაპოტში ჩადგება კვლავინდებურად.

თუკი ეს ალი არ გაღვივდა, მაშინ საშიშიც არაფერია, რადგან აქაური საპიბები გულდაგულ წინსლავენ ერთურთს და ამით საკუთარ საფლავს ითხრიან. მეფის ნაცვალს ხელ-ფეხი ექნება შეკრული, საპიბები სულით დაეცემიან, ყველანი თვა-

ლებს ინგლისს მიაპყრობენ და ბრძანებებს აინუნშიაც აღარ ჩააგდებენ.

ამასობაში ჩვენ ხმლის ვადა უნდა გვეკონდეს ჩაბღუჯული, რათა დროზე ვაშიშვლოთ, როს უამი დაპყრავს. ბენგალელებს უნდა მხარი მივცეთ, ხელში იგდონ ხაზინისა და ფოსტის კლიტენი. ინგლისშიც ასე უნდა მივწეროთ, ერთი სისხლისანი ვართ-თქო ჩვენ და თქვენ, სწავლულნო. ლოდინი დიდხანს არ მოგვიწვეს, ცოტალა დაგვრჩა.

ეს ხალხი მეფე ფერიშტს მომაგონებს, რომელიც თურმე გადარია უსაქმურობამ. მოიშვლიბა მაშინ გვირგვინი და ნეხვის გროვაში დავლურს უვლიდა. ამ ამბის სამოძღვრებო დასასრულიც კარგად მახსოვს. ვაზირმა თურმე ცხენზე შესვა იგი, ბრძოლაში წაუძღვა და მეფე განახლდა ფასკუნჯივით, კვალად ტანმრთელი გახდა და გვირგვინზე ასეთი სიტყვები ამოაკვეთინა:

თუმც მომისროლეს ვითა ურგები,
ზეამზიდა ხელახლა ბედმა.
ორი დიდრონი ლალ-ბადახშით
შემამკო მეფემ,
და უმეტესად ამასხივოსნა.

თუ ომი ხალხს გამოხშირავს და სისხლს გამოუშვებს, მათი სენი შესაძლოა განქარდეს და თვალებიდან ბინდი გადაეყაროთ. მაშინ კი იქნება მიხვდნენ განგების გარდღუვალობას. ვაგლახ, რომ აღბათ გვიანია, ისე დაკუტდნენ და დასაპყარდნენ. დიდხნობით დაბმული ლაფშაც კი ივიწყებს ნავარდს. ამ ხალხს, ვისაც ნამდვილ ჯორებს ვადრი, საკითხავია განა, რაც მოუვიდოდა. თუ მაგათ კოლოტი სისხლი არ გამოვუშვით და შოლტით არ მოვარჯულეთ, ყურად იღებენ კონგრესის ნალაქ-ლაქევს და უმალ საქმეს შეუდგებიან. რა ხანია ოცნებად ქცევიათ, ჩვენი ქვეყანა თავიანთი ჯაჰანამივით არივდარიონ.

ამ ექვსასთავან ბევრეული ხომ მდებიონი არიან დედაბუდიანად, ძალაუფლებას უჩვევნი და დახამებულნი. სული მისდით ბატონობისათვის. მზისა და მთვარისაკენ ხელებს იწვდიან, ყვირილით იჭაჭებიან იმ იმედით, იქნებ როგორმე მოსწვდეთ საკუთარი ნახმევი. ამასთან, ყოველ მათგანს რალაც

ახალი, უცნაური სიტყვები ამოსდის პირიდან, ერთთა ქონებასა და ღირსებებს ამაებზე დახარბებულებს უნაწილებენ და ამით იმხრობენ მდაბიოებს. ესეც ჩვენი წისქვილის დოლაბზე ასხამს წყალს.

კარგს იზამ, თუ მომწერ, ვითომდა დიდი მადლიერი ვიყოთ ამათი, გვიყვარდეს დიდად და კანონსაც ვერთგულებდეთ. როს დავბრუნდები, გასწავლი კერძი ისე შეკმაზო, აქ რომ გემრიელი ეჩვენოთ.

თავაზი გვმართებს, ვინაიდან ამათ გარდა სხვა გზა არა გვაქვს. ეცადე როგორმე ჯაგესარში გაზეთი გამოუშვა და ბექდე და ბექდე შიგ თარგმანები ინგლისური გაზეთებიდან. შენ შეგიძლია კალკატიდან გამოიწერო ვინმე მათხოვრის დოსტი, თვეში ოც რუპიად.

თუ იგი გურმუქხის ენაზე დაიწყებს წერას, ჩვენი ხალხიდან კაციშვილი ერთ სიტყვასაც ვერ გაიგებს. და კიდევ, გარდა უხუცესთა პანჩაიატებისა, დააწესე სათათბიროები. წინასწარ დაარიგე მათი წევრები, რა და როგორ თქვან რაო საპიზის ბრძანების მიხედვით. ამ ამბებისაგან წიგნი შეკარი. თითოეულ ექვსასთაგანს დაუგზავნე. დაავალე მათხოვრის დოსტს, წინათქმაში აღნიშნოს, ჯაგესარი უუსწრაფესად მშვენდება—თქო ინგლისურ ყაიდაზე. ჰიგოტის ინდუსიტური ტაძრის მესვეურებს ტყაფი გააძრე და თუ მათ ქონი მორევიათ, შეამცირე სულადი გადასახადი და საქორწინო ბეგარაც. ეს ამბავი დიდი ზარ-ზეიმით მოსდე ქვეყანას. ლაშქარიც მზად გყავდეს და რიგიანი ქირა უხადე, თუნდაც ამისთვის ბელღების ბარაქასაც წირვა გამოუვიდეს და რაო საპიზის ცოლებიც ვეღარ ალალო ძველებურად. და ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ზედმეტი აურზაურის გარეშე.

თუკი ამ ხალხს არ უაქიმეს და სისხლი არ გამოუშვეს, დაცდა გემართებს. ავწონ-დავწონოთ ვითარება და როცა მათი ხელების ჩრდილი ლამის მთლად გადაქრება ინდოსტანიდან, აი მაშინ კი უნდა ავშალოთ ბენგალელები, რათა ლტოლვილებს დარჩომილებიც ზედ მიაყოლონ. ეს კია, ინგლისელებს თითი არ უნდა დავაკაროთ. ჯეროვანი თავაზით უნდა მოვეპყრათ. სხვაფრივ აქაურები, ექვსასი კი არა, ბევრი ათა-

სიცი რომ იყენენ, თუნდ დიდ-პატარიანად ფეხზე დადგნენ, ვერაფერს გახდებიან დარჩომილებთან. და ისინიც მთელ ქვეყანას თავდაყირა დააყენებენ. იმაზე ზრუნვაც გვმართებს, თეთრი ხალხი ბრბომ არ ჩაქოლოს. ჯერ არს საკადრისად გავისტუმროთ.

ასე რაკი გავირჩებით, პატივსაც მოვიგებთ და ნდობასაც. თუ ამბოხს სისხლი არ მოჰყვა, ინგლისელები ბლენძვას აღარ დაიწყებენ და შფოთს ახალი რამ სახელით მონათლავენ. იმპერატორის ერთი ყოფილი დიასპანი ხომ ახლა აშკარად ლანძლავს კანონს და მდაბიოთა წინაშე ქებათა ქებას აღუვლენს ჩხუბსა და ბასტიბუბუს. აი, როგორ გადასხვაფერდა ეს ტომი ნიხალ-საინის დროიდან.

თუ საქმე მძივივით აეწყო და დაზაფრულ და მარცხით გულგატეხილ საპიბებს თვისტომები ბედის ანაბარად მიატოვებენ, გაგვმართლებია და ეგ არის. ასეც იქნება. ინგლისელებს ხომ ხარჯს ვერ აქნევიანებენ. ერთხელ თუ ორჯერ უყურუყუტებიან შორეთში თვისტომნი, სწორედ ამ მიზეზით? ვინ მოსთვლის, რამდენგზის გაუწირავთ უწყლო უდაბნოეთში ჩასაკვდომად თავიანთი სახელოვანი შვილები. ეს ხალხი მონაა მყვირალა სახელებისა. ამიტომაც ინდოსტანის ხელისუფლება ახლად უნდა მოინათლოს. დე, ეს ბენგალელებმა მოაგვარონ ერთმანეთში. მერე კი, დაე, მოყვნენ სიყვარულისა და ერთგულების გაუთავებელ ფიცილს. მსგავსად იმისა, როგორც იფიცება ხოლმე ზღვის გადაღმითა ჭალაკი, როცა ძალზე ფიცხელი ბრძოლისათვის ლესავს იარაღს. დარჩენილთა რიცხვი როს გვარიანად შეთხელდება და როს მოდგება უამი, აი, მაშინ ისე უნდა დავკრათ, ამას იქით ხმალი სამუდამოდ ჩაგვეგოს ქარქაშში; ღვთის წყალობით და საპიბთა მეცადინეობით, ინდოსტანში დიდძალი ავლადიდება დაგროვდა. ამ ზინათის ყადრი უნდა ვიცოდეთ, ჰკუთით მოვიხმარდეთ და უმალ როდი უნდა გამოვუყვანოთ წირვა.

სახელმწიფოს შენება და ქმნა, მისი სადავეები ჩვენს ხელთ იქნება. ბენგალელები კვლავინდებურად გაჰყოფენ კისერს უღელში, კიდევ გვემსახურებიან, ხაზინის ჰამარსაც ჩვენ მოგვითვლიან და ცხვირსაც ვერ ჩაყოფენ უადგილო ალაგას.

ჰინდუ თავადები გულხელდაკრეფით ვერ იქნებიან, ცხადზე ცხადია. ამ ალაფში წილის დადებას მოინდომებენ. ოღონდაც ვინ ვის დაასწრებს, შენ უკეთ უწყი. ერთი იცოდე, რაჯათა ძლიერი ხელები აღიპყრობა ტახტების დასაბრუნებლად და თუკი ბედის ჩარხის ტრიალს აეყვებით, ვინძლო კვლავ დადგეს ჟამი დელის მაჰარაჯას მეუფებისა. ხომ გახსოვს ძველებური სიმღერა:

ეს დაღირებული ხმალია, შენ კი მას სიყვარულს არქმევ.
რაკი ასე ინებე, მე ვირწმუნე და ვკვლები კიდევ.

გული მიგრძნობს, ჩვენს ქვეყანაში შემორჩება თითო-ორ-ო-ლა საპიბი, რომლებიც აქედან ფეხს არ მოიცილიან. მაგათ უნდა ველოლიაევით, რათა მათი ხელოვნებითა და საზრიანობით ერთობა შევინარჩუნოთ ომის ქარცეცხლშიაც. ჰინდუ თავადები საპიბებს ახლოსაც არ გააკარებენ სათათბიროს. მე კი მითქვამს და კვლავაც ვიტყვი: ჩვენ, მართლმორწმუნენი მაგათი ვაზირობით უცილობლად მოვსრავთ მტერსა და დუშმანს.

სიზმრად ხომ არა გგონია თავი, ჰკუაჰახრაკა ნისლა მელიავ, დედაჩემის ძუძუნაწოვო. ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ ვიხილე. ოღონდ ერთ ფერდზე მოჭრილი აყალოდან ორნი ვერასოდეს გამოძერწავენ ერთსახე საინებს, არცთუ ერთი და იგივე ამბიდან გამოიტანენ თანაბარ დასკვნებს. კვლავაც ვიტყვი: ყვიციანია მთელი ეს გუდამშიერი ხალხი. ამჟამითაც კი რასაც მოახელთებენ, ყველაფერს პირში იყრიან მუცლის ამოსაყორად.

სათათბიროში ფეხი ამოიკვეთეს ღირსეულთა და მედეგთა. განხეთქილების დანამ კალთები დააჭრა მშვიდობის კარავს და თავზე დაამხო. ეს შფოთის უტყუარი ნიშანია.

დედუფალი უკვე მოხუცდა. ქუჩებში უდიერად იხსენიებენ მასა და მის ახლობელთ. ხმლის ფასი ამათ რა იციან, ასე სწამთ, სიტყვა და კალამი განაგებსო ყველაფერს. მოგეხსენება, უსაზღვრო იყო სოლომონის, დავითის ძის სიბრძნე და ღვთისმოსავობა. ასევე უსაზღვროდ უცები და ურწმუნოა მთელი ეს ჯამაათი. ამაში თავად დარწმუნდა შენი მონა-მორ-

ჩილი, ვისაც აქ ისე ათვალწუნებით უმზერენ და აღმაცერად, თითქოსდა ტყიური ყოფილიყოს ან საფრთხობელა.

სჯულს ვფიცავ, ინდოეთის საპიბებში თავიანთ ვაეიშვილებს რომ ჩააგონებდნენ და ისინიც ოჯახებიანად დამკვიდრდებოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, მე ალბათ ხმალს დავაგდებდი მეფის ნაცვლის ფერხით, ვეტყვოდი: მოდი ერთად ვიომოთ შენი და ჩემი სამეფოსათვის და ყურს ნულა ვათხოვებთ ზღვის გადადმელთა ნაპორ-ნაყბედარს.

მისწერე ინგლისში, დიდი მოყვასნი გახლავართ თქვენი, ოღონდ უფალმა შორს გვაშოფოს-თქო ემაგ ბანაკიდან. განწმენდისა და ახალი გვირგვინის იმედით გვიდგას-თქო სული.

ვუწყვი, ღრუბლებში მცურავ მეოცნებეს ვგავარ, რადგან საპიბთა მოდგმა ჩვენში მესამე თაობაზე წყდება და მეტს ვერა და ვერ აწევს. და მაინც, მთლად ასე როდია საქმე. თუ მრავალგზის ნაცადი თვალი არ მატყუებს, ეს სენი ბოლოს მოუღებს და წალეკავს ამ ხალხს. ძალაუფლების წყარო იქცა ტბორედ, რომელს ყველა ბილწავს და ვაჟაკების ომანიან ხმას ახშობს ჯორების ყროყინი და ბერწი ჭაკების ჭიხვინი. თუ ბედის ტრიალი ამათ ჭკუას ასწავლის, მაშინ გიჯობს მხარში დაუდგე და ხმალი იქნის მათთან ერთად. და როცა მე და შენ ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით და სენი კვლავ იჩენს თავს, მაშინ ინგლისელთა მომხრეთ ყველაფერზე მიუწვდებათ ხელი. ამჟამად კი ეცადე, ფარულად შფოთი სთესო, დრო აზოზინო და თვალში ეკლად არავის ესობოდე.

ახლა კი კალამი გაცვდა, მელანი დაიშრიტა და ხელებსაც ჭანცი გაელია. შენი თვალებიც ალბათ დაბლიტა ავთრათის ასობმულმა.

ჩემს ჯალაბს აცნობე, მალე დავბრუნდები, ოღონდ არამც და არამც არ დაგცდეს ჩამოსვლის ნამდვილი დრო-ჟამი.

უსახელო ბარათების ჩელხი დამიდგა. სახლ-კარს მიგინებენ. ჩემი სახლის ღირსება შენი ღირსებაა, ძმაო ჩემო. ეს ფატიჰ ლალას საქმე უნდა იყოს, კათოპიავარული, ღვინისფერი ლაფშას ჭილაგდარის. მისი სოფელი მანგლოტს გაღმითაა და თვალი ადევნე, ენა აღარ ასარსალოს. თუკი ის არაფერ შუაშია, მაშინ ჩემს სახლს დარაჯი მიუჩინე. ძვირფასი თვლებით

მოვაპრეთა, ვარსკვლავთმრიცხველთა და ბეზია-ქალების ფეხი არ ვნახო დიაცთა პალატებში. ნათქვამია, აღზევება და დაცემა ჩვენი — ჩვენთა მონათა წყალობითო.

ყველას, ვინც გამახსენდა, თავიანთ წილ ფეშქაშს ჩამოვეუტან, არძანგებისაებრ მათისა. აკი ორჯერ მოგწერე კიდევც, ბაჰადურ შაჰისათვის ძღვენი მაქვს-მეთქი შემონახული.

ალაჰისა და მისი მოციქულის წყალობა არ მოგაკლდეთ, შენა და შენიანებს — დათქმულ ეამამდე. მაზიარე სიხარულს შენი კარგად ყოფნით. თავი ჩემი დამიდევს რაო საჰიბის ფერხთით. ხმალიც გამიწვდენია ნიშნად ერთგულებისა.

მოსდევს ჩემი ბეჰედლი.

ს ბ რ ჩ ე მ ი

მკითხველისადმი	■ ■	3
წინათქმა	■ ■	5
ილმან ცეცხლისა	■ ■	11
პატარა ტობრა	■ ■ ■	17
ლისპეტი	■ ■ ■ ■	21
ღმერთების ხაზინა	■ ■ ■ ■ ■ ■	27
შოხეტიალე ებრაელი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	33
ემირას მოწყალება	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	38
ნაბოთე	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	43
საზარი დამის საუფლო	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	48
თასი მწუხარების კიშკარი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	55
პულის თანაში	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	62
დანგარას მსჯავრი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	68
შეამბოხე შოტი-გაჯი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	79
წყალდიდობის ემბ	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	87
ტყუპები	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	97
დრეი ვარა იაუ დი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	106
იმრების დაბრუნება	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	118
ნამგეი დულა	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	132
მორიუბი ჭუქისი უჩვეულო გაციითება	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	145
იარა კურთხევითი ეკლესიისი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	179
რაქმა-აჩრდილი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	199
ქალაქის კედელზე	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	225
ოლქის თავკაცე	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	253
ერთი საზრისი	■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■	281

ბ. ბ. № 2147

რედაქტორი ნათელა ლორთქიფანიძე
მხატვარი ჭ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე
კორექტორი ქ. გუნცაძე
გამომშვები გ. ჩილუნაძე

გადაეცა ასაწყობად 15.07.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.04.89.
ანაწყ. ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108¹/₂. ნაბეჭდი თაბახი
15,96. ბეჭდვა მაღალი. საღებავგატარება 16,28. სააღრ.-საგამომცემ-
ლო თაბახი 13,85. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2439.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზ. № 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира, № 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით
ვაკრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ო. ქავეკავა-
ძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государст-
венного комитета Грузинской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.